

ବୁଦ୍ଧମାନ



୪୭

କାଳାଚାରୀତିରେତୁଳ ଶଲମାଲିକାରୀତିରେତୁଳ
ଟିକ୍ଟରିଲୋସନ 1928

ပြည်တေသနလုပ်မြန်မာစု ရန်ကုန်တေသန၊ ဒေသပြည်တေသန၊ ဒေသပြည်တေသန



မနမဏ

၈၅

ပုဂ္ဂနိုင်တေသနဝန်ကြီးခွဲ မြန်မာနိုင်ငံတေသန ရုံး
မြန်မာနိုင်ငံတေသန ရုံး အောက်ဖော်လုပ်ချုပ်ဆောင်ရွက်

ရှိယောက် မြန်မာနိုင်ငံ

၁၂၃၀၂၆၄-၁၁၁၆၁၇၁၇၁၇

၁၉၂၈ခုနှစ် ဧပြီလ ၁၀ ရက်နေ့

အဖွဲ့ ၁၉၂၈

ମେଦିକଲ ଏଜ୍ସିକୁଲାର୍ ପ୍ରକାଶନକାରୀ



ମେଦିକଲ ଏଜ୍ସିକୁଲାର୍
ପ୍ରକାଶନକାରୀ



გილიპეგიდან ლიანდაგზე

(მოთხრობა)

ს თ უ ა დ

როველმა უფერულად ჩაიარა—ყველაფერი მაღვე გათავდა: ერთი თარი გაიკრიალა ურემმა, და შეწყდა: ხმა დაბლა, თითქოს რცხვენიათო, სადღაც გაისმა „ხვავე“; ნადი არვის მოუწვევია, და ზღაპრებისა, გაშაირებისა და ხუმრობის შემდეგ, მუშების სიმღერა არ შეხვედრია დილის მხეს, რომ შემდეგ, ერთი წუთით დაძინების შემდეგ, ისევ დაეწყოთ სიმინდის ტეხა, ყურძნის კრეფა, ჭურების რეცხა და ჩალის ზიდეა.

საპატარძლო გოგოებმა და სასიძო ბიჭებმა ყურები ჩამოყარეს—შიხვდენ, რომ წრეულს მათ ჯვარს არავინ დასწერდა, და ოჯახის თავი-კაცები ჩაფიქრებული უვლიდენ ირგვლივ ნალიასა და ჭურებს და თითებზე ითვლიდენ, თუ რამდენი თვის სარჩო დააკლდებოდათ; თვით თდანია სარექვლაძე, წელმაგარი გლეხი, რომლის ხელქვევით იყენენ ცოლშეილიანი ვაჟები და მოზრდილი შვილები და შვილიშვილები, წინათქოდ უიდრა და ასესხებდა ლვინოსა და სიმინდს, ეხლა დარწმუნებული იყო, რომ ლვინო სოფლის დღეობისთვის საყიდელი გაუხდებოდა, და სიმინდი ივნისის შეა რიცხვებამდე თუ გაპყვებოდა.

მაგიერად საქონელი ლალად გრძნობდა თავს: ადრე აჭრილ ყანებში თავისუფლად სძოვდენ და უეცრად შემატებულნი კუდ-აპრეკილნი დანავარდობულენ.

— თქვენც დაგემჩნევათ ჩვენი გაჭირება, თქვე ვერანებო, თქვენა!—იწყევლებოდენ დედაკიცები, რომელნიც ვერ პოულობდენ ეზოდან ერთხელვე გადასულ მეწველ ძროხას—თქვენ რჩენას ვინ აუვა ამ კვიმატიან წელიწადში!

დღეები კი ამ შემოდგომის მიწურულსა და ზამთრის დამდეგს საოცნებო დაიქავა: სიცივემ ვერ მოიკიდა ფეხი და დაყვითლებული ფოთოლი იშვიათად ვარდებოდა; მხეს მთვარე სცვლიდა, და მთვარეს მხე; კრიალი ცას ლრუბელი სამკაულად გადუვლიდა და განათებულ არეში სილამაზისათვის შავი ჩრდილი ჩაუწევებოდა.

და რაც ალერსი და დროს გატარება მოუსავლობამ წაართვა ახალგაზრდობას ის უნდა აენაზლაურებია ამ დამათრობელ დღე-ლამეს. კდემა-მოსილ

სოფლის ორლობეში არასდროს არ ყოფილა ამდენი ფეხაკრეფით სიარული. ადამიანის ამდენ აჩრდილს თავის დღეში არ გადაურბენია განარებული ველი რომ შერეოდა ტყეს, და ძალლებს ამდენჯერ თავის დღეში მეუცვლიათ ბრაზმორეული ჭეფა მხიარული წკმუტუნით, რაზედაც გაისმოდა ფუჩქნით წყევლა:

შენი ყეფაც დასწყევლა ლმერომა და ლაქუციკუ! რა მარტივა

ფარნაოზა მარგველაძემ მეათასეჯერ ჩამოთვალა, თუ რით შეეძლო ხელი მოეცვალა, და დაკვირვებით უყურებდა ეზოს კუნჭულში უხსოვარ დროიდან უცვლელად მდგომ უკვე შემობერებულ ცაცხას; ივარაუდა რომ ქვედა ტოტებიდან ჩამონაჭერ-ჩამონახერიდან ორი ურემი ნაპობი გამოვიდოდა, ზევითა ტოტებიდანაც შეაკოწიშებს კაცი ერთ ორ ურემს წვრილ შეშის; ფიცარიც იქნება ერთი ათი, მარა ძირი ფულურო იქვს თუ არა? თუ არა იქვს კიდო დიდი ბედი, გობებს ახდის კაცი, მარა თუ შიგ ჩამპალა, და წყეული ვასაკა ზის... შაშინ... მაშინ ნახევარი შრომა ჩაივლის... დიდი შრომა უნდა... დამხმარე?.. ეს ჩემი ბიჭი მაინც მომსწრებოდა იმბელა რომ ბირდაბირი გაეწია... ეჭ!

ამ ფიქრებში გართულმა მხოლოდ მაშინ მიაქცია ყურადღება ჭიშკარს, როცა იგი ჭრიალით გაიღო, და შიგ ჩამოვიდა ურემი. ურემზე იჯდა ქალი: ქალს ეჭირა ბავში; ხარებს პატარა უკრნბი ბიჭი მოუძლოდა, და ურმის გვერდით, ქალის მახლობლად, მოდიოდა... ჯერ ფარნაოზმა ვერ იცნო: სოფელში უჩვეულო ნიშნიანი ქუდი... მაზარა, და ამ მაზარაზე რკინის სალტიანი ფართე ტყავის სარტყელი... ძმა, ძმა პარმენა!.. ათ წელზე შეტია, რაც გადაკარგულია; საჩოთირო ხმები მოდიოდა: ხან მოხელე გახდა და გაღიდყაცდა, ხან კი მშირ-მწყურვალი გლახაკად დადის რკინის გზის სადგურებზე.

არც ერთი არ გამოდგა მართალი,—მდიდარი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამათხოვროც არა უჭირდა რა: გლეხის პირობაზე შეტად კარგათაც ეცვა (ლათებინები!) და ურემზედაც ბევრი რამ ეწყო.

ძმები სიყვარულით გადაეხვიენ ერთმანეთს.

ელისაბედი თავსატრის სწორებით გამოვარდა, და პატარა დამხდური ბიჭიც მაზე უფროსს, მაგრამ მაინც პატარა ბიჭს, ხარის მომყოლს, აეტორ-ლიალა.

პარმენმა ძმასა და რძალს თავისი ცოლი გააცნო, და ორი რძალი „შენი ჭირიმე, „შენ გენაცვალე“-ს წამ-და-უწუმ განმეორებით მაშინვე შეუდგენ ბარგის ურმიდან ჩამოლებას, ვახშმის სამზადისსა და სხვა.

მამა-კაცებმა მხოლოდ დიდი მაფრაშა ჩამოიდეს და მერმე, ერთმა ყალიონის წევით, მეორემ ჩხირის თლით ნაწყვეტ-ნაწყვეტათ უამბეს ერთმანეთს გრძელი, ათი წლის ცხოვრების ჭირვარამი.

ელისაბედმა კეცები დააფიცხა, ხოლო ახლად მოსულმა მართამ თუნუჭში მოდულებული ჩაით ენა დაუწვა, მაგრამ ბოლოს მაინც პირი ჩაუკუპილა ასეთ

სასმელს უჩვეულო მასპინძლებს. ფარნაოზის პატარა ბიჭი, შავრო, დიდ ხანს ითვლიდა ამ დღეს დროის აღმნიშვნელ საზღვრად.

— მაინც რა აშბავია ქალაქში? ეკითხებოდა პარმენს ძმა,

— რა ვიცი, ფარნაოზ ჩემი, ამბობენ მიწებს დაურიგებუნ ხალხს... გა-
დასახადი არ იქნებაო.

— მერა ხელმწიფე რას ამბობს?

卷之三

— იმას შე ჩამოაგდებენ...

— ე, ძნელი საქმეა, ჩემო ბატონო... ბაზუა ჩემიდან ვამიგონია, მთელი იმურეთი ეომებოდა, შარი აჯობაო, ახლა რა უნდა ქნათ?

— მეც შეეჭვება... ამბობენ სოკიალიზმი მოვალ...

— କେବଳାଏ?

— ეს ისაა, რომ ქარხნები, სახლები ყველაფერი მუშის იქნება. თავისუფლება იქნება, გაღასახადიც მოისპობა, მღვდელიც...

— მიწებზე რომ ამბობენ, ის მითხარი — შეაწყვეტინა სიტუაცია ფალხაობისა.

კის მიწას მოგვცემენ?

— ყველას...

— ახლა, ოდანიას ხომ ვერ წაართმევენ?

— არა, სახელმწიფოს, თავადებს, ეკლესიებს — უგულოდ უპასუნა პარმენი,
რაღვან შეატყო, რომ ისე მწყობრათ ვერ ლაპარაკობს, როგორც იქ, ქალაქში
ლაპარაკობენ ახალთაობის კაცები.

— ჩვენ არაფერი გვერგება და ისაა... — უიმედოთ ჩაილაპარაკა ფარ-
ნაოზმა.

— რატომ, შე ფაცო?

— ჩვენმა ნაბატონარმა ქვე გაყიდა რაცხა ორი ქცევა აღგილი ქოთდა, და ისე არც სახელმწიფოა აქ და არც საეკლესიო.

— სხვაგან შოგვცემებ.

— ეს, თუ ევიყარე კაი ამბავი ყოფილა!

ქალებმა მოკლედ დაამთავრეს ქმრების ყურძოკოლი ხალაპარაკევი:

-- ... რაც კაი კაცებია: სტუდენტები, მასწავლებლები, ექიძები, —ხასრავლი ხალხი—ყველა ხელმწიფოს წინააღმდეგ კოფილა.

— օդյ!

ଗୁରୁତ୍ବା ଦଲ୍ଲେ, ନାରୀ, ଶାମି.


მართას მოუხდა სოფლის ჰაერი: თვალის სიყვითლე შესუსტდა; ჭამა
უძარა; წყლის მოტანაც კი დააპირა წყაროდან.

მაგიერად ორივე შმა ამჩნევდა, რომ ასე დიდხანს ვერ გასტანს:

დიდის მომწირნეობით ზამთრისთვის გადანახული პატარი ხალაში ყველი ძირში შეიქნა საძებარი; ორიოდე ქათმის დაკვლა ძალზე დაეტყო ეზოს ელფერს; ფარნაოზი უფრო და უფრო გულჩათხრობილი დაღიოდა; რძლის გამორჩენის გულწრფელი შემნატრე ელისაბედი გულში მაინც ფიქრობდა „ასე დღითი-დღე თუ უმატა კამის, შენი მტერია, დევიფუსეთ და ის არის“.

ორივე ძმა სახლის წინ ლაფაროში იჯდენ ჩუმათ.

— კაცო, ასე არ შეიძლება მეტი...

ფარნაოზმა ყალიონს მაგრად ჩაბერა, ერთი-ორი მაგრათვე  თითი, რომ ფერფლი დაებერტყა, მაგრათ მოსწია და ძმას შეაჩერდა.

— მერე?

— რაცხა უნდა ვქნათ?

— რა უმდა ვქნათ!... ევიყაროთ და ის არის...

— არა, რატომ ევიყაროთ?.. სამუშაოდ წავიდეთ...

— სადაა?! ვინ მოგცემს?—უიმედოთ წარმოსთვეა ფარნაოზმა.

— ახლა რომ მოვდიოდი, დიდძალი ხალხი შემზვდა, ტყის საჭრელად მიღიოდენ.

— არაა ცუდი, მარა იარაღი უნდა, ფული უნდა, საგზალი უნდა...

— ვიშოვით, შე კაცო, ასე ხელის გაუნძრევლად დახრჩობა, რავა შეიძლება?!

— ანძრიე შენ ხელი! ერთი კაცი ტყეში ვერ იმუშავებს, და ჩემი ბიჭი პატარაა ჯერ!..

— მეც მინდა წამოვიდე...

ფარნაოზა შეაჩერდა.

— სამსახურს რას უპირებ?

— სამსახური არ მაქვს... ჯერ აქ მინდა დავრჩე.

ეს მთლიად ყელის გამოჭრა იქნებოდა ფარნაოზისთვის. მათი ხელისგულის ოდენა სახნავი რას გასწვდებოდა ორივეს, და უნებურად ხახა დალებული ჩაჩრდა ძმას.

— ქე დამპირდა სადგურის უფროსი, რავარც მოხვალ ადგილს რამეს გიშოვით, მარა ვინ იცის... ჯერ ჩემი დედაკაცი როდის გამომჯობინდება, და მერე იქნება კი რამე ადგილი? მეისრობას ვიყავი დაპირებული და ახლა უყურე, რა მემართება ამ თხერი ავადმყოფობით!..

ვაჩუმდა.

ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო:

— შენი ბიჭიც წამოიყვანე, ფარნაოზ...

— რათ გვინდა, კაცო, ცერისოდენა ბიჭი?.. ამ კლდე-ლრეში... ხეს ვერ მოჭრის და ვერ გადააბრუნებს...

— წყალს მოგვიტანს, ბინას მოგვიცავს, ხარებს მოუვლის.

— ხარებიც წავიყვანოთ?

— წავიყვანოთ, თუ არ გამოვვადგა, აა სწორედ მაგი წამოიყვანს.

— მავას რავა ვანდობ ხარებს ამ სიშორე გზაზე?

— შე კაცო, არც ისე ქვეყნის კიდეზეა დადიანის ტყე: დილას აღრე რომ წავა, ლამეს მოყვრისას გაითევს სადმე და მერე სალამოს ქე მიუვა დედა მისს. ფარნაოზი ჩაფიქრდა.

— დედა მისიც არ გამოუშებს: აქ მარტო ქალები რას გააშეკრდენ?

— წაიყვანე, ბატონო, წაიყვანე. იქნება თვალი გაახილოს და ქვეყანა

დაინახოს... გამოადგება, ჩვენსავით ხომ არ უნდა ჩიკვდეს ამ ჯურლმულში?—
დაიძახა სახლიდან ქალმა.

— კაი, რადგან ყველა ჩამაცივდით, თქვენი ნება იყოს—გაიფრია ფარ-
ნაოზი, მაგრამ არაფერი უთქვამს...

ფარნაოზი დაშოშმინდა—მიხვდა რომ ძმა სამუდამოდ არ აპირებდა აქ
დასახლებას და მშეიდათ განაგრძო ბასი.

— უკეთობაში მიდის ხომ უყურებ... ლმერთია მოწყალე.

— ნეტავი მაგი მორჩებოდეს მაინც, სხვას არაფერს დავეძებ. მეცოდება,
კაცო... რაც ჯვარი დავიწერეთ, ასე აწვალებს კიება... ახლა ბალანეიც
დევერთო ..

— ჰო და იშას გეუბნებოდი, იარალები ოდანიას აქვს, ცოტა ფული მე
მაქ. საშოვარში მივდივართ შე კაცო, ვიშოვით რამეს, ასე ქვეყანა რავა შეიკვ-
რება ჩვენს ჯინაზე... და მერე ერთმანეთში გავსწორდებით.

— კაია, ძმაო, თუ რამეს გამოაწყობ, მუშაობას არ დავაკლებ და სხვა
რა შემიძლია?

— მე ასე მევისაზრე და შენ, არ ვიცი, რას იტყვი—დაიწყო თავისი
გეგმის მოყოლი პარმენშა—წავიდეთ მე, შენ და ოდანია, წავიყეანოთ შენი პა-
ტიარა ბიჭი და შენი ხარ-ურემი. რაც ურემზე დაეტევა ჩალა წავილოთ და
ერთი ორი-სამი ბათმანი ფქეილი; ერთ ხანს ქე გავიჭირეოთ.

— ვნაბოთ...

— რაღა ვნახოთ? რაც დრო გავა, მით უარესი: ტყეს პიანკველასავით
მოედება ხალხი—ჩვენსავით დამშეული და გაჭირვებული ბევრია...— გადავიდეთ
ახლავე ოდანიასთან და მოველაპარაკოთ.

— კაი, შენი ნებაა—იჭვნეულის ხშით და მიმოხრით, რომ საქმე კეთილად
დაბოლავდებოდა, თქვა ფარნაოზმა და წამოდგა.

— სად მიხვალთ—მიაძანა მათ კერიასთან მჯდომარე ელისაბედმა—საცაა
სადილი იქნება მზათ.

— მოვალთ, მოვალთ. საქმე გვაქვს პატიარა.

ორი დედაკაცი კერიას უჯდა, და „კაი“ სადილის მზადებაში გართულნი,
თითო ოროლა სიტყვას თუ ესროდენ ერთმანეთს.

დღეს ერთმა ქათამმა რაღაც მოიწყინა, და თუმცა ენანებოდა, ელისაბედმა
მაინც დაკლა, ჭირი არ გამოაჩნდეს და ტყვილა უბრალოდ არ დამეღუპოსო.

მაგრამ ეხლა შამდურზე წამოგებულ ქათამს პატიარა ბიჭი ატრიალებდა,
ფქვილის ლომი ჩადგმული იყო კარლალაში და ნიორ-წყალის მომზადებას სუ-
ფრაზე დაჯდომის დროსაც მოასწრებდენ.

ამიტომ მუსაითს უმატეს: ერთს გასახეხი სუფრა უძრავად ეჭირა ხელში,
მეორე კი საქსოვის სამ თვალს რომ ამოილებდა, დიდხანს შეაჩერებდა ჩხირების
ტრიალს.

— ე მეისრე რაა, შენ გენაცვალე?

— რაა, ქალო, და გზა ორი, სამრა; მატარებელი კი ოცი და ასი დაგლი-
ჯინობს; ერთს აქვთ გადაიყვანს, მეორეს იქვთ.

— რატომ?

— აბა ერთმანეთს დაეტაკებიან.

— რავა დეეტაქებიან, ბეჩა, ბრძან არიან თუ, ჩაუარონჩერულიშვილს გვერდი...

— პო და იმიტომაც გადაყავს მეისრეს. 

— და ერთი კაცი რავა გადაიყვანს—ყარამანია თუ? შენ არ თქვი, თითო
მატარებელი ათი ითასი და კიდო მეტი ბაომანი არისო?

რავა დაიბენი, შე ქალო?—და მართამ რელიეფის მაგვარად დააწყო საქ-
სოვი ჩხირები, ცდილობდა აეხსნა მეისრის მოქმედება, მაგრამ არც მსმენელა
და არც ამნსნელი არ იყო კმაყოფილი: ორივე ამჩნევდა, რომ მობაასე უკა-
უოფილო რჩებოდა; ჩხირების გამოლებამ თვლები ჩაყარა, და ორივეს ეჩქარე-
ბოდა მუსაიფი შეეცვალოთ.

— პო, პო—დაეთანხმა ბოლოს ელისაბედი—აღვილი საქმე ყოფილა... ნე-
ტავი ჩემი ფარნაოზიც იშოგადეს მაგ ადგილს, გადავალთ ერთი ქალაქში და
ეს ჩემი ბიჭიც რაცხას ეწევა, ისწავლის ერთ ორ ანბანს და მეც ვიუქიმებ ვა-
ტარას... ე ფეხები მტკიცა, მართა ჩემო, მკლავს და—ელისაბედმა ხმა დაბლა
რალაც საიდუმლოდ უთხრა მართას,—მაინც, რაც ეს მუცელი მომეშალა, მგო-
ნია, ჩემზე გაჭირვებული ხეში მატლი არ არის.

— ჩადი შე ქალო, ქალაქში აგერ არაა!?

— ჩვენ ქალაქში ქალი ექიმი არაა და იქ ქე არისო, მითხრეს.

— კაცი ჯობია, ელისაბედ, უკეთესი ექიმები სულ კაცებია.

— უნდა გამხადოს, მართა, და ახლა რა დროს ჩემი ხნის ქალის კაცთან
გახდაა...

— იმე! გაგიგონია? მთელი შეეყანა იხდის, და შენ რა გიჭირს?

— ჩემ ქმარს არ ვჩვენებივარ თლად ტიტველი და უცხო კაცს რავა ვე-
ვენო, ბეჩა?.. მცხვენია!

— რას ნიშნავს სოფელი! აბა, ქალაქში ვინ იტყვის მაგას, სასაცილოთ
არ აგიღებენ?!...

ელისაბედს მართლაც თვითონ რცხვენოდა ამ კლემა-მოსილების, მაგრამ
რცხვენოდა აგრეთვე გახდის და „ვინცხა ყაზილარის ხელების ფათურის“.

— დოხტრური არ ყოფილა აქეთ?—დაეკითხა მართა.

— არა, არ ყოფილა.

— ფერშილი?

— ფერშილმა ერთი ქე ჩამოიარა შარშან, მარა მაშინ არ მტკიოდა ასე,
და არაფერი მითქვამს...

ცოტა სიჩუმის შემდეგ ელისაბედი დაეკითხა:

— მაინც, გენაცვალე მართა, რავა სინჯავენ ექიმები?

— ბაგშვები რომ სალამურს გააკეთებენ, ე, იმისთანა აქვთ რაცხა, და
დაგადებს ერთ თავს შენ, მეორე თავზე ყურს დაადებს, ასე გულზე წელზე, მუ-
ცელზე, და გასუნთქებს ლრმად.

- გახდილი უნდა იყო არა?
- ჰო, წელზევით.
- მერე?

— მერე, პატარა ნაფოტივით რეინის სალტეა და იმას დაგადგინდა ადგილზე და ზედ პატარა ჩაქუჩის დაგარტყამს...

- ხელით არ სინჯავენ?
- კი ხან-და-ხან.

ელისაბედმა ხმა დაბლა რაღაც ჰქითხა.

- ჰო, თუ დასჭირდა იქაც.

ელისაბედმა კითხვები მიატოვა; მართას ამ ლაპარაკში ქსოვის ინგარიში დაეკარგა და ახლა ასწორებდა. ელისაბედმა რამდენჯერმე გააქანა თავი, ვეღარ მოითმინა და იქითხა:

- მერე, მართა ჩემო, ყოველთვის ნამუსიანათ თავდება ეს ამბავი?
- რა ამბავი ბეჩა?

— რა ამბავი და კაცი რომ ტიტველ ქალს ბურჯვნის, რამდენიც უნდა იმდენს... მართალია ლმერთმანი—განაგრძო წუთით შეჩერებული ლაპარაკი ელისაბედმა, რადგან მართა ჩავარდნილ თვალის ამოლებაში იყო გართული და პასუხი არ გაუცია,—მე ახლა ბებერი დედაკაცი ვარ და ისე მრცხეენია, თვარია, რა ოხრათ უნდებვარ განათლებულ დიდკაცს, ექიმს, სხვის ვერ იშოვის თუ? მარა ამ ლამაზ, ახალგაზრდა ქალს რომ დაუწყებს სინჯვას ახალგაზრდა ქაცი, იმე, რავა არ შეექნება გული?!

— მაგი რავაც შენ იცი, ისე ვიცი მეც! ხანდა-ხან მე შეექნება გული, მარა რა უყოთ ახლა?!

- რავა რა უყოთ, ნამუსი ილარაფერია?

— ვინჩე ნამუსიანია ქე შეიკავებს თავს, ჩემო ელისაბედ—დარიგების კილოთი უპასუხა მართამ.

— არ ვიცი, არ ვიცი, რა ამბავია ამ თქვენ ქალაქში... ბევრი კაია, მარა ბევრი... არ ვიცი... ლმერთმა კაი ქნას!...

„ცხრაჯერ გახომეს“ სიმუშაოთ წასელის ამბავი, მავრამ „გადაჭრით“ ვერ გადაჭრეს: ორს მეტად ფრთხილს ამხანაგს — ძმასა და ოდანიას — ვერ დასძლია პარმენმა.

მოულოდნელად მათ ესტუმრათ ვიღაც შუა ხნის კაცი უბრალო სოფლურ ყაიდაზე შეკერილ ჩოხიანი და ყაბალახით თავწაერული.

- უ, გაიოზ! — სიამოვნებით მიესალმა პარმენი.

ფარნაოზმა უცნობი პარმენის უცროს თანამსახურათ ჩასთვალა, მაგრამ ზრდილობით შეეგება.

- საიდან, კაცო, როგორ მოგვაგენი? — შეეკითხა პარმენი ახალმოსულს.

— გავიგე, ჩემო პარმენ, რომ ჩეენი რკინის გზისთვის იქეთ დაუწყიათ ნამორების მზადება. ვიტიქრე, ერთი ეშინჯავ, რა სჯობია, უროს ბრავუნი და ჩაქუჩის რაკუნი, თუ ნაჯახის ტახუნი და ბირდაბირის გაწევა თქო. გზაზე კი

წავიკითხე გაზეთში, რომ თქვენში მოუსავლობა ყოფილა, მომავონდი, გადავ-წყვიტე ვამეგო, რა გუნებაზე ხარ, რას აპირებ, იქნებ სამუშაოზედაც წამყვე...
— მიმხვდარხარ, ჩეენც ვაპირებთ წასვლას.

— ჩვენზედაც დაწერეს, ბატონო? ებლა უფრო პატივისცემით მიმართა ფარნაოზშია.

— დიახ, ნახევარი გაზეთი თქვენი ამბებით იყო. სავაჭრო უფრო უფრო უფრო...
— ძლიერ გეთილი!.. მარა ვინ დაწერა ნეტავი?
— არ ვიცი. რა მოგახსენო, „გამვლელი“ კი ეწერა.
— რას ნიშნავს გამვლელი?! რამდენი კაცი მიღი-მოდის, რას შეატყობ რა მოხელე კაცია...

გაიოზმა ფსევდონიმის განმარტების მაგიერ დინჯათ წარმოსთქვა:
— დიახ, ბატონო, სახელისა და გვარის მოწერის მაგიერ უცნაურს სწერენ ზოგჯერ: ერთხელ წავიკითხე „გაშტიქინებული ყაძახი“. — მეორეჯერ „ნაბიკვარიკო“.

— იმე! რავა ეკადრებათ?
— ჩემის ობრით, ყოველ წერილს, თუ ნამდვილი სახელი არა, ქვევით უნდა მოაწეროს კაცმა: „იმპერატორი ნიკოლოზ მე-II-ე“... მაშინ უფრო მნიშვნელობა ექნება.

ამ ობუნჯობაზე ფარნაოზი ცოტათი ადგილზე შეინძრა და სკაში უკან დასწირა.

— აბა წავიდეთ, რალას უცდით?
— ასე უცბათ?..
— რა ამდენი საფიქრებელია?! ახლა თუ წავალთ, ხვალ ნასაღილევს იქ ვიტნებით, მოიჯარადრეს მოველაპარაკებით, და, თუ ვერ შევთანხმდით, ზეგ ლამეს ამ თქვენ სახლში დაიძინებთ ისევე... არსად გაგექცევათ, ნუ გეშინიათ.

— ჩვენთან, კიდო ერთი კაცი აპირებს წამოსვლას.
— დაუძახე, პარმენ, თუ ძია ხარ.

პარმენმა იცოდა რომ ოდანია სოფელში პატივსაცემ პირათ ითვლებოდა და ასე მისი დაძახება ადგილობრივ ზრდილობას არღვევდა, ამიტომ ყოყმანობდა.

— მოდი აქ, პატარა ბიჭი—დაუძახა ისევ გაიოზმა კარებში ცნობის მოყვარეობით თავგამოყოფილ პატარა ბიჭი—წადი ერთი, შენ გაზრდას, ოდანიასთან... რა გვარია? — მიუბრუნდა კითხვით პარმენს.

— სარექვლაძე.
— ...სარექვლაძესთან და უთხარი, გაიოზ ლამბარდავა გთხოვთ, საქმე მაქვს და მნახე-თქო.

პატარა ბიჭმა თავი მოიფხანა, ზრდილობისთვის უფროსებს ფეხ-აკრეფით ჩაუარა და მერმე კისრის ტეხით გავარდა.

ორიოდე წამის შემდეგ ლობეზე გადმოაბიჯა და ჩოხის სწორებით დერეფანში შჯდომ სტუმარ-მასპინძელს მიუახლოვდა ოდანია სარექვლაძე.

გაიოზი წამოდგა და ხელი ჩამოართვა.

ეს ოფიციალურ თავაზიანობათ მიჩნეული შეხვედრა ოდანის იამა, თუმცა გაიოზი არ მოეჩვენა ისეთ პირათ, რომელსაც შეეძლო მისი დაბარება—“უნი არ მოტყედებოდა თვითონ მობრძანებულიყოვთ”.

— უკაცრავად შეგაწუხეთ, მარა საჩქარო საჭმე იყო და უფლესოთ ვერ გადავწყვეტდით...

პირობებზე მაღე შეთანხმდენ, რადგან სამს ყოველივე წერილი შემდეგ ჰქონდა მოლაპარაკებული, ხოლო გაიოზი შეტათ დამთმობი გამოდგა, თანაც გაიოზის აღმოაჩნდა გასარებ გზაზე დუქანში მიბარებული ისეთი საჭირო იარაღები, რომელნიც არა თუ არცერთ დანარჩენს არ ქონდა, არამედ საეჭვოა, რომ ტყეში ვისმეს ჰქონებოდა: რკინის საპორტო სოლები, გამზული, ბირდაბირი, ურო, ქლიბები და სხვა...

— მაშ ასე,—დაამთავრა მოლაპარაკება გაიოზმა—შივლიურა.

— როდის? დაეკითხა ოდანია.

— როდის და ხვალ!..

— იმე, ხვალ რა წამიყვანს?

— შე ოჯახ-აშენებულო, ერთი წელიწადი თუ ჭიშკარში ვერ გაუეტირდა ორი წელიწადი გზას მოუნდით, სამ წელიწადში ან მიატოვებენ ტყის მოქრას, ან და მთლაც გაატიტვლებენ იქაურობას...—აღშეოთებით წამოდგა ზეზე გაიოზი.

— კაცო, სახლში არ დავიჭირო თავდარიგი?— მხიარულათ ამბობდა აშ ადამიანის ოცნაურობით მოსყიდული და ცოტა არ იყოს გამხნევებული ოდანია.

— და ენას ვინ გურის, მიდი და უთხარი... რა გაქ ახლა ამ ზამთარში ამდენი სათათარიგო? ჭამით უშენოთაც ჭამენ, ნუ გეშინია... წამოდი, მე შივცემ შენს მაგიერათ განკარგულებას, თუ გინდა...—და გაიოზმა ხელი მკლავში მოკიდა და ბიჯგზე მიიყვანა.

— რა უაფილა ეს კაცი?! ხუნაგია თუ?—ვითომ ბუზლუნობდა ხანში შესული გლეხი და ბიჯგზე შედგა...—კაი, ძმაო, წამოვალ რაცხა იქნება! აქ დააჩქარე ჭე მაინც!... ადრე წავიდეთ, რომ ლამის გასათევი მოვნახოთ საღმე, თვარა ამ წევარამებში კისერს მოიტეხს კაცი.

— აქაურობის მე ვიცი... ასე არ ჯობია?

ქალებს არ დაუძინიათ:

პონჭავდენ, აკერებდენ, რეცხავდენ, აცხობდენ.

მძინარე შიქროს ელისაბედი რაღაცას დაპუტუნებდა თავზე.

ფარნაოზი სარტყელში ცერებ-გაყრილი გაჩერებულიყო და აქეთ იქეთ უკვირდებოდა.

— გაუბი ახლა ხირები, რაღას უცდი, თვარა ის ოდანია კიდევ იონებს ერთს...

— არ მივიხედ-მოვიხედო თჯახში?—თავის გასამართლებლად წაიბუზდუნა ფიქრებიდან გამორკვეულმა ფარნაოზმა.

— კაცო, ამდენი მიხედვ-მოხედვიდან კისერი გაგბრუნდებია და აღარ მოგწყინდა?!—გაეცინა გაიოზის.

ფარნაოზმა გოდინით სიმინდი ჩამოიტანა, ხარხინის როფში ჩაპყარა და ხელკავით ფშვნა დაიწყო.

გაიოზი და პარმენი წაეხმარენ.

— ქნეინებო,—მიმართა გაიოზმა ქალებს — სიმინდი დაფშვნილია, / ინებეთ და თქვენ თვითონ წაურეკეთ და ნახევარ ნახევარი ბათმანი თქვენვე წაიღეთ წისქვილში — თქვენ სუსტ სტომაქებს ესეც ეყოფა. ურთიერთებული

ელისაბედმა ასეთი მიმართვა დიდ არშიყობათ ჩასთვალი და თავსაფარი შეიკეც-შემოიკეცა. მართამ კი გაბედა პასუხი:

— აბა თქვენსავით კი არ ვჭამთ ერთ ბათმანს ერთ ინჯრაზე. ურემი გააწყვეს. ისაუზმეს.

ჭიშკარს ოდანია ბოადგა.

„გაეტიენ როგორც იქნა“.

დუქანს, რომელშიც გაჩერდენ, არ ჰქონდა ფარეხი; გაიოზმა ხარები უკან, ეჭოში, გააჩერებინა და, როცა შაქრომ მათთვის ჩაღის დაჭრა მოინდომა, შეაჩერა:

— არა, მოიცა, ლამე ხარებს დუქანში შევაყვანინებ და იქ ვაჭამოთ... აქ ჩალა ტყულა დაიკარგება.

ფარნაოზმა იკვნეულად შეხედა გაიოზს:

— არ იზამს რჯულძალლი მედუქნე, — დუქანს დამისვრისო.

— დარდი ნუ გაქვს, იზამს! — დაბეჯითებით მიუგო ფარნაოზს, და მარა-შეილი დუქანში შეიყვანა.

იქ სუფრის წინ უკვე იჯდა ოდანია და ხამი კაცის თვალებით იცირებოდა.

— აბა ერთი ჩვენც გვაჭიმე — გადასძახა გახლში მდგომ მედუქნეს გაიოზმა, და სამი ახლადშემოსული ოდანიას მიუჯდა.

— მიხედე, ბიჭო, მუშტარს!..

პატარა ბიჭი მოცუნცულდა.

— რა მოგორთვათ?

— რა გითხრათ, ბიჭებო, იცით (სიტყვა „ბიჭებო“ არ ეჭაშნიკა დინჯ, სოფელში პატივისცემას მიჩვეულ ოდანიას)... ერთი წავიქეითოთ.

— არა, ა, გზას ვადგიფართ... რა დროს ქეიფია?! — უარზე დადგა ფარნაოზი.

— დავთვრეთ-თქვა, კი არ გეუბნები, მარა ისე ვისიამოვნოთ...

პარმენი ლიმილით დაეთანხმა.

— რა დროს ხარჯია, შე ოჯახ აშენებულო, სახლში კავალ-კავალ საძებარია სიმინდი...

— ვიშოვით... არაფერია... — წაჭკრა მუჯლუგუნი გაიოზმა ფარნაოზს...

— ნუ დაიხარჯებით — ჩაილაპარაკა ოდანიამ.

— შე დალოცვილო, ორი თვე იმ ტყეში, იქნება ჭაღიც კი მოგვენატროს
და ერთი გემო მაინც შეგვრჩება!...

— რა გინდათ? — წყრომით შეეკითხა პატარი ბიჭი მუსაიფში  გართულ
ბუშტრებს.

— შენ, ბიძია, თუ გეჩქარება, წადი და დაწევი — დაწევი გებებით უჭირასუხა
ვაიოზმა გულმოსულ ბიჭს. — მე ორ-ოყიან ჩაქუჩის ურტყამ ერთგან წერილი გადაკე-
თებლად და არ ვწყრები და შენც ნუ წყრები მაგ ჩქიფი რომ გიკავია.

— აბა თავზე გადგეთ სულ? — კიდევ შელრინა ბიჭმა.

— სულ არა და, პატარი რომ მოიცავო, ფეხები არ დაგწყდება. აბა ასე,
ჯერ მოგვიტანე ორი ჩარექა ლვინო... მარა კაი! ხარჩო — გეჩნება გემოიანი, და
მერე თუ ლორის წვალსაც ზედ მიაყოლებ ამას რაღა აჯობებს...

ფარნაოზმა და ოდანიამ შიშით ერთმანეთს გადახედეს, ასეთ ხარჯს რა
გაუძლებს.

— სამი ულუფა? — სწრაფათ იქითხა სიუხვით უკვე მოხიბლულმა ბიჭმა.

— რატომ სამი? ხომ გვიყურებ, ოთხი ვართ...

პატარი შაქრომ სიყვარულით და მინდობით გაჰკრა თვალი გაიოზს: შე-
ნიშვნა მეტად იამა; მიჩვეული იყო, რომ დიდები თვალში ყოველთვის გამოტო-
ვებდენ.

დუქნის მოსამსახურე ბიჭი გაქცევას აპირებდა რომ გაიოზმა მიაძახა;

— პურსა და ჭადს ნუ მოიტან, გვაქ... ლომი კი... აბა, ჩემო შაქრო, გან-
სენი ხურჯინი და ამოალაგე...

სუფრაზე შაქრომ დააწყო კეცის ჭადები და კბილი-ყველი.

ოდანიამ ხურჯინიდან ამოაძრო ლორის შაშხის ნაკერი.

— ბიქო, ამდენი მართლა არ არის საჭირო — და გაიოზი გავიდა, რომ
მწვადების ულუფის რაოდენობა შეემცირებია.

— მეფეურად ვქეიფობთ, შენ ნუ მომიკვდე! — ამბობდა ოდანია ლვინით
საცხე ჩაის ჭიქის გამოცლის შემდევ და თან გაქონილ ულვაშებს იწმენდდა.

— მეფეურად კი არა, გლეხურათ, მუშურათ — უსწორებდა გაიოზი.

— არა, ახლა მეფეურს გლეხური ჯობიაო, ამასაც მეტყვი...

ფარნაოზი კარებს მისჩერებოდა, რომ კარების გალების დროს, ხარების-
თვის გადაევლო თვალი...

— ჯობია, როგორც კაცი, ჯობია! მეფეს ყველაფრის ეშინია: დღეს მისია
ქვეყანა და ხვალ ეს ქვეყანა იღრიალებს, და დარჩება ტინტრაქა...

— ტინტრაქა!... — გაიმეორა ფარნაოზმა — შენმა მზემ! რაც არ უნდა დარ-
ეს, შენისთანას და ჩემისთანას კიდევ ჩამეიკიდებს უზანგზე... ტყულა კი არ
არის ნათქვამი, „ისე მგელი არ მოკვდება, რომ თხის დასამარხათ გახდესო“,
„დიდ ფაფას დიდი სულის ბერვა უნდაო“, „დიდ ხეს დიდი ნაფოტი დასკ-
ვივაო“.

— მიქარვაა მაგ შენი ანდაზები! რა თქმა უნდა ბრძოლა სასტიკი იქნება
და დიდხანს გასტანს, მაგრამ მეფეს თუ არ ეყოლა ჩვენისთანა სულელები, რო-

შელნიც თავის ლუკმას მას უდებენ პირში, შიმშილით მოკვდება; ჩვენ კი, აი ორი ხელი გვაქვს, და ქვას რძეს გავადენინებო; რაც ახლა გვაქვს, იმდენი მაინც გვექნება...— და გაიოზის მაგრად დარტყმული მუშტი მართლაც მრავმობდა, რომ ბევრი რისიმე გამოდენა შეეძლო.

ორ ჩარექს, თითო თითოთ შემოტანილს, ორი ჩარექი კიდევ მიაყოლეს. შეზარხოშდენ.

ოდანია გამოიცვალა. გაიოზის სიტყვები ასიამოენებდა. კიდევ უნდოდა სმა. ფარნაოზმა უარი სთქვა. ბავშვაც მოერიდა, რომელმაც ნელ-ნელა ცხადათ თუ მალეით ორიოდე ჭიქა გადაყლაპა.

პარმენი და გაიოზი არ იყვნენ წინააღმდეგი ერთი ბოთლი კიდევ მოეთხოვათ, მაგრამ ფარნაოზი აღვა.

— ახლა ხარები კარში უნდა დავტოვო? ცივა და ავი კაციც საშიშარია— გაახსენა ფარნაოზმა გაიოზს წინანდელი დანაპირები.

— აკი გითხარი, ადამიანო, დარდი ნუ გაქვს-თქო.

შედუქნე უარზე იყო ხარები შემოეყვანათ, დუქანს დამისვრიანო, მაგრამ გაიოზმა მოკლედ მოუჭრა:

— გალაქტული იატაკი შენ არ გაქვს, და შენ მაინც არ წვები აქ. ჩვენ დილით იალიონზე ქე წავალთ, ოთას დაგისუფთავებთ და ნაცარს მოვაყრით. ასე, კაცი არ შემოგივა ამ შენ დანგრეულ დუქანში, და უყარე ბუირი!...

ხარები შემოიყვანეს.

ყველა მიწვა.

ვისაც კედელზე მიღვინული გრძელი სკამი არ ეყო, სუფრაზე გაიშხლართა. ამოუშვეს ხერინი.

ოდანია და ფარნაოზი, თუმცა მიშყვებოდენ გაიოზს, მაგრამ უკვირდათ, რომ ასე უცბათ დაითანხმა ისინი; დამორჩილებისა რცხვენოდათ და პირველობის დათმობა არ უნდოდათ. სოფელში ორივეს გამოცდილი, ჭკვიანი გლეხის სახელი ჰქონდა; ოდანიას შეძლებულსაც უძახდენ.

დაბაში რომ ჩავიდენ და დუქანში გაიოზმი ჩვეულებრივი თავის გამბედაობა არ დაპარგა, არამედ ყველაფერი ისე მოახერხა, როგორც თვითონ სურდა, უნებურათ პირველობაც დაუთმეს.

ზარხოშის შემდეგ ოდანიას კიდევ უნდოდა გორაობა: ქარხნის საყვირს მიჩვეული გაიოზი კი წამოვარდა და საჩქაროთ მოარბენინა ნაცნობის პინაზე დატოვებული დიდი ტომარი.

და ამ ტომარმა სრულიად და საბოლოოდ დაიმონავა გლეხების გულიცა და გონებაც.

აქ იყო ხერხები, ქლიბები, ჯაჭვები, რკინის ჩანგლები, კეტები და, რამაც ყველაზე უფრო გააკეირვა და გაახარა ისინი, ასაწევი ჭახრაკი.

II

ტექს ხშირის

თონს აცდენ. ბონდის ხიდს მიადგენ. გოგორა ურემი დაშილილი გოგორა-
ნეს, და ხარები უივილ-კივილით აიძულეს მდინარე გადაეცურათ.
ბილიკებს აყვენ.

გამორიყულ ხეებს დაკაპიშებული მუშები ნაპირებიზან სსევ წყალში
ჰქონდენ.

აქ აღარ სჭირდებოდათ ბევრი გამოკითხვა — გზა ისედაც საცნაუ-
რი იყო.

ორ მთას შეა გამოსულ მდინარის პირათ დაინახეს პატარა ოდა. ზედა
სართული დაბჯენილი ჰქონდა კლდეზე და რიყიდან აღმართული ორი მაღა-
ლი სვეტი აძაგრებდა.

ირგვლივ ეყარა აუარებელი ქერქებამძვრალი ხე.

პატარა ჯგუფი ჰქონდა ტივს. დანარჩენი, ბუზივით მისეული ხალხი კი
ნაშორებს პირდაპირ ჰქონდა წყალში.

— ესაა ჩვენი კანტორა! — მიუთითა გაიოზმა.

— დროზე მოვედით... კაია რომ არ დავიბენით — შენიშნა ოდანიამ და
ნაბიჯს უკლო: უკანასკნელათ უნდოდა მოეფიქრა, თუ როგორ მოქვეულიყო.

კანტორის გამგებ სამუშაო ადგილი დაახლოვებით აჩვენა, ვაურიგდა ნარ-
დათ, და მუშაობა დაიწყო.

მისეულისთანავე გაიოზი დასაბანივებელ ადგილის ძებნას შეუდგა.

ზოგს ხე ჩიმოებელა და მის შტოებ ქვეშ მოეკალათებია; ზოგს ნაპრალი
გადაეხურა და შიგ მისაძინებლად ბალახ-ბულახი დაეყარა. მხოლოდ ერთი ორს
მოეღობა ფაცხა და ზევიდან დაეყარა ფოთლებიანი შტოები, რომელმაც უკვე
შემჭიდრიყვნენ. ყოველი სადგომი იყო კენჭუობიანი, ციფი, უკართ და კვამ-
ლიანი.

ახალმოსულები უფრო თავდარიგიანათ შეუდგენ საქმეს; ოდანია პუზილუ-
ნებდა, დიდ დროს ვკარგავთო და მას მხარს უჭერდა ფარხაოზიც, მაგრამ სა-
ქე მაინც წინ მიდიოდა და ორ დღეში კარგი ფართო ადგილი შემოლობეს,
აყალი მიწით შელესეს, იატაკი დაბეტქნეს, სახურავი ცერ ხშირი წოკით მო-
ფინეს და მას ზევიდან ხის ქერქი და კიდევ ზევიდან ჩალაშ-კალამისა და ის-
ლის კონები დააკრეს. შეა სახურავში საკვამლე დაუტოვეს და შიგ ბალის ტყა-
ვიდან გაკეთებული მილი ჩაუდვეს. ლოგინებათ ვეეპერთელა ნაშორები დად-
ვეს. რომელიც მუშაობის გათავების შემდეგ, აყრის დროს, ტყის მრეწველთან
ანგარიშში ჩასათვლელათ გამოდგებოდათ.

და როცა ოთხი დიდი კუნძი იგუგუნდებოდა, და ცეცხლი გაჩალდებოდა,
გამელელი მუშები დაცინვით წამოიძახებდენ:

— ე აჯახევორები დასახლებულან აქ!

ასე დაცინვით დიდხანს უვლიდენ მუშები ჩვენი ნაცნობების საღვრას, მაგრამ ხშირად შედიოდენ, გამომარიყვნენ, და გრძელ ლაშეებს ატარებდენ პასა, ზღაპარსა და შაირობაში, სანამ სისინა ქარმა არ დაუბერის ხომ უკინის-კნელი ფოთოლიც ჩამოყვდო, სანამ შოჰევიალა ცვარ-ნაწის მაგისტრი არ ჩამოე-კადა ყინულის პატარ-პატარა თითები... იქ ეიღაც გაცემდებულითა და სიცხით გაგუდული კაცი შემოიყვანეს ოდანიას ნუშეულევით კაცის გაროზის მოწვევით; იქ ვიღაცამ „ვაი წელი, წელი“-ს ძახილით მიაშერა საკუთარ სახლს...

ყველაზე მეტს ჯიუტობდენ სვანები... ხან იძინებდენ კანტორის ხელისო-დენა აივანები, ხან ხის ძირში მიშვებოდენ, და ყოველ რჩევაზე,— პატარა უა-ცხა მაინც აეშენებიათ, გულზვიაბდათ ავპობდენ, გათბობით მაინც ვერ გაგვაო-ბობს და ტყულა რათ ვეწერალოთო,

ბოლოს მაინც იგრიალა ხალხმა, და გაიოზ-ოდანიას სახლის ირგვლივ გა-ჩილდა ისეთივე შეღესილი ფაცხების შენება.

უკრეს სიტყვათ მოხვდა ლრმა ფიქრში გართულ უტეს ტყეს ნაჯახის პირ-ველი დარტყმა; მეორემ და მესამემ— ყურადღება მიიპყრო; განშირებულშა კა-კუნმა კი ხეები განაცვილრა.

თვალი დაითხარეს ყურდგლებმა.

მელებმა ეშმაკური სახეები გამოყვეს სოროებილან.

და თეიდ ზანტმა დათვმა, გაიზმორა და ზეენანა ადგილის დატოვება სწო-რეთ მაშინ, როცა მოიკალათ, თათები პირში ჩაიწყო სალოკათ და დაივიწყა ჭყინტი სიმინდი, თავლი, ძროხის ხარკი და ბატქნის ფართხალი.

ეშვებიან გარეულ ღორს უძნელდებოდა მუხლებიმდე დაყრილ წაბლის და-შორება.

მგლები უფრო სახარათ ღმუოდენ.

და ფრინველები ველარ პოულობდენ შშვიდ საჯდომს...

ტყეს აკვირვებდა იმდენი უხილავი და გაუგონარი იმბავი, და მოელ სითბო, გაცივებულ ძირებისას და მოელ სიცოცხლეს უფოთლო შტოებისას იკრებდა.

ი აგერ კვნესით წაიქცა განთქმული მუხა— ბუჟე მიმინოთა მრავალ თა-ობისა.

ზღაპრულ ვეშაპათ გაწვარცხილა — ისრათ ნატყორცნი ცისკენ.

ტყეს თითქოს ქაჩალი დაემართაო — წინწერებით აევსო შეთხელებული თხია, და მელოტის ადგილზე გაშევართული ეყარნენ დასხეპილი ხეები.

და გულჩიათხრობილი ტყე ემზადებოდა სამავიეროს გადასახალათ.

ეს შოხდა ზაბათს სალომოზე.

ამბავი სისწრაფით მოედვა მოელ ტყეს. ვისაც მუშაობა არ ჰქონდა გა-თავებული ისიც მორბოდა:

ჩუმი იდამიანის ტარჯვამ უველაზე ცუდათ იმოქმედა.

— აკი ვთქვი, აუქმებულს მუშაობა კაის არაფერს იზამს თქვა!

— შენც ერთი მოყვები რაცხას!..

— საწყალი ბიჭი, შეხედე რავა გამოშტერებულია!..

— ზიარებას მაინც მოასწრებდენ.

— ნუ დაიჯინე, კაცო.

— ვეხვეწე კანტორაში, გაფეხობიათ ეს ონერი ვზა, მუსიკურის გა-
მივიღა — ვიოომ საიდუმლოთ ბუტბუტებდა აქა-იქ კანტორის გამოშტერებულია და
ზელს იქნევდა ნიშნად ქცეუნად გამეფებული უსამართლობისა.

— შეიცით ფული და გაუშვით, იქნებ შინ მაინც მიაწიოს.

— ვინ მოშცა, კაცო, ფული?

— ღმერთი არ არის, კაცი მოკალით და მის ნამუშევარს არ აძლევთ?!

— ნაბრძანებია, საქმეს რომ დაასრულებენ, გამოუწერეთ ფუ-
ლით, და რა ვენა ახლა... მე ხომ არ ვარ პატრონი?! — იმართლებდა თავს
ლადიკო.

— აი ამ ტიკალმა ამოგვწოვა სისხლი! — შეანძრაა კანტორას ბოძი ვიღაც
ახალგაზრდაშ, რომელსაც პროპაგანდისათვის ამ კოტა ხანში მოეკრა ყური,
და ეს სიტყვები განსაკუთრებით შოსწონებოდა და დაუმახსოვრებია.

— დაუშვათ ერთი ძირს, მაგის რჯული კი გაწყდა!..

— დაუშვათ! დაუშვათ!

— კაი ვაჟკა(კ)ი იქნება და გაბედავს... — წაიწია დასაცავად ლავიკო.
ამ თინჩა კიდევ უფრო აალელვა ხალხი.

— შენ ერთი რას გვიჩამ?

— ვნახოთ — იქადდა ლადიკო — შენ გარეთ გადი — მიუბრუნდა ლადიკო
მოხუც საქმის მწირმოებელს... — მაგენი თუ რამეს მიზანი, იმასაც ვნახავ... წე-
იღე თუ რამეა შიგ...

— მე ნაშალი მაქეს მარტო — უპასუხა მოხუცმა.

— კაი! რაცხაა — ისაა! წადი, ხომ უყურებ სახლს ანგრევენ...

მოხუცმა უჯრიდან იმოლებული ორიოდე გროში ჯიბეში ჩაიყარა და
გამოყიდა.

შარტო დარჩენილმა ლადიკომ საჩქაროთ გამოფუთნა სალარო, ბენზინების
მოლკიდა, კუთხეული დადგმულ თანაქს თავი მოხადა, ნავთი დალევარა და მოხუცს
გამოყვა.

ხალხი ბუზბუზებდა.

უველაზე მეტს ხმაურობდენ სეანები, თითქოს უნდოდათ მთელი ტანჯვის
შოლმა გულიდან ამოელოთ: ხან ერთს მიადგებოდენ და ხან მეორეს, და გაუგე-
ბარ სიტყვებს იმოახრიალებდენ.

— სახლს რას ერჩით? — კითხულობდა ერთი.

— რას ეერჩით, და გაიგებენ მაინც პატრონები, რა დლეშიაც ვართ,
თუარა აქაური ხალხი ვერაფერს აკეთებს, არ უჯერებენ, აკი ასე თქვა ლა-
დიკომ?!

— ფული არ იქნება, მოშორდით ა წიურობის! — უკიროდა ლადიკო.

— მოვშორდებით კი არა, ლდინს გაგიგდებო — და ხალხი მიესია სახლს... ძნელი არ იყო მისი გადაბრუნება.

ჩქარობდენ სვანები.

წკვარამში ჩავარდნილ სახლს ცეცხლი მოეკიდა.

ლადიკო ელდანაკრავიერი დაბისკენ გაუქანა.



ურუკულა
ბირჩევები

ურემი გააწყეს.

სულთმობრძავი ფარნაოზი ზედ დააწევინეს; მან თვალება გაახილა და ძლიერ დაიძახა:

— შაქრო! შაქრო...

ბავში მიუაბლოვდა, მავრამ ფარნაოზის სხვას დაუწყო ძებნა ზვალებით.

— მიხედვეთ ცოდვაა...

პარმენი ხმა ამოულებლივ უცხერდა მომაკვდავ ძმას.

— თუ აღამიანი მქვია, თავს არ დავზოგავ, ნუ გეშინია, შენს ბიჭს მოუკლით ჟველა, ჟველა, პარმენი, მე და ჩემი მეგობრები... — ამშვიდებლა გაიოზი დასახიჩრებულს.

ლადიკომ უახლოეს საღვურიდან სასწრაფო დეპეშა გაგზავნა:

„ჩამოდით. ტყის საქმეს ხიფათი მოელის. გიცდით“, რაზედაც სასწრაფო პასუხი მიიღო:

„ვიქნები ქვირას ლამით. უჩემოთ ნურაფერს მოიმოქმედებთ“.

ჩამოსულ პირს ლადიკო საღვურზე დახვდა და „ძეც უტბრა“, რაც ტყეში მომხდარიყო: მუშებსაც ამართლებდა, თავის თავს რა თქმა უნდა, მრავალმნიშვნელოვანათ ჩაიქნია ორჯერ-სამჯერ ხელი და ტყეში უკანვე დაბრუნებაზე გადაჭრილი უარი განაცხადა, „რალაცას გადავეყრები, თავი გამომეტებული არა მაქვსო, რომ ჩამოხვალთ ანგარიშს ჩაგაბარებთო და სხვა“.

ორშაპათს, დილით ადრე, ოთხი ცხენოსანი გამოვიდა დაბიდან. ტყის ექსპლოატატორთა ქომპანიის რწმუნებული ივანე ვასილისძე, ადგილობრივი ბოჭალი და ორი ჩატარი.

— გადირია ხალხი... ამ ტყე-ურეში კიდევ რა ეშმაკები უნდათ?

— გაჭირვება, ჩემო ნიკო, გაჭირვება... ზოგჯერ ცდებიან და კარგს წამოწყებასაც ღუპავენ, თი ზაომშის ქარხნების არ იყოს, მავრამ გასაგებია — გაბოროტებული კაცი რას არ იზამს?

— ეს, თქვენი ბრალია, ბატონი ივანე, თქვენი — ინტელიგენციის ცველაფერი... „მუშა, მუშაო“ — იძახით, და აი თქვენი მუშაც. ათ წელიწადში იქნება ერთი საქმე როგორმე მოეწყოს, და ისინი კი სწვავენ და აპარტაჟებენ.

— განათლება უნდა იქნეს შეტანილი... თავისუფლება სიტყვის, რწმენის, თანასწორობა ეროვნების, და მაშინ ეს პატიოსანი მშრომელი, გონიერი მუშა არ წამოეგება აუსრულებელ ოცნებათა ანკესზე.

— ფეხებზე არ ჰქიდიათ, ბატონი ივანე, თქვენს მუშებს სიტყვის თავისუფლება და თანასწორობა... და არც პატიოსანი და შშრომელია, დამერწმუნეთ. შორს არ ვყოფილვარ, ბაქოს არ გავშორებივარ, ჩაგრამ მაგ თუგენ სათაურანებელ მუშებზე უფრო ზანტი, ანგარებით სავსე—მე არაფერი მინახავს... რა დააშავა სხვა ხელობის ხალხმა?! რავა, მე ჭამა არ მინდა? ვრწმუნებულობა— არ ვმუშაობ? თქვენის პატივისცემით წიმოველ, თორემ ათამიტაჭურა მისუდის— ყველას მოუსმინე, ყველას დაუწერე, ყველას გაურჩიე საქმე, ვა, ეს მუშაობა არ არის ოხერი? დღეს თოხოოცი ვერსტი უნდა გავიარო იქნეთ და აქეთ, და ხვალ კი დღევანდელ ას მოხოვნელს კიდევ ასი დაემატება...

— მაგიერათ შენ და შენი ცოლ-შვილი უზრუნველყოფილი ხართ, და შენი ნდვოშარეობაც სრულიად არ არის სახარბიელო... შენ რომ ქართველი არ იყო, იქნებ ეხლა მაშრის უფროსი ყოფალიყავი.

უკანასკნელმა მოსაზრებამ სასიამოთ იმოქმედა ბოჭაულზე; თითქოს ეხლა დაინახა; რომ ქვეყანაზე არსებობს უსამართლობა და ერთი ჩივრულობანი ისიც არის.

ივანე ვასილის ძეს კი მეტათ გაუტკბა ბოჭაულთან შესაიფი. კარგა ხანია მეორეცხნით ვეღარ გრძნობდა თავს, და მაზე უფრო მემარჯვენესთან ბაასი, სულთა პაერი, გაშლილი ველი, მდინარე, ბუჩქნარი, მოწმენდილი ცაჲგულს უმავრებდა, ახალისებდა.

— დიდი ამბები დაიწყო, და, ვინ იცის, რით გათავდება—უორა სიჩუმის შემდევ დაიწყო ისევ ივანემ.

— კაი მათრახი დროზე და ყველაუერი მოწესრიგდება, გარწმუნებთ...

— არა, მაგით საქმეს არა ეშველება რა. ხალხი უფრო გაბოროტდება... ჩვენი ეხლანდელი საქმეც, როგორმე მშეიდათ უნდა გავათავოთ... ბოჭაული სდუმდა. ეტყობოდა არ ეთანხმებოდა.

— ირგვლივ ცეცხლია დანთებული—იქ ასი ათასი მანეთის ხე-ტყე გვაჯვს დაგროვილი. ერთიც ვნახოთ და ყველაფერს ცეცხლი წაუკიდეს ან დაიტაცეს, როგორც უკვე მომზდარი გურიაში.

— და ყოველთვის თუ შერჩათ, უარესსაც იზმენ... მე მკონია, წყალი სათავეშივე უნდა ლაიწინდოს.

— არ გირჩევ, ჩემო ნიკო, არც შენ. თუ გლეხობამ გიმარჯვა, არც ერთ მკაცრ ნაბიჯს არ გაძარივებენ, და თუ ჭკვიანათ ჩავივლით გხას, ბოჭაული და ვეჭილი მაგათაც დასჭირდები.

— და ამ ორმაგ ბუჟგალტერიაში რომ გავეჩვენო, როგორც გოჭი ლობე-ში!— ბოჭაულმა რაღაც შეუფერებლად გიდიხარხოა.

— შენი საქმე შენ უკეთ გეცოდინება, ხოლო აქ ამ ჩეენს საქმეში, ეტყობა, დიდი არაფერი მომხდარა: მუშების დაკმაყოფილება შეიძლება: გნები ამდენ ხანსაც უნდა გავვეტრა, ფულიც იყო გადადებული, მაგრამ ეს ჩვენი მოურავი ვერ მოჭიცეულა წინდახედულათ, როგორც მიოხრა ფული სხვა საქმეებზე დაუხარჯავს... რაც შეეხება იმ პატარა კანტორის გაღავდებას, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს მისი ზევითვე იმოთრევა... ან ახლის აშენება..

— გუბერნატორი რას მეტყველს?

— გუბერნატორს მიეწერთ, პირველი ცნობა გაზვალებული გამოდგა, მუშები თავის სამუშაოზე არიან თქო და სხვა... მადლობასც მოისახე ფიცხელი ზომების მიღებისათვის.

— არა, ერთ თრ მეთაურს ჩავკიდებ ხელს, სხვას ჭირდეთ და გამოიწყოთ.

— თუ საპყრობილები გავავსეთ რაღა გამოვიდა?

— საპყრობილები არ გავგზავნი, ოქს ზეუდგენ მხოლოდ..

— სულ ერთია, შთაბეჭდილება მაინც ისეთივე დარჩება — გამალიზიანებელი და მცირობის გამომწვევი... სჯობია ყველაფერი ჩვენს ნოქარ ლადიკოს და გაბრალოთ, და გათავდა. მით უმეტეს, მართლაც, დაშინაშაუე უნდა იყოს...

— თქვენი ნებაა... უნახოთ.

გზაზე დუქანი შეხვდათ.

ცხებზე არ ჩამომხტარან ისე წაისაუზეს, თითო-ოროლი ჭიქა ლვინოც დალიეს და კიდევ უფრო კარგ გუნებაზე ვაათობარიკეს ცხენები.

— ბშვენიერება კა არის ეს ჩვენი ჭერანა! — წამოიძახა ივანემ. — შეხედე, თუ ქარ, შეხედე, სად დატრიალობს ორბი?... წუა ზამთარია, იქ ეს ნაბიჯზე გაწოლილა თოველის ზოდი, იქ კი მზე გვაცხუნებს.

— ეჭ, ბუნება კარგია, ხალხი რომ არ ვიყოთ ცუდი.

— რატომ? ძალიან კარგი ხალხი ვართ, ოღონდ შებოკეილი, ისტორიიდან დაჩიგრული...

— ნუ მეტყვი შენი ჭირიმე, ბატონო ივანე! თუმცა მე არაფერი მესმის შარა მაინც ვიტყვი, რა შუაშია ისტორია და სოციოლოგია?! აი ჩემი ადგილი, ბოქაულის ადგილი — რა ასეთი სანატრელი ხვითოა, მაგრავ დღე ერთია და ათი დაბეჭლება კი მიღის ჩემზე მაზრის უფროსს, გუბერნატორს, გუბერნიის მარშალს და მკონი თვით მთავარმართებელს!! და მერე იცით, ხშიარდ ისეთი კაცები და ქალები მაბეჭლებენ, რომელთანაც არაფერი საჭმე არ მქონია, და ვერც ჩემს ადგილს. მიიღებენ... ისე... წარმოიდგინეთ, ერთმა მოხუცმა სახლისკაცმაც კი დამაბეჭლა, და როცა გაეიგე და შეეცითხე, რას მერჩოდი-თქო, გულახლილათ მითხრა, — მწყინს რომ ჩვენი დიდი გვარის შვილი, ბოქაულობას კადრულობსო.

ივანეს გაეღიმა.

— დიახ! დიახ! ბატონო ივანე, მან არჩია, ქრთამობისთვის, სიგლახისთვის მისი გვარის კაცი გამოგდებული ყოფილიყო სამსახურიდან, ვიღრე პატიონათ ემსახურა თუნდაც მცირე ადგილზე...


აკი გიოხარი, დალვლეჭილი ხალხი ვართ. გვინდა და — ქალა არ შეგვწევს. ცოდნას ვერ ვიყენებთ. გზა დახშულია. წარსულთან არ არის დაკავშირებული ახლანდელი, და ამიტომ ვიქცევით როგორც სულით ავადმყოფი. ზოგჯერ რაინდულათ, გონიერათ, სინიდისიერათ და ზოგჯერ კი ნამუსაყრილი, დორბლმორეული ჩვენთვისვე მავნე გზით...

— ემ...

ბინდის ფრად მოსჩანდა მთა და ხეებზი მიმალული რალაც ნანგრევი.

— კარგი გზა გამოვიარეთ სწორეთ.—შენიშნა ივანემ.

— ლიახ, და ძალიან მიკვირს, რომ თქვენ არ დაგეტყროთ...  გადასვლა ჩვენ, კავალერისტებსაც კი, შეგვეხარბებოდა.

— როგორ, მე კახელი არა ვარ თუ?—გაიღიმა ივანემ. 

— კი მაგრამ შეჩვევა უნდა...

— ნუ წახვალ!—თხოვდა გაიოშს ერთი ამხანაგთავანი.

— არ წავიდოდი, რომ ოდნავ საჭირო ვიყო. ამხანაგმა რომ თქვა, გაჭირვებაში დატოვებას არ გვაპატივებენო, არა მე გაჭირვებას არ ვემალები, მაგრამ სჯობია მთავრობამ და კაპიტალისტებმა დაინახონ, რომ მე კი არ ვმოქმედებ აქ, არამედ თვითონ ხალხი... სალაბარაკოთ მოხუცები გამოუშვით, მათ უფრო უაერიან... თანაც დარწმუნებული ვარ, ეს ამბავი თითქმის არ გამოიწვევს შეხლა შემოხლას, რადგან ის, რაზედაც თვით კაპიტალისტებიც დათანხმდებიან, შეადგენს მუშების მოთხოვნილებას — ჩეტი არ ინდომეს ხორ, და რა უქნათ?

„აქ უსიამოვნება მოგვსვლიათ. უეჭველია ჩვენი დანაშაულიც ბევრია, მაგრამ საქმეს ნუ წავიხდენთ: ამ ტყებ თქვენც უნდა გაჭიროსთ პური და ჩვენც.— ეუბნებოდა ივანე ვასილის ძე ტყის მჭრელებს — გაუგებრობა მოხდა. — როგორც გამოკითხვიდან გავიგე, თქვენი უკმაყოფილება გამორჩეულია გზების შეუეფებლობით, დროზე ფულის მიუღებლობით და იმით რომ აქ ერთი დიდი უბედურება დატრიალებულია — ხე! ქვემ მოყოლია მუშა. უნდა მოგახსენოთ, რომ გზებისთვის ფული ვადადებული იყო, მაგრამ, სამწუხაროთ, სხვა სიქმიშე დაუხარჯავთ, ყოველ ღონეს ვიხმართ რომ გჩები, რამდენადაც შეიძლება, გავაკეთოდ, ისე მაინც რომ საშიშროებას არ წარმოადგენდეს...“

— მეტს არც ჩვენ ვთხოულობთ.

„... წინათ თურმე ფულს იძლეოდენ, როცა სამუშაო სრულიად დამთავრებული იქნებოდა... დღეიდან, გადაჭრით გეუბნებით, რომ ყოველ ოც ჩამოტანილ ნამორზე მოვართმევთ... უბედურების მსხვერპლს კი, რაც ერგება ნამუშევარი იმის გარდა, კომპანიის სახელით დღესვე გაუგზავნი თუთხმეტი თუმანს, და მის ბივშეს, ყოველ მხრივ ვეცდებით შემცირებიც დავეძმაროთ.“

— აგაშენათ ლმერთმა! — გაისმა სადღაც.

ამ სიტყვებით გათამამებულმა ივანემ პათეთიურათ გაიწეირა ხელი ბოჭაულისკენ და თითქო მის გვერდით ელჩი თუ არა გუბერნატორი მაინც ყოფილიყო „წარმოსთქვა“:

„... აი აქ არის მთავრობის წარმომადგენელი, და მის წინაშე ვამბობ, რომ ყველაფერი, რაც ეხლა დაგპირდით, ასრულებული იქნება, ხოლო ხით დაშავებულის გადასაცემათ მიიღეთ ეს ფული. — ივანეს ხელში ეჭირა პორტმანედან ამოლებული ქალალდის ფული, სანამ ხალხშა ოდანია არ გამოაგდო წრილიან.“

— დიდით პატივცემული ბატონი ივანე ვასილის მე ტკბილათ გელა-

პარაკათ. იგი მთელ საქართველოში კი არა, მთელს რუსეთში, შეიძლება მთელს ქვეყანაშიაც კი, ცნობილი კომერსანტია—პირქუშათ დაწყებული თავისი სიტყვა ბოქაულმა!—იცით თქვენ რა არის კომერსანტი? ვიზუანვითარებს მრეწველობას, აღებ-მიცემობას, იმას ჰქვია კომერსანტი. აი, რა თუ აქ? ტურა და მგელი, ჩაგრამ ბატონში ივანემ შრომა და ფული არა რა მარტინი— სალხი აქ მოვყარათ, საზრდო მოვერათ და სამუშაო, მჯგნის-თქვენი ტრუქი ნადირზე უფრო ცუდათ მოიქეცით, ისე დაგმალავთ, როგორც თავის ნებით მიიმალენ მხეცები—მათ არ უნდათ ქვეყნის განათლება, კარგი გზა და მუშაობა, და მოგვშორდნენ მაინც... თქვენ კი ამ კეთილად წიმოწყებულ საქმეს ხელს უშლით, იმის მაგიერ რომ ყოველგვარათ დაეხმაროთ და ღმერთს ლოცულობდეთ. თუ არ გნებავთ მუშაობა ძალას ვინ გატანთ, მიბრძანდით... თქვენს მაგიერ ათასობით მოვა ხალხი... თაფლი იყოს, თვარი ბუზი ყოველი მხრიდან გაჩნდება. შარი თქვენ თაფლი კი გინდათ, ხელის განძრევა კი გეხარებათ და დარბევას ჰკიდებთ ხელს...

ამ სიტყვებმა ხალხი ააჩოქოლა.

ვიღაცა აპირებდა პასუხის გაცემას.

გაისძა სიტყვები:

„საღვონი“, „წამალი“, „უერშალი“, „უული ყოველ კვირაში“...

გაისწოდა აგრეთვე: „კმარა შე კაცი, ზურგზე ხომ ვერ შევაჯდებით.“ „რათ მინდა საღვონი, კი არ ვესახლები აქ“.

— მე მგონია, ჩეენს შორის ყოველივე მოგვარებულია—ჩაერია ლაპარაკში ივანე ვასილის ძე, რომ მოსალოდნელი ხიცათი თავიდან აეშორებინა.

მაშ ასე, ხვალიდნ შეუდგებით ხომ მუშაობას? ცოტა უფრო ლავდაჭრილად დაამთავრა თავისი სიტყვა ბოქაულმა, რომელმაც შეატყო რომ წინათნალქვაში საქმიათ უხეში გამოდგა.

— შეთანხმებული ვართ ხომ?—ისევ ღიძილით მიწართა ბატონშა ივანემ ხალხს,

— კი, ბატონო, კი... რაც მოხდა, მოხდა, დავივიწყოთ...

— ამ უცხო ჰაერზე მოშშიუდა ჰქონილიათ. აბა დავვიცაცურდი, თუ ძმა ხარ—მიმართა ივანემ ერთ ერთ ჩაფირს.— მწყემსებს გამოართვი, თუ ეყოლოთ კრავი, თუ არა და თივანი... უველიც ექნებათ. იქნებ ღვინოც გვიშოვო?— და უული იასაულს გადასცა.

— ღვინის რა მოგახსენო, და არაყი კი აქვს, მგონი, ჩეენს მეღუჭნეს.

— ესეც კარგი...

— ყველას ვერ დაფიატილებთ, ნუ გვიწყენთ, მზადება არ გვქონია...

— რათ იკადრებთ, რას ბრძანებთ—გაისმა აქეთ-იქეთ, და ხალხი უკან დაიწერა, მიმოიდეონტა.

— არა ერთ-ორ-სამს დაუძახოთ მაინც... ვინ არის თავი კაცი, ყველაზე მოხუცი, დამიპატიუე—სთხოვა ივანემ მოხუც ბუპერტერს...

იდილიის მოყვარულმა ბატონმა ივანემ იდილიურათ დაამოავრა აპუშული საქმე.

გაიოზი მართალი გამოდგა—მისი დარჩენა არ იყო საჭირო.

გაიოზი ერთი კი შეეცადა, დაშარხეს ხარჯები შემცირებული შერის-უფლებს ურჩია, მღვდელი არ მოეწვიათ და „მასპინძლობაზე წინა კავშირულათ, მაგრამ დაქვრივებულმა ელისაბედმა საწყლიდ ჩიტლაპარაკა:

— არა, ბატონო, მეტი რალა ერგება... სოფელ ქვეყნიდან როგორ გამოვწყდეთ?

— ურიები ხოშ არ ვართ?! ამდენ ნაჭირნახულევ კაცს ერთი „შენდობა“ არ უთხრათ?!—დალმატა მეზობელმა.

თვით პარმენმა ვერ დაუჭირა თუ არ დაუჭირა მხარი გაიოზის წინადადებას.

პატარა შაქროსაც ისეთი გამომეტყველება დაედვა, ბავშვა კი ისეთის საყველურით შეხედა ჩვეულებრივ საყვარელ ბიძიას, რომ გაიოზი აღარ გაეინიანდა და თავი დაანება სათათაბიროთ შეკრებილ ჯკუფს, და თავის თავზე უკმაყოფილო რომ ვერაფერი გაახერხა, გულნატკენი უცემეროდა როგორ ტრამით ჰყოდდნენ, რაც კი შეიძლებოდა, როგორ სესხულობდენ „მამასისხლად“—თითო თითო თუმნობით ფულს, (ოდანიამ დროზე ვერ ჩამოუსწრო) როგორ ვაჭრობდენ დიაფონი, მნათე, ბლედელი, და როგორ ილუქციებოდა და თვრებოდა, თითქოს სავალდებულო ყოფილიყოს, სატირალში მოსული ხალხი.

საფლავზე გაიოზმა სიტყვა უოხრა მიცვალებულს.

— მოკლე იყო ჩვენი ნაცნცებობა, პატიოსანო შშრომელო, მაგრამ შენ ხომ ისეთა ხარ, როგორიც არის ათასი ჩვენგანი,—ჩუმი, თავისი ოფლით მოელი ქვეყნის ბურჯი და მარჩენალი.

„საჭმელს შენ და შენისთანეები ამზადებენ—სჭაბს კი მუქთახორა.

„ბინებს ჩვენ ვაშენებთ—ჩვენ გვცავა, და ვისაც წეველი არ გაუტენია—ის ფუფუნებით კოტრიიალობს ლოგინში.

„თუ თმია,—ჩვენ რა გვაქვს საჩიუბარი? რა უნდა წავკართვან და რამ უნდა დაახარბოს მტერი?—სისხლი ჩვენ უნდა დავლეაროთ.

„თუ სახელმწიფოს სჭირდება ხარჯი,—ამან ჩვენს კასერზე უნდა გადა-იაროს, ჩვენ გვიყიდიან უკანასკნელ ცხვარს, უკანასკნელ შათშან სიშინდს.

„და რატომ ხდება ეს?

„იმიტომ რომ ჩვენ ჩვენ თავს ვერ ვიცნობთ, და ჩვენ შეკავშირებულა არა ვირთ...

„მღიდრები ერთპირათ მოქმედებენ.... ბოჭაული, შოსაშართლე, საპატიორო—ყველაფერი ეს მათ სურვილს ასრულებს, მათ ნაბრძანებს აკეთებს. ჩვენ ვერ ჩაგვიჭიდნია ხელი ერთმანეთის და ვერ გვითქვამს:

„ჩემს მონაწევს მე შევსამ, ჩემს აზენებულში მე შევალ, თუ ვინმეს დავკრავ ისევ ჩემს მტერს, და თუ მტერს ჩემთვის რამე წაურთმევია, სხვის გადაცემის, ისევ მე დავიბრუნებ.

„ამხანაგებო, ეს მიცვალებული არ ყოფილა არც მჭერალი და არც მე-

მარი, არც მეცნიერი და არც მდიდარი, და ამიტომ სახელი მისი უნდა გააჭირეს!.. ასეა ჩვეულებრივ!.. არა, ამხანაგებო, პატიოსანი შშრომებზე, მიწის მუშა გლეხი, უფრო მაღლა სდგას, კიდრე სისხლით ხელებ-შეხვრილი ჯარებითა და ინებით შეჭედილი გმირი, ან და ჩვენის ნაოქლარით გასივებული, ოქროში ჩამჯდარი სოვდაგარი... ურარეს ესა!

„შორს არ არის დრო, როცა მთელი სახელმწიფო, უკანკული ტარესებულება, სკოლა, სასამართლო, სახლი, მიწა იქნება მთელი მუშათა კლასის, განურჩევლათ ეროვნების, სარწმუნოებისა და სქესისა.

„მაშინ ამაყათ ასწევს თავს მუშა და გლეხი...

„ეს იქნება უამი ნეტარებისა, როცა ქეშმარიტათ დამკუიდრდება სიკარული და სამართლიანობა.

„მაგრამ ეს დღე არ მოვა თავის თავად — ამისთვის არის საჭირო შზა. დეპა, კავშირი ერთმანეთში, ბრძოლა.

„ასეთ შზადებას აწარმოებს რუსეთის სოკიალ-დემოკრატიული პარტია ბოლშევიკებისა... იგი ჰქმნის კავშირებს მუშებისას და გლეხებისას და იპროლებს დასრულებულ გამარჯვებამდე.

„მუშათა კლასის ზოგჯერ დამარცხება მტერთ ნუ გაახარებს და მოყვარეთ სასოწარკვეთილებაში ნუ ჩააგდებს: ეის უნახავს რომ ახალგაზრდა მოჭიდავეს პირველათვე წაეჭკიოს გამოცდილი ფალავანი, ჩვენ ვიზრდებით, ვიწვრთნებით, ისინი კი დაძაბუნდნენ და დამფრთხალნი კარგავენ გონებას.

„და როცა გაიმარჯვებს მუშათა კლასი, მაშინ შენც განისვენებ. უღვევთო ჩაგვრის მსხვერპლო, ფარნაოზ! ხალხი უმწეოდ არ დასტოვებს შენს ცოლ-შვილს...

„გაშ გაუმარჯოს რუსეთის სოკიალ დემოკრატიულ (ბოლშევიკების) პარტიას.

მიცვალებულის გასუენებამ დიდალი ხალხი შეკრიბა: სიკვდილისა და არეულობის ამბავი შორს მოედვა. ხმა გავარდა, ერთობის ხალხი იქადაგებსო, და ჟველას უნდოდა თეთრ დასწრებოდა და ენახა.

იქ იყო სხვათა შორის ამ მხარეზე შემთხვევით მყოფი უბნის ბოჭაული;

ტყიდან დაბრუნებულმა ივანე ვასილის ძემაც ამ გზით გადმოიარა; სიტყვაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ჭოჭმანობდა და როცა გაიოჩის სიტყვა მოისმინა გადაწყვიტა თავი შეეჭავებინა.

მასპინძლობა მხოლოდ მცირე ნაწილს გასწვდა, მაგრამ ჩვეულებრივ უკმაყოფილებასა და დაცინვას ადგილი არ ჰქონია: თითქოს ყველა მიხვდა, რომ ასეთს წაშს სხვა წესები მოქმედებს.

— კაი ქე თქვა იმ კაცმა, ააშენა ლმერთმა მისი ოჯახი! — ამბობდა შინ მიმავალი გლეხი.

— კაი, თვარა შენმა მზემ, ბევრი გაიგე, ლმერთი შენ გიშველის!

— რა გავება უნდა შე კაცო. შეერთდით, და კაცათ გიცნობენო.

— თუ კაი ბიჭი ხარ იგი მითხარი, რაც იმან თქვა, თვარა ისე ერთიორს შეც ქე მოვეარი ყური...

— მართალი თქვა, ძმაო იმ კაცმა, მართალი!.. მხარის დაჭერა არ იცით და გატანა არ არის, თვარა ასე თავებივით საწველი არ ვიქნებოდით... სახუ- თოთ გოურიგდი „ნაირმევის“ მიწაზე, მარა ექვთიშია მიძუნაულდა მოქრავთან და სამესამედოთ დაეთანხმა. ახლა ვინაა დამნაშივე? მოურავს რა ენაოდება?

— მართალია, ძმაო, მართალი! ი, ბიჭი წამომეზარდა, ვფიქრობი, ჯა- მავირში ვაუშვებ და წელში გავიმართები-თქვა... ასწიეს და ტრაქიკების- კაცათ... რა მაქ თუ კაცი ხარ საჯარო და საჩუბარი? ან რა იცის პლი ფრან- ცებზე, ვივოია ჯილაგაძეს რომ ერთი დანგრეული ქოხი იქ. ან და, თუ იცის, რა ორით უნდა, მე თვითონ თვალი იმომქამა ჭვარტლმა და კვამლმა.

— მართალია, მე და ჩემმა ღმერთმა!

— მართალი თუა, ძმაო, ქე მიეიდეთ იმ კაცთან და ქე მოუწეროთ ხე- ლი! — კვერი დაპერი თდანია სარექვლამემაც, რომლის სიტყვამ ჩააფიქრიანა მეზობლები.

თეითონ გაიოზი უკმაყოფილო იყო თავისი სიტყვის:

ვეო თქვა უვილაფერი გულახდილათ, დალაგებით, ვასავებათ, — სოფლის მწერალმა და ვილაც უცნობმა, მხრებზე რაღაც უჩვეულო ნიშნები რომ ჰქონდა იმათ შეუკრთეს აზრის მიმდინარეობა:

არ უნდოდა პირდაპირ ხელში ჩაეთანდნოდა... თავს ინუგეშებდა, საერთო შთაბეჭდილება მოვახდინე, თამამით ლაპარაკის ჩაგალითი ვაჩვენე, და აწი აღვილობრივი კაცების საქმეაო...

გაიოზი წასვლას იჩქაროდა. პარმენმა სოხოვა, შომიცადე, ერთად წავიდეთ, იქნებ, ჩემი დაქვრივებული რძალიც წამიყვანინო, აქაურობას ვავყიდით, და კალაქში ერთ ქოხს შევაფარებთ ყველა თავსო..

მაგრამ ელისაბედზე ვერ იმოქმედა ვერც ბართას ფუჩქნა, ვერც გაიოზის მსჯელობამ, ვერც სოფლის თავი-კაცების რჩევამ, ბედი ეწვია შენს ბიჭს, იქნებ რამე ასწავლონ ბიძამ და ამ პატიოსანმა კაცმა, ქალაქში გადასახლდი, რაცხა ორი გროში გექნება მისი სარგებელი ბაეშს მოახმარეო და სხვა...

კერივი მაინც კერპათ იმეორებდა:

— არა, ბატონო, შენი ჭირიმე, რავა იკადრებ, მკვდარს რავა შიგატო- ვება... ჩემს ბიჭს კერიას რავა გოუციებ ლიდი რომ შეიქნება, მერე რავარც უნდა ისე იქნას, შანამდის ქი იქ ვიღოლებ, სანამ ლმერთი არ წამიყვანს ჩემ საწყალ კაცთანო... ბიჭი თქვენ გებარებოდეთ, ლვთის სამადლოთ მოუ- არეთ, ობოლია ქვეყანას ნუ დააჩაგვრინებთ, და თუ რამე მექნა, არ ვჭამ, არ ვსვამ და მაგმს გამოუგზავნი. საღაცმეტყვითო. განსვენებულსაც უნდოდა რამე ესწავლებინა მაგისოვისო...

თვით ბაეშიც შეუჩინეს, და ქოხის სიბნელეში, როცა დედას მარტო და- იხელთებდა, პატარა შაქრო ეხვეწებოდა:

— დედა, წამოდი, ბიძია პარმენთან ერთად ვიყოთ.

— არა, ბიჭო, არა! მამას არ მოუარო? რომ მოკვდა იშიტომ მივატოვოთ უვერამ? შენ წადი, ბიჭო, ბიძიას დოუჯერე, იქნება ზოგჯერ ქე ვაგიჭირდეს,

ჩარა მოითმინე, კაი კაცი გამოდი და მერე, რაც გინდოდეს... თუ გინდა ქე
მოვახდე მე და მანა შენს, თუ არა და იქ დარჩი.—და ელისაბედი ჩახუტებულ
ბიჭის ნამალევათ ამოიშვენდა თვალს.

ასეთ მოსახრებას შაქრო ვერ უშევდა წინააღმდეგობას / თვითონაც
ცრემლ-მორეული ზოგჯერ ეტყოდა:

— აბა არც მე წავალ, შენთან დაერჩები.

— არა, შეილო, არა, მაგრა არ გამავთო!... მე ქე ჩამოვალ და გნახავ,
რავა ვალკაცდები და კაი ხალხში კაი კაცი გამოდიხარ...

კიშკარზე ურეში გადევიდა.

ელისაბედი სოფლის სახლერამდე გაჰყვა მიმავალი და, შინ რომ დაბრუნ-
და, თვალში მოხვდა ლაცარიელებული ეზო, ქახის გარედან ურდულ-გაყრილი
კარები და დაიწყო ოხერი ჭვრივის ვარაშიანი ცხოვრება.

შოველდლიურ ბუშაობას თუ მორჩებოდა, დროის მოსაკლავათ, გულის
ვადასაყოლებლათ საქსოვ ჩიირებს სტაცებდა ხელს... და ყოველთვის გამოდი-
ადა ხან წინდა და ხან ხელთაოშანი... მისი შაქროს თვის.

შემდეგი იქნება.



მ პ ვ ძ ა

(ჰაგრძელება)

ქვეყნად სახლებთა, ზღვაზე გემებია,
უცხლვან დირიგორი არის ინჟენერი.
არჩევს ხელსაწყოებს, დაუჩემებია
არტეზიანების გული ნაშენარი.
მისით მანქანები აგუგუნდებიან,
მისით რკინისგზები გადაიხლართება,
მისით ხომალდები შორით ბრუნდებიან
რთული მექანიკა მწყობრად იმართება.
მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული
არის საუკუნე ინდუსტრიალური.

დაცხრუნდეთ ხანდახან ალვებთან. ჩვენს ოვალწინ იგივე ველია
სადაც ჩვენ ოდესმე ვმელეოოდით: დელია, დელია.
წყალს იქით რომ ერთი სახლია და მთების მაღალი ყელია
ის, ისე მგონია, ახლოა—დელია, დელია, დელია.
ლიხს იქით რომ ერთი ალია,—ინთია, მიესავით მწველია
ჩვენ დილის ვეძახით ალიონის, დელია, დელია, დელია.

ოდეს სილაცვიარდეს ნავი გადალახავს

ჰაეროპლანების არის ესკადრები,

ოქვენი ელვარება, ავტომობილებო,

ციფი ასფალტების რკინებს ეკაწრება,

ახალ ტრამვაიდან, ახალ ტურბინებზე

ახალ რესსორებით უცდის შედარებას,

გასთხრი მაღაროებს, მაღლა კვლავ აიტან

დროის ქიმიური ფენის მშეფოთარებას.

მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული,

არის საუკუნე ინდუსტრიალური.

გულში ცრცლადაა ჩარიგებული განცდათა ჯარი

ქვეყნად კი არის გამეფებული შრომა მედგარი.

გზა ახალ-ახალ გადამთოვრების გაიხსნის ლილებს,

ჩემი სალაში ახალ ცხოვრების ხეს და ხეხილებს.

რკინა, ფოლადები, რკინა, ქვინახშირი

ქუჩის ხერხემალი, ქარხნის საცემქელი

შრომით იბურება სუნთქვა განახშირი

როგორც მასალები ასაფეთქებელი.

დვანან მშენებლები როგორც ქვა-პირალო,
არის ანგარიში მაღალ სართულებით
მოსჩერეს ზაჟესიდან ილი მოწითალო
ბინდში გატანილი მწყობრი მავთულებით.
მიძყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული,
არის საუკუნე ინდუსტრიალური.



რისხეიან გზაზე, რაღვან მჯეროდა, მე მძლავრ სიმღერას ყური მოვეარი
ეხლა მე უიცი როგორ მღეროდა მძაფრი ქარი და ჰლვა ბობოქარი.
ეს იყო ბრძოლა. გამოდარების ჰანგებით ჰქონიდა ჰანგებს მქუხარეს.
გადაეფარა იკი მრავალ ხშას და მოეფინა უმრავლეს მხარეს...

იქ, სად ცემენტის არის ბუღობი. ამოზუვავება მიწიდან გველის
მრავალმილიონ ტონა ქვაკირის, მრავალმილიონ ტონა მარგელის.
იქ სად ცემენტის არის ბუღობი, და მუშაობა დაუმცხრალია,
რომ გაწოლილა, იკი რკინისვზის დაუცხრომელი მაგისტრალია.
ორასითას ტონას წლიურად ელის ქალაქი და ავარიეტ
ორასი წლისთვის არის საქმაო ამ მასალების დიდი მარავი.

გადაეფარა საქართველოს გზებს ინდუსტრიალურ რიცხვების გეგმა,
მისი ზრახვები და გატაცება მიიღოს ქროლვამ გამოსადევბა.
იქ, დიდუბენი, პანთეონს იქით, მხით მიდამონი რომ იდაგება,
კამარა შეკვრეს უზარმაზარი: ლითონის ქარხნის იწყეს აგება.
ქარხნებს ამიერკავკასიისას უპირველესი მიუდვი სწორი
ეს უდიდესი იქნება ძეგლი ყველა ლითონის ქარხანათ შორის!
და კონსტრუქციის უკინასკნელის, საქსოვ მანქანათ მოდის პარტია,
ვზაგნის „ვილიამ და სკოტი“-ს ფირმა, ეს ამერიკის მისამართია.
და კონსტრუქციის უკანასკნელის მანქანებს ძაფით ევსება უბე
ჩვლავ იხალ-იხალ მანქანებს გზავნის ფირმა „ლეკოლი“ ფირმა „ლიუბე“.
და იწყობს მხოლოდ ერთი ფაბრიკა, რომლის აგება მომავალს მართებს
ჩაითმეტი ათას კილო აბრეშუმს, და სამიათას ქალალდის ნართებს.

ბატარეებში, რომლებშიდაც ელექტრონია
რომ შიაქანებს ამ რონოდებს, დაგვწვევს მგონია.
ანბანებით და ნიშნებით რომ ხაზავს რეკლამას,
ვენტილიატორს ატრიალებს, ქარივით ლამაზს.
დინამოების მანქანების შძლაერია ენა

გენერატორთა სადგურები, ბუკი, სირენა.
იკოდეს ჭველამ სადაც დგამენ უმძიმეს ძრავებს,
რომ ესაუბროს რკინისვზებს და მიმქროლ ტრამვაებს.
ყაელგან გაისმის ელექტრონის ზარის წყარონი
კაბელების და კამესტანის სჩერეფენ წყარონი.

ელექტრონული ონკანების რბიან ბრძოები
მექანიკური საზომები, ხელსაწყოები.
დააჭროლებენ კიდით კიდე ახალ სანათებს,
ლიტებს უმაღლესს სართულებთან ის ათანადებს.
მოდიან შორით გაზეთები და ბარათები,
ელექტრონული საკანტროლო აპარატები.
რა წარმტაცია, რა მღელვარე ძალა გადაცემა
ბოძების ჩუმი დაფიქრება და ილტაცება.
ის მიიჩინა გით კივილი ივტომობილის
იბრძის სინათლე და სიბნელე გულგაბობილი.
გამობარ ლუმელებს მხიარული გააქვს გუგუნი
რომ მათ ეკუთვნისთ ელექტრონის ეს საუკუნე.



შუალამისას ჩძაფრი გააქვთ სისინი სინებს,
ის ზეცანიც და მაღაროშიც არ დაიძინებს.
ბურლავს მიწის გულს და შადრევნებს აისვრის ცაში,
შროლთა და მინათ საოცარი არის კამეაში.
რომ მოანატროს მიბნელებულ ღრუბლებს ფერები
მათ ძალას მთელელი ჯგუფდებიან ინკუნერები.
ელექტრო-თეატრს უხარია, რამდენად მეტად,
თავს დაადგება მაყურებელს ფარვანის სეეტად.
ელექტრო-საათს მიაქანებს თავის მოტორი
სადაც წამს უცდის ელექტრონის ტრანსფორმატორი.
ელექტრო-ლიზას, სპეციალისტს, ელექტრო-მედიკს,
უფრო უმაღლეს საუკუნის ესმის იმედი.
უფრო უმძაფრეს იელვებენ ცივი ლანდები,
ელექტრო-უთო, ტეხნიკები, კონსულტანტები.

შპუტა გაზი კი იღუნება ვით ბერიკაცი,
და უფსკრულისკენ მიღის როგორც ძველი ბარეასი.
მოავარაყე შუქო, მზავთავი, ოქროს სხივებით და მინანქარით
ჩვენი ჟანების ოქროს თავთავი აღელვებული ამ ზენაქარით.
დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადაშლილია ოქროს ტყავები,
სად დაუბოცავთ ამდენი ვეფხვი, სად აქვთ ამდენი საღებავები?

თითქმ მხრებს ესხას ბრწყინვალე ჩოხა, დაეთა ულმობელ სასაულაოსან,
ჩვენი ელვარე ოქროს ეპოქა, ჰემნის სულ სხვა ახალ ვეფხის-ტყაოსანს.
განთიადისას ილნალეივები, კრთომაკანკალით და მისალმებით
ფერებს ყაზბეგზე სწერენ სხივები მარადიული ოქროს კალმებით.
მანდარინის და ჩიის ბალები! როდის გახდება ლირსი ნახვისა!
საბედისწერო კარის გაღებამ ის შეაკრთო და გამოაღვიძი.
შას თავზე ადგა ციხის ფარეში: „ადეკ, უ-ჩან-სუ, მომყევი ნებას.
ღვთის სამსჯავრომდე შენს სამარეში, კიდევ მოასწრებ გამოძინებ ას“!

შევეღით ვიწრო გამოქვაბულში, სადაც მზის შუქი ვერ მოატანდა
მალე მაღალი მემაღაროე სანთლის კიაფში გადაილანდა.

მომყენით—გვითხრა, და ჩვენ გავყევით. ლოდები იდგა სულთაშურავი
აგვრ მუშები და წერაქვები. მრავალ სინათლეთ ალი მშეუტავი
მქუხარედ, როგორც რევოლიუცია, გადმოდიოდა ქვები ჭურდებულება
რომლის ქვეშ მალე დაიმარხება კაპიტალიზმის გაბორზე ტექნიკაზე

ულონიალურ მხარეთ გენია. ის აძლევს პასუხს შხამიან ენით.

განა ბრალი გვაქვს რომ მსოფლიო სწოხს, სიმძიმისაგან გამწყდარი თმენით.

განა ბრალი გვაქვს რომ გემს აჩნია ქარიშხლიანი იარა მწვავე
და ცისქვეშეთში ჩვენ გაგვაჩნია, მრავალი სული მონათესავე?

ალთ კაშკაში. ქარხანაში შუადღეო. შრომის სხივით

აელვარებს, რეინად აღნობს, ქურას ანთებს სიმღერაში.

შრომის ცეცხლით, შრომის ალით, სავსე ცეცხლის მომავალით
მზის კაშკაში დაგრიალობს ქარხანაში.

მოტორი მღერის აღელვებულს და წარმტაც ჰანგებს,

მოტორი ჰანგით დაატყავებს მანქანებს-მხეცებს,

მოტორი მთელი სიამაყით ღამეს განაგებს,

მოტორი ისევ იმ ადგილას ტრიალებს, ეძებს.

მოტორი ისმენს, ისმენს ვნებით, ისმენს დუმილით.

ქარხანა ისმენს, გამურულით სავსე კაცებით

ქარხანა ისმენს თავის შრომას, ფიქრით-ღუმელით,

ქარხანა შრომობს სიხარულით და აღტაცებით.

ტფილის მზეების დაეცა ტბორი, ლრიალებს თერგი, არავი, მტკვარი.

კავკასიის მთებს გავსცერით ორი, სხეადასხვა გული, სხვადასხვაგუარი.

ან თემურლანგის, ან ჯარის სხვისის, ცეცხლად რომ იქცეს მზეთა ეს ალი,
დასწვას, აანთოს მთელი ტფილისი. დასწვას. ცრემლს მაინც არ დაღვრის თვალი.

შრომა აღადგენს გააფთრებული, რასაც დაანგრევს სიმძაფრე ავი.

შრომით ტფილისის გაკაედა გული. აი, რა არის თავი და თავი.

სულერთი არის, სულერთი არის, უნდა ეიშრომოთ, წინ მიედიოდეთ.

გუშინ ცხოვრება არ გვიბრალებდა, და გზა მოცული იყო წყვდიადით.

წყვდიადი იგი გადაიჭანტა, სხვა ილტაცება მოვიდა ოდეს,

პოეტიც მარად, დაუღალავად, უნდა შრომობდეს, უნდა იბრძოდეს.

გვიხმობდა ცეცხლი და იღელვება, ის გვიხატავდა სულ ახალ მხარეს

საღაც უფსკრულში შთამჭვრეტი ცქერით, წინასწარ გრძნობდენ ხანას ელვარეს.

შენ გადალახე ბრძოლით მთაბარი, თავისუფლება დიდხანს ეძებე,

შენ არ ყოფილხარ ცის თანაბარი, არც უსავანო და მეოცნებე.

შენ არ იცოდი გზაჯვარედინი, ევლინებოდი მტერს დამამხობლად,

შორს რომ მოსჩანდა გზა სასურველი, ეხლა ივი გზა არის მანლობლად.

აგერ ვაზები, სიმინდები და ტუე მზიანი,
სალამოს ქარი მოძახილი იყო ახოთა.
აჩქარებული, მხიარული, თავაზიანი
უნდა იცოცხლო—დედამიწა გაიძახოდა.



გაონდა დილა და ილისფერად, შემოიბურა აღმოსაფლეთი, უკარებული
ყველგან სტველია და ერიამული, მხოლოდ ზეცაში არაა ღმერტვებული
მხოლოდ ქვეყნების მაცოცხლებელი, გადმოიღვარა სიცოცხლე—ძალა,
და აბობოქრდა, და იღტაცებით შრომის სიმღერა დააგრიალა.

და ახალი, ახალი ცეცხლით გადაიბუგოს უნდო სოფელი
გულში ვატარებთ შურისძიებას, და ჩვენ ბევრი გვყავს თანამგრძნობელი,
განახლებისკენ, განახლებისკენ მიისწრაფოდეს ფიქრი რჩეული
საკაცობრიო გზათა ბრძოლაში სიმშვიდის სიტყვებს გადაჩვეული.

შენ ვაჟკაცი ხარ? გსურს ისევ ტრუბამ—გული აანთოს, თვალი დალულოს
განა ვაჟკაცი ქალს უნდა უჯდეს და მუდამ იმას ესიყვარულოს?

არა, გათავდა! შენ არ სწერიხარ მათში, ვინც ეძებს მოვალეობას,

სწორედ ისინი ებრძვიან ეხლა გადაგვარებულს სულს და ზნეობას.

უნდა ელვარე შრომის სხივებით—ჩვენი იხალი მოვრთოთ მამული,

ავამეტყველოთ სიცოცხლის გერი, ჯერ კიდევ ბნელში სულგანაბული.

დაუ, ვისაც სურს ტკბილი ცხოვრება, ნუ გამოგვყვება. დასცხრეს, დამუნჯდეს.

ასეთი კაცი არ გამოდგება, იგი ვაჟკაცი ქალს უნდა უჯდეს.

არ გვაშინებდა წვიმა და ქარი, ჩამობნელებულ ეკლიან გზაზე

არც ქარიშხალი, არც ნიაღვარი, არც ბოროტება დედამიწახე.

არ გვათროთოლებდა შური და მტრობა, წყურევილთა შვება არ გვეცხრებოდა,

ყველა წაშალა თანდათანობამ და სიხარული მხოლოდ რჩებოდა.

არ გვაშინებდა ვარდების გრძნება, დიდება, ლვინო, ალერსი ქალის.

არცა სიმღიღრე და ფუფუნება, და არც გადახდა უძველეს ვალის.

არც წამთა რბენა სხვადასხვაგვარი, მრავალფერობა, გიუი ოცნება,

არც გარდასული ყრმობის სიზმარი, არც მოგონებით გასხივოსნება,

სულ არ ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში სიყვარულისა ლტოლვა და ვნება.

ყველა წაშალა თანდათანობამ. შრომას ვერც ერთი ვერ შეეღრება.

გაწოლილა მხარე ლეკის და შრიალი ისმის ყანის

აქეთ შუბლი ყაზიბეგის, იქით მთები დალესტანის.

მიყვარს როცა ხმას იძლევა, მოგრიალე ხევის წყალი

გვილივით რომ შეუჭრია მოღუშული დარიალი.

ო, დღე არ ვავა არ შემიყვარდეს იხალ სიტყვაში მყოფი სამყარო

თვითო იმედი გულს არ მიეცეს, ან თითო რწმენა არ დავამყარო.

ახალი ყოფნა, ის ყველასია. ქორიანტელში ძლიერად ზრდილით,

გვინდა—ქალაქებს დაადგეს თავზე, გიგანტიური მსოფლიო ჩრდილით.

სიცოცხლეო, როგორა ვქნა, თუ კი ლელავს გულში გრძნობა
არ ავუხსნა სიხარული? არ შევჩივლო უქმარობა?

ო, დაპერი, დაპერი ჩაქუჩი, თავს ნუ იგრძნობ ეხლა ობლად,
რომ აენთოს ნაპერწკლები იღელვებულ წუთისოფლად.

ცეცხლი ცეცხლზე გადინთება, დაუბერავს მყაცრი ქარი, რომ უკარის
და მოიარს ყოველ მხარეს უქმარობის ნიაღვარი.

ქარის პირდაპირ! ქარის პირდაპირ! გავშლით იალქანს, ზღვას მივეცემით,
ჩენ არ გვჭირია არეის ედემი, არც მშვიდობიანს დავეძებთ ნაპირს
რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, მარცხნიე! ქარის პირდაპირ,

ქარის პირდაპირ!

აღსდგა სიმღერა! ისევ სიმღერას დიდი სიმაღლის ააქვს რეკორდი.

შენ შეეთვისე ამ სიმილლებს, შენ ამღელვარდი და ამთაგორდი.

მუდამ ეძებდი შენს სიცოცხლეზი, თანამგრძნობელებს, მეგობრებს ერთგულს,

მუდამ წყვდიადში ნათელს ეძებდი, და უწოდებდი ცხოვრებას ბედერულს.

დაუინვას, გძობას და დამცირებას სიმართლისათვის ქვეყნად იტანდი.

ეხლა სხვა დროა, დიდო სიმღერავ; კვლავ გაფოლადდი და გატიტანდი.

ისევ აენთო აღმოსავლეთი. ისევ ბრძოლამაც იცვალა ფერი.

რაც ცხოვრებაში არის სიმართლე, დაბრუნდა ყველა და ყველაფერი.

შენ, ამოსული აღმოსავლეთით, დასავლეთით არ ჩესვენება

ისევ რეალურ უკვდავებათა ეპოქას მოაქვს მთელი შვენება.

იმ სიძლავრეს, იმ სიძლეს.. ჯერ ძლიერ ხედავს ჩვენი თვალი,

რამდენ შვებას და სიცოცხლეს მოაქანებს მომავალი.

ვერვინ შესძლებს ამ სტიქიას დაუკარგოს ფეროვნება—

როს თანასწორ მზესთან მივა თვითეული ეროვნება.

ჰქუნდე, გულისთქმავ! სული მღელვარებს, გული მწვავცეცხლით კვლავ გაიძისჭვალა,
გაშუქდი, სანამ მძლავრია გრძნობა, გაშუქდი სანამ გექნება ძალა.

გაშუქდი, სანამ სიმნი შესძლებენ და სიღრმეს კიდევ ცეცხლი ექნება,
მნათობნი სხივებს გადმოგაფენენ.. გაშუქდი, დიდო ბედნიერება!

არის სიცოცხლის დიდი მიზანი და უფრო დიდი დანიშნულება:

ფერფლი არ იყენეს ადამიანი, სანამ ახარებს თავისუფლება.

ბედგანათებულს, სჯეროდეს ერთი, მზე თანაბარი კაცობრიობის,
იბრძოლოს შრომის სუფევისათვის, იყოს მღერალი მზიური ყოფის.

არა, გასაჭირს არ შევუკრთებით, ვერ შეგვაშინებს ჩვენ ქარიშხალი
სიმართლის დროშა მტკიცედ გვიჭირავს, გზა თუმც ცივია და ნაშინშხალი,
და პოეზიის სიმაღლეები, ერთგულ მფარველად დარჩება თანა.

რა არის მასთან სხვა ძლიერება, რა არის მასთან თვითონ ქვეყანა.

რაც არ ყოფილა—არის, გაპერა ზმანება ზანტი,

იძვრის ნისლები ბარის, როგორც მფრინავი ლანდი,

გამჭრალ დიდების ნათელს, კოშკი იბურავს ძველი
და მთელს ეაებას ათევს.. მტრისას წერილი ჭრელი!

ყალბი ბოგება აგერ სივრცეს უცქერის უფრცესს
გავს ის ძაფებით ნაკერ ძველი გაზეთის ფურცელს.
უნდა გახომონ სივრცე, მაგრამ რომელი ადლით?
კაფეშანტანის გზით თუ ბუბნის ცხრიანის მაღლით?



დრომ გაიარა რაკი, ჩადგა ქარი და ბუქი,
სწყვეტდა ათასგვარ საკითხს აღმოსავლეთის შუქი.
შენ კი გვინია ბასრი უთანაბრობის მკვდელი
თანაცედროვე აზრი—მხოლოდ პრობლემა ძველი.

მინახავს ბრძოლის სიმშვენიერე, მას არ უდგება ალი მწუხარე
კიაუებს არ გვამცნევს გადამწყვეტ უამად გადარღვეული ცეცხლი მწუხარე,
ის ძლიერია... და ჩვენ ის გვიყვარს, როგორც ათასთა ათასი ქნარი,
ჩვენს საუკუნეს სხვა ხანათაგან, ივი გიმოყოფს მარად მეღვარი.

მრავალისთვის მკაცრ ბრძოლის დროს გაუგმირავთ ტყვიით გული.

გმირს სიცოცხლე შეუწირავს რომ დაეხსნა ძმი ჩაგრული.

მრავალს სოფლის უკულმართი ბრუნვა ვერას აშინებდა,
დღით არ სთვლემდა შურისგება და ლამით არ აძინებდა.

მრავალს ქონდა წინათგრძნობა, რომ სიკვდილს ვერ გადარჩება,
მაინც იდგა ბრძოლის ველზე, მაინც სწამდა გამარჯვება!

განა ჩვენ გვსურდა ქვეყნად სიმდიდრე? ჩვენ ხომ ვებრძოდით ძალმომრეობას,
ჩვენ ვქადაგებდით ერთმანეთშორის მხოლოდ სიმტკიცეს, მხოლოდ მხნეობას.

ჩვენ ეხლაც გვინდა დაუნდობელიდ ვკიცხოთ საკიცხი და საძაგები
ქვეყნის ნათელზე გამოვიყვანოთ ყველა შარიგზის ავაზაკები.

პირადათ მუდამ შიმშილი გვდევდა, და არ გვინდობდა სიცივე ავი—
მხოლოდ სიმართლე გვასულდგმულებდა, აი რა არის თავი და თავი.

ო, როგორ გვძულდა ჩვენ ბოროტება, გვძულდა მტარვალი, გვძულდა მჩაგვრელი
მოსარჩელე ვიყავ დამონებულის, დაცემულ მოძმის მწე და მფარველი.

ჩვენ შევებრძოლეთ უსამართლობას, არ შევუშინდით მტრების მუქარას,
ჩვენგნით არცერთმა შებრძოლებაში, არჩეულ გზას არ გადაუხარა.

ამხანაგებო! გვწამდა—თანაბრად გააშუქებდა მზე სულ ყველაზე,

ამ რწმენით, სულიო დამშეიდეუბული ჩვენ ავდიოდით საღრმობელაზე.

მომიგონდება ძველი ცხოვრება და განთიადი ჩვენი შედისა,

კფიქრობდით, როდის გამოაშუქებს მზე გათენების და იმედისა,

როდის იქნება ხალხის ტანჯულის სამართლიანი ქვეყნად უფლება.

თანასწორობა, შრომა, სიმართლე, ერთობა, ძმობა თავისუფლება.

ბოლო მოელო ხალხის წამებას და ფუჭ ცხოვრებას, უნაყოფობას

მაშ რამდენ ლამეს მოელო ბოლო, რამდენ წურბელას, რამდენ ოზო

უდაბურ მთაზე. უდაბურ ტყეში კოშკიდან ერთი ნათობს სანთელი, რა ცივად მოდის ქარი და თქეში რა მძაფრიდ კვნესის კორიანტელი. კოშკში კი მყუდრო ანთია კერა, ნაპერწკლებს ისერის ყვითელი აღი, არ შესდგომიან საუზმეს ჯერა მთიელი ვინმე და მისი ქალი. დამშვიდდი ქარო, რა გემართება. ასეთი წვიმა ნეტა რა არია? და ქალი სწრაფად მიემართება რომ გრიგალისგან ჩატყუტოს უზრუნველყოფა უფითლდება ჩალა შესაკონელი და მეურმეებს ფეხქვეშ ეგება, ვინ მოგზაურით რა საქონელი ამ ბნელი ლამით მიირეკება?

მზემ მდინრისპირს მისცა სალამი. აქ ნაცნობია სახე ყოველი ფშნების ვარდები, ტბების წილამი, სიტყვები გულში ჩასაქსოველი, უფლება აქვთ რომ გთვლიდენ თავისად, როცა არ უნდა ჰქონდესთ უფლება. სანამ ყველაზე უუკვდავესად მოდის მსოფლიო თავისუფლება.

ეხლა ქარი ანიავებს დახავსებულ დროის ფერფლებს, ბევრი მსხვერპლი შეუწირავს, ეხლა ვერვის ვერ იმსხვერპლებს.

ჩვენთვის ტკბილია ქარიშხლიან წარსულის კრთომა, არ გვეზიზლება მოგონება შფოთიან დლეთა იმ ჯოჯოხეთთან მომავლისათვის გვიყვარდა შრომა და არა შიში ან ბრძოლის დროს სასოწარკვეთა.

ჩვენ არავის ვეკრძალებით, ვერც ვერავინ დაგვაშინებს, მეღვრად გააქვსთ ხმაურობა ხერხებსა და შალაშინებს. ყველაფერი არის შრომა. სოფლის ბრუნვა გაგვიგია, ბევრი ციხე დაგვილეწავს, შრომის კოშკი აგვიგია.

როგორც ცხენოსანთა ჯარი მზის ჯარია ლრუბლის ჯარში როგორც ცხენოსანთა ჯარი ხმალი ხმალთან შუბი ფარში როგორც ცხენოსანთა ჯარი სიმღერა ჰქუნა მთა და ბარში როგორც ცხენოსანთა ჯარი იხლართება ზარი ზარში საომარი დროის მარში, საომარი დროის მარში როგორც ცხენოსანთა ჯარი აგრიალდა ისევ ქარში გრიგალი რომ მწარედ სტვენდა და ჩქარობდა სისხლის ლვარში... საომარი დროის მარში, საომარი დროის მარში.

ზანგებმა ზიზლით შეხედეს ლაფვარდს, ზიზლით შეპყვირეს მზეს ათრთოლებულს: ახარებს შენი მკვეთრი ნათელი ყოველ მხეცს, ყოველ მცენარეთ კრებულს. მაგრამ ის მზეა. იგია დედა მთელი მსოფლიოს, მთელი ბუნების უფრო ახლოა სასახლეები მიზეზი თქვენი დაძაბუნების.

ასეთი კაცია

უყვარს თეზისები, კლასიფიკაცია. ნურვინ ნუ ინებოს გაამხანაგება მისი ტერმინების ისევ დალაგება. კაცად მეგულები: თუ ხარ გულკეთილი

უნდა ფორმულები გქონდეს მოჭედილი
არც ერთი სიტყვა ზედმეტი, დაგვიანებული,
არც ერთი შემთხვევითი, დანაგვიანებული.
სიტყვას გარეშემო ხმა არ აქვს მონური
სიტყვა ეკრევიმია — რევოლიუციონური.



მოიგონე ძველი მეხი, ცეცხლის დილა, ცეცხლის ბინდი.
ფოლად უზანგს მოსდე ფეხი და კვლავ შერანს მოაურინდი.
ოცნებაო, მოიგონე დღეები რომ ჰგვანდენ ზეირთებს
ის შერანი ისევ გიხსნის, სადაც უნდა გავიჭირდეს.

ის დროება სიზმარივით წავიდა
ოდეს ბაჟში იყავ მოხეტიალე.
ჩეინისგზები — სივსე სანახავითა
რონოდები ცივი, ოხერტიალი.
ნუ იგონებ მწარე თავგადასავალს
როს ტშიერი, დასისხლული ფეხებით
მთელი ქვეყნის ასავალს და დასავალს
შენ სწონიდი მედგრად, გულგამეხებით.
ყველაფერი სიზმარივით წავიდა
როგორც ქარი, როგორც ყინვა და თოვლი
სავსე არის ანალ სანახაეითა
ისევ ბრძოლა, ბრძოლა თანადროული.

ქარხნებს როცა დაგუგუნებს მანქანები შრომის ხმაზე
შენში არის მებრძოლ ქალის და მანქანის სილაშახე.
კარგი დღეა: მინის კრთომა, ბრჭყალება მწისა თასთა
და იმ სხივზე უფრო მეტად გინათს სახე ახალგაზრდა.
ეერ აშორებ ელვას თვალებს, ამ ელვაში კი რაც არი
ახალგაზრდულ სიხარულის შვენებაა საოცარი.

გორა-გორა, ვაზი-ვაზი მთვარით მონამკედარი
ხევით ხევზე, მთიდან მთაზე ეშურება მხედარი.
ფეოდალი ძველის-ძველი, მეფეთ შთამამავალი
ვისიც იყო მთადაველი და კოშკები მრავალი
ეხლა მიპქრის, იგი მიპქრის, მერანს ცეცხლი ედება.
არა! ეს გზა არის ფიქრის. ყველგან რომ ეხეტება.
ნანგრევს იქით, კოშკებს იქით, სიზმარიც კი მკრთალია.
ეს შრომაა ლალის ჭიქით... რა დროს ფეოდალია!

შრომით მოველ, შრომით წავალ. მხოლოდ შრომა ამიერ
იყოს მრავალ, უფრო მრავალ, კიდევ მრავალუამიერ.

არ შეიძლება ეხლა, ვაიგე, არც დაბრუნება, არც კვდომა შავი,
უნდა იპოვო ის კლონდაიკი. იმ ნაპირს უნდა მიადგეს ნავი.

როცა სიხარული მოდის ალიონთა
რასაც წარსულიდან გული შეეჩია,
ბედო თუმცა კიდევ გამიძალიანდი
ჩვენი გაძირჯვება მაიხს უჩეოა.



ო, ჩემო ჩანგო! ერთ დროს იყავი მშვიდობიანი წესრიგის შეკრისება
არ შეიცვარო ის მყუდრო ნავი, იმ ყვავილებზე როგორა შედერი?

როგორ მშფოთარებს, როგორ გრვენავს თვალუწიდენი ზღვა
სადაც გრიგალი არის მხოლოდ ყოვლის მპყრობელი,
ერთადერთ სიბრძნედ მიმაჩნია რომ ამ გრიგილთან
ისე მოაწყო იალქინი დაუცხრომელი
რომ ქარიშხალმა წაიცვანოს სიცოცხლის ნავი
იქ, სადაც მთელი მსოფლიოს ბრწყინავს ვარსკვლავი.

ჩვენ მივდიოდით, ჩვენ მოვდიოდით როგორც ტალღები ზღვაზე რხეული
ვვიდოდით ბნელში, ველოდით ბრძოლას; ბევრი ჩიხები. ბევრი ხვეული.
გადაგვილახავს ბევრი სიკვდილი, ბევრი შეცდომა და დაბრკოლება
რომ შემდეგ ისევ გადარჩენისთვის, სიცოცხლისათვის გვემლერა ქება.

წარვიდა გრძნობა როგორც ნისლები, დილის ნაპირზე შემოხვეული
უა მოგონებად დარჩა, რამდენი, შეცდომებისა ხევი რღვეული
მაგრამ წარსული უბედურება, მსუბუქ ოცნებით რომ გული ჰპუროს
აფრთოვანებით თვალს მიაყოლებს ახალგაზრდობის მიმავალ ბურუსს
ასოთამწყობი სდგას მოშორებით, მას საიდუმლო შორს მიაქვს ფოშტა,
ის მატარებელს უცდის უთმენლად; მატარებელიც, აპა, გამოჩნდა..

იგი შეახტა მიმავალ კიბეს. ჩუმად წავიდა და მიეჭარა
ქვანანშირისგან გამურულ ვაგონს სადაც ქვები და ხეტუე ეყარა.

რომ ის ვერავინ ვერ შეამჩნია ესიამოვნა და გაიცინა,
ბალიშის ნაცვლად თავქვეშ ხურჯინი მან ამოიდო და დაიძინა.

მაგრამ ამჩნევენ კონდუქტორები: ასოთამწყობის ფერი ფერია,
მხოლოდ საბრალოს იმ თავიდანვე უჩინრად მოსდევს უანდარმერია.
კონდუქტორებმა სთქვეს: ხომ სჯობია გავთავისუფლდეთ ახალ მსხვერპლიდან
და გადასწყვიტეს, საღმე, როგორმე, ის ჩამოაგდონ მატარებლიდან.
ასოთამწყობი დანიშნულ იდგილს უნდა მივიდეს, ცხადია, ამბით.

გამოეღვიძა. და იგრძნო: მიღის მატარებელი დიდის სისწრაფით.

ასოთამწყობი ხედავს: გუთანზე გლეხებს რომ უყვართ დალუნვა კისრის,
ის ხურჯინიდან იღებს მთელ ბლუჯა პროკლამაციებს და ქარში ისერის.

გლეხებმა ხელი გაუშვეს გუთანს და კითხულობენ ამ მოწოდებას.

პროლეტარების უბადლო ბრძოლას, ბურგუაზიის გამოცოდებას.

ეანდარმი შორით დაემუქრება; კბილების ღრუენა, დაქნევა თითის;

არ შეუძლია მას ახლო მისვლა: მატარებელი სისწრაფით მიღის.

„მაშ, შემამჩნიეს!“ ასოთამწყობი მაინც არ არის შემხრელი წარბის.

როცა ჩერდება მატარებელი ის ჩამოხტება და წინით გარბის.

სად წინად იყო ასოთამწყობი იქ უანდარმები სწრაფად ჩნდებიან,
იმუქრებიან, იგინებიან და რომ ვერ ხედვენ, გაოცდებიან.

სად უნდა იუვეს? და ჰკითხულობენ პროკლამაციებს, კუთხეში ნაპოვნს.
ასოთამწყობი კი ხელმეორედ სულ უკანასკნელს ახტება ვაგონს.

და მიდის, მიდის მატარებელი. ვადაიარა ტყენი და მთანი, პრაზენტი
მატარებლის წინ სადღაც შორითშორის, კონდუქტორების მოსჩინჩ ჭარბი.

ასოთამწყობი ახალგაზრდაა, მას თვალები აქვს უშიშარ ქორის
სწორედ ამიტომ არ ეშინია არც უანდარმების, არც კონდუქტორის.

ლონიერია, მოხერხებული, თუმცა არ იცის ამ გზათა რიგი,

მაინც გაიგო რომ უანდარმებმა კვლავ შეამჩნიეს ვაგონში იგი.

სადგურთან ხედავს ზეკრებილ მუშებს, ის არც აცხელებს და არც აციებს,
ვადაიხრება და ხურჯინიდან აწვდის წიგნებს და პროკლამაციებს.

უანდარმი ეხლა ისე იქცევა თითქო ვერ ამჩნევს სულაც წყეული.

ასოთამწყობი კი თვალადაა და ყურადღებად გადაქცეული.

უცებ შუავზად მოულოდნელად ვააჩერებენ მძიმე ორთქლმავალს,
ასოთამწყობი მისკენ მოქცეულს სულ ახლო ხედავს უანდარმებს მრავალს,

აბა, მეორე ვაგონში ჩქარა! იქიდან ვარბის ეხლა ისევე,

უანდარმები და კონდუქტორები ეხლა შეერთდენ და მას მისდოვენ.

მატარებელი იძვრის. მდევარი ისევ ბრუნდება. საჭმე არ ხდება

ასოთამწყობი მატარებელზე უკანასკნელი კიბით ახტება.

შხიარული სდგის ასოთამწყობი, და უცერს როგორც გაბერილ ბუშტებს,
იმ უანდარმებსა და კანდუქტორებს; როგორ ულერენ შორიდან მუშტებს!

შემდეგ სადგურთან მას სამივე შხრით მოერტყმებიან: წამია ზუსტი!

ასოთამწყობი თითქო ვერ ამჩნევს, მოახლოებას თანდათან უცდის!

უანდარმს ხელები გამზადებული დასაჭერად, დარჩა ჰაერში.

ასოთამწყობი სახურავზეა. იქ მშვენიერად მოეწყო მტვერში.

მატარებელი შიდის. უანდარმებს ბაგიდან წყდება სიტყვა ფაქიზი.

იგინებიან: ეს რა წყევლაა! სულ „ო მაგისი“, და „ო, მაგისი“!

ასოთამწყობი სახურავიდან პროკლამაციებს უგზავნის მგზავრებს,

მგზავრები გრძნობენ სიამოვნებით თუ ხელმწიფის ბედს რა დაამთავრებს.

უანდარმებს უნდათ რომ სახურავზე ავიდენ, მაგრამ იქ ხომ ძნელია

ისევე ქვები და მისი ჯანი, მაგრამ არ ხვდება, საკვირველია!

მალე იქნება წიფის გვირაბი. სახურავი კი ეხლა შიშს ბადებს,

ასოთამწყობი ჩამოდის დაბლა. უცემ... ვილაცა მხარზე ხელს ადებს.

შეკრთება მაგრამ მალე მშვიდდება, იმის წინ მუშა-კაჩევარია.

„ყოჩალ“! ამბობს ის—ეხლა უშველე თავს, თორემ მეტად საშიშარია.

საშიშარია? სრულებით არა! ის უანდარმები რამ გააშეშა?

ასოთამწყობი სწრაფად მოექცა გაჩერებული ბორბლების ქვეშა.

ეხლა მშვენიერად მას შეუძლია გათენებამდე ამ აღგილს მოკლა.

მატარებლის ქვეშ თავს მშვენიერად გრძნობს. იქვე პლანშირთან, იქვე ტორმოზთან.

მხოლოდ იქ ძილი არ შეიძლება. მაგრამ როგორც კი გზა გათავდება,
ხვალ ამხანაგებს შიუტანს ამბავს, რომ მთავრობაძე, მგონი თავდება.

სადგურის ქუჩას გზა გადაუჭრეს, და ხალხს პანიკის მოჰყვა ~~სარისია~~,
სადგური იყო თეთრების ხელში, როს რაზმი შეტკრთა ~~და~~ ~~დაიხინა~~.

ტყვიისმფრქვეველი ზურგიდან უარს. ხევში ჩასაფრდენ და უჭვრიან
სიმტკიცისა და გაბედულობის ხმაზე გადასულა ბევრს შეკაშურა ~~შე~~
ხალხი გვაკლია მოგვეცით ჩქარა, ჩავარდნილი ვართ რა საგონებელს,
გამოვიწვედით სათაღარივოს, მაგრამ გაფუჭდა ტელეფონები.

სხვა ხელში იღებს ტელეფონის მილს: მომეცით რაზმი სათაღარივო,
არავინა გყავთ? ახალგაზრდები? რაო? არ ძალვის რომ მოარივო?

ჩვენც არვინ გვყავს რომ მოგაშველოთ. მაშ დაიხიეთ, აბა, ჰარიქა!
ეუბნებოდა შიკრიკებს თეთრი, წამია ეხლა მძაფრი და მკვეთრი.

თქვენ წადით შტაბში და მოახსენეთ რომ დაჭრილი გვყავს ბოლშევიკი,
მას აღმოაჩინდა ორი ყუშბარა. და სულ კი... შეიდო წლისაა იგი.

ბავში თვალთმაქცობს ისტერიულად: ო, შემიბრალეთ! ა, მეტანია!
კეთილშობილი ვარ... მამაჩემი, მეორე რანგის კაპიტანია.

მე ბოლშევიკი სულაც არა ვარ, ბარონესაა ჩემი ბებია.

ნუ დამხვრეტთ. ჩემი ნათესავები, ყველა გრაფი და გენერლებია.

მაშ კარგი, წადი! — გაუშვეს ბავში. და ეხლა იგი მიდის ქუჩაში.

წითელი დროშა დაინახა შორს, და სიხარულით შემოჰკრა ტაში.

გაიარა რა პირველი ქუჩა, შესახვევიც გაიარა მრუდი

მესამეს რომ მიაღწია ბავშმა, ტყეიამ თავზე ააგლიჯა ქუდი.

მაინც მიდის. აგერ შტაბიც. ნამა. ბიჭუნია სკნო წითელმა შტაბმა.

შენ დაჭრილი ყოფილხარო ხელში. აბა ბინტი, იოდი და ბამბა.

შენ ნამდვილი ყოფილხარო გმირი, რომ შესძელი გამოგევლო ბინდი.

დედაშენი მთელი დღეა სტირის. აბა, ბამბა, იოდი და ბინტი.

ბავშვს ახსოვს სარდაფი და უფრო დაბლა

პატარა მაგიდის ოდენა სტამბა.

ეს ბნელი სარდაფი არჩია ბინად

მსოფლიო ამბების მომხდენმა შტაბმა.

რამდენი შიში და რამდენი კრომა,

რამდენი სიცივის და ლაშის დამბა.

გადასწვეს სარდაფი... და ახსოვს, ახსოვს

პატარა მაგიდის ოდენა სტამბა.

რა? რას ამბობ? — შეეკითხენ — სტამბა? იქიდან აქ მოვიტანეთ სტამბა,

შენ ნამდვილი ყოფილხარო გმირი. აბა, ბინტი, იოდი და ბამბა.

შემდეგი იქნება.



გ უ ლ ქ ა ნ

რ თ მ ა ნ ი *)

ნ ა წ ი ლ ი მ ე თ რ ე

186 ... წ. გულქანმა დაასრულა სწავლა, საქალებო სასწავლებელი. იმ დროს ეს სასწავლებელი ოთხ კლასიანი იყო, თითო კლასში ორ-ორი წელიწადი უნდა დარჩენილიყვნენ, ასე რომ გულქან ახლა თექვსმეტი წლის ახალგაზდა ქალი, ტანში შვენიერად გაესებული და სახეზე მაისის ვარდსავით გადაშლილი იყო. მისი დიდრონი ცეცხლ ამგზნები თვალები ლამაზათ იყო მოსევადებული შავი შეყრილი წარჩებით. სქელი, მუქი წაბლისფერი თმა მსხვილ ნაწნავათ წელ ქვეწოთ უცემდა ზურგზე. როდესაც ვისმე მოხდენილ ინჯენერს, ან მოტრფიალე დრაგუნის აფიცერს ელაპარაკებოდა, მუდამ თავის მსხვილ ნაწნავს კეკლუცათ გვერდზე გადმოიგდებდა და შხვართი ბროლის თითებით მის ბოლოს ეთა-მაშებოდა.

ქალებმა რომ სწავლა დაამთავრეს, გუბერნატორის მეულლემ გამართა ბალი, სადაც მიპატიუებული იყო მთელი ქუთაისის წარჩინებული საზოგადოება, სახელმ-წიფო მოხელენი და იქაური მხედრობის წარმომადგენელნი. თამაშის რიგს, როგორც ყოველთვის, ასრულებდა დრაგუნის აფიცერი, ლიზობლიუდოვი, რომლის განუყრელ დამათ შეიქნა გულქან ბაკურიძის ასული. ის, როგორც ჯეირანი თეთრ ცხვრის ჯოგში, ისე ირჩეოდა მოთამაშე ქალებს შორის ყველას მახე და მის მოხდენილ თამაშობაზე რჩებოდა თვალი; ასე ამბობდენ, გულქანისთანა გასათხოვარი ქალი ახლა მთელ ქუთაის ქალაქში არ არისო. თვით ბალშიაც ბევრი ქება ისმოდა მისი. სტუმრები და მოთამაშენი ერთი მეორეზე ეცნობოდნენ გულქანს და მის დედ-მამას, ყველანი ულოცავდნენ მათ, რომ ასეთი კარგი, განათლებული და ლამაზი ქალი ჰყავთ გუბერნატორის მეულლე იმ ღამეს ყველაზე უფრო დიდ ყურადღებას გულქანს აქცევდა; მას თითქოს რაღაც შურდა გულქანის და ერთ წამს არ აყენებდა მასთან მოტრფიალე ლიზობლიუ-

*) იურიე „მნათობი“ № 7.

დოვს. ის წამის წამ გზავნიდა დრაგუნის აფიცერს ხან ლიმონაძეს მოსატანათ, ხან ახალ-ახალ სათამაშოების დასაწყებათ.

რევაზ ბაკურიძე და მისი მეუღლე საპატიო ალაგს /ისხდნებ/ და გულში ვეტათ მხიარულობდენ, რომ ჩინოსანი და ორდენებით შემუჯუდი აფიცერები, როგორც ფარვანა სანთელს, ისე გარს დატრიალებდენ წმითა ქალს რომელსაც მათთან თამაშით ერთი წამის შესვენება არ ჰქონდა.

ამ ბალში იყო მიპატიუებული სარდიონ ენუქიძეც, რომელიც ძალიან შვენდა ჩერქეზულ ტანისამოსში გამოწყობილი. მის პირთეთრ სახეს, სქელი შავი წარბებით დაშვენებულს, სქლათ ეყარა ხუჭუჭი თმა. შავი, ლამაზათ შემოკრე-ჭილ-შემორგვალებული წვერი არ შიასავით შემოვლებოდა სახეზე: ის თუმცა არ იყო კარგ გუნებაზე, მაგრამ მხიარულებას მაინც ნაძალიადევათ იჩენდა. მისი კაეშნის მიზეზი უფრო ის იყო, რომ გულქანი ახლა მას კრძალვით და მორი-დებით ექცეოდა. ახალგაზდა ქალს ემშნა თავის დედ-მამისთვის სარდიონის ვინაობა და როცა შეეტყო, რომ არამც თუ მამიდაშვილი, არამედ მათთვის ვილაც უცნობი აფიცერი ყოფილიყო,—მას შემდეგ მისი ყოფაქცევა და ჩვეუ-ლებრივი სითამამე გულქანში უზრუნველის ნიშნათ ჩათვალა და თითქმის თავსაც აღარ უკრავდა. ბაკურიძე და ანასტასია ძალიან უგუნებოთ ექცეოდენ ბალში სარდიონს და ჩუმათ კიდეც ლანძლავდენ მაიორშასთან კალნიერებისათვის.

სარდიონმა მესამე კადრირლში გამოიწვია გულქან სათამაშოთ. თუმცა ქალს არ უნდოდა გაყოლა, მაგრამ რაკი თავის ჩვეულებრივი მოტრფიალე კაფალერი ვეღარსად დაინახა, თამაშობაში ჩამორჩენას ისევ ირჩია, სარდიონს გაპყო-ლოდა, მაგრამ მთელი კადრილი ისე გაატარა მასთან, რომ სამჯელ სიტყვა არ გაუცია. სარდიონი ბევრს ცდილობდა, გუნებიერი საუბარი გაემართა გულ-ქანთან, რომლის სიუვარულით მის გულს ცეცხლი ჰქონდა შემოკიდებული, მაგ-რამ ქალი გარეწრათ ექცეოდა თავის კავალერს. ამ გარემოებამ კიდევ უფრო წაუხდინა სარდიონს საქციელი.

გულქან ბშირათ აქეთ-იქით აბრიალებდა თვალებს, მაგრამ მისი დრაგუ-ნის აფიცერი აღარსად ჩანდა; კადრილში მეთაურობა მიეღო ვილაც ინუენრის აფიცერს, რომლის რიხიანი ხმა მოთამაშეთა მწყობრ მოქმედებას წესსა და რიგს აძლევდა. არსად ჩნდა აგრეთვე გუბერნატორის მეუღლე და ამან რალაც გამოურკვეველი ეჭვი აღძრა გულქანის გულში. ის მოუთმენელათ ელოდა თაბა-შობის გათავებას და ბოლოს თავის კავალერს თხოვა, დავიღალე და გთხოვთ, თავი დამანებოთო. სარდიონს სისხლი გაუშრა. გულქანს ყურადღებაც არ მიუქცევია მის დანალელიანებულ სახისთვის; როგორც კი იშოვნა თავისუფ-ლება, ჯერ კიდევ საერთო მწყობრი თამაშობა არ გათავებულიყო, უცებ გაპქრა ზალიდან. იმან განვლო ბნელი დერეფანი გუბერნატორის ოთახებისა და მიუახ-ლოვდა იმ ოთახის კარებს, საკა საპირფარეშო ოთახი უნდა ყოფილიყო და აქ უცბათ შედგა; მას იქიდან მოესწია რალაც აშფოთებული ხმა; ყური დაუგდო კიდე და გაიგონა აზვავებული გულისთქმით წამოსროლილი სიტყვა გუბერნა-ტორის მეუღლისა. გულქანშა შენიშნა, რომ კარები ოდნათ იყო გალებული, ცნობის მოყვარეობა ყელში მოებჯინა; ფეხ-აკრეფით მიცოცდი კარების ჭერიტი-

შალთან, საიდანაც გამოკრთოდა შუქი. იმან დაინახა ისეთი რამ, რომელმაც მის უმანქო გულს გესლიანი ეჭვის ისარი მოახვედრა, მის თვალებს წირმოულგა საზარელი სანახაობა, რომელსაც თავის დღეში არ მოელოდა; გულქან უცბათ გამოტრიალდა შეშინებული, თითქოს რქებიანი ეშვაკი უკან დადევნებოლეს და შემოიჭრა ისევ სათამაშო ზალაში, საცა ის იყო თამაშობა კუდილურ ფაქტურებინათ. სტუმრებს ურიგებდენ ტკბილეულობას და შაქრიან შუშეუნდეს ქარჩხნის წყალს. ვულქანი სახე გაფითრებული მივიდა დედასთან და დიეანზე მიესვენა გულშელონებული. ამ დროს რევაზსა და მის მეულლეს მიართვეს საგრილებელი ტკბილეულობა. გულქანმა არა აილო რა. ანასტასიამ შეამჩნია თავის ქილს ულონობა და უთხრა:

— შეილო, აილე მაროეინა, გაბურებულ გულს გაგიგრილებს!

— არ მინდა! — გულცივათ უპასუხა ქალმა.

— რა ამბავია, ხომ არა გწყენია რა? იქნება იმ უსინიდისო სარდიონშია რამე წევახვედრა, როცა მასთან თამაშობდი? — შეეკითხა გულგახეთქილი ანასტასია.

— არა, დედა, სრულებითაც არა. მეტოთ დავიღალე თამაშობით. წავიდეთ, დედა, აქედან, მეტის მოცდა ალარ შემიძლია.

— რევაზ! — დაუძახა ანასტასიამ თავის მეულლეს, რომელიც ძალიან გართული იყო ტკბილეულობის ჭამაში და ერთ მებატონესთან საუბარში. — გულქან ცოტა შეუძლოთ გახდა და წავიდეთ შინ.

— ჰა, როგორ? — გაღმოხედა რევაზმა თავის ქალს. — განა აგრე მალე მოგწყინა, შეილო, დროს გატარება?

— არა, მამა, მარა რაცხა უქეიფოთ შევიქენი.

— წავიდეთ, შეილო, წავიდეთ. — დადვა სუფრაზე ლამპაჭი და კოცი რევაზმა და დაემზადა აღგომას.

ამ დროს კარებში შამოვიდა გუბერნატორის მეულლე და აწითლებულ სახეს მარაოს ქნევით იგრილებდა. ზას უკან შემოჰყვა დრაგუნის აფიცერი, ლიზობლიუდოვი, რომელიც ოფიციან შუბლს ცხვირსახოცით იწმენდდა. იმან დაინახა თუ არა გულქან, სახე მნიარულათ მივარდა, დეზები დაურაწყუნა და ვალსში გამოიწვია. გულქანმა თვალები მოარიდა, ტუჩი აუბზუა და უთხრა:

— ჩვენ შინ მიედივართ.

ლიზობლიუდოვი სახტათ დარჩა. იმას თითქოს რილასიც შერცხვა და სანამდის რევაზ და ანასტასია თავისი ქალიშვილით არ გამოეთხოვენ გუბერნატორის მეულლეს, დრაგუნის აფიცერი არ შერყეულა, თითქოს ერთ ალაგზე იყო გაქვავებული. სარდიონი შორიდან უთვალთვალებდა ამ სცენას და რომ შენიშნა, გულქანმა დრაგუნის აფიცერს უარი უთხრაო, სანთელსავით განათლდა მისი სახე, გამოექანა და გამოსავალ კარებისკენ გაბრუნებულ გულქანს თხოვა, თამაშში გაპყოლოდა. გულქანმა გაულიმა სარდიონს ისე გულნათლათ, რომ მან სამოთხის სიამოვნება იგრძნო.

— მე ცოტა უქეიფოთ შევიქენი, შინ მივდივარ. სხვა დროს იყოს. — უპასუხა გულქანმა და ხელი გაუწვდინა. სარდიონმა გრძნობით მოუჭირა ხელი

და მდაბლათ თავი დაუკრა.—ნახვამდის!—კიდევ დაატანა გულქანმა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა კარებში. მას უკან გაპყვენ რევაზ და ანასტასია,

II



რევაზ ბაკურიძე შეუდგა ქუთაისში თავის სახლკარიშე ფრანგულობის მოწყობას. იმან დაიბარა ქალაქიდან შვენიერი სახლის მოტეხულების უდიდრონი სარკეები, კარებისა და ფანჯრების ფარდები, უცხო ქვეყნიდან მოტანილი მებეღი, იყიდა ძვირფასი კედლის სურათები... სახლის მოწყობაში ძალიან ეხმარებოდა მისი ახალი კურს დასრულებული და რუსულათ განათლებული ქალიშვილი გულქან, რომელსაც მინუშათ აესო გუბერნატორის მეულლის სახლის მორთულობა და მას ჰბაძავდა. ის რთავდა თავის სახლს იმავე გემოვნებაზე, როგორც გუბერნატორის პქონდა მორთული, თითქმის იმავე ფერის მატერიას ყიდულობდა ერთი ვაჭრისაგან და რაც იმას არ ექნებოდა, მასვე დააბარებინებდა ან რუსეთიდან, ან საზღვარ გარეთიდან. ამ ვაჭარს, ის იყო, იქვე გაელო ძვირფასი საქონლის მაღაზია; მას ეძიხდენ პეტრ ივანიჩ გაწერილიას; ისეთი ზრდილობიანი, დაკრძალული და თავმდაბალი გამოდგა, რომ რევაზ ბაკურიძის კული მეტათ მოიგო.

რევაზს ახლა ნაყმევის ფული ბლომათ პქონდა. ქვიტკირის სახლების ყიდვა და მისი ოთახების მოწყობა, გულქანის გემოვნებაზე, დაუჯდა ითას ორის თუმნამდის. მას დარჩენილი კიდევ ერთი ამდენი ფული ხელ უხლებლათ. პეტრ ივანიჩმა ეს ამბავი ზედმიწევნით იცოდა.

რევაზ ბაკურიძე ჯერ კიდევ ვერ შეჩერებდა იმ აზრს, რომ ის უწინდელივე უზრუნველი მებატონე და მბრძანებელი არ ყოფილიყო, რომლის უფლებას ღმერთიც ვერ დაარღვევდა. იმას ახლა კიდევ უფრო დიდი გამოხატულება მიეცა თავის ძლიერებაზე.

— მე იმდენი ფული მაქვს, რომ ზღვას დავაშრობო! — წაშოიძახებდა ხან და ხან სიამოვნებით რევაზი. — ჩემი იდგილ-მამული, ჩემი ნაყმევები ხომ ხელუხლებელი ისევ ისე დამრჩა და დამრჩა. აბა მე რიღასი ფიქრი უნდა მქონდესო?

ბატონ-ყმობის დროის ხასიათები ხელუხლებელი შერჩა. მას უყვარდა უწინდულათვე ბრძანება და თავის დღეში მას ვერავინ გაუმხელდა, ამა და ამ ნივთში ფასს ითხოვენ და უფულოთ არ გვაძლევენო.

— მოიტანეო! — ერთს დაიღრიალებდა და სოვდაგრის ნივთი იქვე უნდა გაჩენილიყო. ამის გამო, პეტრ ივანიჩ გაწერილია ძალიან უწყობდა ხელს ასეთს მის ბატონურ ხასიათს. თავის დღეში ის ბატონს არას დაუკავებდა, ყოველ მის მოთხოვნილებაზე, თუნდ მთელი მისი საქონლის მაღაზიაც დაეცალიერებინა, არას ეტყოდა; იმას მხოლოთ სავაჭრო დავთარი ხელში ეჭირა, წერდა შიგ წალებულ საქონელს ნისიათ და შესაფერ სარგებელსაც ზედვე უწერდა. თვითონ პეტრ ივანიჩი, რომელსაც რევაზ ისე უყურებდა, როგორც თავის ვალდებულ ყმას, არასოდეს მის ბრძანებას არ გადავიდოდა და ცდილობდა, რაც რევაზს დაჭირდებოდა, ყოველივე დროზე ეშოვნა და მიერთმია, მხოლოთ ხანდახან, რევაზ

როცა გუნებაზე იქნებოდა, დაიპარებდა პეტრ ივანიჩ გაწერილიას და ჰუითხავდა როგორც თავის მოურავს:

— როგორ არიან ჩემი ნისიებით?

— ცოტა ჭმევა იკლიათ, ბატონო, თვარა ქე იზრდებიან გვარისათ!— მოახსენებდა პეტრ ივანიჩი მოწიწებით. რევაზ სიამოვნების ნიშნათ გაიცინებდა, თითქოს ღორის ჯოგი მომატებოდეს და ეტყოდა პეტრ ივანიჩზე მოწიწებით.

— აგერ კაი დღე მომავალია, წირმომიდგინე ანგარიშები და ყურძას გავისტუმრებ. პეტრ ივანიჩიც მოწიწებით მოახსენებდა, — კი შენი კირიმეო.

ბაკურიძის ოჯახში, ვისაც რა დაჭირდებოდა, ან წალები, ან ბოთინკები, ქოლგა ვარო თუ ლაიკის ფერჩატკები, ან ტანსაცემელი ყოველნაირი, ან ჭურჭელი, ან სუფრის მორთულობა — ყველაფრის მომტანი სულ პეტრ ივანიჩი იყო. ამ კაცმა არა თუ რევაზს, მის მეუღლე ანასტასიას და განსაკუთრებით მის გასათხოვარ ქალიშვილს, გულქანს, არამედ თვით მათ მოსამსახურეებსაც ისე შეაყვარა თავი, რომ უკანასკნელი ქინძისთავიც რომ დაჭირვებოდათ, სულ პეტრ ივანიჩის მაღაზიაში მირჩოდენ.

რევაზს ჰქონდა ჩვეულებათ, რომ ყოველ თვის ბოლოს პეტრ ივანიჩს დაიბარებდა დავთრების გასაშინჯათ. თუ კაი გუნებაზე იყო, ზოგს ნალდათ მისცემდა და ზოგში თამასუქებს უწერდა, თუ არა და უგემურათ ეტყოდა:

— წადი, წაილე, მერე იყოსო.

პეტრ ივანიჩიც მოწიწებით თავს დაუკრავდა და გამოეცლებოდა. რევაზს სოედაგრის თამასუქები თითქმის თავის მოსაგებ საქმეთ მიაჩნდა, რადგან პეტრ ივანიჩი მუდამ არ აწუხებდა გალალებულ მებატონეს, რომ სულაც არა მიბოძოთ რა და ჩემი თამასუქები ცეცხლში ჩაწერათ, მაინც როგორ გავდედავ თქვენ შეწუხებასაო; გენებებათ — მიბოძებთ ჩემ ფულს და არ გენებებათ — ისიც თქვენი ჭირის სანაცვლოთ იყოსო. ასეთი თილისმით რევაზს პეტრ ივანიჩზე მუდამ მობალი ჰქონდა გული და რასაც სოფლაგარი თხოვდა, ყოველსავე უსრულებდა.

ყოველ წლის გასულს, რაც ცალკე თამასუქები ეწერა, პეტრ ივანიჩი ყველას ერთათ შეაკეცდა, ზედ ათი თორმეტის სარგებელს შესვამდა და ამ ფულში ვექსილს გამოართმევდა გულზეიად მებატონეს, ვითომ იმ მიზეზით, რომ ცალკე, უბრალო ქალალდზე დაწერილი თამასუქები დაიხევიან, დაიკარგებიან და ვექსილი კი არ დაიკარგებათ. ბოლოს და ბოლოს რევაზი სულ აღარ აძლევდა ფულს ნახარჯში, მხოლოთ პეტრ ივანიჩი თავის ნისიებში თავგასულ მებატონეს მოკლე ვადიან ვექსილებს ართმევდა. როცა დრო მოვიდოდა ან ვექსილის გამოცვლისა, ან საჩივარისა, პეტრ ივანიჩი მოახსენებდა დიდებულ მებატონეს:

— ბატონო რევაზ, ამ ვექსილებს გამოცვლა უნდა და ათი თორმეტის სარგებლის ზედ შეკეცვაო. ათი თორმეტი სარგებელი იმას ნიშნავდა, რომ ერთ თუმანში თორმეტ მანეთს წერდა თვეში, ასე რომ წლის გასულს თუმანი ნისია თცდა თოხ მანეთს იგებდა. რასაკეირველია, ამ ანგარიშების არც ანასტასიამ და არც გულქანმა არა იცოდენ რა. იმათ მოთხოვნილებისამებრ ყოველივე უხვათ მიუდიოდათ პეტრ ივანიჩისავან და ამ მდგომარეობაში ისინი სრუ-

ლებითაც არ ფიქრობდენ, თუ ბოლო რა ექნებოდა ასეთ გარემოებას. ანასტა-
სია დარწმუნებული იყო რომ უწინდელივე მებატონის უფლებით იყო აღჭურვი-
ლი და მუქთათ უნდა მოსვლოდა ყოველივე, რევაზს კი იშედი შქონდა თავის
მამულის შემოსავლის და ამ ნისიებს არაფრათ აგდებდა, მით უფრო რომ პეტრ
ივანიჩი არაოდეს არ ითხოვდა ფულებს, გარდა ვექსილების გამოცვლისა.

ერთხელ ახალწლის დღეს პეტრ ივანიჩი მოვიდა რევაზ შეკურიძის კარზე
სამკვლევით ხელ დაშვენებული: იმან მიართვა ბატონს ერთი თავი შაქარი, ორი
გირვანქა ჩაი, ერთი ბოთლი ლიკიორი, ხუთი გირვანქა ხმელი ხილი, ორი კო-
ლოფი რახათ-ლუკუმი, სამი გირვანქა კამფეტი, ერთი მოზდილი ყუთი ფორ-
თოხლებით სავსე და თან მოწიწებით დაატანა:

— ლმერთმა მრავალი ახალწელიწადი გაგითენოს თქვენი ბედნიერი ცოლ-
შეცლითო.

რევაზს ძალიან გაეხარდა ასეთი ძლვენი პეტრ ივანიჩისაგან და სადილათ
დაპატიჟა. სადილს უკან, როცა რევაზ გავიდა თავის მოსასვენებელ ოთახში,
პეტრ ივანიჩი თან გაჰყვა და მოწიწებით მოახსენა:

— ბატონო რევაზ, თუ თქვენი ნებაც იქნება, თქვენ ვექსილებს სასამართ-
ლოში წარვალგენ და ალსრულებით ფურცლებს გამოვიტან.

— მერე მე რომ დამიბარებენ, განა სასამართლოში უნდა წავიდე? მაგას
მაინც არ ვიკადრებ, ხელმწიფებრივი რომ მიბრძანოს,—რიხიანათ წარმოსთქვა
ნებიერმა მებატონებ.

— აბა, ეგ რა სათქმელია, ბატონო, თქვენ მაგას რათ იყადრებთ? სასა-
მართლო უთქვენოთაც გადაწყვეტს ამ ვექსილებს და დაუსწრებელი განჩინების
ძალით მომცებს ალსრულებით ფურცლებს. თქვენ მხოლოთ უწყება მოვივათ აქ.
ამ უწყებას, თუ გნებავთ, მე თვითონ მოეყვები და გაახლებთ ჩემი ხელით,
ოლონდ ხელი მოაწერეთ და უკან დამიბრუნეთ, რომ მოსამართლის იასაულს
ისევ უკან გავატანო სასამართლოში.—მოახსენა ბრწყინვალე ბატონს პეტრ,
ივანიჩმა.

— ჰო, თუ მასე იქნება — კი! ხელის მოწერას როგორ დაგამადლი? — ბძანა
ბაჟურიძემ.

— აბა, როგორ გეგონათ, ბატონო? თქვენ ვინ გაკადრებთ სასამართლოში
შესვლას, ან რა თქვენი შესაფერი იქნება იქ შესვლა.—უპასუხა პეტრ ივანიჩმა.

არ გასულა ამის შემდეგ ნახევარი წელიწადი, რომ პეტრ ივანიჩს ხელში
ეჭირა ორი ათასი თუმნის ალსრულებითი ფურცელი თავად რევაზ ბაკურიძეზე
და ამის გამო დაუდვა რევაზს დაკრძალვა (ზაპრეშჩინიე) მთელი ბაკურიანის
სოფლის ადგილ-მამულზე და მიწა-წყალზე, იგრეთვე მისი ეზო და სახლკარიც
შიგ მოაყოლა.

III

ჩვენი პატიოსანი პეტრ ივანიჩი, ყოვლათ მორჩილი სოფლაგარი თ. რევაზ
ბაკურიძის ბრძანებისა, გახლდათ ის პეტრიელა კვესაძე, რომელმაც იმ სუსხიან
ზამთრის ლამეში, როცა ბოქაული და რევაზ ბაკურიძე თავის მოურავით თავს

დაესხენ, ძალაუნებურათ დააგდო საწყალი დედა, როდამ კვესაური და გადა-
ვარდა. პეტრიოელამ ბევრ გაჭირვებას შემდეგ მიატანა გათენებისას ორპირის
დუქნებში; ცხენი ბოსელში შეიყვანა, თვითონ დალალულ-დაქანცული ~~მიეგდო~~
ბოსლის უკანა ოთახში ცარიელ დაუგებელ გაჭვარტლულ ხის ლოგინშე და ისე
ტკბილათ დაეძინა ტანსაცმელ გაუხდელს. თითქოს ბუმბულის ქვეშაგებში
მოესვენოს. იმას ეძინა მთელი დღე, რადგან ღამე ნათევი იყო საფრანგული მედუქ-
ნეს გამოელაპარაკა, გაუზიარა თავისი მწუხარე მდგომარეობა და თვითონვე იმ
მედუქნეს მიყიდა ცხენი ოთხ თუმნათ. აქედან პეტრიოელა მესამე დღეს ჩაჯდა
ჰატარა გემში, რომელსაც უხიმერიონის მდინარეზე მიყავდა მგზავრები და ზღვის
კიდის ქალაქში ამოჰუ თავი. ის იქ დიდხანს არ დარჩენილა, რადგან იცოდა,
რომ მთავრობა მას ადრე თუ გვიან გამოუდგებოდა დასაჭერათ; გამკვა ერთ
რუსის საზოგადოების გემს აღილერის ნავთსადგურში. პეტრიოელამ მალე მიაგნო
თავის ხელობას; აქ, ამ კიდევებზე თავ. შარლანიას ძალიან გავლენა ჰქონდა. იმას
ჰყავდა საიდუმლო რაზმი მეკობრეთა და დიდი დამოკიდებულება ჰქონდა თათ-
რის მებარევასეებთან; კვირა არ გავიდოდა, რომ აღილერის ახლო-მახლო თითო
უცხო ქვეყნის საქონლით დატვირთული თათრული ბარქასი არ მიმდგარიყო,
რომელიც დამოუნის ყურადღების ნამალევათ მეკონტრაბანდეებს უნდა დაეცა-
ლათ, უცხო ქვეყნის საქონელი მიელოთ და გაეყიდათ მთის ხალხში.

ამ შხრით მოდიოდა, გარდა ძვირფასი აბრეშუმეულობისა და მაუდისა,
აგრეთვე სტამბოლის და ყირიმის თოფები, ტყვია წამალი და ხანდახან პატია
ოსმალური ყალიბის ზარბაზნებიც, რომელნიც გადაჰქონდათ არამც თუ მთებში
ჩურქეზებთან, ა'ვ გაშინჯეთ, დალისტნის იმაშს, შაშილსაც კი უგზავნიდენ.

აქ, ამ რაზმში მალე იპოვა პეტრიოელამ თავისი ალაგი; ის მალე დაუახ-
ლოვდა ყულევეს, ანაკლიის, სოხუმის, აღილერის და სოჭის ნავთსადგურებში
მოვაკრეებს, გაიგო მათი გემოენება, ანგარიშები, გაიგო, რა საქონელსაც უფრო
ლებულობდნენ და დაიწყო შეამავლობა. თვითონ თავ. მარლანიასთან ისეთი შე-
სული ყმა შეიქნა, რომ უმისოთ, მის დაუკითხავათ, ფეხს არ გადადგამდა.
პეტრიოელა ძალიან გამოიცადა სავაჭრო საქმეებში და ყოველი ვაჭარი, რომე-
ლიც ასალებდა კონტრაბანდას, მისი ხარჯის მძლეველი შეიქნა. ასეთი მოქმე-
დებით პეტრიოელა მალე შეიქნა ფულიანი კაცი.

ამ დროს რუსის მთავრობამ ძალიან ფიცხი დევნი დაუწყო მეკონტრაბან-
დეებს; მარლანია, თუმცა ოთხი-ხუთი წელიწადი იყო მას აქეთ, რაც ოსმალეთ-
ში გადასახლებულიყო, მაგრამ იმას მაინც თავის მოადგილე კაცი ჰყავდა აუხაზეთ-
ში და მარლანიას სახელით აწირმოებდა კონდრაბანდის საქმეებს. ბოლოს დამო-
უნის რაზმის სიფიცხეს მარლანიას მეკონტრაბანდე რაზმაც ვეღარ გაუძლო,
მისი მოადგილე სადღაც გადაიმალა, რაზმი დაიშალა და პეტრიოელამაც აღილერ-
ში გააღო დუქანი. ის ჩაეწერა ამ ქალაქის ვაჭრით და დაირქვა სახელათ — პეტრ
ივანის გაწერილია. იმან დაიწყო ვაჭრობა ფარგით, ტარანით და მარილით. ბო-
ლოს პეტრ ივანის მოესმა ხმა, რომ ქუთაისში ძალიან კარგი ვაჭრობა ვაიმარ-
თაო და ქალაქი დღითი დღე იწდება მებატონეების მეოხებითო.

ამ დროს ყველა შებატონეს ჰქონდა ნაყმევების ფული მიღებული; რაკი

შინაუმეები ჩამოყროთვათ, სოფლად ვეღარ დგებოდენ, თან-და-თან უფრო და უფრო გროვდებოდენ ქალაქში საცხოვრებლათ, ყიდულობდენ ადგილებს, სახლებს, და მრავალნაირ სავაჭრო საქონელს. პეტრ ივანიჩი იმ თავითვე/ძალიან სწორებდა სამშობლო ქვეყნის მოშორებას და ახლა, როგორც კი გაიგონა, რომ ქუთაისში კარგი ვაჭრობა იყო გამართული, მაშინვე გაინალდა ნისიები, შეკრიბა ორი ათას თუმნამდის, წავიდა მეორე ზაფხულს მაკარიის იარმუქში ქართულში, წმინდა საქონლის საყიდლათ და შემოღვიმას დაბინავდა ქუთაისში თავის სავაჭროთი. აქ იმან მალე შეიტყო ბატონის რევაზ ბაკურიძის დასახლება და ხედ მოს გვერდით გახსნა წმინდა საქონლის და უცხო ქვეყნის სასმელების მაღაზია. რამდენათაც უფრო გულს უბასრავდა პეტრ ივანიჩს წარსული მწარე მოგონებები, იმდენათ უფრო დიდი შეცადინეობა გამოიჩინა ახლა, რომ თავის ოჯახის დამლუბების ძველ მებატონეს შელეკვებოდა და შეთვისებოდა.

პეტრ ივანიჩ გაწერილია შეიქნა ქუთაისში მეორე გილდის ვაჭარი და დაუწყო ვაუთავებებელი ნისიაობა თ. რევაზ ბაკურიძეს.

პეტრ ივანიჩი იყო ასე, ოცდაცამეტი წლის კაცი, კარგად ჩასუქებულ-ჩარგვალებული. ეხურა ინგლისური შლაპა ტანჩე ეცვა მუდამ ახალმოდის სერთუკ-ფიჯაკი. მას პირის სახე ევროპიულად ჰქონდა გაკრეჭილ-გაპარსული. შავი, ლამაზათ წაგრეხილი გრძელი ულვაშები ტუჩებს უფარავდა. ათასნაირ მწუხარებას, რომელიც მას გამოეცადა ცხოვრებაში, უდროოთ შეეჭმუხვნა მისი წარბები და დაესერა ვიწრო ზუბლის კანი, რომელზედაც ლორის ძაგარივით მსხვილი და სქელი, კალარით შეკრელებული თმა ქოჩორა ტყესავით გადმოდგომოდა. თუმცა სახე მუდამ ეღიმებოდა, მაგრამ ეს ლიმილი არ ამტკიცებდა არც პეტრ ივანიჩის გულკეთილობას, არც მის მხიარულებას. იმის სქელ ულვაშებში გაღიმება უფრო დამცინავ, შეურიგებელ შურიანობას ხატავდა. თავის წარსულის მოგონებით იმას გული ჰქონდა მოკლული; მისი ოჯახის უსამართლოთ დაღუპვა მძლავრი მებატონისაგან, მისი საყვარელი მოხუცებული დედის და პატი დის ტინჯვით სიკვდილი, მისი სახლ-კარის გაპარტახება - ეს ყოველივე მეტათ მწარე ნალველი იყო მის გულში ჩასხმული, ასეთი უსამართლობის მოგონება იმდენათ ბალლოითა და გესლით ავსებდა მის შინაგან არსებას, რომ თეალწინ ბასრი ხანჯალი, თოფ დამბაჩა და გალესილი ცულის მეტი არა ელანდებოდა რა.

„მოჰკალი, ნაკუშ-ნაკუშათ ააგე, მისი ერთად-ერთი ახალგაზდა ქალი გააუქატიურე და ეს ამბავი ხეზე მიქრულ მის დედ-მამას აყურებინე, მერე დედაც და მამაც ურა ცხენის კუდზე გამოაბი და დააგლეჯინე, მერე თვით მათი ქალი-შვილი ცხვარსავით ზედ დააკალი!.. იი მადლი! იი, ბალლამ-გესლით ავსებული ჩემი გულის წამალი! მხოლოთ მაშინ შემიშუბუქდებოდა ჩემი შინაგანი ტანჯვები, მაშინ გამინთავისუფლდებოდა ტანი ათას აუტანელ ტკიფილებისაგან, როცა რევაზისა და მის ცოლ-შვილს ვნახავდი საწყალი დედაჩემის საფლავზე საკურთხათ დაკლულს და შეწირულს... ახლა რა? მართალია, მე გავმდიდრდი, პატივის ცემაც მოვიპოვე, ჩემი უწინდელი მებატონე დლეს გვერდით მიჯენს, ალერსით მეპყრობა, თითქმის მითანასწორდება, მაგრამ განა ეს დააკამაყოფილებს ჩემ გათახსირებულ სულს?.. არა, ეს კიდევ უფრო წამლავს ჩემ სიცოცხლეს, რადგან

ვხედავ, რომ ჩემი დედ-მამისა და დის მკვლელი გვერდით მისხედან და მე იმა-
თვე უნდა ვეპირფერებოდე, ვებოლიშებოდე, სიტყვით ფიანდაზს უშლიდე...
განა ეს აუტანელი ტანჯვა და ცეცხლ-მოდებული სულის ქენჯნა არ უნდა იყოს
ჩემთვის? განა არ შემიძლია, ერთი ხუთიოდე მოქეიფე ხანჯალ-ლეკურისი ჩხალ-
გაზრდა თავადიშვილი მოვიყიდო, ერთი სამასი თუმანი გადუგდო, ჩატურა და ტუფ-
თასაუით ავაკეპინო ჩემი თვალის დამლუპველნი, ჩემი დედ-მუწერს შეუყოლენი?..
მერე?.. მერე რო გამოვიდა?.. შეიძლება ამით მეც თავი წავაგო. არა! ეს ასე არ
ვარგა. სჯობია, სხვა უკეთეს საშუალებას მივმართო. მე იმათ ალსრულებითი
ფურცლებით ავიკლებ. ნადირი და მხეცი ხომ არა ვარ, რომ მათი დალვრილი
სისხლით დავტკბე? არა, მე მინდა მხოლოთ მათი ტანჯვით ვისიამოვნო, მე მინ-
და, რომ ისინი ცოცხლობდენ და მათი აუტანელი წვალება ჩემი თვალით ვნა-
ხო, მე მინდა, რომ მათი კვნეხა-გოდება ჩემი ყურით მოვისმინო, მე მინდა, მა-
თი მიწა-წყალი, მათი აღგილ-მამული, მათი სახლ-კარი ხელში ჩავიკრიბო, ისი-
ნი ცარიელზე დავსვა, მე რევაზ ბაკურიძის აღგილზე მოვიკალათო და ის კი
თავის ცოლ-შვილიანათ ჩემ ეზოში მოჯალაბესავით უადგილ-მამულოთ მესახლოს;
მინდა ვნახო, რომ ისინი ჩემ სახაბაზოს წინ ცივი მჭადის ნატეხს ჭამდენ და ვერ
ძლებოდენ. აი, როცა ამას ვნახავ, მაშინ, მხოლოთ მაშინ დავმშვიდდები სული-
ერათ, მხოლოდ მაშინ ვანისვენებენ ჩემი დატანჯული დედ-მამის ძვლები საფლავ-
ში. აი, ეს უნდა მოვახდინო მე და შემიძლია კიდეც! დღეს ხელში მიჭირავს
ორი ათასი თუმნის ფურცლები, მაგრამ ჯერ კიდევ ვაცლი, დაე, ის ორმოცი-
ოდე მოსახლე დროებითი ვალდებული გლეხებიც შემოიცალონ, თავი დაახსნევი-
ნონ, როგორც ორის ათ კომლს დაახსნევინეს, რომ მათ ბარობაზე აღარა იყოს
რა, ვარდა სახლ-კარისა და აღგილ-მამულისა; მერე კი დავვცემი მათ საკუთრე-
ბას ქორივით. ბაკურიანის სახლ-კარს ეს ფურცლებიც ეყოფა, რასაც ამას შემ-
დეგ დავავალიანებ, ის კიდევ სხვა იქნება.“ ასე დააბოლოვებდა ხოლმე თავის
ფიქრებს პეტრ ივანიჩი, სიამოვნების ნიშნად გადისვამდა ხელს ულვაშებზე და
მოჰყევებოდა მათ გრეხას. ასეთ ფიქრებში გადიოდა პეტრ ივანიჩის დღეები. ვა-
კრობის წარმატება თან-და-თან ახალისებდა, ფრთებს ასხამდა მის მომავალ
იმედებს.

IV

გულქან რევაზის ასული იმ ღროს პირველი მოწონებული ახალგაზრდა
ქალი იყო ქალაქში: მაღალი, ტან წვრილი, გულ-მკერდ სავსე. რაც უნდა და-
ჯავრიანებული ყოფილიყო კაცი, მისი ერთი მაღლიანი შემოხედვა კარ-დახშულ
გულს გააღებდა და სიცოცხლით აათაბაშებდა. ყოველ ოჯახში მხოლოდ მასზე
იყო ლაპარაკი, ზოგი მის თვალ-ტანადობას აქებდა, ზოგი მის ნარ-ნარ ხასი-
ათს, ზოგი მის განათლებას და რუსულ გამოთქმას. განსაკუთრებით აფიცირობა
იყო აღტაცებული მისი გეკლუცობით და მარდი ცეკვით. ყოველი მათგანი ბედ-
ნიერათ თვლიდა თვეს, თუ კი ელირსებოდა გულქანთან მაზურების თამაშს.

მაგრამ გულქანი გუბერნატორის ბალის შემდეგ დანაღვლიანებული და ჩა-
ფიქრებული შეიქნა. მისმა გულმა იგრძნო რაღაც იუტანელი ტანჯვა; ერთმა
შემთხვევამ მეტათ დანავსა მისი საუკეთესო აცნებები კაცების შესახებ. რამდე-
ნათაც უწინ მას ახალისებდა დრაგუნის პოლკის აფიცირების გარევანი ბრწყინ-
ეურ. „მნათობი“ № 8—9.

ვალე მორთულობა, მათი ოქრომკედით მოქარგული მუნდირი, წყარუნა დეზები და რიჩხინა ხმალი, მათი კოკობი ულვაშებით დამშვენებული ქახე, მათი ნაკვნი ტანადობა, — იმდენათ ახლა ყოველსაეუ ამათ გულ-დაუნდობრათ უყურებდა. შეენიერი, თვალის მომტაცი გარეგნობა მან ჩათვალა აურელუბულ პეპელას ფრთებათ, რომელნიც იყვენ საზიზლარ შავ ჭიის ტანხე გამობმული. მის არსებაში გაიღვიძა რაღაც მამაკაცის სიმძულვარემ და მასზე დაუნდობრამ.

„კაცებს გულის მაგიერათ ცივი შავი ქვა ჰქონიათ შეერდში ჩადებული. ისინი თავის სატრფიალო არსებებს საცვალსავით იცვლიანო“, — გაივლო გულში გულქანმა და მას აქეთ, რაც მან მისდაუნებურად საზიზლარ შემთხვევას თვალი მოჰკრა ფიქრები აეშალა.

ვინ იცის, სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, რამდენი ლამე უძილობით გაეტარებენა გულქანს სულ ბრწყინვალე მომავლის სურათებით, მას აქეთ, რაც პირებელათ საქალებო სასწავლებლის ბალში შეხვდა იმ ლამაზ დრაგუნის აფიცერს, რომელმაც სიტყვების გადაკვრათ უმანკო გრძნობები აღუძრა, გული აუთამაშა და რაღაც გამოურკვეველ აღტაცებაში ჩააგდო. მაშინ ის ფიქრობდა საკუთარ ცხოვრების მეგობარზე; მისი სახე გულქანის ახალვაზრდა ფრთა შესხმულ ოცნებებს თავს დატრიალებდა ბრწყინვალე შარავანდედით მოსილი. იმ ნეტარი ლამიდან ლამაზ დრაგუნთან დროს გატარება სიზმრებათ გადაეჭია. ხან დაესიზმრებოდა, რომ ლამაზ დრაგუნის აფიცერს გულქანი ხელ-გაყრილი მიჰყობოდა ბულვარში, საცა მრავალი ხალხი სასეირნოთ გამოსულიყო, პოლკის მუზიკა უკრავდა და მთელი ქვეყანა იმათ ბეღნიერებას შენატროდა... ხან, ვითომც საქონწილოთ მორთული გულქანი თავის საქმრო დრაგუნის აფიცერთან სანთლებით განათებულ საყდარში იდგა; შეენივრათ ჩაცმული მისი ამხანავები გარს შამოხვეოდენ, უღიმოდენ და შენატროდენ მის ბეღნიერებას... ხან წარმოუდგებოდა, რომ ქორწილს შემდეგ ის და მისი სატრფო კარეტით მიჰყროდენ რუსეთის გზაზე; თვითონ მკლავებ შემოხვეული კოკობ ულვაშებთან ტუჩებს ჩაკონებოდა და ენით გამოუთქმელ ნეტარებას გრძნობდა... ზოგჯერ დაესიზმრებოდა, რომ ვითომც თმახუჭუჭა ვაუი კალთაში უფართხალებდა, სულ პირ-წივარდნილი მამა იყო გამოსახული და ასე გამინჯეთ, მხრებზე დრაგუნის აფიცერის ნიშნებიც კი ეკერა. ასეთი სიზმრები და ოცნებები გულქანის ნორჩ გამოხატულებას მეტათ ახალისებდა, თუმცა ყოველთვის, როცა დრაგუნის აფიცერთან იყო, რაღაც არა ჩვეულებრივ მდგომარეობაში ვარდებოდა, წამის-წამ მისი მშვენიერი სახე წითლათ აფერალდებოდა, თავს ჩაკიდებდა, ნამეტურ როცა დრაგუნის აფიცერი გადაერავდა სიტყვებს, — კარგი იქნება საღმე შორს გავემგზავრებოდეთ მარტო მარტო ცხენებით სასეირნოთ. — თუმცა მას ასეთ წინაღადებაზე ჯერ კიდევ ვერ დაეყოლებინა გულქანი, მაგრამ არც იმაზე იქნებოდა უარს, თუ მის და უნებურაო გულქანს. შეემთხვეოდა დრაგუნის აფიცერთან საღმე შორს ტყეში მარტო მარტო ყოფნა.

გამოცდილ აფიცერს გულქანის მორცხვობა და პასუხის გაუცემლობა თანხმობათ მიაჩნდა და უფრო და უფრო თამამათ ექცეოდა: მარაოს გამოტაცებდა ხელიდან და გულქანს სახეს უგრილებდა, ხან სამაჯურებს უშინჯავდა და თუ სადმე თვალ-ზა-თვალ დაასწრებდა მარტობას, კიდევ დაეკონებოდა ხელზე საკოცნელათ. გულქან ასეთ კადნიერებაზე წარბენს შეიხრიდა და გაკაპასდებო-

და, მაგრამ დრაგუნის აფიცერი მაშინვე ხუმრობათ გადააჭცევდა მის გაჯავრებას; გულქანისაც ხომ ლონე არ ჰქონდა, დიდ ხანს გაწყობობდა. მის უასამხიარულებლათ ან რომელსამე მის ნაამხანავარ ქალს გაცინებდა, ან ვისშე მასთან მოტანული უხეირო აფიცერს წაბაძავდა და ეს საკმიო იყო, რომ გულქანს თავის სატრაფოზე გული მოპრუნებოდა. ის ჩვეულებრივი მხიარულდებულებისთვის დაჯილდოვებდა მის მიერ შერისხულ დრაგუნის აფიცერს. ტერეზა და ერენე

გულქანის დედ-მამა იმას რომ უყურებდა, გულში კიდეც მხიარულობდა, აი, აგერ განუცხადებს დრაგუნის აფიცერი ლიზაბლიუდოვი გულქანს სიყვარულს და ი იგერო. ისინი საიდუმლო მზადებაშიც იყვენ, ვინიცობაა, რომ ლიზობლიუდოვს მათი ქალი გაებედნიერებინა ცოლ-ქმრობის წინადაღებით, დიდ ხანს არ ეცდევინებინათ და ქორწილი გაემართათ. მაგრამ ამასობაში სულ სხვა ნაირათ დატრიალდა საქმე.

V

ბალის შემდეგ გულქანი სრულებით გამოიცვალა, თითქოს უფრო დაბრძენდა. დროს გატარებაზე მაგდენათ ალარ ფიქრობდა. გუბერნატორის შეუდღე და მისი ოჯახი კიდეც შეძულდა, იქ წასვლას გულქანს ვეღარავან გაახსენებდა.

ბალი რომ იყო, მის მესამე დღეს დრაგუნის აფიცერი ჩვეულებრივათ მივიდა რევაზ ბაქურიძის ოჯახში გულქანის მოსაკითხათ. რევაზმა და მისმა მეულემ, როვორც ყოველთვის, სიამოენებით მიიღეს გრაფ ლიზობლიუდოვი, რომელიც ცოტა ხანს რევაზთან ლაპარაკში გაერთო, მაგრამ თეალი კი ოთახის კარებისენ ეჭირა. ფიქრობდა, აი, აგერ გამოცემიალდება მისი გულქანი და აი ავერო, მაგრამ რომ ვეღარ ეღირსა მისი ეშნიანი სახის დანახვა, უცბათ ჰყითხა ანასტასიას:

„გულქან უქეიფოთ ხომ არ ბრძანდებაო?“

— დიახ, ცოტა შეუძლოთ გახლავსო.—თითქოს დარცხუენით უთხრა დედამ დრაგუნის აფიცერს. არ იამა ეს ამბავი.

სამწუხაროა, სამწუხარო!.. წაილულლულა მან, თითქოს რაღაც ეჭვი ჩავარდნდეს გულში.—მე კი მსურდა გულქან მენახა, ძალიან მსურდა,—განიმეორა ვრავა ლიზობლიუდოვმა.

— იმედია, შეორეთ მობრძანდებით.—მიაგება რევაზმა.—ხეალ კარგათ იქნება, —დაუმატა მან იმ განზრახვით, რომ შეეტყობინებია, ხეალაც მოსულიყო გულქანის სანახავათ.

— სამწუხაროთ ჩვენი პოლკი ბანაკად მიღის ხეალ და ერთი თვე იქ დაკრჩებით. ბეტი არ შეიძლება, ისე ეწუხვარ ამ ამბავს, მაგრამ რა გაეწყობა, სამსახურს თავს ვერ დაახწევს კაცი. მე კი მინდოდა გულქანს გამოვთხოვებოდი,— დანანებით განავრძო დრაგუნის აფიცერმა.

ინასტასია ადგა და გავიდა მეორე ოთახში. ალბათ, უნდოდა გადაეცა ეს აშშავი გულქანისათვის, რომ გამოეყვანა, მაგრამ ვერა გააწყო რა. ვრავა ლიზობლიუდოვი ძალიან ჩააფიქრა ამ გარემოებამ; ეჭვი არ იყო, გულქან რასმეზე უნდა დანდურებოდა, მაგრამ რაზე—ვერ წარმოედგინა. აბა, იმას თავში რო-

გორ მოუვიდოდა ის გარემოება, რომელმაც ასე აშალა მათი ურთი-ერთობა, როგორ წარმოიდგენდა, რომ გულქანი მიუყურებდა მას და გუბერნატორის კოლე ერთათ საპირფარეშო ოთახში. ბევრი იტიქრა დრაგუნის აფექტორმა, მაგრამ ვერა მოისაზრა რა, რაზე უნდა ყოფილიყო გულქან მასზე გამზურალი; ბოლოს მან დიდი გულ-მტკივნელობა გამოთქვა დედ-მამის წინაშე. რომ გულქანი ვერ იხილა და იმედი მაინც განაცხადა, ბანაკიდან მაინც დაჭურებული მოლეკის საქ-მეებისთვისო.

— ჩვენ ამ ორ კვირას გვექნება დიდი ბალი და, იმედია, იმ დროისთვის თქვენც დაბრუნდებით. უთქვენოთ ჩვენ ბალს კარგი მხიარულება არ ექნება! — დაუმატა რევაზ ბაკურიძემ.

— სიკვდილის მეტი ვერა დამაბრკოლებს რა! — უპასუხა გრაფ ლიზობლიუ-დოვმა. — მე თქვენი ოჯახი მშობლიურ სახლს მავონებს. იქ, სადაც თქვენი გულქანისთანა ქალი ოჯახს ამზეენებს, იქ რა მოაწყენს კაცა?

რევაზმა ულვაშებში ჩაიცინა და უთხრა:

— მაშ იმედია, მობრძანდებით იმ დროისთვის!

— რომ არ გამომიშვან — გამოვიპარები. — დასკა დასტური დრაგუნის აფი-ცერმა.

იმან ჩამოართვა ხელი რევაზ ბაკურიძეს და მის მეუღლეს, ანასტასიას, ხელზე აკოცა, ნიშნათ განსაკუთრებული პატივისცემისა.

რევაზ ბაკურიძემ კიბეემდის მიაცილა. გულქანმა შეიტყო თუ არა იფი ცრის წასვლა, მაშინვე გამოვიდა ზალაში, მიადგა ფანჯარას და გააყოლა თვა-ლი მიმავალ გრაფ ლიზობლიუდოეს.

— გვრიტო, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, როგორი ჯინიანი ხარ, რატომ არ გამოხვედი? გრაფ ლიზობლიუდოვი სულ შენი გულისთვის მოვიდა გამოსა-თხოვრათ და შენ კი არ ეჩვენე. — უთხრა ანასტასიამ.

— დედა მე კაცები მეჯავრება. ვინც მაგათ არ იცნობს, გარეგანი შეხე-დულობით ანგელოზებათ ეჩვენებიან და გულში კი გველ-ბაყაყი უბუდიათ.

— რათა, შვილო, ხომ უზრდელობა რამე არ გამოუჩენია შენთან?

— არა, მარა მაგის საძაგლობა ჩემი თვალით ვნიხე.

იმ დროს რევაზიც შემოვიდა ოთახში, ყური მოჰკრა ქალიშვილის სიტყვებს და შეეკითხა:

— რა საძაგლობა შვილო?

— რა და გუბერნატორის ბალში რომ ვიყავით, ეგ და გუბერნატორის მეუღლე საძაგლათ იქცეოდენ.

— სად? მე ბალში არა შემინიშნავს რა?

— არც მე. — დაუდასტურა ანასტასიამ.

— ზალაში კი არა, მის საპირფარეშო ოთახში.

— მერე შენ საიდან იცი? — ცნობის მოყვარეობით შეეკითხა თავის ქალს ბაკურიძე.

— მე შემთხვევით გავიარე დერეფანში და საპირფარეშო ოთახში რალაც

ჩურჩული შემომესმა. შევჩერდი, მისი ოთახის კარები ოდნავ იყო გალებული. ზევიქერიტე—და მეხი დამეცა!

- მაინც რა ნახე, შვილო? — მოუთმენლათ ჰეითხა ანასტასიამ.
- რა და გუბერნატორის ცოლი დრაგუნის აფიცერს ჰეოცნიდა.
- უი, ლმერთო მომკალი! — შეიცხადა ანასტასიამ.
- მერე შენ რა? — სიცილით ჰეითხა რევაზმა.
- მას აქეთ შემძაგდა ეგ გარუცნილი იფიცერი.

— კი არა, უფროც უნდა შეგვარებოდა. — განაგრძო სიცილით რევაზმა. — გუბერნატორთან აგრე დაახლოებული ყოფილა, ადრე თუ გვიან, დააწინაურებენ, ჩინებს მისცემენ, მალე პოლკოვნიკი შეიქნება, პოლკის მეთაურათ გახდება და ვინც მაგას ცოლათ წაყვება, ნეტაი იმას! პოლკის კამანდირშის დაუძახებენ.

— მანამდის არა ჭამა რა. — წაილაპარაკა გულქანმა და საჩქაროთ გავარდო მეორე ოთახში.

— გულქან, გულქან, იქ მოდი, ქალო, მომეხვევე, ჰა, ჰა, ჰა... ერთი გაკოცო მავ ლამაზ ტუჩებში, ჩემო გვრიტუნია! ხარხარობდა რევაზ ბაკურიძე.

— გეტყობა, გული თავის ალაგს ალარ გაქვს. ჰა, შე ეპეიანო, შეგყვარებია, განა, დრაგუნის ლაშაზი აფიცერი?..

ქალმა ოთახის კარები შეიკეტა.

— კაცო, რა დაგემართა, რას აწუხებ ახალგაზრდა ქალს, არ იცი, რომ მასე დაცინვით გული დაეჩაგრება! — კაპასათ შეძახა ანასტასიამ თავის ქმარს და ვაჟყა თავაზში გულქანს.

კარგა ხანს ხითხითობდა რევაზ ზალაში. იმას თვეოლწინ გაუცოცხლდა ის ყინულითობის დრო, როცა პატია ორი წლის გიტო სადილათ მის გვერდით ცელქობდა ხოლმე, სიხარულისაგან ტყლიპინობდა, ლვინოს სუფრაზე ღვრიდა, ერთხელ ცხელი ხარშოთი კიდეც დაიფუფქა თითები და მორთო წიეილ-კივილი, იმას ვერ წარმოედგინა, თუ ასე უცებ ეს პატია ცვრინი ახლანდელ გულქანათ გადაიქცეოდა და დრაგუნის აფიცერს გულს წაულებდა.

VI

მას აქეთ, რაც რევაზ ბაკურიძე ქუთაისში გადმოსახლდა, სულ სხვანაირთ მორთო მან თავის ცხოვრება. სოფლიდან უხვათ მოდიოდა პურ-ლვინო, ხანდახან საკლავიც, ასე რომ ლვინოსა და პურს თითქმის ალარ ჟიდულობდა. ის უწინაც ხელ-გაშლილი მებატონე იყო, როცა ბატონ-ყმობის დროს ყოველი-ფერი უზრუნველათ მოუდიოდა, ახლა კიდე ნადელების გარდა, ფული ბარე თხბმოც თუმნამდის შემოდიოდა, მასთან მთავრობისგან გამოყიდული ყმების ფული ათას ორას თუმნამდის ბანქში ჰეონდა შენახული, და როცა დაჭირდებოდა სახარჯოთ, ყოველთვის ხელში ეჭირა. ის შეუდგა მდიდრულ ცხოვრებას. მთელი ქალაქის საზოგადოება, სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი, ზოგიერთი ვაჭართავანიც კი სულ მის სახლში ტრიალებდა. ისე სადილი როგორ იქნებოდა, რომ თორმეტიდან ოც კაცამდის მის სახლში არ დამსხდარიყო. გულქან მეტათ

გადარბაისლდა, ქალი და კაცი ყველანი მასთან ატარებდენ დროს; ისიც ყოველ ლონისძიებას ხმარობდა, რომ ყველასთვის სიამოვნება და მხრარულება ეჩვენებინა.

რევაზ ბაკურიძის სუფრაზე ძვიროვას საჭმელებს, მარინადებს, მარმელადებს, ანანასებს, ზღვის კიბოს, ასე გასინჯეთ, ზღვის ლოკურებებსაც—კი ხშირათ შეხვდებოდა უცხო ქვეყნიდან მისული კაცი. საზღვარ და გარემონტის მოტანილ სასმელებს შორის „შამპანცკებს“ პირველი ალავი ეჭირა. საღამოობით გაიმართებოდა კარტის თამაში, რომელშიაც გულქანი და დედა მისი ხშირათ იღებდენ მონაწილეობას. მათი საყვარელი თამაში რამსი და მაკაო იყო. მთელი შტაბ-აფიცრობა, ინერნობა შინაურულათ გრძნობდენ თავს მათ ოჯახში. ზოგჯერ გზათ გავლილი ლენერალ-შტაბის აფიცრებიც ეწვეოდენ რევაზს. გუბერნატორიც თავის მეულლით ხშირათ ატარებდა საღამოებს რევაზის ოჯახში.

გულქანისთვის ასეთი დროს გატარება და სტუმრიანობა, როგორც თევზისთვის წყალი, ისე მიუკილებელი შეიქნა. როცა სტუმრები არ ჰყავდა, თავზე დახვეულ სევდებს და მოწყენილობას ვეღარ აუდიოდა. მისი დედ-მამა ყოველ ლონის-ძიებას ხმარობდენ, რომ მათ ერთათ-ერთ ქალს, მათი საცხოვრებლის მემკვიდრეს, მოწყენილობის დაღი არ დამჩნეოდა სახეზე. გულქანი შეიქნათვ-მომწონე, კავალერებისაგან ალერს ჩვეული და მათი არშიყობის მოტრფიალე. ბუნებითი შეენიერება, წარჩინებული გვარიშვილობა და ოჯახის სიმდიდრე დღითი დღე უფრო აამაყებდენ მას. მას დაეტყო მედიდურობა, სოფლის ნათესავებს და საზოგადოთ თავისიანებს აღარაფრათ ივდებდა. ქართული ენა რაღაც უშვერ, გაუნათლებელ ენათ ჩათვალა, რადგან მის სახლში მუდამ სახელმწიფო მოხელენი ტრიალებდენ და რუსული ლაპარაკიც უფრო ეხერხებოდა, მაღალ საზოგადოების ენათ მიაჩნდა; ქართულ ენას მუჟიკურ, გაუნათლებელ ენას ეძახოდა.

— ის რა ენა უნდა იყოს, რომელზედაც კომპლიმენტები ვერ გამოითქმის! — შენიშნავდა გულქანი ზიზლით, როცა თავისიანებში საუბრობდა. თავის დედას, სოფლიდან მოსულ სტუმარს და მოსამსახურეს თუ გაცემდა ხმას ქართულათ, ისიც იმ მიზეზით, რომ იმათ რუსული არ იცოდენ, თვარა სხეებს გარეშე სტუმრებს, ვინც კი რუსული იცოდა, როგორ შეიძლებოდა, რომ ქართულათ დალაპარაკებოდა.

ასე ნელ-ნელა გაქსუვდა გულქანის ცხოვრება კავალერების ტრფიალებაში, ტოლ-ამხანაგების მიერ პირფერ ქება-დიდებაში. მოხელეების პირფერ ქება-დიდებამ გულქანს აფიქრებინა, რომ ის სწორეთ კაცების დროს გასატარებლათ და მათ სასიამოვნოთ უნდა ყოფილიყო გაჩენილი. მისი გული თუ ოდესმე ეძებდა ლრმა სიყვარულს და მის მიერ არჩეულ კაცისაგან განსაკუთრებულ თანაგრძნობას, ახლა, მას შემდევ, რაც ვერაგმა დრაგუნის აფიცერმა უშვერათ შეაგინა მისი უმანქო გრძნობა ხნიერ დედაბერთან ტრფიალით — მას ცოცხლათ წარმოუდგა თვალწინ შაიორშას დარიგება და მისი სიტყვების აზრი ლრმათ შეიგნო: „ჩვენ ქალები კაცების სიამოვნებისათვის ვართ გაჩენილი და კაცები — ჩვენი ცხოვრების იარაღათო. არ უნდა მიუკვეთ ნება, რომ მალე მოგვეხალისონ,

რომ მალე მოვაწყინოთ თავი და გავხდეთ მხოლოთ მათ ხელშესახოცათო. ამისათვის ჩვენ უნდა ვეტადოთ, ბუნებითი სილამაზე, სინარნარე და კატლუპობა დიდხანს „შევირჩინოთო“.

რაც ხანი გადიოდა, რაც უფრო უკვირდებოდა გულქანი კავალერების ერთი მეორესთან ქიშპობას და ერთნაირს მათ გულ-ჩახვეულს, ჭირდებული: ჩამოფარებულს საარშიყო ლალადს, იმდენათ უფრო რწმუნდებოდა შეთ: ჟერაჟერაში.

მაგრამ ამასთანავე იმასაც მიმხვდარი იყო, რომ ამდენი ბრწყინვალე ჩინოს-ები, რომელთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა მთელი ერის ცხოვრება, რომელთაც ხელში ეჭირათ მთელი მთავრობის ძალა, მისთვის მართლა ძვირფასი იყო ცხოვრებაში უპირატესობის მოსაპოვებლათ. მაგრამ რადგან საქმით არ გამოეცადნა ჯერ-ჯერობით ის ცხოვრება, არ დამტკბარიყო მისი წუთიერი სიამოვნებით, რომელზედაც ამდენს უქადაგებდა „მეცნიერი“ მაიორშა, ის საკვირველი წინაგრძნობით ერიდებოდა მომხიბლავი ტრფიალების შედეგსა. მას ჯერ კიდევ სწამდა ქვეყანაზე ჭეშმარიტი სიყარული და ეძებდა მისი უმანკო გრძნობები, ლირს დამფასებელს. ამ მხრით უკელა იმ წარჩინებულმა, სამხედრო მოხელეებმა, რომელიც რევაზს და ანასტასიას საუკეთესო სასიძოებათ მიაჩნდათ, ოდნავაც ერ მოიგეს გულქანის გული. გულქანი ჰგავდა ვაალვისაგან გამქისებულ მიწას, რომელიც ელოდა ციურ ნამს გასაპოხიერებლათ; მაგრამ მაგიერათ ბრწყინვა-ლე გასალაშინებული კავალერების უსულ-გულო ტრფიალი მის ნორჩ გრძნობას ისე ხედებოდა, როგორც გამხმობი და გამრუჯველი ცხელი მზის შუქები. აი, ამის გამო მათ ხელში გულქანი შეიქნა მშრალი, გულ გამოფიტული მოტრუიალე და მოკეკლუცე.

ასეთ უსაგნო დროსგატარებაში და რევაზ ბაკურიძის უზომო ხარჯვა-ქეიფში გადიოდა მისი ცხოვრება. ხან გუბერნატორი თავისი ოჯახით და ამა-ლით ეწვეოდა რევაზ ბაკურიძეს სასახლეში, ხან რევაზ ბაკურიძე თავის ცოლ-შვილით იყო მიპატიუებული გუბერნატორთან. მის მეუღლეს მეტათ თვალი რჩებოდა ლამაზ გულქანზე და ბშირათ საქმროებსაც გამოურჩევდა ხოლმე, მაგ-რამ რალიც უთანაგრძნობლობა გასათხოვარი ქალისა აყენებდა საქმეს. არ იქნა გულში ალარავის სიყვარული არ ჩაუვარდა გულქანს.

VII

ერთ დღეს გულქან იჯდა თავის ოთახში ჩაუცმელი და თმებგაბურძგვნი-ლი, ეტყობოდა წინანდელ ლამეს გვიან დაწოლილიყო პატიურიბის გამო, უძი-ლობით ფერი ჰქონდა ჩამქრთალი. ამ დროს მას შემოუტანა მოსამსახურე ქალ-მა დაბეჭდილი კონვერტი.

„ვისია?“ — ჰერთა გულქანშა.

— სარდიონ ენუქიძეს გამოუგზავნია. — გულქანმა დახედა კონვერტს და რაღაც გამოურკვეველმა გრძნობამ აიტაცა. მის შემდეგ, რაც მან გული გაი-გრილა გრაფ ლიზობლიუდოვზე, სარდიონ ენუქიძე არა ერთხელ გაელებია გულში, როგორც საუკეთესო ნაცნობი და სიყრმის მეგობარი. მისი სახელი წვევდა მის გამოხატულებაში მრავალ სასიამოვნო მოგონებებს წარსულში.

პირველად, როცა მისმა საყვარელმა მაიორშამ გააცნო სარდიონი, როგორც მისი მამილაშვილი, რამდენჯერ მოუტანია მას გულქანისთვის შვენიერი კანფეტები, ტკბილეულობა და სხვა და სხვა ნაირი ლამაზი საკანფეტო ყუთები... რანაირათ დაუკავშირა მის ხსოვნას ნათესაობრივი სიყვარული.

„რამდენჯერ გაუტრთხილებივარ მას, გრაფ ლიზობლიუდოვს მოერიდეო, ეგ გაქსუებული უგულო კაცია, გართული, ულირსი შენიშვნისათვის. მე მაშინ სარდიონზე გულიც მომდიოდა, ერთხელ კიდეც წავეჩერებე, რა თქვენი საქმეა შეთქი ჩემი დარიგება, ან ჭკუის სწავლება? რა ჩემი მეთვალყურე ბრძანდები შეთქი! იმან კი არა მითხრარა, მაგრამ შევატყვე, რომ თავი ჩაჰკიდა გულდამწვარსავით. მე მაშინ, გატაცებული გრაფ ლიზობლიუდოვისაგან ზიზღით შევურებდი სარდიონს და შურიანობა დაეწამე, მაშინ მე უმისოთაც ძალიან გაბრაზებული ვიყავი სარდიონზე, როცა ბოლოს შევიტყვე, რომ ის ჩემი ნათესავი სრულიადაც არ ყოფილი, როგორც დედა ჩემმა მიამბო. მართალია, მე დედას მაშინ უოველივე დაკუმალე, რაც ნაცნობობა სარდიონს ჩემთან და მაიორშასთან ჰქონდა, მაგრამ მაგიერათ სარდიონი მას აქეთ თვალის დასანახავათიც შეზარებოდა, რადგან ვფიქრობდი. რომ ყოველი მისი მოქმედება ჩემთან ცუდი განზრახვით უნდა ყოფილიყო. თუ არ ახლობელ ნათესავს, მე იმ შინაურულათ დაახლოვების ნებას როგორ მივცემდი? მე უფრო იმან შემაწუხა, რომ თავის ნაცნობი მაიორშაც უტიურათ მოატყუა და ჩემთან ქცევაში ნათესაობრივათ მოურიდებელი იყო. კარგათ მახსოვს, ერთხელ ბულვარში ლამით ჩემთან და მაიორშასთან რომ დასეირნობდა, მე, როგორც მის დას, ისე შემომხვია ხელი; მაიორშამ თვალი მოჰკრა და გაუჯავრდა. მე მაშინ ეს კიდეც მეწყინა მაიორშასაგან, რათ გაუწყრა მეთქი ვფიქრობდი, ის ხომ ჩემი მამიდაშვილია მეთქი. მაშინ ასე მეგონა, მაგრამ ბოლოს, როცა შევიტყვე, სარდიონი ჩვენი ნათესავი არ ყოფილიყო, ვიფიქრე, ალბათ მაიორშამ იცოდა მეთქი ეს გარემოება და კიდევ უფრო ზიზღი აღმეძრა მის ბოროტ განზრახულებაზე. მას შემდეგ რამდენჯერ მოვიდა ის ჩვენ სანახავათ, ყოველთვის ისე გულ-ცივათ ვეჭუეოდით მე და ჩემი დედ-მამა, რომ ჩვენთან სიარულს ვერ ჩედავდა. მაგრამ ამისთანავე საკა კი შევეყრებოდი, ვნიშნავდი ხოლო სახეზე სულიერ ტანჯვას. რამდენჯერ მითქვამს მისთვის უარი თამაშობაში; უკანასკნელათ გუბერნატორის ბალში, როცა იმ უზნეო ლიზობლიუდოვმა ასე მოწამელა ჩემი გული, მე სარდიონს პირველათ გავუყვი სათამაშოთ მეოთხე კადრილში; ახლაც მახსოვს, რა სიამოენების გრძნობა დაეტყო მის სახეს. ის ჩამაცივდა, რათ ვიყავი მე მაჩე გულმოსული. მეც გულცივათ ულთხმრი—პოიგონეთ მეთქი, როგორ უწესოთ მატყუილებდით მაიორშასთან რომ დაბრძანდებოდით მეთქი. ამისი თქმა და მისი თავზარდაცემა ერთი იყო; იმან ისე მოიწყინა, რომ თვალებზე ცრემლები წამოადგა. ამის შემდეგ მთელი კადრილის თამაშობა ისე გავატარეთ, რომ აღარ დანილაპარაკებია. მე კიდეც შევინანე, რომ მოვაგონე მისი უწინდელი ურიგო ყოფაქცევა მეთქი; ისე შენანებულათ თვლიდა ის თავის თავს ისეთი საწყალი სახის გამომეტყველება მიიღო, რომ მე თვითონ გული მომიკვდა, მინდოდა კიდე, მხიარული ლაპარაკით გამერთო, მაგრამ ვერ მოვახერხე:

ან რაღა მხიარულება უნდა შემძლებოდა, ნალვლით იყო იმ დროს ჩემი გული გავსილი. მინდოდა საჩქაროთ შინ დავბრუნებულვიყავი, რომ ტირილით მაინც დამელბო სიბრაზით გამჭისებული გული. ის ლამე მაინც ტირილით გვათენე, მხოლოდ სარდიონის იმდამნდელი ქცევა თითქოს რაღაც წუგეშს შცემდა, თითქოს მისი მწუხარე სახე ჩემთან ერთათ ღვრიდა ფრთხოების გულს მიფონებდა. ღმერთო ჩემო, რა მინდოდა, მას აქეთ სარდიონს წარსული მასთან მომევონებინა, რადგან რაღაც საიდუმლო ხმა ნიაღავ ჩამძახოდა: სარდიონს შენოვის მაინც და მაინც არა დაუშავებია რა! მას თითქოს რაღაც გაუწყვეტელი კავშირი ჰქონდა ჩემს არსებასთან, ის, თუ არ სისხლით, სულიერათ მაინც, დიდი ხანია, ნათესაობრივად იყო ჩემთან დაკავშირებული. მისი თანაგრძნობა მას აქეთ, მასთან ნაცნობობა თითქმის გაუწყვიტე, მუდამ ლანდივით უკან დამდევს.

დიდხანს იყო ამნაირ ფიქრებში გართული გულქან. ის ათვალიერებდა კონვერტს, ხან გადააბრუნებდა და დააცქერდებოდა ლუქზე გამოხატულ სარდიონის ლამაზ ვენზელს. ხან გაღმოაბრუნებდა და ერთხელ კიდევ წიგითხავდა აღრესს, თითქოს თან იჭვით უცქეროდა, თავის თავს ეკითხებოდა გონებაში, რამ აიძულა სარდიონი, ჩემთან წერილი მოეწერაო, თან თითქოს სიამოვნებდა, როცა დასცქეროდა სარდიონის ლამაზ გაკრულ ხელს. ამას უფრო იმიტომ უფიქრობ, რომ გულქანში ბოლოს ერთხელ კიდევ წაიკითხა ხმამაღლა ბარათის კონვერტზე ქართულად ზედწარწერა და წამოიძახა: „ნეტაი ამისთანა ლამაზი ხელი მე მჯონდესო“.

იმას არ ეჩქარებოდა დაბეჭდილი წერილის გახსნა. იილო, დადვა საპირფარეშო მაგიდაზე, თვითონ საჩქაროთ გაეშურა პირდასაბანათ და მოსართავათ, თითქოს უნდოდა დღესასწაულებრივ შეგენებოდა უცნაურ ხმას დაბეჭდილი ბარათისას.

VIII

გულქანი მოჰყეა ხელების ბანას რაღაც ზანტათ, თითქოს საპნის ქაფს ეთაშიაშებაო. ამ დროს მის გულში რაღაც უცნაურმა წინაგრძნობამ გაიღვიძა. მისი ფიქრი დაბეჭდილ ბარათზე იყო მიქცეული. რა უნდა ჰქონოდა სარდიონს მასთან სათქმელი?

„მე მიხეზი არა მიმიკია რა! იქნება ფიქრობს შუამავლათ დამაყენის თავის პოლკის უფროსთან? რა ჩემი საქმეა მისი გულისთვის პოლკის უფროსის თხოვნა! რომ კიდევ ვთხოვო, ან კი რას იფიქრებს? ნათესავი არაა და თითქმის ნაცნობობაც აღარ მაქვს! ჩვენ სახლში დიდი ხანია, რაც არ ყოფილა.“ ასეთ ფიქრებში იყო გართული გულქან, როცა ხელის ბანა გაათავა და კბილების ფერებს მოყვა სხვა და სხვა სუნნელოვანი წამლებით.

— რა მენაღელება,—განაგრძო ფიქრი გულქანმა,—თუ კი ჩემი თხოვნა გაჭრის, რათ უნდა დავამადლო. იქნება ჩემი შემწეობით ფეხი წალგას სამსახურში. კიდევ მიამება... არა, არა მჯერა, რომ იმან მე რამე ამისთანა მთხოვოს. ბარათი სულ სხვა ანგარიშით უნდა იყოს დაწერილი. ალბათ თავი უნდა იმარ-

თლოს ჩემთან წარსულ მოქმედებაში, იქნება თავის დანაშაულობა უნდა მონანიოს. მაგრამ ჩემთვის სულერთია, გინდ თავი იმართლოს, გინდა არა; მიკვირს რაში მოპრიანებია ჩემთან თავის გამართლება. რამდენ ახალგაზრდა ქალთან რამე დაუშავებია ისე, როგორც ჩემთან, განა ჟველას უნდა გამოუდგეს საბოდიშოთ?... მაგრამ მე მაინც მიამებოდა, რომ ჩემთან თავი, ეჭია მომდინარეობინა. ვერ წარმომიდგენია, რა ანგარიში უნდა ჰქონოდა, მაინც დამშარებულების მამიდაშვილობა რომ დიიოქვა. შესაძლებელია, ამით დიმალვა უნდოდა თავის საიდუმლო დამოკიდებულებისა მაიორშასთან. იქნება, ის სულ მაიორშასთვის მოდიოდა სასწავლებელში და სხვა, რომ ვერა მოიგონა რა, მიზეზს მე მადებდა, ვითომდა თავის მახლობელ ნათესავის სანახავათ მოდიოდა ხოლმე. მაიორშაც კაი ეშვაკი, გაქნილი ყოფილი, თუ ეს ასეა. მაგრამ, ასეც რომ ყოფილიყო, ჩემთან როგორ გაბედავდა ისე მოქცევას? ან თვითონ მაიორშა როგორ მიცემდა იმის ნებას, რომ თოთხმეტი წლის ახალგაზრდა ქალისთვის ეკოუნა და მოსიყვარულებოდა? პირველ ნახვაზედვე როგორ მომვარდებოდა ისე უტიფრათ... მაგრამ ესეც ხომ შეიძლებოდა, გაიორის თავისი გრძნობები ჩემგან დაემალა სარდიონის ამგვარი ქცევით? თუ ასეა, აბა ორივე საძაგლები ყოფილან და იმათი საძაგლობა მე არ შემეხება. ნამდვილით ასეც უნდა იყოს. ბოლოს ხმაც არ გავარდა ჩეენ სასწავლებელში, ვითომც მაიორშას ოთახში უდროვოთ დაიჭირეს სარდიონი და ეს შემთხვევა ყოფილიყოს იმის მიზეზი, რომ ლიდია პეტროვნა სხვა ქალაქში გადაიყვანეს. რამე საძაგლობა რომ არ იყოს სარდიონის მხრით ჩადენილი, კი არ შეიძლება. ნეტაი შემატყობინა, და კიდეც შევიტყობ, რაკი წიგნი მომწერა. კარგია, რომ ვიცოდე ჟველა ქაცების საძაგლობა.

ამ ფიქრებში გულქანმა გაათავა პირის ბანა და მორთვაც. მიეიდა საპირფარებო მაგიდასთან, აიღო სარდიონის წერილი და საჩქაროთ გახსნა, თითქმის ისწრაფოდა, მალე შეეტყო სარდიონის უსინდისობა, მაგრამ სათაურის წაკითხვისთანავე სახე დაუწითლდა; ის მოჰყეა მლელვარებით წერილის გადაკითხვას:

„ჩემო სიცოცხლის დამმწარებელო!

„მას აქეთ, რაც მე შენგან საყვედური მივიღე, დღე და ღამე ძილი აღარ მაქვს. მე შენთან მართლაც პირშავათ გამოვედი, და ეს არის, რომ მისპობს სიცოცხლეს. ლმერთიც არ დასჯის შენანებულს. გთხოვ, ჩემო მრისხანე ანგელოზო, თავი მამართლებინო. იმ დღეს აქეთ, რაც პირველათ დაგინახე მაიორშასთან, კოკობ ვარდათ გადაფურჩნული, ჩემი არსება ისე იწვის შენს წინაშე, როგორც ლვთისმშობლის წინ დანთებული სანთელი. მართალია, მოგატყუე, მე შენი მამიდაშვილი არ ვიყავი, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის. თვითონ მაიორშამ მირჩია, ასე მოვქცეული უავი, რაღვან იმას ჰსურდა თავის თავთან მივეპატიჲე, რომ დაწვრილებით შეეტყო ცხუმის ნაცნობების ამბავი და თუ არ მოეგონებია, რომ მე შენი ნათესავი ვიყავი, არ შეეძლო თავის ოთახში უცხო კაცი მიეღო. აბა, მე რას მოვიფიქრებდი, რომ იმ პირველ დანახვაზედვე გულში შენი

სიყვარულის ცეკხლი ჩემ დასაწეველათ გაჩდებოდა. იმას შემდეგ მე რო-
გორლა გავძლებდი ერთი კვირაც, რომ შენი ანგელოზებრივი უმანქო სა-
ხე არ მენახა და ცოტაც არის, არ დამენელებია ჩემ გულში მათებული
საკირე. მართალია, მას შემდეგ გატუჭებდი ყოველთვის, მაგრამ თუ არ
ასე მოტუჭებით, სხვა სამკურნალო მაღამო ჩემ დამზურებულს არ
ეშოვებოდა. ახლა შენ ხელთ არის შენდობაც და ჩემი ჩხრუტებულის დას-
ჯაც. მე უშენოთ ლმერობი ერთ წამსაც ნუ მაცოცხლოს. ვიცი, გულში
გადაჭრილი გაქვს ჩემი მოკველა. აბა, მე რათ ვიქნები შენი თანაგრძნობის-
ლირსი, მე, რომელსაც შენ ფეხთა მტვერათაც არ მიგაჩნია ჩემი თავი,
მაგრამ ჩემო ჯალათო, თუ გსურს უწყალოთ ჩემი სიკვდილი, შემიბრალე,
ცოტა ხანს კიდევ მალოც შენს წინაშე; ახლავე ნუ მესვრი მამაკვდინე-
ბელ ისარს ცივის უარისას. მართალია, უშენოთ ჩემი ცხოვრება ამ სოფ-
ლათ ნამდვილი ჯოჯოხეთია, მაგრამ საცა შენ ხარ, მაინც იქ ჯოჯოხე-
თი მირჩევნია სხვაგან ციურ სამოთხეს. მე შენგან უარს ვერ გადვიტან,
ესეც ვიცი, რომ შენ ჩემთვის გულში შებრალების ნატამალიც არ მოვე-
ძევება, მაგრამ განმეორებით გთხოვ, ახლავე ნუ განმიცხადებ მაგას, რად-
გან ვაცი, მაგის შემდეგ ჩემთვის სიცოცხლე სიცოცხლეთ აღარ ლირს და-
გულს დანა უნდა დავიცე. მაშ ცოტა ხანს მაინც მატარე საიმედო სიცო-
ცხლის ბურანში.

შენთვის მკვდარი სარდიონი:

— ჯერ ასეთი გულწრფელი სიტყვები ჩემ ყურს არ მოსმენია! — წამოი-
ძახა გულქანშა და წერილი გულის უბეში ჩიტვა. ამ დროს მოსამსახურე გო-
გო მოდგა კარებზე და მოახსენა:

— გამოგზავნილი კაცი იცდის, რა პასუხს შეუთვლით.

— წავიდეს, უთხარი, წერილი კნიაუნას გადავეცითქვა.

გოგო გატრიალდა. გულქან წამოწვა მისაწოლ დივანზე, ორივე ხელები
თავქვე იმოიდვა და თვალები ოთახის ჭერს მიაპყრო.

IX

ენით არ გამოითქმის ის იდუმალი ფიქრები, რაც გულქანს იმ წამს კო-
ნებაში აღეძრა. სახეზე ეტყობოდა, რომ მისი ბუნება ლრმათ იყო შერყეული
ათასნაირი ერთიმეორის წინააღმდეგი გრძნობით. გულქანს თვალშინ გაუცო-
ცხლდა ბულვარის სცენა, როცა მას და მაიორშას შეა იჯდა სარდიონ, მხია-
რული ამბებით ართობდა მაიორშას, თან ჩუმათ გულქანისთვის შამოეხვია
მარცხენა მკლავი და ხელის თითებს ნელ-ნელა აპარებდა ზეით-ზეით, ბოლოს
მის ახალ ათქვირებულ კოკრებს თითები რომ მიაკარა, უნებურათ მას ტანში
როგორ დაუარა ერთანტელმა, პირველათ კიდეც შეკრთა, მაგრამ მერე იფიქრა,
რა ვუყოთ ძამია სარდიონიაო. ამ მომენტს ახლა მისთვის სულ სწვა, უფრო
გულისმომტაცი ელფერი დაედვა. ასეთმა მოგონებამ გულში ტრტობის ელვა
გაუტარა და სარდიონის ლამიზი სახე სულ სხვაფრათ გაუცოცხლდა. მაშინ ეს
სახე, როგორც საყვარელ შამიდაშვილის, ისე იტაცებდა მის გულს, ახლა კი

მისთვის ორკეცათ უფრო ძვიროვასი შეიქნა, დარწმუნდა რა, რომ სარდიონი ყმაწვილობიდან მისი საიდუმლო მოტრიალე ყოფილიყო. მას ჩალაც ნაირათ აუჩვილდა გული ამ ძველ მოგონებაზე, ამოილო უბიდან დაკეცილი ბარათი, გადაშალა და ერთხანს ასე უცქეროდა, ალბათ მეორეთ კითხულობდა. ბოლოს მიიღვა ბარათი ტუჩხე და ცრემლის კუკური ზედ მარგაჭურებულ დაგვარულის წვიმა, რომელიც აპოხიერებდა მის გამჭისებულ, გამშრალ გულს. მისთვის ამ დროს სარდიონ შეიქნა უძვირფასეს არსებათ, რომლის გულისთვის ის მზათ იყო თავისი თავი და თავისი ოჯახი მსხვერპლათ შეეწირა.

როცა ტირილით იჯერა გული, ხელში ჩამუჭული სარდიონის ბარათი ისევ გადაშალა და მოჰყვა მესამეთ გადაკითხვას. მან მოიკრიფა ძალი და სურვა:

— აი ნამდვილი მოყვარული გული, რომელსაც ვეძებდი. მართალია, სარდიონი არ არის მამიჩემის ოჯახის შესატერი გვარიშვილი, მაგრამ ახლა საღლაა გვარიშვილობა? ეისაც დიდი ჩინი აქვს, ეინც კაი დამსახურებულია მთავრობასთან, გვარიშვილიც ის არის და დიდი კაციც ამ ქვეყნათ. მე მსურს იმის მხრებს ლენერლის ჯინჯილები აშვენებდენ, მისი გულმკერდი ჯვრებით და ვარსკვლავებით იყოს მოვარაყებული და კიდეც იქნება! ამის გულისთვის მე მას შეეწირავ ჩემ თავს. ოლონდ კი მისი სიყვარული არ დამეკარგოს... მაგრამ კაცები სანდობი კი არიან? — ამ ახირებულ კითხვაზე მას გაახსენდა ბევრი რამე მაიორშას ნალაპარაკევი. თვითონ მისი ალმზრდელი მაიორშაც ხომ სულ სხვანაირად უყურებდა კაცებს, იმათი მას არა სწამდა რა, ისინი მას მარტო სიამოვნების იარაღათ მიაჩნდა. და ამის გამო ცდილობდა ყოველი მოტრიფიალე ვარკაცი თავის ტყვეთ გაეხადნა. ის მუდამ სიკეკუცეზე, სინარნარეზე, თავის თვალტანადობაზე, ჩაცმა დახურვაზე და ეშჩზე ანდომებდა თავის შამოსავალს. რაღვან ეს ხერხი ნამდვილ საშუალებათ მიაჩნდა, რომ კაცები მუდამ მის ტრიფიალების გალიაში ყოლოდა, ჩამწყვდეული.

— ნუ თუ მეც ასე უნდა მოვექცე ჩემ სარდიონსო? — შეეკითხა გულში თავის თავს გულქანი. ეინ იცის, იქნება ეს გულტრიფელი მისი წერილი ჟინის მოსაკლავათ იყო დაწერილი, იქნება ეს ხერხიანი მახეც იყოს ჩემთვის დაგებული-შიგ გასაპმელათ? ან კი როგორ უნდა ვენდო მას ასე ადვილათ, როცა დღე ნიადაგ ვხედავ ამ აზრის დამამტკიცებელ საბუთებს, ის აფიცრები, ის სასამარლოს უმაღლესი მოხელენი, რომელთაც მუდამ ენაზე აქრავთ სიყვარული, რომელნიც ასე ეპირვერებიან თვითონ გუბერნატორის მეუღლეს, პირში ზეცამდის, აპყავთ ქება-დიდებით, სარგებლობენ მისი გავლენით და ბოლოს, ზურგს, უკან, მასვე ლანძლავენ და უზნეოს ეძახიან!..

— განა რაებს არ მელაპარაკებოდა თვით ლიზობლიუდოვი იმაზე! თავი მომიბეზრაო, ასეთი და ისეთი არისო..., მერე ამას შემდეგ რას წავაწყდი? მოსაგონებლადაც მეზარება... ეინ იცის, სარდიონი რა დამოკიდებულებაში იყო მაიორშასთან. არა, მე აგრე ადვილათ ვერ ვენდობი მის გულის წარმტაც გალობას! არა, იგრე არ იქნება! დაწვრილებით უნდა გამოეკითხო ყველაფერი.

ჯერ-ჯერობით გულ-ცივობას მაინც არ მოუშლი და თუ ნამდვილათ დავრწმუნდი მის უმანკოებაში, მაშინ მე ვიცი! — წამოიძახა გარდაწყვეტილებით და მარტათ ჩაიკმუჭნა ხელში სარდიონის ბარათი. მერე მივიღა საპირისარებლი მაგიდასთან, გააღო ერთი პაწია ყუთი, ჩადგა შიგ წერილი, დაკეტა და ~~გასალებილაში~~ პაწია მოოქრულ ვერცხლის პორტმანში ჩაიდგა.

ამ დროს შამოვიდა ოთახში დედა მისი და რომ შეხედა, ~~შესწერილი ცხვირის ნესტოები და თვალები დაწითლებული ჰქონდა, ცეკვით შეეცითხა:~~

— გვრიტო, გენაცვალე, ეგ რა ამბავია? თვალები რათ დაგიწითლებია, ხომ არ გიტირია?

გულქანი გაჩუმდა და პასუხი ვერა უთხრა რა დედას. ის გრძნობდა, რომ დაიკირეს და თავის მართლებასაც ვერ ახერხებდა.

ანასტასია ილარ ეჭვობდა, რომ მისი ქალი შეპყრობილი იყო გრაფ ლიზობლიუდოვის სიყვარულით და ცდილობდა ფრთხილათ გაეტარებინა სიტყვა-ამ საგანზე.

— რა შეენიერი თვალტანადია გრაფ ლიზობლიუდოვი! მე მაგისთანა-საყვარელი კაცი არც კი მინახავს. ჩემთან რომ მოვა, მოწიწებით ხელშე მაკო-ცებს, დამიჯდება და მემუსაიფება. ბევრი არა მესმისრა რუსულის ლაპარა-კისა, მარა იმდენს ეცდება, რომ რისიც თქმა უნდა, ყველაფერს გამავებინებს. გვრიტო ნუ მომიკვდება ისე შემიყვარდა, თითქოს ჩემი შეილი იყოს... ნეტამც-ლაგერში არ წასულიყო. უმისოთ აწ ჩეენი სალამ-სალამობით დროს გატარება აღარ იქნება... — დააბოლოვა ანასტასიამ და შეხედა თავას ქალს, უნდოდა შე-ეტკო, რა შთაბეჭდილებას გამოიწვევდა მასში შეყვარებულ კაცის სახელის გახ-სენება, მაგრამ ვერა შეამჩნია რა. იმან გაივლო გულში, ალბათ გულის პასუხს-მიმილავსო და მოუხშირა ლიზობლიუდოვის ქებას. გულქან მოთმინებიდან გა-მოვიდა და შეუტია დედას.

— ბერა დედა, გული შეაწუხე ამ დრაგუნის აფიცრის ქებით; მგონია, შე-ყვარებული ხარ.

— კი, შვილო; მე ის როგორც შვილი, ისე მიმაჩნია. გამოტეხით გეტა-ცი, იმისთანა საქმროს შენთეის ვერავის ვხედავ.

— მანამდის არა ჭამარა! — უკმეხათ შეუტია გულქანშა დედას.

— რატომ, შვილო? რათ ამბობ მაგას? დიდი გვარის კაცია, პირველი რუ-სეთის გრაფია. ეგ აქ დასაწინაურებლად გამოუგზავნიათ, მალე პოლკს მისცემენ, შეიძლება მთავარმართებელმაც თავის ადიუტანტათ გახადოს. ეს მე თვითონ გუბერნატორის ცოლისგან შევიტყვე.

— თუნდ თვითონ მთავარიართებლათაც გამხდარა, მე მისი დარდი არა მაქვს.

— უიმე, რამ აგიყარა გული, შვილო, იმაზე? მე გატყობდი, ძალიან სი-ყვარულით ექცევოდი?!. ისიც ხომ შენ ხსენების მეტს არას აკეთებს.

— დამანებე ჩემო დედიკო თავი, თუ გინდ, რომ არ გამაჯავრო. გთხოვ, მეორეთ იმაზე ლაპარაკს ნუ დამიწყებ! — უპასუხა გულქანშა გაცხარებით.

ანასტასია ძალიან ამრეზილი წამოდგა შეზე, გავიდა ოთახიდან და წალაპარაკა:

— შენ პატარაობიდანვე დედმამის ურჩი იყავი! შენგან ჭარვი არა გამოვარა, თვარა ამასაც დავინახავ!

X

ეროვნული

პეტრ ივანიჩ გაწერილია აღარ ხუმრობდა. იმას ქვიშანებულ ჰავისი აღსრულებითი ფურცლები სასამართლოს ბოჭაულისათვის გადაეცა და რევაზ ბაკურიძის სახლი თავისი ეზოთი, ვენახით, სახნავებით, ტყე-მინდერით და საბალახოებით, სულ ათას ხუთას დესეტინამდის საჯარო ვაჭრობისათვის აეწერა, მაგრამ ისე მოხერხებით და იღუმალათ, რომ ჯერ ეს ამბავი ხორციესხმულ, კაცს არ გაეგო. თვით ვაჭრობის დღეც ისე ხერხიანათ იყო დანიშნული, რომ პეტრ ივანიჩ გაწერილიას და მისი ნოქრის მეტი არავინ მისულიყო სავაჭროთ, ისიც ფორმის გულისთვის, რომ მოსამართლეს საბუთი არ ჰქონდა, ვაჭრობა გადაედვა.

რევაზმა არა იცოდა რა, მხოლოდ ის უკვირდა, რა ამბავია, რომ პეტრ ივანიჩმა ხასიათი გამოიცეალა და უწინდევლი მოწიწებით აღარ მექცევაო. ის აღარ ეკარებოდა რევაზს, რადგან რევაზ ბაკურიძის ყოველ მოქმედებაში გამოსჭვიოდა ძევლი უკადრისი მებატონის ხასიათი, მისი ჩაუგდებლობა, მისი ამაყი ქცევა. პეტრ ივანიჩ გაწერილიას ასეთი ქცევა აღარ ეპიტნავებოდა, რადგან თავისულ მებატონის ქონება ხელში ჩაიგდო და თავი შალლა აიღო.

— რაც მინდოდა, ხომ ავასრულე, — თქვა გულში პეტრ ივანიჩმა. — და ახლა სიფრთხილესაც თავი არ სტკივაო.

ერთ დღეს იმან აკრიფა მთელი თავისი დუქან-მაღაზია და გადავიდა შორს, ქალაქის მეორე კუთხეში, საღაც ადვილათ ვეღარ მისწვდებოდა სანისით რევაზის ოჯახი. ამასთანივე პეტრ ივანიჩს გამოცხადებულიც ჰქონდა, რომ ნისიათ არავის აძლევდა საქონელს. იმან ეს უფრო იმიტომ ჩაიდინა, რომ იცოდა, რევაზ ბაკურიძე მაღალ ადგილობრივ მთავრობასთან ძალიან დაახლოვებული იყო, სასამართლოს წევრები და სახელმწიფო მოხელეები, აგრეთვე თვით გუბერნატორი და მისი ხელქვეითი მოსამსახურეები რევაზ ბაკურიძის ოჯახში ხშირი სტუმრები იყვენ დროს გასატარებლათ. რომ რამე უსიამოვნობა ჩამოვარდნილიყო პეტრ ივანიჩსა და რევაზ ბაკურიძის შორის, ძალიან ადვილი შესაძლებელი იყო, რომ რევაზს გუბერნატორის და პოლიციელისტოის წყალბით პეტრ ივანიჩ გაწერილიასთვის სატუსაღოში ეკრი თავი ყოველ მაზეზის განუკითხავათ. თო, რა, მოწიწებით ეჭვეოდა რევაზს პეტრ ივანიჩი, სანამდის მისი მამული ჯერ საქვეყნო ვაჭრობით არ დარჩენოდა. მერე კი აუკრა უცემ, ცხოვრების საძირკველი სულ ერთბაშათ გამოიცვალა და საუკუნოებით მომდინარე დიდებული გვარის ყოფა-ცხოვრება მტკრათ აქცია.

სასამართლოში და ნატარიუსთან საქმეების გაკეთებას პეტრ ივანიჩ გაწერილიამ ნახევარ წელიწადზე მეტი მოანდომა. როცა რევაზ ბაკურიძის მამული კანონიერათ დაიმტკიცა, სამოსამართლო ბოჭაულთან მოილაპარაკა და ბაკურიანის სოფელში წაიყვანა. ძველი სასახლის ეზოში რომ შევიდენ, შიუკა მოურავი აივანზე იდგა. იმან შორიდან თვალი მოჰკრა ნაცნობ ბოჭაულს, მის გვერდით

პეტრ ივანიჩს. ამ გარემოებამ გულშე ჭრვავეთ უკბინა; ის ამ სტუმრობიდან კარგს არას მოელოდა. წინეთაც ბარე თრჯელ მოსულიყო ეს ბოქაული შამულის ასაწერათ; შიუკას შეუტყობინებია ხოლმე ბატონისთვის, მაგრამ რევაზს თითქოს ბუზიც არ აფრენოდეს.

— არაფერია! — იტყოდა ბატონი და უზრუნველათ გამოუშვევდა /პირი-
გან ყალიონის ბოლს. ერთხელ ისიც მოახსენა: ურარეს ულა

ბატონო, თქვენი ბაკურიანის შამული თავის სახლკარიზნა სული უზრუნველყო უკარ პეტრ ივანიჩს დარჩენიაო.

— არაფერია! — უპასუხა რევაზმა. — შენ მშვიდობით იყავი, მაშელს კარ-
გათ მოუარე და ღვინო და პური არ მოგვაკლოო.

მესამეთაც ამისთანა ნუგეშით გამოისტუმრა რევაზმა შიუკა. შიუკა მაინც ძალიან სწორდა თავის ბატონის უზომი ხარჯეას. თვითონ მას მოსუენება არ ჰქონდა პურ-ღვინის ზიდვით ქალაქში. უწინ რომ ბაკურიძის ბელლები და სა-
სიმინდეები სახურავებამდის ჭირნახულით სავსე იყო, ნამუშევარს ვერ იტევდენ
მათი კედლები, მუდამ ჭრიჭინებდენ, თითქოს გახეთქაზე არიანო, ახლა ნახე-
ვარი წელიწადიც არ გავიდოდა ხოლმე, რომ ზოგიერთ მის სასიმინდეების
კედლებში ჭირნახულის მაგიერათ ქარი ბზუოდა და ბელლების თვლებში ცარი-
ელი იატაკი ჩნდა.

XI

სასამართლოს ბოქაული და პეტრ ივანიჩი ცხენებით კიბეს მიაღენ, მათ
უკან მოყვებოდა იასაული, რომელსაც ცალ ხელში რალაც დავთორები ეჭრა და
მეორე ხელით ილვირს ხმარობდა, თან გახრევილ „ოჩირის“ ცხენს ქუსლებს ცემდა
და მუდამ იძახდა: აჩუ შე სამგლეო.

კისერ გახეხილი მერნით გათახსიერებული იასაული საცოდავი ყანყალით
უკან აღევნებოდა პატიოსან ცხენოსნების.

შიუკიმ საჯალაბო სახლისკენ ბძანებით მიაძახა:

— ბიჭებო, გამოდით, ცხენები ჩამოართვით!

ამ ხმაზე ორმა ახალგაზდა მოსამსახურები მოირბინა, ჩამოართვეს ცხენები
უცხო სტუმრებს და დააწყებინეს ეზოში ტარება.

სასამართლოს ბოქაული მარჯვეთ ავიდა კიბეზე წარბებ შეკრული, მას
უკან მიჰყვა პეტრ ივანიჩ გაწერილია ულვაშების გრეხით. ისინი დასხდენ აივ-
ნის ხარიხაზე, ბოქაულმა მოითხოვა საწერი მაგიდა, დადვა მაზე ოქმის წიგნი,
ვადაშალა და დაიწყო შივ ცემრა, თითქოს რალაცას ეძებდა, ამ დროს იასა-
ულმა საწერ-კალამი დაუდგა წინ ბოქაულს, რომელმაც საბოქაულო ერწევი ჩა-
მოიკიდა და შეეკითხა შიუკას:

ეს სასახლე, ესო, შენობები ხომ რეაზზ ბაკურიძის არისო.

— ლიახ, ბატონო. — უპასუხა რალაც გულდაუნდობლად მოურავეს.

სამოსამართლო ბოქაულმა აუწერა სათითაოთა და დაუსახელა ყველა მი-
შების ნაკვეთები, რაც კი რევაზ ბაკურიძის იყო ბაკურიანის სოფელში და
ბოლოს განუცხადა მოურავს, — სულ ეს ყოველ-ცხოვერება რევაზ ბაკურიძისა ეზო
სახლკარიანა და ყველა შენობებიანა საქვეეყნო ვაჭრობით პეტრ ივანიჩ გაწერი-

ლიას ვალში დარჩაო. ახლა ეს მამული ერთიანათ პეტრ ივანიჩმა სამართლიანათ დაიმტკიცა და მე ამას უნდა ჩავაბაროო, შენ კი, ოოგროვ დამსწრებ, ხელი უნდა მოაწეროო.

— იმე, ასე რავა იქნება, დიდი რევაზ ბაკურიძის მამული რავა უნდა ჩაბრდეს ვინცხა ვაკაოს? — გაკვირვებით და დაუჯერებული რაგი გადაქნევით წამოიძახა შიუკა მოურავდა.

— მე აქ სახუმროთ არ მოვსულვარ! მე ვარ სამრსაჭთლის ბოქაული და კანონის ძალით ვაცხადებ ამას!

— შენ არ მომიკვდე, ეგ არაფერი კანონი არ იყოს. რა განებაა?.. მაგას რავა დავიჯერებ, რომ დიდ რევაზ ბაკურიძეს თავის სამკვიდრებელი, მამაპაპი-სეული ჩამოართვან? რომ კიდეც, მართალი იყოს, მე მაგას არ დავიჯერებ, სანამდის ბატონს არ ენახავ და იმისგან არ შევიტყობ. მე, ბატონო, მისი ჭირი წამილია, იმის ადგილ-მამული ჩემ განკარგულების ქვეშ არის და თქვენც არ მომიკვდეთ, სხვის გადასაცემათ მე იმას აქ არ დავეყენებიო.

მე შენ რასაც გეუბნები, კანონის ძალით გეუბნები და კანონის სახელით გიბძანებ ახლავე პეტრ ივინიჩ გაწერილიას ჩააბარო.

— ვერა, ბატონო, ვერ მოვართვით. შენ არ მომიკვდე, მე მაგი არა ვქნა და ვერც არავინ გაბედავს მაგის თქმას, სანამდის დიდი რევაზ ბაკურიძე ცოცხალი მეყოლება.

— შენ აქ წინააღმდეგობას ნუ იჩენ, თვარა ოქმს შეგიდგენ და სისხლის სამართალში მიგცემ.

— სანამდი რევაზ ბაკურიძე ცოცხალი მეყოლება, მე მაგისთანა ფახი-ფუ-ხების არ მეშინია. ის კი არა, გირჩევთ, ახლავე მიბრძანდეთ იქითკენ, საიდა-ნაც მობძანებულხართ, თვარა ეს რომ რევაზ ბაკურიძემ შეიტყოს, ამის გუ-ლისთვის ტუჩებს არ დაგიკოცნისთ. ის კი არა, კაი პანლურსაც გჩანთავსთ და ისე მიგაბძანებსთ ორივეს.

— როგორ ბედავ შენ მაგას? მე შენ გიჩვენებ სეირს მაგ შეურაცყოფისა-თვის. იასაულო, ჩააგდე კიბეზე ეგ ვილაცა ბრიყვია.

იასაულმა გადახედა აივანზე და რომ დაინახა მამასახლისი და რამდენიმე მოსული კაცები, დამსწრებათ დაბარებულნი, გული მიეცა და დაუძახა:

— მამასახლისო, ამოდი და წაიყვანე აქედან ეს კაცი.

— როგორ თუ წამიყვანონ? შენ აქ კინ მოთრეულხარ, რომ ჩემი ბატონის სასახლეში ბძანებას აძლევ? დამეკარვე აქედან, სანამ სული კიდევ გიდგია! — მოჰკიდა მაგრა ხელი შიუკამ იასაულს და კიბეზე კინწიკვრით ჩაუშვა.

სამოსამართლო ბოქაული საშინლათ გაბრაზდა. მრისხანეთ უბქანა მამასა-ხლისს და ნაცვლებს, ეტაცნათ ხელი შიუკასთვის და კიბეზე ჩაეთრიათ. შიუკა კარგი ლონიერი კაცი იყო, დატრიალდა მუშტით თავისებურათ და სულ პანტა-სავით მირე-მორეკა მამასახლისი და მისი თანაშემწებები: ბარე თარიოდე სამოსა-მართლო ბოქაულის იასაულსაც წაადვა კისერში, წავიდა გაცხარებით საჯინი-ბოსკენ და თეითონ ბოქაულს დაემუქრა შემდეგი სიტყვებით:

— „დამაცალეთ, თქვენ ავაზაკებო, ახლავე გავთრინდები ქუთაისს დიდ რევაზ ბაკურიძესთან და ის გიჩვენებსთ თქვენ სეირს.

გულმოსულმა სასამართლოს ბოქაულმა შეუდგინა შიუკას წინააღმდეგობის ოქმი და იქ დამსწრებს ხელი მოაწერინა.

შიუკა შეჯდა ცხენზე, ერთი ცხენოსანი ბიჭიც თან გაიყოლია და გასწია კიშერისკენ მუქარით, დღესვე აქ გეახლება დიდი რევაზ ბაკურიძე და ენახოთ, თუ წინ დაუდგებითო. პეტრ ივანიჩმა პასუხათ ბრაწი მიაყოლა რა მიამარა.

— შენხელა ტალახში გაუგორდიო. აბა თუ გნებავს, ახლა ჩემი ამბევიც იყოთხეო; მე სოვედაგარი კი არა ვარ, მე გახლავარ ის პეტრიდება, ეჭველებული რომ დამამწყედიეთ და შიმშილით გინდოდათ მოგეკალით. ბეჭედი მასმიშმდგრა შენ და შენი ბატონი და გამისწორდით. დღეს მე გახლავარ დიდი რევაზ ბაკურიძის მემკვიდრე და შენ—ჩაპუტია ყაზახი შიუკელა. თქვენ მოინელეთ, შენ და ბატონმა ერთათ საწყალი მამაჩემი, დედაჩემი და ჩემი და... თქვენ არ იყავით, რომ ადგილ-მამული გამიპარტახეთ? დღეს კი ვიყარე ჯავრი თქვენზე! შენი ბატონის ადგილ-მამულს დავაძეხი და იქნება ხვალ შენც ჩამიგარდე კლანკებში. რე გახლავარ პეტრიელა კვესაძე, მე გახლავარ თქვენი ამკლები.

ამ სიტყვებზე შიუკას ენა ჩაუვარდა, შეტი ხმი აღარ გაუცია, უკანაც აღარ ჰოუხეჭავს, იმან სიჩქაროთ ჰერი ქუსლი ცხენს და მოეფარა პატარია ტყეს, რომელიც საქარეთ ჰერინდა შემოვლებული განიერ ბაკურიძის ეზო-მიდამოს.

ამ დროს კარგა ძალი გლეხობა მოგროვდა სასახლესთან, სულ ბაკურიძის ნაყმევები და ყველას რაღაც სიამოვნების ნათელი დადგომოდა პირის სახეზე. იმათ სითითავოთ მოჰქონდათ ხონჩებით მოსაკითხები პეტრ ივანიჩთან, რომელიც ჩამდგარიყო მათ ზორის და ყველას ხელს ართმევდა. ზოგი მათვანი, როგორც ნათესავი, პირს ჰერცინიდა პეტრ ივანიჩს და სიყვარულ-პატივისცემის ნიშნათ თავზე ხელს ავლებდა, ვითომც უნდოდა ეთქვა, „შენ შემოვევლოს ჩვენი სიკოცხლე, რომ ჩვენი ნაბატონარის გულისჯავრი ამოგვყარეთ.“ პეტრ ივანიჩმა გამოუცხადა, რომ ვისაც ჰერცინი საყანები, შეეძლო სამეცნიეროთ აელო, მაშინ როდესაც შიუკა სამესამედოთაც არავის აძლევდა. ამას გარდა იმან გამოუცხადა, აძიერიდან ბატონს ტყის ფულს ნუღარ აძლევთო და რაც მასალა დაგჭირდეთ, ჩემი ტყიდან გაიტანეთ მის ნახევარ ფასათ, რასაც რევაზ ბაკურიძეს აძლევდით. კიდევ დაპირდა პეტრ ივანიჩი, მალე შეკოლას ჩემ ხარჯზე გაგიკეთებთ, რომ შვილებს ქართულ-რუსული წერაკითხვა გისწივლებინოთ და ანგარიშიც. იქნება იმათმაც ჩემსავით ვაჭრობაში იხეირონ და გამდიდრდენო, რადგან სწავლა ძალიან დაეხმარებათ ამისთანა საქმეში.

— ლმერთმა დიდი დღე მოგცეს, ბატონო პეტრე, ლმერთი დიდია, ვენაცვალე მის სახელს და მის სამართალს. მართალ კაცს ის არ დაავდებს. რავარც მართალი კაცი იყო მამა შენი, ისე კიდეც გამოსვლიხარ მავისთანა კეუიანი და მდიდარი,— დაუმატა ერთმა მოხუცებულმა გლეხმა, რომელსაც მამა მისისეული ადგილ-მამული ეჭირა.

სასამართლო ბოქაულში იქვე მიირთვა კარგი საღილი, გლეხებისაგან ძლვნათ მორთმეული მამასახლისის ბრძანებით, ზოგი პეტრ ივანიჩისაგანაც იყო შეკვეთილი. სიღილს უკან სამოსამართლო ბოქაულმა ცოტა მოისვენა და შემდეგ ქალაქისაკენ დაბრუნდა, პეტრ ივანიჩი კი იქ დარჩა ბაკურიანის გარემოს და თავის ახალ შეძენილი ადგილ-მამულის დასათვალიერებლათ.

შემდეგი იქნება.



* * *

შენ უწყი ერთმა: არა მისთვის შემყვარებია
ჩემი ბრძლვიალა ახალგაზრდობა,
რომ მშრომელთა მგოსანი გარ: — წილში მრგებია
ბრძოლის შემდეგ სიმღერა და დარდიმანდობა.

არა მისთვის თვალნი ჩემი, მარად მცინარი,
კაშკაშობაში ვარსკვლავთ ებმიან....
რომ ხომალდებს, გემებს ჩვენსას, ოდეს მძვინვარეს,
დღეს ნავთსადგურის მდორე წყლებში ჩასძინებია. ■

ას ტომიანი სამშობლო მხარე,
უზარმაზარ შრომის ყდაში მტკიცედ ჩავკანეთ.
ჩემს მინდორზე, შენს ოთახში შინა და გარეთ
კარისკაცით ჩვენი მკლავი გადავაგზავნეთ.

მხარში მიდგას ბერკეტივით ოცდა-სამი წლის
ჯანი და.... როგორც ოცდა-სამი კაცი ხმაურობს.

ვერც-ერთ უბრალო ახალ ქედლის წინ,
ვერ მიხილონ უსიმღეროთ, უსიხარულოთ.

შველაფერი... წყალნიც, მთანიც, რომელთ ემჩნევა
გამხრწნელი ხელი მრავალ თაობის,
ჩემს ცხოველ სმენას, თვალთა-ხედვას ჩემსას ეძლევა,
პირვანდელი, ხელ-უხლებელ მდგომარეობით.

და მაშინაც, თუ ოდესმე ვერანა წლები
დაანიავებს ჩემსა სიმღერებს,
ოდეს რითმის გალიიდან მკაცრი ხელები
უნიათო ბულბულივით გადმომიღებენ....

თუ თითებიც საკენკავათ, მარცვლების ნაცვლათ,
საანგარიშო ჩოთქს მოახტება—
მაინც დავრჩები მე ისეთ კაცათ,
ყოველ ვარსკვლავზე რომ გაოცდება.



თანამედროვე პოეტებისადმი გიფხურილი

ჩვენი აკვანი
მაისის დღეა
და შეე ცხუნარე
ლექსის სათავე.
თქვენ მოგაქვთ გული
ცასაცით ღია,
მე სიყვარული
და სისადავე.
ჩვენ ერთნაირი
გზებით მოველით
და ერთი მიწა
მოვვუა ფესვებად...
მე ამ მაღლიან
მიწის ყოველი
სუნთქვა მივლის
და მეალერსება.
და პატიოსან კაცობას
ვფიცავ,
ახლა, სოფელში
როცა ვიყავი,—
მუხლ-მოკვეთილი
დავემხე მიწას
და თვალზე ცრემლი
ვერ შევიკავე.
რა ვქნა,
მზე გულით მომიტანია
და ცა მშობელი
უფრო მალალებს.

როცა მიუყვები
მინდვრებს ყანიანს,
როგორც ირემი
მოიალე!..



ბევრჯერ ვიფიქრე:
ჩვენ შორის ეხლა
რათ უნდა იყოს
ორი ბანაკი!
რათ უნდა გვქონდეს
ბრძოლა და შეხლა—
თუ კი ვართ მართლა
ძმა, ამხანაგი!..
თუ კი ერთ ფესვზე
ვართ ამოსული,
როგორც ჭალაში სადმე
ჩინარი.
და ერთი ლამით
იყო მოცული
ჩვენი ცხოვრება
გაუცინარი!..
ნუ თუ იმისთვის
გავმართოთ ბრძოლა,
რომ ქვეყანაზე
მოველ გლეხურად...
და როცა თქვენ აქ
აღნობდით ფოლადს,—
მე მთაზე მწყემსის
თექა მეხურა!.
მერე რა ვუყოთ,
ზოგჯერ თუ კვნესის
როცა ბრძოლაში
გული იძლევა!
როცა გულიდან
წუხილი გესმის—
მაშინ სიმღერა
არ შეიძლება!
პო და, ცხოვრებას
ბევრი აქვს კიდევ

ნაკლი და მხარე
დასაწუნარი.
და მე გულგაშლით
ვიმღერებ კიდეც,
ვიდრე მექნება
მღერის უნარი!...



აი ამ ბარათს
სოფლიდან ვწერავ
დლიურ ნალველით
• შეუწუხები,
სადაც განგებამ
და ბედის წერამ
სულში ჩამიდგეს
მზე და მუხები...
აი აქ ჩემს წინ
შრიალებს ვერხვი,
მალლა ქედიდან
დამკერს ჩინარი...
და ამბებს მკითხავს
მოხუცი გლეხი:
მაგარი. მშეიდა
და უწყინარი.
იჭვე კი ქოხის
ეზოში დინჯად
გადმოდგა
როგორც ხარი ირემი
და მოლერებულ
შაშხანას სინჯავს
სოფლელი ბიჭი
კომკავშირელი.
ვუცემ ორივეს
და მიხარიან,
მათში სიცოცხლის
მიზანი ვიცან!
ერთში ამტკიცდარი
გიერ ქარია—
და მეორეში
მშობელი მიწა.

ვუცქერ ორივეს
 და გულს ფარული
 ბედნიერები
 ავსებს და ორჩენს:
 თქვენ ქალაქები
 ცეცხლ-შეპარული
 და მე მზიანი
 სოფელი დამრჩეს!



ქედს რო უხრიდა
 ქვეყნის მეუფეს,—
 დღეს ის სოფელი
 ნუ გეგონებათ!
 აქ ეხლა სახნის
 ცეცხლი შეუბეს
 და ოლარ არი
 ხალხი მონებათ.
 და სადაც სისხლის
 წყარო სდიოდა
 წმინდა გიორგის
 საკლავ კურატებს,—
 სიტყვებს ისმენენ
 დღეს რადიოდან
 და აჩვენებენ
 კინო-სურათებს!.
 მაგრამ რა უუყო
 საწყალ დედახებს,
 ვერ მოიშალა
 დღემდე ვოდება!
 ყოველ საღამოს
 ანთებს. ზედაშეს
 და ქვეყნის მხსნელად
 ღმერთს ელოდება.
 და როცა გვალვით
 იწვება ველი,
 ის ხატან ჩუმად
 გალობს დიდებას,
 და სწამს:
 უხილავ, მაღლიან ზელით
 ცაზე ღრუბლები

დაეკიდება.
 რა ვქნა,
 დედა რომ თავს შემაბრალებს,
 გული აუხსნელ
 დარღით ლონდება...
 თვალს გადავავლებ:
 კლდეებს, ნაპრალებს
 და ჩემი გზები
 მომავონდება...
 —



არავინ არის
 ძმურად გაენდო.
 ცაზე ღრუბლები
 ისევ დადიან!
 რაც ქვეყნიური
 ცეცხლი დაენთო,
 აი თერთმეტი
 წელიწადია.
 რაც ქვეყნიურმა
 ცეცხლმა იალა—
 რამდენს სიცოცხლე
 მოესპონ ნორჩად!
 და რაოდენი
 გულის იარა
 გახარებული
 იმედით მორჩა!..
 და როცა ეითვლი
 დალუპულ გმირებს,
 ამლვრეულ თვალებს
 ცრემლი ერევა.
 ხვალ კი ამ სევდას
 გამოიტირებს
 ახალი ქვეყნის
 ბედნიერება...
 ხვალ კი
 გრიგოლი წაილებს ბურანს—
 ჩვენი მიზნების
 წინ რომ ირევა...

და მოგვიხდება
პოეტებს ძმურად
ქველი ცხოვრების
გამოტირება...



— — —

ძმებო,
მომეცით გულით ზიარად.
აი ეს ჩემი
სუვდის სათავე.
რომელიც მომყვა
როგორც იარა—
პოეზიაში
მოსვლისათავე...
რომელმაც მომდო
ლვედები მავრა.
რადგან ეს მიწა
ჩემი ლვიძლია.
ბევრჯელ დავტოვე სამშობლო,
მაგრამ
რა ვჭია, რომ ვერსად
ვერ გამიძლია!..
ბევრჯელ გადაველ
უცხოეთს მაყრად
და გზა დავიგე
დალესტანამდე,
მაგრამ სიცოცხლე
ნახევრად ჩაქრა,
თითქოს ხანჯალი
დამკეს ტარამდე...
და როცა ლეცხლის
სიზმარი ახდა
და ჩემი ქვეყნის
გულსაც უწია,—
სამშობლოდ ჩემთვის
გრიგალი გიხდა
და მზეთ ამენთო
რევოლიუცია!..

ბევრი დამძრახავს.
 თქვენმიც იქნება
 ბევრმა მინახოს
 მოსაწყინარი,
 მავრამ
 ძნელია გზების მიგნება
 და ჯერ ბრძოლები
 კიდევ წინ არი!
 ჩვენში ბევრია
 ჰაერის გუდა,
 უკრავს და უშნო
 ლექსებს იძლევა...
 როგორც წუხილი
 არ ვარგა მუდამ,
 მუდამ სიმღერაც
 არ შეიძლება:
 ვო და ჩვენს გზაზე
 ბევრია კიდევ
 ნაკლი და შხარე
 დასაწუნარი...
 და ჩე გულგაშლით
 ვიმღერებ კიდევ —
 ვიდრე მექნება
 მღერის უნარი!...



1928—VIII



ტ ე ი ს ძ მ ე ბ ი

1905 წ. მოძრაობიდან

კარი პირველი

I

იყო ზაფხული. გურიის სოფლებს
აფერადებდა ყანა-ბაღები.
ნიავი ნაზათ არხევდა ფოთლებს,
ცვართა თვალებში ენთნენ ჭალები.
და სეირეთის ქოჩორა სერზე
გადმომდგარიყო მზე—ცის ისული
და თვალთა ელვას აფერებედა ჩქერზე
და წინ ეფინა ნოხი სპარსული.
ყველა შრომობდა. შხოლოდ ინდრია
გამალებული, როგორც მეკობრე,
დადიოდა და ლილა აღრიან
ეობოვებოდა ნაცნობ-მეგობრებს.
მაგრამ თინასას მივიდა როცა,
სულ სხვა განცდების დააწვა ნისლი;
გადაავიწყდა მიზანიც, დროცა
და აუდულდა ძარღვებში სისხლი.
ალვიჭდა თინაც, ვით მზეზე ყანა,
ესროლა თვალნი ელვის ჩქერებით,
და მოაგონდათ—ბაეშობის ხანა
და ლაფაროში ჯვარის წერები.
მათ სულში ვიღაც დადგა ქადაგათ,
*გაპერა უცცრად გრძნობის ტალკვესი.
მან ორი გული ცეცხლით დადალა
და განშორებით ააესო კვნესით.
ჯერ არ უცდიათ ამგვარი გრძნობა

და, როგორც მუნჯებს, დაებათ ენა.
ასეა მუდამ, როდესაც ტრფობა
გაუვლის ნორჩ გულს ელექტროდენათ.

II

ყბაწვილი იყო ჯერ ისევ ანდრო,
მაგრამ მრავალი ტანჯვის შნახველი.
უმუხთლა ბედმა: დაობლდა ადრე,
არც კი ახსოვდა მამის სახელი.
ადრე შეება შრომის უღელზი
და დაათრევდა იმ მძიმე ჭაპანს.
სულს უხუთავდა ყოფა უხეში
და ემდუროდა ცხოვრებას ჯაბანს.
შრომობდა მუდამ, მაგრამ ნაყოფი
არარაობას უდრიდა ხშირად:
არ მოდიოდა მჭადი საყოფი
და იდგა ასე უფსკრულის პირად.
მოთხოვნილება კი მატულობდა
კარებზე უდგა ყოვილ დღეს გზირი,—
ხედავდა ამას და ნატრულობდა
ერთი დღე მაინც ენახა ტკბილი.
და გადასწყვიტა გასცლოდა სოფელს;
ქალაქთან შეკრა კავშირი, ზავი:
ეწვია თბილისს, ვით დედას მშობელს
და მას ჩაუდეა კალთაში თავი.

III

ჯერ არ ენახა ანდროს ქალაქი,
მისი ცხოვრება დაუდგრომელი,
დიდი ქარხნები, მურით ნალაქი,
და ათასობით ერთად მშრომელი;
ელსადგურები და მანქანები,
ავტომობილი—ფრენით რო მოდის,
გაშლილი ქუჩი და გაქანება
ელვის სისწრაფით მისზე რონოდის;
სასახლეები უზარმაშარი,
ქალაქის ხალხთა ჭრელი ფენები,
აურზაურით სავსე ბაზარი,
დრამა, ოპერა, გამოცენები...
და მოიხიბლა უმანკო სული...
მაგრამ დროებით. გაპტერინდა უამი:



ქალაქის ყოფაც გაიცნო სრულათ
და სული ისევ აევსო შხაშით.
და შეეკედლა მუშათა უბანს
ნაძალადევში დაიდვა აინა
და ბრძოლის ცეცხლის ამ უშარეტ ვულკანს კრატერაზე
მიანდო გული—ჯერ წმინდა ბინა.



IV

ნაძალადევი, კუთხე პატარა,
მაგრამ ფოლადის მტკიცე კეშელი,
წლები ბრძოლაში რომ გაატარა,—
ოცვოლუცის არის მცედელი!
ის კავკასიის უოველ კუთხეში
ანთებდა კოცონს მფეთქავ ალებათ,
რომ დაებუგა ძალა უხეში,
როგორც სიკვდილი, ყრუ და თავწება.
იყო უტეხი და ვერ აკრთობდა
ციხე, ციმბირი, ცეცხლი და ტყვია
და გულზე, მტერი შუბს რომ ასობდა,
ძველი ვრილობა ახლაც ატყვია.
ფოლადის სული და რკინის ნება
გადმოუციათ მისთვის მანქანებს,
და ვლექტრონის უშრეტი გზნება
უვლის ძარღვებში და მიაქანებს!
დროზე ზეიმიც იცის უბადლო,
დროზე ყუმბარის ახმაურებაც,
და, თუ ეწვია მტერი უმადლო,
შორით დაუწყებს განა ყურებას?..
ნაძალადევო! შენი სახელი
რეცვოლუციას ლრმად აწერია;
შენ უკვდავების მთაზე ახველი
და შენს დიდებას ჰველგან შლერიან!

V

იმ სად იყო ჩვენი ანდრია
და ვის ქურაში გამოიჭედა.
ტოლ-აშხანაგთან ტკბილს და ყადრიანს,
მტერი ჯაჭვითაც ველარ იჭერდა.
ლლით —ქარხანაში, ლამით — ქრებაზე,
ეს იყო მისი წმინდა მიზანი;
სულ ოცნებობდა ახალ მცენებაზე

და მაღლეც გახდა მისი მისანი.
 დაუკავშირდა შრომის მსოფლიოს
 და წითელ დროშას, ალფის ტანიანს,
 და უგზავნიდა ალერსს მშობლიურს
 საერთშორისო პროლეტარიატს:
 „ვერ სკრის შენს სახელს შავი ლაქები,
 გიცვარს ბრძოლა და სიმტკიცეც გყოლნის;
 ხარ და იქნები მუდამ საქები
 და მესვეური ახალი ყოფის!
 სულის სიმაგრე ჰქონები რეინაში
 და შეისწავლე ენა ფოლადის...
 გამოცდას იჭერ ქვეყნის წინაშე:
 გადააკარბე კიდეც მოლოდინს!
 შენზე ამხედრდა ქვეყანა ძველი,
 უნდა მოგგრიხოს თავის ნებაზე;
 მაგრამ ხარ მტკიცე, ვით მუხის ძელი
 და მიგაქვს მტერთან ვნება ვნებაზე!
 შესაძლებლობა დიდია შენზი,
 დნება შენს ხელში ყველა სიავე:
 ბევრი გვირგვინი ჩაყარე ცეცხლში
 და ბევრი კერპი გაანიავე!
 ამირან! დიდხანს იყავ დაბმული,
 თავზე გეყარა შავფიქრთა ზვავი;
 დღეს ბრძოლაში ხარ მედგრათ ჩიბმული,
 მოგაქვს ქვეყნისთვის: პური და ზავი!!!



VI

თინაც ხშირად სწერდა წერილებს
 და უგზავნიდა სხვადასხვა წიგნებს
 ახალ აზრებით გადაფერილებს,
 სადაც გონება სიმართლეს იგნებს
 და თანაც ხარბათ ეწაფებოდა,
 ეხილებოდა თანდათან თვალი,
 და ანდროს მოსულას ესწრაფებოდა,
 რომ შემდეგ ერთად დაენთოთ ალი.
 სწერდა: „ქალაქი, ვიცი, კარგია
 და იქ ცხოვრება სახარწიელო,
 მაგრამ ბნელ სოფელს ეს რას არვია,
 აბა მითხარი, ჩემო ჯიელო?
 იქ სხვებიც კმარა. შენ აქ ჩამოდი

და მიუეშველოთ ხალხს ბნელში მყოფელს:
ახალი ყოფის მზე რომ ამოდის,
მის ღიღებაზე ვინ უთხრას სოფელს? —
და თინას იგიც ეთანხმებოდა,
სოფლისკენ ჰქონდა მას ფიქრთი რაში, უკრაინული
მაგრამ ჯერ გული ეთანლოებოდა: ტერებულება
საკმაო ღონეს ვერ გრძნობდა მკლავში.

VII

გავიდა ხანი. ანდროც მომწიფედა.
კვლავ დაუბრუნდა მშობელ სეირეთს.
ტანჯულ ხალხს თვალზე ცრემლი მოწმინდა
და შეაჩერა ბრძოლის სეირებს.
ხშირად მის თავზე მტრის რისხვა წვიმდა,
მაგრამ სიმტკიცე ედგა თალებათ.
ძალას მატებდა მიზანი წმინდა
და უერ აკრთობდა მსხვერპლის გაღება.
ბათუმის ძმებთან შეკრა კავშირი,
დაბებს და სოფლებს ერთად ქსელავდენ.
ჰქონდათ კრებები ფართო და ხშირი
და ბოროტებას ძირში სცელავდენ.
თუ რა კრებები იმართებოდა,
ან რიგდებოდა რა თაფლ-შაქარი,
მით ხალხი როგორ ინათლებოდა —
იმის ნიმუშიც აი აქ არი.

VIII

ლამე. ტყე მთვარით განათებული.
ირგვლივ დუმილი და გაყუჩება.
ზღვა ხალხი, რწმენით გამართლებული,
და გულთა ცემა მძლე ჩაქუჩებათ.
მალლობი, მასზე ანდროს ქანდაკი
და ცეცხლის სიტყვა: „ამხანაგებო!
თვითმშეწობელობა, შჭლე და ლატაკი,
აღარ გვასვენებს ამ ხანად, ძხებო!
რა უნდა ჩვენგან, რომ არ გვეშვება?
ჩვენ ვითხოვთ მიწას, თავისუფლებას,
ის კი ილესავს კბილებს ეშვებათ
და გვეუბნება: აი უფლება!
ამხანაგებო! სოფელ-ქალაქი,
სრა-სასახლენი, თუ მანქანები,
ნაყოფი არის შრომის ბარაქის,



შაგრამ სხვა უფლობს... ოა მანქანებით?!
 ის ჩვენ გვეკუთვნის და სხვას კი რჩება,
 იშენებს კოშკებს ბროლ-მარჯნებიდან;
 ჩვენ კი გვაყრია ეს კონკი ჩვრებათ:
 გვიცქერს სიშიშვლე მის ფანჯრებიდან!
 რად არის ასე, ყველა ჩვენ გვაზის:
 მეფე, ბურუუა, მლვდელი და ბერი?
 ლხინობენ: მოვლა ჩვენია ვაზის,
 წვენი კი—მათი, ლალით ნაფერი!
 ჩვენ ვაძლევთ მუშას, ჩვენ ვაძლევთ მხედარს
 და სანოვაგრით ვუვსებთ მათლაფებს.
 ნაცვლად რას ვიღებთ?—უსახო ცნედარს,
 დევნას, წამებას, ციხეს, მათრახებს!
 ამხანაბებო! კმარა მონება!
 როდემდე უნდა ვებათ ულელში?
 დროა შეიგნოს კაცის გონებაშ,
 რომ ბრძოლაშია ხსნა და ნუგეში!
 ძირს მეფე, ყველა მუქთახორები!
 დიდება შრომას, უმანკოს, წმინდას!
 დევ გაიგონ არ ვართ ლორები,
 კაცებს ცხოვრებაც კაცური გვინდა!“
 და ეს სიტყვები ცეცხლის ალივით
 სახლიდან სახლში გადადიოდა
 და ინახავდენ გულში ლალივით
 და ნაკვერჩხალი მუდამ ლვიოდა.
 და ხალხმაც ძალა იიღო ხელში,
 გადევნა ყველა მუქთახორები.
 და სამართალი წყდებოდა ვეღში
 სადათ, უბრალოთ, კენჭის გორებით.



კარი მეორე

I

ერთობის მადლი შვენია სოფელს.
 ზეიმობს ხალხი არავის სძინავს:
 მათ მოამაგეს და კეთილ-მყოფელს
 დლეს ქორწილი აქვს ანდროს და თინას.
 ფერადობს სუფრა. ხელიდან ხელში
 გადადის ყანწი და აზარფეშა.
 ჰქვნესის დუდუკი და მის მწვევლ ხმებში
 სადლეგრძელოსთან არ სცხრება ვაშა.

მრავალეამიერს მაყრული მოსდევს,
მას კი — ლეკური და მკვირცხლი ტაში.
გადმოფრინდება ჭაბუკი მოლზე
და წრეს იკეთებს, ირჩევა ტანში.
მოპქრის მზექალაც და გიშრის თვალით
მოაფრქვევს ცეცხლს და ელვის ნაპერწკლებს;
ერთი-მეორეს იჭერენ რყალით
და აღვივებენ გულში ნაკვერჩხლებს.
სრიალებს ცეხი. შრიალებს კაბა.
ელვის სიჩქარით მოძრაობს წელი...
ჩუ! ავერ ვაუი გადახტა ცქაფათ,
რომ გავარდნილი შეიპყრას შველი;
მაგრამ მკლავის ქვემ გაუძვრა გველი
და არემარე ვაშამ დაპფარა.
რა ქნას ჭაბუკმა? სირცხვილით ხელი
გადდგა და მორცხვათ თავი დაპხარა.
ახლა სხვა მოდის: ადგილი ძველის
რომ დაიკაოს და სცადოს ბედი...
იქ კი, სუფრაზე, ულერს თარი მწველი
და ყელ-მოლერით რაკრაკებს გედი.
ლხინია, ლხინი! თამადობს დვალი,
შვენის ყანწები, სავსე ლალებით,
და დედოფალი, სიამით მთვრალი,
ესაუბრება ნეფეს თვალებით.
და უცებ... ოოფი თოფზე გავირდა,
საშინელებამ გაშალა ფრთები,
და უმალლესი ალი ავარდა
და გაანათა გურიის მთები.



II

„ამხანავებო! ქვლავ გვეწვია მოსისხლე მტერი,—
შესძახა ანდრომ,— რომ ჩაგვჭედოს ისევ ხუნდებში,
მოგვხაროს წელში, თვალებიდან გვადინოს ჩქერი
და სისხლის ნაცვლად, ჩაგვიყენოს წყალი კუნთებში!
ჩვენ ცოტანი ვართ და მტერი კი ათასჯერ ბევრი,
მაგრამ დავნებდეთ? ეს იქნება ცოცხლად სიკვდილი!
უკეთესია რომ ჩვენს თავზე მობრუნდეს კევრი,
ვიდრე ვიგემოთ დამარცხება და ეგ სირცხვილი!
გადუჭრათ გზები იქ, სადაც მტერს არა აქვს ეჭვი...
— მსხვერპლი?

— უმსხვერპლოთ გამარჯვება ვერვინ იხილოს!
 ვინც მცურიეთ, ხამს გადაჭრას მორევი ბეჭით!
 ვინც მებრძოლია, არწივივით უნდა იყივლოს!
 ის უნდა იყოს ტარიელი, ან გარიბალდი,
 განსაცდელის წინ ვინც არ იცის უკან დახევა! 

მხოლოდ მას ხვდება გამარჯვების უქნობი ვარდი, ამაგრესა
 ან — მკლე სიკვდილის სამუდაშოთ გულში ჩახვევა!

ასეც არ იყოს, არ გვაძვს ნება — ვიძცეთ ლაჩრებათ,
 დავტოვოთ ხალხი, შევეფაროთ უმაღლეს ქედებს!...

თუ დავმარცხდებით, ჩვენზე ხსოვნა მაინც დარჩება
 და მომავალი გაგვაცოცხლებს, გაგვალეგენდებს!

მაშ, იარაღში, ვინც არა ხირთ ხალხის ორგული!

დრო საშურია, დაყოვნება არ შეიძლება:

როს მტერი გვიწვევს, დე შეტევაც იყოს ორბული!

წყეულიმც იყოს, საფრთხის წუთში ვინც შეიცვლება!

ხომ ხედავთ თვალით, — როგორ იწვის ჩვენი სოფლები?

ხომ გესმით ყურით — ვით წივიან იქ ქვრივ-ობლები?

ჩვენსკენ იწვლიან, განშირულნი უმწეო ხელებს

და ჩვენც ვისწრაფოთ, გზი მოუჭრათ მოსეულ მგელებს!“

და მიაშურეს ნასაკირალს, რომ შეკრინ გზები,

ან იხსნან ხალხი, ან მინდორი მოკენჭონ ძვლებით.

თინაც აქ არის და უხდება ტანზე ჩაქურა!

იმის სახეზე სიმამაცე გამოსახულა!

ქალო, ლამაზო, ასე კოხტათ თავს ვინ დაგხურა
 ვაჟკაცის ქუდი — ეგ სიმტკრცე ჯერ არ ნახული?!

III

გამოჩნდა მტერიც თოფით, ზარბაზნით...

მოღიან ცხენთა ნელი ტარებით

და მოუთხრობენ ურთერთს ხანდაზმით:—

ხანჯლის ტარიმდე გულში ტარებით

როგორ ასწავლეს ჭკუა გურულებს,

ან ვით ბუგავდენ ნალიებს, სახლებს,

ან ვით აგლეჯდენ ქალებს კულულებს,

სკრიდენ ძუძუებს, აძლებდენ ძალლებს...

და ამ დროს უკებ იფეთქა ბომბამ

და მასთან ერთად თოფიც გივარდა

და მტრის წყობებში გაჩენის გმობამ

ქარის სიჩქარით გაინავარდა.

ჯერ შეკრთა მტერი, ეცვალა ფერი,

მაგრამ გონის მაინც მოეგო ბოლოს,

რერნალი „მნათობი“ № 8—9

ეკვეთი დამხდურს ცხენების ფრენით,
რომ ერთი დაკვრით მოყლო ბოლო.
გაჩალდა ბრძოლა. გამხეცდა მტერი.
ამოძრავა მთელი ძალები.

ცვიფა ტყვიები, ვით მიწის მტვერი,
და აფსევს ღამეს კვნესით, წვალებით.
ანდროს რაზმიცა იბრძვის მამაცათ,
გაბედულება შვენის მამათა!
მაგრამ როდესაც ერთსა გცემს ასი,
მაშინ გმირობას სადა აქვს ფასი?!



IV

უკვე გათენდა. გათავდა ბოძოლა.
გამარჯვებული სდგას ახლა მტერი,
მაგრამ ნახული შიში და ძრწოლა
ჯერ კელავ იმონებს და ველარ მღერის.
ჩვენი გმირები ვინც კი გადარჩა,
ტყეს შეეფარენ—ამ ზურმუხტ ზოლებს;
მაგრამ თინა კი საფრთხეში დარჩა:
მოსწყვიტა მტერმა ქმარსა და ტოლებს.
რა ქნას? მტერს ასე როგორ დანებდეს?
არა და—გზები გადაჭრილია,
და დადის ივი გულით დანებზე
და წინ უფსკრული გადაშლილია.
„არა!—სთქვა ბოლოს,—თავის განშირვა!
ან ხსნა მტრისაგან, ან და—სამარე!“
და, რომ დასთურვნოს ბედის დაცინვა,
გარბის აკეთებს გიურ კამარებს.

V

ანდრო იქ, ტყეში, გმინავს და შფოთავს,
გულის საუნჯე მკედარი ჰეონია;
თინა გაკვირია მდინარეს შოთათ,
მიხოხავს მკერდით სითაც ფონია.
და თავს წაადგა უცებ დარაჯებს,
ჩასაფრებულებს ორ კლდეთა შორის.
შეჩერდა, წუთით სული უარიზა
და გულით ფრთები ინატრა ქორის.
შემდეგ გადახტა, როგორც კანჯარი,
ერთს მათგანს გულში გაავლო ტყვია;
შეორეს მკერდში ჩასცა ხანჯალი
და შეეფარა გორაქებს ტყიანს.
კვლავ შეუერთდა ძვირფას მეგობრებს,
გულში ჩივერი ყველა ხიზნები...
ცხოვრობენ ახლა, როგორც მეკობრე,
და მეტ სახელათ ჰქვიათ „ტყის ძმები“.



სამართალს ცისქლით მოვპავნი *)

გაგრძელებული შემოდგომა იყო:

მთის კალთები, თოვლის ფიფქით დაპურდულიყო. დაყვითლებული ფოთლები ჭლექიანებივით ცვივოდნენ, გაცივებული ჰაერი სვანებს საზამთრო მარჯებში ერეცებოდა.

თვალი ქავშუბი თავის თანა-მემცხედრე კნეინით და მხლებელი სვანებით საქეიფოთ მიემგზავრებოდა. იშვიათი თვალტანადი ქავშუბი, ვერცხლით მოკედოლ უნაგირით აკაზმულ შავს ტაიჭიედ მჯდომარე, სარდლური სიამაყით მიუძღვებოდა თავის კრებულს. რახტით აკაზმულ ბედაურზედ მოხდენილათ და თამაბად მჯდომი ცოლი გვერდს უშვეენებდა. მხლებელთა სვანური სიმღერის გრიალი უდაბურ ტუეში კიდითი-კიდე გაისმოდა.

— დევეთგერ! ჩემი პაპიროსი შენა გაქვს?

გადასძახა ქავშუბმა.

დევეთმა დაპკრა ცხენს მათრახი, დაეწია ბატონს და ვერცხლის საპაპიროსე მიართვა.

ტყიდან თოფმა დაიგრიალა.

ქავშუბმა ვერ მოასწრო პაპიროსის პირამდი მიტანა, რომ ტყვიამ ფეხის კუნთი გაუხერიტა, ცხენს მუცელში გაუარა და ცხენის ძირს დაშვებასთან ერთად მხედარიც ძირს დაფარდა.

შეორე ტყვია დევეთგერს მოხვდა გულში.

მხლებელთა იღმოთება და ყვირილი ქავშუბის მეუღლის კივილთან შეერთებული, შემზარავ ხმათ გაისმოდა.

შარცანით სქელ ტყიანში ჩასაფრებული ბადიგერი პიჯვარს იწერდა.

— დიდება წმინდა გიორგის? აწი სიკვდილი აღარ მცხვენია, რაკი ჩემი სირინოზი ვისისხლე.

სთქვა ბადიგერმა, აკოცა თოფს და მიანდო თავი უდაბურ ტყეს.

**

ასეთია მუხანათურია მკულელობამ მაზრის ადმინისტრაცია დიდათ აღაშუოთა. სიკვდილს ანაზღეულათ გაღარჩენილი ქავშუბი და სვანეთის ბოქაული დაუინებით ამტკიცებდენ, რომ ბოროტ-მომქმედი ბადიგერია. პოლიტიკურ დაც დიდი სა-ინ. ეურნალი „მშათობი“ № 7.

ხილათო პიროვნებათ, რასაც ემატებოდა ზოგიერთი შურიანი სვანების დასტური, — ყველასთვის კეშმარიტებათ იქცა, რომ მკვლელი ბადიგერი იყო. გაბრაზებულმა მთავრობამ ადგილობრივი ბოქაული დაიბარა თა სამარი, მანეთი გადასცა: შესძელი და მოახერხე იმ ორ თვეში, ამ ფულით შეისყიდა / მოხერხებული სვანები და მკვლელი წარმოგვეიდგინო, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახური უნდა დასტოვო.

თავზარ-დაცემული ბოქაული, სასწრაფოთ გაბრუნდა სვანების. სამი დღის სავლელი გზა ისე გაიარა, რომ პაპიროსის წევის მეტი, მის ყურადღებას აღარაფერი იპყრობდა: არც ბუნება, არც მხლებელ-დარაჯთა სიმღერა, არც სმაჭამა და დასვენება. მთელი მისი აზროვნება ბადიგერის ხელში ჩაგდების ირგვლივ ტრიალებდა. ჰმ! ვიღიც ლაწირავი სვანის გულისათვის კოლშვილი ულუქმოპუროთ უნდა გამიწყდეს, — წაიბუტყურებდა ხოლმე. სამი დღის ფიქრში გეგმა უკვე შეამუშავებინა და სვანეთში შესვლისთანავე დაიბარა ბადიგერის სოფლის მოძღვარი იშმავ მღვდელი.

ბოქაულს სვანების ვერცხლო-მოყვარეობა კარგათ ჰქონდა შეგნებული და ერთათ ერთი მისი გამოსავალიც აქ იყო. ბოქაულმა მღვდელს ჯვარში მოჰკიდა ხელი და უთხრა:

— მამაო მე დიდი საიდუმლოება უნდა გავანდო და ამ ჯვარზედ შამომფიცე, რომ არ გამცემ და გულითაც მოინდომებ.

— ვთიცავ ამ ჯვარცმას და ჩემ წმინდა ოლარს, თქვენი ერთგულობისათვის თავი არ დავზოგო.

• უპასუხა უშუვალოთ და უყოყმანოთ მღვდელმა.

— აბა გაგიტყდები: მე ეხლა გუბერნატორთან ვიყავი დაბარებული და გადმომცა შენოვის სამასი მანეთი და მიბრძანა: „ვიცი, ის დიდი პკვიანი კაცია და იმას შარტო ენდევიო, ის დაგაჭერინებს ბადიგერსო. გუბერნატორს ახსოვხარ შენ! აქ როცა ბრძანდებოდა, პურ-მარილით რომ შეხვდი, არ დავიწყნია, რა თქმა უნდა მეც ბევრი გაქე და აწი შენი საქმე სულ წინ იქნება, თუ ეს როგორმე მომახერხებინე.

სამასმა მანეთმა და გუბერნატორის ყურადღებამ სულიერი მამა ისე წამოაწითლა, რომ თითქმი ლაწვებიდან სისხლი წამოსკდაო.

— ლმერთმა თქვენი წყალობა და ყურადღება ნუ მომაკლოს და თავს არ დაუზოგავ, და იმედიც მაქვს საქმეს მივაღწევთ. მე კარგ განწყობილებაში ვიყავი ბადიგერთან, ძალიანაც მენდობოდა ყველაფერში, და არაფერია, ეხლაც მოვახერხებთ.

— აბა შენ იცი, საქმე ძლიერ საჩქაროა. ფულს მაშინ ჩაგაბარებ, როდესაც ბადიგერს ჩამაბარებ. ხომ მენდობი.

— რას მიბრძანებ ბატონო, თქვენ მთელ ქვეყანას განდობთ.

— აბა შენ იცი, გამარჯვებით იარე.

გუბერნატორის ასეთი ყურადღებით, რაც სიცრუე იყო წასაქეზებელი და სამასი მანეთის ხელში ჩაგდების სურვილით აპილპილებული მღვდელი

მოაჯდა კხენს, წაფიფინდა სახლში და მისვლისთანავე იხმო ბადიგერის დის ჭარი ხეითარი.

საღამოს ქამი იყო, რომ იშმიავი და ხეითარი უკვე მღვდლის ეჭოში მშარე ბლის ქვეშ ისხდნენ და თათბირობდნენ.

— ჩემო შეილო, შენისთანა ჰკვიანი კიცი, მთელ სვანეთის კუთხეთის და ის ჰკუის წყალობით არის, რომ ყველაფრის მოხერხება შევიძლია. ეს „პრისტავიაც კარგათ იცის და ძალინაც გაფასებს“. მთელ სვანეთში ხეითარის მეტს კაცს არ ვენდობით“-თ— მითხრა პრისტავია. ისიც სკოდნია, რომ მე და შენ პაშაშეილივით ვენდობით ერთმანეთს და ამისათვის არის, რომ მე დამავალა, რომ გითხრა, თუ ბადიგერს მიიყვან, ან დააკერინებ როგორმე, ჯილდოთ ას ნაწეს გაძლევს, ჯერ-ჯერობით და მერე ხომ სულ შენი მწყალობელი იქნება. თომ იცი, მთავრობა ვისაც სწყალობს, კაციც ის არის და სულიც იმას უდგია. კაცი ბადიგერი შენსივით არავის არ ენდობა. ისიც ვიცი, რომ შენ მისი ბინა იცი.

— ახ, ლმერთი არ გამიწყრეს, ეხლა სად არის, არ ვიცოდე!

— ოხ, ცოდვას ნუ ჩადიხარ, შეილო, და მოძლვართან სიკრუეს ნუ ამბობ.

— არა ცოლშეილით არ გავწყდე. წინანდელი ბინა კი ვიცოდი, მართალია, და ხან და ხან მე და ჩემ ცოლს პური მიგექონდა, მაგრამ იმ ადგილიდან რომ წავიდა, მერე არაფერი ვიცი.

— მაგ არაფერია შეილო, თუ მოინდომებ, კიდეც გაიგებ. შენ გგონია, მე შენზე ნაკლებ ვუფრთხილდები ბადიგერს! პრისტავმა სანამ ჩემ წმინდა ჯვარზე არ შემომუიცა, მანამ არ ვენდვე, მითხრა! რომ თუ მოვა და გატყდება, ერთი თვის ტყვეობის მეტს არაფერს არ შევახვედრებო. და მეტი რა უნდა შეილო. მე, შენგანაც და ბადიგერისაგანაც ბევრი სიკეთე შახსოვს და ქმაცადინობ ამოდენს, თორებ ისე რას დავეძებ შეილო!

— ლმერთმან გადაგიხადოს მავიერი, თორებ მე და ბადიგერს რა შევაძლია.

— მაგ არაფერია შეილო, მხოლოთ მოიფიქრე, როგორც სჯობდეს და კუხერხებოდეს და გამოვაწყოთ მამაშვილურათ, ერთად.

— რა უნდა გამოვაწყო ბატონო, შენც კარგათ იცი, რომ ასი მანეთი ჩემთვის ეხლა კარგი იქნება, მაგრამ, რომ ვერ ვიბოვნო და ტყვილად დაგპირდე, რა ვქნა.

— თუ მოინდომე შეილო, მონდომებულ კაცს ლმერთი შეველის.

— არა და, თუ ასე დარჩა, მაინც დალუპულია მისი საქმე, და რა ვქნა ლმერთმანი აღარ ვიცი.

— ჰო, შეილო, მეც ეს ვიციქრე და მიტომ ვიმეცადინე ამოდენი. იმოდენი გასძელი ჩემო შეილო, რამდენი მე ამ საქმეზე ვიშრომე და ვიწვალე. ეხლა შენ ასე უთხარი: მოვიდეს ჩემთან საიდუმლოთ, მოვილაპარაკებთ ერთათ და როგორც დაატყოს, ისე მოიქცეს. მე ისე მენატრება მისი ნახვა, როგორც ჩემი შეილების, და ტყვილა მაინც ვნახავ შე კაცო.

— უცხენობა მაინც არ მარგია... და ფული კარგია ჩემთვის, მაგრამ... პოლიციამ დაპირება ბევრი იცის და მოცემა უოტა.

— მე მოგცემ ვექსილს თუ გინდა?

— შენ ქვე რას გემართლები!

— გეფიცები იმ ჩვენი საყდრის მაღლს, თუ ეს საქართველოს მთავრობის მინისტრი, ჩემი ხელით ჩაგაბარო ასი მანები.

ოქრომ თავისი გაიტანა.

— წავალ ხვალ და თუ ვნახე და დამიჯერა, ხომ კარგი, არა და რასაც მეტყვეს, მოვალ და იმას გეტავი.

ხვითარ შვილო, ეს საიდუმლო არავის უთხრა, არც ცოლს, ან სხვა ვინმეს.

— აან, ამის თქმა როგორ შეიძლება!

— აბა ერთი ვქნათ, შევიდეთ აგერ, ჩვენს სასწაულთ-მომქმედ საყდარში და შევფიცოთ ერთმანეთს, რომ ეს საიდუმლო პირიდან არ დაგვცდეს.

ხვითარი უყუყმანოთ დასთანხმდა. შევფიცეს ერთმანეთს.

მეორე დღეს ხვითარი მიღიოდა ნადირთა სამყოფელს შეკედლებულის სამიებლად. სამი დღის ძებნამ დაარწმუნა, რომ არც ერთ იმ ადგილებში აღარ ცხოვრობდა, საღაც ფიქრობდა. მეოთხე ღამეს მთის წვიმამ მთლათ წალეკა ყველაფერი. ხვითარი დასველებული ერთ დიდ არყის ხეს შეეაფარა. ჯიბიდან კვეს-აბედი ამოილო,—უნდოდა ცეცხლი გაეჩალებია, მაგრამ სულ დასველებოდა. შორს, ორკელის ნაპრალთა შორის, ცეცხლი შეამჩნია. „იქ გაუჭირვებელ კაცს რა უნდა ეხლა. ალბათ ის არის“.—ხვითარმა გასწია ცეცხლის პირდაპირ.

ებრძოდა ხრამებს, ჯაგნარებს, მთის ნაპირალებიდან მოხეთქილ აქაფებულ ლელეებს, ციცაბებს, უფსკრულებს. ის იყო, უნდა დალუპულიყო, მაგრამ თითქო რაღაც შველოდა: ხან დაეცემოდა და ეკალ-ჯაგნარი შეიკავებდა. ხან აგორდებოდა და ხშირი ხეები შეიმაგრებდა. ხვითარმა მიაღწია. საწადელს. ბადიგერი კლდის გამოქვაბულში, ჯიხვის მწვალით ხელში, ცეცხლს მოსჯდომდა.

— ოხ, დიდება წმინდა გიორგის, რომ ცოცხალს გხელავ!

შიაძახა გახარებულმა ხვითარმა. საიმედო სიძის დანახვით ბალიგერიც სიხარულით აენთო, მწვალი განხე გაიგდო და გადაუხვია.

— მადლობა ლმერთს, ქვეყანაზე კიდევ ყოფილა ისეთი კაცი, რომელიც ჩემზე ფიქრობს.

სთქვა ბადიგერმა. ცეცხლს მიეფიცხენ.

— ეეხე, ხე, ხე—ამოიხენეშა ხვითარმა.—ის ლმერთიან გამისინჯოს, რასაც მე შენზედ ვფიქრობ და ვმაკადინობ, მაგრამ რა ვქნა, შენი ჭირიმე მეოსეთს და შენ იმერეთსო, ისეა ჩვენი საქმე. ათი შეცმა ქალამანი დავხიე შენ ძებნაში, ოჯახი და მუშაობა მიტოვებული მაქვს და არ იქნა ვერ მოვაგენი შენ ახალ ბინას. ეხლიც ჩემ ბედზედ ეს წვიმა მოვიდა, რაღაც ნის ძირს შევეფარე და იქედან ცეცხლს თვალი მოვეარი. ვიფიქრე ვიღაცაა ის ჭრისტიანი, წავალ და ეგებ ცეცხლზე გამათბოსთქო. მოვუევი ამ დალოცვილი ცეცხლის

კიაფს, მაგრამ იმისთანა ჩვენ მტერს მე დღე დამადგა. ასჯერ კინაღამ ჩავიღუ - ჟე, მაგრამ გადამარჩინა როგორლაც ბედმა... ოი, შენი ჭირიმე და შენი თვალების, რაკი შენ ცოცხალი გნახე, ჩემ წვალებას აუარ დავეძებ.

— ეს, იმისთანა სიცოცხლე შეარცხვინოს ღმერთმა. ხან და ხან, ნადირს რომ ვეღარ შევხვდები, სამი ოთხი დღე მშიერი ვარ, ხეს ტყების ჭირი და იმას ვლიჭავ.

— ვაი ჩემი ცოდვა?.. მოგიკვდა ჩემი თავი.

— ჩემი და როგორ არის საწყალი?

— როგორ იქნება! ხომ იცი, ჯახირობს შენი ჯავრით.

— აღარ შეიძლებოდა ჩემი იმ ადგილებში კიდევ დარჩენა, გაიგო ბევრმა. რა ვუყო, შემიძულა ბედმა და ეს არის. ოა გაეწყობა, ჩემსე უკეთესს ნურავის მოერევა. სახლს თუ ხედავთ, თუ რამეა საქონელი ცოცხალი?

— სახლს როგორ არ ვხედავთ! მე და შენი და ნახევარჯელ იქა ვართ, ბაგრამ, ხომ იცი, მტრები სულ წასაბდენათ არიან შამოჩენილი. ამ ერთი კვირის წინ, თივით სავსე საბძელ-კარაპანი დაგვიწვა ვიღაცამ. აშკარაა, დევეთგერის შევილმა პქნა, მაგრამ მოწმე ვერ ვიშოვე და ისე ქე ვიჩივლე „პრისტივთან“.

— ჰაი, ჰაი, საწყალო ბადიგერ, ვისი გლახები გერევიან!.. ჩემი უბედური ცოლშვილი რითი დაიხოცენ, კი არ ვიცი კარგათ. უცებ ნასყიდას შევხვდი და იმან მითხრა ეს ამბავი, მაგრამ სანამ კარგათ მომიუცებოდა, ვიღაცას სტვენა მოგვესძა და დაუკეთებულები ერთმანეთს დავშორდით; დავშორდით, მაგრამ ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობდა. ამოვფარდი უშვილძიროთ, აღარავინ მრჩება სისხლის ამლები...

ბადიგერს ცრემლები სეტყვასავით წამოუვიდა.

— რითი შენი ჭირიმე და, ვიღაც შეჩერებულს მარებისთვის უთქვამს, რომ ლევეთგერის შეილი და დუდარუხი ორივე შენს შვილს მოკვლის უპირებენო. შეშინებია საწყალს, ჯეყვას შეხვეწნია, ქირათ ძროხა მიუცია და ბავში ოსეთში აზამეთისას გაუტნევია. იმ დღეებში ორივე დედაშეილი უქეიფოთ ყოფილან რაღაც, მაგრამ ბავში მაინც გაუგზავნია. გზაში ძალიან ავათ გამხთარა, მაგრამ, რის ვაი-ვაგლახით მაინც მიუყვანია. აზამეთს ძრიელ გახარებია, დაუწვენიათ, მოუფლიათ კარგათ, სულ ჩაის ასმევდენ თურმე, მაგრამ წერას კაცი ვერ ასცდება, კი იცი, და მეექვსე დღეზე წაულია შენი ჭირი. მარები შეიქნა ძალიან აფათ და ანის ჯავრში ვიყავით, თორემ ბავშვი საიმედოში ვეეგულებოდა. მეექვსე დღეს რომ ის მომკვდარა, მერვე დღეს დედამისმა წაიყო შენი ჭირი; რომ ვართ ამის გაწამაწიაში და უბედურებაში, ამ დროს ჯეყვა მოფიდა და გვათხრა ასეთი უბედურება. თურმე ბექაილასანის ხურება დამართნიათ ორივეს. მერე მე მინდოდა წამოსვლა შენთან, მაგრამ ნასყიდა ვნახე და იმან მითხრა, ვნახე და უთხარი უველაფერიო და იქედან მაინც მიდიოდა იმ დღესო და რომ წახვიდე მაინც ვერ ნახავო. მერმე ვიფიქრე, ისევე აქ ვეცდები, რამე საქმე გავაკეთო მოავრობასთანთქო და მერე ნახვასაც შევუდგებოდი. მადლობა

ლშერთს, ქე მოვაწყვე ისე საქმე, ერთი ლვთიანი კაცის დახმარებით, რომ აწი ნუ გეშინია, ყველას გადაუხდით მაგიერს, მტერსიც და მოყვარესაც
ბადიგერმა ცრეშლები მოიწმინდა.

— ვინ კაცია?
— ჩვენი იშმაგ მღვდელი.
— იმას რა შეუძლია?
— ვე! იმას შეუძლია თუ შეუძლია! ჩვენი „პრისტავი“ და ის ისეა მოწყობილი, როგორც მამაშეილი. მღვდლის უკითხავათ არაფერს შერება. და მღვდელიც ბევრ კაცს შველის ძალიან, ააშენა ლმერთმა მისი ოჯახი. მაგრამ მე მაინც არ ვენდვე, სანამ ჩვენ საყდარზე არ შემომტიცა, რომ თუ მომიყვან, მაინც და მაინც გადავარჩენო. ძალიან სწუხს შენზე. ლმერთმან გადაუხადოს; ისე მენატრება ბადიგერის ნახვი, როგორც ჩემი შეილებისო, მითხრა. ეხლა დაუკვირდი შენს საქმეს და როგორც სჯობდეს ისე მოვიქცეთ. მე რაც შემეძლო, საქმე გავაკეთე და აწი შენი საქმეა.

— სოფელ-ქვეყანა, რას ამბობს?
— სოფელ-ქვეყანა ხომ იცი გულთ-მისინია, ყველა იმას იძახის, იმას სირინიზის სული გადაარჩენსო.

სირინიზის ხსენებამ თოფ-ნაკრავივით ააღრიალი ბადიგერი.

— რას სტირი, შე კაცო, ვაუკაცი ხარ, ქალი კი არა? მშვიდობით იქნებოდე, თორემ ლამაზ გოგოებს კიდევ ბევრს იშოვნი.

— ნეტავი შენ, თუ მაგაზე მეტათ არავის სიყვარულს დაუკავებიხარ.

სიყვარული დასწრევლა ლმერთმა და ის ქალებიც! ყველაფერი უბედურება მთი მიზეზით ხდება ქვეყანაზე! ამბობენ, ლმერთი და ეშმაკიც ქალისთვის გადაემტერენ ერთმანეთსო, და ჩვენ რაღა სიკეთე დაგვეყრება! მაგრამ მაგის ჯაური არაფერი მაქვს ეხლა. მხოლოდ რაც შენთვის სჯობია, ის ვილაპარაკოთ და გამოვაწყოთ.

— რა უნდა გამოვაწყოთ?
— თუ გამოიდარა, ლმერთმა ჰქნა, უნდა წამოხვიდე მღვდელთან ხვალ.
— არ შემიძლია. ჩემი ნებით ჩემს თავს ვერავის მივცემ.
— კაცო, როგორ ლაპარაკობ! მიეცი თქვა, ვინ გეუბნება! შენზე ნაკლებ უფრთხილდები შენ საქმეს, თუ!

— არა, მაგას არ გაკადრებ, მაგრამ ვიცი საქმე მაგით არ გაკეთდება. მთავრობა ეშმაკი და დაუნდობელია, მიგიტყუებს და გაგიკრავს ხელებს.

— პირდაპირ მთავრობასთან მისვლას არც მე გეუბნები. მე მინდა მღვდელი ნახო, მოელაპარაკო, ვამოაწყო როგორც სჯობდეს და თუ დაგიჯდება კუჭაში, მთავრობაც ნახე, არა და წამოხვალ ისევე და ის იქნება. მიკვირს შენი საქმე, არ მოგეწყინა ამდენი ტანჯვა!?

— ვე! მე კი მომეწყინა, მაგრამ ტანჯვას არ მოვეწყინე. შენ უნდა მნახო, ჩემო ხვითარ, ამ ჩემ მარტოობის უდაბნოში დაჭრილი ნადირივით აბორგებული, ვეძებ სიტყვას, ხმას, მაგრამ ლელეების შხუილის მეტი არაფერი ისმის. ვნატრობ, ფრინველთა ენა მაინც მესმოდეს. მაგრამ ისინი ხომ ბედნიერნი არიან და უბე-

ღურის სიტყვა არ ესმით. ადამიანიც გნახე იგერ, ჩემი ძმა, ჩემი მოკეთე, ჩემი ერთათ-ერთი შეგობარი, მაგრამ რა გამოვიდა! ჩემი გულის მწარე / ტკივილს ვერც შენ გაიგებ.

— შენი გულის ტკივილს თუ ველარ გავიგებ, აზრი აღარ შქონია / და ის არის, ზაგრამ ჩემი უბედურებაც ის არის, რომ ნუგეში არაუერთო შემცირდეთ.

— ნუგეშის ცემა რათ მინდა, ჩემო ხვითარ. სიტყვების მატემატიკის ქუთხიან და ჩემი ჭრილობა კი ჭრილობათ რჩება, იკუმშება გული და იცხრუკება სხეული.

— ბადიგერ! ხომ იცი, ჩემისთანა ერთგული მოკეთე-მეგობარი შენ არავინ გყავს და მე გირჩევ ასეთ ფიქრებს თავი დაანებე და რაც შენთვის სჯობია ის ქენი.

ეეე! უბედური კაცისთვის თურმე მოკეთე-მეგობარი არ ყოფილა ქვე- ყანაზე.

სთკვა ბადიგერმა და ამოიოხრა.

— ვაუკაცება ასე არ უნდა წაიხდინო თავი. ცოცხალი თუ იქნი, ყველა- ფერს გამოაკეთებ. მლვდელი ყველაფერს არც მე განიტყდა. მითხრა დანაშენს თეითონ ბადიგერს ვეტყვი, თუ მშვიდობით ვნახეო. ვინ იცის, რა აქვს გუნე- ბაში. ქე მაინც გაიგებ, საქმე რაშია, თორემ ასეთ ყოფას დიდხანს ვერ გაუძ- ლებ, ისეთ დროს დაიღუპები სადმე, რომ არ ვევონოს. დამიჯერე მე, ბადი- გერ, და თუ ცუდათ გამოვივიდეს, თავს სასიკვდილოთ მოგცემ.

— კარგი, ვიფიქრებ და ვნახოთ.

უპასუხა ნალვლიანათ. მეორე მწვადი აავო და დაუფიცხა ცეცხლს. ხვითარმა გუდილან გამხმარი პურები ამოილო და ვახშამს მაღიანათ შეექცენ.

* * *

მლვდელი ელოდა.

ღამის სამი საათი იქნებოდა, ღობეზე ორი კაცი გადმოხტა. ერთი თო- ფიანი, მეორე გუდიანი. გულაძეებულმა მლვდელმა შესხა:

— ვინა ხართ შეილებო?!

— ჩვენ ვართ, ჩამაო, ჩვენ, რასაც ვეძებდი, მაპოვნინა ღმერთმა და შენმა ლოცვა კურთხევამ.

უთხრა მიახლოებულმა ხვითარმა. გახარებულმა მლელელმაც ათრთოლე- ბული ხმით წამოიძახა:

— გმაღლობ უფალო, რამე თუ მშველი დევნილთა ხსნისათვის.

გაღასახა ჯვარი ორთავეს და ვადაკოცნა.

— შეგინდოს შვილო, სულგრძელმა მამან. შეცოდებანი შენი. აბა წამო- დით შეილებო, ეშმაკეშლი თვალი არავისი მოგხვდეთ.

მლვდელმა შეიყვანა მოსულნი საქონლის ბოსელში. დამირავებული საჭმელი და ბოთლით არაყი ამოილო ბაგიდან. საუზმობის დროს ხვითარმა მლვდელს დაწვრილებით ვადასცა, რაც წვალება ვადახდა; ბოლოს ისიც უთხრა, რომ ბადიგერი მთავრობასთან გამოჩენას ეხლა არ აპირებსო.

— ჰო, ძალიან კარგი. ჯერ კიდევ გავიგოთ საქმე. მე როგორც კი გათენ-
დება, „პრისლავთან“ წავალ, მოველაპარაკები, გავიგებ კიდევ შეჯითათ აშბავს
და თუ კარგათ დავატყვეთ საქმეს, რატომ არ მიხვალ!

მიმართა ბადიგერს.



— ახ! მისვლა ჯერ არ შემიძლია. მე მხოლოთ იმას, ცოტო უაშებოთ, რას
მერჩიან და რას მაბრალებენ! ვინ არის იმის მოწმე რომელ ჭარბობის მფრვესროლე
და დევეთგერი მე მოვკიდები? ან წინეთ რისთვის დამიჭირეს და რას მაბრალებ-
დენ? ის ესენი გამიგეთ და მერე თქვენის დახმარებით საქმეს გამოვარჩევთ და
როგორც აჯობებს ისე მოვიქცევი.

— ძალიან კარგი!

— მხოლოთ ამას გთხოვ, რომ ძრიელ ფრთხილათ იყავით, მთავრობა ეშ-
მაკია და სიტყვებში არ მოვატყუონ.

— არა შეილო, მთავრობა ეშმაკობაში მე ვერ მაჯობებს, მე, ფიც ქვეშ
მყავს „პრისლავი“ გაჩერებული.

— ფიცი მთავრობას არ სწამს.

— ომხ, რას ამბობ შეილო! ის ისეთი ცოლშვილის მოყვარული კაცია,
რომ ფიცს როგორ გასტეხს!

— გენდვე ეს არის და შენ იცი და შენმა ქრისტიანობამ, თუ არ დამღუ-
პავ. შენი ჭირიმე, ჩემი აქ ყოფნა არ შეგატყოს.

— ომხ, რას ამბობ შეილო!

— ომო, ამის თქმა არ შეიძლება!

დასძინა ხვითარმა და გარეთ გაისეირნა.

— მართალია, გაქიცრება ამაზე მეტი ალარ შეიძლება — ტყესა და ნადირს
უხიზნებული, ნახევარჯერ ბალახით და ხის ტყავის ლეპით ვიკვებები, მაგრამ
მთავრობის ხელში ჩაეარდნას, ისევ ეს მირჩევნია.

— მართალია შეილო, მართალს ამბობ. აბა შეილო, თივა ბლომათ არის
აგერ და მოისვენეთ კარგათ. გაკურთხოს შეილო ჩემმა წმინდა თლარმა.

გადასახა ჯვარი და გამოეიდა. გარეთ ხვითარმა მიუჩურჩულა: „მამაო მარ-
ჯვეთ, თორემ წავვივა საქმე ხელიდან, ამოდენა წვალებამ რომ ტყვილათ ჩამია-
როს, დავიღუბე კაცი და ის არის. ტანისამოსს ხომ ხედავ, სულ ტყემ წაილო,
ფეხის გულებზე ტყავი სულ იმდერალი მაქვს“.

— სულ! არ მოშორდე ერთი! საქმე როგორც სჯობია, მე ვიცი.

* * *

იორდა ცხენის სწრაფ თოხარის მღვდლის გულის სწრაფვა უსწრებდა.
ეშინოდა, ბოქაულმა იმ დილით არსიით გამასწროსო.

ფიქრით გაბრუებული ხუცესი, ხშირათ იმეორებდა: „წმინდაო მამაო, გა-
ნულე კარი, ჩემ შენდამი ალვლენილ ვეღრებასაო“.

დილის თერთმეტ საათზე მღვდელმა სამართველოს ეზოში ოფლით გახვით-
ქული ცხენი ლობეს მიაბა, ანაფორა შეიბერტყა, აბურდული წვერები თითებით

ჩამოიგიარებენა, ცხვირი მაგრათ მოიხოცა, ხელები ერთმანეთს წაუსვ-წამოუსვა
და ისე შეკოხტავებულმა შეაღო ბოქაულის ოთახის კარი.

— გაფურთხოს შვილო, ჩემმა წმინდა ოლარმა!

ბოქაული დარღიმიანდათ მიეგება, ქმითხვია და სავარძელი მიაწოდა.

— აბა, როგორ არის ჩვენი საქმე, მამაო?

— როგორც ვაგეხარებათ, ბატონო ჩემო.

მლვდელმა ყოველივე დაწვრილებით უამბო.

— იარაღი აქვს?

— ბერდანკა და ტყვეიები, ბატონო ჩემო.

— ხვითარი ეხლაც მასთან არის?

— დიახ, ბატონო ჩემო.

— ერთი სიტყვით, მამაო, თქვენ წახვალთ ეხლავე და დაარწმუნებთ, რომ
არავითარი დანაშაული არ გბრალდებათქო, ვარდა დევეოგერის მკვლელობისა,
შაგრამ ისიც, მხოლოდ იჭვით და თუ პირდაპირი მოწმე არ აღმოჩნდა, ერთი
ფლის სასჯელიც არ შეგხვდებათქო. მოწმეთ კი ჯერ-ჯერობით არავინ არ
სჩინს. ერთი სიტყვით ამაღამ, სოფლის ჩაძინებამდი, არ გაგიძვრეს ხელიდან
და იმ დროს, მეც იქ ვიქნები. ეცადეთ, რომ იარაღი ხელთ არ ექნეს. მეტი
არაფერია საჭირო.

— თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ „ტრაჟების ცეფი“ ჩემ ოდას შამოარ-
ტყათ. იქ მეყოლება ქეიფში, სმაში, ამგვარებში!..

— კარგი და პატიოსანი.

მლვდელი წასასვლელად წამოდგა.

— ბატონო, „პრისდავო“, იმედი მაქვს ბლალოჩინობის შოვნის თაობაზედ
თქვენც დამეხმარებით.

— კი, კი უსათუოთ! მე რაშიდაც დაგვირდე, თამამათ მომშაროე
ხოლმე.

— გაკურთხოს ჩემმა წმინდა ოლარმა.

უთხრა, გამოემშვიდობა და გასწია.

„იდიდა უფალო განგება შენი, რამე თუ ეგეოდენ დიდია შენდამი აღ-
ლენილი ლოცვა ჩემი, რომ პეტრე ბლალოჩინიც კი ჩემ ჯილდოთ მიიღე იმიერ
სოფლათ, რათა შენს მოსავს მომანიჭო განდიდება სოფელსა ამას შინა“.

ბუტბუტებდა ცხენზე იშმაგი და ხშირათ პირჯვარს ისახავდა.

„გაკეთდა, გაკეთდა ჩემი საქმე! ფულს ავიღებ, ბლალოჩინობას ვიშოვი,
გუბერნატორი მიკრინდა, მეტი რა მინდა. სვანეთში თავი კაცი ვიქნები“.

წამოიძახებდა ხოლმე აღფრთოვანებით.

საღამოს უამს ჩვენი ღვთის მოციქული უკვე ბადიგერთან და ხვითარ-
თან იყო.

— დიდი ღვთიანი და პატიოსანი კაცია ჩვენი „პრისდავი“. ისე ეცოდე-
ბი და ცდილობს შენ შველას, როგორც თავის ძმისთვის. ვიცით, საწყალს ტყვი-
ლა შეხვდა ამდენი წვეალებათ. ერთი სიტყვით შენც გშველი, მაგრამ მეც სა-
ხელს ვნახავ მოელ სვანეთში.

— ომო, შენი ჭირიმე, ჩემი გამჩენი შეეწიოს შენ ცოლ შველს ამის დაბარებისათვის.

— ეს ცველაფერი კარგია, მაგრამ დაზამთრებამდი მარნულ მივალ მთავრობასთან.

— რატომ?

— ოსეთიდან კაცს ველი და თუ ის არ მოვიდა, შერე შოვალ, წამიყვან და რაც იქნება იქნეს.

— შენი ნებაა შვილო, „პრისდავმაც“ ისე მითხრა, „როდესაც მას უნდოდეს მაშინ მოვიდესო“. აბა, ეხლა წავალ და ჩემ ტუფას კაი ვახშამს მოვამზადებინებ, ზევით ოდაში უნდა მეწვიოთ და სამხიარულო ვახშამი იქ უნდა გადავიხადო. ისეთ არაყს მოვიხდი, ცეცხლივით იყოს.

გატრიალდა ბლედელი. ცოლს ვახშმის თადარიგი მისცა და თითონ ეზო-გარემოს ყურს უგდებდა, იჩქითად არავინ შამოვიდესო.

იშმაგ ბლედელი, სრულიად უსწავლელი სვანი იყო, რომელმაც წერა-კითხვა, ადგილობრივ სკოლაში შეისწივლა, ხოლო საექლესით წირვა-ლოცვის წესები და ცოდნა ლეჩებუმის უდაბნოს მონასტერში მიიღო. შემდეგ სვანეთის ერთ სოფელში თორმეტი წელი მედავითნობდა. იშმაგი ძლიერ მომჭირნე კაცი იყო. მედავითნობაში ნაშოვნი ფული თრმოცდა ათ პროცენტში გავალებული ჰქონდა. როდესაც ევფრატი ბლედელი გარდაიცვალა, იშმაგმაც ადგილობრივ ბლა-ლოჩინს დახმარებისა და მოხერხებისათვის თრასი შანეთი „ქალამნის ფასათ“ მიართვა, რათა ევფრატის ადგილზე წარედგინა. გულკეთილმა ბლალოჩინძა მოუწყო საქმე ისე, რომ მაღა ევფრატის ადგილზე აკურთხებინა.

— ტუფა! დაუჩქარე ქალო!

გასძახა აიღნიდან ცოლს, ჩაფერფლილი ყალიონი ხელის-გულზე დაიბერტყა, ფეხებთან ერთი ზორბათ ჩაიფურთხა.

— მჩათ არის, მჩათ!

უპასუხა ცოლმა, რომელიც ვახშამს სუფრაზე ალაგებდა. იშმაგი ბოსელში წაფარფატდა.

— აბა შვილებო, წამობრძანდით, წამობრძანდით, ტუფა გვიჩქარის ვახშამზე. ბადიგერ შვილო! თოფი და ტყვეიბი მანდ ბაგაში ჩაიწყვე და ზევიდან თივა დავიყაროთ.

— თოფი მქონდეს ბატონო, რას დამიშლის!

— ისე ქე გქონდეს, რა უშავს, მაგრამ ჩემ ცოლს ეშინია თოფის.

ბადიგერი ქალისადმი თავაზიანობამ იძულებული გახადა თოფი ბიგაში ჩაემალა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, სამთავენი სუფრას უსხდენ. ამდენი ხნის განადირებული ბადიგერი, თმა-წვერ გაბურძგნილი, ვამხდარი, ძალზე გაშავებული, ტყავში ჩაცმული, — გარეულ ცხოველს დამგზავსებოდა.

— აბა მიირთვით, თქვენი ჭირიმე! ამაღამ სულ ქეიფში უნდა გავათვნოთ. ნუ გეშინიანთ, ჩემი არაყის ჭურჭელი განიერია ღვთის მაღლით. ჰე ჩემი ბადიგერ, შენი ჭირი შემეყაროს, დაუსკდებათ შენ მტრებს გულები, რომ

მაღ წინანდელზე უკეთესი ბადიგერი იქნები! შენი მტერ-მოყვარე ვინც ყოფილა, ეს მე გავიგე ჩველაზე უკეთ და გეტზვი ყველას თავის დროზე.

იპვ-მიუტანელი მღვდლის ცოლი გულუბრყვალოდ ეფუსფუსებოდა, და ყოველწუთს ვარეთ იხედებოდა—არაეინ შამოგვესწროსა.

მღვდელი მთელი ვახშამი თავის ქალ-ჟაჟის ქებაში იყო, მუქმედებული მუთა-ისში სწავლობდენ.

— ისე ლაპარაკობდენ რუსულად, როგორც წყალი. ორი წლის შემდეგ ორნივე რვა-რვა კლასს გაათავებენ, მერე ქალს მაშინათვე „უჩიტლობას“ აძლევენ, კაი უჩიტლობას, უბრალოს კი არა. ვაჟს რუსეთში გავაგზავნი და დავაბარებ, რომ უსათუოთ ან „სულიობა“ ისწავლოს ან და ლეჩხუმის „ნაჩალნიკობა“. ეხეე! მერე დავბრძანდებით მე და ჩემი ტუფა და ვიცეკვებთ და ვიმღერებთ!.. ხომ ჩემო ტუფა? აბა ერთი დამილოცეთ ჩემი ანგელოზები!

სტუმრებმა უდღეგრძელეს შვილები და გადაჰკრეს სავსე კათხები.

— ოპო, ასე, თქვენი კირიმე.

ჩაიხვიხვინა შეზარაოშებულმა ხუცესმა.

გარედან სტვენა მოისმა. მღვდელი შეკრია.

— ნეტავი რა დრო იქნება?

— შუა ლამეზე გადასულია,—უპასუხა ცოლმა.

— ჩვენ ხომ არავინ გვისტვენს?

სოქვა ბადიგერმა.

— არა შვილო! ვიღაცაა, საწყალს საქონელი აკლია ალბათ და იმას და-ეჭებს, წინალამესაც ეგრე იყო. ისეთი ნადირობაა წელს, რომ მგელი და დათვი სოფელს აღარ ერიდება... ეჭ, ზაჯობეთ ეს არის და გარეთ თუ არ გავისეი-რნე, გლახათ არის საქმე. არ დამცინოთ! თქვენხელობაზე ვერც მე დაძრავდა ვინმე სუფრიდან, მაგრამ ებლა ხომ მხედავთ ჩამოთოვილს?

დაისვა ხელი წვერებზე და აღგა გარეთ გასასვლელიად.

— თუ მაინცადამაინც ჩამიჯინდებით, რომ შამოვბრუნდები, სატალახოს ქე დაკლევ-

მოაძახათ ქარებში გასულმა მოძღვაორმა და სტუმრებმაც სიცილი ას-ტეხეს.

უმასპინძლო სუფრაზე ხვითარმა სირინოზის შესანდობელი დალია და სას-მისი ცრემლ მორეულ ბადიგერს ამზორით გადასცა. სწორეთ ამ დროს, ბადი-გერზე დამიშნებული ტყვია ხვითარს თავში მოხვდა. სავარძლიდან არეკლებუ-ლი ხვითარი ძირს გაიშხლართა. სანათური ჩაჰქრა.

ბადიგერმა ერთი დაიძახა „ეჭ, ღალატიო—და უკანა კარს მიაშურა.

ოთახში ხვითარის უკანასკნელ ხროტინს ტუფას საზარელი კივილი ფა-რავდა.

ბადიგერი ნაცნობ დარაჯს შეეჩერა.

— ჰეი, გაჩერდი, თორემ დაიღუპები!!

მოესმა ხმა და შემართულ მაუზერს თვალი მოჰკრა.

— უიარაღო კაცი, გაუჩერდები აბა რ ას ვიზამ!

რამდენიმე დარაჯი გარს შამოესხა.

მთვარისაგან გაჩირალდნებულ ციხის ნანგრევებიდან ჩასაფრებული ბოჭაული და რამდენიმე დარაჯი ჩამოვიდა.

— შენა ხარ ბადიგერი?

— მე გახლავარ.

— დიახ, შენ ბრძანდები ყოველი წესის და კანონის-წერტიაზურადები!.. შეუკარით ხელები და წაიყვანეთ!!.

უბრძანა ჩაფრებს.

წელში თოკჩაბმული პატიმარი განთიადის უამს სასაფლაოსთან ჩაატარეს, რომელმაც უცბიად მთელი წარსულის სიტკბო-სიაშე და შხამ-ნაღველი აღუძრა შას. ბადიგერმა სთხოვა დარაჯებს:

— თუ ქრისტე გწამთ, „პრისლავის“ დაწევამდი, ერთ წუთს, სასაფლაოზე შემახვევიეთ.

— მელა კვდებოდა და თავი საქათმეში მიჰქონდაო, ისეა შენი საქმე. რა გესაფლავება, შე მამა ცხონებულო!

წაუხუმრა ერთმა დარაჯუმა.

— ომოვე!

ამოიხვნეშა ბადიგერმა, გადისვა ხელი ოფლით ანაკადებულ შუბლზედ და შესდგა.

— იწამეთ ღმერთი!

— შევარონიოთ კაცო, რა დაგვიშავდება ამით.

სთქვა ერთმა დარაჯუმა და მიახვევიეს სასაფლაოზე.

— სირინზ! მასესხე ერთი მუქი მიწა და თუ მართალი ვარ, ისევ ჩემის ხელით დაგიშრუნო.

დაეშვა სასაფლაოზე ქვითინით ბადიგერი.

— ადექი აწი თუ მმა ხარ, გვაგვიანდება.

უთხრა დარაჯშა.

ბადიგერი წამოიკრა, საფლავიდან ერთი მუქა მიწა აიღო, ყაბალახის ყურზი გამოსკვნა და გაყვა დარაჯებს.

* * *

მთის ერთ მწევერვალზე იშმაგ მღელელმა, რომელიც ქუთაისის ოლქის ხასამართლოსაგან მოწმეთ იყო დაბარებული ბადიგერის საქმის გარჩევისათვის, ოფლში გახვითებულ ცხენს უნაგირის მოსართავები შეუსუმფა, ლაგამი პირიდან გამოულო, ხურჯინი მოხსნა და ბალახის საძოვრად მიუშვა. თითონ ხურჯინიდან საჭმელი ამოიღო და კარგათ ისაუშმია. ვაათავა საუხმობა თუ არა, პირჯვარი ვადიწერა და ღმერთს მადლობა შესწირა.

— ვმოიღობ შენ უფალო, რამე თუ განმაძლე მე.

სთქვა და მწევანე მდელოზე წამოწვა და ყალიონი ააბოლა. თავზე სვანი წამოადგა.

— ოხო, ჩეენი ღვდელი აგერ ყოფილა! დალოცოს ღმერთმა, რაკი კარგათ იმგზავრე. ბადიგერის საქმე როგორ ვათავდა?

შეეგითხა მეზობელი მახამეო.

— თი წლის კატორლა გიდაუწყვიტეს საწყალს.

— ომო! დაღუპულა საწყალი!

— არ იცი ამბავი და ისე ლაპარაკობ. დაღუპულა კი არა, ჩემ ჩერნებას რომ არ ეშველნა, დახრინებას უპირებდენ.

— რაღა ის, და რაღა ეს!

— რას ამბობ, რას! ავს ნუ იზამ და აფის ნუ გეშინია, ნათქვაძია. ჩვენ გვიგონა, მარტო ქავშუბის დაჭრა და დევეთგერის დახეითარის სიკვდილი ბრალდებოდა, და თურმე ამას გარდა, „ხელმწიფის“ ლალატშიაც რევია, მაგ უბეღური აბა!...

— აი, აი, აი! რა თავშე ხელალებული კაცი შეიქნა მაგ საწყალი. როგორ, ხეითარის სიკვდილი მას დაუმტკიცდა!?

— რა თქმა უნდა! „პრისდავის პროტოკოლში“, პირუაპირ იყო ჩაწერილი, რომ ხეითარს მიაძახა: უეს შენი მოწყობილი ლალატიაო—და დაახალა გულში ტყვიაო.

— მერე შენი ცოლი იქანა ყოფილა იმ დროს და ის რას ამბობს? რათ არ იყო ისიც მოწმეთ?

— ვინ გითხრა, რომ იქანა იყო!.. იმას უძინა, არც გაუგია იმათი მოსკლა! ნაშუალამევს ძალლი აყეფდა და გარეთ გავიხედე. უცებ მომვარდენ სიძე ცოლიძმა და საჭმელი მთხოვეს, ჩუმათ გავუტანე და ჭამდენ, რომ საღაცეიდან პოლიცია ვაჩნდა. ეს იყო და ეს! მადლობა ლმერთს, სიკვდილს გადარჩა და ათი წელიწადი, ათი დამცხვიკებაა ვაჟკაცისთვის. მოვა და კაცი იქნება.

სხვის ჯიბაზე ანგარიში ადვილია... საწყალს შვილი მაინც არ მოკვდომოდა, რომ მამის სისხლი აეღო, მაგრამ ნათესავებიც ყავს და ისე უსისხლო როგორ იქნებიან, რომ ერთმა ვერავინ ისისხლოს.

მახამეთის სიტყვამ, მღვდელს გულზე დაპერინა. დაიწყო მტკიცება, რომ შერისძიებით სვანები ამ სოფელსაც კარგავთ და იმ სოფელსაცო.

— შერის მაძიებელი, ჩემო შვილო, თავის დღეში სამოთხეს ვერ ელირსება. მუდამ ჯოჯოხეთის ადულებულ ფისის ტბაში იქნება კისრამდი ჩაფლული, და ეს ჩემი ღვთისაგან დაკისრებული მოვალეობაა, კარგათ აგიხსნათ და გაგა-გებინოთ, როგორც ახალშა ბლალოჩინდა.

მახამეთს არ იამა „ბლალოჩინობის“ გაგონება მაგრამ მაინც მიულოცა.

— ოხ, დალოცა ლმერთმა, ბლალოჩინობა მოგცეს?

— მომცეს, მაგრამ ვაი მათ ზაფ დღეს, ვინც ჩემშე იმდენი „დანოსები“ გზავნა! სად წამივლენ! იმოვალ, იმიათ ლდინში!

მახამეთს იამა იშმაგის ასეთი გამასპინძლება, მაგრამ თავი შეიკავა და ჰერთხმა.

— როგორ, „დანოსები“ ვინ წყვულმა გაგიბედა! ტყუილი იქნება!

— რას ამბობ! ტყუილი როგორ იქნება! მღვდელ-მთავარი ისე გაჯავრებული იყო, რომ ჩვენი პრისდავი რომ არ მისულიყო თავის ფეხით და იმას არ ეთხოვა, ალარ შვრებოდა. პრისდავმა აუხსნა, რომ ეს ყველაფერი სვანეთის გა-

იძერა პირების საქმეაო და თუ გნებავს მთელ სვანეთს ქრისტეს სული ჩაედგასო, მაგის ბლალოჩინობას მისცემო, თორემ მე ვხედავ, რომ სვანეთი გაურჯულოების გზაზე იღვიაო. კი იცი, პრისტავისთანა დიდ კაცებს უჯერებენ, და როგორც იქნა დამამტკიცა, მაგრამ რაი მერე! ეხლა იმდენი ხაჭებე და მოვალეობა დამაწვა კისერზე, რომ დღე და ღამე ხალხისთვის უჭიდავ ვრმრომო და ჩემი ოჯახის მუშაობას ქე უნდა მოვსცდე.

— არაფერია, ღმერთი გადაგიხდის, არც ხალხია უმაღური.

— შენისთანა ნამუსიანების იმედი ქე მაჭვს, მაგრამ ბევრი ოხერი გვირვია და იმათთან უველაფერი იკარგება.

ახალი ბლალოჩინი წამოდგა, ცხენ-უნაგირი შეასწორ-შეახაზირა, ხურჯინები მახამეთმა შემოუკრა.

— მახამეთ! ჩემი ბარგიანი ცხენი და კაცი სად შეგხვდა?

— თამარ მეფის სახუნდართან, ბატონო!

— კარგი დაგემართოს, მალე დავეწევი, აბა.

მოუქნია ცხენს და წაფიფინდა ახალი ბლალოჩინი, ახალი ჩექმა-ანაფორით.

— შენ დაეწიე ბაბუა ჩემს! — მიაწყევლა უკანიდან. — ფურ, იმ მთავრობას, ვინც შენისთანა ოხრებს ღვთის მოციქულათ გვიგზავნის... არაფერია, მოგეკითხება ოდესმე პასუხი.

ბუტბუტებდა მახამეთი.

— ხედავ ამ მამაძლს, როგორი გადაკრულ-გადმოკრული სიტყვები იცის!

ჩაილაპარაკა თავისთვის ბლალოჩინმა.

ბოქაულისაგან მოცემული სამასი მანეთი იშმაგს საკუთრათ დარჩა, რაღაც მისი მონაწილე ამხანავი ხვითარი შემთხვევამ გაასამართლა.

ხვითარის ცოლი სალდათხანი, გაცეცხლებული, ქმრის საფლავზედ გაიკრა და შეფიცა — ლამაზ მოხდილმა, გულ გაღელილმა და წელგახსნილმა, რომ: გადავიქცევი საშინელ ბოროტებათ და შენ და ბალიგერს ორივეს გისისხლებთო.

* * *

დუდარუხის ოჯახში დიდი ფლსფუსი და მზადება იყო. სამზადისი სამგლოვიარო სუფრის აღებას და პირის შერევას, ლაჯგრის¹⁾ შეეხებოდა. დაპკლეს თითო წლის ნასუქი ოთხი ხარი და ძროხა, ღორი ცხვრები, ნანადირევი ჯიხვი და არჩვი. არაყით სავსე ტიკები, რამდენიმე ფუთი გამომცხვარი პური, სულის ტაბლები, ჩიი-შაქარი და ხილეულობა, ერთი შეორეზედ ეწყო უზარ-მაზარ სუფრებზედ. სუფრის თავში დამჯდარი იყო ჯოხებსედ მოწყობილი ტანისამოსში მორთული სირინოზის ნიშანი. სახლი სტუმრებით იყო სავსე. მათ შორის ხვითარის ცოლი სალდათხანიც.

¹⁾ ლუჯგრი — მცვალებულისათვის სუფრის კურთხევაა ზოგიერთი ჭირისუფალი პირების ლუჯგრისედაც არ შეიტევა და რამოდენიმე წელი გლოვობს ბორცის უჭმელობით და შავი ცავის ტავის ჩაცმით. ამას უფრო ავალდებულებენ ოჯახში მახლობელ ქალს. სირინოზს დედამთილი გლოვობდა.

ხალხი რომ შეგროვდა, სუფრის მაკურთხებელი იშმაგ ბლალოჩინი თანა-შრირეცელი დიაკვნით და მნათეთი მობრძანდა.

— სუფრა მზათ არის?

დაიძახა საგანგებოთ სუფრისთვის დანიშნულმა ხელმძღვანელმა.

— მარილი არ დაგავიწყდეთ!

დაიძახა შეორებ.

სუფრის მარილით სავსე როდინი შემატეს.

მღვდელ-დიაკონმა სუფრა აკურთხეს. ბლალოჩინმა როდინიდან მუქით მა-რილი ამოიღო და ყოველივე სანოვაგეს მოაყარა.

— ეხლი რაც წესია, ის უნდა შევასრულოთ, შინაურმაც და გარეთულმაც. დაიძახა კიდევ სუფრის ჩურჩერახმა.

სამრ წლის პირ-შეურეველი ჯამურხანი ადგა და სირინოზის ნიშანს მოუ-ჯდა. დაიწყო ქვითინი, ააყოლა ჯერ ნელის ხმით მოთქმა და მერმეთ თან და თანობით ხმას აუწია. მოთქვამდა მიცვალებულის მწარე ცხოვრებას.

დიაკონმა კათხაში არაყი ჩაასხა, შიგ ხორცის ნაკერი ჩააგდო და ჯამურ-ხანს მიაწოდა. ჯამურხანმა კათხას ჯერ პურზე თავი წაუქცია და შემდეგ ცო-ტაოდენი მოსვა—პირი შეირია.

კათხა ყველა მახლობლებთან ამ სახით ჩამოატარა დიაკონმა.

უხვაო ივსებულ სუფრის მზერით ნერწყვ-მორეულმა ბლალოჩინშა ცერე-მონიის დამთავრებისას დუდარუხს მადლობის სიტყვით მიმართა, რომ ის მოი-ჭია დიდებულათ, სახელოვნათ, სირინოზის ასეთი უხვი პატივისცემით და იმას სკანეთი ყოველთვის ქებით მოიხსენიებს და იგი ლოცვა-კურთხევით.

— გისურვებთ შვილებო, რომ ყველა თქვენთაგანი თქვენ მიცვალებულებ-საც ასე მოქცევოდეთ.

შიმართა სიტყვის დასასრულ სტუმრებს.

დუდარუხი ცას მისწედა ასეთი მოწონებისთვის და აღსანიშნავათ მადლო-ბისა ხელზე ემთხვია.

ორასამდე—ქალები, ქაცები, ბავშვები, გლახაკები (ბევრია სვანეთში) ქმ-თროვნები (ძლიერ გავრცელებულია სვანეთში) შემოუსხდნენ სუფრებს. რამდე-ნიმე ათეული სუფრის მოსამსახურე-მზარეულები ლაგაფს არიგებდნენ (ლაგა-ფი—ულუფა—კერძი, უმეტ-ნაკლოთ ჩამორიგებული).

ხალხმა სუფრის თამაღა იირჩია. არაყით სავსე ხის კათხები წყვილ-წყვი-ლათ ხელი-ხელ გადადიოდა.

ახალი მიცვალებულის პატირონები თითო კათხა არაყით ბლალოჩინთან მიღიოდენ და სთხოვდენ—ჩემ მიცვალებულსაც შენი წმინდა ხელით შენდობა შეუთვალეო.

ბლალოჩინიც შენდობის მიცემით კათხას თავს წაუქცევდა, და გადაკრიცდა.

სალდათხანს არ ასვენებდა ძმის ციხიდან გამონაძახი სიტყვები,—„ხვითა-რის და ჩემი სისხლი იშმაგ მღვდელთან უნდა ეძიოთ“. ის ყოველ წუთს ეძებდა ამის შესაძლებლობას, შურისძიების დაგუბებულ ნაღველს თავისივე იღუ-მალობაში სვამდა.

„ეჭ, ამაზე უკეთეს შემთხვევას თავის დღეში ვერ ვნახავ.“ გაიტიქრა სალდათხანმა. ჯიბიდან საწამლავი ამოაცოცა, რომელსაც დიდი ხანია ბლალოჩინისათვის ატარებდა, ჩაყარა ჩუმათ არაყით სავსე კათხაში და მიაჩთვა ბლალოჩინს.

— მიითრვით თქვენი ერთგული ხვითარის შესანდობელი.

— ოოო, ჩემი ხვითარი, ჩემი ერთგული ხვითარი! რათ გამარტენე, ჩემთ სალდათხან! იმის მწუხარებამ ჩემი გული წაიღო. იმისთვის ყოველ ეამს ვლოცულობ და ეხლაც ესთხოვ ჩემ ნაზარეველს, განუსვენოს მას აპრამის წიაღში.

— თქვენი წყალობით, ჩემთ ბატონო!.. ხვითარის სული თუ გიყვარს, ამას სულ მიირთმევ, გაეხარება მის სულს.

თვალებ-აბრეცილმა ბლალოჩინმა სალდათხანის მირთმეული არაყი მარწუვივით გადაყლაპა.

— მადლობა ლმერთს, გაიმარჯვა ჩემმა სისაწყლემ.

წაიბუტბუტა სალდათხანმა და დაბრუნდა თავის ადგილზე.

შესანდობარი კათხების მომტანი ხალხი კიდევ რიგში იდგა. შოშიასავით პირ-დაფჩენილი ბლალოჩინიც ბუტბუტებდა შესანდობარი სიტყვების ნაწყვეტს და სვამდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბლალოჩინი სავარძლიდან გადმოვარდა. ხალხი აირია, აჩოჩოლდა, მედავითნებ საყედურით მიმართა ხალხს:

— დაახრჩეთ ამდენი შესანდობარის სმით და აბა რა მოუვიდოდა. ციკი წყალი ჩქარა!

წყალმა ვერაფერი დახმარება ვასწია. უეცრათ მუცელი საშინლად გაებერა, მთელი ტანი გველიერით დაუჭრელდა. დაღამებამდი საზარლად იტანჯებოდა დაღამებულს გარდაიცვალა.

— ყმაწვილი კი აღარ იყო, თქვე დალოცეილებო! ვერ მოერია ამდენ სმას! დაახრჩო სმამ ცხონებული!

ამობდენ არაყით გაფლენთილი სვანები.

— ვაი სირცხვილო! სიკვდილი და სირცხვილი, ორივე ერთად. რა ნაცოდვავი იყო ასეთი!

ამბობდა გულს მუხრუჭ-მოშვებული სალდათხანი.

— აბა, მიშველეთ რამე! ვადაასეენეთ თავის სახლში, თორემხომ იცით, ამალამის წესი: სულის მოწვევის დროს ეს აქ არ შეიძლება იყოს.

განაცხადა დუღარუხმა.

მიცვალებული, უკვე ცხრა საათი იქნებოდა, ცოლს მიუსვენეს.

ხოლო დუღარუხის სახლი სამარისებულმა მყოლროებამ დაიუფლა.

ის კუთხე, სადაც სირინოზის საწოლი იყო, ააფსეს ყოველგვარი სანოვა-გით, სავსე სუფრებით, რასაც სირინოზის ნიშანი თავს დასცეროდა.

შუაგულ სუფრაზე ამართული იყო ხილით და წითელი კვერცხებით აფერადებული ჩიჩილაგი, ანუ სვანების თქმით კამარა. ამის ქვეშ იდგა ნაკვერცლებით სავსე კაცი.

ლოგინის ფერხთით, მეჭიანურე ქალი იჯდა ხელში ჭიანურით.

სულგანაბული სტუმარ-მასპინძლები, თითო-თითოთ შედიოდენ, ნაკვერც-ხლებზედ პურის ქატოს დააყრიდენ, ჩუმათ შენდობას წაიჩურჩულებდენ და ფეხ-აკრეცით უკან გამობრუნდებოდენ.

კრევის გათავების შემდეგ, დარბაზში მარტო მეჭიანურე ქალი დარჩა, /ააწყო ჭიანური, დაუკრა და დაამდერა.

იგი მოსთვევამდა, რომ ამიერიდან სული ეყოფა და ესაფლება // მოცე-უჯახის, ზიწიერ ცოდვილ სიცოცხლეს, და უერთდება სულთა ქვეყანას. ამიტომ ჭიანური ალექსანდრებით და ნაღვლიანი გოდებით გზას ულოცავს მას და ევედ-რება, რომ სულთა ლამეს „ლიფაანეს“¹⁾ ყოველთვის ესტუმრებოდეს და მაშინ შინც აღირსებდეს სიახლოეს.

მეჭიანურე ქალმა დიდხანს ითია ლაშე. შემდეგ შამაკაცი გამოენაცვლა და იმან განაგრძო ჭიანური.

ამჩინება, დუღარუხისას განთიადამდე გაისმოდა გლოვის და გამოსალმების მუსიკა, ხოლო განთიადისას სული ვითომ გადავიდა სულთა სამყაროში და მემუ-სიკეებმაც მუსიკა დაადუმეს.

* * *

განმათავისუფლებელში ზარის რეკის ხმამ სვანეთის მთების მწვერვალები გადაღანა და ვაისმა კვლავ „ერთობა“ მოდისო.

ცველას გულის-ყური ლეჩხუმისკენ იყო მიშართული, რომ ნამდვილი ცნო-ბები იქედან გაეგოთ. გავებულ ცნობებს, მხოლოთ ის აღასტურებდა, რომ ცველა ძეველი მოხელეები ლეჩხუმისკენ გარბოდენ.

მშვენიერი დღე ხალხს მუშაობის სურვეილს უორკეცებდა. ყანა-სათიბში მოქნეულ ცელსა და თოხს მზის სხივებ ქვეშ იელვარებდა ცველა.

უცებ, სოფლის სამმართველოდან გაცხარებული ბუკის ყვირილი ასტყდა.

ცველას თავში რაღაც ახალის მოლოდინშა გაიელვა. სამუშაო იარაღი დაყარეს და სოფლის სამმართველოსკენ გაეშურენ.

სამმართველოს ეზოში ხალხი თან და თანობით მოზღვავდა. აივანზედ ლეჩხუმიდან ამოსული ახალგაზრდა ვაჟი გამოვიდა, ხალხს ძელებარე აღფრთოვა-ნებული სიტყვებით მიულოცა, მტარვალის ტახტის დამსხვრევა და მონობის ჯარვის დაგლუჯა.

— ძირს მტარვალები! ძირს კაცის ჭამიები! ძმათა სისხლის მღვრელები!.. ჰქუმდა ახალგაზრდა.

— ძირს! ძირს!

ბანი მისცა ხალხის გრიალმა.

-- გაუმარჯოს ერთობას! თავისუფლებას! მუშათა პარტიას, სოციალ-დემო-კრატიას!..

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!!.

გრიალებდა ხალხი.

¹⁾ ლიფაანე ე. ი. სულთა ლამე—ალების ბოლო კვირაში იციან სვანებმა და ცოველთვის ასეთ ცერემონიას მართავენ ხოლმე.

— ეხლა, ხომ გაიგეთ ამხანაგებო, რომ ხალხს მოგენიჭაო უფლება, რომ თქვენი ცხოვრების საჭე თქვენვე უნდა აიღოთ ხელში. ამიტომ, დაასახელეთ სანდო და პატიოსანი გლეხის შვილები და აირჩიეთ მოხელეებით. ვეყოთ, რაც მწარე ჭაპანი სწირეთ ნიკოიას ჩინოვნიკების და თავადების ბატონიშვილს ქვეშ. აწი შორს მათვან!.

* * *

შეიქნა ხალხის ჯგუფ-ჯგუფათ გახმობა და ჩურტჩურდებათ ხალხში, ვისაც ვინ მოსწონდა, დაასახელა და რამდენიმე წუთის შემდეგ, ზოგიერთი მათვანი აირჩიეს უკვე. არჩეული პირები, სამხარათველოს ოთახში, მქადაგებელთან შეგროვდენ.

* * *

მცირე ხნის შემდეგ, სეანეთში ხმა გავრცელდა, რომ რუსეთის ყველა ტუსალები გაუნთავისუფლებიათ და მალე ოჯახებს დაუბრუნდებიან.

სიხარულით აღტაცებულ ჭირისუფალ-ნათესავების მოლოდინს მალე ბორცი შეესხა. ბევრი პატიმრები, გადასახლებულნი, ოჯახებს დაუბრუნდნენ.

ბადიგერიც მოვიდა ქუთაისის საგუბ. კოშიტ. მანდატით, რომლითაც დავალებული ჰქონდა ადგილობრივ პარტიული ორგანიზაციის მოწყობა და ხელმძღვანელობა.

ბადიგერს შვიდი წლის მიტოვებული ოჯახი სულ განიავებული დაწვდა: მთელი ყანა-სათიბი და სახლ-კარი, ცოლის მემკვიდრეებს დაენაწილებიათ. ბოგანოთ შთენილი ბადიგერი იძულებული იყო მის დას სალდაოთხანს შეკედლებოდა.

ბადიგერის მოსვლით გამოწვეული ალფრონეანების ცრემლები მოიწმინდეს დაძმანდა. დას ძმამ ერთი ლერი სანთელი სოხოვა. დამ იმ წამსვე ჩამოქნა წმინდა სანთელი და მოურბენია.

— მე ერთ წუთს სირინოზთან მიეალ, მისგან წალებული სესხი უნდა მიუტანო და მალე დავბრუნდები.

უთხრა დას და რამდენიმე წუთის შემდეგ შეუვარებული მის სალოცავ საჯვარეს მუხლ-მოყრით დაქვითინებდა.

უბიდან მეშის ტყავში გამოკერილი მიწა ამოილო, გაუხსნა თავი და საფლავებ მიმოაბნია.

— ჩემო ზეცის და მიწის ლმერთო, მოგიტანე შენი პატარა სესხი და დიდ სესხს კი დიდი სესხით გადავიხთა შენს წინაშე. სეანეთში ჩემი დაბრუნების მიზანი მხოლოდ ეს არის.

ჩისძახა საფლავს და ცრემლებით დასველებული ხელებით სირინზის გულზე უხვათ მოფერადებული ბალახები ხარბათ აგლიჯა, ჩაიკრა გულში და სახლში წაილო.

— ეს ბალახი რათ გინდოდა, ჩემი სიცოცხლე შენ?

შეეკითხა მიბრუნებულ ძმას გახარებული და.

— ეს ჩემი ზიარებაა, ეს ჩემი ჩაგონებაა!

— რა ბალახია?

— სირინოზის გულიდან ამოსული... ამან უნდა ააჩურჩულოს სირინოზის სული ჩემს გულში, ამან უნდა ჩამაგონოს ჩემი გზა და მოვალეობა.

ბალიგერმა მხებე ბალახი სათუთათ გაახმო, დაფუშვნა პფრინულოვთ, ნაწილობრივათ გადაურევდა ხოლმე თუთუნში და სტკბებოდა მისი მაწევით.

* * *

უკარისი და
გრძელი დრო

ბალიგერის ახალი დროით უფლებრივი აღჭურვა რომ გაიგეს, თითქო ყველას გული კატამ გაკაწრაო.

— ვაი ჩვენი ცოდვა, თუ ვინმეზე ძველი ქიშპი აქვს, გლახა დღეს დააყენებს!

ამბობდენ ერთნი.

— იყითხოს ქავშუბმა, თორემ სხვასთან რა საქმე აქვს.
ამბობდენ მეორენი.

— ქავშუბი ისე ხაზირათ არის, რომ აწი აღარ ჩიაუგდებს ხელში თავს.

— ამ ერთი გოგოსთვის ქვე გაასისხლიანა სვანეთი და აწი კიდე რა ღმერთი ვაუწყრება!

— ეჭეე! ჯერ სად არის! იმ გოგოს ცოდვილმა სულმა მოაბრუნა მაგ სვა ნეთში... აი, შხარიკ დამემოწმა.

სოქვა და მოიქავა მარჯვენა წარბი მახარიამ.

— მადლობა ღმერთს, ჩვენ არაფელი გვიყადრებია, არც მისთვის და არც იმ გოგოსთვის და რას გვერჩის.

სოქვეს სხვებმა.

— კადრებაზე მარტო კი არ არის საქმე! — სოქვა თუთარმა. — კაცი ამდენი ყაჩალობა და ციმბირი გამოიარა და ერთი სიკეთის მთქმელი სვანეთში არავინ გამოუჩნდა. რა თქმა უნდა, ამას ყველას გადაუზღის, თუ მოახერხა.

— მერე შენ, ასე რომ ლაპარაკობ მუქარიაზე, შენ გექნა რამე სიკეთე, ვინ ვიშლილა!

უპასუხა ცოტა ნაწყენშა კვირიამ.

— ის მე ვიცი, რაც სიკეთე უქენი და რაც კაი კაი სიტყვები მე მისთვის დამიხარჯავს. ჩვენი ბლალოჩინის ჩვენებამ რომ სიკვდილს გადაარჩინა, ის ჩემი სამსახური და ხვეწნა-ვედრება იყო ცხონებულთან, თორემ ისე ძალიან ეშინოდა ჩვენების შეშლის და ფიცის გატეხის და კილეც უწია ცხონებულს, ფიცის ტეხამ: სმა-ჭამამ დაახრჩო.

— გიშველა ღმერთმა, რა მართალს ლაპარაკობ! შე კაცო! რაც უბედურება ბალიგერს მოუკიდა, ყველა იმ სულ წაწყმედილის ბრალი იყო და რა გაგიჭირდა ასეთი, რომ ე მკვდარი ბლალოჩინი ცრუ მოწმეთ მოგყავს! რასი გეშინია! მაგ ტუკილი ტრაბახი თუ გაგიგო, შაშინ...

— მაშინ რა! ჰო! შენ ასე ხარ სხვის სიკეთეზე შურიანი ყოველთვის, შე ენა პილპილიანო.

დაუყვირა და მოუქნია რკინის მუჯურო. თავს გაუხეთქდა, რომ დანაშთენები არ მიშველებოდენ.

* * *

ხუთი წლის კატორლაში ყოფნა ბადიგერისთვის რვარიან შეგნების და გამოფხიზლების შეკოლათ გამხთარიყო. უკვე გამორკვეულია მისთვის, თუ რას ნიშნავდა ბოქაულმა რომ უთხრა „შენც ცოციალობ შე ცერიტიტურა გასწორებული სიტყვით და სიამაყით ამბობდა: სოციალისტი უსამარტინი მიწიერათაც ჰქონდა გაზეპირებული პროგრამული ამოცანები და ენერგიულათ შეუდგაორვანიზაციულ მუშაობას. მაღვე მთელი სვანეთი ისე დაიჭირა ხელში, რომ თითვეული მისი ბრძანება კანონათ იქცა.

ჩვენს ყოფნას აწი ავაზაკების ყოფნა აჯობებსო.

ქავშუბი ამბობს თურმე. რაკი მაგ ავაზიკი ბიჭი ჩამოვიდა და ხალხს მეთაურობსო, მოსვენებას აღარ მოვცემსო.

მოუტანა ერთ დღეს მეზობლებში გაგონილი ამბავი სალდათხანმა ძმას.

— მართალი უთქვამს! ცოცხალი არ დამხვედროდა, ერჩია.

— კმარა შენი ჭირიმე, სისხლი ნამეტანიც ავიღეთ და აწი თავს მოუტოთხილდი.

— არაფერიკ არ ამიღია! ერთი გლახა დევეთგერის სიკვდილი ვერ გაუსწორდება ჩემს მკვდრებს! სირინოზთან ერთად ჩემი ცოლშვილიც მაგათ ჩაჰვლეს.

— შენი ჭირიმე, ჩვენი ბლალოჩინი ხომ არ იყო გლახა და უბრალო კაციხომი იყი, რა ვუქენი!?

— ის შენი ქმრის სამაგიერო იყო. ჩემი კიდევ სხვაა. თავადების სინსილა უნდა მოვსპო!!

— სხვებს ქე რას ერჩი შე კაცო! ჭირიქით, ქავშუბს ყველა ამტყუნებდა და მე ბევრი დახმარება გამიწიეს მრავალგვარ გაჭივრების დროს.

— დასწყევლოს ღმერთმა მაგათი თავი. არც ერთის არაფერი მშამს. ეყოთ რაც იბატონეს! აწი მუშათა ბატონობა უნდა იქნეს. ასეთია მუშათა პარტიის აზრი და სიტყვა. წავიდა ქავშუბობა, ეხლა ბადიგერობაა, ჩემო დაო, გაიგე კარგათ!

სთქვა ბადიგერმა.

ერთ ლამეს, საიდუმლო პარტიულ კრებაზე, ბადიგერმა წინადადება შეიტანა, რომ მთელი თავადები, მღვდლები და ძველი მოხელეები დაეხოცათ, ვინაიდან ესენი არიან მშრომელი ხალხის სისხლის მსმელები.—ხომ გახსოვთ როგორ ძვირფასი ამხანაგები დაგვიხოცა ამ თუთხმეტი წლის წინ მაგ საზიზლარმა ხალხმა! ქუთაისის კომიტეტმა აშკარათ მითხრა: სანამ მაგ საზიზლარ ხალხს არ მოსპობთ, მანამ სვანეთის ხალხისთვის ჩვენ ვერიაფერს ვერ გავაკეთებთო. მათი მოსპობით დაამტკიცებენ სვანები, თუ რამდენად რევოლიუციონერები არიანთ. ამასთანავე ჩვენ უნდა მოვსპოთ ყველა ის პირები, ვინც იმათთან კეთილ განტყობილებაში არიან. ბევრნი არიან ასეთები და კიდევ არ იშლიან მათთან დამქაშობას. ხომ იცით, ხულიგანის მეგობარი და მასთან მიმსვლელი, ხულიგანია და მასაც მოსპობა უნდა. მაში გამოფხიზლდით ამხანაგებო! გასწინდეთ ქვეყანა

თქვენი მტრებისგან, თორემ, ეს არის, მოახლოებულია მაგათგან ბატონ-ყმობის შემოლება, რის ხელმძღვანელათ რაღაც და ვიღაც დაკარგული ხალხისაგან, ფე-ლერალისტის პარტია შექმნეს, ეს ისეთი პარტიაა, რომელიც შესდგება ხულ ვი-რების და ქათმების ქურდებისაგან. სიცხისლე გვმართებს არავინ შეგვაცდინოს და ერთათ ერთ მუშათა პარტიას, სოციალ-დემოკრატიას, არავინ ჩრდილოებულოს, გვესწინდოთ მასთან მისაღწევი გზა, გაესწყვიტოთ ამ პარტიის ტრაქტი ერთ შო-წინააღმდეგ! ნუ დაივიწყებთ სვანურ მცნებას — „სამართალს სისხლით მოვსე-ბნო!!.“

დაამთავრა ბადიგერმა თავის მოხსენება. ერთმა დამსწრე სვანმა შეკითხვა გაბედა.

- არ შემიძლია, არც ერთ პარტიას არ მივემხრო და ჩემთვის ვიყო?
- ამას ჯაშუში ჰქვიან.

უპასუხა ბადიგერმა.

- რა ნაირათ? არავისთან საქმეს არ დავიჭირ და...
- მუშათა პარტიის გარეწარი ყოფილხარ! ასეთ კაცს ნება არა აქვს ჩვენ კრებას დაესწროს! დაიჭირეთ!!

ბრძანა ბადიგერმა.

- ბატონო, მე ჩემ თავზე კი არ მომიხსენებია, საყოველთაოთ ვიკითხე, კითხვისთვის დაჭერას რას მერჩით!?

- მაშ კრებამ გადასწყვეტოს, ხარ თუ არა დამნაშავე! ვინც სოვლით და-მნაშავეთ შემკითხველ ხოსიას, ასწიეთ ხელი!!

დაიძახა ბადიგერმა.

უცებ უველას ხელები ჰაერში აღიმართა. მათთან ხოსიას ხელიც.

— ვინც არის წინააღმდეგი ხოსიას დაჭერის, ასწიოს ხელი!?

ჰაერში არც ერთი ხელი არ გამოჩნდა, არც ხოსიასი.

- შენ ამ შემთხვევაში, ხმის უფლება არა გაქვს, რათ მიიღე მონაწილე-ობა! — შენიშნა ბადიგერმა.

- ბატონო, ამდენ გადარეულში ეოთი ჭკვიანიც გადირევა. რაშია საქმე ვერ გამიგია! თქვენი თავისუფლება ამაშია, რომ შეკითხვაც ვერ გაბედოს კა-ცხა?!

ბადიგერმა სამ მილიციონერს რაღაც გადულაპარაკა და ხოსია კრებიდან გაიყვანეს.

— არ გაგემდეთ!

იყო გაფრთხილება ბადიგერისაგან. რამდენიმე წუთი და გარედან თოფის ხია მოისმა. კრებამ მათი ხელების უაზრო აწევის შედეგი იგრძნო. დარბაზში მილიციონერი შამოვარდა.

— გაგემდა და ვესროლეთ.

— ასეთი პასუხი იცის რევოლუციამ მოღალატეებისათვის და რა ვქნათ!..

სთქვა დამშვიდებით ბადიგერმა. კრება დახურულად გამოაცხადა და დარ-ბაზში მარტო ოც და ხუთი ახალგაზრდა დასტოვა. ბადიგერისაგან ხსენებულ ხალხის დახოცვა ამათ ევალებოდათ... წინადადება მიღებულ იქმნა... მაგრამ სა-

ქმეს ის აფერხებდა, რომ არც ერთი სფანი მკვლელობას უსასყიდლოთ არ დას-
თანხმდა. მოხერხებულმა ორგანიზატორმა ამასაც უშველა. მეორე დღეს ქუთაის-
ში წავიდა და პარტიამ თვრამეტი ათასი მანეთი გადასცა. სასწავლოდ დაბრუ-
ნებულმა მეთოვე ახალგაზრდები საიდუმლოთ საყდარზე შეკრიბა, დაფუიცა სე-
ნური წესით და ჯილდო გადასცა.

— ჯერ ეს იყოს და თუ საქმე მარჯვეთ ჩავატარეთ, კუთხებით მოგვიდა. აბა,
ხომ იცით კვირას აქვე დიდი მიტინგი გვექნება და თავადუშების მშექუმავლით, რომ
თუ კიდევ ჩვენი ღალატი გულში არ გიძეეთ, მობრძანდით და აქ ერთგულებაზე
და ერთობაზე შამოვალიცეთქმ. ისინი მოვლენ უთუოთ. ვინაიდან ხალხში გან-
წყობილებით არიან და მერე თქვენ იცით...

* * *

განზრახული მიტინგი დაინიშნა.

მას შემდეგ, რაც მეტე ნიკოლოზი გარდავოინდა, ხსენებული თავადების-
თვის ხალხის მოთხოვნილების აყოლ-დაყოლა, მცნებათ იყო მიღებული და ამ-
ბობდნენ „მხოლოთ ცარიელი სიცოცხლე შეგვარჩინონ ბატონონ და წაილონ რაც
უნდათო“. რა თქმა უნდა მიტინგზე მიწვევის და ფიცის მიღებასაც, დასტურით
შეხვდნენ.

მიტინგზე შეგროვეილ ხალხის ზუზუნი მყის ბადიგერის . მჭუხარე სიტყვის
წარმოთქმაში შეაჩერა.

— ამხანაგებო! დღეს ქვეყანაზე მუშა ხალხი და მუშათა პარტია გაბატო-
ნდა! ხალხის ძალა რომ უძლეველია, ეს საზიზლარმა ნიკოიას ტახტმა იგემა. ის
ისე დაიმსხვრა, როგორც ქვაზე დარტყმით ერთი შუშის ბოთლი. არიან კიდევ
ხალხის მტრები: პარტიები, თავადები, ნიკოიას ძველი ხულიგნები, მაგრამ ისინი
ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებენ. ვინც ისურვებს და წმინდა გულით შეუერთდება
ჩვენ მუშათა პარტიის, სოციალ-დემოკრატიის, იმას ჩვენ მივიღებთ ჩვენ ამხანა-
გათ, ვინც არა და მისი ნებაა... ეხლა წინადადებას ვიძლევი, ვისაც სურს ჩვენს
ერთობაში შამოვიდეს, დღეს აქ ფიცი უნდა მიიღოს, ვისაც არ სურს, კრება
უნდა დასტოვოს.

ხალხი არ იძროდა.

— ამხანაგებო, ვინც ფიცის მომხრე ხართ, საყდრისკენ გადმოდით.

შველანი ნაჩვენებ ადგილზე გადავიდენ, მხოლოთ ოცდა ხუთი კაცი არ
იძროდა.

— ბეჭაილ! თუ ღმერთი გწამს, შენობით ჰკითხე იმ ხალხს, რათ არ ლებუ-
ლობენ ჩვენ საურთიერთო ფიცს?

დაავალა თავადმა ქავშუბმა ერთ მევობარ სვანს.

ბეჭაილის შეკითხვაზე ზოგმა უპასუხა — ცოლი მყავს ორსულათო, ზოგმა —
ოჯახში ქალი არის ბინძურათო (თვიური), ზოგმა წუხელი უწმინდურათ გავა-
ტარე ლამეო და სხვ. დასტოვეს ფიცის წრე და გაეიდენ საყდრის ეზოდან.

თუმცა აღნიშნულ მიზეზების გამო სვანთა ჩვეულებით არ შეიძლება ფი-
ცის მიღება, მაგრამ ბეჭაილის მიტანილმა პასუხმა შეჯგუფებულ თავადებს მაინც
ლალატის სუნი ავრძნობინა.

— გარწმუნებთ, ღალატი გარს გვარტყია და გლახურით მაინც ნუ დავიხმოცებით! თითო თოფი და ოც-ოცი ტყვია მაინც გვაქვს ხელთ და ჯერ მაგ ჭაბული მოვკლათ და მერე ვისაც მოვერევით.



ურუარებული

ტექსტის სისტემა

შესწერა

შესწერა

უთხრა ქავშუბმა.

ურუარებული

ტექსტის სისტემა

შესწერა

შესწერა

— მართალია, მეც შენი აზრის ვარ.

ურუარებული

ტექსტის სისტემა

შესწერა

შესწერა

განაცხადა ქელეშბეგი.

ურუარებული

ტექსტის სისტემა

შესწერა

— ბალიგერის ყმათ ყოფნას, რა თქმა უნდა სიკვდილი შილჩევნია. შაბანც ალარ ლირს ჩვენი ყოფნა.

ურუარებული

ტექსტის სისტემა

შესწერა

შესწერა

დაუმატა არდევანმა.

ურუარებული

ტექსტის სისტემა

შესწერა

ყველაზე უხუცესი, ჰქვიანი და პატივცემული ოთარი, ამათშა ხვაშიაღმა გააბრაზა.

— თქვენ ეგრე ხართ ყოველთვის წინ-დაუხედავნი და რისთვის გინდათ ყველანი დაგვლუპოთ! რას ჩმახავთ! რა გელანდებათ! ურთვულებაზე ფიცს ვდო. ბულობო და-ვინ რაღას ვვერჩის!

ოთარის სიტყვამ გასჭრა. ფიც-მიღებული თავადები ლამაზად აკაზმულ ცხენებზე შესხდონ...

— ხომ იცი ბიჭო! პირველმა ჩასაფრებულმა უნდა გაუშვას, მეორემ ეს-როლოს, მესამემ არ გაუშვას.

ურუარებული

ტექსტის სისტემა

შესწერა

შესწერა

შესწერა

თათბირობდნენ შეოქმულები, ორ ლობე შეა თავადები გაერაზმენ.

ურუარებული

ტექსტის სისტემა

შესწერა

უეცრად, ასეტყვიანდნენ ეინტოვკები...

— ოხ, თქვე დედაბრებო! თუ ვარკაცები ხართ, პირის პირ შეგვავდით!!.

დაიღრიალა ქავშუბმა და წაისვა თოფს ხელი, მაგრამ ნიშანი სისწორით იყო ამოღებული და ტყვიამ მარცხენა ლაწვმოგლეჯილი ძირს გადმოავდო. ნახევრათ სახე მოგლეჯილმა კიდევ შესძლო წამოჩინქება, გაისროლა ერთი. გამოისროლეს მეორე და ქავშუბი უსულოთ ძირს გაიშხლართა. დანარჩენები განცდის დასასრულის ზმუილით ნატრობდენ.

ურუარებული

ტექსტის სისტემა

შესწერა

— ეს ჩემი სირინობის მადლობის ცრემლებია. სირინოზ! აში აღარ შეზინო მოწყვენილი და მრისხანე, ჩემი ვალი პირნათლათ შევისრულე შენთან.

ჩასძახა საფლავს ბადიგერმა და დამშვიდებული განშორდა.

* * *

რამდენადაც ბადიგერის უფლება ფართოვდებოდა, კიმუნადული მისი ცხოვრების მოთხოვნილება იზრდებოდა. განსაკუთრებით აუტომატური წყებული მისთვის საკუთარი ოჯახის უქონლობა, დის კარზე ყოფნა. ამისთვის საჭირო იყო, საშეალება რამ მოენახა. საამისო გამოსავალი გზა, მხოლოთ საჭართველოს უმაღლესი ორგანოს გამოცემულმა დეკრეტმა მისცა: „ჩამოერთვის ყველა მემოშულებს მიწები და დაურიგდეს უმიწა-წყლო მშრომელ ხალხსო“.

ბადიგერმა ეს დეკრეტი, სწრაფათ და უმტკივნეულოთ გაატარა: უდიდესი ნაწილი მიწებისა ხალხს გადასცა, ხოლო უმცირესი, რჩეული მიწები, თავისთვის დაიტოვა. დახოცილ უმემკვიდრო სამი თავადის სახლებში — ერთში პარტიული ორგინიზაცია მოათავსა, მეორეში მილიცია და მესამეში თითონ დასახლდა. ნადავლთა შორის ბადიგერს ზოგიერთი ნივთებიც ხვდა: ვერცხლით მოკედილი უნაგირი, მოკედილი დიდი ჯიხვის ყანწები, ორი ნოხი, სამი აბრეშუმის საბანი, ორი აბრეშუმის ფარდა, რვა წყვილი ვერცხლის დანა-ჩანგალი, ერთი თამარ მეფის, მარგალიტებით ამრქარგული, ძველი სურათი, ერთი ხბოს ტყავის სახარება, ერთი ნარდი, ერთი უთო და ორი დიდი ქოუაკი ნაგაზი. ხარები, ძროხები და ცხენები ბლომათ გაიჩინა. ასე რომ, კატორდამდი თუ კარგ მოსახლეთ ითვლებოდა, ეხლა — უწარჩინებულესათ.

შურით ალსავსე სვანები ბადიგერის ოჯახს თვალით სჭამდენ.

ბადიგერმა გაიგო, რომ სვანეთში ლეჩხუმიდან ახალ მოხელეებს გზავნიანო, რაც სასიამოვნოთ არ დაურჩა.

— ეეხ! ეს არ ივარგებს ჩემთვის! ახალი და ნასწავლი მოხელეები ჩემ ძლიერება-გავლენას დაჩრდილავენ... ჰო, ახლა იმათ უნდა იპირველონ და მე ვიუკანასკნელო!... არა, ასე არ სწირავს ბადიგერი! ამოდენი თავგანწირვა ჩავიდინე, ამოდენი ვიშროვე და ეხლა კიდევ ჩემსე უფროსები და ბატონები დავიჯინო კისერზე! არა, ასე არ სწირავს ბადიგერი!...

ესაუბრებოდა თავის თავს.

მეორე დღეს, კრება მოიწვია და თავისებურათ საქმის ვითარება აუხსნა.

— ამხანაგებო! ლეჩხუმიდან შეკითხვა მივიღე, რომ თუ აღგილობრივი ხალხის სურვილი იქნება, განზრაპვა გვაქვს ახალი მოხელეები აქედან გამოვაგზანოთ. ჩემის აზრით, ეს ჩვენ სვანურ თავისუფალ ერთობას დაგვიღუპავს, ვინაიდან ხალხის საქმეს აღგილობრივი ხალხის შვილები უფრო ერთგულათ და კარგათ წაიყვანენ, ვინემ საღაციდან მოსულები. ამიტომ ჩემი სურვილია, დაუმტკიცოთ ლეჩხუმელებს, რომ სვანები არც ისე ყრუები ვართ, რომ თითონ არ შეგვეძლოს სვანეთის მოვლა-პატრიონბა. ეს ჩემი აზრი, თუ თქვენც კუთხი მოგივიდათ, დავაწერინოთ ეხლავე ამ ჩვენ მდივანს ამის შესაფერი ქალალდი, მოაწერეთ ყველამ ხელი და ამ ქალალდით ლეჩხუმს წავალ და იქ მე ვიცი, როვორც მოვაწყობ საქმეს. ხომ იცით, სვანები უდიერობით ვაშინებოთ ყველას.

რაც არ ხარ ათი იმდენი უნდა იყვირო, რომ სხვამ ვერ დაგჩაგროს. ასეთია ჩემი რჩევა და აწი როგორც ამჯობინოს, ისე გადასწყვიტეთ. ეს კი უკოდეთ რომ დაბლიდან მოსული მოხელეები ისე გაგვიბატონდებიან და ტუაზ გავვაძ-აობენ, როგორც ნიკოიას „ჩინოვნიკები“. იკოდეთ, რომ ეს ნასწავლი ხალხი, ყველა დანა-ჩანგლის ხალხია, ისინი მიჩვეული არიან ნაზობას, კურტენული და რაც მათ მოუხდებათ, შენც იმას მოგაცეამენ.

ცოხსენება ერთ ხმათ მიღებულ იქნა. მდივანმა რეზოლიუციის მიხედვით ოქმი შეადგინა. ოქმს, წაკითხვის შემდეგ, ვინც, ხელის მოწერა იკოდა, ხელს აწერდენ, ვინც არა და მდივანს, დასტურის ნიშნათ, ხელს აძლევდენ და მათ მაგიერ ის აწერდა.

შეორე დღეს, თავის ქალალდით, ბადიგერი ლეჩეუმში წავიდა. სამაზრო კომისარიატში ხალხის მიერ დადგენილი ოქმი წარადგინა და პირადი მოხსენებაც გააკეთა.

— ამხანაგებო, რადგან სვანეთის მშრომელი ხალხი, ძველ დახავსებულ დროს გამოგზავნილ მოხელეებით ისეა დაშინებული, როგორც მკლისაგან დაკბენილი ძალა, ამისთვის ნუ გაგიკვირდებათ, რომ წამხდარი ქონდეთ რწმუნება უველა დროის მოხელეებზე: უნდა მოვახსენოთ, რომ იქედან მოხელეების გაგზავნის ამბავშა ძლიერ აალელვა ხალხი. საჭიროა ამას გაუწიოთ ანგარიში. შეეჩინონ თავისებურათ ახალ დროს, დაივიწყონ ნიკოიას ავაზაკების მწარე მათრახების ტკივილები და შემდეგში, როგორც აჯობებს, ისე მოაწყობთ საქმეს, თორემ ეხლა რომ ხალხს ჩაუჯინდეთ და მათი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილოთ, ხომ მოგეხსენებათ სვანების უჯიათი თავხედობა, აირევიან და მერმეთ იმათი შეჩერება, თქვენც კარგათ იცით, ძნელი იქნება. მაღლობა ღმერს, ჯერ-ჯერობით ისე კარგათ გვაქვს საქმეები მოწყობილი, რომ ლეჩეუმს არ ჩამოერჩებით და მომავალში, როგორც აჯობებს ისე მოვაწყობთ.

მომხსენებელმა დაისრულა. მთელმა დარბაზშა ტაშით და ოვაციებით დააჯილდოვა.

— ღმერთო ჩემო, რა ნიკიერი ხალხია ეს სვანები!

— ნამდვილი მთიული რაინდია!

— თხ! დუშკა! დუშკა ბადიგერ!

ჩურჩულობდნენ ქალები.

საპასუხო სიტყვა მაზრის კომისარმა წარმოსთქვა.

— სვანები რომ უკან არავის ჩამორჩებიან, ამას თეთი მომხსენებელი და მისი საღი მოსაზრება მჭერმეტყველებს. ხალხის შეილი რომ ხალხისას უფრო გაიგებს, ამასაც მომხსენებლის ტაქტიკური მოსაზრებანი გვიმტკიცებს. ჩვენ სეანეთი ერთ უძლიერეს ფარ-ხმალით გვყავს და მის მამოქმედებელ ხელათ შენ, ამანაგო ბადიგერ! ამიტომ ჩვენ, იმათ აღელვებას კი არ ვცდილობთ, არამედ წინ-სკლას და კეთილდღეობას. ამისთვის მე სრულიად მიზან-შეწონილათ მიმართ ამხანაგი მომხსენებლის წინადადება.

დარბაზის დაუსრულებელ ტაშს მხოლოთ ნაღარა აკლდა.

მომხსენებელ კომისარის წანადადება კრებამ დაადასტურა.

ამრიგათ, ბადიგერის დიპლომატიაშ გაიმარჯვა და მისი ნააზრევი პროექტი სავსებით გავიდა და გამარჯვებულმა ხელმძღვანელმა იმ დღესვე გასწია სკანეთისაკენ.

* *



კატორლისაგან დასუსტებულ-გაუვითლებული ბადიგერი ნამდვირის იშვიათმა ჰაერმა, კარგმა სმა-ჭამაშ და უფლებრივმა გალალებაშ კვლავ გამოაბრუნა და ძველებური სილამაზე დაუბრუნა. გასუსტებულ გაზორბავებულს კიდევ მეტათ ამშვენებდა კარგი ჩაცმა-დახურვა. სალდათხანი სულ წუწუნში იყო, რომ ბადიგერს ცოლი შეერთო.

— ხომ იცი ძმაო, ათასი მტერი და მეშურნე გუავს და რათ გინდა იმათ სასიხარულოთ უშვილ-ძიროთ გადახვიდე. ლეთის მადლით, ცამდი ასული ხარ და ვის შეუძლია ქალზე უარი გითხრას. ვინც გინდა შენ, მხოლოთ თითი დაადე და დედიმისის შვილია, უარი გაბედოს.

ეუბნებოდა ხშირად.

სურვილი ბადიგერსაც საკმაოთ ჰქონდა მომწიფებული. ხშირათ ფიქრებში ღრმათ ჩაფლული წამოიძახებდა ხოლმე: „თუ ვითხოვე მხოლოდ ის! სხვა არ მინდა!.. ოოო, იმისი შვილი რა კარგი იქნება!.. სხვისთვის კი, სირინოზის საფლავს არ ვაწყენინებ“.

მძლავრმა სურვილმა მოთმინების ზღუდე უხეში გაბედულებით გადალახა, სისრულეში მოსაყვანი გეგმა გამოაკვეთია და ერთ მშვენიერ დღეს სალდათხანს გაენდო.

— იცი სალდათხან, მე რომ ცოლის თხოვა გადავსწყვიტე?! მალე, შენის-თანა რძალი კაცს არ ეყოლება.

— ნუ მემასხრები შე კაცო!

— არ ვემასხრები, სირინოზის სულს ვიფიცავ!

— ვინ არის შენი ჭირიმე?!

— მზისა!.. სასახლის ასული.

— უი, მაგ დღეს რა გომასწრებს, რომ თლათ მაგრე გავთავადი შვილდეთ.

— მაგ ამაღამ მოგესწრება.

— დედავ, დედავ, შენი ჭირიმე, მაგისთანა ოქროს გვირგვინს რა გეაღირ-სებს! მაგისთანა შთამომავლობის შვილები რომ შენ ფეხზე მომესწროს, სიხა-რული გადამრევს. მისი ჭირიმე, მე ქე მიცნობს.

— საიდან?

— ზარშან წინ ჯაშას ტირილზე ბრძანდებოდა. ისე ერია იმდენ ჯარში, როგორც ოქროს ჯილა. ყველა იმას ამბობდა — ნეტაეი მას, ვისიც შენ იქნებიო. მე სულ შენზე ვტიროდი. იყითხა — რა არის ეს ბადიგერისო. დაო, ბატონოვო, უთხრეს. მერე მე მითხრა — ნუ გეშინია, ბადიგერი მარჯვე კაცია, მოახერხებს და მალე მოვაო.

— ჯერ არავის უთხრა ეს საქმე... მხოლოდ ამაღამ კარგი უახშამი მოამ-ზადე ადრიანათ. ცხვარი დააკლევინე, კარგათ მოამზადე ყველაფერი. ხომ იცი

როგორც თავადებთან და „ჩინონიკებთან“ იცოდენ, ისე და იმ გვარათ. მილი-ციას ველი.

სალდათხანი თავდაუზოვავათ დაფაცურდა, ცხვარი და ხუთი ჭავავა-ლავანა, პური გამოაცხო; ყველაფერი კარგათ მოამზადა, მხოლოთ ჭავანების გამოწელვა და ჩიჩახვის გამოლება დაავიწყდა და ისე რგვალ-რგვალაზე დაბარებული ცხვარი, ქათმები, ყველი, პური, არაყი უხვათ-დააწყებული. მოთმინება შესუსტებული ბაღი-გერი იცნიდან თვალ მოუშორებლათ წალკოტის ბოლოში ჭისკრისაკენ გაიცი-რებოდა.

ასტუდა დაბმული ნაგაზების ხლოფინი და ბადიგერის მოლოდინს დასა-სრული მაეცა. წალკოტში თორმეტი მილიციონერი შამოთქარუნდენ ცხენებით.

მასპინძელი პირდაპირ სავსე სუფრასთან შეუძლება.

— აბა, საუცფისოთ გადავურათ, რადგან ეხლავე სხვაგან გვაქვს წასასვ-ლელი და დილით რომ დაეგრუნდებით, თუ გინდათ ერთი კვირა იქეიფეთ. გააცერთხილათ მასპინძელმა.

გულხარბათ მჭამელმა სვანებმაც ჭამას მოუჩქარეს, მსუქანს და ზორბა-ლუქებს უცოხნელათ ყლაპავდენ და ზედ არაყს წიმ და უწუმ აყოლებდენ.

— აწი ლრო არის წასვლის!

განუცხადა ჭამას დაწაფებულ სტუმრებს.

— სად გვაქვს წასასვლელი?

იყათხა ერთმა.

— ამას მერე გეტყვით.

ღამის თორმეტი საათი იყო, როცა მხედრები ოთარის სასახლეს მიღი-ლოვდენ. იქ ეხლა ცხოვრობდა ქვრივი შეხეათუნი და მისი ასული მზისა.

სათუთად ნაზარდ ასულს მამის და ძმის სიკვდილმა ისე მოუშალა ძარღ-ვი, რომ კოველი გახმაურება გრძნობას აკარგვინებდა. მარტოობაში იტანდენ დედა და შვილი ყოველივე ტანჯვას, და თუ ვინმეს მათ მიდამოში შესულს დაინახავდენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ ახალი უბედურების მომტანი მო-გიოდა.

დედა-შვილს ეზოდან ძალლის გააფთრებული ყეფა მოესმათ.

— მოუქნიეთ მაგ მვლის არჩივს და მოჰკალით! .

უბრანა ბადიგერმა. იელვა მილიციონერის ხანჯალმა და ძალლი შუაზე გადასჭრა.

ძალლის საზარელმა დაწენავლებამ დედა-შვილს საშიშროება აგრძნობინა და ათრთოლებული ერთ-მანეთს ჩიეკრენ.

— ამხანაგებო! ეხლა უნდა გავიმხილოთ აქ მოსვლის შიზეზი: ამალი შისა უნდა მომატაცებით, თორმეშ ჩემი იქედან ცოცხალი წასვლა ალარ შეიძლება.

— რა დიდი საქმე უნდა მაგის! ერთი ძალლის მეტი ყარაული ამ სახლს არავინ ჰყავდა და ისიც მოვკალით ეს არის, და ორ ქალს მე მარტო მოვერევი არა, ამხანაგებო?

მიმართა ამხანაგებს უფროსშა მილიციონერმა.

— მართალია! რა დიდი საქმე უნდა მაგას!

დაემოწმენ ყველანი, ცხენები ოთხ მილიციონერს დაკავებულს და დანაშთენები გაემართენ სახლისკენ.

— თქვენ ოთხი სახლს უკანიდან ჩაუსაფრდით, რომ იქნეთან არ გაგვეპაროს ქალი. თქვენ, მეორე ოთხი, ჩემთან! წინა კიბით გამოიჭირეთ გასცა განკარგულება ბადიგერმა.

ორ ციხეს შორის გამომწყვდეულ ვეებერთელა ოდის აივანზედ ხალხის ფეხის ხიამ, შზისას გონიება დაუკარგა და ლოგინზე გაიშხლართა, აცახცახებული დედა რომ მოსაბრუნებლად წყალს აპკურებდა, კარებიდან ხმა მოესმა:

— ქალბატონო! კარები გაგვიღე, საქმე გვაქვს!

ქრისტეკულმა დედამ ხმა ვერ ამოიღო.

— არ გესმის! ნუ გეშინია, მტრები კი არ ვართ, მოყვრები უართ.

შზეხათუნმა ძალ-ლონე მოიკრიბა და შეეკითხა:

— უინა ხართ თქვე ლვთიანებო, სთქვით! რა მადლია უპატრონო ქალების შეშინება!

— ნუ გემინიათ ბატონო, ბადიგერი ბრძანდება, საქმე აქვს თქვენთან. უპასუხა ერთმა მილიციონერმა.

— არ დამატეულოთ, თუ ლმერთი გწამო. ეს არის, შზისა შიშით ხელზე მაკვდება.

— რისი გეშინიათ ქალბატონო, მე ვარ ბადიგერი! უკაცრავათ კი ვართ, ამ დროს შეგაწუხეთ, მაგრამ თქვენ საქმეზე გეახელით.

შზეხათუნმა გაულო კარი.

ბადიგერმა რომ მზისა გულგალელილი, თმა გაწეშილი, მკვდარივით ლოგინზე დაგდებული დაინახა, შებრალების მავიკრათ, ქვენა გრძნობები მხეცივით გაუხელდა და გაცეცხლებული თვალებით დააშტერდა.

— რა დაემართა? სძინავს თუ ავათ არის?

იკითხა.

— შიშით გული წაუვიდა.

— არაფელია, ამას მე ვუშველი.

სთქვა ბადიგერმა თუ არა, დაეცა, როგორც ქორი წრწილას, აიხურა გულზე და მშიერი მგელივით კარებში გაარბენინა.

აკივლებული დედა ქალს ფეხებზე ჩამოეკიდა, მაგრამ მილიციონერების ლონიერმა ხელებში მყის განაშორეს.

— გაჩუმდი შე დალოცვილო! კივილი რას გიშველის. აწი მაგას ბადიგერს ლმერთი ვერ გამოგლეჯს ხელიდან. ხომ იცი ქალბატონო, ეხლა მუშა ხალხის დროა. რა უჭირს, დედოფალივით შეინახავს, ქეც უნდა გიხაროდეს, შე დალოცვილო!

ამშეიდებდა ერთი მილიციონერი. გამწარებული დედა კარში გამოჭრას ლამობდა. მილიციონერი იძულებული გახდა ქალბატონი ოთახში ჩაეკეტა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, მზისა, ახალი მიცვალებულივით მოღუნებული, საკულების ამარა, ბადიგერის მკლავებს მაგრა ეჭირა, გამალებული ტედაურით სახლისკენ მიაქროლებდა.

— დალოცა ღმერთმა, ეს არ ყოფილა დედამისივით მეცნიში და უკადრისი. ისე შშეიდობიანათ წამოგვყვა, რომ ერთი კრინტიც არ ფაჯქუაფს ამბობდა ერთი მილიციონერი.

— ოხ! დედამისის წივილ-კივილმა ისე გამაბრაზა, რომ ბადიგერის ხათრი არ მქონოდა ხანჯალზე წამოვაგებდი. სისხლი მდის ხელებზე, ისე დამკაწრა კაჟუეტივით.

ამბობდა მეორე მილიციონერი.

— შე კაცო, ღმერთი აღარ გწამს; შვილი წავართვით, კატა კი არა! ჩაერია მესამე მილიციონერი ბადრი.

— თუ წავართვით, რა დაუშავდება? გაფხექილ სახლში შიმშილი მოკლავდა და ბადიგერთან ქე ექნება კაი სქელ-სქელი ხაჭაპურები.

— შენ რა გიხარია მერე, შე უბედურო! ბადიგერს, მართალია, ხაჭაპურებიც აქვს და ლვთის-მშობელივით ქალიც კი მიყავს, მაგრამ შენ რა! მითხარი?

— მე ის, რომ ერთობა და ის მიხარია.

— ერთობა თუ მარტო ბადიგერის გაბატონებაშია, ღმერთმა შეარცხვინს ასეთი ერთობა.

— არაფერია, ბოლოს ჩვენთანაც მოაწევს ბადიგერობა. გულს ნუ წაიხდენ, ღმერთმა ნუ ქნას რომ ერთი ბატონობა მეც არ ჩავიგდო ხელში. სულ ტყავს ავაკლი სუჟველას.

— დღევანდველმა ერთობამ რაც შენ გაგაბატონოს, ის კარგაო დაიქადნე.

— აბა, შენ როგორი ერთობა გინდა?

— როგორი და ჩვენი ვასო მასწავლებლის ერთობა.

— იმას როგორი ერთობა აქვს?

— მუშათა და გლეხთა პარტია „ბაშენიკობა“.

— ხო, ქე გამივონია კიდევ შე კაცო, ეს სახელი. ბაშე... ბაშენიკობა... ბაშენიკობა. ხო, კი ვიცი, ვიცი. მერე რას გვიზამენ ისინი?

— ისინი არავის არ გააბატონებენ.

— აბა, ყველას გააგლეხებენ.

— ყველას გააკაცებენ.

— ქალებსაც?

— ქალებსაც, მაშ!

— ჰეი, შე კაცო, რას მისხრობ! ქალებს რაფერ გააკაცებენ...

— ეხ, ვერ გაიგე შე კაცო! ქალებსაც ისეთივე უფლება ექნებათ „სახელწიფოში,“ რაც კაცებს.

იმას „მაშენიკებიც-“ასე ამბობენ.

— „მაშენიკები მარტო სიტყვით ამბობენ ყველაფერ კარგს და საჭმით, ხომ ვნახეთ, რაც გაგვიკეოხს! დამშეული მგლებივით დარბიან და მათვის მარტო იგლიჯებიან, თორემ ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ. აბა ეს არის სამართალი, ამაღამ, რომ ჩვენ ვქენით!

- შერე, სად არიან ის „ბაშენიკები“ ეხლა? რას უცდიან, რათ არ მოვლენ?
- რა ვიცი... მგონი ახლოს არიან...
- შერე ჩვენ რა უნდა ვქნათ?
- ამის რა თქმა გინდა შე კაცო! მუშა ხალხი მუშათა პატიას უნდა მიეცემაროთ.

— ეჭ, მაგასაც ვსცდი და თუ მაქედანაც არაფერებული შერე ცუდ კაცობის მეტს არაფერს ვიზამ.

— ხუ გეშინია, მაგენი ჩვენია, მუშა ხალხს შარტო მაგენი ქომიგობენ.

— თუ კი მასეა, ლმერთმა გაუმარჯოთ და მაღე მოიყვანოს.

კიდევ მეტს ეტანდა ახალგაზრდა მილიციონერს ვასო მასწავლებლის ჩუმი პარტიული ამხანაგი ბადრი მილიციონერი, რომ ჭინ მიმავალ ბადივერს უკან ჩ მორჩენილ მოსაუბრევებისათვის არ დაეძინა: შემოუტიეთ ცხენებს და ჩქარა წამოდითო. ეტუკობოდა რაინდს მზისას სიმძიმემ მკლავები დაულალა და ცხენს გაუჩქარა.

განთიადი რომ ლამაზ თვალებს ახელდა, იმ დროს თვალებ დახუჭული მზისა ბადიგერმა თავის ეზოში ცხენიდან ჩამოილო, გულზე ატარებული სახლში შეიყვანა და მიმკედარებული ლოგინზე დასდგა. ალფროვანებული სალდათხანი ალერსიანათ ეფათურებოდა და საბანს ხურავდა.

— უი, ჩემი ცოდვა, როგორ დაღლილა! დეიძინე ჩემო ოქრო და კაი გულზე გაიღეიძებ, ჩემი დღე შენ!

მიუალერსა პატარძალს სალდათხანშა და ბეღნიერ ძმას აივანზე გაყვა.

— სალდათხან! ამ დილას წითელი ძროხა უნდა დაკლევინო, როვოს უთხარი. ხვალ კი ჯვარის წერის დღე მექნება და ერთი ულელი ხარი უნდა დავულათ, თუ გვეცო, თუ არა და ძროხას მიუმატებთ კიდე.

— კი შენი თვალების ჭირიმე! ისეთი საქები ქორწილი უნდა გადავიხდოთ, რომ ჯერ სვანეთს არ ახსოვდეს.

— ასე... ძროხის დაკვლამდი კი ცოტა რამე წაგვასაუზმე.

— კი, შენი ჭირიმე, ეხლავე!

— მზისასთვის არაფერი გაქვს ხეირიანი საცინცქარი რომ იამოს და მაღა გაუხსნას?

— როგორ არა, შენი ჭირიმე, ერთი ქათარი რგვლათ მაქვს შენახული მისთვის.

საქორწილო სამზადისის ფაცი-ფუტი დაიფლო ყველაფერი, ზოგი ძროხის ტყავებს, ზოგი პურის აცხობს, ზოგი საუზმეს ამზადებს, ზოგი ეზოში ჯგუფ-ჯგუფათ შეგროვილიყვნენ და მილიციონერები ახალ მომხდარ ამბაეზედ უყვებოდენ. ბადიგერი მხიარულათ ეგებებოდა გამოსულ მეზობლებს და მილოცვას ლეპულობდა და თან შესჩიოდათ, მზისა ნამეტანი დაიღალა და სძინავსო.

— ხომ იცით, კნიაზის ქალებს ძილი უყვართ, და თუ არ ვაძინე გამექცევა.

ოხუნჯობდა გამარჯვებული რაინდი.

სროლაზე შეჯიბრებულ სვანების ტაბანზე კინტოვკების ტკიცინს ყურთა სმენა დაკავებული ჰქონდა.

ეზოში შეგროვილ სტუმართა განცვიფრებას და შურს  არ უჩანდა.

— პაი, პაი, რა ქალი ჩაიგდო ხელში! ბედიც ამასა ჰქვიანეს უკავებეს!

— კეშმარიტათ მარტო მაგ კაცისთვის მოსულა ერთობების უკავებეს!

— ასეა, ხან მთობაა, ხან ბარობა. ერთი დრო არავის შერჩენია, გახსოვთ საწყალი ოთარი, რომ იტყოდა: ჩემი მშისას საკადრისი ჯერ არ დაბადებულაო?

— როგორ არ მახსოვს! იმას რომ მშისას შუბლზედ აქ ბედის ამოკითხვა შესძლებოდეს, მისი ხელით მოკლავდა მზისას.

— მიტომაც მოსპო მაგ კაცმა, ასეა, ქაი ყველას უნდა. ვინც მოახერხებს, ოქროს ყველა აიღებს. მოახერხა იმ კაცმა და აიღო სიკეთე და ბედი.

— შერჩება ვითომმა?

— შე კაცო, ქალს ერთი ხმა, კრინტიც არ ამოულია, დედა მისი კიოდა და დედას ვინ ჰყითხავს!

— ასეა, ქალი ძალლის ნათესავია, ვინც აჭმევს მისია.

— ოხო, შენმა სიცოცხლემ, მშისა ძალლის ნათესავია და შენ კი ჯიხვის.

რა ვინდა! ჩვენ თუ ძალლები ვართ, თქვენ ძალლზე უარესი. ასე დაცემულს და გაუბედურებულ ქალს პატიოსანი ძალლი არ ურჩოლება და თქვენ კი, თქვენ მხეცობას რომ ეკადრება, ის ჩაგიდენიათ.

უპასუხა შეურაცყოფილმა სვანის ქალმა.

ასე ბურდლუნებდენ შერით სავსე სვანები. აჩქარებული ცხენის ნაპიჯთ ეხოში ბადიგერის მდივანი შემოვიდა, ოთახში ბადიგერი შეიხმო და ლეჩეუმიდან სასწრაფოთ მოსული ქალალდი წაუკითხა.

გაყვითლდა ბადიგერ უცებ. ლეჩეუმიდან სწერდენ: „ქვეყნის გამნადგურებელი ბოლშევიკები მოდიან, ხოცავენ ხალხს, აუპატიურებენ ქალებს, არ ინდობენ ბავშვებს, მოაქვსთ ტომრები ნადაცლისათვის, ათარეშებენ მცხოვრებლებს და სხ. ხოლო ბადიგერს ავალებენ, უბრძანებენ, სთხოვენ და ევედრებიან, უმინდე უოველივე ზომები, შეკრიბე სვანთა ლაშქარი და შენის მეთაურობით დღისა და ლამის განურჩევლათ მოგვეშველეო“.

ბადიგერი ორ მახვილთა შორის ჩაეირდა.

— უმ! როგორ დროს მიორგულა ბედმა! კაცო, ხვალ ქორწილი მინდოდა.

— ეხლა, მაგაზე ფიქრი აღარ შეიძლება. ქალი ხელში გყავს, რა გაწუნებს. დაბრუნდები შშეიდობით ქორწილს და მტრის დამარცხებას ერთათ იდლესასწაულებ.

ურჩია მდივანმა.

მცირე ყოყმანის შემდეგ, თოფში ნაცადმა თოფივე აიღო და ნაპიჯი ომისკენ გადადგა, ოჯახში განკარგულება დატოვა და მშისას გამოსამშვიდობებლათ შევიდა.

— აპა, ამას ისევე სძინავს და! მზისა! გაიღვიძე შენი ჭირიმე! მე მივდივარ, უჩემოთ არ მოგეწყინოს. მე მალე მოვალ.

ჩაკლცნა დადუმებული ქალი, გამოვიდა და საუზმეს უკვე ჩამხთოა ობალს გალშევიკების კაციჭამიობა განუმარტა, ფეხშე ერთი ორი კათხა თოაყი სასწოა-ფოთ გადაკრა, იახლო მილიცია და გასწია ლაშქრის შესაჭრებულება.

მთელ სვანეთს გააფირებული ვეფხვივით კარის-კარუ ჩამოუფრთხოება უხსნიდა და იმდენი იკლიმანჭურა, რომ მთელმა სვანეთმა ას-ოცი კაცისგან შემდგარი ლაშქარი მისცა.

მეხუთე დღეს დარაზბული ლაშქარი წინ გაუშვა და თვითონ მზისას გამოსამშვიდობებლათ შეიირა. კიბესთან დალერემილი სალდათხანი შამოხვდა.

— როგორ არის ქალბატონი?

— ისე იქნა ჩვენი მტერი. სულს ლევს, ისეა.

— რას ამბობ! რა სტკივა!?

— არ ვიცი! ვკითხაუთ და ხმას არ იღებს. როგორც ნაკვერცხალი, ისე ცხელია. მკლავშე რალაცია გაკაწრული აქვს და მთელი მკლავი გასივებულია, ხელს არ გვაკარებინებს. საჭმელი ჯერ არ უჭამია. სულ ბოდავს და იძახის, მგლები მომაშორეთო. სულ დედა მის ეძახის. მოყვანა მინდოდა, მაგრამ ისიც ძალიან ავად არის.

დაძმარებული ბალიგერი ოთახში შეიკრა, სადაც მნახავი ხალხით ისე სავსე იყო ოთახი და ჰაერი ყალიონის კვამლით გიბურული, რომ აგათ მყოფს სულთქმის საშუალება აღარ ჰქონდა.

— მზისა! რას შერები შენი ჭირიმე, რა გრკივა? მე ხომ არ მემდური, ამდენი ხანი რომ მარტო დაგტოვე? ხომ იცი, შენი ჭირიმე, ქვეყნის საქმე მე მაბარია, პასუხისმგებელი პირი ვარ და დრო ილარ დამრჩა, ვერ მოვახერხე, თორემ ჩემი სული შენთან იყო. მითხარი, თუ რამე გენატრება და ჩიტის რძე-საც კი ვიშოვი შენთვის.

მზისას ტუჩები ისე შეწებილიყო, თითქო ალთქმა დადვეს, თავის დღეში არ ილაპარაკო.

— აბა მკლავი მაჩვენე, რა დაგემართა!

ავათმყოფმა ულონოთ დაიკავლა, ხელი არ მიიკარა, ტკივილებს გრძნობდა.

— დაფრთხობილი უნდა ჰქონდეს, შენი ჭირიმე, დაფრთხობილი.


სთქვა ერთმა აქიმბაშმა ქალმა, რომელიც ფერთხით უსხდა, ხელში შავტა-რიანი დანა და ნახშირი ეჭირა და დაფრთხობილისას ულოცავდა.

— ნუ გეშინიათ, იმ ლოცვას რომ გაფათვებ, მერმეთ დიდება შის სახელს,—ჩვენი საყდრის ეზოდან ცაცხვის ცილს მოვიტან, არაუში გამოვხარშავ, ნალვლებს შიგ აურევ და ერთ-ორ კათხის რომ დავალევინებ, უცებ უკეთ შეიქნება. მეტი არაფერი არ არის საჭირო.

— აბა შენ იცი, რაც საჭირო იყოს, არაფერი არ მოაკლო, შენი ჭირიმე და შენი სააჭიმო ჩემ კისერს იყოს... სალდათხან! თუ ამ წამლებმა არ უჯობოს და ხვალ უკეთ არ იქნეს, მერე დონტურთან გაგზავნე როჭო და უთხროს

ბაღიგერის ცოლია ავათთქო და იმ წაშვე წამოვა. კარგათ მოუარეთ და მორჩენილი დამახვედრეთ, თორემ ცოცხალი არ დამავდეთ.

— როგორ, კიდევ მიხვალ საღმე თუ?!

— მო, აბა რა ვძნა! ჩვენი დამლუპველი ბალშეციყები მოღასნო  უჭირება კაცი ქვეყანას. ჯარი მიმყავს ლეჩებში.

— უი, ჩვენი ცოდვა! ვაი, ჩვენი ცოდვა!
შექნეს წუხილი ყველამ.

უროვნეული
ტრადიციები

მზისა! მშეიდობით წენი ჭირიმე. მე ლეჩებში მივდივარ, მალე დავპრუნდები და მოგიტან ყველაფერს.

უთხრა. აკოცა მიმკვდარებულ ჭალს და ვამოვიდა წასასვლელათ, მავრაც ბაღიგერის გულში უკვე მოლესილი სამართებელი ნიშგებით ისრიალდა.

— ღმერთო! თუ მშეიდობით დამაბრუნებ, ორმოცი დღე მზისას კიდევ არ მივეკარო.

წაიდუდუნა, მოახტა ცხენს და გასწია.

გზა საწეალებას არ იძლევედა, სირინოზის საფლავთან გაეართა. საფლავი დაობდებული დამოიყურებოდა. ბაღიგერი რაღაც გრძნებამ შებოჭა... შესლგა... შეცოყმანდა...

— ეჭ!.

სოჭვა, ცხენს ლაგამით სასაფლაოსკენ უჩვენა და ორი წუხის შემდეგ საფლავს თავს ადგა. ადგა და სდუნდა...

* * *

— რას ამბობთ! — დაიწყო ბაღრიმ. — ერთობა თუ ამის მეტს საწყალ ბალს არაფერს მოგვიტანს, ლმერთმან შეარცხვინოს ასეთი ერთობა. ერთმანაყაჩილარმა ბიჭმა ავედვა ლაგამი და სითაც უნდა იქეთ მიგვერევება. თუ ბატონობა განმეორდებოდა, ისევ ის ბატონები ყოფილიყონენ ბარემლაც, ვინც შავან გაგაწყვეტიათ. ნეტავი ჩვენ, თუ ცოდვით დაკიტვირთეთ, ადამიანების სისხლით დედამიწა ივსვარეთ და მათ მაგიერ ბაღიგერი გაბატონდა. ეხლა ლენუშმში მიგვერევება, რაიონ და თქვენ „ბაშენიკები“ გასწივიტეთ და მე სვანეთზე ვიბატონებო. ნეტავი დედა ჩვენს!..

— თხო, ხო-ხო, რა მართალს ავბობ, ზენ აგაშენა ღმერთმა! პარდაპირ გაქნიახდა მაგ ბიჭი. ხომ ხედავთ, რა ქალი ჩაიგდო ხელში. აფსუს, აფსუს!

გამოეპასუხა ერთი ლაშქრის კაცი.

— მაგ არაფერია, თქვენ ნახავთ, რომ მალე ნადელებიც დაგვადეას კისრის.

დაუმიატო მეორემ.

— რა დაუშლის! ერთს ბრძანებს და გაათავებს. მე შენ გეტყვა, ხმას ვინც ამოიღებს. მახარიას უირივით სითაც უნდა, იქეთ გვაჟვირებს. ორმოც და ათი კაცი მკვლელებათ ჰყავს დარაზმული, გბრევავენ თუ არ მოეწონე და აღირც ბატონი იქნები და აღარც ყია.

განაგრძო ბადრიძე.

— მართალია, სათქმელი ამდენი თავის დღეში არ გვეპნეა, მაგრამ სიკუდილს უფრო უთქმელობა მიღწევნია.

სთქვა მესამედ.

— ასეა, ჩვენ ჩვენი ყრუობა გვლუპავს. ვერ გაიგეთ უფრო მუშა ხალ-

ხის ნამდვილი ერთგული და რა ვქნათ.

უპასუხა მეოთხემ.

— ის მაინც ხომ გაიგეთ, რომ მთელი რუსეთის მუშა ხალხი, მაგათ მიებრო, იმიტომ რომ ჩვენსავით ყრუები არ არიან.

ჩვენ კი მათ გასაწყვეტათ მივდივართ. აი რაშია ჩვენი ყრუობა.

— ეეს, ჩემო ბადრი? ალია და ოსმანიო თათარი არისო. ცხონებულმა ნათლია ჩემმა იცოდა. ლმერთმა დასწყევლოს, მუშა ხალხის საკეთილო არავინ არ შეიქნა.

— აბა რისთვის მოდიან ის „ბაშენიკები“, თუ მუშა ხალხის სიკეთისთვის არა?

შეეკითხა ბადრი.

— რისთვის და მისი თავისთვის.

— ეეს! აი ასეთი ყრუაბა გვყუპავს ჩვენ. მათთვის კი არ მოდიან, ჩვენთვის მოდიან კაცო, ჩვენთვის! აბა, თუ შემოვიდენ ისინი, ნახავთ მაშინ თუ ბადიგერისთანა უნამუსო ბატონებს პასუხი არ მოსთხოვონ.

— თუ მასეა, ლმერთმა გაუმარჯოთ და არც ქე ვესვრით მაგისთანა კაცებს.

— ამინი ქნას ლმერთმა!

დაუმატა სხვებმა.

— ძალიან შევცდით, რომ დავუჯერეთ და წამოვედით, ძალიან! სთქვა ერთმა.

— არა, არ შევსცდით. ასე სჯობია საქმისთვის. რომ ჩაეალთ ლეჩხუმში, იქ უნდა ეულალატოთ კნიაზ ბადიგერს და „ბაშენიკებისკენ“ გადავიდეთ და მაშინ ნახავს რაც ვაუკაცია.

— ოხოოო! ეს რა კარგათ სთქვი შე კაცო! ეს ძალიან საქმე იქნება სწორეთ! ეს კოვზით ზიარება იქნება, უნდა გიოხრო.

მოუწონეს ერთხმათ ბადრის.

კიდევ მეტს ეტუოდა ლაშქარს ბადრი, რომ ბადიგერი არ დასწეოდათ.

— გამარჯვება თქვენი! რას შერებით, ხომ არ დაილალეთ? არ მოიწყინოთ, იმღერეთ, იმხიარულეთ, ისე გაუხდით მტერს საქმეს, რომ ყურებ-დაჭრილი ჩვენს წინ იწოქებდეს! სვანებს ეხლა დავვიდგა თავის გამოჩენის დრო და აბა თქვენ იცით თუ სირცხვილს არ მაჭმევთ. აბა, იმღერეთ!

ბადიგერს უნდოდა, თავის გულში უსიტყვოთ დაგუბებული მრავალ-გვარი ბოლმა-ნალველი სიმღერით ჩაეკლა და პირველმა მან დაიწყო სვანური საომარი სიმღერა, რომელსაც ბანი მისცეს დანარჩენებმა და აგუგუნდა, გამოცოცხლ-

და ლაშქარი. გზა და გზა მოხალისენი უერთდებოდენ და ლაშქარი ორას კაცი შეივსო.

მეორე დღეს უმაღლესი მთა გადალახეს და ღაბინდებისას მოგრძელდა ამანაკურა ლაშქარი. რამდენიმე ალაგს ცეცხლის კოცონი ააგაზვანეს, გახსნეს ტყვის გუდები, ამოალაგეს საგზალი და ვახშამს ჩაუსხდნენ.

— თუ მშვიდობა გვექნა, ხვალ ამ დროს ლეჩხუმს ვიქნებით, რომ ძირისაც სთქვა ბადიგერმა.

— ხვალ ამ დროს იქნებ ისეთ ტყვიების ტკიცინში ვიქნეთ, რომ ძირისაც კურტრიიალობდეთ.

იხუმრა ერთმა.

— ჰაი, შე მშიშარა! ბალშევიკების „უსტის“ ტყვიების გეშინია?

— რა იცი რომ „უსტის“ აქვთ?

— როგორ არ ვიცი.

— ხუმრობ თუ მართლა ამბობ?

— როგორ ვხუმრობ! იმათ ძველი ტყვიები, მე რომ რუსეთში ვიყავი, მაშინ გამოელიათ, რაც რკინა-ფოლადი ჰქონდათ ის ვერმანიამ წაროვა და ეხლა „უსტის“ ტყვიები ვამოუგონიათ, მაგრამ კი ვერ კლავს თურმე. ისე მსუბუქათ სჭრის, კაწრავს თურმე.

ამბობდა ბადიგერი.

— ეს თუ მართალია, კარგი მახარობელი უოფილხარ, მაგრამ...

— გაკაწრვას ვინ სჩივა, ბატონო ოლონდ ნუ მომკლავს და...

— სთქვა მეორემ და არიხრიხდა სიცილით ლაშქარი. სიცილი, ცხენის ფეხის თქარა-თქურმა შეაწყვეტიათ.

— ჰეი! მტერი ხარ თუ მოყვარე ხმა ამოიღე!!

დაუყვირა ლაშქარმა.

— მე ვარ როგორ ნუ გეშინიათ.

ბადიგერის მსახურმა როგორ მოაგდო ცხენი.

— შიშით, შენი კი არა ბაშენიკების არ გვეშინია, მაგრამ შენ რამ მოგიყვანა ეხლა აქ? შენც ხომ არ მოგინდა უსტის ტყვიები?

გაეხუმრა ოხუნჯი სვანი.

— ცუდი ამბავი ხომ არაფერია ბიჭო?!

შეეკითხა ბადიგერი, ბატონური კილოთი.

— ქალბატონია უფრო ავათ. ლოხტური გვყავდა და მითხრა დღე და ლამე ირბინე, ბადიგერს დაეწიეო და ეს ქალალდი მიუტანეო.

ბადიგერმა, წერილი წასაკითხავათ შტაბის მდივანს გადასცა.

— წაიკითხე ჩემა.

მდივანმა, ცეცხლს შეუკეთა, ქვაზე ჩამოჯდა და დაიწყო კითხვა: „ამხანავო ბადიგერ! ეს არის ქალბატონი მზისა ვნახე. სამწუხაროთ მათი მდგომარეობა ძლიერ მძიმე ფორმებშია, სისხლის მოწამვლა და ტვინის ანთება ერთსა და იმავე დროს აქვს, მასთან გული მეტათ დასუსტებული. ის წამლები, რაც ავათმყოფისთვის აუცილებლობაა, აქ არ იშოვება. გიგზაუნი რეცვაპრებს და ღლის და ღმის განურჩევლად მოგვაშველეთ ეს წამლები“.

— უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, ეს არის! ძალიან ავათ არის ბიჭი?

— ძალიან. გუშინ საღამოს ისეთი კივილი დაიწყო, რომ  დონტური თუ ცოცხალს მოუსწრებდა, არ გვეგონა.

— ოხ, რა უბედური კაცი ვარ!..

— ნუ გეშინია შე კაცო! წამლებს გაუგზავნი და შერჩება, რა უშავს. დააიმედა სვანებმა.

— მე მაინც ვფიქრობდი წინ და წინ ლეჩხუმში წასვლას და საქმის გაგებას,— მიმართა ლაშქარს ბადიგერმა.— ეხლა თუ თქვენი ნებაც იქნება, წავალთ მე და როჭო, ამას წამლებს ვუშოვი და დავაბრუნებ, მე ჩვენ მთავრობასთან საქმის მდგომარეობას გავიგებ: სანამდი მოაწიეს ბოლშევიკებმა, ან ჩვენი ჩასვლა რა დროს იქნება საჭირო და ხვალ წირვის დრომდი თქვენთან გაეჩნდები. ხართ თუ არა თანახმა?

— საქმეს როგორც მოუხდება, შენ უკეთ იცი.

— კი, კი, ასე სჯობია.

დაემოწმენ ერთ-პირათ.

ბადიგერი ვეფხვივით ზე აიჭრა, იარალი აისხა, ცხენს მოსუმფებული უნაგირი გაუმწყაზრა, შეჯდა და როჭოს შესძახა:

— აბა როჭო! ქვენებით სულ!!

მოუქნიეს ცხენებს და გასწიეს ისე, თითქო ბოლმით აქარიშხლებული ბადიგერი ნიავს უტოვებს თავის ვარამსო.

სწრაფვამ და დარღმა ისე მოიცვა მხედრის გონება, რომ მან განთიადის უამს მურის კლდის გავლა— ეს კარ-საზღვარი ლეჩხუმ-სვანეთის— ვერც კი შეამჩნია.

პიტალო კლდის ძირზე, ბუნებრივად გაგებულ ქვა-ფენილზე ახალ დაჭელილ ცხენების ნალებს ცეკველი სცვიოდათ და თან საშინელი ტკაცანი გაჰქონდათ.

ამ ხმამ ყარაულების ყურადღება მიიპყრო.

— ჰეი, ვინ ხართ, შეჩერდით!!

მოისმა ყარაულის ხმა.

— რა ამბავია კაცო, ჩვენა ვართ.

უპასუხა ბადიგერმა და კიდეც გამოერკვა, საღ იყო. ყარაულმა დაინახა თუ არა ნაცნობი ბადიგერი, შეკრთა.

— კაცო, შენ რა გინდა იქ!?

— როგორ! რაშია საქმე?

— არ იცი ამბავი? ბოლშევიკები შემოვიდენ. ტფილისი აილეს, ლეჩხუმი ალებულია, მთავრობა გაქცეულია, ცაგერი ბოლშევიკების ჯარით არის სავსე. ცნობა მიიღეს, რომ სვანეთი თავს გესხმისო და სასტიკად გაბრაზებული არიან. თავს უშველე. თორებ დაიღუპები.

მიაყარა სხაპა-სხუპით ყარაულმა.

— წამლები მინდა, კაცო. რომ შევაგზავნო აფთიაქში, არ შეიძლება?

— აბა ბაბა, არ შეიძლება! კაცო გაიგე, რომ გადატრიალება მოხდა!!
 — ნამდვილად იცი, რომ ცაგერის მთავრობა გაქცეულა?
 — როგორ არ ვიცი, კაცო! გაქცეულიც არის და წისულიც მარი საქმე.
 კუდით ქვას ისროდენ, ისე გარბოდენ. შევარცხვინე მაგაოი მთავრობა და მა-
 გათი კაცობა! როგორც კურდღლები, ისე გარბოდენ, ლაჩინები რუსები:
 ბადიგერმა ხმის ამოულებლივ შეატრიალა ცხენი, მათრანი კურდები გა-
 დასტურონა და გაჰკურცხლა თავის ლაშქრისკენ. შიშისგან მთლათ წამხდარი
 როჭო ნერვიულათ იძახოდა: არიქა თავს ეუშველოთ, არიქა თავს ვუშველოთ
 და მიაჭინებდა ცხენს.

ერთგული ყარაული, მართალია მენშევიკი, მაგრამ დროსა და გარემოები
 ალოს ამლები, იმ წამსვე შტაბში გაჩნდა და განაცხადა; სვანეთის მეთაური
 ბადიგერი ერთი ამხანაგით თქვენ დასაზვერავათ მოდიოდა და ეს იყო
 ჩემ საყარაულოს წამოაწყდა, მაგრამ გამალებული ბედაურის წყალობით ხელი-
 დან გამისყლტა და თუ ეხლავე დაედევნებით შეიპყრობთ.

შტაბშა სწრაფი განკარგულებით მთას ბარი დაადევნა. ხუთი ვერსი ჰქო-
 ნდა ბადიგერს გარბენილი, რომ ტყიანში რომელილაც მხრიდან ხმა შამოეს-
 მა: შეჩერდით თორებ გესვრით... მუქარამ პასუხი ვერ მიიღო. ცხენებს თახ-
 ამოლებით მიაჭინებდნენ. ტყვიებმა უკანიდან ტკიცინი მორთეს.

ბადიგერი და როჭო ძირს დავარდნენ.

ფაფაო-აყრილი ცხენები, თითქოს უნდათ ამეტყველდენ და ლაშქართან
 ამბავი მიიტანონ, უფრო გამალებით გარბოდენ.

ამბის მოლოდინით თვალებ-დაცეცებულ ლაშქარს უმხედრო ცხენების მივა-
 რდნამ თმა ყალყზე დაუყენა. მისვდნენ მხედრების სახითო მდგომარეობას. ლაშ-
 ქარი აირია, აჩოჩქოლდა... აღარ იცოდენ, რა ექნათ. უცებ გაისმა ბადრის
 მა.

— მაცალეთ! დაწყნარდით! ნუ აირევით! მე ეხლავ წავალ და გავიგებ,
 რა დაემართათ ამხანაგებს, ან ლეჩხუმის საქმე რაშია.

ლაშქარი ისევ აჩოჩქოლდა.

— არ გვინდა! არც ლეჩხუმი და არც მისი საქმე, დაგვაყენეო ჩვენთვის!!!
 ლრიალებდა ლაშქარი.

— რას ლრიალებთ! — დაიყვირა ბადრიმ. — რისი გეშინიათ! ბაშევიკები
 ჩვენი პარტიაა. თქვენ არ იცით ჯერ, თუ რაშია საქმე. ისინი ხალხს არ ერ-
 ჩიან, ისინი ჩვენთვის მოდიან. მე მაცალეთ, მე დაგაახლოვებთ მათთან.

— არ გვინდა, არ გვინდა! დაგვანებეთ უველამ თავი.

ყვიროდა და ლრიალებდა უსარდლო ლაშქარი.

ალშტოოთებული ჩოჩქოლი ლეჩხუმიდან მომავალი ჯორიანი მღვდლის მოსვ-
 ლამ შეანელი. ყველანი მღვდელს მისცვივდნენ.

— მღვდელო, რას გვეტყვი? რა ამბავია ლეჩხუმში? ბადიგერის თუ რამე
 იცი??

ეკითხებოდნენ ერთი-მეორის დასწრებით და მოუთმენლობით.

შიშით ლრანვ-მოქცეულმა ხუცესმა ძლიერ ამოილულულა:

— რაღა გითხრათ შვილებო! მთელი საქართველო ბოლშევიკების ხელშია. ლეჩებუმი მათი ჯარებით სავსეა; საყდრები სულ მთლიანათ გადასწუვეს; ზადიგერს და მის ამხანაგს ისეთი რაღაც უცნაური კონტოლი ქუდებიანი საჭდათები დაუღუვნენ, რომ დავბერდი კაცი და იმათთანა უცნაური მრათერი შენახავს, ნამდვილი ჯოჯოხეთის სატანას და სამოელს მოვაგონებთ. ორთავენი მოპკლეს შვილებო და საცოდავათ ყრიან გზაში. დანამდვილებით მამამარტონი უკელას დახოცვას გვიპირებენ. თავს უშველეთ შვილებო, თორემ მოაღწია რისხვამ ლვორისამ და ეს არის.

— ვაი, ჩვენი ცოდვა! ვაი, ჩვენი ცოდვა!

გმინავდა ლაშქარი.

— ეს ჩემი თოფია!

— ეს ჩემი გუდაა!

იძახოდენ აღმუროთებული ლაშქრის კაცები და ერთი-მეორეში ირეოდენ.

— მწყობრათ! მწყობრათ! ნუ გეშინიათ, ჯერ ვერ მოგვეწევიან.

უყვიროდათ ბადრი, მაგრამ ამაოთ.

გზადაბნეული სვანები, ზოგი ტყით და ზოგი კლდით, ნადირებივით გარბოდენ.

დაცეთებული მლვდელი, ანაფორა გაშლილი მიაჩინჩალებდა გამხდარ ჯორს.

* * *

ქანცვამოლეული ცხენი, ძლიერ-ძლიეობით მიაღოლებდა სვანეთის ერთ სოფლის შარაზე ევროპიულათ ჩაცმულ ერთ უცხო ჭალარა სტუმარს. ეტყობოდა გზა არ იცოდა. მეურმე სვანი შეაჩერა და ჰკითხა:

— ამხანაგო! ეს დიდი შენობა ვისია?

— ის ბატონო, ბადიგერის სასახლე იყო, მაგრამ ეხლა ახალმა მთავრობამ „კოპერანცია“ მოათავსა შიგ და ასე ამბობენ ხალხის არისო და რა ვიცი.

— აღმასკომი სად არის?

— ის მეორე სოფელშია.

— ვერავის ვიშოვი იქამდის გამყოლს?

— იმ „კოპერანციაში“ მიბრძანდი და იქ გიშოვნიან.

უცხო სტუმარმა ცხენს ტარ-გადატეხილი მათრახი და ქუსლები ერთად დაურთო, ნაბიჯი ააჩქარებინა და როგორც იქნა მიაღწია მეურმის ნაჩვენებ კონპერატივში, სადაც ტყავ-ქალამნებით ჩაცმული სვანები რიგში იდგენ და ნავთსა და მარილს არიგებდენ.

— ამხანაგო! კოოპერატივის გამგეს სთხოვე, ერთ წუთს გამოვიდეს.

სთხოვა სტუმარმა ერთ სვანს.

ორი წუთის შემდეგ, კოოპერატივის გამგე ბადრი, სტუმრის წინ იდგა.

— თქვენ ხართ ამ სახლის გამგე?

— მე გახლავარ. თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე ინტენსიური ვარ. აღმასკომში უნდა მივიდე და თუ შეიძლება, გზის საწყენებელი გამაყოლეთ. ჩემი ბარგიანი ცხენი და მისი გამომყოლი კუკი უკან ამომრჩენ.

— „ინჯილერი!“.. გზების გამყვანი ხომ არა, ბატონო?

— დიახ, გზების გამყვანი. მთავრობას აზრათ იქვს სვანეფშირუფინმა! გზა გაიყვანოს და ამის შესახებ გამომაგზავნეს.

— ამხანავებო! — მიუბრუნდა ალფროვეანებით ბატონი რიგში ჩამდგარ ხალხს. — ეხლაც ველარ გაიგებთ, ვინ არის თქვენთვის კარგი და ვინ არის ცუდი? ხელავთ მთავრობას, ამხანავი „ინჯილერი“ გამოუგზავნია და რკინის გზა გამოშეკავთ სვანეთში.

— აი დალოცოს ლმერთმა! დალოცოს ლმერთმა!

აყაყანდა გახარებული ხალხი.

ბატონიმ სასიამოვნო სტუმარს იმ წუთში წამყოლი სვანი მოუყვანა და გასტუმრა.

უკხო სტუმარს თავი სადლაც ჯადოსნურ ქვეყანაში უგონა და ყველაფერს განცვითრებით ათვალიერებდა და ჰკითხულობდა.

— ეს რა შენობა არის?

სვანმა განცვითრებით შეხედა.

— რომელზე მკითხავ?

— აი ის თეთრი შენობა.

უჩენა ნახევარი ვერსით მოშორებულ თეთრი ქვის შენობაზე.

— ეს საყდარია ბატონო. მეტი რა იქნება! აბა თქვენში როგორი საყდარი იცით?

— ჰო, ჩვენშიდაც ასეთი.—

— აბა რაღაზე მკითხავ?

— ჰო რა არის შიგ მოთავსებული მეთქი.

— რა არის და ხატები. მეტი რა იქნება!?

— ჰო, სხვა რამეც შეიძლება.

სვანმა კიდევ განცვითრებით შეხედა.

— საყდარში მეტი რა უნდა შეიძლებოდეს!?

— სამკითხველო, კონპერატივი, სასტუმრო და სხვა ამ გვარი.

— რას ამბობ! ურჯულო ხომ არა ხარ შენ! ჩვენი საყდრები რა გგონია შენ! ჩვენი საყდრები თაშიარ დედოფლის აშენებულია, თორებ შენი ცოლის კი არა, ვიღაცა ხარ!

ინტენსიური მიხედა, რომ კილო მსუბუქი არ იყო.

— შე კაცო, ურჯულო როგორ ვარ. მეც შენსავით ქრისტიანი ვარ, მაგრამ გეხუმრე და რათ გწყინს?

— არ გამიგონია მე საყდარზე და ლმერთზე ხუმრობა და მასხრობა.

— უკაცრავათ, დალლილი ვარ, შევსცდი... მაპატიე, თუ ძმა ხარ. ბოლიშ კიხდი.

სვანმა გაიღიმა და თავი გააჭნია.

— რაზე გაიხადე, შე დალოცვილო, საბოლიშოთ საქმე! ქრისტიანულად ილაპარაკე და არავინ გერჩის. პატიოსანი კაცი გვიყვარს სვანებს.

— აქ არ ვიცი, ჩემო ძვალ, რას დამიძახებთ და ჩვენში კაცი მეძახიან.

— არც მე ვიცი თქვენში, როგორ კაცს ეძახიან? ჩატურის მოწოდება
მოწოდება კითხვა-მიგებამ ორთავე გააცინა.

— აი, იქ მთის ძირში რომ საყდარი მოსჩანს, ის თამარის ლეჩაქის ყურით მოტანილი კირით არის სულ აშენებული.

უჩვენა სვანშა.

— რანაირათ?

— რანაირათ და რომ მობრძანდებოდა სვანეთში, ყველა ლაშქრის ქალსა და კაცს ლეჩაქის და ყაბალახის ყურში, კირი და სილა ჰქონდათ გამოკრული, თვით თამარსაც თურმე. საღაც დააღამდებოდათ, იქ მეორე დღეს ზალხი რძეს მიართმევდა, კირს და სილას ამით მოზელდენ თამარის კალატოზები და საღამომდი საყდარს ააგებდენ. რამდენი ლაშქარი ხლებია, ეს შენ გამოიანგარიშე.

— ჰა, ჰა, ჰა! რძით მოზელა რათ უნდოდათ?

— სიმაგრისთვის. რძით აშენებულ შენობას თავის დღეში ვერც კაცი და ვერც მიწის-ძვრა ვერ დაანგრევს. ციხეებიც ბევრი გვაქვს რძით აშენებული. ასეა ეს ამბავი და შენ, შე დალოცვილო, იმას მექადაგები, რომ დუქნებათ გავიკეთოთო. ჰეი, ჰეი, როგორ წაირყვნა ქეყყანა!..

— დავივიწყოთ, თუ ძმა ხარ, მაგ ხუმრობა. რას ამბობ კაცო, ასეთ ძველ ნაშთებს ვინ გაუბედავს ხელის ხლებას. პირიქით უვლიან და უფრთხილდებიან.

— არავის გეხვეწებით ამათ მოვლას. ეს ათასი წელიწადი კია მგონია, რომ ვუვლით სვანები და იწიც მოფუვლით. სანამდი თამარი ემახსოვერება სვანეთს, მანამდი მის დანატოვარსაც მოუვლით.

— აბა, ქალებიც ჰყოლია თამარს, ლაშქარში?

— ლაშქარში კი არა, ქალები ვეზირებათაც კი ჰყავდა თურმე. რატომ გაგიგვირდა! ახლანდელ უკაბო და უპერანგო ქალებს კი არა ჰყავდენ მაშინდელი ქალები თურმე.

— ჰა, ჰა, ჰა! არ მოგწონს ეხლანდელი ქალების ჩაცმა?

— ქე რა მოსაწონია, უნამუსობაა!

მოსაუბრეთა ლაპარაკი შეაჩერა საყდრის გალავნიდან საზარელმა მოთქმის ხმამ, „შეილო მზისა, შენს საფლავში ყოფნას და ჩემს საფლავს ზევით ტანჯვას ერთნაირათ ვსტირიო“. დასტიროდა საცოდავათ საფლავზე დამხობილი შავით დაძაძული ქალი.

— უჰ! რა საშინლებაა!

— იცნობ, ვინ არის?

— არა. ვინ არის?

— ცხონებული მზისას დედა.

— არ ვიცი.

ხომ გაგიგონია უწინდელ მთავრობას რომ ნაყიჩილარი ბადიგერი სვანეთის ქანათ ჰყავდა, აი იმან მოიტაცა მზისა საცოლეთ და ჯავრით და შიშით გული გაუსკდა და ათ დღეში მოკვდა.

— რათ არ იჩივლა დედამ? მთავრობა სიკვდილით სჯის ქალზე ძაღლადობისთვის.

— ვის უჩივლებდა! ბადიგერიც მოჰკლეს. ან ვინ იჩივლებდი? ქართველების ქალია, სოფელი აჭმევს სამადლოთ. არავინ აღარ ჰყავს, ყველაფერი ულვერთოთ გაუწყეიტეს.

— უჰ, ღმერთო ჩემო, რა მხეცობა! უკაცრავათ, რა ურიგობა.

— ასე გახლავს. ეს იმ ბადიგერის ბრალი კი არ არის, ვინც ბადიგერს მისცა ამდენის ნება, ის არის დამნაშავე. იმ კაცს შერჩენის იმედი ჰქონდა.

— არა, ამნანავო! ვინც კარგი კაცია, არასოდეს არ უზამს იმას სხვას, ააც არ უნდა რომ უქნას სხვამ.

— მაგ ტყუილია.

— აბა როგორ?

— აბა, როგორ მინდა ის, რომ ჩემ ცოლს უყვარდეს სხვა, მაგრამ ის ქე. ინდა რომ სხვის ცოლს ვუყვარდე მე.

უპასუხა სიცილით სვანმა.

მოსაუბრებაც მხოლოთ სიცილით უპასუხა... მოსაუბრენი რომ მეორე სოფლის დასაწყისს შიუახლოვდენ, კიდევ ერთ პატარა საყდარს წააწყდენ.

— კაცო, სვანებს ამ საყდრების შენების მეტი არაფერი გაგიკეთებიათ მგონი.

— ასეა, ვინც ვარგა, იმან აშენება იცის.

— ვინც არა?

— დანგრევა და დაქცევა.

— ხა, ხა, ხა, ხა! საინტერესოა შენთან ლაპარაკი.

საუბარი კიდევ საყდრის ეზოდან ვაების ხმამ შეაწყევეტინათ. „სვანეთის სიკვდილის მახვილი შენს მკერდზედ მოილესა შე ცოდვიანო! ჩვენმა ცოდვამ შენი სხეული აქ წყალში დააღრჩო და საიქიოს კი სულს სისხლის ზღვა დაგილრჩობს იცოდე“.

მოსთქვამდა გამწარებული ქალი.

— უჰ, რა უბედურება! ყოველი მხრიდან ვაების ხმა ისმის.

სთქვა ნერვიულათ ინუინერმა.

— ჰმ! მაგის ძმამ ცოტა აატირა! იტიროს ეხლა.

— როგორ, ვინ არის?

— ბადიგერის და სალდათხანი. მის შეილს ასაფლავებენ.

— აქ არის ბადიგერის საფლავი?

— არა, აქ სირინოზის საფლავია— ბადიგერის საყვარელი იყო და იმას ეუბნება მაგ სიტუაციას სალდათხანი.

— როგორ! მიცვალებულს? რას ერჩის?

— ერჩის კი არა, მაგ ცოდვილიანს საფლავს ადულებულ კუპრს უნდა უსხამდეს. მაგის მიზეზით მოჰკლეს ამ დღეებში ეხლა რომ ასაფლავებენ. მის სოფელში ტოლი არ ჰყავდა ისეთი ბიჭი იყო. ვინ იცის ამას /ქიდევ რამდენი შურის-ძიება მოჰყება.



— რისთვის? ვინ მოჰკლა?

— ვინ იცის, გზაში ჩასაფრებულმა ესროლა. ურურული

— მერე, როგორ არ იციან ვინ ჰყავდათ ასეთი შტერი. ტერიტორია

— ამბობენ, ბიძა მისი ბადიგერის მოსისხარი უნდა იყოსო.

— კაცო, ვერ გავიგე შენი! ბადიგერი ხომ მოკლეს და დისწულს რაღას ერჩოდენ!?

— საქმეც მაგაშია. პირდაპირი სასისხლო-წორის ვალდებული ოჯახი რომ აღარ არის, იმიტომ ნათესავთან, ან მეგვარესთან უნდა იძიოს შური მახლობელმა. მანამდის სირცხვილს შუბლიდან ვერ მოიხოცავს და ნალველს გულიდან.

— ეს წორი რაღაა?

— წორი ჰქვიან სისხლის საფასურს, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაიხადოს, ლუფხულის წესით.

— ეს ლუფხული რაღაა?

— ლუფხული არის თემური განაჩენი, რომელიც მომჩინეან-მოპასუხისა-გან ამორჩეულმა ორმოცდა ორმა კაცმა უნდა გამოიტანოს. ამას დიდი ხარჯი უნდა. რაც უნდა მოსახლე იყოს, აყრამდე მიიყვანს.

— კაცო, მთავრობასთან არ ჩივით?

— როგორ არა.

— დამნაშავეს მთავრობის კანონი აგებინებს პასუხს.

— მთავრობის კანონი სხვა საქმეა და ჩვენი სხვა.

— აბა როგორ!?

— აბა ვინ მისცა გადამთიცელ მთავრობას ჩვენ გულში ჩასხედავი სარკე!

— აბა, არ გინდათ მთავრობის კანონი?

— მთავრობის კანონი საგარეოთ გვინდა და ჩვენი კი საშინაოთ.

— ახირებული ხალხი ყოფილხარო.

მოსაუბრენი უთუოთ კიდევ ბევრს იტყოდენ, რომ უკვე აღმასკომის ეზოში არ შიელწიათ.

— აბა, თუ ძმა ხარ, აღმასკომის თავმჯდომარე მინახე და სთხოვე მიმილოს.

სთხოვა სვანს ინუენერმა და ცხენიდან ჩამოხტა. მხლებულმა სვანმა უცემ აირბინა კიბეზე და აღმასკომის თავმჯდომარე, ყოფილი მასწავლებელი ვასო, — ინუენერს აივანზედ შამოახვედრა.

— ინუენერი ჩექმაძე გახლავარ.

— დიდათ სასიამოვნოა. აღმასკომის თავმჯდომარე მელამე გახლავარ. მობრძანდით, დაბრძანდით.

შიილო დარბაისულათ ვასომ და იქვე აივანზე სვანურ სავარძელზე დასხდნენ.

— ძრიელ დაიღლებოდით უთუოთ. ცუდი გზები გვაქვს და ძნელი ასა-
ტანია უჩვევ კაცისთვის.

— უმ! აუტანელია, მაგრამ ეს გასაოცარი ბუნების სილიზაზე  გხიბ-
ლავს კაცს, რომ ამასაც კი ურიგდები.

— ისე რა ამბავია ცენტრში, თუ ჩადგა ნორმალურ ~~დარბაზის მიმდევარი~~ უცხო-
ფერი?

— ეეჭ! ამხანავო, გეტუობათ ყმაწვილი ხართ!.. რა დროს მაგის თქმა!
მახვილ გაალმასებული რეეოლიუცია ჯერ ისევ ისე ახალგაზრდულათ სჩქეფს
და გადმოდულს. ასეთია ისტორიის მოვალეობა.

— არა უშავს, ისტორიის წიაღის ავსება მხოლოდ ასეთ რეეოლიუციას
ჰენაძლება.

— ... და... ქვეყნის ერთგვარი დაცალიერებაც.

— დაცალიერებულს ჩვენ შევავსებთ, ამხანავო! ისტორიის უკანასკნელი
სიტყვა ეს იქნება.

— ისტორიას უკანასკნელი სიტყვა არა იქვს.

მოუჭრა სიტყვა ინუენერმა და კვლავ განაგრძო:

— საინტერესოა, სვანეთის საქმე როგორ გაქვთ? თუ მოგწყინდათ უახრო
აყალ-მაყალი?

— როგორც იქნა.... და ეხლა მთელ ენერგიას აღმშენებლობას ვახშართ.
თქვენ რა დავალებით ბრძანდებით მოსული?

— მე გზების გაყვანის შესახებ. ეგებ ახალმა გზამ ახალ ცხოვრებას შეა-
ერთოს სვანები. მაგრამ ამაზედ მერმეთ ვილაპარაკოთ და ეხლა კი უნდა გთხო-
ვოთ, როგორმე მომასვენოთ. სამი ლამეა, არ მიძინია და საშინელ დაქანცულო-
ბას ვერძნობ.

ვასო დარდიშანდათ შეუძლვა ოთახში სტუმარს...



პრეზენტაციის საკანკალენი

გამოცემა *)

III

როცა ილია საჩატხულოდ ჩამოვიდა, უცხოდ ჩაცმული, ლამაზად შეკრეჭილი და შებლგაგანიერებული, არტაცონოვს პავლუშვია უფრო შეძაგდა, რადგანაც მისი ვაჟი მასთან მეგობრობას განაგრძობდა. ოვითონ ილიაც უცნაურ ზრდილობას იჩენდა: დედ-მამას „თქვენობით“ მიმართავდა, ჯიბეებში ხელჩაწყობილი დადიოდა და სტუმარივით ეჭირა თავი. მას აჯავრებდა და სასოწარ-კვეთილების ცრემლებს აფრქვევინებდა. დაც მოთმინებიდან გამოჰყავდა, ისიც სამაგიეროდ თავში წიგნებს უშენდა. საერთოდ ისე ეჭირა თავი ილიას, როგორც თავზეხელალებულს.

— მე ხომ ვამბობდი? — შესჩივლა ქმარს ნატალიამ. — ყველა მიმოწმებს, რომ აღამიანს სწავლა ათავეხელებს.

არტამონოვი სდუმდა. შეშფოთებული ადევნებდა თვალყურს შეილს. ეჩვენებოდა, რომ ილია თითქოს თავისდა უნებურად, განზრახ ცელქობდა. აბანოს სახურავზე ისევ გაჩნდენ მტრედები, რომლებიც ზედ ლრუტუნით მიმოსეირნობდენ. ხოლო ილია და პავლე ლუმელის მილთან ისხდენ და ერთმანეთთან საათობით მასლაათობდენ, ან მტრედებს დასდევდენ.

ჩამოსვლის პირველ დღესვე მამამ შეილს წინადადება მისცა:

— მაშ, მომიუევი, როგორ ცხოვრობდი. მე შენოვის ბევრი მიამშია, ამ და კი შენი რიგია.

ილიამ მოკლედ, ისიც აჩქარებით უამბო მამას რაღაც არასიინტერესორი იმის შესახებ, თუ მოწაფეები მასწავლებლებს როგორ აჯავრებდენ.

— მერე რატომ აჯავრებდენ?

— თავს გვაბეჭრებენ, — აუხსნა ილიამ.

— ასე. ეს თითქოს კარგი არ არის. ძნელია სწავლა?

— არა, ადვილია.

— სტური.

— ნახეთ ნიშნები, — უპასუხა ილიამ შხრების აწურვით. მისი თვალები კი ამ დროს ბალში გამავალ ფანჯრიდან ცას შესცეკროდენ. მამა შეეკითხა:

*) ისილე ურნალ „მნათობი“ № 7.



— მანდ რას უცხოური?

— ქორს.

უფროსმა არტამონოვმა იმოიოხვდა.

— წალი, ითამაშე. მოგწყინდა ალბად ჩემთან.

როცა მარტო დარჩა, მოიგონა, რომ თვითონ მასაც ან ჭრიანი მოსწყინდებოდა ხოლმე, როცა მამასთან მარტო დარჩებოდა.

— მასწივლებლებს აჯავრებს! მე ამისი მგზავსი რამ თავშეუკავშირდა, როცა დიაკვანი მასწილიდა თასმის შოლტით ხელში. ახლანდელ ბავშებისათვის, სჩანს, ცხოვრება გააღვილებულია.

ქალაქში გამგზავრების წინ ილიამ მაშას სთხოვა,—და ეს იყო მისი ერთად-ერთი თხოვნა:

— მამიკო, მიეცით ნება პავლეუშვას სხვენზე, აბანოში მტრედები იყონოს.

მამა არ შეპირებია, ისე უპასუხა:

— ყველას ხომ ვერ ანუგეშებ...

— მაშ, შეიძლება,—დაასკვნა ილიამ. —მე მას ვეტყვი, ძალი ან გაუხარ-დება.

უფროსი არტამონოვი იმით იყო ნაწყენი, რომ მისი ვაჟი ვიღაც საძა-გელი ბიჭის სიამოვნებისათვის ზრუნავდა, ხოლო იმაზე კი არც ფიქრობდა, რომ მამის ცხოვრებაში რაიმე სიამე, მხიარულება შეეტანა.

შეილის წასვლის შემდეგ პეტრემ უფრო ძლიერად ივრძნო კანტორის მო-სამსახურის გერისადმი სიძულვილი. ბოლოს მას ისიც დასჩემდა, რომ სახლში თუ ფაბრიკაში, ან ქალაქში ყოფნის დროს თუ რაიმე არასასიამოვნო შეემთ-ხვეოდა—ყველა უბედურებას ამ ტანსაცმელ შემოვლეჯილსა და ბინძურ ბავშე დააბრალებდა.

აი, ეს ბავში, მართლაც ხავსივით იზრდებოდა, ან როგორც საღამოს ლა-ნი. ქურდი ეშვაკივით ყველგან დაძვრებოდა და არტამონოვს თეალში უვარ-დებოდა.

აღრიანი შემოდგომის ერთ-ერთ მოალერსე დღეს დალლილი და გაჯავრე-ბული არტამონოვი ბალში სეირნობდა. საღამოვდებოდა. მომწვანო ცაში, რო-მელიც ქარს ჩამოვაფა და წვიმას გადაერეცხა, სითბოს მოკლებული შემოდგო-მის მზე დნებოდა. ბალის ერთ ჭუთხეში ტიხონ ვიალოვი მუშაობდა. იგი ფოც-ხეით ჭვეიდა ჩამოცვივნულ ფოთლებს. დამანალელიანებელი, მსუბუქი შრიალი გაისმოდა.

ხეებს იქით ფაბრიკა ახჩლობდა, ნაცრისფერი კომლი ზარმაცული რხე-ეთ ჰაერს შესწოლოდა. რათა მექშოვეს არ შეხვედროდა და არ დალაპარაკე-ბოდა, არტამონოვმა ბალის მეორე კუთხეს გაუპირდაპირი, საღაც აბანო იყო. აბანოს ქარი გამოლებული იყო:

— ალბად, ის ბავშია...

ფრთხილად შეიჭვრიტა აბანოს წინა ითახში. ჩრდილ-მიუენებულ კუთხეში პეტრემ თვალი მოჰკრა გრძელსკამზე გაწოლილს თავის მტფრის: ნიკონოვის ბიჭის თვი დაეხარა და ფეხებგაშვერილი ბავშურ ცოდვას სჩადიოდა.

პირველ დანახვაზე ეს კიდევაც გაუხარდა არტამონოვს. მაგრამ მყისვე ილია და იაკობი მოაგონდა და შიშით და წიჭლით დაისისინა:

— რას შერები, შე საძაველო?

პავლეს ხელი შეუჩერდა. მერე შეუქანდა. იგი უცნაურად მოწყდა სკამს, პირი დაალო და წამოიკყივლა. შემდეგ მოიკუმშა, მოიგრუნტა და არტამონოვის ფეხებთან დაემზო. პეტრემ მას სიამოვნებით ჩაჰურა მარჯვენა უფლება, მქერდში და არ მოიახლოვა. ბაეშმა რაღაცნაირად ჩაიტკაცუნა, ერთი სუსტად წამოიგმინა და ლონემიხდილიდ ცალგვერდზე წამოიქცა.

ერთ წამს არტამონოვს მოეჩენა, რომ ფეხის ჩარტყმით მან თავიდან მოიშორა ის სიბინძურე, რომელიც მის სულს მძიმედ აწვა და თავს აბეზრებდა. მაგრამ მეორე წამში მან უკან, ბალისკენ მოიხედა და მიაყურა. მერე კარი მიხურა, დაიხარი და დაბალი ხმით მიმართა ბავშს:

— აღექი. წავიდეთ.

ბავში არ ინძრეოდა. ერთი ხელი წინ გამოშვერილი პქონდა, მეორე მუხლებ ქვეშ ჩატანებული. ცალი ფეხი ოდნავ მოელუნა და დამოკლებოდა. ისე დაჰკროდა იატაქს, თითქოს მთელი ტანით შეუმჩნევლად პეტრესკენ შიცოცავდა. წინ გაშვერილი ხელიც საშინლად არა-ბუნებრივად დაგრძელებოდა.

არტამონოვი შებარბაცდა. კარს წაავლო ხელი. ქუდი მოიხადა და მისი სარჩულით მოულოდნელად გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა.

— აღექი, არაეის არ ვეტყვი... — უთხრა ჩურჩულით, თუმცა უკვე მიმხვდარიყო, რომ ბავში შემოაკვდა. ცხადადაც დაინახა, რომ იატაქზე მიჰყლეტილ ბავშის ლოყიდან სისხლის მოშავო ზოლი კლაკვნით მოსრიალებდა.

— მოვკალი, — ფიქრში სთქვა პეტრემ. მაგრამ ეს მოკლე სიტყვა გამანადგურებელი სიძლიერით გაისმა ირგვლივ. არტამონოვმა ქუდი პოდლიოვკას ჯიბეში ჩაიბლუჯა და პირჯვარი გადაიწერა. იგი გაოცებით დასცემეროდა საცოდავად მოკრუნჩულ პატარა ტანს. მის თავში მარტივმა აზრმა შიშით გაიკრომარა:

— ვიტყვი, რომ უცაბედად მომიერიდა: კარი მივარტყი, აი, ეს კირი. ეს კარი კი მძიმეა...

მოტრიალდა და სკამზე მძიმედ დაეშვა: — მის უკან ტიხონი გამოჩნდა ცოცხით ხელში. მეეზოვე გათხელებული თვალებით დაყურებდა ნიკონოვს და გამობერილ ძვლიან ლოყის იფხანდა ჩაფიქრებულად.

— აი, — ხმამალლა წამოიწყო არტამონოვმა. იგი ხელისგულით სკამზე იყო დაყრდნობილი. მაგრამ ტიხონმა თავი გააქნია და გააწყვეტინა:

— სუსტი ბალლია, უხეში. რამდენჯერ ვუთხარი ნუ აღიხარ მეთქი...

— რაო? — შიშით, მაგრამ იმედიანად პკითხა მას პეტრემ.

— დაიმტვრევი მეთქი, მითქვამს. შენც, პეტრე ილიასძევ, რამდენჯერ გითქვამს მისთვის ეს, თუ გახსოვს. მონადირე მარდი უნდა იყოს... უგრძნობია ვითომ?

მეეზოვე დაიყუნტა, პავლეს ხელი და კისერი გაუსინჯა, ლოყაზე თითი გაუსვა. მერე ისე გაიქნია, თითქოს ასანთს უკიდებსო, და კალთაზე შეიხოცა.

— წასულა... სული ამოხდომია. ბევრი კი არ უნდოდა: მყაყი ვინშე იყო.

ტიხონი წყნარად ლაპარაკობდა, მძიმედ, ნელი მოძრაობდა. ისეთი იყო, როგორც ყოველთვის. მაგრამ არტამონოვი მაინც ეჭვით უყაფრების გაკიცვას, მკაცრ სიტყვას შოელოდა. მაგრამ ტიხონმა ჯერ მაღლა კის ჩეხედა, იქ გამოჭრილ ოთხჯუთხედს დააკვირდა, ყური მიუგდო მტრეჭებს მარტინს, და მერე ისევ უბრალოდ და წყნარად განაგრძო:

— კარით აძვრებოდა ხოლმე: ერთ ფეხს დაზიანდა, მეორეს კაცებს მიაბიჯებდა, შემდეგ ხელებს წაავლებდა კარის ზეითა კიდურს და ასე აიწეოდა. ხელები კი სუსტი ჰქონდა, მოსწყდა ალბად და... სჩანს, ისე დაეცა რომ მკერდი კარის კუთხეს მიარტყა.

— ეს მე არ დამინახავს, — სოქვა პეტრეშ. თავდაცვის გრძნობი კი მას მიხედრას უშაბეილებდა:

— სტუის? თვალთმაქცეობს? მახეში ხომ არ უნდა ვამაბას, ხელში ჩამიგდოს? ან, იქნება, სულელი და მართლაც ერ მიხედა!

უკანასკნელი მოსაზრება უფრო დაუჯდა ჭკუაში. ტიხონს რაღაც სულელურად ეჭირა თავი. მერე თავი ისე გააქნია, თითქოს რაღასაც შუბლი მიარტყა, და ამოოხვრით წარმოსოდება:

— ჴე, ნაგავი რამეა... რისთვის ვაჩნდა? წავალ, დედამის შევატყობინებ. მამინაცვალს მაინცა და მაინც გული არ დაწყდება, ზედშეტი ბარგი იყო მისთვის.

არტამონოვი დიდად დაეჭვებული უსმენდა მეეზოვეს, ცდილობდა არ ვამობაროდა, თუ თაღლითობა რამ გულში ედვა: მაგრამ ტიხონი ისე ლაპარაკობდა, როგორც ყოველთვის, ისეთ კილოზე, რომ პეტრეს არაეითარ ეჭვს არ ულძრავდა.

— სუ... — წარბების რხევით წარმოსოდება უცებ მან და მიაყურა: სადღაც, ეზოში, ქალი გაჯავრებით ყვიროდა:

— პაშკა! პაშკა-ა.

ტიხონმა კეთა მოიფხანა.

— აი, შენი პაშკაც. მოემზადე სატირლად.

— არა, სულელია, — გადაწყვიტა არტამონავმა. ჯიბიდან ქუდი ამოილო, მასზე მიკრულ გატეხილ ნიშანს დააცემერდა და მერე ბალისკენ გაემართა.

ორი-სამი კვირა ისე გაატარა, რომ სულ ეჩვენებოდა, თითქოს ფარული შიშის ტალღები გულში დაუგორავენო და დიდი უბედურებით ემუქრებიანო. წარმოუდგებოდა: აი, ტიხონმა კარი შემოალო, შემოვიდა და უთხრა:

— რა თქმა უნდა, მე ყველაფერი ვიცი...

მაგრამ გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყო, ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. ბავშის სიკედილს ყველა უბრალოდ შეხვდა, საქმიანად, როგორც დაბადებისა და სიკვდილის აუცილებელ მოვლენას. ნიკონოვმა ყვითელ კისერზე ახალი შავი საყელო გაიკეთა და გადარეცხილ პირსახეზე დიდკაცობის ბეჭედი მორცხვად აღიბეჭდა, თითქოს დამსახურებული ჯილდო მიიღო, რომელსაც დიდი ხანია მოელოდა. მოკლული ბავშის დედა, — მაღალი, ვამხდარი ქალი, ცხენისებური, წაგრძელებული პირისახით, — სდევმდა, არ სტი-შურნალი „მნათობი“ № 8—9,

როდა და სულ იმის ცდაში იყო, (როგორც ეს არტამონოვს ეჩვენებოდა) რომ შეიღი რაც შეიძლება მალე დაესაფლავებინა.—მიცვალებულის თავზე გადაფარებულ ლეხის წამდაუწუმ ასწორებდა, ლურჯ შუბლზე გვირგვინს უსინჯავდა და თეალებზე მიღებულ მოწითალო ახალ კაპეიკიანებს თითის ფრთხილი დაჭრით უმაგრებდა. ჩქარ-ჩქარა, უაზროდ იწერდა პირჯვარს, რეა რეა.

პეტრემ შენიშნა, რომ მას მკლავი ისე დაღლოდა, რეა რეა შემცირდის განმავლობაში ხელი ორჯერ ვერ ასწია—ასწევდა თუ არა, ძირს ჩამოუვარდებოდა ჩეარივით.

ამ მხრით, ყველაფერი რიგზე იყო. ნიკონოვმა მრავალ სიტყვიანი მაღლობაც კი გადაუხადა პეტრეს დახმარებისათვის, თუმცა არტამონოვმა, რათა ზედმეტი სიუხვით ტიხონის ეჭვი არ გამოეწევია, ძალიან ცოტა მისცა.

პეტრეს მაინც არ სჯეროდა, რომ მისი მეტოვე იმდენად სულელი იყო როგორც აბანოში მას თავი მოაჩვენა... ეს მეორჯელ იყო, რომ აბანო წინ სწევდა ამ კაცს და პეტრეს ოჯახურ ცხოვრებაში შემოყავდა.—ეს უცნაურიც იყო და საშინელიც. არტამონოვმა ისიც კი იფიქრა, რომ აბანოსთვის ცეცხლი წაეყიდებინა, ან დაენგრია და შეშად გამოეყენებინა. მით უშეტეს, რომ ძველთა ძველი იყო და ლპებოდა. უნდოდა მეორე ეშენებინა სულ სხვა ადგილის.

პეტრე რომ ტიხონს აკვირდებოდა, ამჩნევდა, რომ მეტოვე ისევ ისე განავრძობდა ცხოვრებას, როგორც ძველად: თითქოს მისდაუნებულიდ ცხოვრობს და მით ქვეყანას დიდ მოწყალებას უშერებათ. ცოტას ლაპარაკობდა. მოშებს უწერდელად, ხეპრულად ეპყრობოდა, როგორც პოლიციელი. მუშებსაც არ უყვარდათ იგი. დედაკაცებს რაღაც განსაკუთრებულად ეპყრობოდა, ზიხლით, მხოლოდ ნატალიას სულ სხვანირად ელაბარაკებოდა, თითქოს იგი დიასახლისი არ ყოფილიყო, არამედ ნათესავი, ბიცოლა ან უფროსი და.

— შენ რაღაც ძალიან ეფერები ტიხონს. რა ამჩავია? — ეკითხებოდა პეტრე ცოლს. ნატალია უპასუხებდა:

— ძალიან შემოგვეთვისა რაღაც.

ტიხონის რომ მეგობრები ჰკოლოდა და შასთან სიარული სჩვეოდათ, შეიძლებოდა კაცს ეფიქრნა, რომ იგი სექტანტი იყო.—უკანასკნელ დროს დიდად გამრავლებულიყვნენ სექტანტები. მაგრამ მას არ ჰყავდა მეგობრები გარდა სერაფიმე-ხუროსი. იგი დიდის ხალისით დადიოჭა ეკლესიაში, გულმოდგინელ ლოცულობდა, მაგრამ რაღაც მიზეზით ლოცვის დროს უშნოდ დააღებდა პირს. თითქოს ყვირილს აპირებსო. ხანდახან არტამონოვი რომ თვალებში შეაცერდებოდა, სახე მოეღუშებოდა: ეჩვენებოდა, რომ ტიხონის გათხელებულ თვალებში მისადმი მუქარა იყო დაფარული. ასეთ შემთხვევაში პეტრეს სურვილი იღებრებოდა, კისერში წაევლო მისთვის ხელი, შეექანებინა მაგრად და ეყვირნა:

— სთური ბაოემ რაც სათქმელი გაქვსო.

მაგრამ ტიხონის თვალების გუგა უცნაურიდ დაღნებოდა, გაქარწყლდებოდა და მისი ქვასავით უძრავი და მშვიდი სახე პეტრეს შეფოთს გაუნელებდა.

როცა ინტონუშკა-სულელი ცოცხალი იყო, ხშირად მოდიოდა მეტოვესთან და საღამოობით მასთან ერთად ჭიშკართან სკამზე ჩამოჯდებოდა. ტიხონი ჰკითხავდა ხოლმე შეშლილს:

— იბდა-უბდას ნუ კი ლაპარაკობ, დაუფიქტდი და ამიხსენი: ეს კუია-ტირი—ვინ არის?

— კაიძას,—სიხარულით წამოიყვირებდა ანტონი და იმდერებული.

— ხირის ვოსკირეს...

— დაიცა!

— ჩინითკა потерял колесо.

— რას ჩისციებიხარ, რა გინდა?—შეეკითხა არტამონოვი.

— იმას, რომ უნდა ამიხსნას, რა მნიშვნელობა აქვს მის სიტყვებს...

— სულელია და რა აგიხსნას.

— სულელსაც თავისი აზრი უნდა ჰქონდეს,—სულელივით სთქვა ტიხონმა. საერთოდ კი მასთან ლაპარაკი არ ღირდა.

ერთ უძილო და ავდრიან ლამეს არტამონოვმა იგრძნო, რომ მეტი აღარ შეეძლო საიდუმლოების მძიმე ტვირთის ატანი, გააღვიძა ცოლი და უამბო, რაც ნიკონოვის ბავშვთან საქმე მოუვიდა. ნატალიამ მძინარე თვალების იხამხა-მებით ჩუმად მოუსმინა ქმარს, მერე ჩაამთქნარა და უთხრა:

— მე კი სიჩმარი არ ამყვება ხოლმე, მავიწყდება.

მაგრამ უცებ გამოფეხისლდა.

— ვაიმე, მეშინია, რომ იაშაც არ დაეჩვიოს...

— რას?—ვაკეირვებით ჰქითხა ქმარმა. როცა ცოლმა ბოლოს მიახვედრა, თუ რისი ეშინოდა, პეტრემ ნაღვლიანად შეისრისა ცალი ყური:

— ტყუილა ვუაშე.

ამ ლამეს, ქარბუქის ფსტევნასა და ხმაურობაში, პეტრემ თავისი მარტო-ობის ლრმა შევნებასთან ერთად, მის მიერ ჩადენილ მკვლელობასაც ახსნა-გან-მარტება, საბუთი მოუნახა: მან მოჰკლა გაფუჭებული ბავში, ‘რაღვანაც იგი საშიში იყო ილიასთვის,—მოჰკლა შეილის სიყვარულის გულისთვის, რათა მოსა-ლოდნელი ხიფათისავან დაეხსნა. ამითვე ხსნიდა იგი ნიკონოვის ბავშისადმი თავის სიძულვილს, და ეს გარემოება სულის ტვირთს უმსუბუქებდა.

მაგრამ მაინც უნდოდა ეს ტვირთი სრულიად მოეშორებინა და სხვისთვის ზურგზე აეკიდნა. ამ მიზნით ხუცესი გლები მოიწვია, რომ მასთან ესაუბრა უწვეულო ცოდვის შესახებ არა აღსარების სახით რომლითაც ჩვეულებრივ ცოდვებს ინანიებენ.

ხმელი, წელში მოხრილი მღვდელი საღამო ეამს მოვიდა და კუთხეში დაჯ-და. მას ჩვეულება ჰქონდა თავისი გრძელი ტანი სადმე კუთხეში ბნელ იდგილის, ლრმად შეეფარებინა, თითქოს სირცხვილისაგან იმალებაო. ქველ გახუნებულ ინაფორაში გახვეული მისი ტანი ისე მიკროდა საფარძლის მუქ ტყავს, რომ მის-გან არც განირჩეოდა. მწუხრის ბინდზე მხოლოდ მისი წინწკლებდაყრილი სახე მოსჩანდა. დამსხვრეული მინის მტვერივით უბრწყანავდა საფეხქელთან ჩამო-ვებულ თმაზე გამდნარი თოვლის წვეთები. როგორც ყოველთვის, არა ხშირ მაგრამ გრძელი წვერი მუქში შეკუმშა.

არტამონოვს ვერ გიებედნა მთავარ საგანხე ჩამოეგდო სიტყვა და სუბა-რი იქიდან დაიწყო თუ როგორ მალე იხრწნება ხალხი და რამდენი როგ-

ბას იწყევს მასში ლოთობა, სიზარმაცე და გარეუნილობა. მაგრამ ამაზე მასლაა-
თიც მალე მოსწყინდა. შეწყვიტა და ოთახში გაიარ-გამოიარა. მაშინ ხუცესმა
გააბა სიტყვა, რომელიც უფრო ჩივილს წააგავდა:

— არავინ არ ზრუნავს ხალხზე. თვითონ ხალხი კი თუ  დაჩვეული
იზრუნოს თავის სულზე. არც იცის როგორ უნდა იზრუნოს უძრავით ლებული
ნასწავლი ხალხი .. თუმცა მათ მსჯავრს მე ვერ დავდები მარტივი უშესებეს, რომ
ძალიან ცოტა გვყავს განათლებულები. ვინც არის, წარმოიდგინეთ, ჩვეულებრივ
ხალხურ ცხოვრებას ვერ ეგუება. თუმცა ბევრი რამ კარვი ჰსურთ ხალხისთვის,
მაგრამ რაც მთავარია, იმისთვის ვერ მიუგნიათ. მათ აჯანყება იზიდავს. ხელი-
სუფლებაც ამიტომ სდევნის..: საერთოდ ჩვენში არაფერი არ ეწყობა რაღაც-
მხოლოდ ერთად ერთი ხმაა, რომელიც უფრო და უფრო მედგრად გაისმის ამ
ამაო ხმაურობაში. იგი სინდისს მოუწოდებს და მის გამოლვიძებას ცდილობს.
ეს ხმა ეკუთვნის ვიღაც გრაფ ტოლსტოის, ფილოსოფოსსა და ლიტერატორს.
შესანიშნავი იდამიანია. მისი სიტყვა თითქმის თავხედობამდე მიღის, ისეთი თა-
მაშია. მაგრამ რაღგანაც... ამ შემთხვევაში შეურაცყოფილია მართლმადიდებე-
ლი ეკლესია...

მღვდელი დიდხანს ლაპარაკობდა ლევ ტოლსტოის შესახებ და თუმცა მი-
სი სიტყვა არტამონოვისათვის ვაუგებარი იყო, მაგრამ მაინც უსმიერდა. მღვდე-
ლის ოხვრის კილოზე აწყობილი ხმა ოთახის ბინდში ისე გაისმოდა, როგორც
რუის ჩუმი ბუტილური და არტამონოვს არაჩვეულებრივი იდამიანის ზღაპრულ
პიროვნებას უხატავდა, საკუთარ თავს ავიწყებდა. მას არ ავიწყდებოდა მხოლოდ,
თუ რისთვის მოახმო ამ სალამოს მღვდელი, რომლის სიბრალული თან-
დათან იპყრობდა. პეტრები იცოდა, რომ ქალაქის ლარიბი მოსახლეობა გლებს ისე
უცემეროდა როგორც ნეტარ იდამიანის, რადგანაც იგი ხარბი არ იყო, ყველას
ეცემერებოდა, მღვდელმოქმედებდა უცხოდ და საამოდ სწირავდა და შიცვალებუ-
ლებს განსაკუთრებული გრძნობებით უგებდა წესს. ყოველივე ეს არტამონოვს ბუნებ-
რივად მიაჩნდა: — მღვდელი სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო. პეტრეს სიმპატია
მისდამი იმით იყო უფრო გამოწვეული, რომ ეს ხუცესი ქალაქის შეძლებულ
ნაწილსა სამღვდელოებას არ უყვარდა. მაგრამ სულიერი მოძღვარი შეაცრი
უნდა იყოს, იგი ვალდებულია იცოდეს განსაკუთრებული, გულის გამგმირველი
სიტყვა და ცოდვისათვის შიშისა და ერთალვის ჩაგონება. არტამონოვმა იცოდა
რომ ასეთი ძალა გლებს არ ჰქონდა. მისი სიტყვა მერყევიიყო, თითქოს იმისი
ეშინია, ვისმე შეურაცხება არ მივაყენოთ. პეტრემ სიტყვა გააწყვეტინა და
უთხრა:

— მამაო გლებ, იმისთვის შეგაწუხე, რომ მინდოდა მეცნობებინა: წელს
მე არ ვეზიარები...

— რატომ შეეკითხა მღვდელი ჩაფიქრებით და სანაშ პეტრე რასმე ეტყო-
და, განაგრძო: — თქვენვე აგებთ პასუხს სინდისის წინაშე.

არტამონოვს მოეჩვენა რომ გლებმა ისევე უგულოდ წარმოსთვეა ეს სიტ-
ყვები როგორც ტიხონის ჩატონდა ხოლმე ლაპარაკი. გლები ლარიბი იყო და კა-
ლოშებს არ ატარებდა. მისი მძიმე გლეხური ჩექმებიდან იატაკზე თოვლის წყა-

ლი გამდგარიყო, რომელშიაც იგი ფეხებს ატლაპუნებდა. თან ისე ვანაგრძობდა თავის სიტყვას, თითქოს თავად სჩივისო. და ვისმე სხვას მრავს, დებს და ამტყუნებსო.

— უცემი ამ ქვეყანას, აკვირდები იმას, რაც ქვეყნად ხდება, და ერთად ერთ ნუგეშს პოვებ მხოლოდ. ეს ის არის, რომ ბოროტკუშაკი ჰქონდება, თითქოს განზრახ ერთად თავს იყრის, ერთად გროვდება, რაზა შესატულევა გააფვილდესო. მე ყოველთვის ასე შემინიშნავ: ჯერ გაჩნდება ბოროტების პატარა მორგვი და მერე მის გარშემო, როგორც თითისტარზე ძაფი, ისე თანდათან ეხვევა ათასნაირი სხეადასხვა ბოროტება. გაფანტული ბოროტების დაძლევა ძნელია, ერთად შეკრებილის, შეერთებულის სიმართლის ხმლით მოკვეთა კი ადვილი საჭმეა.

ეს სიტყვები არტამონოვს ჩარჩა მეხსიერებაში. ისინი ერთგვარ ნუგეშს შეიკავდენ მისთვის: ეს მორგვი პავლე ნიკონოვი იყო. ამ ბავშის გარშემო იყო რომ პეტრეს ყველა ბნელი, ბოროტი აზრი თავს იყრიდა ხოლმე, ერთად ქუჩდებოდა. და არჩამონოვს ერთხელ კიდევ მოუვიდა აზრად, რომ, სამართალით, მისმიერ ჩადენილი ცოდვის ერთი ნაწილი მისი ვაუის თავზე მოდიოდა. შემსუბუქების ნიშნად ერთი ამოიოხრა და მღვდელი ჩაიზე მიიწვია.

სასადილოში სინათლე იყო და მყუდროება. მისი თბილი ჰაერი საიმო სურნელს გაეუღინთა. მაგიდაზე სამოვარი შეშუნებდა. სიდედრო სავარიძელში იჯდა და ოთხი წლის შვილის შვილს უმღეროდა:

Святая молонъя

Раздала дары своя:

Апостолу Петру—

Ему летнюю жару,

Угоднику Николе—

На морях, озерах волю,

А пророку Илье—

Золотое копие,

— წარმართულია,—სთქვა ხუცესმა, დამნაშავესავით გაიცინა და მაგიდას მიუჯდა.

საწოლ თთახში ცოლი პეტრეს ეზბნებოდა:

— ალექსი დაბრუნდა. მე ვნახე. ისეა აღტაცებული მოსკოვით, რომ გიჟდება... ჰო, მეშინია...

ზაფხულზე ნატალიას თეთრ ყელსა და სახეზე რაღაც წითლად დაჰყარა. ნებსის ნაჩხულეტისოდენა იყო წინწკლები, მაგრამ ქალს მაინც აწუხებდა. ნატალია ორჯელ კვირაში დაწოლის წინ ლოკებს იზელდა თაფლის ფერი მალამოთი.

იგი ამ სალამოსაც იცხებდა ამ მალამოს და შიშეელი მქლავებით სარკის წინ იჯდა. პერანგს ქვეშ მისი ძუძუების ბურთები ქანაობდენ. პეტრე ლოგინში იწვა, ხელები თავქვეშ ამოედვა, ალმაცერად უცმეროდა ცოლს და ფიქრობდა რომ ნატალია რაღაც მანქანას ჰგავდა, ხოლო მის მალამოს მოხარშული ტარაღანა თევზის სუნი უდიოდა. როცა ნატალია ბეჯით კილოზე წარმოთქმულ

ლოცვას მორჩია, პეტრეს გვერდში მოუწვა და ჯანმთელი ტანის პატიოსანი ჩვეულების მიხედვით, ქმარს თავისი თავი შესთავაზა. პეტრემ კი ძილი მოიგონა.

— აი, ის მორგვი, — ფიქრობდა იგი. — მე კი თითისტარი ვინ ჭრიალებ. ძაფს კი ვინ ართავს, ნეტავი? ტიხონმა სთქვა: კაცი ართაუსწყიუფლებულ ეშმაკი ქსოვს... რა შეუსაბამო ღიანგია!

ალექსის მიერ გაჩალხული საქმე უფრო და უფრო ფართოვდებოდა და მდინარის გასწვრივ მდებარე ქვიშიანს გორაკებს თარავდა. გორაკები უკვე აღარ ბზინავდენ ოქროსფრად და მათი ქვების ვერცხლოვანი გამსჭვირვალება თანდა-თან ჰქრებოდა. თაგვმარილის ბზიალა ნაკვერცხლები ჩატერენ, ქვიშა დაიტკება. ყოველ წლივ გაზაფხულობით ქვიშაზე ლვარძლი უხვად ამოდიოდა და მწვანედ ბიბინებდა. შრავალძარლვას გაეფინა თავისი უოთლები და ბარდანას დიდონი ყურები გადმოეჭიდა.

ფაბრიკის გარეშემო გაშენებული ბალის ხელი შიშვლდებოდენ. შემოდგო-მის ფოთოლი ლპებოდა და ქვიშის ასუქებდა.

ფაბრიკა უფრო და უფრო ბუზლუნებდა, ზრუნვითა და შეკოთვით სუნთ-ქვდა. ათასი თითისტარი ბზულდა, დაზგები შრიალებდენ. მოელი დღე გაის-მოდა მანქანების ქლოშინი. გარშემო შრომის ზმურილი რდგა.

არტამონოვი ამიყობდა, რომ იგი იყო ყოველივე ამისი პატრონი, ეს მას თვითონვე უკვირდა.

მაგრამ დროგამოშვებით არტამონოვი თანდათანობით დალლილობას გრძობდა. ის თავის ბავშობას იგონებდა, წარმოიდგენდა წყაროსა და სუფთა მდინა-რეს რატს, თვალმიუწვდენელ ველებს და გლეხების უბრალო ცხოვოებას. ასეთ დროს მას ისე ეჩვენებოდა, თითქოს უხილავი, ბრჭყალებიანი ხელები იპყრობ-დენ და გიჟივით ატრიალებდენ.

განუწყაეტელი ყოველდღიური ხმაურობა თავში ურახუნებდა და ყველა სხვა აზრისა და ფიქრს უხშობდა გარდა ისეთებისა, რომელიც საქმეს ირ შეეხე-ბოდენ. ფაბრიკის მიღების დახვეული კოშლი დალფრემილობისა და მოწყენილო-ბის მძიმე სახით აწვებოდა ირგვლივ ყველაფერს და სულს უხუთავდა.

ასეთ დროს პეტრეს განსაკუთრებით არ მოსწონდა მუშები. ეჩვენებოდა, რომ ისინი ისე იყვნენ დასუსტებულები, რომ მამაკაცობის არაფერობი გააჩნდათ, დედაქაცებივით წუწუნებდენ, უკმაყოფილონი იყვნენ და თავხელურად იღრინე-ბოდენ, როცა რასმე შენიშვნას მისცემდენ. თითქოს მომჭირნეობის უნარიც კი დაკუარგოდათ, მერყეობდენ. წინად, მამის სიცოცხლეში, უფრო ლუახურად ცხოვრობდენ, მეგობრულად, ასე ირ ლოთობდენ და ასე ურცხვიდ არ ეწეოდენ გარყვნილებას. ახლა კი ყველაფერი არეულიყო. ხალხი უფრო მარდი შეიქნა თითქოს უფრო კეტიანიც, მაგრამ გულგრილიც მუშაობდენ, ერთმანეთში მტრო-ბა ჰქონდათ და ყველაფერს გაიძვერულად უცქეროდენ, ეტმასნებოდენ. განსა-კუთრებულად ახალგაზრდობას ეტყობოდა დაუდეგრობა და უპატივისმცემლობა. ფაბრიკის ის თვისება ჰქონდა, რომ ახალგაზრდებს სულ ჩალე გამოცველიდა ხოლ-მე და გლეხურ იერს უკარგავდა.

კოჩეგარი ვოლკოვი გუბერნიაში იქნა გაგზავნილი, სადაც ის სავიეტი მოათავსეს. ხუთი წლის წინად კი, როცა სოფლად სახლკარი დაეწეო, ის ახალგაზრდა ცოლთან ერთად ფაბრიკაში გამოცხადდა. ლამაზი იყო, ჯანმრთელი, ლონიერი, ორი წლის შემდეგ მისმა ცოლმა სმა დაიწყო და სხეულს აქვთ, მარმაცემა დაუწყო. ქალი ჭლექში ჩავარდა და, ამ, ორივე დაიღუპა.

ხალხის სწრაფი გაქრობის შემთხვევები მრავალი იყო. ხუთი წლის შემდეგ ამავლობაში სამს მკელელობას ჰქონდა აღგილი: ორი ჩხუბის დროს მოხდა, ერთი—შურისძიების ნიადაგზე, ერთიც: ხანშერეულმა მუშამ იკვის მიწნით მოპკლა ახალგაზრდა მუშა ქალი.

ჩხუბი ხშირად სისხლის ლურით, ჭრილობით თავდებოდა

ალექსიზე ყოველივე ეს, სიხანდა, არ მოქმედებდა. გაუგებრად იქცეოდა. იგი უფრო ხუმარი, მუდამ სუფრია სეროფიმე ბუროს პგავდა, რომელიც ერთნაირი სულიერი განწყობილებით უკეთებდა ბავშვებს სათამაშოებს—თვითმსროლებლს, საბერავს—და კუბოებსაც ამზადებდა მათთვის. ალექსის ქორულ თვალებში ის რწმენა კიაფობდა ყოველთვის, რომ ყველაფერი რიგშე იყო და მომავალშიც ასე იქნებოდა. მას უკვე სამი ბავში მოუკვდა. ტანმიგარი მხოლოდ მირონი გამოდგა, უშნოდ, ნაჩქარევად ნაძერწივით ბავში, რომელიც ძვლებისა და ხრტილისაგან შესდგებოდა და უკნაურად ჩხარუებობდა. მას ასეთი ჩვეულება ჰქონდა: როცა თითებს ღუნავდა, ატკაცუნებდა. მეცამეტე წლისა იყო, როცა სათვალეების ტარება დაიწყო, სათვალეებმა ოდნავ გრძელი ნისკარტისებური ცხვირი დაუმოკლა და არა სასიამოენო ღია თვალები დაუჩრდილა. ყოველთვის წიგნით ხელში დალიოდა. შიგ თითები ისე შეეწყო, თითქოს ზედ შესრდიანო. დედმამას თანასწორივით ელაპარაკებოდა. მისი საუბარი უფრო მსჯელობას ჰგავდა. დედმამას ეს ძალიან მოსწონდა. პეტრე კი გარეცეულად გრძნობდა, რომ ძირისწულს იგი არ უყვარდა და სამავიეროსაც უხდიდა.

ალექსის სახლში ყველაფერი მერყევი და ორეული იყო. უფროსი არტამონვი ხედავდა, რომ ძმისა და მის ცხოვრების შორის თითქმის იგივე განსხვავება იყო, რაც მონასტერსა და ბაზარს შორის ალექსისა და მის ცოლს ქალაქში მეგობრები არ ჰყავდათ, მაგრამ მის ვიწრო საკუჭნაოს მსვავს ძველ ნივთებით სავსე ოთახებში მაინც იკრიბებოდენ კვირაობით საეჭვო ღირსების სტუმრები: ფაბრიკის ოქროსკბილიანი ექიმი იაკოვლევი, დაცუინავი და ბოროტი აღამიანი, მუკირალა ტეხნიკუსი კოპტევი, ლოთი და ქალალდის მოთამაშე, მასწავლებელი მირონი, სტუდენტი, რომელსაც პოლიციისაგან სწავლა ჰქონდა იკრძალული, მისი ცხირ-მოკაუჭებული ცოლი პაპიროსს ეწეოდა და გიტარაზე უკრავდა. მოდიოდენ კიდევ სხვები, ადამიანთა ნამსხვრევები. ყველანი ერთნაირი თაქხედობით იგინებდენ მღვდლებს, მთავრობას და ცხადი იყო, რომ თითოეულს მათვანს დიდად ჰქონიან კაციდ მოკეთნდა თავი. არტამონვი მთელი თავისი არსებით გრძნობდა, რომ ისინი ნამდვილი ადამიანები არ იყვნენ და არც ესმოდა, რისთვის იყვნენ ისინი საჭირო მისი ძმისთვის, რომელიც ასეთი დიდი მნიშვნელოვანი საქმის მონახევრე იყო. როცა პეტრე ყურს მოკერავდა მათ ყვირილს, მღვდლის ჩივილი მოაგონდებოდა;

— ბევრი რომ ჰსურთ, ხოლო არა ის, რაც უძთავრესია.
იმას კი არ ჰყითხულობდა, თუ რა იყო ეს უძთავრესი, იცოდა კი, რომ
უძთავრესი—საქმე უნდა ყოფილიყო.

ეტყობოდა, რომ მას ყველაზე უფრო მყვირალი მუშავობის მოსწონდა.
საიდ მუდამ მთერალს უგავდა. მოძალე იყო, ჭყვიანიც სჩანდა, ხოლმე. ყველაზე
უფრო ხშირად ის ამბობდა:

— ფილოსოფია დიდი სისულელეა... მრეწველობა ჭრის ჩესტასაც! ტესნია.
მაგრამ პეტრე მას ეჭვის თვალით უცქეროდა. რაღაც ერეტიკულს, გამანა-
დგურებელს ამჩნევდა მასში.

— საშიში კაცია,—უთხრა მან ძმას. ალექსის ეს გაუკვირდა.

— კოპტევი? რას ამბობ? პირიქით ძალიან მარჯვე, საქმიანი კაცია. ხარი-
ვით შეუძლია მუშაობა. ჭყუიანი კაცია... ნეტავი ბევრი გვყავდეს მაგისთანა.
სოქვა, გაიცინა, და დადუშდა.

— ქალი რომ მყავდეს, უთუოდ მას შევრთავდი... საქმეშიც ჩავითრევდი.
პეტრემ სახე შეიკრადა ძმას მოშორდა.

თუ ქალალდა არ თამაშობდენ, პეტრე განმარტოვებით ჩაჯდებოდა თავის
საყვარელ ლოგინიერით რბილსა და ფართე სივარძელში. ყურის სრესით შეაც-
ქრდებოდა ხალხს. არავის არ ეთანხმებოდა და ყველასთან კამათის გამართვა
სურდა. კამათი უნდოდა არა იმიტომ, რომ ხალხი მას არ ამჩნევდა, როგორც
დიდი საქმის ლფროსს. კამათისათსის სხვა საფუძველი ჰქონდა, კარგად გარკვეული
ლაპარაკი არ ეხერხებოდა, მხოლოდ ხანდახან სხვის სიტყვებში თავის შენიშვნებს
ჩაურთავდა:

— აი, ხუცესმა გლებმა ერთი გრაფის შესახებ მიაშპო, რომ...

კოპტევი მაშინვე შეულრენდა:

— რა საქმე გაქვთ თქვენ გრაფთან, სწორედ თქვენ? გრაფი ხომ გლეხური
რუსეთის უკანასკნელი სულის ამოთქმაა...

იგი ჰყვიროდა და უპატივცემლოდ აშეერდა პეტრესკენ თიოს. დანარჩენე-
ბიც მას უსმენდენ, უგონებდენ და უცელანი ერთად ბოშებს ემსგავსებოდენ,—
უსახლკარო, მოხეტიალე ტომს.

— ჩრჩილია—ფიქრობდა პეტრე—მუქთამჭამლებია.

ერთხელ მან ხოქვა:

— ბართალი არ არის, როცა ლაპარაკობენ: — „საქმე დათვი როდია რომ
ტყეში გაიკრასო“. მე ვამბობ: საქმე სწორედ დათვია, მაგრამ ტყეში რად უნდა
გაიჭრას! ჩასჭიდა თაოები და არის მისივის. საქმე კაცის ბატონია.

— აი, აი,—დაიყეფა კოპტევმა,—სად ამბობენ ასე? ვინ ამბობს ასე? საშიშ-
როებაც სწორედ აქ არის.

ალექსიმ კი დაცინვით ჰყითხა:

— ეს რა ამბავია: ტიხონს პარავ აზრებს?

ამან ძალიან გააჯიცრა პეტრე და, სახლში რომ დაბრუნდა, ცოლს უთხრა.

— ელენეს თვალყური ადევნე. მის ვარშემო ის ბოშა, კოპტევი დაძრწის.
ალექსი ეხმარება. ელენე კარგი ლუკმაა, მაგრამ კოპტევისთვის კი არა. საქმიო
მოუნახო იქნება.

— აქ ვინ იქნება შესაფერისი? — ზრუნვით დაიწყო ნატალიამ. — საქმირო გუბერნიაში უნდა მოუნახოთ. ჯერ დროც არ არის.

— ფრონტილად კი იყავი, იცოდე, არ დაგიყოდონ. — ჩიტი არტამონოვმა. ამასე ცოლის სახეზე ცმილმა ლიმილმა გაითამაშა.

როცა მცირე ხნით მოიცლიდა და ფაბრიკაზე ზრუნვას, კუთხით მცირე ხნით მოიცლიდა, კვლავ სძულდა ადამიანები და თავისი თავის უკმაყტესობის სტატუსზე.

ერთად ერთი მისი ნუკეში შვილისადმი სიყვარული იყო. მაგრამ ამ სიყვარულსაც ნიკონოვის შვილის აჩრდილი ჰქონდა. მკელელობის ტეილობის სინდისხე აწვა. ილიას რომ სახეში შეხედავდა უნდოდა მისთვის ეთქვა:

— აი, რა ჩავიდინე შენი გულისტვის!

კონება საქმაოდ მახვილი პქონდა და არ შეეძლო გამოპაროდა ის გარემონა, რომ მან მკელელობამდე ერთი წამით ადრე ივრძნო შიში. მაგრამ პეტრეს კარგად ესწოდა, რომ სწორედ ამ შიშს მხოლოდ შეეძლო იგი გაემართლებინა. ილიასთან საუბრის დროს მას ეშინოდა ნიკონოვის ბავშის მოგონება, — ეშინოდა რათა შემოხვევით არ გაეცა თავის თავი და დანაშაული არ გამოვმელივნებინა, რომელიც მას გმირობად მიაჩნდა.

ამჩნევდა, რომ მისი ვაჟი ძალიან ჩქარა იზრდებოდა, მაგრამ რაღაც მისი გაელენის გარეშე, განზე. ილია ახლა დამშეიღებულიყო, დენას არ აჯაერებდა, არც იაკობს აწუხებდა, რომელიც გიმნაზიაში სწავლობდა. უმცროს დას ტატიანას ართობდა, ელენეს უწყინრად დასკინოდა. ხოლო როცა ლაპარაკობდა, რასაც არ უნდა შეხებოდა ჩაფიქრება და ციეი ანგარიშიანობა ეტყობოდა. პავლე ნიკონოვის ადგილი მირონმა დაიჭირა. ძმები თითქმის განუყრელნი იყვნენ. სულ ერთად იყვნენ. ხელების ქნევითა და ერთის ამბით საუბრობდენ. ისხდენ და წიგნს ერთად სწავლობდენ, კითხულობდენ. ილია თითქმის მთელი დღე სახლში არ იყო. დილას ჩაის დროს გამოჩნდებოდა. მერე კი ქალაქში ბიძასთან მიღიოდა. ან ტყეში გაიჭრებოდა მირონთან და შავტრუხა ბიჭთან გორიცვეტოვთან ერთად. ეს პატარა ბიჭი მებენარა მცენარეს ჰგავდა. ისე დადიოდა თითქოს კუდს აქიცინებდა. თვალები დამცინავი პქონდა, გადმოკარგული და ელამი.

— ჩა ვინდა ამ ურის ბლანტთან, — ზიზღით შენიშნა ნატალიამ შვილს. პეტრე არტამონოვმა თვალი მოჰკრა, რომ მის ვაჟს ამ შეკითხვაზე წარბები შეერჩენ.

— ეს სიტუაცია შეურაცხმულფელია, დედა. თქვენ ხომ იცით, რომ ალექსანდრე ჩვენი მღვდლის გლების ძმის შვილია, მაშასადამეა რუსი. გიმნაზიაში პირველ მოწაფედ ითვლება.

დედამ ზიზღით ჩაიფრუტუნა:

— ურიები ყველგან პირველ ადგილს იჭერენ.

— თქვენ ეს საიდან იცით? — არ დაუთმო შვილმა. — ქალაქში სულ ოთხ ურია სკოლობს, ყველა ღარიბია, აფთიაქის პატრონის გარდა.

— მათ კიდევ ორმოცი ბლანტი ჰყავთ. ვორგოროდშიც ყველგან ურიებია. ილიამ ბეჯითად გაიმეორა, თითქოს შეურაცხმული:

— ურია — ცუდი სიტყვაა. გინება.

ወልደን ልማት በመሆኑ ለማስተካከለ የሚከተሉ ነው፡፡

— როგორ ბედივ ჩემს სწავლებას? განა მე არ ვიცი, ~~უაპარაკი~~ როგორ უნდა? ბრძა არ ვარ: მეც კარგად ვამჩნევ, რომ ~~მოიძებელია~~, ტიხონსაც კი ელაქშუცება. ამიტომ ვამბობ: ურიის ბლარტივით ლაქშუცია მეოქი. ვინც მოლაქშუცეა — ის საშიშია. ეს ვიცნობდი ერთს ასეთში: მარტინი.

— კმარა. — მყავრიდ ჩაეტია პეტრე. ცოლს კი თვალწიფებული

— ასე როგორი იქნება, პეტრე ილიას ძევ, სიტყვა ვერ მითქვამს.

ილიაშ სახე მოიღოუბლიანა და გაჩერდა. ლევამ უთხრა:

— Զօնօ մո օր ըաշեալո՞յ

— მადლობელი ვარ — უპასუხა ილიაშ და გაცალიერებული ჭიქა განჩე
ვია.

მამაშ ილმაცერად გადახედა შვილს და ჩაიცინა. ყურები შეისრისა. პეტრემ შეატყო ცოლს, რომ მას ილიასი ეშინოდა, როგორც წინად ნავთის ლამპისა და ახლა კიდევ თლგის ნაჩუქარი საყავის წინაშე შიშსა გრძნობდა: — სულ ის ეჩვენებოდა, რომ საყავე გასკდებოდა. — ასეთი სასაცილო შიშისებური გრძნობა თვითონ მამასაც პქონდა შვილისაღმი. უცნაური იყო მათი შვილიც. საშივე ბავში უცნაური იყო. რას პპოვებდენ ისინი მეტოვე ტიხონში, რომ მით ერთობოდენ. ყოველ საღამოს მასთან ერთად ჭისკართან ისხდენ და უფროს არტამონოვს ქსმოდა უცნაური გლეხის დარიგების კილო.

— ეს ასეა. ცოტა თუ მიგაქვს, უფრო მსუბუქად შიღიხარ. რაც შეეხება ცის კუთხეებს, არ დაიჯეროთ: რა კუთხე შეიძლება ცაში იყოს? ცას ხომ კედლები არა აქვთ.

გიმნაზიელები ხარხარებდენ. ილია ცოტას იცინოდა, ხავერდის ხმაზე, მირონი—მშრალად, გორიცვეტოვი კი—უხალისოდ, მაგრამ ყოველთვის შესწყვეტდა სიკილს და მეგობრებს მიშართავდა:

— დაიკადეთ, ეს პრი ისე სასაცილოა.

და ტიბონის ბნელი, ზარმაცი სიტყვა ისევ გრძელდებოდა:

— თქვენ, ბავშებო, უფრო მეტი ის ისწავლეთ, რაც იდამიანს შეეხება... ადამიანის შესახებ საზოგადოთ. ვინ ვისთვის არის გაწენალი, ვის რა ბედი აქვს. აი, ამას უნდა ჩაუფიქრდეთ. სიტუაციი გამჭვირვით უნდა გაიგოთ. ხშირად ამბობენ ხოლმე: აი, დამთავრებული სიტყვა. ბოლო კი, დამთავრება, არაუერს არა აქვს...

და ტიხონ ვიალოვი პეტრეს ნაცვნობ თქმას იმეორებდა:

— ადამიანი ძალს ართვეს, უშმავი კი ქსოვს; ასეა სულ დაუსრულებლივ...
ასე მიდის.

ახალგაზრდები იკვინოდენ. ტიხონიკი იკვინოდა ამოოზვრით:

სალამოს ბინდზე ბავშები პატარავდებოდენ რაღაც, უფრო ნაკლებ შესაბ-
ჩნევი ხდებოდენ, ვინემ დღის სინათლეზე იყვნენ. ტიხონი კი სიკლებოდა, გა-
ნიერდებოდა და უფრო მატეს სისულელეს ლაპარაკობდა.

ილიას ხშირი საუბარი ტიხონთან პეტრეს მეეზოვეს აძლევბდა, ვამოურ-
კველ შიშს გვრიდა. იგი შვილს ეკითხებოდა:



— რით გართობს ტიხონი?

— საინტერესო კაცია.

— რით არის საინტერესო? იმით რომ სისულელეს ამბობის მიზანი
ილიამ ჩუმად უპასუხა:

სისულელესაც გაგება უნდა.

ასეთი პასუხი მოეწონა პეტრეს.

— ეს მართალია. ყველანი სულელურად ცცხოვზობთ.

მაგრამ მყისვე მოისაზრა და გაითიქრა:

— ტიხონის სიტყვებია.

შვილი განსაკუთრებულ იმედს უძრავდა პეტრეს, როცა ივი ჯაპეში ხე-
ლებ ჩაწყობილი, ნელი ფსტვენით ფანჯრიდან ეზოს გადასცეროდა და მუშებს
ათვალიერებდა, ან აუჩქარებლად გაივლიდა საქსოვ ფაბრიკაში, ან მსუბუქი
საარულით სოფლისკენ გაისეირნებდა. მაგა კმაყოფილებით გაიღიქრებდა:

— ჩინებული მეურნე იქნება. ჩემსავით კი არ მოეკიდება საქმეს, რომ
შემაბეს ფლელში და ძალაუნებურიდ მიმაქვს ტვირთი.

ის კი სწყინდა რამდენიმედ, რომ ილიას ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა.
თუ ილაპარაკებდა, ძალიან ცოტას, თითქოს წინასწარ მოფიქრებულ სიტყვებს
ამბობდა, რაც ადამიანს მაინცადამაინც შასთან საუბრის გუნებაზე არ აყენებდა.

— გშრალია,—ფიქრობდა არტამონოვი და თავს იმით ინუგეშებდა, რომ
ილია მყვირალი გორიცვეტოვს არ ჰვავდა, არც მოთენთილს, ზარმაც იაკობს
და არც მირონს, რომელიც მწიგნობარივით ლაპარაკობდა, თავს მალლა სწევდა
და ისეთ მოხელეს ჰვავდა, რომელმაც იცის, რომ ცხოვრების თეითოეულ შემ-
თხევისათვის წიგნებში შესაფერი მკაცრი კანონი მოიპოვება.

არდალეგები რაღაც უცბად გათავდა და აი, ბავშებიც წასასვლელად ემზა-
დებიან. ისე გამოვიდა, რომ ნატალიამ გამგზავრების წინ იაკობი დაარიგა, მაგამ
კი ილია, მაგრამ პეტრემ ის კი ვერ უთხრა. რისი, ოქმაც უნდოდა, როგორ ეთქვა,
რომ ცხოვრება მოსაწყენი იყო ამ ერთფეროვან ზრუნვაში, რომელიც კოლო-
ბის ღრუბელივით ერტყა გარს. ასეთ რამეზე ბავშებთან არ ლაპარაკობენ.

უფროსი არტამონოვი ისე იყო მოწადინებული განეცადა ისეთი რამ, რაც
ჩვეულებრივს არ ჰვავდა და აუცილებელი არ იყო, როგორც თოვლა, წვიმა,
ტალახი, სიცხე, მტკერი, რომ ბოლოს და ბოლოს, ამისი მსგავსი რაღაც მარ-
თლაც იპოვნა თუ მოიგონა.—მაზრის ერთ მივარდნილ ტყიან-კუთხეში მგზავ-
რობის დროს მას ჭექა-ჭუხილზა მოუსწრო. სეტჩვა წამოვიდა. მეხმა გაიგრგვინა
და გალურჯებული ღრუბლები აათეთქა. ტყით მიმავალ ვიწრო ვზაზე სიბნელე
ჩამოწევა და წყლის ნიაღვარმა ითქრიალი. ცხენების ფეხებ ქვეშ, თითქოს მიწა
გადასა, წყალი ლვარად დადინდა და ეტლის ბორბლებს ლვრძამდე შეუდგა.
საშინელება იყო, როცა ცივი ცეცხლის ალი წამით გაიელებდა და ძირს დე-
დანიწის დუღილს მრისხანედ გაანათებდა. გზის ორსავე მხარეს, წვიმის მინის
ბადეში გახვეული შევი ხეები, სველი წყვდიადიდან ჰაერში ატკორცხნილნი, ძრწო-

ლით შექანდენ უჩინარი ცხენები ფრთუტუნით შესდგენ და ტორები წყლის ზე-
დაპირზე ათვარათქურეს. მეტლე იაკიმი, მსხვილი და მშვიდე კაცი, ცხენებს
ფრთხილათ ეფერებოდა. სეტკვამ ტჰე ყინულიანი ხმაურით იასჭა. მერე კო-
კისპირული წვიმა წამოვიდა, მიღიონმა წვეომა ხეების ფოთლებზე გაიშრიალა
და გაირიახა, — ბრაზიანი ლმუილი ჩადგა ლამის წყლერზე უკარებდა.

— პოპოვებთან უნდა შევუხვიოთ, — სთქვა იაკიმი მეტად ისტორია.

და ია, სხვის ტანის ამოსში გადაცმული არტამონოვი და აცხვენილი ზის,
როგორც სიზმარში, მაგიდასთან, თბილ ოთახში, საამოდ მშრალსა და ნახევრად
ბნელში. ტანისაცმელი უკერს, ეშინია განძრევის. სამოვარს შიშინი გააქვს. მა-
ღალი ხმელი ქალი ჩაის ასხამს. ზას ფართე შავი კაბა აცვია. მოწითალო თმა
თავის გარშემო შემოუხვევია. მკრთალ სახეს ნაცრისფერი თვალები უმშვენებენ.

მან სრულიად უბრალოდ, მორჩილი გამომეტყველებით და დალბილებული
ხმით სტუმარს უამბო ამას წინად ვარდაცვალებულ თავისი ქმრის ამბავი და
იმის შესახებაც, რომ სახლკარის გაყიდვა და ქალაქს გადასახლება გადაეწყვიტა,
სადაც გიმნაზიის გახსნას აპირებდა.

— ეს მე თქვენმა ძმამ მირჩია. საინტერესო კაცია, ცოცხალი, თავი-
სებური.

პეტრემ შურით ჩახველა. შეათვალიერა ყოველი, რაც ოთახში მის გარ-
შემო იმყოფებოდა. ახალგაზრდობისას როცა მამასთან ერთად გუბერნიაში
მოგზაურობდა, ხშირიდ უხდებოდა ყოფნა ბატონების სახლში. მაგრამ განსა-
კუთრებული იქ არაფერი არ შეუმჩნევია, მხოლოდ ადამიანებსა და ნივთებს
შეუწუხებია და შეუვიწროებია. აქ კი, ამ სახლში არავითარ შევიწროებას არ
გრძნობდა. პირიქით, ყველაფერს ალერსისა და გულითადობის ბეჭედი აჯდა.
დიდი ლამპა, მქრთალი ფერის აბაურით ჩამოფარებული, რძის ფერიდ ანათებდა
ჭურჭლებულობას, მაგიდაზე დაწყობილ ვერცხლს და პატარა გოგოს მოხდენი-
ლად დავარცხნილ თავს. გოგოს წინ რვეული ედვა. წვრილი ფანქრით ხატავდა
რაღასაც და თან თავისთვის ჩუმად ლრუტუნებდა. მისი ხმა სრულიად არ
უშლიდა პეტრეს ყური ეგდო დედის სიტყვებისათვის. ოთახა დიდი არ იყო.
მჭიდროდ ეწყო ავეჯი, სავნები ისეთ შთაბეჭდალებას ახდენდენ, თითქოს ოთახს
შეზღიანო, მაგრამ თითოეულს თავისებური სახე შერჩენდა და თავის თავზე
რაღაცას მეტყველებდა. ასეთივე იყო კელლებზე ჩამოკიდეკული სამი სურათიც.
პეტრეს პირდაპირ კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე ზღაპრული ცხენი ეხატა,
რომელსაც მეღიდურად მოეღუნა კისერი. ფაფარი საკეირველად გრძელი პქონდა,
თითქმის მიწას წვდებოდა. ყველაფერი საოცარ სიმულდროვეს პქონდა, თითქოს
წყნარი გულითადი სიმღერა გაისმისო. დიასახლისის შშვენიერი ხმაც ისე გაი-
სმოდა, თითქოს შორიდან მორაკრაკებსო. აი, ასეთ მორთულობაში შეიძლება
იდამიანმა წყნარად იცხოვოს და არაფერი ცული არ ჩაიდინოს. ვისაც ცოლად
ასეთი ქალი ეცოლება, ბედნიერი იქნება: პატავცემითაც მოეპყრობა და გულის-
ნადებსაც თავისუფლად გაუნაწილებს.

გარედ, დერეფანში, აჭრელებულ შუშაბანდზე, დროვანოშვებით აენთე-
ბოდა შავი ცა და იელვებდა, მაგრამ არტამონოვს უკვე ველარ აშინებდა.

განთიადნე არტამონოვი თავის გზას გაუდგა. მას თან გაპულა იღებსიანი სიმშვიდისა და მყუდროების შთაბეჭდილება და თითქმის არახორციელი სახე ჩამისა, რომელსაც ეს მყუდროება შეექმნა. ისი ეტლი კაობის აუკლებით იცურავდა. ჭაობში თანასწორად იცქირებოდა ოქროს მზეც და კორსაგან დანაგლეჯი ლრუბლების ნაპრები. არტამონოვი ნაღვლაანად ფაქტურულა:

— აი, როგორ ცხოვრობენ.

ტექსტის დასაცავი

მან რაღაც მიზეზით ცოლს არ უამბო თავისი სტუმრობის აბძავი და ალექსისაც დაუმალა. მით უფრო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა რამდენიმე კვირის შემდეგ როცა ერთხელ ალექსის სახლში ოლგას გვირდით პოპოვა ნახა. მამ სავარდელთან მიაგდო იგი.—

— აი, ვერა ნიკოლაევნა, ჩემი ძამია.

ჭალშა გაილიმა და ხელი გაუწოდა:

— ჩვენ უკვე ვიცნობთ ერთმანეთს.

— როგორ? — გაიკვირვა ალექსიმ. — როდის გაიცანით? რად არ მითხარი? ალექსის გაკვირვებამ პეტრეს ცუდი რაღაც აფიქრებინა. წვერი აუცაცახდა რაღაც უცნაურად. ყური შეისრისა და უპასუხა:

— დამავიწყდა.

ალექსიმ კი ურცხვად მისკენ თითო გააშვირა და წამოიყეირა:

— შეხედეთ, როგორ გაწითლდა! ა? კარგად კი იმართლებ, შვილოსა, თავს? მაგრამ ასეთი ქალის დავიწყება განა შეიძლება, თუ კი ერთხელ მაინც, თვალი მოგიკრავს? შეხედეთ: ყური ეფხანება... უოუოდ ეზრდება.

პოპოვამ ალერსიანად გაიღიმა. ალექსის სიტუაცია არ ეწყინა.

თაფლს ყინულით სვამდენ ბროლის მაღალი ჭიქებით. თაფლი ძლინად ჩამოეტანა ოლგასთვის პოპოვას. ქარვასავით ოქროს ფერს გადგირავდა. ფუცხუნარამ იყო, პეტრე შეახალისა. მას მარჯვე სიტუაციის თქმის გემო გაეხსნა, მაგრამ მაინც ვერ ლაპარაკობდა რადგანაც ალექსი სიტუაცია არ სწყვეტდა.

— არა, ვერა ნიკოლაევნა, ნუ ჩეარობთ გაყიდვას. თქვენი სახლკარი მყუდროების მოყვარულს ვისმე უნდა მიყიდოთ. სულის მოსასვენებელი ადგილია. ჩვენისთანა კაცი კი რას მოგცემს? მიწა თქვენ არა გაქვთ, ტყე ძალიან ცოტაა, ცუდიც... თუმცა კურდლლის გარდა სხვა ვინ საჭიროებს აქ ტყეს?

პეტრემაც სთქვა:

— არ უნდა გაყიდოთ.

— რატომ? — ჰეითხა პოპოვამ, ჩაფიქრებული სახით მოსვა თაფლი და მოიოხერა. — ჩემის აზრით, უნდა გაიყიდოს.

პეტრეს არ მოეწონა ოლგას ყურადღებიანი მზერა და ტუჩების ცმაცური, რომლითაც იგი ღიმილს მალავდა. სახის მოკუმვით დალია თაფლი და პოპოვის არ უპასუხა.

ორი დღის შემდეგ კანტორაში ალექსიმ განუცხადა პეტრეს, რომ მას სურს პოპოვას ნივთები დაიგირაოს.

— მისი სახლკარის ფასი შვიდ მანეთს არ აღემატება, ნიფთები კი...

— არ დაიგირაო, — უთხრა მას პეტრემ გადაჭრით.

— რათა? მე ვიცი ნიუთების ფასი.

— არ დაიგირავო მეთქი.

— რათა მეთქი, გეკითხები? იყვირა ილექსიმ—შემფასებელს მოვიყვან და დაუათვალიერებიებ.

პეტრემ მაინც უარყოფითად გააქნია თავი. მას უნდოლა, რომ ძმის ვანზრახული ოპერაცია არ მოეხდინა, მაგრამ ამისი საჭროდ უწევა არ გააჩნდა, ასეთი წინადადება მისცა:

— სანახევროდ გინდა? ნახევარი—შენ, ნახევარი—მე.

ალექსიმ პირადაპირ შეხედა თეალებში და გაუცინა.

— დაიწყე უცნაურობა?

— დრო დამიღვა, მაშასადამე.—უპასუხა ხმა მაღლა პეტრე არტამონოვმა.

— გარიფროთხილებიხარ: მისამართი სწორი არ არის.—გააურთხილა ალექსიმ.—მე უცალე: ქალი კი არა—თევზია...

პოპოვასთან ორი-სამი შეზვედრის შემდეგ არტამონოვმა მასზე ოცნება დაიწყო. საკმარისი იყო წარმოედგინა თავისი თავი მასთან ერთად, რომ ცხოვრებაც საკუირეულად იოლი ხდებოდა, მყუდრო, გარეგნულად ლამაზი, ხოლო შინაგან—წყნარი და მშვიდი. პოპოვასთან ცხოვრება აუცილებელს არ ხდიდა მისთვის. რომ დაუდევნელ ხალხთან ჰქონილ საქმე. ისე კი ეს ხალხი ყოველთვის უკმაყოფილო იყო, ყვიროდა, სჩივოდა, სტყუოდა. მათი აბეზარი მლიქვნელობა ისევე მოქმედებდა პეტრეზე, როგორც მათი ცუდად დაფარული მტრობა და სიძულვილი, რომელიც თანდაოთან იზრდებოდა. ყოველივე ამის გარეშე აღვილი წარმოსადგენი რამ იყო სხვანაირად მოწყობილი ცხოვრების სურათი—გარეშე ფაბრიკის წითელი, მსუქანი ობობასი, რომელიც თავის ქსელს უცროდა უფრო აცართოვებდა. დიდ კაცად წარმოედგინა თავისი თავი: თბილა, არაფერი არ აწუხებს,—დიასანლის უვყარს იგი, გულითადად ეფერება და მასაც მეტი არაფერი არ უნდა... არაფერი.

როგორც წინად ნიუონოვის ბავში მისთვის შე წერტილს წარმოალგენდა, რომლის გარშემო ყოელივე მისთვის საწყინარი ერთად იყრიდა თავს, ისე ახლა პოპოვი შეიქმნა იმ ანდამატად, რომელიც თავის გარშემო ყოველსავე კარგს შემოიკრებდა ხოლმე, —მსუბუქ ფიქრებს, საამო განზრახებს. პეტრე არ გაძუვა ძმას და ეიღაც ცბიერს, სათვალეებიან მოხუცს, პოპოვას სახლებარის დასათვალიერებლად და მისი ქონების შესატასებლად. მიგრამ როცა ალექსიმ დაგირავების საქმე მოათავა და სახლში დაბრუნდა,—პეტრემ მას წინადადება მისცა:

— მომყიდე მე გირაობის ქალალდი.

ალექსი დიდად გააკვირვა ასეთმა წინადადებამ. ბევრი ეცადა ჭავებო თუ რა მიზეზი ჰქონდა პეტრეს და მერე უთხრა:

— ჩემთვის ეს ხელსაყრელი არ არის. ნივთები ძალიან ბევრი ლირს, ფული არ მყოფნის... მოდი, დიეტოვე.

შეთანხმდენ. ალექსიმ დაჯღანვით უთხრა:

— გისურვებ წარმატებას. კარგი საქმეა..

პეტრეც ვრძნობდა, რომ კარგი საქმე გააკეთა: მოსასვენებელი კუთხე შეიძინა.

— შენს ცოლს არ უუთხრა? — ჰერითხა ძმამ თვალის ჩაკვრით.

— ეს შენი საქმეა.

ალექსიმ ცდით შეხედა და უთხრა:

— ოლგას პვონია, რომ შენ პოპოვა გიყვარს.

— ეს კი ჩემი საქმეა.

— ნუ ბლავი. ჩემს წლოვანებაში ყველა ბაზაკაცი ეშმაკობს.

პეტრემ ამაზე ხეპრულად და გაჯავრებით უპასუხა:

— შენ ძმაო, შენთვის იყავი... მე ნუ მერჩი.

პეტრემ მალე შეამჩნია, რომ ოლგა მას უფრო მეგობრულად ესაუბრებოდა, შეგრამ რაღაც შებრალების კილოზე. ეს არ მოეწონა და ერთ შემოდგომის სალაშოს, როცა მასთან იყო, ჰერითხა:

— შენმა ქმარმა რამე მოჩინახა პოპოვას შესახებ?

ოლგამ ბალნიან ხელზე ხელი გადაუსვა და უპასუხა:

— ჩემს გარდა ამას სხვა ვერავინ... ვერ გაიგებს.

— საზოგადოდ სხვა ვერც გაიგებს ამას, — სოჭვა არტამანოვმა და მაგიდა-ზე მუშტი დაარტყა. — ჩემთან, ჩემს გულში დარჩება. შენთვის ეს მიუწვდომელია... ნუ ერწვი ნატალიას.

პეტრე არ განიცდიდა სიყვარულს პოპოვასადმი. ოცნებაში ისეთ ქალად არ ჰყავდა წარმოდგენილი, რომელიც მის გულისთქმას შეეფერებოდა. იგი მიაჩნდა დამიატებად იმ მოალერსე მყუდროებისა, იმ კარგი, უმწიკელო ცხოვრებისა, რომელიც მის ბინას ახასიათებდა, მაგრამ მას შემდეგ რაც ეს ქალი ქალაქში ჩამოვიდა და პეტრემ რამოდენიმეჯერ ნახა იგი ალექსისას, თავი რაღაც გაშე-შებულად იგრძნო.

ერთხელ პოპოვა ავადმყოფ ოლგას უვლიდა. კოფტის სახელოები წაექაპი-წებინა და ტაშტჩე დახრილი პირსახოცს წყლით ასველებდა — დაიხრებოდა და ისევ გაიმართებოდა. მისი უცხო ტანადობა და ქალწულური გულმკერდი შეუვალი მაცდურობით მოქმედებდა პეტრეზე. არტამანოვი კართან იდგა ჩემად და მალვით უცქეროდა ქალის თეთრ ხელებს, მკერივ წყვილებს და გვერდებს. იგი უცებ ისე პიტაცი სურვილის ცხელმა ქარმა, რომ მოეჩვენა, თითქოს ქალმა ტა-ზე ხელები შემოახვია. სალამზე ისე უპასუხა, რომ ძლიერ დახარი თავი, ფან-ჯარასთან მივიდა და სუნთქვა შეკრული სკამზე ჩამოჯდა. მერე ოლგას პირქუ-შად მიმართა:

— რა მოვივადა, ოლგა?.. ვერ მოგიწონებ...

ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ მას ასე სასტიკად იპყრობდა ქალი. ში-შიც კი იგრძნო: რაღაც საბედისწერო მოელანდა. ეტლი ექიმის მოსაყვანად გა-გზავნა, თვითონ კი შეუყოვნებლად ძველითად გაემართა ფაბრიკისკენ.

თებერვლის მიწურული იყო, თოვლი გალხვობას აპირებდა. ნაცრისფერი ღრუბელი მიწის ზემოდან ჩამოკიდებოდა და ცა დაეფარა. სივრცე ისე შეკუმ-შულიყო, რომ არტამონოვს ლამბაჭის ოდნავ თავს დახუროდა. ნესტიანი და

ცივი მტვერი მაღლიდან ნელა სცვიქოდა და მძიმედ ეცემოდა თბაზე, ულვაშებ
და წვერზე. სუნთქვას უშლიდა. არტამანოვი ფხვიერ თოვლზე მჩუბრჯებდა. თავს
ისე გრძნობდა, თითქოს მიგრა სცემეს და აგორავესო. ასეთივე სულიერი გან-
წყობილება ჰქონდა მას ნიკიტას თავის ჩამოხატვის განზრახვის ლანეს და პავ-
ლე ნიკონოვის შემოკვდომის დროს. ამ მოცენტების მსჭავალში რჩქმია იყო მი-
სთვის, ხოლო ეს მესამე უფრო საშიშრად ეჩვენებოდა. ცურატების არმა ეს კა-
ლბატონი მისი საყვარელი არასოდეს არ გახდებოდა. პეტრე უკვე ახლაც ამჩნე-
ვდა, რომ ამ ქალის სურვილის მოულოდნელი აფეთქება ჩრდილს იყენებდა მი-
სავე სპეტაკ გრძნობას და თვითონ პოპოვი ჩვეულებრივი დედაკიცის დონემდე
დაჰყავდა. მან ძალიან კარგად იცოდა, თუ როგორი მეულლეც ჰყავდა და საბა-
ბი არ ჰქონდა ეფიქრნა, რომ საყვარელი ცოლზე უკეთესი იქნებოდა, რომლის
სავალდებულო აღერსი მასზე უკვე აღარ მოემედებდა.

— მაშ, რალა გინდა?.. გსურს იმრუშო? ცოლი ხომ გყავს...

ყოველთვის როდესაც მას რიმე საშიშროება მოელოდა, ცდილობდა რაც
შეიძლება მალე გადაელახა ხითათი, უკან მოექცია იგი და შემდეგ მისკენ არ
მოეხედნა. ხოლო ხითათის წინაშე დგომა იგივე იყო მისთვის რაც ღრმა მდი-
ნარებე გადაეკრულ გაზაფხულის გასალხობად გამზადებულ ყინულზე შედგომა
ბნელ ღამეში. ასეთი რომ საშინელება მას ბავშობაში განეცადა ოდესლაც და
მთელი ტანით ახლაც ახსოვდა იგი.

რამდენიმე დღემ მძიმე, გამომთაყვანებელ ტანჯვაში გაიარა. ერთი უძი-
ლო ღამის შემდეგ პეტრე დილით აღრე გავიდა ეზოში. ანაზდად დაინახა, რომ
ჯაჭვზე მიბმული ძალლი ტულუნი თოვლზე გაშხლართულიყო და სისხლში ცუ-
რაობდა. დილის ბინდი იყო და სისხლი კუპრივით შავი მოსჩანდა. პეტრემ ფე-
ხი ჰქონდა ლეშს. ტულუნმა ძლივს დაკრიკი კბილები და ამოვარდნილი თვალებით
შეხედა ადამიანის ფეხს. პეტრე შეკრთა. მეეზოვეს საყარაულოს დაბალი კარი
გამოალო, ზღურბლზე შესდგა და იკითხა:

— ვინ მოჰკლა ძილლი?

— მე—უპასუხა ტიხონმა, რომელსაც ხუთი თითით ჩაით სავსე ლამბაქი
ეჭირა.

— რატომ?

— კაცს უქბინა კიდევ.

— ვის?

— ზინაიდას, სერაფიმეს ქალს.

პეტრე წამით ჩაფიქრდა. მერე სთქვა:

— ცოდვაა ძალლი.

— დიალაც. მე გამოვზარდე. მან კი მეც შემომიტია... თუმცა იდამიანიც
კი გახელდება, თუ ჯაჭვით დააბი.

— მართალია, სთქვა არტამანოვმა, კარი მაგრად მოიხურა და წავიდა. ფი-
ქრში სთქვა:

— ხანდახან ესეც კი პკუიანს იტავის ხოლმე.

იგი ერთხანს შესდგა ეზოში. მიაყურა ფაბრიკის ხმაურობას, ბალის შორეულ კუთხეში ყვითელი სინათლე ბჭყვიალებდა. ეს იყო სერაფიშეს ბინა. რომელიც თავლის კედელზე იყო მიღებული.

არტამანოვი სინათლისკენ გაემართა და ფანჯარაში შეიჭირილი ქრისტეს ქრისტული მაგიდასთან იჯდა, ლამპის წინ, და რაღასაც კრისტეს ქრისტული. როცა პეტრე ოთახში შევიდა, ქალს თავი არ აუწევია, ისე იკითხა ტექსტის მარტინი:

— რატომ დაბრუნდი?

მაგრამ როცა პეტრეს შეხედა, საკერავი მაგიდაზე დაავდო და წამოიქივლა, წამოდგა, გაულიმა.

— ლმერთო ჩემო. მე კი მევონა, რომ მამა დაბრუნდა.

— შენ მართლა, ტულუნმა ვიკბინა?

— მერე როგორ? — თითქოს დაიტრაბახაო ისეთ კილოზედ უპასუხა ზინა-იდამ, პეტრანგი აიწია და ლეხი სკამზე ჩამოდგა.

— აი, შეხედეთ.

არტამონოვმა მალეით შეავლო თვალი თეთრ ფეხს, რომელიც ზინაიდას მუხლთან შეეხვია, და ქალის ტანს მიუახლოვდა.

— მერე განთიადზე რა გინდოდა ეზოში? ა? რა გინდოდა მეთქი?

ზინაიდამ ჯერ კითხვის ნიშნის გამოხატვით შეხედა მას სახეში, მაგრამ მაშინვე გაუცინა, როგორც კი განზრახვის მიუხვდა. ლამპის შუშაში მაგრად ჩაბერა, სინათლე ჩააქრო და პეტრეს უთხრა:

— კარი უნდა დაიკეტოს.

ნახევარ საათის შემდგენ არტამონოვი ფაბრიკისკენ შიიმართებოდა. საამოდ გაცალიერებულად გრძნობდა თავს. ყურს ხშირად ისრესდა, აფუროხებდა და გავირვებით იგონებდა ზინაიდას ურცხვობას. იცინოდა: ეჩვენებოდა, რომ ვიღაცა ძალიან მარჯვედ მოატყუა, თვალები აუხვია.

პეტრე ისე შეიჭრა ფაბრიკაზე მომუშავე ახალგაზრდა ქალების ვარყვნილ ცხოვრებაში, როგორც დათვი სკაში. პირველად ამ ცხოვრებამ მოლოდინს გადააჭარბა — არტამონოვი გააოცა სიტყვებისა და გრძნობების მოურიდებელმა სიშიშვლეშ. ყველაფერს თავშეუკავებელი ურცხვობის ბეჭედი აჯდა. აქაური ქალების ურცხვობის შესახებ ლექსებს თხზავდნენ და მლეროდენ. ზინაიდა და მისი მეგობრები ასეთ ურცხვობას სიყვარულს ეძახდენ, მას ცხარე მომწარო გემო დაპკრავდა და ადამიანს ლვინოზე უფრო ათრობდა.

არტამონოვმა იცოდა, რომ ფაბრიკაზე მომუშავენი სერაფიშეს თავლის კედელთან მოკრუნჩხულ ქოხს „მახეს“ ეძახდენ, ხოლო ზინაიდას მეტსახელად უწოდეს „მქაჩავი“, თვითონ ხურო კი თავის ბინას „მონასტერის“ ეძახდა. იგი დუმელთან სკამზე დაჯდებოდა მოქარგულ პირსახოცით მხარზე გადაკიდებულ ჩონგურს უკრავდა, თმა-დახუჭუჭებულ თავს მაღლა შეისროდა, ვარდის ფერ სახეს აათამაშებდა და თან მოოქვამდა:

ისიამოვნეთ, მოლოზნებო. ეს ხომ მოლოზნებია, პეტრე ილიასქე, მაჟ, ვინ გეგონა? ისინი სიამოვნების ეშმაქს მსხვერპლს სწირავენ, და მათი მოძლვა-

რო მე ვარ... მღვდელი, რაღა.. ერთი მანეთი გასწირე ცხოვრების სიამოვნებისათვის.

ფულს რომ მიიღებდა, საწივეში ჩაიჩრიდა და ჩონგურზე / ჭამდერებდა:
Сидит барыня в аду,
Просят жареного льду,
Черти ее, глупую,
Кочергою щупают

— ბევრი ლექსი იყო,—გაიკვირვა არტამონოვმა, ბებერმა კი დაიტრაგახა:

— საცერი... საცერივით ვარ. სისაძაგლეც რომ ჩამაყარო, გავცრი და სიმღერა გამოვა. ასეთი კაცი ვარ,—როგორც საცერი.

და უამბო:

— მე ეს ბატონებმა შემასწავლეს. იყვნენ ასეთი შესანიშნავი ბატონები— კუტუზოვები და კიდევ იყო ერთი ბატონი იაპუშკინი, ესეც ლოთი. სილარიბე მოიგონა,— ეშმაკი კაცი იყო,— გადაიკიდა მხარზე გოდორი, თითქოს მეწვრილმანე ვარო, და დადიოდა ქვეითად ერთი სოფლიდან მეორეში. ხოლო რასაც კი ყურს მოჰკრავდა, ან დაინახავდა, ყველაფერს ჩასწერდა, ძალიან ბევრი ჩასწერა და მერე მეფეს მიართვა: შეხედე, შენო უმაღლესობავ, ხალხი რას ფიქრობსო. შეხედა მეფემ, წაიკითხა, რაც იმ ბატონს ჩაეწერა. შეწუხდა დიდად და ბრძანა, ახლავე გაანთავისუფლეთ ყმებიო, ხოლო იაპუშკინს მოსკოვში ძეგლი აუგეთ სპილენძისაო. თვითონ კი მას ხელს ნუ ახლებთ, ხოლო სუზდალში გააგზავნეთ და ასვით ლვინო, რამდენიც უნდაო, ხაზინის ხარჯზე. ეს კი იმიტომ მოიმოქმედა, რომ იაპუშკინს კიდევ ბევრი საიტუმლო რამ ჩაეწერა ხალხის შესახებ, ხოლო ეს ხელსაყრელი არ იყო მეფისთვის და უნდა დაფარულიყო. იქ, სუზდალში, იაპუშკინმა იმდენი ილოთა, სანამ სული არ დალია, რაც ჩაწერილი აღმოაჩნდა, ის კი მოჰპარეს.

— ტყუილს უნდა ლაპარაკობდე,— შენიშნა არტამონოვმა.

— გოგოები კი მომიტყუილებია, სხვა არავინ. ტყუილი ჩემი ხელობა არ არის,— ამბობდა მოხუცი და ძნელი გასარკვევი იყო, როდის სტყუოდა ან როდის ამბობდა მართალს.

— ის სტყუის, ვინც მართალი იცის,— ლაზლანდარობა იგი— მე კი არ ვსტყუი, რადგანაც მართალი არ ვიცი. ე. ი. თუ გინდა, გეტუვი, მართალი ბევრი მინახევს და ჩემი ლექსიც ამის შესახებ ასეთია: მართალი— ქალსა ჰევა: კარგია სანამ ახალგაზრდაა.

თუმცა მართალი არ იცოდა, მაგრამ ბევრი ამბავი კი იცოდა ბატონების შესახებ, ბევრი ცნობა ჰქონდა მათ ლხინზე და კირზე, სიმდიდრეზე და სიმკაცრეზე. მოყვებოდა ამ ამბებს და ბოლოში მწუხარებით აღნიშნავდა:

— ბოლოც მოეღო ყველას. ცხოვრების გზიდან გადავარდენ. თეითონაც არ იცოდენ, რანი იყვნენ. ცხოვრებას მოსწყდენ.

ხელს ამართავდა, თავის გარშემო წრეს შემოიკლებდა, მერე ხელს ძირს დაუშვებდა და ასეთსავე იატაკზე გაავლებდა.

— გადააჭარბეს! — ამბობდა თვალის ცბიერი ახამხაშებით. და თან მღე-
ოოდა:

— Жили были господа,
Кушали телятину,
И проели господа,
Худобишику телятину.



ურაფერული

სერაფიმეს უყვარდა ამბობა ყაჩალებსა და კუდიანებზე, გლეხთა ჯუპირული ბეჭედის საბიდისწერო სიყვარულზე და იმაზედაც, თუ გულდაწყვეტილ ქვრივებს ლამღამობით ცეცხლის გველები როგორ ეპარებიან. ამბის მოყოლა ისე კარგი იყოდა, რომ მისი შტერი ქალიც კი ჩუმად, ბავშური სიხარბით უგდებდა ყურს მის ზლაპრებს.

არტამონოვის დაკვირვებით ზინაიდა გარდა იმისა, რომ თავშეუკავებლად გარუცნილებას ეწეოდა, ანგარებიანიც იყო. არტამონოვს არა ერთხელ მოგო-
ნებია პავლე ნიკონოვის ცილისწამება, რომელიც წინასწარვეტყველება გამოდგა.

— რატომ მაინც და მაინც ეს ქალი ავირჩიე? — ეკითხებოდა იგი თავის
თავს. — უფრო ლამაზებიც ხომ არიან! — კარგ ამბავს კი ვაიგებს ჩემს შესა-
ხებ შვილი...

მას ისიც ჰქონდა შენიშნული, რომ ზინაიდა და მისი მეგობარი ქალები
თავის გარუცნილებას ისე უცქეროდენ, როგორც ერთგვარ აუცილებელ ბევა-
რას, — როგორც ჯარისკაცები უცქერიან ხოლმე სამსახურს, და ფრქრობდა, რომ
თავიანთი ურცხვობით ისინი თავსაც ატყულებდენ და კიდევ ვილაც სხვასაც.
შალე შეაძულა მას ზინაიდა ფულის მათხოვრობამ, სიხარბემ. ზინაიდა უფრო
ხარბი იყო, ვინემ სერაფიმე, რომელიც ფულს ხშირად ხარჯავდა ტკბილ ლვი-
ნოზე — „ტენერიტზე“ — რომელსაც იგი რატომლაც „ბოლოვის ლვინოს“ უწო-
დებდა, — ნიორიან ძეხვსა და ერბოზე გამომცხვარ თეთრ პურზე.

არტამონოვს ძალიან მოსწონდა ხუმარა მოხუცი სერაფიმე, მშვენიერი ხე-
ლოსანი. იცოდა, რომ იგი ყველას მოსწონდა ხოლმე და მეტ სახელად უწო-
დებდენ: „ნუგეშისმცემელს“. პეტრე გრძნობდა, რომ ბეტ სახელში უცრო მე-
ტი სიმართლე იყო, ვინემ დაცინვა. დაცინვაც ალერსიანი რამ იყო.

მით უფრო გაუგებარი და არა სასრამოვნო იყო მისთვის სერაფიმეს მე-
გობრობა ტიხონთან. ტიხონი კი თითქმის განზრახ იქცეოდა ისე, რომ არტა-
მონოვისათვის ამ ნიადაგზე რაც შეიძლება მეტი ეწყინენებია, ვიალოვის დაბა-
დების დღე — მეოცე წელიწადი გადიოდა, რაც იგი არტამონოვებს ემსახურებო-
და — ნატალიამ გადასწყვიტა განსაკუთრებულად ედლესასწაულა.

— დაუფიქრდი, რა იშვიითი კავია. — უთხრა მან ქმარს.

— თცი წლის განმავლობაში არაფერი ცუდი არ ჩაუდენია. თაფლის სან-
თელივით იწვის.

მეეზოვის განსაკუთრებულ საპატივისცემოდ, პეტრემ თავისი ხელით მოუ-
ტანა მას საჩუქრები. საყარაულოში სადლესასწაულოდ მორთული სერაფიმე
დახვდა. მას უკან ტიხონი იდგა, რომელსაც თავი დაეხარა და ისე უცქეროდა
ბატონის ჩექმებს.

— ეს საათი მიჩუქნია, აი. ცოლისაგან — პოდდევების შესაკერი შალი და კიდევ, აი, ფულიც.

— ფული ზედმეტია — წაიბუტბუტა ტიხონმა, ვერე ჟაჟამანი:

— მაღლობელი ვარ.

— პეტრეს „ტენერიფის“ ლვინო შესთავაზა, რომელიც უკავშირდებოდა მოკრანია მისთვის. სერაფიმებმ კი თავისებურად აათამაშებული მის მიერადა.

— შენ პეტრე ილიასძევ, ჩვენი ფასი იცი. ჩვენც გაფასებთ. კარგად გვესმის: დათვს თაფლი უყვარს, ხოლო მცედელი რეინას სჭიდავს. ბატონები ჩვენი დაოცები იყვნენ. შენ კი მცედელი ხარ. ყველანი ვხედავთ: დიდი და ძნელი საქმის სათავეში სდგახარ.

აქ კი ვიალოვმა ვერცხლის საათი ხელში დაატრიალა და წარმოსთქვა:

— საქმე — მოაჯირია აღაშიანისათვის. ხრამის კიდურზე დავდიფართ და ამ მოაჯირზე ხელი გვიკიდია, თავს ვრმავრებთ.

— აი, — წამოიყვირა გახარებულმა სერაფიმებმ — სწორია. თუ არა ხრამში გადაეიჩებოდით, ხომ?

— ამას კი ტყეილა ამბობთ — უთხრა მათ არტამონოვმა. — იმიტომ რომ თქვენ საქმის პატრონი ირა ხართ. თქვენ ვერ ვაიგებთ.

სიტყვები ვერ ეპოვნა, რომ ის ეთქვა, რისი თქმაც უნდოდა. ტიხონის სიტყვებმა ივი ერთბაშად გააჯავრეს. პირველად არ იყო, რომ ტიხონი თავის შნელ, გაუგებარ იშრებს ქარაგმებით ლაპარაკობდა. ამ გარემოებას თანდათან მოთმინებიდან გამოჰყავდა არტამონოვი. ივი მეეზოვის ზეთ-წაცხებულ თავს უცქეროდა, რომელიც ქვასავით ლაპლაპებდა, და მაგარ სიტყვებს ეძებდა. ყურს ისრესდა.

— საქმე, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირია, — შემრიგებელ კილოზე აძიბობდა სერაფიმე. — არის ცუდი, არის კარგიც.

— კარგია დანა, მაგრამ მით ყელის გამოკრაც შეიძლება — ბუზლუნით წარმოსთქვა ტიხონმა.

პეტრეს უნდოდა კარგა გამოელანდა ტიხონი ამ მის დლესასწაულზე. მაგრამ თავი შეიკავა, ხოლო ჩასაგონებლად კი უთხრა:

— რა ამბავია, რომ სულელურად სულ საქმეზე ბუტბუტებ რაღასაც. ძნელი გასაგებია, რა გინდა.

ტიხონმა მაგიდას ქვეშ დაიწყო ცქერა და პეტრეს დაეთანხმა:

— დიალ ძნელი გასაგებია.

მერე კვლავ ხურომ წარმოსთქვა:

— ამას, პეტრე ილიასძევ, მხოლოდ უწყინიორი საქმე სწამს.

— დაიცა სერაფიმე, თვათონ სთქვას.

მაშინ ტიხონმა შეუნძრევლად ხელისგულის ოდენა ნაცრისფერი მელოტი დაანახვა, ერთი ამოიოხრა და სთქვა:

— ეშმაკი იყო, კაინს რომ საქმე ასწავლა...

— აი, „ჯოხს საითკენ ღუნავს! — წამოიყვირა სერაფიმებმ და ხელი მუხლზე დაიკრა.

არტამონოვი წამოდგა და მეებოვეს გაჯავრებული ხმით ურჩია.

— შენთიის სჯობს იმაზე არ ილაპარაკო, რასაც ვერ მისწვდება?

დიახ. იგი აღშეფრთებული წავიდა. იმის ფიქრში იყო, ტიხონი / სამისახუ-
რიდან როგორ დაეთხოვნა.

ხვალუე უნდა დათხოვნა. ხვალ თუ არა. ერთ კვირაში შემოდია.

კონტორაში შას პოპოვა მოელოდა. ქალი მშრალად შეისალა, როგორც
უცნობი. სკამზე რომ ჯდებოდა, ქოლგა იატაკზე დაირტყა და იმაზე დაიწყო
ლაპარაკი, რომ არ შეუძლია დაგირივებულ ნივთზე ერბაშად ყველა სარგებ-
ლის გადახდა.

— ეს არათერია,—ჩუმად სთქვა პეტრემ და არ შეხედა. ქალმა კი გა-
ნავრძო:

— თუ თქვენ თანახმა არ ხართ მაღროვოთ, უფლება გაქვთ უარი მი-
თხრათ.

ქალმა ეს სიტყვები გაჯავრებულად სთქვა და იატაკზე ქოლგა ერთხელ
კიდევ დაარტყა. მერე ისე მოულოდნელად წავიდა, რომ არტომონოვმა მხოლოდ
მაშინ მოასწრო მისთვის შეეხედნა, როცა იგი უკვე კართან იყო.

— გაჯავრდა,—მიხვდა არტამონოვი.—ნეტავი, რასთვის?

ერთი საათის შემდეგ იგი ოლგასთან იჯდა, ქუდს სავარძელს უბარტყუ-
ნებდა და ამბობდა:

— შენ შას უთხარი: მე სარგებელი არ მინდა, არც მისი ფული მინდა.
ან რა ფულია? არ მინდა რომ შეწუხდეს, გესმის?

ოლგა აბრეშუმის ჭრელ ხანგალს სინჯავდა და მძივით საესე კოლოფი მა-
ვიდის ერთი აღვილიდან მეორეზე გადაჰქონდა. პეტრეს ჩაფიქრებით უთხრა:

— მე მესმის, ის კი, მგონი ვერ გაიგებს.

— შენ გააგებინე... მაშ, რა ხარ ჩემი?

— გმაღლობ!—სთქვა ოლგამ სათვალეების აბჭუვიალებით. მინის გალიმე-
ბაშ პეტრე გააჯავრა.

— ნუ კი ხუმრობ!—ხეპრულად სთქვა მან,—მე არ ვაპირებ ჩემი ლორი
მის ბოსტანში ვმწყემსო.. მე ეს არ მინდა... ტყუილა ნუ ჰეონია.

— აი, უხეში გლეხი,—ამოიოხრა ოლგამ და საეჭვოდ გააქნია კოხტად
დავარცხნილი თავი.

პეტრემ იყვირა:


— მე შენ დამიჯერე მეთქი. მე ვიცი, რასაც ვაშპობ.

— ჰო, რომ იცოდე?

ეს ოლგამ თანაგრძნობიანი ამოიხვრით სთქვა. არტამონოვმა ივრინო ეს
თანაგრძნობა. ის ამჩნევდა, რომ ქალს ებრალებოდა, მაგრამ ეს გარემოება უფ-
რო აბრაზებდა. უნდოდა უფრო დაბეჯითებით ეთქვა ოლგასთვის რაღაც, მაგ-
რამ სათანადო სიტყვებს ვერ პოულობდა. ფანჯარაზე ჩამოდგმულ ბეგონიის
შეცის უურების მსგავს ფოთლებს შორის ჩამოკიდებულ ნაზ ყვავილებს უცემ-
როდა.

— მე მისი სახლკარი მეცოდება. შესანიშნავი სახლკარია. დიახ... თვითონ ისიც მანდ არის დაპალებული.

— ის რიაზანში დაიბადა.

— სულ ერთია, შეჩვეულია მაგ სახლკარის! ჩემიმა სულმა იქ ჰიტველად სი-
მშვიდე ივრძნო, მშვიდად დაიძინა. 

— დაიძინა კი არა გაიღვიძა, — გაუსწორა ოლგატბერი და მარტინი.

— სულისთვის სულ ერთია დაიძინა თუ გაიღვიძა.

ის კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა ასეთ რაღაცას, რაც თვითონაც კარგად არ ესმოდა. ოლგა ყურს უგდებდა მაგიდაზე დაყრდნობილი. როცა პეტრეს სი-
ტყვები გამოელია, მიმართა:

— ახლა კი მე მომისმინე.

და უამბო, რომ ნატალიამ კარგად იცოდა მისი დამოკიდებულების ამბა-
ვი ზინაიდასთან. ამის გამო ის მუდამ სტირისო, მაგრამ არტამონოვზე ამან ვერ
იმოქმედა,

— ცბიერია — უთხრა მან გაცინებით — მე კი ერთი სიტყვითაც კი არ მა-
გრძნობინა, რომ იცის... შენ შემოგჩივლა, მაში? მაგრამ რომ არ უყვარხარ?

ცოტი ხანს ჩაფიქრდა, და მერე დაამატა:

— ზინაიდას მეტ სახელად „საქაჩავი“ დაარქვეს. ზედგამოჭრილი სახელ-
წოდებაა. მართლაც, რაც სიბილწე იყო ჩემში, სულ ამომქაჩა.

— სისაძაგლეს ლაპარაკობ, — დაიღრიჯა ოლგა და კიდევ ამოიოხრა. — მა-
ხსოვს, მე შენ ერთხელ გითხარი: სული რაღ გყავს მეთქი და ეს მართალი-
ცაა, პეტრე. შენი თავის ისე გეშინია, როგორც მტრის.

ეს სიტყვები გულზე მოხვდენ პეტრეს.

— ძალიან თავხედურად მესაუბრები! შენი ბავში ხომ არ ვარ? უმჯობესი
იქნებოდა, იმაზე დაფიქრდე, რომ მე შენ გულახლილად ველაპარაკები... სხვას-
თან ვისთან შემიძლია ისე ლაპარაკი? ნატალიას ხომ ვერ გამოვესაუბრები ამ-
ნაირად. ის კი არა ხანდახან მინდა, რომ ვცემო კიდევაც. შენ კი... ჟე, თქვენ
დედაკაცებო.

ქული დაიხურა და უცბად, გამოუთქმელი ფიქრით შეპყრობილი წავიდა-
ცოლზე ფიქრობდა. დიდი ხანია რაც მასზე არ ეფიქრნა. თითქოს არც კი ამ-
ჩნევდა მას, მიუხედავად იმისა, რომ ნატალია ყოველ დამეს დაწოლისას ლმერ-
თან ჩურჩულს რომ მორჩებოდა, ჩვეულებრივად ტებილად მოუწევებოდა ქმარა-
გვერდში.

— იცის და მაინც მოძვრება, — ბრაზით ფიქრობდა არტამონოვი. — ლორია.

ცოლი იყო ის ნაცნობი ბილიკი, რომელითაც პეტრე ბრმაც რომ ყოფი-
ლიყო მაინც გაივლიდა წაუბორძიკებლად. არც უნდოდა ამაზე ეფიქრნა. მავ-
რამ მოავრნდა, რომ მისი სიდედრი, საშენლად გასივებული, სავარძელში იწვა-
უშნო, გაბერილი, გაწითლებული სახით და ნელ-ნელა კვდებოდა, იგი მტრული
თვალებით უცქეროდა პეტრეს. მის ოდესლაც ლამაზსა, ახლა კი ჩატუშულს და
სველს თვალებს შესაბრალისად სდის ცრემლი. მოქცეულ ტუჩებს კი ანტ-
რეგს, მაგრამ დამუნჯებული ენა პირიდან, უვარდება და შეუძლოა რაიმე სთკვას.

ულიანა ბაიშაკოვა ნახევრად მკვდარი მარცხენა ხელის თითებით ემუქრება მას.

— ალბად, გრძნობს, შესაცოდებელია.

არტამონოვს მაინც დიდი ნებისყოფა დასჭირდა, რომ ზინაიდასთან სამარცხეინო კავშირი გაეწყვიტა. მაგრამ როგორც კი გასწუვიტა ეს კავშირი, მყისვე მოგონებებთან ერთად შას დამალონებელი ფიქრები ეწურუნება, ხითქოს მეორე პეტრე არტამონოვი დაიბადა, მისი ორეული გვერდში აძლევდგა; ხან კიდევ ჟურვს უკან დასდევდა მოუკილებლად. პეტრე ატყობდა რომ ეს მისი ორეული იზრდებოდა, ხელშესახები ხდებოდა და ხელს უშლიდა ყველაფერში. — თავი ნამდვილ პეტრე არტამონოვად მოჰქონდა. მოხერხებულად სარგებლობდა მოწყენილობისა და დაფიქრების მომენტით, და მოულოდნელად, როგორც კუთხიდან შემობერილი ქარი, არტამონოვს თავს დაესხმოდა და შესჩურჩულებდა:

— ცხენივით მუშაობ და ერთხელ ჰკითხე. მაინც შენს თავს: რისთვის? გაძლიარი ხარ სავსებით. დროა, ახლა შენმა შვილმა იმუშაოს. შვილის სიყვარულისთვის ის ბავში მოჰკალი. პოპოვა მოგეწონა—გარყვნილება დაიწყე.

ყოველთვის, როცა იმგვარი აზრები თავში გაუჯდებოდა, ცხოვრება ეწამლებოდა—იგი საშინელი და აუტანელი ხდებოდა.

თითქოს არც კი შეუმჩნევიაო პეტრეს, ილია ისე წამოიზარდა, დიდი კაცი გახდა. მაგრამ მხოლოდ ეს ამბავი არ გამორჩენია პეტრეს ყურადღებას. ნატალიამ თავისი ქალი ელენე გუბერნიაში გაათხოვა—ერთ შაფულვაშებიან მარჯვე ყმაწვილზე, მდიდარი იუველირის შვილზე. შეუმჩნეველადვე, სხვათა შორის, როგორც იქნა, მოკვდა სიდედრიც. დედაბერს სული ამოხდა ივნისის შუადღის სიცხეში. ვერც კი მოასწრეს მიცვალებული ლოგინზე დაესვენებინათ, რომ უცებ მეხი გავარდა და ყველა შიშმა მოიცვა.

— დაპულერეთ ფანჯრები, კარები.—იყვირა ნატალიამ და თითებით ყური დაიცო. დედის უშველებელი ფეხი ხელიდან გაუვარდა და ყრუ რახუნი გაადინა იატაკზე.

შემდეგი იქნება

ରଗଦିତକା ଏବଂ ରେଣ୍ଡର୍‌ମ୍ବେ
ତ୍ୟକ୍ତିପରିଚୟ

ଶ୍ରୀରାଧାରା
ବୋଲିପୁର୍ବାଳୀ



ტოლცერი — მხატვარი და მოაზროვნე

I

1927 წლის დამდეგს იოსებ ხარაბაძესთან ერთად ტფილისის ერთ-ერთ სავადმყოფოში მოვხვდი. ეინც იოსებ ხარაბაძეს კარგად იცნობდა და ძეთან-ხმება, რომ ეს გლეხი — კომუნისტი იშვიათი აღამიანი იყო. გამჭრიახი გონება, მახვილი ენა, ცოცხალი ბუნება, ოპტიმისტი და ურყევი მორწმუნე იმისა, რომ „ჩევნი საქმე“ აუცილებლად გაიმარჯვებს. თითქმის სრულიად უსწავლელი იყო. რუსული არ იცოდა, არც ლაპარაკი, არც წერა-კითხვა, სამავიეროდ ქრონიკი კარგად ეხერხებოდა და, შედარებით, ბევრი ნაკითხიც იყო, — განსაკუთრებით უყვარდა მხატვრული ლიტერატურა. ქართველ კლასიკოსებს ყველას იცნობდა ახლები არ მოსწონდა — ვერ ვგებულობო, — ჩიოდა. სავადმყოფოში თითქმის ერთ თვეზე მეტს დავრჩით ერთად და, ცხადია, ამ წნის განმავლობაში · ბევრს რამეზე გვქონდა ხანგრძლივი და დაწვრილებითი ბაასი. ერთხელ, რაკი გაიგო, რომ ტოლსტოის ვკითხულობ, საუბარი ტოლსტოიზე ჩამოავდო. გამიკვირდა და ვკითხე, საიდან იცნობ ტოლსტოის-მეთქი. უნდა გამოვტყდე, არც კი ვი-ცოდი თუ ტოლსტოის რომელიმე დიდი ნაწარმოები ქართულაზაც იყო ნა-თარგმნი. გამოირკვა, რომ ძველად წაუკითხავს „ა ლ დ გ ო მ ა“.

გადმომცა დაწვრილებით ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ რომანს პოე-დინა მასზე...

მისი დასკვნა ასეთი იყო, რომ „ალდგომა“-მ წაუშლელი კვალი დასტოა მასში; ერთი-ორად შეაძულა მდიდრების ცხოვრება და მათი ბატონობა. რო-მანს „რევოლიუციონური“ უწოდა და გაკვირვებით მკითხა, როგორ მოხდა, რომ გრაფმა, მემამულემ გლეხების სასარგებლო ასეთი ნაწარმოები დასწერაო. მე არ დავეთანხმე მის მიერ „ალდგომის“ ასეთ „ალფროთოვანებულ“ დაფასებას, კუთ-ხარი, რომ „ალდგომაში“ არის ბევრი რამ ისეთი, რასაც აშკარა რეაქციონური ბეჭედი აზის. რომ, მაგ., ტოლსტოის ამ რომანის მთავარი გმირი და მასთან ერთად თვით ავტორიც — ქვეყნის მოწყობას სახარების მიხედვით ლამობს, სა-დაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ უმთავრესი ყურადღება საკუთარი თაჭისა და ხასიათის გარდაქმნას მივაქციოთ, რომ ნუ ვებრძვით ძალით ძველ წესებს, რომ „სამოთხე“ თვით ჩვენში მარხია და სხვ. ერთი სიტუაცია, ვუთხარი ყველა-

ფერი ის, რასაც საერთოდ და, ცხადია სამართლიანად, ვამბობთ ხოლმე ტოლ-სტოის რეაქციონური მოძღვრებისა და მორალის შესახებ.

იოსები დამეთანხმა ყველაფერ ამაში, მაგრამ დამეთანხმა ისე, რომ ეტყობოდა ახალი აქ არაფერი იყო მისთვის... ეტყობოდა იმან თდნავა-დაც ვერ შეარყია ის დიადი და განუზომელი შთაბეჭდის მიზანი მრავალი წლის წინეთ რომ მიეღო წაკითხულ წიგნიდან და რჩსაც—დღეშიც პტარებ-და. იგი სავსებით დამეთანხმა, რომ ნებლიუდოვის გამოსავალი წერტილი სისუ-ლელე და არარევოლიუციონური, რეაქციონური, მაგრამ, ეტყობოდა, „ალ-დგომაში“ ამ მხარეებს მისთვის არაფერი უთქვამს, არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია იმ დიად შთაბეჭდილებასთან შედარებით, რომელიც დასტოვა იოსებ ხარაბაძეს ტოლსტოიმ ხელოვანმა, მხატვარმა ცოცხალ ცხოვრებას და ცოცხალ ადამიანების ბუნებრივ მისწრაფებათა უტყუარმა ამსახავმა; ამასთან შე-დარებით მართლაც, რა უნდა გამოჩენილიყო, ტოლსტოი მორილისტი, სახარე-ბის კომენტატორი და მკვდარი ქრისტეს მოძღვრების „განმააზლებელი!“ ბუ-ნებრივი იყო, რომ გოლიათი ტოლსტოი, მხატვრული სიტყვის გენიოსი ოსტა-ტი, ყველას გულისა და გრძნობების მიმწლომი, სარკე რუსეთის წარსული ცხოვ-რებისა, დაუვიწყარი შეიქნა. მაშინ როდესაც რეაქციონურ ტოლსტოის ქადაგე-ბა „ასე მოაწყეთ ცხოვრებაო—დავიწყებული იქნა, როგორც დრომოკმული, უნაყოფო და უნიადაგო...“

და როდესაც დღეს, გამოვთქვამ ჩემს შეხედულებას ტოლსტოიზე, რო-გორც ერთ-ერთი მისი მეითხველი, როცა ვუკვირდები იმას, თუ რატომ არის რომ ამ რეაქციონური მოძღვრების ავტორი, ყველაზე უფრო ანტი-ბოლშევი-კურ მოაზროვნეს — თავის მორალში და ცხოვრების გზის ძიებაში — ასეთი ურ-ყველ ავტორიტეტი აქვს, როგორც მხატვარს და ხელოვანს, მაგონდება იოსებ ხარაბაძის ზემოდმოყანილი შთაბეჭდილებანი (რასაკვირველია მის მიერ უფრო კარგად გამოხატული: მან იცოდა სიტყვების ოსტატური ხმარება), რომლებიც მას მიუღია „ალდგომას“ კითხვის დროს ტოლსტოი — მხატვრისგან და ტოლ-სტოი — მორილისტისაგან... არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ალდგომა“ არის ყვე-ლაზე უფრო ტენდენციური ნაწარმოები, სხვა მის დიდ ნაწარმოებთა შორის. „ალდგომა“ დაიწერა ტოლსტოის ლრმა მოხუცებულობაში, როდესაც განსაკუ-თოებული სიმწვავით ჩამოყალიბდა მისი მორილურ-სარწმუნოებრივი შეხედუ-ლებანი. „ალდგომა“ პრაქტიკული ხორცშესხმაა იმ შეხედულებათა, რომლებიც გამოიმუშავა ტოლსტოიმ ხელოვნების დანიშნულების შესახებ...“

აქედან ცხადია რომ, მორილისტ—ტოლსტოის ე. ი. იმ ტოლსტოის, რო-მელიც ჩენი მოწინააღმდეგეა — აზრები და იდეები ვანსაკუთრებული სიშიშელი-თა და ტენდენციითაა გამოხატული ამ რომანში. არც „ანნა კარენინაში“, არც „ომსა და ზავში“ და ტოლსტოის არც სხვა დიდ ნაწარმოებში არ არის ისეთი ძლიერი ტენდენცია მხატვრობაში ავტორის მორილის გაშუქებისა როგორც „ალდგომაში“, გავრამ, მიუხედავათ ამისა, „ალდგომა“ არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება რეაქციონურ ნაწარმოებად. და არა მარტო იმიტომ, რომ წმინ-და მხატვრული მხარეები რომანისა თითქმის უნაკლოა და სამაგალით, არამედ,

და უმთავრესად, იმიტომ, რომ ის სახეები, ცოცხალი სურათები, თვით ცხოვრების ნაკვეთები, რასაც აეტორი გვიხატავს, ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიან, რომ მკითხველის სიძულვილი ძველი ქვეყნის წინააღმდეგ მიმდარბანება, ყველა ამ გრაფების, მინისტრების, ადვოკატების, მათი ცოლებისა და კაცების შევისტების გარეუნილი ცხოვრებისა და ბატონობის წინააღმდეგ...

უნაკლო არავინაა. მით უმეტეს, როდესაც წარსული ჩატურისტის მოღვაწის დაფასება რევოლუციის სარგებლიანობის თვალსაზრისით ხდება, საჭიროა დაფასება, გავება და გათვალისწინება იმ ეპოქისა, რომელშიც ეს მოღვაწეობა, „ტრიალებდა“, საჭიროა აგრეთვე იმის განხილვაც, თუ როგორი პროპორცია სასარგებლოსი და მავნესი ამ მოღვაწეობაში დღეისათვის და როგორი იყო იგი იმ დროისათვის.

ტოლსტოი რეაქციონერი იყო, მაშასადამე მავნე და მტერი—რევოლუციის სარგებლიანობის თვალსაზრისით; მაგრამ ასეთი იყო არა მთელი „ტოლსტოი“—ან, უკეთ რომ ვთქვათ, მთელი მისი მოღვაწეობა, არამედ მისი ნაწილი, და ამავე დროს, პროპორციის მიხედვით,—უფრო მცირე და უფრო ნაკლები, კიდრე შეორე მისი ნაწილი—რევოლუციისთვის სასარგებლო მოღვაწეობისა. „Круг чтения“, რასაკვირველია, რეაქციონური ნაწარმოებია. მაგრამ, რომელი ჰქუათმუოფელი ადამიანი შეეცდება ერთს რიგში დააყენოს „ომი და ზაფი“ და „Круг чтения“?! ეს უმართებულოც იქნებოდა და სასაცილოც...

ჩვენ ფიქრადაც კი არ მოგვდის ვამტკიცოთ, რომ ტოლსტოის მხატვრული ნაწერები ვითომ სავსებით თავისუფალია ტოლსტოის მორალურ და სარწმუნოებრივ ელფერისგან. კადა, არა. ტოლსტოი არც ისე ზერელედ უცხერდა თავის როლს, როგორც მორალისტი და ცხოვრების გზის მაძიებელი, რომ არ სცდილიყო მხატვრულ ნაწერებშიც გაეტარებინა თავისი სარწმუნოებრივ ეთიკური აზრები და შეხედულებანი, პირიქით: ხელოვნება მას სწორედ თავის მორალუ-რეთიკურ შეხედულებათა გასავრცელებლად და უველასათვის გასაცნობად სურდა მოეხმარა. მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მასში მხატვარი, ხელოვანი, რომ ყოველთვის ასე გამოდიოდა: კითხულობ ტოლსტოის მხატვრულ ნაწერსა და თვალ წინ გეშლება დაუვიწყარი სურათები ძველი ცხოვრებისა მდიდართა და ლარიბთა შორის აღმართულ კედლისა, უსამართლოებისა და ჩაგერა-წვალებისა, ცხოვრებისადმი სიყვარულისა და ცხოვრებაში გამეფებულ, ადამიანის მაერ შექმნილ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ წესებისადმი სიძულვილისა. მხოლოდ ამათ ხედივ, უპირველესად და უმთავრესად, ტოლსტოის ხელოვნებაში; საკვირველია, მაგრამ მაინც ფაქტია: ტოლსტოი მორალისტი და ჯაბნებულია, კუთხეში მიგდებული, ზას შეამჩნევ, მაგრამ დად ყურადღებას არ მიაქცევ, რადგან უძლურია და უღონო მისი აზრები და სავალი გზაც...

ხელოვანის შემოქმედების პროცესები ხშირად სცილდებიან ლოლიკის მშრალ კანონებს: ყოველ შემთხვევაში ის შთაბეჭდილება, რასაც ნაწარმოები სტოკებს მკათხველზე, ძალიან ხშირად არ ეთანაბრება იმ „დავალებას“, რომელსაც აეტორი აძლევდა თავის ნაწერს და ასეთი „ამბავი“ მით უფრო ხშირად ხდება და მით უფრო ძლიერია იგი,— რაც უფრო დიდი ბუნებრივი ნიჭით არის დაჯილ-

დოებული ესა თუ ის ავტორი და რაც უფრო დაშორებულია ცხოვრების სინამდვილის ე. ი. მისი წინსელის ტენდენციებს ივტორის პოლიტიკური, მორალური, თუ სარწმუნოებრივი შეხედულებანი. ასე ემართებოდა ხოლმე გოგოდს. — გენიალურ მხატვარსა და უკანასკნელ საზღვრებამდე მისულ რეაქციონერს... ხშირია ის წერილებში ჩივილი, რომ მისი ნაწერები სულ სხვანაირად გაიგეს, ვიდრე მას ჰქონდა დასახული. ხლესტაკოვითა და პლიუშკინით სასიკუდო განაჩენი გამოუტანა გოგოლმა ნიკოლოზ პირველის მართლმადიდებელსა და შონათმფლობელ რუსეთს. ასეთი იყო მხატვარ— გოგოლის ობიექტიური როლი. გოგოლი— პოლიტიკოსი კი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ როგორმე გაემიგრებინა ეს რუსეთი. მაგრამ კულტურის საბედნიეროდ, იმდენად სუსტი და ულონო აღმოჩნდა გოგოლი— ქრისტესმორწმუნე, მხატვარ გოგოლის წინაშე, რომ კაცობრიობის სავანძურში ხელუხლებელნი დარჩენ „მკვდარი სულები“ და „რევიზორი“.

ტოლსტოის მდგომარეობაც ასეთია. მას უნდა სახარება და ქრისტეს მკნება შეგვაყვაროს და საწინააღმდეგო შედეგებს კი ლებულობს... ამა ვინ დაუჯერებს ტოლსტოის— მორალისტს, რომ მთელი ის ვეებერთელა უკულმართი და უსამართლო წყობილება, რომელიც ასეთის განსაკვიფრებელი სიკოცხლითა და ბუნებრიობით დაგვიხატა ტოლსტოიმ— მხატვარმა, მთელი ეს სისაძაგლე, უ-ულტურობა, სიბნელე და კაციჭამიაობა, ყოველივე ეს სახარების ქადაგებით მოისპობა, როგორც ნეხლიუდოვი ფიქრობს („აღდგომა“), ან ანარქიულის პასივობით, როგორც ეს წარმოუდგენია უსახელო მათხოვარს („აღდგომა“), ან კიდევ უფრო, იმით, რომ „ნუ ებრძეით ბოროტებასო“, როგორც პლატონ კარატევი ჰქადაგებს („ომი და ზავი“)? კხადია, არავინ დაუჯერებს ამას ტოლსტოის. უმრავლესობა ისე წაიკითხავს ამ ნაწერებს, რომ ყურადღებასაც არ მიაქცევს უსიცოცხლო და უნიადაგო ადამიანის ამ უალბ „ფილოსოფიას“.

და სწორედ ამაშია ტოლსტოი— მხატვარის გოლიათური ძლიერება.

ვინ იცის, შეიძლება მართალიც იყო ლეგენდარული სოკრატე, როდესაც უოქვამს: *დავდიოდი პოეტებთან და ვეკითხებოდი მათ, თუ რა უნდოდათ ეოქვათ თავისი ლექსებით; და ირკვეოდა, რომ ყველა იქ მყოფი უფრო სწორედ მიხსნიდა თუ რა გაუკეთებიათ ამ პოეტებს, ვიდრე თვით პოეტები. რადგან არა სიბრძნით ჰქმნიან ისინი იმას, რასაც ჰქმნიან, არამედ რალაც თანდაყოლილის ნიჭითა და აღტყინებით, მზგავსად ზოგიერთ მისანთა და ქურუმთა*. ჰეშმარიტების ნატამალი არის ამ სიტყვებში. და ტოლსტოიზედაც სავსებით მართლდება ეს სიტყვები.

II

ტოლსტოის, როგორც ხელოვანს, პირველ ყოვლისა, ახასიათებს: უსაზღვრო

* სიახლოე ბუნებისთან და მისდამი სიყვარული. არც ერთი სხვა რუსი მწერალი არა სდგას ისე ახლოს ცოცხალ ბუნებისთან, როგორც ლევ ტოლსტოი. რუსეთის გაშლილი ველები, უსაზღვრო სივრცეები, სისწორე და დოვლათი თითქოს ხორციელებულია ტოლსტოი— მხატვარის მადლიანი კალმით. არცერთი სხვა რუსი მწერალი (შეიძლება, გარდა პუშკინისა) არ არის ისე თავისუფალი ყოველგვარი

ხელოვნურობისგან, როგორც ტოლსტოი. ბუნებრიობა—ტოლსტოის შემოქმედების სისხლი და ხორცი. მისი სტილი მარტივია და უბრალო, როგორც ბუნების უშუალო ნაყოფი. მაგრამ ამ მარტივობასა და უბრალოებაში მარწეულია მხატვრობის უმაღლესი წევერვალები. ტოლსტოის სიტყვა სარაა და ერთფეროვანი, როგორც მწვანე ჯეჯილით დაფარული მიწა. მაგრამ, ტოლსტოის სიტყვა სარაა და ერთფეროვანი სიტყვა. იშვიათია მწერალი, რომელსაც პქონდეს უნარი, გამოსთქვას თავისი აზრი, დახატოს სიტყვით სურათი ისე სადაც, უბრალოდ, მარტივად, ყველასათვის მისახვედრად, როგორც ტოლსტოი. ამავე დროს, შეიძლება სწორედ ამის გამოც, ხელოვნების უტყუარ შთაბეჭდილებას იძლევა—ასეთი სურათები. იშვიათად ნახავთ ტოლსტოის მიერ ნახშარ წინადადებას, სადაც ხშირად არ იქნეს ნახმარი „ყთა“ ან „აი“—მაგრამ დააკვირდით, როგორ შთაბეჭდილებას სტოვებენ ეს „უშნო“ სიტყვები მთელს წინადადებაში? ტოლსტოი პირველხარისხოვანი სტილისტია. ცნობილია, როგორ უყვარდა და მუშაობდა ის სიტყვაზე. ნაწარმოებს რამდენჯერმე გადასწერდა; მის მიერ ნაკუთხები კორექტურა თითქმის ახლის დაწერას ნიშნავდა. ერთ სიტყვას მრავალჯერ შესცვლიდა იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სადა, უბრალო, გასაგები და ამით მხატვრული გამოიყენა. როგორც სიტყვის ოსტატი, ტოლსტოი უძლეველი გოლიათია. რეალიზმი—როგორც ყველაზე უფრო მისაღები ფორმა მხატვრობის პროლეტიარიატისთვის,—უდიდეს გამარჯვებას სწორედ ტოლსტოის ნაწერებში აღწევს. ტოლსტოი ამ მხრით აუცილებლად ურყევი ავტორიტეტი უნდა გახდეს ჩვენი ახალი მწერლობისათვის. ახალგაზრდა მწერალმა ფაღევემა სახელი სწორედ იმით გაითქვა, რომ შესძლო ტოლსტოის სტილით დეაწერა თავისი რომანი „Разгром“.

ცხადია, ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ აზრებს, რომელსაც გამოსთქვამდა ტოლსტოი (განსაუთრებით მოხუცებულობაში) ხელოვნების დანიშნულების შესახებ. ცნობილია, რომ მან დაიწუნა, აბუჩად აიგდო შექსპირი, ვოეტე... შეიძლება არც იმაში დავეთანხმოთ ტოლსტოის, რომ თბერა და ბალეტი მხოლოდ სექსუალურ ალტყინებისთვისაა მოგონილი (თუმცა არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, კერძოდ ბალეტის იმ ფორმის შესახებ, რომელიც დღეს არის გაბატონებული, რომ ტოლსტოი აქ ცოტაში მაინც არ იყოს მართალი).

ტოლსტოი მტერია ყოველივე შაბლონის. ის არასოდეს არ მიმართავს ლიტერატურაში გაცემის სიტყვებს. არც ესაკიროება ასეთი რამ. ბუნებისა და ცოცხალი სიცოცხლის მოყვარული, იგი დაუშრეტელ წყაროს პოულობს ხალხის ენის საგანძუროში. ბუნებისა და პირველყოფილობის სიყვარული ჭაში იმდენად ძლიერია, რომ ტოლსტოის სძულს ყოველგვარი ჭალაქური, ხელოვნური კულტურა. ცხადია, აქ მასში გლეხური და პომეშჩიკური რესერტის შვილი ლაპარაკობს, მტერი ჭალაქის და საერთოდ კულტურის. მისი სტილიც თავისუფალია ჭალაქის, ბურუუაზიულ, მოვაჭრე ჭალაქის ნერვიულობისა და ანქარებულ მაჯისცემისგან. ამ მხრივ ტოლსტოი სრული წინააღმდეგობაა დოსტოევსკისა. დოსტოევსკი ჭალაქის შვილია, ნერვიული, მუდამ მღვდელვარე,

შშფოთარე და მყვირალი. ტოლსტოი წენარია და მშვიდი. დოსტოევსკი უძლურია ბუნების აღწერილობაში. მას არ ესმის მშვენივრება და სიდრადე ბუნების საიდუმლოებათა. ვერ ნახავთ თითქმის ერთ ერთ ადგილს დოსტოევსკის მრავალტომიან ნაწერებში, სადაც მხატვრულის შვენებით გაკვრით ძარნც იყოს გადმოცემული ბუნების სილამაზე და მრავალფერობა. მაშენ, კრისტენი ტოლსტოი ცოცხალია ბუნებაში და მასაც აცოცხლებს. დოსტოევსკის ყოველთვის წვიმაა, ლრუბლები, აედარი და უმზეობა. ტოლსტოისთვის კი ყველაფერი მზით არის ალსავსე და წვიმა და ლრუბლებიც იმისი მაჩვენებელია, რომ აი, სადაც არის, მზეც ამოვა და, ისინიც თითქოს მზად არიან გზა მისცენ მას. ერთს კერძო წერილში ტოლსტოი, სხვათა შორის, სწერს:

Гомер только изображен нашими с немецкого образца переводами.

Пошлое но невольное сравнение: дестилированная вода и вода из ключа ломящая зубы, с блеском и со хвцем и даже с оринками, от которых ана еще чище и свежее..

ჩვენ განგებ ამოვილეთ ეს პატარა ამონაწერი გიმეორებთ, მის ერთ კერძო წერილიდან, რუსულად, რათა უფრო ადგილი გასაგები გაფხადოთ ის აზრი, რამდენად უძლეველი ოსტატია ცოცხალი სურათების „გაკეთებაში“, ბუნებაზე შეუვარებული ტოლსტოი. პეითხულობთ ამ სიტყვებსა და ასე გგონიათ, თითქოს მასთან ერთად სვამდეთ ამ ყინულიერი ცივი წყაროს წყალს...

დოსტოევსკის არ უყვარს ცხოველები: იშვიათად შეხვდებით მის ნაწერებში ძალლს, ცხენსა და სხვ. და თუ შეხვდით — ვაი, ასეთ შეხვედრას!. საშინელნი არიან ისინი. აუცილებლად მახინჯი, ფეხმოტეხილი, ბანალდაცვენილი. აი, ერთი ნიმუშიც რომანიდან, „Подросток“.

Пахло пригорелым маслом, гадко было. Нац головой моей тякала посом о дно своей ктетки безголосый соловей, мрачный и задумчивый წარმოგიდგენიათ,—ბულბული უხმო, ჩაფიქრებული, ნაღვლიანი!.. რომანში „Униженные и оскорбленные“ აწერილია, ძალლი აზორკა:

Шерсть на ней почти вся вылезла, также и на хвосте. Длинноухая голова угрюмо свешивалась винта. В жизнь мою я не встречал такой противной собаки. Казалось, она целый день лежит мертвая и, как зайдет солнце, вдруг оживает.

ერთხელ „ძველი, პატარა და უშნო ლექვი აზორკა“ და „ორეულში“ — ავრეთვე ულამაზო და მყრალი ქუჩის ძალლი... ასე ხატავს დოსტოევსკი ცხოველებს, როდესაც კი — იშვიათად და გაკვრით — ეხება მათ. მაშინ, როცა ტოლსტოი უსაზღვრო სიყვარულით აკოცხლებს მათ... ძალლი, ცხენი, ფრინველები — დაჯილდოებულნი არიან თითქმის ადამიანურის გონებით, ყოველს შემთხვევაში, მათი ინსტიქტი ხშირად აღამიანის კუუას სჯობნის.

საოცარი სიყვარულით, დაინტერესებითა და ცნობისმოყვარეობით ავვიწერს ტოლსტოი ცხოველებს — ბუნების ამ „კანონიერ“ შვილებს.. ხშირად ენება მათ ტოლსტოი, და ეხება ისე, რომ იფიქრებ: ადამიანისათვის უნდა ავტორს სამაგალითო გახადოს „მშვენიერი მხეცის“ ცხოვრება და მოქმედება. ძნელია მოინახოს ისეთი მხატვრული ნაწარმოები სხვა რომელიმე მწურლისა, სადაც

ასეთი სიყვარულით, ცოცხლად და, ჩვენ ვიტყოდით, პატივისცემით იყოს და-
ხატული აღაშიანის ბეგობრები—ცხოველები და ფრანველები...

შეიძლება მხოლოდ პრიზეინის ნაღირობის მოთხოვნები შედეგარება ტოლ-სკოის ამ ნაწერებს.

ერობენ ასე შოუთხრობს ოლენინს:

— აბა, შენ როგორ გეგოვა? შენ ფიქტობადი ია სულავერი, მაგრა კურიერის
იმიტომი? არა, არა... ის კი არა, ადამიანზე, უფრო გონიერია. ტყურილად ჩემია
ღორი. მან ყველაფერი იცის. იგი ღორია, მართალია, მაგრამ შენ ჩომ აღამიანი
ხარ, შენზე ნაკლები როდია... ისეთივე ღორის გაჩენილია.. აბა, როგორ! ეჭ! სუ-
ლელია ადამიანი, სულელი, სულელი!

კურონისკის ცხევის ურუ-ფრუს შესახებ ტრალსტოი ამბობს: „ის იყო ერთი იმ ცხოველთაგანი, რომლებიც, მყონი, არ ლაპარაკობენ მხოლოდ იმ მისურით, რომ მათი პირის შექმნიკური წყობილება არ აძლევს მათ აშის საშუალებას“.

დაუვიწყორია ის სურათი, როდესაც ვრონსკის ფრუ-ფრუ საჯირითო მოედანზეა; ვრონსკი ცხენსე ზის და მიაჰენებს. მისი პედი უნდა გადასწყდეს... არ როგორია ამ ლროს ფრუ-ფრუ:

В это самое мгновение, как Вронский подумал о том, что надо теперь обходить Махотина сама фру-фру, поняв уже то, что он подумал, безо всякого поощрения значительно опоздала и стала приближаться к Махотину с самой выгодной стороны, со стороны веревки. Махотин не давал веревки. Вронский только подумал о том, что можно обойти и извне, как Фру-Фру переменила ногу и стала обходить именно таким образом... Он подсказывал к прандской банкетке. Вместе Фру-Фру он еще издалека видел ту банкетку, и вместе им обоим, ему и лошади, пришло мгновенное сомнение. Он заметил нерешимость в ушах лошади и поднял хлыст, но тотчас же почувствовал, что сомнение было неосновательно: лошадь знала что нужно. („Анна Каренина“).

ცხენი და ოდამიანი იქ გაერთიანებულია; ოდამიანს ესმის ცხენისა და კონკრეტული იკვის თუ რა უნდა ოდამიანს.

ლევინი სანადიროთა ა. ლასკამ (ძალლი) იყოსა ნადირი და რომ მონახოს თუ სად არის ნადირი დამალული დაიწყო იქით-აქით ტოიალი. მავრამ ამ ცროს მოესხი პატრიონის ხმა:

„ლასკა, აქმ—ეძახოდა პატრიონი და უჩვეულებდა სწავ ადგილას; ვიდრე ძალლი ეძებდა.

Они постояли, спрашивая его, не лучше ли делать, как она начинала, но он повторил приказание сердитым голосом.

და არა მარტო ცხოველებში ნახულობს ტოლსტოი ბუნებაში ჩამარხულ სიცოცხლისა და გონიერების „საიდუმლოებას“, თავმეღ ურინველებსა და თვით შეცნარებშიც კი. რადგან ბცენარეებიც სცოცხლობენ და პკვდებიან. მათაც იციან გემო სიცოცხლისა, ტანჯვა სიკვდილისა.

Мы качнули: дерево задражало листьями и на нас[°] посыпалось белые душистые лепестки цветов. В тоже время точно вскрикнуло что-то,—хрустнуло в середине дерева; мы налегли,—и как будто заплясало, затрещало в середине, и дерево свалилось. Оно разодралось у подруби

и покачиваясь, легло сучьями и цветами на траву. Подражал и ветки и цветы после падения и остановились... — „Эх, — штука-то важная, — сказал мужик, — Жалко жалко!.. А мне так было жалко, что я поскорее отошел к другим рабочим“.

ბუნებაში არაუკარია მკვდარი. ყველაფერი ცოცხალით და მხოლოდ ცოცხალი მეფობს. ადამიანი ნაწილია ბუნებისა სწორედ ისე, როგორც ცხოველები, ფრინველები და მცენარენი... ყველანი სცოცხლობენ და სულფეფში უღუდენ ერთის „ცოცხალი სიცოცხლით.“ ტოლსტოის პანტეიზმი უსაზღვროა და უძირო... ადამიანი ბედნიერია მხოლოდ შაშინ, როდესაც ის გაერთიანებულია თავის მთელთან – ბუნებასთან. შშვენიერია ეს ქვეცანა და ყველანი, ეისაც კი შეუძლია ამ შშვენიერებით ისარგებლოს... ადამიანი ყველაზე უცრო მშვენიერი და საამაყონაწილია ცოცხალი ბუნებისა, თვითონაც ათასნაირ ძალებითაა გადაბეჭდი ბუნებასთან და მის სხვა ნაწილებთან.

„და სულ ასე მეგონა,— მოგვითხრობს ნიკოლენკა,— „თითქოს საიდუმლოებით მოცული გრძელი ბუნება, რომელიც ისე იხიდავდა თავისკენ მთვარის ნათელ წრეს,— თავის სინათლით რომ ავსებდა მთელს უსაშლებო სიცრცეს და გარემოს— და მე, უმნიშვნელო ჭია,— ამ წეთებში ასე მეგონა, თითქოს ბუნება, მთვარე და მე, ერთი მთელი გიყვავით, ერთი და იგივე“.

რა გვინდა, "რა გვსურს? — სჭერს ტოლი „ლიუცერნში“: გარსშემოხვევია შენი სილამაზე, ბეღნიერება და პოეზია. ისუნთქე მათი მძლავრად და ლრმად რამდენადაც კი ძალა და ლონე შეგწევს, ისიამოვნე, იყავ ბეღნიერი... მეტი რა გი, და!! ყველაფერი შენია, ყველგან ბეღნიერება:

დაუბრუნდეთ ბუნებას,—ასეთია ტოლსტოის ძახილი. მხოლოდ აქ—ბუნების წარმო—მოგაპოვებს აღამიანი სრულ სიმშევილესა და ბედნიერებას. ძლიერად ლაპარაკობს იმას ტოლსტოი.. მომაჯადოვებელია მისი სიტყვები; თვალწარმტამტაცია მისი სურათები; დაუკიტყარი ბედნიერებაა ტოლსტოის ამ მხატვრულ შემოქმედების... თუნდ კითხვაც. მიკრამ არ არის ტოლსტოის ეს ძახილი ჩვენთვის მიხალები.

„ცოცხალი ცხოვრება“, სიმარტივე და უბრალოება თანდაყოლილი თვეი-
სება წინსელისა, პროგრესსა და რევოლუციების... მაგრამ ის დასკვნები, რომ-
ლებიც ტოლსტოი—მორალისტს ტოლსტოი—მხატვარის იმ მოსაზრებებიდან გა-
მოჰყავს, რეაქციონურია და რევრესიული.

გარეუვნილება და გათახსირებაა გამეფებული ქალაქში; გარეუვნილებისა და გათახსირების მცველია და დარაჯი თანამედროვე კულტურა, გარეუვნილებისა და გათახსირების საფუძველზეა ავებული ქალაქის ცხოვრება და მთელი შისი კულტურა... ამბობს ამას ტოლსტოი და ვითომ გამოსავალსაც გვაძლევს, გავის-ცემ ქალაქებს, უკუ ვაგდოთ მთელი ეს კულტურა, დაუბრუნდეთ უშუალო ბუნებას, გავითავითოთ მასში...

მართალია ის, რომ გარევნილებასა და გათახსირებაშია ჩაფლული ბურ-
ულაზიული ქალაქი. მავრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ქალაქიდან უნდა გა-
უიქცეთ... ბუნებაში. ეს სწორედ ბუნების წინსკლის, კანონების ლალატი იქნე-
ბოდა. ტოლსტოი ვერ ამჩნევს იმას, რომ ქალაქში იბალება, იზრდება და მწა-
ფდება ის ახალი ძალა, რომელიც ანგრევს ძეელ ქალაქს მისი წესებიანად და

აქენებს ახალს ახალის წესებით. ტოლსტოის სავსებით გამოეპარი თვალთახედ-კუდან მუშათა კლასი, ეს არც ისე გასაკვარველი იყო: ტოლსტოი ჩამომავლო-ბითა და აღზრდით ტიპიური ბატონი და მემამულე იყო. მან წემდეგ უხრპყო-თვისი კლასი. ეს მართალია, მაგრამ ამ მდვომარეობაში მისთვის ძნელი იყო, რომელის შეუძლებელი, მუშათა კლასთან ნისულიყო. „მეჩამულეთან პროფესია-რიატისაკენ გზა არ არსებობს“. სულ სხვა ქვეყნის შეილები ჟრიზ-ისტორიკა-მაგისტროდ, მემამულის სასახლიდან გლეხის ქობაზდე სწორი გზა არის, ისინი ორივენი—მემამულე და გლეხი—სოფლის შეილები არიან. მართალია, ერთი ბა-ტონია, მეორე კი მონა, მაგრამ ერთი წესის შეილები კი არიან მაინც. ტოლ-სტოი შხატვარი და მოლვაწე გაეჭირ ბატონის სასახლეს, ძას არ შეეძლო,—ყო-დეს შემთხვევაში საიმისოდ იშვიათი სიძნელენი იყო გადასალახი,—მისულიყო მუშათა კლასთან, სამაგიეროდ, მან ადვილად მიავნო გლეხის ქოხსა და გახდა ნამდვილი მწერალი, სწორი ამსახავი გლეხის ცეოვრებისა. ტყუილად კი არ უწოდა ძას ლენინმა „რუსეთის რევოლიუციის სარკე“.. ტოლსტოიმ უარპყო ქა-ლაქის კულტურა, როვორც სოფლის, პირველოფილი ბუნების იდეალისტია. შემ-ცადები იყო აქ იგი, რადგან ამით პროგრესს უკან ეწეოდა.

მართალია ტოლსტოი, როდესაც ამბობს რომ, გარუცნილებისა და გათახ-სორების მცენელია და დარაჯი ქალაქის კულტურა, მაგრამ არა მთელი კულ-ტურა. იყო და არის ასეთი. უკეთ რომ ვთქვათ, ნამდეილი კულტურა, გაგებუ-ლი, როგორც კაცობრიობის წინ წამყვანი ძალა, აქედან უნდა გამოვაკლოთ. გარ-უცნილებისა და გათახსირების მცველია და დარაჯი ის ცრუ კულტურა, რომე-ლიც ხორცმეტად აზის ნამდვილ კულტურას.

ტოლსტოიმ უარპყო ხელოვნება, მუსიკა, არქიტექტურა, ბევრი დარგი მცნიერებისა, იმ მოსახურებით, რომ გაბატონებულთა ინტერესებს ემსახურე-ბინ ისინიო... ამაში სიმართლის ნაწილი იყო, მაგრამ ამისი დამნაშავე იყო არა იმდენად თვით ეს კულტურა, რამდენადაც ის ეკონომიკური და პოლიტი-კური წესები, რომლებიც ისე უკულმართად იყო მოწყობილი, რომ კულტურას და განათლებას უმთავრესად გაბატონებული უმცირესობისათვის იყენებდენ. მა-რთალია ისიც, რომ ტოლსტოი არც ამ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წესების მომხრე იყო, მაგრამ მან საამისოდ ისეთი გზა აირჩია, რომ ფუჭი და უნაყოფო გამოდგა იგი. მან კოიტიკის ქარცეცხლში გაატარო ძველი წესები, აქ ის ერ-თობ ძლიერია, მაგრამ ამ კითხვაზე:—რა საშუალებას უნდა მიემართოთ, რო-გორ მოვიშოროთ თავიდან ეს ძველი წესები,—ამ კითხვაზე მან სწორი პასუხი ურ მოგვცა, აქ ის სუსტი და ულონო აღმოჩნდა. ტოლსტოი მნოლოდ კრიტი-კურია და პროტესტანტი. ის არ არის უშუალო მებრძოლი, ან, უკეთ რომ წატევათ, მისი ბრძოლა ძველი წესების წინააღმდევ ისეთის ვზით მიღის, ისეთ საშუალებებს მიმართავს, რომ ფაქტიურად ხელს უწყობს სწორედ ამ ძველი წე-სების ხანგრძლივობას, მათი საფუძველის გაძაგვებას.

III

ლენინში, თავის წერილში „ტოლსტიო როგორც სარკე რუსეთის რევოლუციისა“, შემდეგნაირად დაახასიათა ტოლსტოის ეს წინააღმდეგობანი:

მართლაც განსაცვიფრებელია ის წინააღმდეგობანი. თავისულაც ჩვენ უამ-ჩნდეთ ტოლსტოის ნაწარმოებებში, მის სწავლაში, სკულაპი, მის შეხედულებებში. ერთის მხრით, გენიალური მხატვარი, რომელმაც მოტექტა! უცრ მარტინ შეუდარებელი სურათები ჩაუსეთის ცხოვრებისა, არამედ მსოფლის უსაკუთრებულის პირველ ხარისხოვანი ნაწარმოებნი.—მეორეს მხრით კი,—მემამულე, ქოისტეს მორწმუნებულის მხრით, შესანიშნავი თავისი სიძლიერით, უშუალო და გალწროელი პრო-ტესტი საზოგადოებრივ სიცოდისა და სიყალბის წინააღმდეგ, —შეორე მხრით,— „ტიპიური ტოლსტოელი“, ე. ი სად არ ნათრევი, თვალცრუმლიანი, ისტერიკი, რო-მელსაც რეს ინტელიგენტს ვდახიან და, რომელიც, გულში ხელების ცემით, ასე ჟაჟარაკობს: „მე უუდი გარ, საძაგლი, მაგრამ მე ვმუშაობ საკუთარი თავის მო-რალური სიფაქიზისთვის; მე ბორცის არ ვჭამ და მხოლოდ ბრინჯის კატლეტებით ვიკვებები“.

ერთის მხრით, დაუზოგველი კრიტიკა კაპიტალისტური ექსპლოტაციისა, საჯაროდ გამოაშკარავება მთავრობის ძალადობათა, სასამართლოსა და სახელ-შეწიფო მმართველობის კომედიობისა, ყველასათვის დანახვება წინააღმდეგობათა იმ უფსკრულისა, რომელიც არსებობს სიმღიდრის ზრდისა, ცივილიზაციის მი-ლწევათა და სილარიბის ზრდისა, მუშათა მასების ტანჯვა-წევალებასა და გავე-ლურებას შორის, მეორეს მხრით კი, — ცრემლიანი ქადაგი „ნუ ებრძვით ბორო-ტებას ძალიდობით“. ერთის მხრით უნაკლო რეალიზმი, რომელიც სპობს და ანიდგურებს ყოველგვარ და ყოველნაირ საბურველს, მეორეს მხრით კი ქადაგი სარწმუნოებისა, ე. ი. ისეთი რამის, რაიც ყველაზედ უფრო საზიზლარსა და სა-ძაგელს წარმოადგენს ჩვენს არსებობაში,—ამავე დროს,—სურვილი, შესცვალოს საზინო სამსახურის ხუცები ისეთ ხუცებად, რომლებიც შორალური და ზნეო-ბრივი მოსაზრებით არიან ისეთები,—ე. ი. ქადაგი ყველაზე უფრო ფაქიზი და, მაშასადამე, განსაკუთრებით საძაგი ხუცებისა, კეშმარიტად.

Ты и убогая, ты и обильная,
Ты и могучая, ты и бессильная
— Матушка Русь!“

ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მოგვეუყანა ლენინის ეს საკმაოდ დიდი ამონა-წერი იმიტომ, რომ ჩვენის აზრით, ამ ამონაწერში მოცემულია საუკეთესო და ამომწურავი დახასიათება ამ დიდი მწერლისა და მოლვაწის შემოქმედებისა. გა-დამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით. რომ არც ერთ სხვა რეს მწერალში არ მოქცეული ამდენი და ასეთი დიამეტრალური მოპირდაპირე ხასიათისა და ბუ-ნების წინააღმდეგობანი. ეს იმიტომ, რომ არც ერთ სხვა რეს მწერალს არ შე-უგრძნია, განუკდია და აუსახავს ასეთის გოლიათური მხატვრული ძლიერებით მთელი ეპოქა 60 წლებიდან 1905 წლის რევოლუციამდე, როგორც ტოლსტოის. ტოლსტოის შემოქმედების წინააღმდეგობანი — ძაშინდელი რესეტის ცხოვრებისა და განვითარების წინააღმდეგობანია. იმავე წერილში „ტოლსტოი როგორც სარ-კი რუსეთის რევოლუციისა“ — ლენინი შემუეგნაირად ხსნის და განმარტავს ტო-ლსტოის შემოქმედებასა და მოღვაწეობის ამ საოცაო წინააღმდეგობებს.

„წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებში, — მამდევოლი სარვეა იმ ურ-თიერთ საწინააღმდეგო პირობებისა, რომლებშიც მოქმედებს იქნა გლეხობის ისტო-რიული მოქმედება რევოლუციისაში.

ერთის მხრით, ჩერნ ვამჩევთ გლეხობის ამ მოქმედებაზე ფრთხილი საძულ ვიღს, ვამორთტებას და თავიანულ განბეჭაობას. ყოველივე ეს იჯო შედევი სანგრძლივი ბატონობის რეეიშისა, და ათეული წლების განვითარების წესრიტებულ გლეხობის მეურნეობის გამადგურებისა, რასაც ადგილი ჰქონის რადგენული მოქმედებებში. იყ ი უმძაფრესი წადილი, ძირიან-ფესვიანად ამოქმედოთ სახელმწი-ფო ეკლესია, მემამულენი და მემამულეთა შელისუფლება, გაერადკურებინათ ცველა ძველი ფორმა და წესები მიწათმოფლობელობისა, შეექმნათ თავისუფალი და თანას-წილი უფლებებიან წვრილ გლეხობის საერთო საცავრებელი ნაცვლად ძერდი პო-ლიციურ-კლასიური სახელმწიფოისა.— ყოველი ეს ცდა წითელ ზოლივით გას-დევს ჩვენი გლეხობის მიერ რევოლუციაში გადადგმულს თვითეულ ისტორიულ ნაბიჯში და უდარა, რომ იდეურ ი შინაარსი ტოლსტოის ნაწერებისა ნაცვლებით უფრო ეფარდება და ეთანხმება გლეხობის ასეთ განწყობილებას, ეიდრე განცენე-ბულ „ქრისტიანულ ანარქიზმს“, როგორც ზოგჯერ აფასებენ და განმარტავენ ტოლსტოის შეხედულებათა „სისტემას“.

მეორეს მხრით კი, გლეხობა, რომელიც ასეთნაირად ესწრაფეოდა საერთო ცეკვერების ახალ ფორმებს, საოცარის შეუგაებლობით, პატრიარქალურად, მათხოვ-რულად ეპისტოლით ისას, თუ როგორი უნდა იქნეა ეს საერთო ცმოვრება, რა გვარი ბრძოლებით შეიძლება მოპოებულ იქნეს თავისუფლება, როგორი მელმძღვა-ნელნი ეყოლება, ან ვინ უნდა ეყოლოს ჩას ამ ბრძოლაში, როგორ ეპყრობა გლეხურ რევოლუციის იხტიერებს, ბურუუაზია და ბურუუაზიელი ანტელიგენცია, რატომ არის აუცილებლად საჭირო ძალატანებითი ჩამოვდება მეტის მთავრობისა მემამუ-ლეთა მიწათმცულობელობის მოსასპობად. მთელმა მისმა წარსულმა ცხოვრებამ ას-წავლა გლეხობას, უდიდესი სიძულევილი ბატონისა და ჩინოვიკისადმი, მაგრამ კერ ასწავლა და არც შეეძლო ესწავლებინა ის, სად უნდა ვეძიოთ პასუხი ყველა ამ საკითხზე. ჩვენს რევოლუციაში გლეხობის მართვად უმცირესობა იბრძოდა მარ-თლაც. რამდენიმედ მაინც ორგანიზაციულად მოწყობილი და სრულიად მცირედი ნაწილი გამოდიოდა იარაღით ხელში თავისი მტრების გასანადგურებლათ, მეტის მანეროთა და მემამულეთა დამცველების მოსასპობად. გლეხობის უდიდესი ნაწი-ლი კი მნიშვნელოვანი სტიროდა და ლოცულობდა, კუნებობდა, თხოვნებს სწერდა და „მოსარჩევებს“ განაცილება, — ერთი სიტყვით, მოქმედება სწორედ ისე, როგორც ტოლსტოის მოძღვრება ჰქადაგებს“.

აი სად არის ფესვები ტოლსტოის წანააღმდეგობათა, აი სად არის ახსნა განმარტება იმ, ერთის შეხედვით განსაცვიფრებელი იმბისა, რომ ერთსა და იმა-ვი ფრთის ასე სუსტია და ასე ძლიერი ტოლსტოი და მისი შემოქმედება.

გენიალურის განსკვრეტით, ლენინმა ორი-სამი წინადაღებით ნათელი გა-ხადა მთელი ტოლსტოი და „ტოლსტოვსტო“, უფრო მეტად, ვიდრე ლიტერა-ტურის ბევრმა სხვა „სპეცმა“ მრავალ ას გვერდიანი ტომებით.

ტოლსტოის ძლიერი მხარეები იმ შეუჩიგებელს კრიტიკასა და სიძულევილ-ში მდგომარეობს, რომლებითაც გამსჭვალულია ტოლსტოის შემოქმედება, სწო-რედ ისე როგორათაც ამით გამსჭვალული იყვენ ტოლსტოის დროის გლეხობის დართო მასები.

ტოლსტოის სუსტი შხარეები კი ის საშუალებანია, რომლებიც მან „გა-მოსებნა“ გლეხობის „გასაბედნიერებლად“ და რაც დიდი ხნის „შონახული“

იყო თვით გლეხობაში: პოლიტიკის თავი დავანებოთ, მეფეს ნუ ვებრძვით, საზოგადოდ, ნუ მიემართავთ ძალდატანებას არსებული წესების შესაცვლელიდ,— ვილოცოთ, ვითხოვოთ, ვიქადავოდ, ბოროტს ვებრძოლოთ, კერძოს დავეწავოთ და... უველიფერი მოვეარდებაო. ვიმეორებთ, გასაოცია ასეთი წინააღმდეგობაში, მაგრამ მაინც ფაქტია ივი. რადგან ასეთივე გასაოცაოის წინააღმდეგობებით იყო ავსილი ტოლსტოის დროის გლეხობის ცხოვრება და მარტინ შრედერი.

ცხადია, რომ ტოლსტოი მოქადავე და მორალისტი—გარმაზატელი თავისი დროის გლეხობის ინდიუსტრიზმისა, ულონობისა და ქრისტიანული ქედმოხროლობისა,— მკვდარია ძველს ეპოქასთან ერთად. რევოლუციების დღევანდელ დროსთან მას საერთო არაური აქვს. და თუ აქვს, აქვს მხოლოდ, როგორც მოწინააღმდეგეს და მტერს. ჩეენ ვიცით რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მკვდარი ხშირად მძლავრიად ეწევა უკან სასიცოცხლოს.

ტოლსტოის—მოძღვარის და მოქადავეს,— მხოლოდ ასეთი მკვდრის როლი შეუძლია ითამაშო. ვასაგება, რომ ჩეენს ეპოქაში ყოველგვარ აქტუალობას (ყოველ შემთხვევაში რევოლუციურს) მოკლებულია ტოლსტოის კველა ის ნაწერები, რომელშიც ტოლსტოი სჩანს უმთავრესად, როგორც მოძღვარი და მოქადაგე. ასეთებია ტოლსტოის კველა რელიგიური და წმინდა მორიალური ნაწერი; ასეთებია აგრეთვე მისი ფილოსოფიური (უნივარესად) აზრები და შეხედულებანი. ასეთია მისი მრავალტომიანი „კრიტიკა“ დამისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში დაწერილი ზოგი დიდაქტიკური მოთხოვნანი. კველა ეს ნაწერი მხოლოდ ისტორიას ეკუთვნის, როგორც რევოლუციისა და პროგრესის საწინააღმდეგო ნამუშევარი..

მაგრამ, სამაგიეროდ, ცოცხალია და უკვდავი ის ნაწარმოებნი, რომლებშიც გაშლილია შხატვარ ტოლსტოის გენიალური ნიჭით შექმნილი სურათები ძველი ცხოვრების „სიძველისა, სიღამიპლისა და უსამართლობისა“, ერთის მხრით და, მეორეს მხრით, ამ ძველს ცხოვრებაში მოქცეული მრავალმილიონიან კლებო მასების სილატაკისა, არსებული წესებისადმი სიძულვილისა და აღმფოთების სურათები. წარსულის ცოდნა მომივალის სწორედ გაგების საწინდარია. ტოლსტოი, სარკეა ამ წარსულისა, მისი სუსტი და მძლავრი შხატვებისა. მაგრამ საკმარისი იქნება თუ ამას ისე გავიგებთ, თითქოს ტოლსტოი მხოლოდ წარსულის სურათების მხატვარი იყო. ტოლსტოი არ იყო გულვრილი მაყურებელი, რომისოფისაც სულ ერთია, რაც არის, რომელსაც მხოლოდ არსებულის ასახვა. აინტერესებს, თავის სიმპატიებს, აზრებსა და შეხედულებებს კი არ ამეღავნებს. ტოლსტოი პროტესტანტი იყო, ამ სიტყვის ფართო და ღრმა გავებით, ტოლსტოი კრიჭაში უდგა ძველ წესებს; მისი სიმპატიები, რასაც აშკარად, დაუფარავად და ხმამალლა აცხადებდა, მათ შხატვები იყო, ვინც ამ მძიმე წესების ულელ-ქვეშ იტანჯებოდა. ესენი კი იყვნენ მრავალი მილიონები, თითქმის მთელი რუსეთი, რადგან ძველი წესების წყალობით თითქმის მთელი რუსეთი იჩარებოდა, ერთი მუქა მემამულეთა და ბურუუათა გამოკლებით. სამართლიანობა მოითხოვს, არასოდეს არ იქნეს დავიწყებული ეს: რომ ტოლსტოი მთელი თავისი სულითა და გულით მშრომელ ხალხთან იყო, იზიარებდა მის ტანჯვა-წვა-

ლებას და უშიშრად იცავდა მას მტრებისაგან. ტოლსტოის ბრილი როდი იყო, ათავედ მისი ბედი, რომ წილად არ ხვდა ეს სიძპატიები, დაჩაგრული, დამზადებული მასებისადმი სინამდვილეში განეხორციელებინა, სწორი ვალისავალი გზის მონარვით, მან ეს ვერ შესძლო. ამისი ბრილი მის ეპოქას უნდა დაფაროთ, მაგრამ, რაზევან ეპოქა — ყოველგვარ „სასამართლოს“ „მაღლა სდგას“, — ამიტომ დამხაშესყის დასჭირებული ბელი უნდა ავილოთ“. ერთი რამ კუხადია: კულტურულსა და ეკონომიკური ჩამონაბრუნვის მომწყვდებული რუსეთის ძველი თაობის შეილებიდან მეტის მოცემა არ შეეძლო. ტოლსტოი კი სისხლი და ხორცი იყო ძველი რუსეთის սოციალური ცხოვრებისა, ის იყო მემამულე, რომელმაც უარპყო თავისი კლასი დაჩაგრულთა სისარგებლოდ.

ტოლსტოი მოკვდა ძველ რუსეთთან ერთად. მაგრამ მისი მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი, საუკეთესო ნაწილი, — მისი ხელოვნების შემოქმედება, — ახალი კლასი, დღეს უკვი ვაძარჯვებულმა მუშათა კლასი, თავის კუთვნილებად გამოაკადა. ასრულდა ის, რაზედაც ასეთი რწმენით სწერდა ლენინი:

Толстой дал художественные произведения, которые всегда будут цennыми и читаемы массами, когда они создадут себе человеческие условия жизни, свергнув иго помещиков и капиталистов.

მასებმა უკვე შექმნეს ასეთი ადამიანური პირობები თავისი არსებობისა და წანსვლისათვის; უკვე მოიშორეს მათ მძიმე ულელი ბემამულება და კაპიტალისტების ბატონობისა. ტოლსტოიც იკალევს გზას ამ მასებისაგან, როგორც მათი წარსული დოობების გენიალური მხატვაობი, მოსიყვარულე ჩაგრულთა და მოძულე მჩაგვრელთა ადამიანის გრძნობიათა და შისწოდებათა მესაიდუმლე, მტერი ყოველგვარი უსამართლობის, ბოროტებისა და ჩაგვრი-ბი-ბისა და ჩაგვრი-ბი-ტოხობის, მოსარჩევა თავისუფლებისა და მშრომელთა ერთობის, სილაბაზისა და მშვენიერების, დაუზოგვილი მამხილებელი ძველი კლასების ბატონობის საშინევლებისა, პირველხარისხოვანი ოსტატი ცოცხალი სიტყვისა — ეს ტოლსტოი მარად იცოცხალებს წინამავალ კიცობრიობასთან ერთად.

და თუმცა მან უარი გვითხრა ჩვენს რევოლუციონერ მიზნებისადმი, თანაგრძნობით ყურადღებაზე, მაგრამ, აკა ვიკით რომ ისტორიამ დაპუარა თავისი სავალი გზები მის წინაშე, ბრალს არ დავდებოთ მას. და ყოველთვის უდიდესი პატივისკემითა და დაფასებით მოვიხსენებოთ მას; არა მარტო როგორც დიად გენისს, რომელიც არ მოკვდება მანამ, სანამ არსებობას დასცოცლობს საკაცობრით ხელოვნება, არამედ აგრეთვე მის ქედ-მღერებულს ზნეობრივ სიმუკიცს, რომელმაც ნება არ მისცა მას თავისი ეკლესიის ფრისევლურს რიგებში, თავის საზოგადოებაში, თავის სახელმწიფოთში დარჩენილობით და რომელმაც მარტომელა დასტოვა ის თავის უამრავ თანამოაზრება მორის.



პროლეტარულ მწერლოგის დასაცავად

კრისტიან ტოლიძი

I

ცნობილი ლათინური ანდაზა—მიცვალებულის შესახებ ან კარგი უნდა ითვას, ან სულ არაფერი,—ზოგიერთი სცდილობს ჩვენს პროლეტარულ მწერლობაზე ზედვამოჭრილად გამოაცხადოს. მე არ ვიზიარებ ამ ანდაზას საზოგადოთ და, კერძოთ, სრულებით არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ამ ანდაზით შეიძლებოდეს სწორი მხატვრული პოლიტიკის გატარება პროლეტარულ მწერლობაში. განა პროლეტარული მწერლობა ჩვენში ისე სუსტია, უხერხემლო, რომ მხოლოდ „კარგის თქმა“ შეუძლია მას არტანოს, ხოლო „ცუდის“ თქმით დაინგრევა ხუხულისავით? ანდა, ვანა პროლეტარული მწერლობა იმდენად ძლიერია, გამაგრებული, რომ მისი ჰევემანიის დრო დადგა მხატვრულ ლიტერატურაში და „ცუდის თქმა“ უკვე დაგვიანებულია, დაუშვებელი?

ჩემის აზრით, არც პირველი მოსაზრებაა სწორი და არც მეორე.

ამიტომაც უდაო დებულებაა: პროლეტარულ მწერლობაზე კარგიც უნდა ითვას და ცუდიც—ობიექტიურად, პირდაპირ, ბოლშევიკური პირუთვნელობით და არა მიკიბ-მოკიბულად, „მოყაუბუბულად“. კომუნისტურ პარტიის არ გააჩნია საკუთარი პარტიული მაატვრული ლიტერატურა, პარტიული ლიტერატურული დაჯგუფება. თანამედროვე პროლეტარული მწერლობა პარტიული მწერლობა არ არის და პარტიის არ შეუძლია პროლეტარულ შემჩნეულ შეცდომებს და სიმახინჯეს თავისი ფოლილეტარულ მწერლობაში შემჩნეულ შეცდომებს და სიმახინჯეს მაღადისებური ფრთები გადაადგაროს. და რომელ შეცდომას და სიმახინჯეს მალავს პარტია თვით საკუთარ წრეში? პარტიის მზის სინათლეზე გამოაქვს უარ-ყოფითი მხარეები და ამ ერთად-ერთ მიზანშეწონილ, სწორ, ლენინურ მეთოდით სცდილობს სოკიალისტურ მშენებლობის უზარმაზარ ორგანიზმის დაავადებულ ნაწილების გაჯანსაღებას.

ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა პირუთვნელია, მიუღვმელი, სადაც საჭიროა— მკაცრი და გამახვილებულიც. კომუნისტური კრიტიკის ამ პრინციპს არ უნდა ვულალოთ მხატვრულ ლიტერატურაშიც.

აქ ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას: პროლეტარული მწერლობა მუშაობის მომავალი ლიტერატურაა, რომელიც უნდა გაბატონდეს საუსებით და მთლიანად. პროლეტარული მწერლობის ჰეგემონის ჯამი ჯერ არ დატვირთვა არც დაღვება ადმინისტრატიული ღონისძიებით. ამისათვის საჭირო დრო, განვითარება, ბუნებრივი ზრდა, ლიტერატურული მწერლობის ხარისხის პროლეტარული ღონისძიებით აღმინისტრიული ღონისძიებით. ამისათვის საჭირო დრო განვითარება, ბუნებრივი ზრდა, ლიტერატურული მწერლობის ყლორტებს გაითურჩენონ, გაიზარდონ, გადაიქცეონ კომუნისტური ლიტერატურის მუხებათ, რომელსაც ოდნავაც არ შეშინებს ბურჯუაზიულ იდეოლოგიას სიონ და ქარიშხალი. ამიტომ კომუნისტური კრიტიკა სავსებით არ ისახავს მასნათ რომელიმე პროლეტარულ მწერლის „მოკვლას“, განადგურებას, თუ ეს მწერალი იძლევა იმედს მომავალში. ამ არიტიკის მიზანია მხოლოდ გამოსწორება, მწერლის აღზრდა—პროლეტარულ მწერლობის, პროლეტარულ მხატვრულ შემოქმედების განვითარების სწორ გზაზე დაყენება.

პროლეტარული მწერლობა თუ სადმე საჭიროებს პირუთენელ, მიუდგომელ კრიტიკას, უსათუოდ ჩნენშიაც, საქართველოში. ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ გლეხური, მეურნეობის ქვეყანაა. მძიმე ძალუსტრია და ძლიერი პროლეტარიატი არ გავვაჩინია დღეს. ასეთ პირობებში ცელია წელზე გამართულ პროლეტარულ მწერლობის არსებობა. ეს გარემობა კარგად აღნიშნა ამხ. გ. ყურული შვილმაც ერთ-ერთ ქართულ განხეთში. ჩვენი პროლეტარული მწერლები გლეხურ ფენებიდან, აქა-იქ აზნაურულ და, წარმოიდგინეთ, სამლენელოების წრიდანაც არიან გამოსული,—წვრილ ბურუულ აღნიშნეთ და ფსიხოლოგია. მწერალი—პროლეტარი დიოგენის ფარნითაა საძებნი ჩვენში. ვერც იპოვით. პროლეტარულ ფსიხოლოგიის პოტი ძალზე იშვიათია პროლეტარულ მწერლებში, ვიტყვი. გარკვევით—არ არის სრულებით...

ამას მიუმატეთ შემდეგი გარემოებაც: პროლეტარულ მწერლების გონიერები და პრაქტიკული გამოცდილების პორიზონტი ვიწროა, შეზღუდული. ცოდნა-განათლება აქვთ მათ, პრაქტიკული გამოცდილება ან, როგორც იტყვიან ჩუქები— ჯизნენის იპყა— არ გააჩნიათ, ხშირად— მინიმალურადაც კი. საქართველოს მთებით და ვაკეებითაა შემოღობილი პროლეტარულ მწერლების გონიერები პორიზონტი და შესაძლებლობა. სრულებით მოხდენილად და მოსწრებულად აღნიშნავს ამას თვით პროლეტარული პოეტი კარლო კალაქე:

სახელდიდება ხომ არ მეტება სახარბიელო,—
აღმოსავლეთით აკრას ფოილი, ირგვლივ მთებია;
მოდიან ზღვაშდე, და მერე ზღვაშივე იძირებიან...
ეს არის სელ სამწერლო თვალი და სარბიელი...

სრულ სიმართლეს ლაპარაკობს კარლო კალაქე. ჩვენი პროლეტარულ მწერლების გონიერები განვითარების და მხატვრულ შემოქმედების ტერიტორია, უგადებესად, ფოილოთი და შავი ზღვითაა შემოფარგლული. ამას გრძნობს თოვლი პროლეტარული მწერალი, რომელიც პოეტ-უკუკინიბით არ დაბრმავე.

ბულა—ორივე თვალით მაინც — და არ შეპყრობილი—მთლიანიდ მაინც—ნააღ-რევი განდიდების მავნე მანიით.

მეორე საკითხია აქ საინტერესო: იცნობენ პროლეტარული მწერლები სა-ჯართველოს—იმას, რა; არის ფოილოდან ბათომამდე? საეჭვა / აძ კითხვაზე ვინმემ დადებითად გვიპასუხოს. აგარაკებისა და მაღალ მწერებს „უცნობა“ არ ნი-შნავს საბჭოთა საქართველოს კოდნას. ამისათვის საჭრელი მუშარ რა-იონების შესწავლა, გაცნობა. რომელ—ასე თუ ისე ცნობილ—დღევანდელ პრო-ლეტარულ მწერალს უცხოვრია და უმუშავნია ასეთ რაიონებში? კიდევ მეტი, უნახავს მაინც ეს რაიონები. მავალითად—ჭიათურა, ტყიბული, — თვით ტყილისში არიებული ფაბრიკა ქარხნებიც კი? მე ვიცი ფაქტი: არც ისე ახალ-გაზრდა პროლეტარულ პოეტს ამხ. ნ. ზომლეონოვს, სხვათა შორის, ჩვენი მაღაროები, არ ყოფილა,—ნიკომოლს თავი დავანებოთ—ჭიათურაში (ბო-დიში, ერთხელ იყო მვონი, მხოლოდ შარშან, ისიც გავლით, რასაკვირვე-ლია). ცრემლის არც ერთ წვეთს ჩამოაკიდებდა არავინ, რომ ეს ფაქტი იყოს შემთხვევითი და იშვიათი პროლეტარულ მწერალთა უმრავლესობის ცხოვ-რებაში.

პროლეტარულ მწერალთა დიდი უმრავლესობა არ იცნობს მხატვრულ შე-მოქმედების ობიექტს: ფაბრიკას, ქარხანას, მანქანას, მუზეს, — ლექსებს კი სწერს პროლეტარულს, ყოველ შემთხვევაში—სცდილობის იმას. მაღარო არ უნახავს, მოთხოვნას მაინც სწერს მაღაროელის ცხოვრებიდან. აქ თაღაც არაჩეულებრივ ფაქტან გვაქვს საქმე: ჩვენი პროლეტარული მწერლები ან გენიოსები, ჰებუნე-ბრივი ნიჭის მქონე არიან, ანდა ლულა-ქაბაშის მირთმევასაცით ადვილი ყოფი-ლა ლექსებისა და მოთხოვნების წერა. რასაკვირველია, არც პირველია მართალი და არც მეორე. ერთი კი უნდა ითქვას აშკარათ: პროლეტარული მწერლები შემოქმედების ძარღვების მართლაც არაჩეულებრივ დაჭიმვას იჩენენ, როეთ ხშ-რად არც ისე ცუდ მხატვრულ პროდუქტის იძლევიან. ეს გადაჭრით უარყოფს ბრალდებას: „ჩვენი პოეტებიდან არაფერი გამოვა“. არა, ბევრიც „გამოვა“, შხოლოდ ერთი პირობით: პროლეტარულ მწერლობის ზრდა-ვან-ვითარება ნორმალურ კალაპორტში უნდა ჩავაყენოთ, ნოკი-ერ ნიადაგზე უნდა დავაყენოთ. ხელოვნურათ მწერლის „გაკეთება“ ყალბი თცნებაა და მავნე უტოპია. მეორე მხრივ, უსიფუძვლოა იმაზე ფიქრიც, რომ „თავისთავად“, სერიოზული მუშაობისა და ახალგაზრდა მწერალთა აღწი-დის, ან—როგორც იტყვიან ხოლმე,—სწავლის, შემოქმედების და თვითკრი-ტიკის“ გაჩერებულებელი იყოს ნიმდვილ პროლეტარულ მხატვრულ ლიტე-რატურის ჰეგემონია მომავალში.

ვფიქრობთ ჩვენ ნიჭიერ პროლეტარულ მწერლების მო- მავალზე? ვდებულობთ ზომებს მათ გასაგზავნათ სასწავლა- ბლებში, სამრეწველო ცენტრებში, თუ გნებავთ—უცხოეთში- აც კი? ამ მწარე კითხვებზე დადებითი პასუხი უნდა მივიღოთ. სხვა გზით ვერ მივიღებთ ვერც პროლეტარულ პოეზიას და ბელეტრისტიკას და, რაც სა- გულისხმოა, ვერც პროლეტარულ მხატვრულ კრიტიკას.

განსაკუთრებით საჭიროა საღი კრიტიკა, ობიექტიური შეფასება იძინა, რაც პროლეტარულ შემოქმედების სახით გვევლინება. პროლეტარულ მწერლობის კომუნისტური კრიტიკის საკითხი მწავედრა, დასმული. ასეთ კრიტიკის გარეშე ძნელია პროლეტარულ მწერლობის მუნიციპალიტეტი, სწორი გზით განვითარება. არ უნდა შევუშინდეთ კრიტიკის არც მკაფიო და მწვავე ტონსაც, რადგან ეს ტონი ქმნის პროლეტარულ მწერლობის ურთისას ბეჭდებელ მუსიკას. პროლეტარულ მწერალთა შემოქმედების თმივატელურ კრიტიკას უნდა უებრძოლოთ ვადაჭროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაჩნდება ტბა, ჭაობიდა... ბაყაყი. გაჩნდება უკეცელად!

ვიმეორებ, კომუნისტურ მიუდგომელ კრიტიკას ძალზე საჭიროებს პროლეტარული მწერლობის ჩვენში, ჯერ კიდევ წვრილ ბურჟუაზიულ შეურნეობის ქვეყანაში. თუ საბჭოთა რუსეთში,—საღაც შრავლადაა სამრეწველო რაიონები ძლიერი პროლეტარული არმიებით, კომუნისტური კრიტიკის ორლესილი არ ინდობს ავერბახ-ლიბელინსკი-ლელევიჩ-კირშონ-უადევის შეცდომებს და აზრის უგზო-უკვლო—ხეტიალს, არ აკხადებს მათ კრიტიკას პარტიულ კრიტიკათ,—ჩვენში მით უფრო საჭიროა მეტი კონტროლი პროლეტარულ მწერლობაზე. „იარლიკი“ „პროლეტარული“ არაფერს ნიშნავს, თუ აქ პროლეტარული აზრი არ იმაღება. პირაქით, ასეთ შემთხვევაში ეს „იარლიკი“ მავნე ხდება, საზიანო, საზარალო პროლეტარულ ლიტერატურისათვის. „იარლიკის“ სიწმინდე აუცილებელია. ამიტომ საჭიროა მიუდგომელი, ობიექტური კრიტიკა იმ საქონლის, რომელსაც ეს მაღალლისების იარლიკი აკრავს.

ჩემის აზრით, ყველაფერი ეს უდანა და ცხადი an sich.

II

გულდასმით წავიკითხე „პროლეტარული მწერლობა“-ს მე-5-6 ნომერი. წავიკითხე და... დამებადა აზრი, რომლის შესახებ ზევით ვილაპარაკე.


ერთი რამ ახასიათებს ამ ნომერს დადებითი და პროგრესიული: აქ ფინანსურის წარმოდგენილი „მხატვრული შემოქმედება“ და ნაკლებადაა ლავაშ-ლავაში „კრიტიკული სტატიები“.

იონა ვაკელის ორი ლექსია მოთავსებული: „გზიდან“ და „გასწი ჩემ მეტლევ“. მეორე პირველის გაგრძელებაა. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ეს ლექსები: რა განიცადა და შეიკრძნო საბჭოთა რუსეთში ქართველმა პროლეტარულმა პოეტმა? ამ კითხვაზე პირველი ლექსი მეტად უნუგეშო პასუხს იძლევა. პოეტი პირველად სერავს პროლეტარულ რუსეთის სივრცეს. რა, უნდა შეამჩნიოს პროლეტარულმა პოეტმა გონიერისა და ფიზიკურ თვალით, თუ არა განვლილი სამოქალაქო ომები, ერთ დროს სისხლით მორწყული ველები, ბრძოლის განცდები და სხვა? მაგრამ არა. ძველი პროლეტარული პოეტი იონა ვაკელი. კვლავ „საყვარელ ლამაზ მთებიან“ საქართველოზე ფრქრით იწურება:

მატერებელი მიმაქანებს თითქმა ფრთხები აქვს,
უცილდები არეს საყვარელს და მაღალ ფრთხებიანს...

კიდევ:

...მატერებელი კი მძლედ მისქრის, თითქმ ფრთხები
და უშორდი მხარეს, საყვარელს და ლამაზ მთებიანს.



პრემიუმ ულავ

ან კიდევ:

მატერებელი შეკვის, მიჭირის, თითქმ ფრთხები აქვს,
უავ არ ვხედავ ლამაზ მხარეს ამაგ მთებიანს.

მაინც საინტერესოა ვიცოდეთ, რაზე ოცნებობდა პროლეტარული პოეტი „ამაყ მთებიან“ „ლამაზ მხარეს“ მოშორება რატომღაც სანტიმენტალურ განწყობილებაში აყენებს პროლეტარულ პოეტს და ეს ხელს უშლის შას აამორჩოს სა თქალაქო ბრძოლების მოვონებანი გამარჯვების უდიადესი განცდები, რევოლუციონური ენტუზიაზმი. პოეტი ხედავს მხოლოდ... ვაკებს:

ვუპერ ვაკებს, გაშლილ ველებს, კალებს ქვებიანს...
იწველი ველები, ვაკები და მინდვრებია...

სულ გაწოლილი მინდვრარი და ვაკეებია...

გრძლებით და ვსტოვებთ ვაკე-ველებს ჯეკილებიანს...

აქაც ვალები, მინდვრები და ვაკეებია...

აქ საკვირველი არაფერია, პოეტი იონა ვაკე ლი¹⁾ ყველაზე უკეთესათ აღინიერს „მინდვრარსა“ და ვაკეებს. მაგრამ ვაკეების იქით მდებარე რევოლიუციონურ ბრძოლების მოვონებათა მთების არ დანახვა, ვიტუვი რბილათ, კურიოსული შემთხვევა პროლეტარულ პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

მეორე ლექსი შედარებით უკეთესია. აქ მაინც არის რევოლიუციონურ განწყობილების მოვენტები, ერთგვარი პატოსი. იონა ვაკელი ზის ეტლში, გასტარის მოსკოვის ქუჩებს და გადაკრით აცხადებს:

მიდატოვოთ ნალველი, ძველი უიმედობა...

მე პრომეთეს ცეცხლსა და ბრძოლის რისხვას დავეძებ,

და ამ ცეცხლის აქბნაში სჯობს დაკარგვა უკვალოდ,

ვინემ ცლორე ჭაობში უბრძოლელად დავეცე...

1) არ მომწონს ფსევდონიმი „ვაკე ლი“. საერთოდ ბევრი პროლეტარული პოეტი ატარებს არა მოსაწონ ფსევდონიმს. მაგალითად: ზომლეთელი, ნავთლულელი, შინატერელი... ზომლეთელი ნიშნავს, რომ ავტორი სოფ. ზომლეთიდან არის უსათეოდ. ნავთლულელი—მავთლულდან და ა. შ.

ეული! როგორ შეიძლება პროლეტარული პოეტი ეული, ე. ი. განმარტოებული, განცალკებული, გარიყული იყოს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში? ნ. ზომლეთელიაც და ეულსაც აქვთ საუცხოვო ნამდვილი ვფარი „პროლეტარულ ბუნების“: ქურიძე. ქურა ქარხნის ელემენტია და დიდი ფიქრია საჭირო, ნამდვილი ვფარი კი არა, ანალოგიური ფსევდონიმი გამოიკინო მწერალმა.

ასევე: მაშაშვილი, ფეოდოსიშვილი, ლისაშვილი, სამსონიძე... პირველი შეილია შაშასი (ლევა—შაშისი), მეორე—ფედოსის, მესამე—ლიხაში, მეოთხე—სამსონის...

ნუ თუ არ შეიძლება გეოგრაფიულ ლოკალიზაციას, ეულობას და დედის კალთას თავი დააღწიონ პროლეტარულმა პოეტებმა, გამონახონ შესაფერი ფსევდონიმები; —თუ ფსევდონიმები მაინც დამაინც აუცილებელია?

კარგადაა ეს ნათქვამი.

მხატვრულ შესრულების თვალსაზრისით ორივე ლექსი სუსტია, განსაკუთ-
რებით—უკანასკნელი. ლექსში არაა დაცული რევოლიუციონულ აღმართოვანე-
ბის ტემპი. მონოტონურია და შესრულებული. აშკარად სჩანს რაოდომეტებისა და
გალაკტიონ ტაბიძის გავლენა, ზოგან—მიბაძვაც კი. (მაგ. „გასწი, ჩემი მეტ-
ლევ“, „რომელ მხარეში“ და სხვა). იმინა ვაკელს აქ არ გაუსაკუთრებულობის
წინსვლა და განვითარება.

კ. ლორთქიფანიძე და კ. კალაძე შედარებით კარგი ლექსებით
არიან წარმოდგენილი. კ. ლორთქიფანიძის ლექსი ღირსია განსაკუთხებულ ყუ-
რადლების. პოეტი ზედმიწევზით გულწრფელი და პირდაპირია ამ ლექსში.
კ. ლორთქიფანიძე მეტად იქტუალურ საკითხს ეხება და ვფიქრობ, ეს ლექსი ღრმა
კვალს გაავლებს თანამედროვე პოეზიაში. კ. ლორთქიფანიძე არ მაღავს, რომ
„ძველი გრძნობების ფესვი მოსასპობია ჩვენში მთლიანად“. მაგრამ გადაჭრით
უარს აცხადებს. დასწუვეიტოს შემოქმედებაში ორიგინალობის ძაფები—

და როგორც სხვებმა ბიბლიის ენით
გავლენის ცაკის დადგენილება,
ან კომპარტიის დირექტივების
დაციტის უშნო გადამღერება.

სწორია კ. ლორთქიფანიძის ეს მოსაზრება. დალგენილების და დირექტი-
ვების გალექსვა „ბიბლიის ენით“ და „უშნო გადამღერება“ არც პარტიის ესა-
კიროება და არც ხელისუფლებას. პროლეტარული პოეზია „გადამღერების“ პოე-
ზია არ არის და არც შეიძლება იყოს. პროლეტიზმული პოეტი „შემომ-
ქმედია“, რევოლიუციონურ განწყობილებათა თრგანი ზა-
რორი. კ. ლორთქიფანიძეს კარგად შეუგნია თავისი პოეტური დანიშნულება.

მაგრამ ამით არ კმაყოფილდება კ. ლორთქიფანიძე. ის უფრო შორს მი-
დის. სამართლიანადაც აღნიშნავს, რომ

გრძნობა არ არის ზამთრის სასახლე
რომ ერთის დაკვრით გააპარტახო...

ეს მართალია, გრძნობის „გაპარტახება“ სათუთი საქმეა. გრძნობაგაპარ-
ტახებული პოეტი „ზედმეტი ადამიანია“ ხელოვნებაში. არც არავინ მოითხოვს
პოეტისაგან გრძნობის გაპარტახებას. კ. ლორთქიფანიძე გაბედულად განავრძობს:

და არც ჭური, ფარ, რასაც ჩამახებ
მუქანიკურად ის ამოვგახო.

აქ კი უსათუოდ გვმართებს სიტრთხილე. მართალია, „მექანიკური“ ამოძა-
ხება არაა საჭირო. საჭიროა ამოძხება შეგნებული, „გათვალისწინებული,
ორგანიული. მაგრამ „ამოძახება“ მაინც არის საჭირო. კ. ლორთქი-
ფანიძე შეიძლება ცერ ახდენს შედარებას ესთეტიკური თვალსიზრისით—პოეტის
შედარება ჭურთან ერთობირება ჩვენს ყურს. აქ. წერეთელმა უფრო „კეთილშო-
ბილური“ გამოთქმა იხმარა ამ შემთხვევაში—„გარემოების საყვირი“. კ. ლორ-
თქიფანიძე უარყოფს, რომ ის „გარემოების საყვირია“. ამის შთაბეჭდილება იქმ-
ნება უსათუოდ. რასაც ცხოვრება პოეტს („ჭური“) ჩასძახებს, პო-
ეტშაც ის უნდა ამოსძახოს,—რასაკვირველია, სხვადასხვა ფო-

რმებსა და სახეებში. ამაში უნდა დაგვეთანხმოს კ. ლორთქიფანიძე. მე კი ვეთანხმები ავტორს იმაში, რომ მექანიკური ამოძახება არაფრად არ ვარგა და გაცილებით უკეთესია ამოძახება შეგნებული.

შინაარსიანია ადგილი:

თუ ზოგჯერ მძიმე კითხვის წინაშე
ჩემი პასუხიც წაბარბალდება—
ეს რეება რაცგან ახლის ძებნაში
სირთულეები ძალშე ბეჭრია,
„ჩეირად მარჯვენა მკერდის ნაწილი
მარცხნა მკერდის დიდი მტერია“,
ის რაც ურყევი მგონია დილით
გხედავ საღამოს შხოლოდ მტერია...



ურთერესობა
გრიმის მიერ

კარგი იყო კ. ლორთქიფანიძეს აქ დაესვა წერტილი. დანარჩენი ოთხი-ხუთი ტავები სუსტია. ლექსიც დაუსრულებელია და ირლვევა მთლიანი შთაბეჭდილება. ვიუხედავათ ამისა, კ. ლორთქიფანიძის ეს ლექსი თამამათ შეიძლება აფტორს ერთ-ერთ საუკეთესო და პროგრამულ ლექსად ჩაეთვალოს.

საყურადღებოა კარლო კალაძეც. უბრალოა მისი ლექსის სათაური: „მსჯელობა მომავალ საქმეების გამო“, მაგრამ შინაარსიანი ლექსია უსათუოდ. ეს არის ლექსი— დეკლარაცია. კ. კალაძე სცდილობს ძველი შეცდომები დავიწყების არქივს მისცეს, მოიკლას ჯავრი „და სხვა ახალი ლექსით აღიზდეს“ კ. კალაძე მიდის „მშრომელ კაცთან“ და ვერ წარმოუდგენია, როგორ დასცილდება ამ კაცს „დაუმარცხებლად“. „მშრომელ კაცებით“ იღტაცებული კარლო კალაძე აცხადებს უყოფმანოთ:

თქვენ მიერ შექმნილ ცხოვრების კოველ დადგენილებას,
მე შეგნებულად ვემორჩილები...

ვნახოთ შეგნებულად დაეპორჩილება თუ არა კარლო კალაძე „მშრომელ კაცების“ დადგენილებებს. ერთი რამ მიკვირს უსათუოდ: მაშ დლემდე ვის „ემორჩილებოდა“ პროლეტარული პოეტი კარლო კალაძე, თუ არა „მშრომელ კაცებს“, და რა ლექსებით იყო „აღიდებული“, თუ არა პროლეტარულით? ნუ თუ კალაძე ასე ხელალებით უარყოფს მთელ თავის განვლილ მუშაობას— საუკეთესო ლექსებს, რომლებმაც მას ნიკიერი პროლეტარული პოეტის სახელი მოუხვეჭა? ორიოდე „გადახრილ“ ლექსის „მონანიება“ ხომ არ ნიშნავს „ძველი ტაძრის“ უკანასკნელ ავურამდე დანგრევას?

კარლო კალაძის ლექსი მძიმე ქართულითა შესრულებული, ლექსი აკლიელისტიურობა, პროლეტარული ტემპი და მოქნილობა. ნიმუშისათვის:

თურმე რა არი ველს გაცვალფული რომ ჩაურბოდე,
თუ არა ერთხელ რა არი მოებიც გადენადირა...

ვთიქრობ, „მშრომელ კაცის“ სმენა და გემოვნება ამ ლექსის „გაუბრალოებას“ მოითხოვს უსათუოდ. ვინ იცის, ეგებ ესაა ამ „კაცის“ პირველი „დადგენილებაც“...

კარლო კალაძის ლექსის განხილვასთან ერთად უნდა იღინიშნოს— უეჭველად ხაზგასმით— ერთი ამბავი, რომელიც არც ისე იშვიათად გვევლინება ლიტერატურულ ცხოვრებაში. ლექსი „მსჯელობა მომავალ საქმეების გამო“ როდია

უურნალში ასე უსისხლოთ გაშვებული. აქვეა მისი „კრიტიკული“ „ანალიზი“. დამწყები ახალგაზრდა კრიტიკოსი ბენიტო... (მუსოლინი ნუ გეცონებათ! ნუ თუ ფაშიზმის ბელადის სახელის მიბაძვა პროლეტარულია? ას ჰეთა ეს?) ბენიტე „კრიტიკის ქარ-ცეცხლში“ ატარებს კარლო კალაძის ლექსს ზო ქმუქ-რება დაკუმშულ მუშტებით:

კრიტიკული

ვიდრე ასეთ რანეს წამოროშავთ და დასაბეჭდათ გამოსტყოს! (დამსახულ-წერა) ავტორისაა. გ. მ.), პროლეტარული მწერალი ვალზებული ხარ იცოდე მარ-ქსიზმის ანაბანა.

რა „წამოროშა“ კარლო კალაძემ? აი რა:

წერტილის ირგვლივ დაბრმავებული ხალხი ირევა
და შენდა ბედად მოგწყურების ვაქუსლო სადმე.

ეს ერთი „როშვა“. მეორე:

ვრცელია მიწა და რამდემს თვალი გაეხილება იძღვნი გზაა მაშასადაცე. უკანასკნელ სტრიქონებს „ბენიტო“ ასეთ ეპიტეტს აკრის:

მიკერავთ!.. არქა-ანარქიზმის უბადზეც ფილისოფია, უნიათო (?) ინტე-ლიგენცების მიერ გამოგონილი.

ხოლო პირველი სტრიქონების შესახებ ამბობს:

რას გულისხმობთ „წერტილათ“. გარკვევით ილაპარავეთ, ამა. პოეტო, რათ აბნელებთ და რად გვაპრმავებთ... ზოგიერთ გულუბრიფელი მკითხველმა შეიძლება იფიქროს რომ ეს დაბრმავებული თანამედროვე „ხალხი“ და „წერტილი“ კი ჩვენი არსებობის, თავგამეტებული ბრძოლის და შრომის მიზანი — კომუნიზმი.

მართალია, დამწყებ კრიტიკოსისათვის არც ისე ადვილია პოეტურ მეტა-ფორმების და შედარებების გაჩერა. ასე რომ არ იყოს, „ბენიტო“ ადვილად გაიგებდა, რომ კარლო კალაძე მხატვრულ ენაზე ლაპარაკობს არა კომპარტიისა და კომუნიზმზე. კარლო კალაძე მართლაც მოხდენილად ამბობს ისეთ მოხალისე კრიტიკსებზე („ხალხი“), რომლებიც არიან „დაბრმავებულნი“ (უმცურობით და თავხედობით) და ირევიან „წერტილის“ (ასოების) „ირგვლივ“. ასეთ „ხალხს“ შეუძლია ასოების ამოკითხვა, მაგრამ სიტუაცის გამოთქმა კი — არა; შეუძლია — უკეთეს შემთხვევაში — სიტუაციის გამოთქმა, მაგრამ წინადადების აზრის გავეკა კი — არა...!

კომკავშირელი კარლო კალაძე ისე არ გაღატაკებულა მხატვრულ მეტაფორებით, ისე არ გამომშვიდებულა კომკავშირულ აღზრდას და ტრადიციას, რომ „დაბრმავებულ ხალხათ“ კომუნისტური პარტია იგულისხმოს და მშრომელ კუობრიობის უზარმაზარი მიზანი — კომუნიზმი — „წერტილად“. თითოეული კომკავშირელი გაარჩევს „წერტილის“ ხაზისაგან და თუ ამას ვერ ახდენს „ბენიტო“, რა შუაშია აქ კარლო კალაძე და მისი „მსჯელობა“ — ვერ გამიგოა.

ახლი „გზების“ შესახებ. განა კარლო კალაძე სოკიალიზმის გზებზე დაპარაკობს? აქ მხატვრულ შემოქმედების გზებზეა ლაპარაკი. გავებაა საჭირო. ამ რომელ „მარქსიზმის ინაბანაში“ ამოიკითხა „ბენიტომ“ ასეთი ციტატა: „რამდენს თვითი გაეხილება, იმდენი ერთი გზა ჩნდება“ (სტილი ივტორისაა გ. მ.). რომელ „მარქსისტულ“ წიგნიდანაა ამოღებული ეს ცი-

ტატა? „ბიბლიიდან“ ხომ არა? შეიძლება „ბენიტოს“ დიალექტიური მატერიალიში ან მატერიალისტური მონიშვილი აქვს სადმე გავონილი და მოყვანილ ციტატას ამით ამართლებს ყველაფერი ეს სასაცილოა...

ნიკიერი პროლეტარული მწერლები შეუძლებელია ასეთი „კრიტიკით“ და გაგება - შეფასებით აღმართონ შარქის სტულიდ და ლენინურიდ.

სუსტია გიორგი კაჭახიძის ლექსი „ჩემი ტერიტორიული უსუსური, სხვათა შორის, არის ასეთი ძალზე უსუსური აღვილი:

მე კი მაცინებს მათი ცეკვები
და ვამბობ, ლექსი რა სათქმელა,
ოუ ადამიანს თვალი გაუჭრის
ამ დროში გრძნობა კარგი ეჭნება.

ეს ლექსი არაა და სხვა ყველაფერი. სოლომონ ზურგიელიძის სიბრძნესაც მომავალებს. განა კედლის ვაზეთი აიტანს ასეთ მხატვრობას?

ამით ამოიწურება „პროლეტარულ მწერლობის“ პოეზია. ეურნალის ეს განყოფილება იხსნეს კ. ლორთქიფანიძემ და კ. კალაძემ. უკანასკნელმა უკვე მიიღო ლიოსეული მადლობა რედაქციისაგან!

* * *

გაკვრით პროზაზე. გაკვრით, რადგან ორი მოთხრობაა უურნალში მოთავსებული და არც ერთი არაა დასრულებული.

პროზაში „ცენტრალური“ ადგილი უჭირავს პეტრე სამსონიძე ბეჭედეტრისტი არ არის და ამიტომ apriori შეიძლება ითქვას უურნალის სიძლიერეზე პროზის დარგში. მოთხრობას კურიოზული სათაური აქვს: „დიდი ბლინი ყვირილაძე“. დაბეჭდილია „კარი მეორე“. მოთხრობა არც ფორმალურ შესრულების და არც შინაარსის, იდეოლოგიური გამართლების თვალსაზრისით ვერ უძლებს მსუბუქ კრიტიკასაც კი.

ავტორი ეხება მეტად საინტერესო პრობლემას — ქართული ინტელიგენციის „მისვლას“ საბჭოთა ხელისუფლებასთან. როგორ მოხდა ინტელიგენციის დაახლოვება საბჭოთა წყობილებასთან? ეს ძალიან საინტერესო საკითხია არა მარტო მხატვრულ ლიტერატურაში, პუბლიცისტიკაშიაც კი. ეს დიდი პრობლემაა, რომელიც სპეციალურ შრომას ჰგულისხმობს. ჩვენ კარგად ვიცით ის გზები, რომლებმაც ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფები მიიყვანა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობასი და პროლეტარულ სახელმწიფოს აღიარებამდე. მაგრამ რაზედაც პეტრე სამსონიძე მიგვითითებს, ჩვენთვის სრულებით უჩვეულოა და აღმოჩენაა.

მოთხრობის გმირი დიდი ბლინი ყვირილაძე ერთ—ერთი თვალსაჩინო ქართველი ინტელიგენტია, ოომელიაც ყავს მიმდევრები. წინეთ ის გაიძიხოდა: „ძირს რუსეთი, წინ ევროპეიზაციისკენამ“, მაგრამ „ბლინია“ ამ ლოზუნგისათვის ბრძოლაში განმარტოებული აღმოჩნდა, რადგან „ქართველ ერში საღაც მოახროვნე ინტელიგენტი უფრო მეტი ერია, ვიდრე ფლტურო ხე-

სავით მოაზროვნენი. ამას მიუმატეთ ისიც, რომ მოხდა საქართველოს გასაბჭოება. „ბლინძა“ და მისი ჯვუფი შეუდგა ახალ ხელისუფლებასთან დაასლობდას. რატომ და რა გზით? მოვლსმინოთ სამსონიძეს. „ბლინძამ“ უარის მიუყარა ინტელიგენტებს და დაუსახა პროგრამმა („სტილი“ და „მწროლებელი“ ვკრისათ. გ. მ.):

უარის მიუყარა

ბატონებო.. ბოლშევიკები არიან მცუდები და გლეხებში ტრაქციების გამო ინტელიგენტები. ლოდიკურად ასე უნდა იყოს, რომ ჩვენ უნდა გასწავლათ მუშას და გლეხს კუთა, მაგრამ რადგან ჩვენ ბოლშევიკები ამის მებას არ გვაძლევენ და არც მოგვცემენ, ამისათვის უნდა მოვიქმეთ დიპლომატიურად. ე. ი. ჩვენი საკუთარი ფიზიკური არ სებიბრი შევინარჩნ უნთ და მდგომარეობაც გავიუმჯობესოთ. ამ მიზნით ამ ქრებაზე უნდა ავიზუაციონური დელეგაცია, რომელმაც ხვალ თუ ზეგ ბოლშევიკურ მთავრობას უნდა მოავსენოს — თევენ. ბოლშევიკურო მთავრობავ, მართ მუშები და გლეხები, მაშასადაც, თქვენამ გაქვთ სწავლა, აულტურა და ცოდნა, (სიც) ჩვენ კი გართ მასწავლი წალხი, ე. ი. ვიცით ყოველივე და ყოველივე ცოდნით გვაქვს თავი გამოატანილი. ამისთვის გვეცით ჩვენ პატივი და წვიცანით, რომ ჩვენა ვართ საქართველოს ყველაზე დიდა მოლვაწენი.

ბლინძა ყვირილაძემ აქ, მგონი, ჩაახეელა და მიმართა მსმენელებს:

შემდევ კიდევ დაუდოთ ერთმანეთს ხელშეკრულება, რომ თავასწორათ ვემსახუროთ ერთმანეთს, რასაკვირკველია, დროებით. მხოლოდ შემდეგ კი, რომა ცხოვრება სულ საჭარიანობად შეტრიალდება, თქვენ თქვენი გზა გერმენიათ და - ჩვენ კიდევ ჩვენი. — თავისთავად ცხადია ბატონებო, ეს უკანასკნელი მხოლოდ ჩვენს გულში იქნება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ჩვეკაში ამოვყობთ თავს. მთავრობა მეშურ-გლეხურია და ის ჩვენ კვლავერს დაგვიჯერებს (სიც) და ამ ნაირ-და მისი წესლით გადასახურდით ჩე მც ჩვენს საქმეს გავაკეთებთ.

ბლინძამ დაასრულა თავისი სიტუაცია. სხვები? ისინიც ასე ფიქრობენ! ერთი უწნოებ ჩატსკვნილი ბელეტრისტი“ ლაპარაკობს:

ბატონებო, უნდა დავეთანამოთ ბლინძა ყვირილაძეს... ვამბომ, მოტუჭოლებით და ეშმაკობით შეიძლება გავათარიოთ ეს ჩვენი წუთისოფელი, გავიდეთ ფონს, ან და კიდევ უკეთეს შეპოვევაში ბურთიც კი გვიტანოთ ლელოს, თუმცა აშაში ყოველთვის კი მეპარებოდა ეჭვი. მაგრამ ვერჯერობით კი, ვიმეორებ სხვა გამოსავალი არ გვაქვს...

აქე-იქ გაისა ბრები:

- კარგი იქნება დელეგაციის არჩევა!
- ამით დავი შევინარჩუნოთ არა თუ მარტი ჩვენი საკუთარი ტყავი არამედ ჩვენი კეთილ-დღეობა!
- ხომ განვითაროთ, დათვისა რომ მოვერიოთ ძაბა დაუკავეთ!
- ომ: და აი - წამოლგა ისევ ხევით ჩანარივით მაჟალ ტამის და წვრილოვალება ვექილია: — ომ, ღა, რადგან ჩვენ ბოლშევიკები შოგვერია, წავიდეთ და ყველაზე უწინ დაუძაროთ მათ ძაბა — ამით დამერწმუნეთ, ბატონებო, ჩვენ მოვიგებთ იმათ გულს...

ჩვენ არ ვლჯერებთ საკუთარ თვალებს! ვინ სწერს ამას? სად იძებედება ეს სტრიქონები? განა ასე იფასებს დიდმნიმუნელოვან პოლიტიკურ ფაქტებს — გარეურნალი „მნათობი“ № 8—9.

დატეხას ინტელიგენციაში—კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა,—შუშა, გლეხი, საბჭოების მეცნიერი აღაშიანი,—საზოგადო მოლვაწე იქნება ის თე ბელეტრისტი? განა ამ შოტივებით სარგებლობდენ /იმ ტელიგენ-ციის დელეგაციები, როცა ისინი ხელისუფლებასთან მიღიოდენ, საბჭოთა ყრილობებზე გამოდიოდენ, წუმარეჭანაში ბეჭდივ-დენ? განა ასეთი „ზრახვებით“ ხელმძღვანელობდენ კურთხულებან ელობენ საბჭოთა ინტელიგენტები, რომლებიც პრაქტიკულად ჩამული არიან საბჭოთა აღმშენებლობაში და ძალიან ხშირად პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას?

არა, აქ, საბედნიეროთ, საქმე გვაქვს პეტრე სამსონიძის ავადმყოფურ ტვი-ნის ტრიტინთან, ბართლაც ბლინძურ შემოქმედებასთან და არა ფაქტთან, რეალობასთან, საბჭოთა სინამდვილესთან. სამსონიძის ასეთი „გამოსცელა“ გაგიუ-ბულის უცენშეურო ბოდვაა და მას არავინ გაამართლებს, ვარდა დამცავე-ბულ მენშევიკის და გაუსწორებელ რეაქციონერის. ეს მოთხრობაც რეაქციო-ნურია, მენშევიკური, შავრაზმული... სწორედ ამას ჰქვია წყლის დასხმა მენშევი-მის წისქვილზე. როგორ დაიბეჭდა ეს პროკლამაცია—პროვოკაცია, ვინ წა-კითხა ის? ნუ თუ არ არის უბრალო კონტროლი მაინც ისეთ ნაწარ-მოებზე, რომელიც აბსოლიუტურად უვიც და უპასუხისმგე-ბლო კალმით იჯღაბნება? საინტერესოა ამ კითხვაზე პასუხის მიღება. „პროლეტარული მწერლობა“ „ბრძოლა“ არ არის და პროლეტარული პოეტი-შალვა ქარუმიძე...

მოთხრობის შხატვრულ ღირსებაზე თვით ავტორის გაუგონარი ჩიქოროუ-ლი მეტყველებს. მოეიყვან ზოგიერთ ადგილს:

ყველა ეს ცერემონიები შეასრულეს რა სათითაოდ ყველა შესულმა...

ის არას დროს არ დაეთანხმებოდა მაჟე რომ...

მართლა არ ყოფილა ეს ბოლშევიკები მხეცები...

მას ეხლა გონია თითქოს ეს ხალხი თავის მხიარულ სიცალ-ჩარჩარით მის გულზე დაჯირგალობს და აწევთებს შიგ შხამებს იმისას, რომ ის ცრუ და შერცხვენილი არის ..

რა გასაკვირია, რომ ყველა ამაებს მეც ჩავეხვიე და ვავეხვიე თავის ბაზეში...

ოქვენ ჩემიკენ იბრუნეთ პირი...

მხუტვალე კოცნებს ჩაერია ქალის ოდნავი ამოკვნესანი და ხშირი სუნთქ-ვაში...

და სხვა.

აი, თუ გნებავთ, „შხატვრული“ ადგილებიც:

... ჩან შარვლის ზევით აწევით და სან კიდევ სათვალეების ცენტრიდან მოხსნით, რის შემდეგ სინათლისაგან თავბრუ დასხმულ ბუსავით, აქციოტავდა თვალებს, ფრთებ ჩამოარიოლ და დესტ მოტეხილ მამალივით დაბორიალებდა შენს გარშემო და მებურულულებოდა რაღაცეებს...

ან კიდევ:

... პოლკოვნიკი წუმარელასავით დაეწაფა ჩემს ვნებებს და ჩემი დედაკაცო-ბაც საესებით დაიპურო და დაიოკა მან. მე არ ვხელავდი არავის ირგვლივ მის გარდა, ჩემს გარდა და აგრეთვე კიდევ ბლინძა ყვირილაძის გარდა...

ერთი კიდევ, სშვათა შორის:

...მიტაცებდა შენი ლორთხვო ტან-ს ნაში და მეუბლეები რჩევანი... და როცა ის თვალები მომაპყარ მე, მე მიუხვდი, თუ როგორ იყავ მოპესრებული შენ იმ გამოყენებულ პროცესორის გაშო..

ასეთი „მხატვრული“ და „დაზვეშილი“ აღგილების ძალზე ჰევრია პეტრე
სამსონიძის „ბლინძაში“... უკრაინული

არაფერს ვიტყოდი, მარტო საშინიძის ბლინძურ, ხალტუნიშვილი, შემოქმედებული გვერდების საქმე. სამწუხარო ისაა, რომ მთელი უცრნალი და ავა-
დებულია ქართული ენის წარმოუდგენელი დამახინჯებით.
მას აქვე დავინახავთ.

ს. ჯავშანიძის მოთხრობა „პირველი ტრაქტორი“ კარგად იწყება. მოთხრობა დასრულებული არაა და იდეოლოგიური თვალსაზრისით მის სისწა- რებე ნააღრევად შიშაჩინია ლაპარაკი. ენა მშრალია, მაგრამ მაინც არა უშავს— საშონიძესთან შედარებით! ამ მოთხრობაშიაც ბლომად შეგხვდებათ ვამოთქმები:

ඒය නිසා තැබුණු, සෑ

କେବଳ ଶିଖାରୀଙ୍କ ମାନ୍ୟଦେଶ ଏବଂ ପାଞ୍ଜାବ

ମହାଶ୍ରଦ୍ଧା ମୁଦ୍ରାକାରୀ ପାଇଁ ଏହାର ଅନ୍ତର୍ଭାବ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀଙ୍କରି
ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀଙ୍କରି

თაყაც ღიმის მიუჩვენელ სახიდან გაიღონა....

226 b.

კრიტიკული ნოტისა ყოველგვარ კრიტიკის გარეშე სდგას. აქ საგანიცი კი არაა საუბრის, მით უმეტეს—კრიტიკის. მოწინავე წერილი, მკონი, შეეხება პროლეტარულ შეერალთა საკავშირო ყრილობას. წერილში აზრი არაა მკითხველმა რომ დაიმასსოფროს. ანდა როგორ შეიძლება აზრი იყოს, როცა აზრის ვამოსათქმელი ძირითადი იარაღი—ენა—დამახინჯებულია უმოწყალოდ? ვერაფერი გავიგე ამ წერილის, რადგან ის ქართულად ირაა დაწერილი. გადაჭარბებათ ნუ მოგვეჩვენება, ციტატებს მოვიყვან:

ზოგიერთნი ერთგულად იღწვოდენ პარტიის ხაზის გადამახდნებელისათვის...

„ამ საკითხთან დაკავშირებული იქნა პროლეტარულ მწერლობის ზრდის პირობების გარკვევა სხვა და სხვა ეროვნებათა ცხოვრებაში, მათი ურთი-ერთობის, ნაციონალური კულტურის სისტემაში, ასოციაციის ღრგანიზაციული მშენებლობა და სხვა... დელეგატების შორის დავა არ არსებობდა... ძირითადში ნაციონალური საკითხი გადაწყვეტილი იყო.

ეს უურნალის შეორე გვერდზე, მე-3 გვერდი თავიდან ბოლომდის აპტა-
ჟეტაა და მთელი გვერდის ამოწერა განა შეიძლება? ასეთივეა შეოთხე და მე-
ხუთე გვერდიც, ე. ი. მთელი წერილი. შაგალითად:

პროლეტარული მწერლობის ხოდა დაკავშირებულია და დამოკიდებულია მკითხველის დაფულობაზე, როგორც ამს: კრინიცკი მიუთითებდა ყრილობაზე...

მოსმენალ იქნა სპეციალური მთხვენება ამშ. ლურჯარსკის მარქსისტული კრიტიკის ამოცანების შესახებ...

გაზეთ „Читатель и писатель“-ის მიერ მეშჩანობისა და ობივატელობის
ნიშნით წარმოებულმა მეშჩანობის კამპანიამ, ლიკვიდაცია უქნა თავის თავს...

ՀՐԱՄԱՆԾԱԿՑՈՒԹՅԱՆ ԽԵՂԱՔՆԵՐԸ ԱՐՏՎԱԿԱՐԱԿԱՆ ԱՐՏՎԱԿԱՐԱԿԱՆ ԽԵՂԱՔՆԵՐԸ

დამოუკიდებელ პოლიტიკურ-ლიტერატურული მიმართვებით... ძირითადათ მიმინია სწავლისა შემოქმედებისა და თვითკრიტიკის გაძლიერებული ენერგიით განხორციელება...

იწყება მეორე, კიდევ უფრო რთული და საპასუხისმგებელი მონაბა, ლენინურ კულტურულ რეფოლიტიკის მიმდინარეობაში...

ჩეენი ურნალის უახლოეს ნომრებში,—განსილული წერტა, შემოქმედებით საკითხები—პირველ საკავშირო ცრილობაზე ...

აქ ყველაფერია, ქართულის გარდა. მთლიანი შთაბეჭდილების შილების მიზნით მყითხველს ვურჩევ წაკითხოს ეს „წერილი“, რასიკვირველია, თუ ექნება ხალისი და, რაც მთავარია—მოთმინება.

მოწინავეს „სტილზეა“ დაწერილი ალექსანდრე სულავას კრიტიკული წერილი „მაქსიმ გორევი“. გარდა იმისა, რომ აქ ქართული ენა ჯვარზეა გაკრული, ასრთა სრული დომხალია და, სიმართლეს უნდა ითქვას, მოთმინება ვერ მეყოდა წერილის მხოლოდ დასაწყისი და დასასრული წავიკითხე, — დიდის წევალებით, რასაკვირველია...

დასაწყისი:

დაწყებული ამა. ლენინის ავტორიტეტით და გათავებული მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ისეთი წარმომადგენლებით, როგორც იყვნენ (დახურებული თვალი და იტაქტო, ცინ იქნება ამ „გათავებულებს“ შორის? გ. მ-ლი). ...პლეზანოვი და ეროვნის ის ახრს გამოსთხვამენ მაქსიმგორგის შესახებ, რომ ის პროლეტარიკოს დიდი მხატვარია, პროლეტარული წელოვნების დიდი წარმომადგენელი. რაც, რასაკვირველია, იმას არ ხიშნავს, რომ ისინი გორგის შემთხვედებას კრიტიკულად არ უდგებოდენ იქ, სადაც გორგი უშვებდა საფრძნობ იღებალეკიურ შეცდომებს, რითაც ამ შემთხვევაში გამოხატავდა წვრილ ბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ იდეას...

და მთელი გვერდი გადაჭრელებულია ასეთი ატდა-უბდით...

დასასრული:

გთრებს სახელს, ხომ დიდი პატივისცემით იქსენიებენ მთელი რიგი ისეთი მწერლები, როგორიც არიან... (აბა, ვინ, თუ მიხვდები მყითხველო? გ. მ-ლი) გლადკოვი, ივანოვი, ბაბელი, ფერინი, ტრენიევი, (პიესა, „Любовь Ировая“-ს ავტორი) და სხვა მრავალი, რაც (პოი, ურევრებავ! გ. მ.) ...გორგის კაცომლუგარეობა— და ღრმა გუმარისმა მიეწერება.

წერტილი.

მკითხველი თუ არა, ქალალდი მაინც შევიბრალოთ! ნურც სახელგამის ბარების პატივისცემაც დაგვავიწყდება...

ამა. შალვა რადიანის წერილი სანდრო ეულზე შეკოლურ ხასიათს ატარებს. კრიტიკოსის მაგარი ხელი და კალმის სიმარტე არ სჩანს აქ. ლექსების კრებულის ჩვეულებრივი ელემენტარული განხილვაა, თან ტენდენციური. უფრო სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს ინფორმაცია აა სანდრო ეულის შემოქმედების შესახებ. არც მეტი და არც ნაკლები. შ. რადიანის წერა ეხერხება, მაგრამ ცუდია. როცა კრიტიკოსი მავალი დასრიალებს წყლის შედაპირზე და არ სცდილობს სილრმეში ჩაწედენას. შ. რადიანის თითქმის ყველა კრიტიკულ წერილს ახასიათებს ეს უარყოფითი თვი-

სეპა. საჭიროა შეტი კითხვა, სისტემატიური მუშაობა, ერუდიციით დამძიმება და იღვილი გახდება კრიტიკის სიღრმეში ჩაძირვა. ბევრი კითხვა/საეთლდებულო არ არის ბელეტრისტისა და პოეტისათვის. მათთვის საჭიროა ცხოვრებიდან მიღებული მდგრარი გამოკიდილება, დაკურევება, შეგრძნება/ მოვლენების. კრიტიკოსისათვის ესეც საჭიროა, რაც—თეორეტიული და ფილოსოფიული განვითარება, მარქსისტული განათლება და გამახვილებული ჰქონის შემსრულებელი გულშროველად ვურჩევ ზაღვა რაღიანს დაადგეს ამ გზას.

III

ასეთი „პროლეტარული მწერლობა“, საჭიროველოს პროლეტარული მწერლობის ასოციაციის ორგანო. არ იყიდებდა კალამს, რომ ეს ნომერი იშვიათ გამონაკლის შეადგენდეს და არ გამოხატავდეს პროლეტარულ მწერლობის „განვითარების“: საერთო დონეს, უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით ეინც თვალ-ყურს აღევნებს და დროგამოშვებით მაინც კითხულობს „პროლეტარულ მწერლობას“, სავსებით დამეთანხმება, რომ არ ვაჭარბებ სრულებით ურნილის ზოგიერთი წინა ნომერი გაცემულებით უცრო სუსტია, უშინაარსო,— იმდენად სუსტი, რომ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნასაც ვერ გაიმეტებს საქმიანი კრიტიკა. ეს მოწმობს იმას, რომ იდეოლოგიურ ბრძოლის ერთ ფრთხოები პოზიციები არც ისეა განაგრებული, როგორც გვეჩვენები ხშირია.

ჩემის აზრით, საჭიროა და აუცილებელი რადიკალური ზომების მიღება „პროლეტარულ მწერლობის“ და, საერთოდ, პროლეტარულ მწერლობის გაჯანსაღებისათვის. მუშაობის ცენტრი შემოქმედებების მხატვრულ და იდეოლოგიურ სისწორეზე უნდა გადავიწანოთ. გაცილებით ნეტი ყურადღება უნდა მივიქცეოთ „სწავლისა და შემოქმედების“ საკითხს, ვინემ ლიტერატურულ ცხოვრების ორგანიზაციულ „დაფლობას“. ასეთია პარტიის ხაზი პროლეტარულ, საერთოთ— ხატვრულ ლიტერატურაში, პარტიულ პოლიტიკის სწორი ხაზის ტეხილებათ გადაქცევა უსათუოდ აგვაცდენს პროლეტარულ მწერლობის განვითარების გზას და გამოუვალ კრიზისში მოგვაქცევს.

ვფიქრობ, ჯერ კიდევ შორსა ეართ მხატვრულ ლიტერატურაში საღ კონკურენციის უარყოფისგან. ამ კონკურენციის უარყოფა ლოლიკურად უდრის თვით პროლეტარულ მწერლობის ზრდისა და დავაუკაცების აუცილებელ პირობის ლიკვალაციას...

კერძოთ, „პროლეტარულ მწერლობის“ გასაუმჯობესებლად საჭიროა უსათუოდ:

ქართული ენის დაცვა ბარბაროსულ დაშახინჯების აგან. მოხარდ თაობას დამახინჯებული ქართულით ვერ ივლზრდით, თვით უურნალს—და მთელ პროლეტარულ მწერლობას—დაეკარგება ყოველგვარი ივრორიტეტი.

მეტი კონტროლი და ყურიდლება უნდა მიექცეს კურნალში მოსათავსებელ მასალის შერჩევას, როგორც ახორციელ, ისე იდეოლოგიურ თვალსაზრისით.

ამიტომ სიკირო და იუცილებელი გამოიწვია რედაქტორი ხელმძღვანელობდეს ურნალის მიღებულისადან.

მიღებულ უნდა იქნეს ზომები პროლეტარულ მწერლისა, მხედვრულ კვლიფიკაციის „ასაწევად, კულტურულ დონის ასამაღლებლად.

და, რაც მთავარია, პროლეტარულ მწერლობიზი გადალერებულ უნდა იქნეს პარტიული ხელმძღვანელობა.

ეს საკითხი საკავშირო მაშტაბითაა დღეს დასმული. უურნალ Революция и культура-ს №-11 №-ში დაიბეჭდა ამბ. გ. სევომბოვის მეტი საუკრადლებო წერილი: Творческие пути пролетарской литературы на съезде ВАППа

უურნევ პროლეტარულ მწერლებს წაიკითხონ ეს წერილი, ხოლო „პროლეტარულ მწერლობას“—გადმობეჭდოს ის.

ივტორი აუნებს თუ დებულებას, რომელსაც სავსებით იზიარებს Революция и культура-ს რედაქცია:

1. Партия должна всерьез взяться за действительное систематическое руководство пролетарским крылом литературы и его организациями.

2. Критикам и художникам из лагера пролетарской литературы надо не на словах, а на деле, всерьез и основательно взяться за изучение теории марксизма, начиная с философии и кончая эстетикой.

Иначе они будут захлестнуты своей же электрической болтовней и не сумеют отвечать задачам возросшей и усложнившейся борьбы за действительную гегемонию пролетарской литературы.

Революция и Культура-ს რედაქცია სავსებით სწორად აუნებს საკითხს და თუ რუსეთის პროლეტარულ კრიტიკოსებს და მწერლებს აქლიათ первоначальный минимум марксистской грамотности, როგორც სიტუა-სიტუაცია ნათებამია ამ უურნალში,—მით უფრო ჩვენშია საჭირო ურადლების გამახვილება პროლეტარულ მწერლობის გაჯანსაღების. კულტურულ დონის ამაღლების და ხელმძღვანელობის საქმეში.

სხვა გზით არაფური გამოვა, სრულებით არაფერი...



ქართული პროლეტარული მწერლობა

I

ჩა მიიღო ძართულმა პროლეტარულმა მფარდობამ სამკვიდროდ ზარ-
სულისაგან *).

ამბობენ — ფრანგული ენა პოეტურია, ნიშეცური განცენებული აზროვნების, ხოლო ინგლისური პრაქტიკული საქმიანობისო და სხვა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოეზია გარდა ფრანგულისა სხვა ენაზე შესაძლებელი არ იყოს. ყვავიც თავის ხშანე გალობს, მაგრამ ბულბულის „სტვენასთან“ მისი „ჩხავილი“ რა შესაღარებელია?!

ენის თავისებურებაზე პოეზიის ძლიერება და ელფერიც დიდათ არის და-
მოკიდებული. ამიტომ ქართველი პროლეტერლისთვის ქართული ენის თავი-
სებურება საყურადღებო პრობლემას წარმოადგენს.

პირველი სამკვიდრო, რაც ქართველმა პროლეტერალმა წარსული-
სგან მიიღო სწორეთ ეს ქართული ენაა, და პირველი კითხვა, რომელიც ამის
გამო იჭრება, მდგომარეობს იმაში რომ გამორკეულ იქნას, თუ რა მდენი დ
მხატვრულია ეს ენა?

ამასთან არა ნაკლებ საყურადღებოა ის გარემოებაც თუ რამდენად ისტო-
რიულია და ტრადიციული ქართული პოეზია.

პირველ კითხვაზე ქართული ენის და ხელოვნების მცოდნენი, კრიტიკოსი
და მეცნიერნი ერთხმათ გვიპასუხებენ, რომ ქართული ენის თავისებურება სწო-
რეთ მის მუსიკალობაში და მის შხატვრულ თეისებეპზი შდგომარეობს.

რაც შეეხება მეორე საკითხს, ამაზე გარკვეულ პასუხს გვაძლევს ახალი
ლინგვისტური ოეორია.

„იაფეტური თეორიის“ ავტორი, აკადემიკოსი ნიკო შარი თავის დიდათ
მხიშენელოვან სტატიაში — „ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიე-
რების მიხედვით“ (დაიბეჭდა ეურნალ „მნათობში“ 1925 წლის მე-4 და 5—6

*) აკტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „პროლეტერლობის გამეოთარების თვალსაზრისით“ „ერისაზრებას მოტივი“ „მეტად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს“ და ქართულ პროლეტარულ მწერლობისაოვის „აუცილებელია „კლასიკური“ ქართული მწერლობის ის მატილი, რომლის „შინაარს“ შეადგენს ერთვაული იდეა“ — არ ვიზიარებთ სრულებით.

№-ბში) პირდაპირ გამეცულათ და გადაჭრით ამბობს: „შაირობა გახლდათ გარკვეული ნათესავის ან გარკვეული თესლის განსაკუთრებითი ხელობა. მოგეხსენებით ხევა და სხვა ქართველ ნათესავების — კახ, იმერ, შესხვა ქართლელის თვისების ლექსით დახასიათება ძეელ მწერლობაშიაც ცნობილი რაჭველების მესტვირეობა ზოგს თქვენგანს უნდა მოგაცონდეს (იხ. 313 გვ.)“.

ქვევით ავტორი ლინგვისტურ ანალიზს უკეთებს ქართული კატეტების, ლექსის, და დასკვნის: „ქართული, ლესკური“ ან „ლეკური“ — იარაღი და ლეკური — ცეკვა. ცეკვა, სიმღერა, მუსიკა პოეზია, საზოგადო მოლხენა-თამაში განუყოფელ ერთეულს „შეადგენდა ისტორიის წინადსწრობილ ხანებში და ჩვენ, მე კარიერები ეცდებოდი, რომ აქედამე არ ვაწარმოებდით ქართულ „ლექსს“... (იგივე) შეაძნელი სიტყვა არაფერს შეუაშია ჩვენი ლექსის წარმოშობაში, არც ნიშნავს ბერძნული „ლექსი“ შაირს ან ლექსს. ქართული „ლექსი“ ნამდვილი იაფეტიური (ნათესავის) ტერმინია, როგორც გალობის ფუძე, და მკვიდრის სიტყვა გახლავს ილმათ ალესკი“, რა ვარ სახით შემოწმებულ არის ეს სიტყვა ზოგ კილოკაურ ზეპირთქმულ შაირებში“. (იხ. 326—27 გვ.).

ამრიგად მარის გამოკვლევით იაფეტურ მოდგმის გვარტომთა შორის პირვენდელ ქართველების განსაკუთრებულ „ხელობას“ მელექსეობა თუ მოშაირეთ ბა შეადგინდა. ეს იყო პრეისტორიული ეპოქის და ისტორიის საზღვრებზე, როცა ქართველთა გვარტომები საქართველოს საზღვრებში ჯერ კიდევ არ ცვლინ შემოსულნი.

ნიკო მარის გამოკვლევა კიდევ უფრო შორის მიღის და მეტათ შორეულ გამაერთიანებელ პერსპექტივას წარმოგვიდგენს, სახელდობრ მას, რომ საშუალო საუკუნეების ეპოქის ეპოქა და ძველი სპარსეთისას ერთი ძირი, ერთი სათავე იქვე, ეს არის ძველი პრეისტორიული მითიურ-ზღაპრული ეპოქა, რომლის შემქმედათ იაფეტური მოდგმის ძველის ძველი კულტურული ხალხები უნდა ჩაითვალონ; და ამ ხალხთა შორის მეცნიერელი ლიტებულება მხოლოდ ქართველ ხალხს და მის უნას, სიტყვიერებას ენიჭება, რადგან მხოლოდ ამ ენის და სიტყვიერების შესწავლის შესაძლებლობა არსებობს დღეს ქვეყნათ. იმ ძველის ძველ იაფეტური მოდგმის ხალხთაგან მხოლოდ ქართველი ხალხი და მისი სიტყვიერება სამუდამოთ დაღუპვას გადარჩენილი.

სხვათა შორის ნიკო მარი ამტკიცებს: „ფრანგული-ირლანდიურ-ინგლისური“ „ისოლდე და ტრისტანი“ ან როგორც გერონტი ქიქოძე სთარგმნის ტრისტანი და იზოლდა და სპარსული „ვისრამიანი“ ორივე იაფეტური ეპოქის იაფეტური პოეზიის წარმონაშობი ზღაპარი, ჯერ კიდევ ისტორიულ დროზე წინ დასწრებულ ხანებიდან მომდინარე თქმულება გახლავს“, რომლებიც გერცელებული იყო იაფეტური მოდგმის ყველა გვარ-ტომთა შორის და განსაკუთრებით ქართველ-გვარ-ტომებში.

ეს უკანასკნელი კი, მარის სიტყვით, „წმინდა შეურყვნელი იაფეტური ნათესავი ბრძანდება, რომელს დღემდის მოუტანია ფასდაუდებელი მოწმობა კაცობრიობის პირვანდელი რწმენა-განათლების და ენის შესახებ თავისი ცოც-

ხალი ენითაც და ზეპირ მეტყველებითაც". (ის. იქვე გვ. 327. ქურნ. „მნიშვნელობი" № 5—6).

ამრიგოდ ირკევება, რომ მთელი კაცობრიობის პოეზიის სათავე, საიდანაც ისე უსვათ და მრავალფეროვნათ წარმომდინარებენ სიტყვიერი ჩატარებულებების სხვა და სხვა ნაკადულები, ქართული ენის ბუნების წიაღიძიან არის წარმომარშობა: პარენდელი ზღაპრული მითი და ეპოსი ამ ენაზე გაჩენილა ტარტის უადრესამდე — „ვეფხის ტყაოსნანდე" განვითარებულა.

აქედან ეს ენა ის უმნიშვნელოვანესი განძაა და უპირველესი სამკვადროა, რომელსაც ქართველი პროლეტმწერიალი თავის მხატვრულ-იდეოლოგიური ნიშან-დანი შეიულების მისაღწევათ ნაყოფიერათ იყენებს.

აქ კითხვა დგება: როგორაა შესაძლებელი და საჭირო, მან ეს ენა გამოიყონს? „ცურულისტი ზაუმნიკები", მაგალითად, იმ აზრის, არიან, რომ მწერალის სრულიად ახალი სიტყვა უნდა შექმნას არსებულ ბერებიზან, მარცვლებისან და უკანასკნელ, ძველ ძარებიდან; დანარჩენი ენაში — ეტიმოლოგია, სინტაქსი და მთლიანი სიტყვებიც კი უნდა შეიცვალოს და ეს ცვლილება თავისი ინიციატივით და პირადი შემოქმედებით უნდა მოახდინოს პოეტია. ამ მიზნით რეს-მწერლებმა ამ რამდენიმე წლის წინეთ მთელი „საზოგადოება" შეადგინეს „აპოიაზის" სახელწოდებით, მთელი შექმნეს ეგრევნ წოდებული „ზაუმნიკების". მათ ამ „საქმიანობას" ახალ ხელობას თუ ხელოვნებას ახალი სახელიც გამოუქვებნენ: «Словотворчество» (სიტყვათქმებოდა), გამოკვანეს ახალი ეტიმოლოგია და ახალი სინტაქსი.

ასეთ გხეას ხომ არ უნდა გამჟყვეს პროლეტ-მწერალი?

— არა, პროლეტმწერალი, როგორც პროლეტკულტურის ერთ-ერთი დარგის წარმომადგენელ-შემოქმედი, ზუსტ შეცნიერების ემყარება, მასვან გაკაფულ გზას და მის დირექტივას ვერ გადასცლება. ჩას ეუბნება მას წამოყენებულ საკითხებზე შეცნიერება?

— კაცთა პირვინდელი საზოგადოებრივ-კულტურული მიღწევა ენის უქმნაში მდგომარეობდა, და ასეთი შემოქმედების პროცესი პარეელ საფეხურებზე თითქმის სრულიად სტიქიურ-შეუკნებელი იყო, ცნობიერების გარეშე ხდებოდა. მაგრამ რამდენადაც ადამიანს ვონიერებაც, ცნობიერების ძალაც უჩნდებოდა და უნვითარდებოდა, იმდენათ მას სიტყვების შექმნაში და მათ დარაგებაში ცნობიერების ელემენტიც შექმნდა, ე. ი. ენის შექმნაში, განსაკუთრებით ცნებათა გამომხატველ სიცვოლების (სიტყვების) შექმნაში და მათ მწყობრად დალაგებაში, „დანაწევრებაში", როგორც ლინგვისტები ამბობენ, ცნობიერებაც სულ უფრო და უფრო ეტ მონაწილეობას იღებდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სიტყვის მხატვრული ნაწილის შექმნაში კიდევ უფრო ნაკლებ მონაწილეობას იღებდა ცნობიერება, ის უფრო სტიქიური იყო. ახალი ენის შექმნის პროცესს დღემდე სწორეთ ეს სტიქიურობა ახასიათებს და არც არის საბუთი ვიფიქროთ, რუმ ის ამ სტიქიურობისაგან მანამ განთავისუფლდება, ვიდრე მისი საზოგადოებრივი სტრუქტურა და მასზე აგებული მისი ფსიქიკა ძირითად არ შეცვლილა.

სწორეთ ამით აიხსნება ის, რომ დღემდე მსოფლიოში ცნობილმა „მეცნიერებმა“ ვერ შეჰქმნეს ერთი საერთაშორისო საყოველთაო ენა.

ცნობილია: ვერც „ვოლაპიუკი“ და ვერც „ესპერანტო“ (გამოვლინებული ენებია) დღემდე ვიწრო ჯგუფებსა და წრეებს ვერ გაშორდა, რაუმცა ჩაუკუნოებზე მეტია, რაც ეს უსაქმე „წამოიწყეს. ეს იმას ამტკიცებს, კურისტულობრივით, „გამოგონებით“ ენა არ შეიძმნება. ის დღესაც სტიქიურ წრელებულება და იქმნება. მაშასადამე პროლეტერალი ეცნობა რა ენის შექმნის პროცესის კანონებს, ანგარიშს უწევს მას როგორც აუცილებელს და თავისი ინიციატივით ერევა ამ პროცესში, როგორც ახალი ძალა და რამდენადაც შესაძლებელია ცდილობს ახალი პირობებისა და სიჭიროებების შეფარდებით შექმნას ახალი სიტყვები, ახალი გამოთქმები და ახალი წესითა და სისტემით დაალაგოს „დაანაწევროს“ ეს სიტყვები და ეს გამოთქმები, ე. ი. შექმნას ახალი სინტაქსი, ენის ახალი სტილი.

ენამ, უკეთ—სტალინი, უნდა უაღრესით შესძლოს მსმენელის ემოციონალური ბუნების აღძვრა, მასში სასურველ გრძნობების გამოწვევა და ამ გრძნობებთან დაკავშირებული აზრების, იდეების შეგნებაც.

აქ სტირდება მწერალს-ხელოვანს მთელი თავისი ოსტატობის და ხერხის გამოჩენა: ერთი მხრით შან ანგარიში უნდა გაუწიოს იმ ენის ბუნებას, განვითარების კანონებს, რომელზედაც სტერს, ხოლო მეორე მხრით, ნებრით მასის იმ ენასაც—რომელსაც ეს მასსა „ხმარობას“. ხშირია ამ მასის ენი „დამახინჯებულია“, იგი ენას კი არა, უგრეთ წოდებულ „უარგონს“ წარმოადგენს, რომელზედაც, მართალია, არც ერთი მაღალი გრძნობა-იდეის გამოხატვა აღარ შეიძლება, ვიდრე ის „უარგონია“, მაგრამ ეს ეარგონი „იმავე დროს ჩინასახია იმ ახალი ენის, რომელიც შემდეგში უნდა განკითარდეს. არ უნდა დავივიწყოთ ის გადამჭრელი გარემოებაც, რომ მასსა თვითონ არის მთავარი შემომწედი ამ ენის, თუმცა შეგნებული გზით კი არა. არამედ სტიქიურათ. ხომ მრავალია იმის მაგალითები, რომ თვითონ მწერლობა სარგებლობს „ხალხური ენით“, რომლიდან მას, ნისიერ იღვიარებით, მრავალი „შარგალიტები“ ამოაქვს.

ამ რიგად, როგორც ირკვევა, ცოცხალ ადგილობრივ და თანამედროვე ენის შემომქმედი ორთ ძალაა: ერთი მხრით მწერლის შეგნებული შემოქმედება, ხოლო მეორე მხრით თვითონ მწრობელი მასის ამ ენის შემუშავებაში მონაწილეობა, ე. ი. შეუგნებელი პროცესი.

განსხვავება ამ ორ ძალის, უკეთ—ამ ორ პროცესს შორის, მდგომარეობს იმაში, რომ უკანასკნელი, ე. ი. მშრომელი მასსა ამ პროცესში შეუგნებლათ და შეუბრძოლებლათ ექვემდებარება ყოველ გარეშე გავლენას—ჩვეულებრივ ცხოვრების უკონომიურ პირობებს,—პროცესიურ საჭიროებას, აზრისა და გრძნობის გამოთქმის „ეკონომიის“, საერთოდ კი გავლენას—უცხო ენისას.

მწერალი კი ხელოვნურ შერჩევის შეტოდს ადგია და ენის ღებულობა მთლიანათ შისი წარსულით და აწმუნოთ, სიძეელით და სიახლით და ამ მთლიან

მასალიდან შერჩევის კანონის თანახმათ პქმნის დროისა და საჭიროების შესაფერ ენას.

აქ მთავარი საზომი, და თვალსაზრისი მღვიმებრეობს შხოლოდ /იშაში,
რომ ახალ აზრსა და გრძნობას მოენახოს უფრო შესაფერი ფორმა—~~სიტყვა~~ და
ამ სიტყვების უფრო შესაფერი მწყობრი დალაგება. სულეიმანი და ქალი
იქნება ეს ფორმა—სიტყვა, ეს დალაგება, მასის მიერ ახლოდ შეიძირებული
მწერლის მიერ სრულიად ახლათ „შედგენილი“.

თავი და თავი ისაა, რომ ეს ახლად შექმნილი ფორმა.—სიტყვა, გამოთქმა
და სიტყვათა დალაგება კარგათ (ნათლათ) ხატავდეს ახალ აზრსა და
გრძნობას.

მეორე საშკვიდრო თვით ამ ენაზე შექმნილი ხალხური ჰე-პირსი ტყვიერება. ის ხალხური ხეპირსიტყვიერება, რომელსაც საზოგადოების კლასიურად დაყოფის ბეჭედი აზის და უმთავრესათ გაბატონებული წოდების ან კლასის იდეოლოგიას ატარებს, პროლეტმწერლისთვის ნაკლებათ სიჭრალებოც არის და ნაკლებათ გამოსაყენებელიც.

უალრესათ საყურადღებოა ძველის-ძველი, პრეისტორიულ ეპოქაში შექმნილი ხალხური ზეპირსიტყვიერება, რაღაც ის პირვანდელი კოლექტივის უალრესად გამომზარდებოდა.

საერთოთ ასეთი სიტყვიერების ნარჩენები—ნაშთები ჯერ-ჯერობით მეტათ მცირეა: არაა ჯერ კიდევ იღმოჩენილი. განსაკუთრებით მწირია ეს მასალა ქართულ ენაზე, მაშინ როდესაც, როგორც მარის იაფეტიური თეორია კვიმტკიცებს, ამ მასალას მსოფლიო მნიშვნელობა ეძლევა.

ამის მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა აკადემიკოსის, ნიკო შარის შიერ აღნიშნული ის იაფეტიური, ანუ ქართული „ზღაპარ-თქმულება“, რომლიდანაც წარმოიშვა ისე შხატვრულათ გადაშლილ-გადაუურჩევილი „ეპოსი“, უკეთ— „ეროსი“, რაც ეცროპიელმა კულტებმა ერთ დროს „ტრისტანის და იზოლდას“ სიყვარულის აბბების თხრობაში გამოხატეს, ხოლო ძველმა კულტურულმა ხალხ-მა ს პარსებმა „ვისისა და რაშინის“ თავგადასავალში.

რაში მდგომარეობს ამ პირვენული ქართული „ხლაპარ-თქმულების“ შინაარსი, სამწუხაროთ, დღეს ჩვენ ჯერ არ ვიცით, მაგრამ საძაგიეროთ აქე-დან განვითარებული ფორმის ერთსიები აზიისა და ევროპის მსგავსთა ქართვე-ლებსაც აქვთ. ეს არის ხალხში და მწიგნობრობაში მეტად გავრცელებულია „ეთერისა და აბესალომის“ სიყვარულის ამბები.

„აბესალომ და ეთერიო,—ამბობს დლეს ჩვენი გლეხყაცობა—
„ღმერთმა შეჰქარი ერთფერიო“.

მაგრამ როგორც ამ გამოთქმაში ღმერთის ხსენება ისე აბესალომის შეფური შთამომავლობა მოწმობენ იმას, რომ ეს მითი პრეისტორიულ ეპოქაში კი არ არის შეცვენილი, არამედ ეგრეთ წოდებულ „გმირთა ხანაში“, ანუ პატრიარქილურ გარეამავალ ხანაში.

ამ რიგათ პირვენდელ კოლექტივიზმის ეპოქიდან ჩვენ ხალხური საფერხუ-
ლო სიმღერების მეტი არა მოგვეპოვება რა.

სამაგიეროთ ქართული ზეპირსიტყვიერებაც და მწივნობრულიც მეტათ მღიდარია ვმირთა ხანის, პატრიარქალური ეპოქის ვაშომხატვები მხატვრულ-სიტყვიერი ქმნილებებით.

ასეთია მრავალნაირი ვერსიის თქმულებები ამირან ჰელი-ძეელის-ძეელი ქართული ეპოსის ნიმუში—„ამირან დაჩეჯანიანი“¹, მოსი ხონელისა, არის მსგავსივე ზღაპრები დევებზე, „ლმერითქალზე“—ლარიზე, ლარიზე, და სხვ. ცხადია, ქართული თქმულება—მითი ამირანზე ბერძნულ „პრომეთეს“ ვერ შეედრება თავისი მსოფლ-მოცულობით, იდეური სირთულით და ფინტაზიის გაშლით, მაგრამ აქ, ამ ქართულ ზეპირ ნაწარმოებში აღსანიშნავია ორი მხარე: პირველი ის, რომ ქართული მითი წარმოადგენს ილმოსავლეთისა და დასაელეთის კულტურულ ელემენტების შედულებას, ხოლო მეორე მდგომიარეობს იმაში, რომ ქართველი ამირანი უფრო ძლაშიანური, მიწიერი „გმირია“ და არა „შეციერია“ და „დვითაებრივი“, ამასთან „პრომეთესთან“ შედარებით უფრო შეურიგებელი მებრძოლიცაა.

როგორც სჩანს, გმირულ ეპოსში კოლექტივიზმის ბევრი არაფერია დარჩენილი.

მივმართოთ ისევ საფერხულო სიმღერებს. მართალია, წმინდა პირვანდელი სიხით არც აქ არის მოცემული ზეპირსიტყვიერება, მაგრამ ქართველ პროლეტ-მწერალს საშუალება აქვს მარის თქმისა არ იყოს, ერთგვარი სიტყვა-თქმულებათა არქეოლოგიური „გათხრა“ აწარმოვოს და ხალხურ ძეელის-ძველ ზეპირსიტყვიერებაში ბევრი მხატვრულ-კოლექტივისტური „მარგალიტებია“ გამონახოს.

ამ შერით დიდ შესაძლებლობას იძლევა ქართველთა ძველის-ძეელი გვარ-ტომის სვანების ზეპირსიტყვიერება, იმ სვანების, რომლებსაც სამი ათასი წლის წინათ მესომატანიაში უცხოვრიათ, ამ 2500 წლის წინათ ვანის ტბის პირას დასახლებულებნ და შემდეგ მცირე აზიის—ტრაპიზონის გზით (ეგნატე გამლიანის გამოკვლევით. ნახ. მისი წიგნი, 1925 წელს, სახელგამის გამოცემა სახელწოდებით: „ძეელი და ახალი სვანეთი“) ჯერ ფაზისის იუზში დაპირავებულან, რაჭა დაუკავებიათ და ბოლოს ქართვების (ეხლანდელი ქართველების), ქართველთა ძირითადი ტომის მოწოდა-შემოსევის გამო მდინარეების—ცხენის წყლისა და ენგურის სათავეები დაუკერიათ.

აი ამ ქართველთა ძველის-ძეელ ტომს დღემდე, თითქმის შეუცვლელათ შეუნახავს თავისი (ალბათ ქართულის ძირითადი) ძველის-ძეელი ენაც, ადათ-ხე-ჩვეულებაც და ყოფა-ცხოვრების წესებიც, ეს გვარ-ტომი ცოცხალი კონკრეტიული ტიპია იმ ძველის-ძეელი კაცობრიული მოდგმის გვარ-ტომების. რომლებსაც იაფეტიური თეორია მარის მეთაურობით „იაფეტელებს“ უწოდებს.

სვანების საფერხულო სიმღერებიდან ეგ. გაბლიანი ერთს მეტათ საყურადღებო სიმღერას აღნიშნავს, საიდანაც, თუ ერთგვარ „გათხრას“ მოვახდენთ, პირვანდელი „კოლექტივისტური სული“ გამოიყურება, თუმცა ეს სიმღერა გა-

ცილებით უფრო გვიან ხანაში, ფეოდალიზმის ბატონობის ხანაშია შედგენილი.

ეს ორი „ვიცბილ—მაცბილ“ (ორი ძმის სახელია). „აქ ლაპარაფია, შენიშნავს ეგნატე გაბლიანი, ბეჩოს სახოვად. სოფ. დვოლში მცხოვრებ / სკონებზე, რომლებიც იყვენ თ-დ დადეშქელიანების ყმები. ეს სიმღერა / აგვირების იმ ამბავს, თუ როგორ ებრძოდენ ძველი თავისუფლების მცველი / ასუმების ს. ილერში გაბატონებულ თავადს სორთმ 0 6 დადეშქელის სკონები / სკონების დაახლოებით, როგორც ეგ. გაბლიანი ამბობს, მომიღარა მე-16 საუკუნეში, მაგრამ სიმღერის კილო და სული წმინდა პირვანდელ კოლექტივის ტურია. ქ ავლიშნავ ამ სიმღერიდან ზოგ დამახასიათებელ ადგილს:

ლადოელის ძირში ციხე იდგა
შიგ შეგედით ამ ციხეში.
სოფლის სამუქაფოთ (საპასუხოთ) ვიყოთ ჩვენა.
სამი წელი ციხეში დავრჩით.

ტყვიის საფრად კევრები (კავრალ) დაიკავეს,
ციხის ძირამდე ისე მოგცემარენ,
ამ ციხეს დაუწყეს ძირის ფამილია,
ძვარის ჯირკვებს ქვეშ უშესობდენ.
საბრალო ძმებო, საცოდაო ძმებო,
ჩვენი თავი დავიტიროთ! ...
ოხ, საბრალო ვიცბილ და მაცბილ ...

ვისროლეთ ციხიდან თთუები,
ერთმა მოკარტყით სორთმანსა წარაპ ი,
მეორემ შიგ გულში მოვახუე დრეთ
წითელი სისტლი იქ დავინახეთ.

ოჭ, ნეტავი ჩვენ, სისტლაულებელი აღარ დაცრისთ,
თავი ჩვენი კა ვისისხლეთ:
ფიზი სორთმანი მოცვიკლავს.
ჩვენ ცხოვრება აღარ გვაძენება
სორთმანს კი ბატონობა არ ექნება.

საბრალო ძმებო, საცოდავო ძმებო,
ძმებს ციხე ენგრევათ,
სორთმანიც ამ დროს სულს ლაფავს...
ძმებს ციხე წაეჭირათ,
სორთმანს სული ამო დვრა.“ (ჩახ. ეგ. ჩაბლიანის ზემოდ დასახ-
ლებული წიგნი).

ამ სისიმღერო ლექსში, როგორც ხედავთ, მთელი ისტორიული ეპიზოდია გადმოცემული თავისუფალი სვანების ცხოვრებიდან და გადმოცემულია ლიდათ შატვრულათ: ამ პირდაპირ გადმოლებული თარგმანიდანაც ძლიერათ ჰერძობთ კოლექტივის ერთიან მწუხარებას, რაც გამოწევილია თავისუფლებისათვის მებრძოლების დაღუპვით.

მესამე სამკეიდრო — ეს მთელი ძველი ქართული მწერლობაა. რას ვეძიო ევლ მწერლობას?

— მთელ ქართულ—,,ძველს და ახალს“ პროლეტმწერლობის გამოკლებით.

ღიდამა ისტორიულმა გარემოებამ—რუსულ-თვითმპყრობელობის მიერ საქართველოს ტერიტორიის დაპყრობამ და ამ სახით რუსული ბიუროკრატიისა და ქართველი ხალხის დაპირდაპირებამ მეტათ მწვავეთ და კონკრეტულათ წამოაყენა ქართულ მწერლობაში ეროვნული სტატუსი მწერლობის მიერლობას რომ რუსული ახალი კულტურის საწინააღმდეგოთ ძეველი ქართული კულტური, ძველი ყოფა დაეპირდაპირებია, ამისთვის მას ერთი მხრით, უნდა მიემართა ქართველი ხალხის უძველესი ისტორიული ყოფა-ცხოვრების იღეალიზაციისათვის, ხრლო მეორე მხრით მხატვრულ სახეებში მოეცა იმ ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრება, რომელიც ნამდვილ თავისუფალ თემურ წყობილებას, ურუევ და მამაც კოლექტივს წარმოადგენდა.

ამ სახით ქართველი ხალხის ერთი ნაწილი—თემური მთიელნი—მაინც ვახდა ობიექტი ქართული მხატვრული მწერლობისა. ვაჟა-ფშაველას მთელი პოეზია, მაგალითად, ამ მთიულეთის ჰანგზეა ავებული: მისი „სიცლერების“ თითქმის 100%, ფშავრ კალოზეა დაწერილი.

ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებით ეტროდა „გმარობის“ კულტს: და მართლაც ამ კულტის გამოსახატავათ მას პოემათა მთელი შედევრების რიგი აქვს მოცემული: „სტუმარ-მასპინძლობა“, „გოგოთურ და აფშინა“ და სხვა...

სანიმუშოთ აქ მოვიგონოთ მხოლოდ მისი „სტუმარ-მასპინძლობა“, სადაც მართლაც რაღაცნაირი პრიმიტიულ-სტიქიური სისადავით და უძლიერესი მხატვრული ხერხით ირის გადმოცემული გმირი ადამიანის უშიშროება სიკედილის წინაშე.

ეს პოემა ავებულია იმ თემაზე, რომელიც ხალხურ პოეზიაში შემდეგი სახით არის გამოთქმული:

თემის გამტეხსა ფარგაცხა ნუ დაელევა ჭირიო,
შეურცვეს იმას ულვაში და გაუშავდეს პირიო!

არც ერთ მხატვარს არ მოუცია ისე ძლიერათ გამოკვეთილი კოლექტიური ერთსულოენობა, როგორც ეს აქვს სანდრო ყაზბეგს თავის რომანში — „ხევის ბერი ვოჩა“.

თუ მილოსელი ვენერას მხილველი უდიდეს კმაყოფილებას განიცდის ქალის დედური მშვენიერებით, რატომ ყაზბეგის მიერ ჩამოსხმულმა სურათმა მოხევეთა ერთსულოენებისამ არ უნდა იღვიძრას მშვენიერების ასეთივე გრძნობა და არ უნდა გავიმსჭვალოთ ლრმა კოლექტივისტური გრძნობიერებით?...

როგორც პირველ შემთხვევაში, ისე მეორეშიაც ეს მხატვრულ-ესთეტიკური მოცლენა აუცილებელია.

პროლეტმწერალიც ასეთი მხატვრული ნაწერებით იმახვილებს და ირთულებს თავის კოლექტივისტურ-პროლეტარულ ესთეტიკურ ბუნებას.

ამის გარდა ქართულ მწერლობაში იმის ცდაც არის, რომ თავისი მხატვრული თვალსაზრისით და გაშუქებით გადმოგვცეს ძველი ხალხური მითი,

ზღაპრული ამბავი და თქმულება, ხშირად პოეზიაში ეს „ბალადის“, სახით არის მოცემული. ამ მხრით მეტათ უხვია მწერალი სანდრო შანშიაშვილი. მაგრამ ამ ეამათ იღვნიშნავ სანიმუშოთ ჩვენი რევოლიუციური დროისთვის უკრთხ საყრადლებოს. მხედველობაში მაქვს მითი — პრომეთეს და ქართველთა აძირანზე, რაზედაც ზემოთაც იყო ლაპარაკა.

ეს ძევლი ბერძნული ზღაპრული ამბავი „პრომეთეს“ უკრთხ დრამად „აქეს მოცემული მაგალითად, მხცოვანს პოეტს დუტუ რევრელს.“

ამ მწერლის სასახელოთ ის უნდა ითქვას, რომ მისი „პრომეთე“ უფრო მტკიცე მებრძოლია და დიდი რევოლიუციონერი. ვიდრე ხალხური „პრომეთე“.

ხალხური მითი თავდება ზევსთან, ე. ი. გაბატონებულ ძალას თან ჩაგრულ კაცობრიობის ინტერესებისათვის ტიტან (იგივე გაბატონებული წრილი გამოსული) მებრძოლი პრომეთეს სრული შერიგებით და მისდამი ერთგულებით. შაშინ, როდესაც დუტუ მეგრელის „დრამა-პოემა“-ში კი გამოხატულია უალტესათ შეურიგებელი მებრძოლი — ტიტანი პრომეთე, რომელიც არავითარ ძალას არ ეპუება და კაცობრიობის ბედნიერებისათვის მხატვაა უსაშინელესი სასჯელი მიიღოს.

რა დაგვიჩია კიდევ ძველ ძალის მუსიკურისადან?

ფერდალურ-ბურუეაზიულ ცხოვრების ანარეკლი-მწერლობა, რომელსაც დღემდე ჩვენ „ახალ მწერლობას“ ვუწოდებდით. აქ არის ბურუეაზიული გაგებით „რომანტიული“ ნაწერებიც, არის „რეალისტური“ ხასიათისაც და არიან ბურუეაზიული დეკადანსის გამომხატველი მიმართულების — მოდერნიზმის, სიმუოლიზმის, ფუტურიზმის, დადაიზმის და სხვა მრავალი ახალ მოდური „იზმის“ — ნაწერები.

ჩველი არაპროლეტარული ქართული ნაწერი უნდა ვაიყოს ზრად: ერთია „კლასიკური“ იმ აზრით რომ იგი ერთი მხრით სრულიად ამომწურავია იმ მასალის, რომელიც ავტორს გამოუყენებია, ყოველ მხრავ გამშუქებელია იმ თემის, რომელიც მწერალს დაუსახავს და მეორე მხრით, მასში (ნაწერაში) საუკეთესო არის ის მხატვრული მეტოდი, თვალსაჩრისი და ხერხები, ერთი სიტყვით ის ლიტერატურული მიმართულება, „სკოლა“, რომელსაც ავტორი ი ეკუთვნის.

მეორე ნაწილია არა „კლასიკური“, ე. რ. შდარე თვისებისა და ლირსების, რაც სრულიად უყურადღებოთ უნდა იქნეს დატოვებული.

პროლეტმწერლის ყურადღების ობიექტად ძველი ქართული მწერლობის კერც „კლასიკური“ ნაწილი ვახდება მთლიანათ, რადგან იმ ნაწერების შესწავლა, რომლებიც ქართული ბურუეაზიის აღორძინებას და „მოძრაობას“ შეეხება, უსარგებლოთ დროს დაკარგვა იქნებოდა.

ბურუეაზიული ცხოვრების გამომხატველი „კლასიკური“ ნაწერები იმდენათ არის საყურადღებო პროლეტმწერლისათვის, რამდენათაც ის გვიხატავს ბურუეაზიას, როგორც ამომავალ, მებრძოლ კლასს, რომელიც რევოლიუციური

გზით შინამართება თავისი კლასობრივი პოზიციების დასაკავებლათ და ამ შინანით ებრძეის წინანდელ წარმავალ გაბატონებულ წოდებას, რამდენათაც ის თავისი ახალი იდეოლოგიით სცვლის ძველს—რელიგიურ-აფტორიულ იდეოლოგიას და სარწმუნოების ნაცვლათ მეცნიერებას ემყარება.

ქართველი ბურუუაზია, როგორც ვიცით, მეტათ უჭურულ კულტურულ ამ ცხრით: ისტორიაში მას აღარ დააცალა მომწიფებება და საკუთარი რჩებულის გამოჩენა, ისე „მოხსნა“ ასპარეზიდან, ამიტომ ისე მეტობა მისი გამომხატველი ქართველი მწერლობაც.

ამიტომ ქართველი პროლეტმწერალი პირდაპირ იძულებულია ამ ხარვეზის „შესავსებათ რუსულ „კლასიკურ“ ნაწერებს მიმართოს.

სამაგიეროთ აუკილებელია „კლასიკური“ ქართული მწერლობის ის ნაწილი, რომლის „შინაარს“ შეადგენს: ეროვნული იდეა და გლეხების ბობის, წვრილბურჟუაზიის და მშრომელი ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრება.

კიდევ უფრო საყურადღებოა ქართული მწერლობის ის ნაწილი, რომელიც ქართველ თავად-აზნაურობის გადაგვარების და დაღუპვის პროცესს შეეხება.

დასასრულ საყურადღებოა ის ნაწილიც, რომელიც დაწერილია ვანყენებულ თემებზე, რადგან აქ უფრო თვალსაჩინო ხდება ქართული მწერლობის თავისებურება და სტილი.

მაგრამ ყევლა ეს „კლასიკური“ ნაწილები სხვა და სხვა დროის და ხანის სხვა დასხ. ლიტერატურულ „სკოლას“ გერთვნის, ამიტომ იბადება კითხვა: ყველა ისინი ერთნაირთ გაცოსაყენებელია თუ არა.

ყოველი მხატვრული ნაწერი, მით უფრო „კლასიკური“, უშინარეს ყოვლის ეპოქალური და კლასიკური თვისებით ხასიათდება.

ყოველ ეპოქას თავისი განსაკუთრებული მხატვრული სტილი აქვს. ეპოქის სტილი კი გამომდინარეობს გაბატონებული კლასის ყოფა-ცხოვრებიდან და მისი კლასიკური იდეოლოგიიდან, სტილს ჰქმნიან დიდი ხელოვანნი—პიროვნებები, მაგრამ მათი შემოქმედება, როგორც არსებული საზოგადოების წევრებისა ერთი მხრით განისაზღვრება მათი მომავლინებელი ან გაბატონებული კლასის საზოგადოებრივი ფსიხოლოგიით, მისი გემოვნებით, მოთხოვნილებით და კულტურული ვითარებით, ხოლო მეორე მხრით წარსულ ეპოქებში წინადარსებული და განვითარებული სტილით.

როცა ამ თვალსაზრისით გადავარჩევთ ყველა დროის ქართულ არაპროლეტარულ „კლასიკურ“ ნაწერებს, ალმოჩნდება, რომ ჩვენ ხელთა გვაქვს სულ რეა ფორმიციის ლიტერატურა: 1, ძველი ფეოდალიზმის გამომხატველი—„რუსთაველიანა“—და მისი „ეპიკონები“; 2, ძველ აღმოსავლეთურ-ისტორიულ პირობებში ფეოდალიზმის დაცემის გამომხატველი და ხალხურ-ფეოდალური—„გურამიანი“-, 3, ქართული ფეოდალიზმის დამხობის და ისტორიული განვითარების პერსპექტივის—დაკარგვის გამომხატველი—ქართული „რომანტიზმი“. (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნიკოლოზ ბარითაშვილი

და სხვები); 4, თავად აზნაურობის გადაგვარების, გლეხეაცობის საზოგადოებრივ სარბიელშე გამოსვლის და პურეუაზიის გაჩენის, ე. ი. წოდებათა კლასებად გარდაქმნის პროცესის გამომხატველი — ქართული ოომანტიული რეალური შემი. (ირდაზიანი, ილია, ივაკი, ყაზბეგი, ანტონ ფურცელაძე და სხვები). 5, ბურუუაზიის მოლონიერების და მუშათა კლასის გაჩენის — რეალისტურ-ნატურალისტური (გიორგი წერეთელი, ეგნატე ნინოშვილი და სხვები); 6, ფუცხუფუმჭერად ჩუსეთის კაპიტალის გაძლიერების და ქართველი ბურუუაზიის ზრდის შეჩემების, აქედან ეროვნული მოტივის გაძლიერების და გაღვივების — ნეო ოომანტიულ-ჩეალისტური (დუტუ მეგრელი, გრიშა აბაშიძე და სხვები); 7, ქართველი ბურუუაზიის განვითარების უიმედობის, დაცემის და რეალ ცხოვრებიდან განდგომის — მოდერნიზმი და სიმვოლიზმი, ე. ი. ჩვენებური 8, „ყანწიზმი“ (კისფერი ყანწელები: გრ. რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვები); და წვრილ ბურუუაზიული დემოკრატიული მოძრაობის — წმინდა ნეორომანტიული (გალაქტიონ ტაბიძე, საშა აბაშელი და სხვები); და ბოლოს, 8, დემოკრატიული ინტელიგენციის მუშათა მოძრაობის და რევოლიუციის გავლენის შემთხვევის — „მემარცხენე ფუტურიზმი“.

როგორც ირკვევა, ყველა ამ სხვა და სხვა ელფერის ახალ ბურუუაზიული სტილიდან გამოერჩევა სულ ოთხნაირი ძირითადი სტილი ანუ „ლიტერატურული სკოლა“: 1, რომანტიზმი, 2, რეალიზმი, 3, სიმვოლიზმი და 4, ფუტურიზმი. დანარჩენები ამ ძირითადი მიმართულებებიდან წარმოიშვენ.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ყველა ამ „სკოლებს“ პროლეტმწერლობისათვის ეს უკვე ამ ნაწერის წინასწარშია აღნიშნული. ჩვენ აქ საყურადღებოთ ის სპეციფიური მხარეები მიგვაჩნია, რასაც ქართული მწერლობა იძლევა. რა ასეთ სპეციფიურობას შეიცავს ქართული არა-პროლეტარული მწერლობა, რითაც ის ჩვენს ყურადღებას იპყრობს?

სპეციფიური ხაზით, ქართული მწერლობის ორ მხარეზე შეიძლება მიუთითოთ: ერთია ორი სხვა და სხვა ხასიათის კულტურის — აზიურისა და ევროპიულის ერთგვარად შედუღება. მეორეა. მთლიანად აღებული ქართული მწერლობის თემატიური მხარე: ის როგორც საუკუნოებით დაჩაგრული ერის მწერლობა, უმთავრესად ეროვნულ მოტივზეა აგებული და ეროვნულ იდეას ატარებს.

როგორც ქართულის ისე მთელი საბჭოეთის პროლეტმწერლობის განვითარების თვალსაზრისით ორივე აქ აღნიშნული მხარე მეტად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს.

რუსეთის პროლეტარულმა რევოლიუციამ არა მარტო პოლიტიკურად და კონომიურად დააკავშირო საბჭოეთის ფარგლებში (დედამიწის მექანიზაცია) ეკრობისა და აზიის რამდენიმე ათეული სხვა და სხვა მოდგმის ხალხი, არამედ ისინი კულტურულად გაერთიანების გზაზედაც შეაყენა.

პოლიტიკურ-ეკონომიური გაერთიანება ბუნებრივი აუკულებლობით იწვევს, ცხადია, კულტურულათ გაერთიანება-იც. რუსეთის პროლეტარიატის პირველი ცდა, ეს ნაბიჯია მთელი კაცობრიობის კულტურულათ გაერთიანებისა.

მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს გაერთიანება ხანგრძლივ პროცესს მოითხოვს და შესაძლებელია ის წარმოებულ იქნას მხოლოდ ეროვნულ-კულტურული განვითარების გზით.

საბჭოეთის ეხლანდელი კულტურული მოძრაობა ამის ცხადი მაჩვენებელია და ამიტომაც აქვს მნიშვნელობა ამ მხრით წარმოებაშვილ-ჭავჭავაძის ცდას: ქართული მწერლობის განვითარებაც ამავდრო არა ცდა არა მიღება მორი სხვა და სხვა—ეკროპიულისა და აზიურის—ხასიათის კულტურის პროცესების ნიადაგზე გაერთიანებისა.

კაცობრიობის განვითარების სრულიად ახალი ეპოქა, რაც რუსეთის პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებით დაიწყო, უთუოდ ამ გზით მიღის: კლასობრივ-ეროვნული (პროლეტარულ-ეროვნული) განვითარების გზით ერთ შთანიან მაღალ კულტურულ კაცობრისაკენ!

ამ მხრით პროლეტარულს, ახალს ეპოქას ძირითადათ ახასიათებს და ანსხვავებს წარსულ ეპოქისაგან ის გარემოება, რომ მისი ეროვნულ-კულტურული განვითარება ეროვნულ ბრძოლას კი არ ჰგულისხმობს ძველებურათ, არამედ ის „ძმურ“ ეროვნულ სოლიდარობას გამოხატავს.

იმდენათ, რამდენადაც საბჭოეთში მოსპობილია ეკონომიკურ-პოლიტიკურ ნიადაგზე ეროვნებათა შორის ქიშპი, მტრობა და წინააღმდეგობა-ბრძოლა, იმდენათ ეროვნული ჩაგვრაც მოსპობილია და ერთა შორის სოლიდარობა განმტკიციბულია.

მაშ ასე: ქართველმა პროლეტერლობამ სამკვიდროდ წარსულისაგან მიიღო: 1, ქართული ენა და ამ ენაზე წარმოშობილი ძველი და ახალი ზეპირსიტუვიერება; 2, ძველი ქართული პირვანდელი „კოლექტიური სულის“ გამოშხატველი ლიტერატურა; 3, ეროვნულ თემაზე განსაკუთრებულათ დამუშავებული მდიდარი მასალა; 4, აზიურისა და ეკროპიულის თათქმის ყველა ლიტერატურული შეკვეთის გამოშხატველი მწერლობა და 5, ამ ორი სხვა და სხვა ხასიათის კულტურის შედუღების ლიტერატურული ცდა.



ლიტერატურული თანამგზავრები საქართველოში

გალაქტიონ ტაბიძის თაბიძის

გალაქტიონ ტაბიძის პოეზია უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ქართული ხომანტიული ლირიკის ისტორიაში,—მისი შემოქმედებითი გზა მეტად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანია. მაგრამ ამავე დროს მეტად ძნელი და დაკლაკნილი: ჟურის სამწერლო განვითარება მთელი 20 წლის მანძილზე სავსეა წინააღმდეგობებით: პირველ ხანებში უკიდურესი პესიმისტი და დღეს კი პროლეტარული რევოლუციის ლიტერატურული თანამგზავრობისაკენ მლტოლველი. აი, გ. ტაბიძის მხატვრული ევოლიუციის ორი უმთავრესი და უკიდურესი პოლიუსი...

1927 წ. სახელვამის მიერ გამოცემულ წიგნში გ. ტაბიძე მთელი თავისი მხატვრული შესაძლებლობით არის წირმოდგენილი. ეს წიგნი ჩვენც შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ გ. ტაბიძის შემოქმედება...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გ. ტაბიძისისათვის პირველ პერიოდში დამახასიათებელი იყო პესიმიზმი, „მსოფლიო სევდა“; ის მიისწრაფულა უსაზღვრო სივრცეებისაკენ, ცის სილაუვარდებში ეძიებდა მიუწვდომელს, ეტრფოდა უძილო ლაშებს და სხვ.

მხოლოდ ერთად ერთი აზრით იყო პირველ ხანებში შემოფარგლული გ. ტაბიძის იდეები და განწყობილებები: ადამიანის ბუნება განსაზღვრულია, ადამიანი სუსტი არსება, განმარტოებულია საზოგადოებაში და წარმავალია, როგორც პიროვნება. მართალია, ადამიანი ეძლევა მიწიერ მიზნებს და მონაწილეობს ცხოვრებაში, მაგრამ ეს არაა ნამდვილი, ეს მოჩვენებითია და არცაა საკირო. ადამიანი ბეღნიერებას მხოლოდ ცხოვრებისაგან მოშორებით იგრძნობს.

ამ მოსაზრებებს გ. ტაბიძე საკმაოდ ღრმად და მხატვრულად ანვითარებდა თავის შემოქმედებაში.

გ. ტაბიძისისათვის ცხოვრებაში „ყოველი წუთი სავსე იყო უმძაფრეს შხამით“, მისი „~~სული~~“ იყო „დაწერილი მწარე ქარებით“, „არ არის არსად ბეღნიერება“. მისთვის, სიხარული და სიამოვნება მიუღწეველი ამბავია ამ ქვეყნად: „ბუნებავ ტრფობის წმინდა უვავილი რომ დამაბარე, ვერსად ვერ ვიპოვე, ბეღნიერება ჩემთვის არ არის, ბედგრული შვილი გამომიგლოვე“.

მისთვის დედომიწაზე არ არის ხსნა. თვით ჯვარზე გაკვრაც, — როგორც უკიდურესი თავდავიწყების გამომხატველი, — არ შეელის ადამიანს:

სიმკაცრით შემხედავს საშვენი
თვალები შეკრული კამარის:
ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი
არ არის, არ არის, არ არის.



(„შემოდგომის უმანქო ჩასახების მამათა საჭარეჭო“). პოეტი

გ. ტაბიძისათვის მთელი ქვეყანა უდაბნოდ არის გადაქცეული. სიყვარული, რომლისაკენაც მიისწრაფოდა ის, მიუღწეველი ოცნება შეიქნა: „დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა. ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი სოფელი“ („უდაბნო“). ამის შემდეგ თავდავიწყებული პოეტი გაიძახის:

თვალიო ვეღარას ვხედავ,
გული მოეღლის დანას.
რისთვის გამზარდა დეფამ,
რისთვის მეტყოდა ნანას.
გადაქცეული ახოთ—
გრძნობაც ისეა, განა.
ჭალის ყანები ვნახოთ:
შენ რაღას იტყვი, ყანა.
თვალი წაიღო სევდამ;
როგორ აურაყოლებს ყანას...
რისთვის გამზარდა დედამ,
რისთვის მეტყოდა ნანას.

(„შენ რაღას იტყვი, ყანა“).

გ. ტაბიძე დარწმუნებულია, რომ ის მარტო ქვეყანაზე. მას არ ჰყავს ადამიანთა შორის მეგობარი, თანამგზავრი, მოსიყვარულე, ნუგეშის მცემელი. მისი ფიქრით, შეიძლება ქველაფერს მიეცეს დასასრული, მაგრამ მის მარტობას კი არა: „ყველა გათავდა, ყველაფერმა იცვალა ფერი, მარტო ამ მწირე მარტოობას არ უჩანს ბოლო“ („ყველაფერმა იცვალა ფერი“). მართალია, პოეტი ცხოვრებაში მარტოობას გრძნობს, მაგრამ გარშემო მყოფი ადამიანების მოქმედება და ცხოვრება მას მაინც აღელვებს, არ მოსწონს ის, ისწრაფვის გაშორდეს ადამიანებს:

სადმე ყრუ ადგილს დავესახლები
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი.
სადაც იქნება ცოტი ნაკლები
და უფრო ნაკლებ ადამიანი
(„გზაში“).

პოეტის წარმოდგენით ცხოვრებაში მის ტანჯვას არ აქვს დასასრული: „ვიცი, ბოლო აქვს ქვეყანაზე ყოველგვარ სახეს, მაგრამ წამებას ჩემსს არა აქვს ბოლო“.

იმისდამიხედვით, რამდენადაც უფრო მტკიცედ და ფართედ შემოდის კ. ტაბიძე პოეზიაში, — რამდენათაც მისი ლექსები უფრო დასრულებული ხდება, — განწყობილებაც უფრო პესიმისტურ და უიმედო ხასიათს იღებს. მას ეჩვენება, რომ ცხოვრებაში არავითარი სასურველი, მიმზიდველი, სასიამოვნო აღარ არის.

ცველაფერი უაზრობაშ, უშინაარსობაშ და დალვრემილობაშ მოიცვა, ქვეყანა „კუბოდ“ გადაიქცა, ამიტომ განწირული, სასომიხდილი, დამწუხრებული პოეტი მიისწრაფის სიკვდილისაკენ: „სიკვდილის გზა არ-რა არის ვარდისფერ გზის გარდა“ („მთაწმინდის მთვარე“) —:

მე საფლავს ვეძებ, რომ დამიამოს
და დამუგიწყოს გულის ღრმა წყლული.
(„განწირულება“).



ერთობული
გიგანტები

დროგამოშვებით თვით პოეტსაც შეეშინდება ხოლმე უფსკრულის პირად ღვოძა, მის შემოქმედებაში იმედიანობის ნაპერწერალი გაიელვებს: ის სცდილობს თავისი თავი და სხვებიც დაამშეიდოს. წამით ოპტიმისტურად განწყობილი პოეტი ფიქრობს, რომ ქვეყნად მოისპობა მტრობა, დაბრუნდება სიყვარული და თავისუფლება:

დამშეიდდი გული: შეგიყვარდება
ვინმე ამ ქვეყნად... დამშეიდდი გული,
წავა დლევები უსიხარულო,
ისევ ალდგება გამქრალი ენება,
ჩემთ თცნებაც და სიყვარული.
(„შემოდგომის დღე“).

მაგრამ მარტო ამით არ კმაყოფილდება პოეტი: ის კიდევ უფრო შორს მიდის, მასში ბრძოლის წყურვილი ილვიძებს:

სიმღერავ, უხმე დაღლილთ, დაქანცულთ.
აჩვენე ცეცხლში ნაწრთობი გული,
დაე, იცოდენ, რომ ყოფნის მგმობელს
მათდამი კიდევ აქვს სიყვარული.

მაგრამ ეს წამიერი გატაცებაა. შემდეგ პოეტი კვლავ თავის ძველ ძირითად განწყობილებას უბრუნდება, პოეტი კვლავ პესიმიზმის ბურუსში და განწყობილებაში ეხვევა:

ყოველი წვეთი სავსე იყო უმძაფურეს შხამით;
ლურჯა ცხენებით თუ გაფრენდა გრძნობა სინაზე,
იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით
და უაილდის ყვავილიერ დაუცი გზაზე.
ცაცხლები დგანან შენს საფლავთან, ვით კენტავრები,
მათ სიბნელეში ნისლიანი და უეცარი
გამოჩინდებიან პოენის თანამგზავრები,
სდგახან მწუხარედ და იტჰვიან: აი, ეს არი.
(მგლოფიარე სერაფიმები“).

საერთოდ უნდა იღინიშნოს, რომ გ. ტაბიძე არ წარიოდგენს მთლიანი მხატვრული მსოფლმხედველობის პოეტს. ის გაორებულია, დისპარმონიულია, ხშირად მეტად სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო განწყობილების გავლინის ქვეშ არის მოქცეული; მაგრამ, როდესაც კითხულობთ გ. ტაბიძის ლექსებს, ის შთაბეჭდილება რჩება, რომ უმეტეს შემთხვევაში პოეტი არც კი ცდილობს, თავი დაალწიოს ამ დისპარმონიულობას. ჩერ ვიცნობთ პერნიკ იბსებს. ისიც ხომ დისპარმონიული განწყობილებით იყო შეპყრობილი, მაგრამ ის რეინისე-

ბური სიმტკიცით ეძებდა გამოსავალს ამ ფსიქოლოგიური ჩიხიდან და მიისწრა-
ფოდა უმაღლესი სინტეზისაკენ. გ. ტაბიძეს კი ამის მსგავსი არაფერი იქვე, მა-
თითქმის არავითარი კოლიზია არ ახასიათებს, ეს მოვლენა კი პოეტისათვის
მეტად სახიფათოა.

გ. ტაბიძეს თავისი „სულის“ თანამოზიარედ და აფანაშვილერიდ ლამე და
სიბნელე ჰყავს. მთელი თავისი გულის სილრმით მიისწოდების წელები ლამისაკენ.
ნაღველი, რომელსაც შეუპყვრია პოეტი, მისი მეგობრებისათვისაც კი გაუგება-
რია, მხოლოდ ლამემ იცის პოეტის საიდუმლო:

რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სილრმეში საუკუნიდ შენაბულია...
მხოლოდ ლამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამდამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ლამემ.
იცის, როგორ დავრჩი თბლად, როგორ კეცნე და ვეწამე,
ჩვენ ორი ვართ ქვეყანაში: მე და ლამე, მე და ლამე.

(„მე და ლამე“).

აღსავიშნავია რომ, გ. ტაბიძისათვის ლამე არის არა მარტო სულის მე-
საიდუმლე, მარტოობის და დამშვიდების წყარო, არამედ ის არის აგრეთვე შე-
მოქმედების პირობაც.

ამ ორ მომენტს (ლამეს და მარტოობას) უკავშირდება აგრეთვე მესამე მო-
მენტიც, რომელიც პოეტის სულის თანამხლებელია, საღაც პოეტი იმულივნებს
თავის განცდებს. ეს არის ბუნება.

გ. ტაბიძეს უყვარს ბუნება, მაგრამ არა როგორც რეალური მოვლენა,
არამედ როგორც საშუალება თავისი განწყობილებების გამოსამულავნებლად. იმი-
ტომ ასე ხშირად არის მის ლექსებში მოწყენილი შემოდგომა, როდესაც მზის
მხურვალება გამჭრალია, როდესაც სიყვითლე იპყრობს ყველაფერს, როდესაც
ფოთლები სცვივა, როდესაც ყოველივე ნორჩი და ჯანსაღი გვემშვიდობება; ან
კიდევ; ცივი ზამთარი, როდესაც ყოველივე ყინვის და თოვლის სუსხს ქვეშ არის
მოქცეული, როდესაც სამარისებური სიჩურე იპყრობს ყველაფერს; გაზაფხული
და ზაფხული, ბუნების გამოლვიდების ხანა, მხურვალე მზე, სიმწვანე და სი-
ხარული-ნაკლებად იპყრობს პოეტს:

შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე,
დღე ნაღვლიანი, ღონემიხდილი,
როგორ ეკვრება ცას ბნელი ჩრდილი,
როგორ ირჩევა ჩაძარცული ტკე.
შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე.
ცვივა და ცვივა ხეებს ფოთოლი,
გაყვითლებული, უდროოდ მჭერარი.
დაბერავს რისხვით, დაბერავს ქარი,
გაყვითლდა მდელო, გაყვითლდა მოლი...
სცვივა და სცვივა ხეებს ფოთოლი...
გამიქრა სულის ოცნება წმინდა,
ილულება მზე, იძარცვება ტკე...
შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე.

(„შემოდგომის დღე“).

პოეტი ეტრფის ზამთარს, როგორც სიმწუხარის, მოწყენილობის და შავი კუბოს მოჩვენებას:

ათოვდა ზამთრის ბალებს.
მიქეონდათ შავი კუბო,
და შლიდა ბაირალებს
თმაგაწეწილი ქარი.
გზა იყო უდაბური,
უსახო, უპირქუბო,
მიქეონდათ კიდევ კუბო.
კორნების საუბარი,
დარეკე... დაუბერე...
ათოვდა ზამთრის ბალებს.

(„ათოვდა ზამთრის ბალებს“).



ურუკული
ტირი

ასეთი იყო გ. ტაბიძის პესიმიზმი, ასეთი იყო მისი შემოქმედების ხასიათი პირველ პერიოდში.

ეხლა სრულიად ბუნებრივად ისმება კითხვა, თუ სად უნდა ვეძიოთ ამ პესიმიზმის სოციალური საფუძველი?

მართალია, გ. ტაბიძის ლირიკა „რომანტიულია, სიმბოლიურია, მისტიურია... არარეალურია, მაგრამ იგი გულისხმობს ფრიად რეალურ ცხოვრებას— გარკვეულად ჩამოყალიბებული ფორმებითა და ურთიერთობით. რომანტიული სიმბოლიზმი არის ყოფა-ცხოვრებიდან განხე გადგომა მისი კონკრეტობიდან, ინდივიდუალური თვისებებიდან და სიკუთარ სახელებიდან განყენებით, მაგრამ სიმბოლიზმის საფუძველი მაინც არის ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის და „ზეაუვანის“ მეთოდი.

გ. ტაბიძის პესიმიზმის პირადი წყაროუ ჰქონდა, მაგრამ ის მაინც არ იყო მისი პესიმიზმის ძირითადი სათავე. მის პესიმიზმს უმთავრესად საზოგადოებრივი მოტივი ჰქონდა: 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გამეცებული რეაქცია გ ტაბიძის მიერ ათვისებული იქნა, როგორც სასიკვდილოდ ამართული მახვილი. მთელი თაობისათვის, როგორც საუკეთესო იდეალების დამარცხების ხანი. პოეტი ირგვლივ ვერ ხედავდა იმედიანობას და სიხარულს, რადგანაც ყველაფერი მონურ და „ჩინოვნიკურ“ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული. გ. ტაბიძე ყოველივე ამას გრძნობდა, მაგრამ მას არ ჰქონდა ისეთი ძლიერი ნება და ენერგია, რომ გარკვეული და მტკიცე რევოლუციონური გზით გაელაშქრა არსებული მდგომარეობის წინააღმდეგ; ამის შემდეგ კი მის განკარგულებაში იყო მხოლოდ პასიონის და პესიმიზმის გზა. ამ უკანასკნელ გზას გაჰყვა გ. ტაბიძეც...

ასეთი განწყობილებებით და მხატვრული მარაგით შეხვდა გ. ტაბიძე 1917 წლის თებერვლის რევოლუციას. ამ რევოლუციაში გ. ტაბიძეში ალფრითოვანება და ოპტიმიზმი გამოიწვია. როგორც ოდესლიც კუნძულ გელგოლანდზე ჰენრიხ ჰეინ რომანტიული ძილისაგან გამოაღვიძა ცნობამ იელისის რევოლუციის შესახებ, „ქალალდში შეხვეულმა მზის სხივებმა“, ასევე 1917 წელს დაწყებულმა ქარიშხალმა გამოაღვიძა გ. ტაბიძეც.

პოეტი რომანტიკოსი გაიტაცა რევოლუციის ლამაზმა სანახაობამ, ზარის ძლიერმა ხმამ:

გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა... დროშები ჩქარა.
 თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
 უით დაჭრილ ირმების გუნდს შეარო ანკარა, დროშები ჩქარა...
 დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
 ვინც მედვრად დახვედება მტრის რისხვა-მუქარას.
 გათენდა. შეერთდით, შეერთდით, შეერთდით.
 დროშები, დროშები... დროშები ჩქარა.



„დროშები ჩქარა“

ამგვარად პოეტი გაიტაცა რევოლიუციის და თავისუფლების დროში, წითელმა დროში. მას ეჩქარება იხილოს დროშები, დროშები!!.

თებერვლის რევოლიუციის მოყვა ოქტომბრის რევოლიუციია. 1917 წლის ოქტომბერში მუშათა კლასმა აილო ხელში ძალაუფლება. გ. ტაბიძემ უშუალოდ განიცადა ეს რევოლიუცია. ის მონაწილე თუ არა, მაყურებელი მაინც იყო იმისა, თუ როგორ იპროცედა რუსეთის პროლეტარიატი საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ოქტომბრის რევოლიუციის გავლენით აქვს გ. ტაბიძეს დაწერილი „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „იყო ბურუსი“ და „ჯონ რიდი“.

როდესაც ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გ. ტაბიძე რუსეთიდან ჩამოვიდა საქართველოში, სადაც ამ დროს მენშევიკების ბატონობა იყო, ის იგონებს ოქტომბრის ქარიშხალს და ასე მიმართავს პოეტებს:

იყო ბურუსი გაურღვეველი
 და კაკანებდა ტყვიისმფრქვეველი,
 დღემ მოღუშულმა წარბი შეხარა,
 დაცლილ ქუჩებშე მკვდრები ეყარა.
 უცებ მაღალი ცეცხლი ავარდა
 და ბნელი ცისკენ გაინაგარდა.
 ცეცხლი ძლიერი დიდხანს ვინახე.
 როს იმედების ზღვა დაეინახე.
 ეს მინდა ვუთხრა მიეთ-მოეთებს:
 მე ქარში ეიყავ, როცა პოეტებს
 თქვენთვის საყვარელ ბულბულ-მდელოში.
 ტკბილად გეძინათ საქართველოში.

საკმაოდ კარგ ლექსში, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ გ. ტაბიძე გარკვეულად ამელავნებს თავის დამოკიდებულებას ოქტომბრის რევოლიუციისადმი: ის თავისებურად, რომანტიულად, ლებულობს დაჩაგრულთა ამ დიად მოძრაობას.

მიუხედავათ ილფრთოვანებული ტონისა, გ. ტაბიძე ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგაც ხშირად უბრუნდება პესიმისტურ და მელანქოლიურ განწყობილებას:

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეშე
 იცნება ჩუმი და ფერმიბდილი.
 მე ვზა არ ვიცი უსწლოესი:
 ერთად ერთი გზა არის სიკვდილი.

(„მას გახელილი დარჩა თვალები“).

საქართველოს გასაბჭოებამ გ. ტაბიძეს ფართო ასპარეზი გადაუშალა. ამ ხანიდანვე იწყება გ. ტაბიძის შემოქმედებაში ძველი, პესიმისტური რკალის უფ-

რო ფართედ და საფუძვლიანად გარდვევა და თანამედროვეობასთან უფრო და-
ახლოვება.

როგორც ზემოთ დავინახეთ, 1917 წლამდე გ. ტაბიძე უკუნთა ჩეკინი დრო-
ისათვის. საქართველოს ოქტომბრის შემდეგ კი გ. ტაბიძე ისევე, როგორც რუ-
სეთში ა. ბლოკი, იცვლის ტონს. რამ გამოიწვია გ. ტაბიძეს უკანასკნება,
როგორ მივიდა ის ოქტომბრის მიღებამდე, როგორ შეაქცია მან? „წესების ჭა-
ვის“ ხალხს და საით წავიდა შემდგომ მისი განვითარება?

რომ ამ კითხვაზე სათანადოთ უუპასუხოთ, ამისათვის საჭიროა, ერთგვარი
„ლირიკული“ უკან დახევა მოვახდინოთ.

როგორც ვიცით, ა. ბლოკიც ისეთივე მსფლმხედველობის პოეტი იყო,
როგორც გ. ტაბიძე. მათ შორის ბევრი რამ არის საერთო. საერთო არის მათ
შორის ოქტომბრის მიღებაც. რისთვის მიიღო ბლოკმა ოქტომბრის რევოლუცია?

როგორც დღეს უკვე საბოლოოდ დამტკიცებულია, ა. ბლოკმა ოქტომბრის
რევოლუცია მისტიურ-მაქსიმალისტურ მოსახრების გამო მიიღო. რევოლუციის
მეოხებით ის ხილული და „უხილავი“ ქვეყნის ფერისცვალებას ელოდა: „ვასა-
ჯანი რუსეთის რევოლუციისა, რომელსაც სურს მოედოს მთელ ქვეყნიერებას
(ნამდვილ რევოლუციის არც შეუძლია ამაზე ნაკლები ისურვოს, ხოლო შეს-
რულება თუ არა ეს სურვილი, — ეს სხვა საჭმეა), ასეთია: მას ასულდგმულებდა
მსოფლიო ციკლონის გამოწვევის იმედი... სიცოცხლე მხოლოდ მაშინ ღირს,
როდესაც ცხოვრებას უსახლვრო მოთხოვნებს უყენებ. ან უველაფერი, ან არა-
ფერი. მოლოდინი მოულოდნელის, რწმენა არა იმის რაც „არ არსებობს ქვეყ-
ნად“, არამედ იმის, რაც უნდა იყოს ქვეყნად. არაფერია, რომ ის ჯერ არ არ-
სებობს და დიდხანს არც იქნება, მაგრამ ცხოვრება მოგვცემს ამას, ვინაი-
დან ის მშვენიერია“, — ასე სწერდა ბლოკი თავის ცნობილ „Интелигенция и
революция-“ში.

ჩენის გაგებით ბლოკისებურ იერს ატარებს გ. ტაბიძის მიერ პროლეტა-
რული რევოლუციის ესთეტიური მიღებაც. გ. ტაბიძეს პროლეტარული რევო-
ლუცია აითვისა, როგორც „სტიქია“. მან რევოლუციაში დაინახა თავისი პო-
ეტური მისტრაფებების მაღლობზე ასასვლელი გზა. მან რევოლუცია აითვისა,
როგორც დაპირისპირება იმ ძველი ქვეყნის, რომელიც იწვევდა და ხელს უწ-
ყობდა მის პესიმიზმს. რევოლუცია გ. ტაბიძისათვის გახდა დასაწყისი რილაც
არა ჩეკინებრივი „მსოფლიო ორკესტრის“, „მსოფლიო ნგრევის“, „მეცხრე
ზეირთის მუსიკა“ და სხვ.

დღეს გ. ტაბიძის შემოქმედების ძირითადი განწყობილებაა. რევოლუციო-
ნური რომანტიკა, რევოლუციონურ მოვლენათა გრანდიოზულობით და სიძლიე-
რით გატაცება:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი სდგას ანჯელოსი
ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს ჩენებ, პოეტები საქართველოსი.
(უჩვენ პოეტები საქართველოს).

საქმაოდ მოზრდილი პოემა „ჯონ რიდში“ მკითხველის წინაშე ჩენი
თანამედროვეობა, მახლობელი განვლილი წლები წარმოდგება: უველს ახსავს

პროლეტარული საბჭოთა რუსეთი, რომელიც რევოლუციონურ კოცონს წარმოადგენდა, როდესაც „რუსეთი გუგუნებდა, როგორც მუხა და, პირიდან აფრევედა ტყვებს როგორც რკოებს“, როდესაც ქარხანა-ფაბრიკებზე მდუმარებით იყო მოცული, როდესაც მინდვრებში სამარისებური სიჩურე იყო გამეფებული, როდესაც მშრომელ ხალხს თავს დასტრიიალებდა სიმუშავესა—და ტანჯვის არჩდილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასიურ-პროლეტოლოგიურ და გამირულად და თავგამეტებით იბრძოდა დიადი მიზნებისათვის..

„ჯონ რიდი“ დაწერილია გარკვეული ხაზებით, არსებითად ორი ფერით:— შავით (სტიქია ძალადობის, სისხლი, სისასტიკე და სხვ.) და თეთრი (სტიქია სიმართლის, გმირობის, დიადი მიზნებისაკენ ლტოლვის და სხვ.). მასში უბრალოდ, მაგრამ ძლიერად მოისმის რევოლიუციის ქარიშხლის გრიგალი.

ლექსში: „ეს არის გუგუნი მთელი ეპოქის“.... რომელიც მოთავსებული იყო „მნათობში“ (1925 წ № 1 (9)-ში), მაგრამ რატომლაც თავის წიგნში არ შეუტანია გ. ტაბიძეს, პირველად ეხება ის თემას— ლენინს, როგორც მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ბელადს და ხელმძღვანელს.

გრიგალი ლრღნიდა ქალაქის ქალას...

იქ ავლენილი—

ლენინი მსაკვერპლი უნდობარ ტყვიის.

ორ ბოროტად ანთებული ომის

და სამი მძაფრი რევოლიუციის

დროშა—ლენინი.

დადგენ შედგარი მოიმედეში:

ოცნება თოვლი დაკარგულ ქონის

და რეინის დროის გზაჯვარედინი

პროლეტარიატი.

ეს გუგუნია მთელი ეპოქის,

განწირებულებით ის ეძებს ფერებს,

რომ მოეფინოს დაჩაგრულ ერებს

სითბო მარადი.

დახარეთ დაბლა დროშათ ბანაკი

აქ ბევრის ბრძოლის გათავდა ვადა.

სტოკებს ბელადი და ამხანაგი

დევიზზე დევიზს:

გაქრა შიმშილი, მოკვდა ბლოკადა.

გათავდა ომი სამოქალაქო,

მაგრამ ანლოა დრო, ამხანაგო,

მსოფლიო ნგრევის...

რასაკვირველია, ლენინის შესახებ უფრო მეტის და უფრო გარკვევით თქმა შეიძლებოდა, მაგრამ გ. ტაბიძეს ალბათ, რომანტიზმის ტრადიციები უშლიდა ხელს...

გ. ტაბიძემ თავისი ყურადღების ცენტრი აგრეთვე დაჩაგრულ, კოლონიალურ აღმოსავლეთსაც მიაჰყო. პოეტი ხედავს

და გრძნობს, რომ აღმოსავლეთის შშრომელი ხალხი იმპერიალისტ-დამპურობელთა ულლის ქვეშ საშინლად იზნიქება, ისინი (ე. ი. დაპყრობილი ხალხები) „კულტურული მორკილის ქვეშ იმყოფებიან“, ისინი შრომობენ მძინარე ქსოვს ხალიჩა-ფარჩას, ხატავს ჟვავილებს და იალონებს, რომ ქსოვილები შშვენებად დარჩეს ისევ ევროპის მდიდარ სალონებს“. მაგრამ უკანასკნელი ხანებში დაჩაგრული აღმოსავლეთიც ემზადება მომავალი ბარიკადების საფუძველზე ცეცხლის ამურმა ინახული აღმოსავლეთი:

სდგება, იღვიძებს აღმოსავლეთი,
მას არ აშინებს ცეცხლის უამრელი
და მუხლებამდე ქვიშა სადები,
და არც უდაბნო კორიანტელი,
არც მომავალი ბარიკადები.
დახეტიალებს ცეცხლის ამური
მოულოდნელი სიმხურვალეთი,
მან მოიარა ჭველა ქვეუნები.
და ინახულა აღმოსავლეთიც.

(„აღმოსავლეთი“).

აგრეთვე, იქვე უნდა აღინიშნოს, რომ გ. ტაბიძისათვის ოქტომბრის რევოლუციის ჩვენი სინამდვილის მხოლოდ გარეგანი ბრჭყვიალა მხარეა საინტერესო უმთავრესად. რევოლუცია, როგორც აბსტრაქტული მოძრაობა—აი, რა იტაცებს მას. რევოლუცია მისთვის არის მოვონება ქარის, გაქანების, სისხლის, განადგურების და სხვ. ის რევოლუციაში ეძებს მხოლოდ საერთოს, განუწებული, და რომანტიულს. ამის გამო ის ხშირად ვერ აფასებს რევოლუციონურ პერსპექტივას, ვერ ერკვევა თანამედროვეობის რთულ მიმდინარეობაში.

ამგვარად, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ გ. ტაბიძემ შემეცნებით თუ არა, მსოფლ-ათვისებით მაინც საკმაოდ მტკიცედ განსაზღვრა თავისი ადგილი პროლეტარიატის უდიდეს ბრძოლაში. არავითარ წუთიერ და ნახევრად მისტიურ განწყობილებებს, არავითარ წმინდა ესტეტიურ-რომანტიულ გატაცებებს არ შეუძლია დააბნელოს გ. ტაბიძის საზოგადოებრივი თანაგრძნობა. შეიძლება მისი თანაგრძნობა, სიყვარული პროლეტარიატის რევოლუციონურ ბრძოლისადმი ზოგ შემთხვევაში გარკვეულად არაა შეგნებული, მასში ჯერ კიდევ არის თავისებური გაურკვეველი გატაცებები, მაგრამ, მიუხედავად იმისა, გ. ტაბიძემ იცის საზოგადოებრივი მოვლენების საერთო აზრი და მიმდინარეობა; მან იცის, რომ საჭიროა პროლეტარული წესწყობილების საკეთილდღეოდ მუშაობა და ბრძოლა:

ასეთ დროს
უნდა აჩქარდე, უნდა აჩქარდე, უნდა დაეწიო
ისე სწრაფად, როგორც შეგიძლია.
წამმა დაყოვნება არ იცის...
ჩეარა, ამხანაგებო, თორებ დაგვიანდა,
წუთის დაკარგვაც კი არის ბოროტება.
ვინ სთქვა გადადება,
დროა მოძრაობის და სიცოცხლის ნიშნის.

(„ეს ლექსი“).

ასეთია გ. ტაბიძის შემოქმედების შინაარსის განვითარების გზები. ეხლა გავიცნოთ თუ როგორია მისი შემოქმედების ფორმალური მხარე.

გ. ტაბიძე ტიპიური სიმბოლისტია. ამიტომ მისი შემოქმედების ფორმალურ მხარეს მისი პოეზიის რომანტიული ბუნება განსაზღვრავს.

„არსებობს ორგვარი პოეტური სტილი, რომლებიც კარიბით შეიძლება აღინიშნონ, როგორც სტილი კლასიკური და რომანტიული ფორმების ფორმალისტი ვ. ფირმუნსკი და შემდეგ ახასიათებს ორივე სტილს:

კლასიკური სტილისათვის დამახასიათებელია შეგნება და გონიერება სიტყვების ამორჩევაში და წმარებაში, ის, სიტყვათა შეერთებაში მიმართავს საგნობრივ-ლოკიურ პრინციპს, პოეტი ფლობს დექსის ლოგიურ სტიქიას: სიტყვას წმარობს ის სრული ლოგიური და საგნობრივი აზრით, სიტყვათა შეერთება კოველთვის ერთადერთი, ინდივიდუალური და განუმეორებელია ასეთ შეთანაბრებაში; კავშირი ეპიტეტსა და მის საგანს შორის სინთეტიურია, რადგანაც ეპიტეტს შეაქვს არსებითი ანალი ნიშანი საგნის განსაზღვრაში. სინტაქსიური აშენება მტკიცეა, ლოგიურათ განაწყვრებული და ჰარმონიული. საერთოდ აზრის ელემენტი. სიტყვის საგნობრივი მნიშვნელობა ახასიათებს პოეტური ნაწარმოების წყობას.

ჭინაალმდევ ამისა, რომანტიული სტილისათვის დამახასიათებელია ემოციონალური და მუსიკალური სტიქიის სიჭარებე, სურვილი, რომ მკითხველშე იმოქმედოს უფრო ბგერით, ვიდრე სიტყვების აზრით, გამოიწყიოს „განწყობილება“, ე. ი. გარკვეული, უფრო სწორედ რომ ვსოქვათ, განუსაზღვრელი ლირიკული განცდები ამთვისებლის ემოციონალურად აღელვებულ სულში. სიტყვების ლოგიური და საგნობრივი აზრი შეიძლება დაფარული იქნას: სიტყვები მხოლოდ ბუნდოვანად აღნიშნავენ რამოდენიმედ საერთო და ვანუსაზღვრელ მნიშვნელობას; სიტყვათა მთელ ჯგუფს ერთი და იგივე აზრი აქვს. რომელსაც საზღვრავს მთელი გამოსახულების საერთო ემოციონალური ფერები. ამიტომ სიტყვათა ამორჩევაში და მათ შეერთებაში არ არის ის ინდივიდუალობა, განუმეორებლობა, შეუცვლელობა თითოეული სიტყვისა, რაც ახასიათებს კლასურ სტილს. ძირითადი მხატვრული პრინციპი ეს—გამეორებაა: გამეორება ცალკე ბგერების და სიტყვების ან მთელი ლექსის, რომელიც პერიოდის ემოციონალური შემკვრივების შთაბეჭდილებას, ლირიკულად შემჭიდროებულ შთაბეჭდილებას. პარალელიზმი და უბრალო სინტაქსი, ური ერთეულების გამეორება საზღვრავს სინტაქსიური მთლიანობის შენებას-მხატვრული საწარმოების საერთო კომპოზიცია ყოველთვის შეხამებულია ლირიკულად და გვიჩვენებს ავტორის ემოციონალურ მონაწილეობას მის მიერ გამოხატულში და მოთხოვობილში.

პოეტი კლასიკოსი ხელოვნებას უკურებს, როგორც მშევნერების შექმნას, პოეტური ნაწარმოები არის მშენიერი შენობა, რომელიც თავის შენობაში ემორჩილება მუვენიერებების აპრიორულ კანონებს; საყურადღებოა: რომ აშენებულ შენობას უნდა ჰქონდეს შინაგანი წონასწორობა, იყოს დასრულებული და სრულ ყოფილი და ემორჩილებოდეს ერთიან მატრიცულ კანონს. პოეტ რომანტიკოსს ნაწარმოებში სურს გამოხატოს თავისი განცდები; ის ხსნის თავისი გულს და აღსარებას ამბობს: ის უძებს გამოხატვის ისეთ საშვალებას, რომლითაც შესაძლებელი იქნება მისთვის უფრო უშლალოდ და ცოცხლად თავისი სულიერი განწყობილების გადმოცემა; და ამიტომ რომანტიკოსის პოეტური ნაწარმოები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მისი ავტორი ორიგინალური, მდიდარი და საინტერესო პიროვნებაა. კლასიკური პოეტი—თავის საქმის ხელოვანი, პროფესიონალია, რომელიც უმორჩილებს პირობებს თავის კანონებს, რომელიც აკავშირებს მის მორალს. რომანტიკოსი პოეტი კი, პირიქით, ებრძების ამ პირობებს და კანონებს; ის

ეძებს ახალ ფორმას, რომელიც აბსოლიუტურად ჰერიტეიტა მის განცდებს; ის განსაკუთრებით მკეთრად კრძნობს განცდათა კამოუთემელობას, მთელი თავისი სისრულით ახალი ფორმის პირობებში, რომელიც მისწვდომება მის უფლოვნებისა-თვის.

გ. ტაბიძე რომანტიზმის ამ ტრადიციებს მიჰყება.

მეტაფორა წარმოადგენს იმ ძირითი ხერხს, რომლითაც ერთ-ერთ ტიკოსი პოეტი ამზეურებს თავის მხატვრულ განცდებს. გ. ტაბიძე თავის პოეტიკას სა-ფუძელად უდებს მეტაფორას. მეტაფორა მისთვის წარმოადგენს უმთავრეს ხერხს, სტილისტურ „დომინანტას“. როგორც ვიცით, მეტაფორა არის, რო-დესაც სიტყვა მხატვრულ ნაწარმოებში იხმარება სავნისა და მოვლენის გადა-ტანილი მნიშვნელობით აღსანიშნავად.

გ. ტაბიძე რევოლუციას ადარებს სამუშა.

გულში იმავე გრძნობით ბრუნდება და მოლოდინი დარეკავს ჩუმი,
რომ არა ერთხელ აგუგუნდება დედამიწაზე კოდვე სამუშა.

(„ჩვენ, პოეტები საქართველოსი“).

გაზაფხულის წასვლა პოეტს აგონებს ახალგაზრდობის დღეების სიკვდილს:

დავხუჭე თვალი, გულის სიღრმეში
რომ დამენარა რამე ნათელი
და მოვიგონე ნეტარნი დღენი
და გაზაფხული უკანასკნელი.
რა ადრე მოკვდა, რა ადრე მოკვდა.

(„ბეჭს იქთ“).

გ. ტაბიძის ლირიკული კომპოზიციის ერთ-ერთი დამახასიათებელი სახეა საგნების და მოვლენების რაციონალური ხედვა, ეს უკანასკნელი კი არის ლექ-სის შენების ისეთი ხერხი, როდესაც სახეები ლაგდებიან რაღაც ქაოტიურ უწეს-რიგობით, რომელიც თითქოს გამოსახავს ემპირიული სინამდვილის იქეთ მოქ-ცეული ჩვეულებრივი ლოლიკის კანონებისადმი დაუქვემდებარებელ მისტიურ რეალობას. ამის გამო გ. ტაბიძის მხატვრულ ფაქტებში ჩვეულებრივი კომპო-ზიციური ხერხია: საკვირველი, მოულოდნელი სახის გამოჩენა იქ, საღაც არა-ვინ ელოდა მას და ზოგ შემთხვევაში საღაც არ იყო საჭირო.

ირაციონალური კომპოზიცია განსაკუთრებით ნათლად არის წარმოდგენი-ლი მისი ლექსების წიგნის განყოფილებაში: „თოვლი. შორეულს. მერი. მე და ლამე. ატმის ყვავილები. დომინო. უდაბნო. ჭიანურები. ჰიტრიზმი-ზენიტამდე“. ამ განყოფილებაში მოთავსებულ ლექსებში ხშირია ყოველგვარი საბუთის გარეშე ერთი სახიდან მეორეზე გადასვლა, მათი ლოგიური დაუკავშირებლობა, რაც რასაკვირველია ჰქმნის ლექსის მისტიურ, საიდუმლო და ამოსაცნობ განწყობი-ლებებს. საერთოდ ავრეთვე აღსანიშნავია, რომ გ. ტაბიძის მიერ ბმარებულ სა-ხეებს იკლია კონკრეტობაც, რაც რასაკვირველია რომანტიზმის და სიმბოლიზ-მის ტრადიციებისაგან გამომდინარეობს.

გ. ტაბიძისათვის დამახასიათებელია ალიტერაციებიც. მას ერთგვარი ბგე-რათა გამეორების ხშირი მაგალითებიც აქვს:

შარზე ბარი, სწრაფი, ჩქარი, მღელვარებდა ჩეუფთა ლვარი,
ტრიკალებდა როგორც ფარი,
შემოდგომის ჩქარი ქარი.

(„შეღრიუ ქარი“).

მთვარეში შავი შრიალებს ჩალა,
შავი ლეჩაქი დაეცა შარებს.

(„ალახანთან“).

გ. ტაბიძის შემოქმედების სხვა ფორმალურ ხერხთაგზე მასამდებნები შემოქმედების სისტემა, რომ
მის პოეზიას ახასიათებს ძლიერი მუსიკალობა. ფრაგმა შტლიანად ემორჩი-
ლება მუსიკას, რის გამოც უკანასკნელი ხშირიდ დარივს სიტყვების და წინადა-
დებების გარკვეულ მნიშვნელობას:

შავად შემოსილხარ, როგორც ელევია,
მუხლით დაკუმულხარ, როგორც ანგელოს
საითლის ელვარება ზატებს შელეფია
იგი ოცებაა მიკელ-ანჯელოსი.
კადიგ ამისრელე ერთი სათხოვარი.
უკვე დაილუპა ყველა შენდარები.
შენ-და დაგმონია გამოსათხოვარი.

(„შავად შემოსილხარ, როგორც ელევია“).

ასეთ მუსიკაში აზრის და შინაარსის სინათლე და ჩვეულებრივი გარკვეუ-
ლება, რომელიც უნდა ახასიათებდეს ლექსს, უკვე დაკარგულია. ამას მკითხვე-
ლი იქ მოყვანილი ლექსიდანაც შეატყობის.

გ. ტაბიძის ლექსების დამახასიათებელია აგრეთვე სიტყვების და მთელი
სტრიქონების ხშირი გამეორება ჩვეულებრივ პლირე ვარიანტებით. ეს გამეო-
რებანი საერთო ფონზე ისმის, როგორც მუსიკალური ბგერანი:

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფორცები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ.
როგორ წყიმს, როგორ თოდს, როგორ თოდს,
უერ გპოებ ვერასდროს, უერასდროს...
შენი ჩე სახება დამსდევს თან
ყოფელ დროს. ყოველთვის, ყოველგან.
შორი ცა ნისლიან ფიჭრებს ცრის.,
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის.

(„ქარი ჰქრის“).

ასეთი განმეორებები ხშირია გ. ტაბიძის ლექსებში...

რასაკვირველია, გ. ტაბიძე არ არის კლასიურ რევოლიუციონური პოეზიის წარმომადგენელი. მის შემოქმედებაში ჯერ კიდევ
საქმიოდ ბევრია იხდივიდუალიზმი, მისტიკიზმი და გაურკვევლობა. მაგრამ,
მიუხედავათ ამისა, მისი შემოქმედების უკანასკნელი პერიოდი გარკვეულადაა
მიმართული რევოლიუციონური პოეზიისაკენ. გ. ტაბიძე გამომხატველია ინტე-
ლიგენციის იმ ფენის, რომელმაც რომანტიკულად მიიღო რევოლიუციის სტიქია. მან იცის, რომ ერთად ერთი შესაძლებლობა წინსვლისა არის პროლეტა-
რულ რევოლიუციისთან თანამშრომლობის გზა. რამდენადც ეს
შეგნებული აქვს გ. ტაბიძეს, იმდენად ის პროლეტარული რევოლიუციის ლი-
ტერატურული „თანამგზავრია“.



ცოლსცოის დღეები

I

გელენჯიკი. შუა აგვისტო.

ყოფილი სატახტო ქალაქი ჩერქეზეთის. ზღვის-პირია. თითქო პოსეიდონის აქაფებული ბედაური მიხლია ტორებით მთას გახელებული: მთა შეურლვევია—დარჩენილა ნატერფალი ფლოქის. ეს—სრუტეა გელენჯიკის—(თექვსმეტი ვერსი ირველივ).

გელენჯიკი: „თეთრი რძალი“ (ალბად ჩერქეზულად).

სუნთქვა გადასული ხალხის, რაინდულის.

ყვითელი შე და ხვლიკის-ფერი ზღვა. ვისვენებ. ვარ მოცილებული: მე-გობრებს, ნაცნობებს, წიგნებს, საკუთარ თავსაც. (უკანასკნელი არ არის მართალი: ეძართავ სცენებს ახალი დრამისას. ისე, როგორც კინორეჟისორი აკეთებს ფილმის ქადრებს).

მსოფლიოსთან მაკავშირებს მხოლოდ „იზესტია“.

უცრად „ტოლსტოის დღეების“ ამბავი—(ტოლსტოის ასი-წლის თავი და-ბადებიდან სრულიად დამავიწყდა). საიუბილეო კომიტეტი შედგომია სამზადისს.

მოწვეულ არიან უცხოელნი: რომენ როლლან, ანრი ბარბიუს, სტეფან ცვაიგ, ბერნპარდ კელლერმან, ტომას მან, ჰაინრიხ მან, გელსუორსი, ბერნარდ შოუ, ქნუტ ჰამსუნ, დიუამელ, რაბინდრანარ ტაგორ, მაჰატმა განდი. მრავალი სხვა: მწერალი და სწავლული.

მსურს დავესწრო დღესასწაულს. მინდა ნახვა რომენ როლლანის და სტეფან ცვაიგის. ვანსაკუთრებით უკანასკნელის—(გასაგებია: მისი სახელი ძალიან დაკავშირებულია ჩემი რომანის გამოსულასთან ევროპაში).

ვსწერ წერილს მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის მიმართ.

აგვისტოს ბოლო.

წერილზე პასუხი არ მოდის.

ვფიქრობ: ალბად ტფილისში პრეზიდიუმიდან აღარავინდა—სიცხეებია და წასული იქნებიან.

ვუგზავნი დეპეშს სტეფან ცვაიგს ზალცბურგში: დაესწრება თუ არა მოსკოვში ტოლსტოის იუბილეს.

მესამე დღეს ვკითხულობ „იზესტიაში“: სტეფან ცვაიგ წამოვა მოსკოვი-საკენ სექტემბრის შვიდს ან რვას.

სექტემბრის 6.

პასუხი ტელისიდან არაა.

ვემზადები მოსკოვში გასამგზავრებლად.

მოვიდა ცვაიგის პასუხიც: დაესწრება.

შინ მეუბნებიან: ნუ ჩქარობ, ხვალ გაემგზავრე, მაინდ მიუფსერებ. არ ვუჯერი. (კარგი ვქენ, რომ არ დაიუჯერე: მეორე დღეს გალუნჯუჭუნოვოროსისკის გზატკეცილზე რამოდენიმე აერიობუსი გაეძარცვავთ ზედიზედ).

მიედივარ ზლვის-პირის ავტობუსით.

გზა კარგია და სანახაობაც გვარიანი.

ნოვოროსიისკი მძვინვარებს „ნორდ-ოსტი“. იქ „ცემენტს“ ამზადებენ. მტვერი საშინელია. „ნორდ-ოსტი“ დროს ნოვოროსიისკი აუტანელია—(ისე, როგორც ბაქო).

სალამის გავიდა ჩქარი მატარებელი.

უბედური შემთხვევა.

კრასნოდარის ახლო, ღამით, მატარებელი დაეტაკა თივით დატვირთულ ურემს. ურემი დაამსხვრია. ერთი ცხენი იქვე გასრისა. მეორეს ფეხი მოამსხვრია. მეურმენი? მათ ეძინათ (ორ ახალგაზღას) მაღლა თივაზე (თივაზე ძილი ღამით მავარია). ცხენები თავისით იკვლევდენ გზას. დატაკებისას ერთი მეურმე განზე გადავარდა—(არ დაშავებულა, დაიბეჭვა მხოლოდ), მეორე ორთვემავალის ცხეირზე მოექცა—(არ დასახიჩრებულა: მხოლოდ „კინტუზია“).

სექტემბრის 8.

ახლოვდება მოსკოვი. გელენჯიკის ხსოვა იკარგება. ნისლი მატულობს. შჩე იმალება. მოსკოვთან შჩე აღარ ჩანს. თვითონ მოსკოვში წვიმაა. დაბრუნებული მოაგარაკენი იწყევლებიან.

სალამია უკვე. ვურეკავ ტელეფონით ნაცნობებს. ვერავინ გამოვიხმე: ჯერ კიდევ არ დაბრუნებულან საგრილოდან თუ ევროპიდან.

გავემართე სერგეი გოროდეცეისთან.

გავიგე მასთან ყველაფერი, რაც კი დღესასწაულს ეხება.

წავედით „დიდ თეატრში“. მიღიოდა „თავადი იგორ“. იქ გავიცანი ამხ. შულმანი, „გლიურისკუსსტვოს“ მდივანი. მან ყველაფერი გადმომცა დაწვრილებით.

სექტემბრის 9.

გაზეთების ცნობა: დლეს მოელიან უცხოელ მწერლებს. მათ შორის: კელლერმანსა და ცვაიგს.

გავემართე ბალტიის სადგურისაკენ.

იქ უკვე მოსულიყვნენ „ეოკსის“—(საკულტურო კავშირის საზოგადოება)—წარმომადგენელნი. აგრეთვე: უურნალისტები, ფოტოგრაფები, „როსტა“ და კინო-გადამლები.

1 საათსა და 10 წუთზე მოვიდა ჩქარი მატარებელი.

მე ვეძებ ცვაიგს. არ არის.

მითხრეს: ხვალ მოვაო.



გადმოხტა ბერნჰარდ კელლერმან. შეუ ტანის. ცოტა კორძიანი. თმა თითქმის სულ შეცერცხლილი. დასიცხული. სახე ბრინჯაოსი. მეტყველები მაგარი. სიტყვა მჯერი. გარეგან: უბრალო (ჩაცმულობით — კიდევ უფრო).

გავეცანით.

ახრიალდა კინო-აპარატი. ფოტოგრაფებს სად გაეჭცევი? კარგული კელლერმან იღიმება. გადაიღეს ყოველი მისი ნაბიჯი. ტექსტის ჩასვეს აეტოში და წაიყვანეს „გრანდ-ოტელში“

ამავე მატარებლით ჩამოვიდა ა. ვ. ლუნაჩარსკი.

მითხრა: ვისბადენში ვიყავი ერთი თვით. უნდა დავსწრებოდი ტოლსტოის დღეებს რასაკვირველია .. არ ვიცი, როგორ მოაწყეს სამხადისი... „უთუოდ ყველაფერი რიგზე იქნება“ —
ვუპასუხე.

სექტემბრის 10.

იმავ მატარებლით მოვიდა სტეფან ცვაიგ.

იგივე საზოგადოება დამხედრი.

ფოტოგრაფები არ ზოგავენ აპარატებს. რეპორტიორები თავს ესხმიან.

შევხვდი. ძალიან გაეხარდა. ერთი-მეორე არ გვენახა არაოდეს, თუმცა თითქმის ორი წელია, მუდმივი მიწერ-მოწერა გვაქის გამართული.

მომახარა:

„თქეენი რომანი ამ დღეებში გამოვა. წინასიტყვაობა წამოსვლის წინ დავსწრე. ვჩერიობდი: მოწვევის ბარათი გვიან მივიღე“.

გავემართვთ „გრანდ-ოტელისაკენ“.

არც ერთი ფოტოგრაფია არ გადმოცემს ცვაიგის სახეს. ამის შესახებ, რამოდენიმე დღის შემდეგ კიდევ გავეხუმრე: „პერრ ცვაიგ, ფოტოგრაფია ვერ ახირხებს თქვენ გადალებას. ძველ რწმენას თუ დავუჯერებთ, ეს კარგია“...

„როგორ?..“

„ძველი რწმენით, სახის ობიექტივია (გამოსახვა თუ გამოკვეთა) სიცოცხლეს უკლებს პიროვნებას, ართმევს რაღაცას. აცლის“...

„მააა... მაში, ახალგაზდად მთვლით ეხლაც“...

ცვაიგ იცინის.

მართლაც: იგი 47 წლისაა. და 37 წლისად გეჩენებათ. თმაში თეთრს ვერ მოუძებნით. ტანით: საშვალოშე მაღალი. მსუბუქი. ნაზი — ხელები ქალის ხელებს უგავს). შევვერემანი. თვალებში: ხალისი — (მორიდან მოსჩანს სეჭდა). პირველი შეხედვით: მშერალს, პოეტს არ ჰვაეს. ჩვეული ევროპიელი, ზრდილი, თავაზიანი (მეტად), ჩაცმულობა — კარგი (თვალში არ გეცემა). სულთა. დაკვირვებული. პირველი შეხედვით კიდევ გაგიკვირდებათ: ეს კაცი წერს ამ ნოველლებს და ამ მონოგრაფიებს?!. მაგრამ ეს აგარეგანი ხედვაა*. შიგადაშიგ ცვაიგს სახე ეცვლება. ხანდახან, გაკვრით, ჩნდება სულიერი დაძაბულობა. ეს მალულად ხდება: ასე ვთქვათ — „განზე“. უნდა „შეისწრო“: მხოლოდ მაშინ ხედავ მისი სახის ნამდვილ მეტყველებას.

მოვათავსეთ „გრანდ-ოტელში“.

ცვაიგ გახარებულია, აფრთხოეანებულია. ამბობს:

„როგორც იქნა, მოველ რუსეთში, დოსტოევსკისა და ტოლსტიოს რუსეთში. მაგრამ უბედურება ის არის. რომ ენა არ ვიცი ამ დიდი ხალხის. ეს კატასტროფაა ჩემი სიცოცხლის; რამდენი თემებია ეხლა რუსეთში? უკანასკნელი გამოვიდა ვიბასეთ. ვეკითხები:

„რად არ მოვიდა რომენ როლან?..“

„ავად არის, თორემ უთუოდ დაესწრებოდა ზეიმს“...

სამ საათზე სტენოგრაფისტი უნდა მოსულიყო.

გამოვეთხოვე...

ექვს საათზე შევიარე: „დიდ თეატრში უნდა წავსულიყავით. „სიტუა“ უკვე დაემზადებინა წარმოსათქმელი.

მეუბნება:

„ფრაკი არ წამომიღია, არც სმოკინგი“...

„აქ არაა საჭირო: არც ფრაკი და არც სმოკინგი“...

შევედით თეატრში. გაკვირვებულია შენობით. გაგვიყვანეს სცენაზე...

საზეიმო სიტუა წარმოსთქვა ა. ვ. ლუნაჩარსკიმ. მთელმა საბჭოთა კავშირმა იცის, რომ ლუნაჩარსკი ძალიან მჭერშეტყველი მოლაპარაკეა: ძნელ თემებზედაც. ამ საღამოს მის წინ მეტად რთული თემა იდგა, ერთი მხრით: ტოლსტიო, უულიდესი ფენომენი კულტურის. მეორე მხრით: კომუნიზმი, რომელიც ტოლსტოიზმს ვერ ეგუება. საზეიმო სიტუაში უთუოდ კრიტიკაც უნდა შექრილიყო. ეს კი ძნელი მოსახერხებელია. და უნდა ითქვას მართალი: ა. ვ. ლუნაჩარსკიმ პირნათლად სძლია ყოველი სიძნელე. რამდენი წინ მიღიოდა, იმდენი უფრო დიდი სიძნელე იმართებოდა. ხოლო იმდენადევ ძალუმი იყო მეტყველის შეტევა. ეს სიტუა ყველამ იცის გაზეთებით და აქ არ მოვიყვან მას. ვიტუვი მხოლოდ: მარქსიზმის მეთოდით მისვლა ტოლსტოისთან შეტაც თრიკინალური ფორმებით იყო გაყვანილი. ჩვენ ვაფასებთ ტოლსტოის,— დაასრულა მეტყველმა,— მაგრამ ვიმეორებთ ლენინის სიტუას: „აქედან— აქამდე“...

სტეფან ცვაიგ აკვირდებოდა ლუნაჩარსკის სიტუას. „მალიან მაგარი ორატორი ყოფილა“, ჩამჩურჩულა. შიგადაშიგ მთხოვდა, სიტუაის ზოგიერთი ადგილი გადამეცა. მეც ვუთარგმნიდი. ამავე დროს შენიშვნებს აკეთებდა: ალბად ორატორული მანერისა და ხერხის შესახებ. თანვე რვეულს ფურცლავდა: წარმოსათქმელ სიტუას ასწორებდა.

შეორე სიტუა პროფ. საკულინმა აილო. გარეგნობით სლავიანოფილ ჰერი, ძველს: კირეესკის თუ აკსაკოვს თუ ხომიაკოვს. ლაპარაკობდა ტოლსტოიზე როგორც ხელოვანზე. ტოლსტოი არ უარყოფდა ხელოვნებას,— ამბობდა იგი: ტოლსტოის სძაგლა მხოლოდ გადაგვირებული ხელოვნება და სხვა.

სტეფან ცვაიგს დაღლილობა ეტყობა. ათვალიერებს პროფილებს. ვიღაცას თვალი მოჰქრა:

„შეხედეთ ემ კაცს... რა პროფილია... სტორუპოვარი... გასაოცარი, გასაოცარი“...

გავიწედე: შევი კაცი, ნამლევა, დიდი თმა და მოხრდილი წვერი, მიმქრალი, თითქო სანთლისაგან ჩამოქნილი, ფერი—ყვითელი პერგამენტი, ტუალები ანთებული. ზის თავისითვის: თითქო თვალლია სიზმარშია, სახე რდამიანის, რო-ბილსაც „ამ სოფელთან“ ალარაფერი დარჩენია.

„ბიბლიიდან არის ამოვარდნილი, ან უკეთ: თქვენი იერემისრუსანი...“
მივუგე ცვაიგს. („იერემია“ ცვაიგის ტრაგედია).

ცვაიგ თვალს ვერ აცილებს ამ ბიბლიურ სახეს...

აკადემიკოსი ოლდენბურგი ავად იყო და არ მოსულა. მას უნდა წაეკითხა: „ტოლსტოი და მეცნიერება“. მის მაგიერ ილაპარაკა შაცკიმ. მხოლოდ თემა სხვა იყო: „ტოლსტოი და პედაგოგიკა“. სიტყვა მოსაწყენი გამოვიდა. იწყეს მთქნარება.

გათავდა პირველი ნაწილი ზეიმის.

დაუკრეს ბეეტჰოვენის მეხუთე სიმფონია, რომელიც ტოლსტოის ძალშე უყვარდა.

„დიდი თეატრის“ ორკესტრშა თავი ისახელა. სტეფან ცვაიგ სმენად იქცა. შიგადაშიგ ვერ ითმენდა და აფრთხოვანებით ჩურჩულებდა: „გასაოცარია, გასაოცარი“...

ერთ ალაგას შეც წაფიჩურჩულე:

„მუსიკა—აი ნამდვილი ხელოვნება“...

„შეიძლება—ერთად ერთიც“...

გაისმა ცვაიგის სიტყვა.

დასრულდა სიმფონია და „დიდი თეატრი“ აგრიალდა ტაშით. განსაკუთრებით ბევრს უკრავდენ უცხოელები...

ა. ვ. ლუნაჩარსეიმ გამოაცხადა: სიტყვა ეძლევა ავსტრიელ შეწერალს სტეფან ცვაიგს. ადგა უკანასკნელი—გაისმა ტაშის გრიალი. მივიდა კათედრასთან —ტაშის გრიალი გრძელდება. ცვაიგ აღელვებულია და საზოგადოებას თავს უკრავს—გრიალი კიდევ უფრო ძლიერდება. შეხვედრა ვადაიქცა ნამდვილ ოვაციათ. ასეთი ოვაციით მას ალბად ევროპაშიაც არ შეხვედრიან არასდროს. ცვაიგს ეტეჭობა აღელვება, მაგრამ ისეთი, რომელიც აურთოვანებას კიდევ უფრო მეტ ფრთხებს ასხამს.

იწყო ლაპარაკი. იგი არ არის „ორატორი“, მაგრამ „მეტყველი“ კარგია მაინც: ინტიმური, მიმწდომი. ხმა—ნელი, მშვიდი. არავითარი უესტიკულიაცია, მხოლოდ: წელში თუ მხრებში იღუნება ხანდახან. თემა იყო ასეთი: „ტოლსტოი და უცხოეთი“. ცვაიგია მაგარი ზოლებით გადაწალა, თუ როვორ ბარბაროსული ძლევამოსილებით შეიჭრენ ევროპაში დოსტოევსკი და ტოლსტოი: დოსტოევსკი—ეს ანთებული ნერვი რუსეთის სულის, ტოლსტოი—ეს გაწოლილი ველი რუსეთის სიცართოის. გახსნა ლიტერატურული კვანძი ტოლსტოის. გაიხსენა ორი „მორალური გენია“, რომელიც „სხივად მოილო“ ტოლსტოიმ: დასაცულეთში—რომენ როლლან და აღმოსავლეთში—მაპატმა განდი.

გაათავა სიტყვა. ტაში. გადათარგმნეს—კიდევ ტაში.

შემდეგ გამოვიდა ბერნჰარდ კელლერმან. შეხვდენ დიდი ტაშის-ცემით. პან წაიკითხა მოკლე „სიტყვა“, პოეტურ ფორმებში გამოკვეთილი. ტოლსტოის

ფენომენს „ბიბლიურად“ სახავდა. თუმცა კითხულობდა „სიტყვას“, მაგრამ შთაბეჭდილება მაინც დიდი დასტოვა.

გაიხსნა მისალმება. ზეიმი გრძელდება. ცვაიგს დალლილობა ეტყობა.

ოლგა დავიდოვნა კამენევა, „ვოქსის“ თავმჯდომარე, მეკითხვება; თქვენ როდის ილაპარაკებთ? — მწერალთა კავშირში, — მივუგი.

ცვაიგ აღარ იცდის. გავედით.

ეტყობა:

„მიღებით“ გახარებულია, შემთვრალებულს ჰეჭეტის შესტესავა.

ვიწყეთ „ყიალი“ ქუჩებში. შევექცევით ყურძენს. მივაღექით „ივერსკაიას“. ცვაიგ შეჩერდა. სალოცავი ჩაკეტილი იყო. სანთელი ბეუტავდა. ცვაიგმა იცის, რომ ძველად „იბერია“ სახელი იყო საქართველოსი. უკანასკნელიც შეიჭრა სიტყვაში.

გავედით „წითელ მოედანზე“. მოსჩანს ლენინის მავზოლეი. „მე უფრო დიდი მეგონა“, — ამბობს ცვაიგ. მავზოლეი აცხადებს (დამშვიდებით და არა აცეცხლებით) უტეხ სიძლიერეს. „რომ შეიძლებოდეს ნახვა“: ჩურჩულებს ცვაიგ. იქვე ნილიციონერია. გეეუბნება: ნახვა შეიძლება ყოველდღე 5-დან 6-დე, გარდა ოთხშაბათისა. გავყევით ქვევით. ცვაიგ აკვირდება კრემლის კედლებს. მოსწონს. შივუახლოვდით „ვასილი ბლავენის“ ეკლესიას. ცვაიგ ათვალიერებს მის აღნავობას, გაკვირვებულია: მოსწონს მეტად. შიგადაშიგ წარმოსთვამს დანელებული აფრთოვანებით: „რუსეთი, რუსეთი“. ველარ მოვითმინე:

„წამოდით საქართველოში და კათედრალებს ისეთს გაჩვენებთ, რომ... ხომ დამპირდით გერმანიაში?“

„ჩემი მოსვლა რუსეთში არ არის უკანასკნელი... უთუოდ მოვალ კიდევ... მაშინ აქედან საქართველოსაც ვეწვევი... უთუოდ... ოოპ, ლეგენდარული „სამხედრო გზა“ საქართველოსი!“

ცვაიგ რომანტიკაში გადავიდა.

გამოვბრუნდით. აკვირდება მაღაზიებს და ფასებს კითხულობს. დიდხანს ვიხეტიალეთ.

სექტემბრის 11.

დღეს დილით გახსნაა ტოლსტოის მუზეუმის.

ვერ დავესწრები (გარემოება გამოვარდა).

სამის ნახევარზე უნდა შევიარო „გრანდ-ოტელში“.

შევიარე. შეველ სასადილოში. მაგიდას უსხედან: ცვაიგ, ბორის პილნიაკ, ტიციან ტაბიძე და დ—რ ტოკვერ. უკანასკნელი ვენიდანაა. ომის დროს ტუვეთ ჩავარდნია რუსებს. უსწავლია რუსული ენა.

გავისეირნეთ. თეატრალური მოედანი (ეხლა სვერდლოვის). „პეტროვკა“, ავუხვიეთ. ლენინის ინსტიტუტი. მივდივართ „ტევრსკაიაზე“.

პუშკინის ძეგლთან ჩერდება ცვაიგ (შორი-ახლო).

აძბობს:

„პოო, რომ ვიცოდე რუსული ენა!.. პუშკინის თარგმნა შეუძლებელია“...

„ენები ბევრი იცით და რუსულსაც მალე ისწავლით“, —

ვეუბნები.

ცვაიგ იღისება. მართლაც: მან კარგად იცის, გერმანულის გარდა რასაკვირველია, ინგლისური, ფრანგული, იტალიური და რამოდენიმეთ ესპანური.

რამოდენიმე წუთით პილნიაკთან შევიარეთ (ყავაზე).

ცვაიგს ვეკითხები:

„ნათესავი თუა თქვენი არნოლდ ცვაიგ?“

(არნოლდ ცვაიგიც მწერალია, საშვალო).

ცვაიგ მეუბნება:

,,არა, მოგვარეა უბრალო... ეხლახან შესანიშნავი რომანი გამოუშვას/ტა-
ვედია ჯარისკაცის...“

ვატყობ: ცვაიგ თავმდაბალია და არა აქვს შური...

საათის თორმეტზე ლამით „გრანდ-ოტელთან“ შევიქრიბეჭრა მუსკა-
ვავემგზავრეთ კურსკის სადგურისაკენ. აქვე ვნახე მხრადი ჩამოსული

სანდრო ეული, დელიგატად გამოგზავნილი ჩვენი ფედერაციისაგან. ვნახე ტ-
ტაბიძეც.

ლამის პირველ საათზე გავედით „იასნაია პოლიანასაკენ“...

მატარებელს მიაბეს სამი რონოდა — წამსვლელებისათვის. რონოდები სავ-
სეა უცხოელებით. მათ შორის: მოსკოვში მყოფი დიპლომატიური წარმოშად-
გენელი. კერძლერმან არ აღმოჩნდა. ხვალ უკან უნდა გაბრუნდესო, — ამბობდენ.

ერთ კუპეში ვართ: ცვაიგ, ამერიკელი სწავლული დეხა, სპარსი ლიტერა-
ტორი და მე. რა ხნისაა ამერიკელი, ვერ გაიგებთ: სახე ახალგაზდისა აქვს,
ხოლო ნაოცები გადაჰკერია ობობას ქსელივით. მხიარული კაცია. კითხულობს
ლექციებს სხვადასხვა ხალხის ლიტერატურაზე ნიუ-იორკში (ენება ლიტერატუ-
რას, დაწყებულ 1918 წლიდან). იცის მრავალი ენა (ყველა სუსტად; რასა-
კცირველია, გარდა ინკლისურისა). სპარსი ჩუბია, არას ამბობს. ევროპიული
ენები არ იცის, იცის ცოტა რუსული.

ცვაიგ მეუბნება:

,,ხვალ ბარათი გავუგზავნოთ რომენ როლლანს იასნაიადან“...

მივუგე:

,,მაგას რა აჯობებს“...

დავიძინეთ.

სექტემბრის 12.

დილით გამოგვალეიძეს ტულის სადგურთან. ა. ვ. ლუნაჩარსკიმ შემოიხედა
ჩვენს კუპეში და ხალისით შემოგვძახა:

,,აქ მთელი ინტერნაციონალი ყოფილი: ევროპა, აზია და ამერიკა“...
სიცილი.

გავედით საუზმისაოვის სადგურზე. კინოპარატი მოსვენებას არ გვაძლევ-
და. ფოტოგრაფებმა ჭამაც ირ გვაცალეს.

ცვაიგ უველას ავტოგრაფსა თხოვს. ვეკითხები: რად გინდათ?

— ნახული უფრო გამახსენდებათ.

გავემართეთ „იასნაიასაკენ“ იმავ რონოდებით.

მივედით დილის შეიდ საათზე. „იასნაის სადგურიდან“ ავტობუსებით ში-
ვედით თვითონ „იასნაიაში“. წევიშს, ტალახია.

დღესასწაული დაიწყო ორსართულიანი შეკოლიდან. ეს შეკოლა კულტურუ-
ლი ძეგლია ტოლსტიოს. კედლებზე არ არის არც პორტრეტები, არც სურათები.
კედლები მოცულია დიავრამებით, კარტოგრამებით, ცხრილებით. უცხოელებს
უკვირთ წარწერები: რამდენ რესე იძლევა დღეში ძროხა, ღირებულება საკვე-
ბის და რძის, თესვის სქემა იასნაიას კოლექტივისა, მორიცხვა მოსაელის და
სხვა. უცხოელებია გაიგეს, რომ შეკოლა სხვა შეტოდზეა აგებული. შეკოლასთან-
ვეა სახულოსნოები, საცდელი ძროხები. უცხოელები სვლებიან, რომ აქ „თეო-
რიასთან“: პრაქტიკაცია, ცხოვრებაც. შეკოლას აქვს დიდი დარბაზი, საცა შეუძ-
ლია მოთავსდეს ორას კაცს. ხუთი წლის წინად შეკოლაში იყო ოთხი ჯგუფი
(155 მოსწავლე), ეხლა თხუთმეტია (450 მოსწავლე). დიდი ყურადღება მქოცევა
სასოფლო-მეურნეობას.

შევიკრიბეთ დარბაზში. დაიწყო დღესასწაული. მარტივად და გულისხმი-ერთ ილაპარაკა „იასნაიას“ აღმასკომის თავმჯდომარემ (ქალმა). მშვენივრად ილაპარაკა ამ შეოლის კურს-დამთავრებულმა მოსწავლება (ბოჩაროვმა), ილაპა-რაკეს სხვებმა. შაგრამ, როცა აღექსანდრა ლვოვნამ დაიწყო სიტყვა, მთელი დარბაზი ცახცახშა აიტანა. ეს ის „საშაა“, რომელიც სწორედ იმ ლაშეს დაიბატა, როცა ტოლსტოი პირველად აპირებდა გაქცევას „იასნშიდებნიც“ ვაიქცა მაშინ, რადგან შეეცოდა მშობიარე ცოლი). ალექსანდრი ტავისუნი ჩამდევილი ნაშიერია ტოლსტოის: ველური, უტეხი ძალა მოსჩანს მასში. ილაპარაკა, თუ როგორ ასრულდა მამის სურვილი — „უნივერსიტეტი ქალამნებში“. დარბაზში თვა-ცია გაუმართა. ილაპარაკა ოლგა დავიდოვნამ (მშვიდად, გულისხმიერად). გა-მოვიდა სწორედ ის კაცი, რომლის პროფილში გუშინწინ ასე გააოცა სტეფან ცვაიგ. ტოლსტოველი ყოფილა, შოთა-ტომცი. მან განაცხადა: არ კიარა შეოლა ტოლსტოის სახელობის იყოს: საჭიროა, მოსწავლეებს ასწავლოთ ის, რასაც ტოლსტოი ასწავლიდა. როცა მან სიტყვა გაათავა, ალექსანდრა ლვოვ-ნამ განაცხადა: დამავიწყდა მეთქვა ორი-რამ. პირველი: ლევ ნიკალიევიჩი (სა-ხასიათო ხაზი: იგი ამბობს: „ლიონი ნიკოლაევიჩ“) — წინააღმდეგი იყო ომის, სა-ბჭოთა ხელისუფლებას, მამის პატივისცემისათვის, ამ შეოლაში არ გაჰყავს „ვოენიზაცია“. მეორე: თუმცა ლევ ნიკოლაევიჩი წინააღმდეგი იყო მართლმადი-დებელ ეკლესიის, მას ღმერთი სწამდა მაინც. საბჭოთა ხელისუფლებამ იქაც და-უშვა გამონაკლისი: შეოლაში ათეიზმისაკენ აო ხრიან ბავშებს. როცა ეს ვან-ცხადება ვადათარგმნეს, იგრიალა უცხოვლების ტაშმა. სტეფან ცვაიგ გაიძა-ხოდა: „შესანიშნავია, შესანიშნავი“. ა. ვ. ლუნაჩარსკიმ წამსავე იგზნო, რომ ამ განცხადებას ვანმარტება სკირდებოდა თა მყისვე ვამოცკვეთა იგი. ეს „გან-მარტება“ ცველამ იცის განხეთებით. ასე უცბად, ასე მოჭრილად, ასე მოზომი-ლად, ასე გონივრულად, ასე გულწრფელად — განმარტება ორატორის ძვირად მსმენია. სტეფან ცვაიგ გაკვირვებული იყო ამ ვანმარტების „მოხდენილობით. „ნამდვილი ორატორია“. — წაიღაპარაკა.

გათავდა სხდომა. ვამოვედით დარბაზიდან. კიბესთან შეგვაჩერეს. ვახ-სნეს ქანდაკი ტოლსტოის (კოროლევის ნახელოვნები): გოლიათი, თაბაშირისა-გან ჩამოსხმული. ა. ვ. ლუნაჩარსკიმ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა.

გავემართეთ სასადილოთ. სასადილო იქვეა, შეოლასთან. მაგრამ მისელა არ გინდა?! ტალახი კოჭებამდეა. მიეენით. დავსხედით. სტეფან ცვაიგს სოფია ანდრევნა ესენიჩა (უკანასკნელი ცოლი პოეტის) უზას, მარჯვნით. მის მარჯვნით — მე. ჩემს მარჯვნით — სოფია ანდრევნას დედა. ესენიჩა ქვრივი ტოლსტოის ძის ასულია, ანდრეის. ტოლსტოის ოჯახობა ცვაიგს ინგლისურად ებასუბა. გამახსენდა ილია ნაკაშიძე. გავახსენე ტოლსტოის ოჯახობას. გაუხარდათ მისი ხსენება. ალექსანდრა ლვოვნა მთლად აფრთქიალდა სიყვარულით (აგრეთვე სო-ფია ანდრევნას დედა): „ჩვენი ილია, ჩვენი ილია“ — გაიძახოდა.

ავდექით. გვაჩვენეს ტოლსტოის მზარეული. რომლის მამა ყმა ყოფილი ტოლსტოის, ისიც ძხარეული. გვაჩვენეს ტოლსტოის მეეტლე, ერთი გლეხიც. სტეფან ცვაიგ უცხერს მათ და მეუბნება: ესენი „პირები“ ალარ არიან, ესენი „ხატებია“. თან ილიმება. ალექსანდრა ლვოვნა თავს ეცლება სტუმრებს.

გავემართეთ ტოლსტოის სახლისაკენ: ტალახი საშინელია. კიდევ კარგი, რომ წვიმა ალარაა. უნდა უცხეროთ ეცროპიელებს, როგორ მიდიან ამ ტალა-ში დაკარწიხებულნი! სტეფან ცვაიგ ჩაურთავს: „არაფერია, ტოლსტოის მიწა უნდა წავიღო თან“. მხნევლება და ხაღისობს.

ავიარეთ ნიგვზების ხეივანი. ვნახეთ პატიარა ტბა. იქვე ახლო — სკამი, სა-კა ტოლსტოის დედას უყვარდა ვანმარტოება. ზემოთ: ცაცხვები, ცაცხვები: მთელი ხეივნები. გვერდი აუვარეთ ტოლსტოის სახლს. მივდივართ პირდაპირ

სასაფლაოს კენ. მოშორებითაა. ტალიხი მატულობს. ხალხიც. მხოლოდ ხრიალი კლებულობს. ხმა-მალლი ლაპარაკიც. ისმის მხოლოდ ჩურჩული. მივუძინოდით საფლავს. აქ ჩურჩულიც შეწყდა. მშემაც გამოანათა.

ვხედავთ: ტყეში, საცა ბავშობისას ტოლსტოი და მისი ძმა „მწვავე ქოხს“ დაეძებდენ კაცობრიობის გასაბედნიერებლად—საფლავი. თითო ესლა, დაუმარხავთ მიცვალებული. ორავითირი ძეგლი, ორავითარი ქედა, რომელიც უკარი. მხოლოდ მიწა, მარტო ზიწა. სუნთქვა გვეკვრის. შთაბეჭდილებზე უმარტინავთ—თითქმ პანი მომჯედარა და ამ საფლავიდან შერთვია იგი მთელს მიდამოს. ტყე იშიუშნება. სტეფან ცვაიგ გაშტერებულია: ქვეყანაზე ეს პირველი საფლავია ასეთი,— ჩურჩულებს. საფლავს გისოსი აქვს შემოვლებული (კარგა ძანძალზე). აქ ყველას შეუძლია შესვლა?— ეკითხება ცვაიგ ვიღაცას. პასუხი: „რასაკეირველია“. ცვაიგ გაკვირვებულია. გისოსთან წარწერა. ცვაიგ შეკითხება: რა სწერია? უფთარგმნი: „დაზოგეთ ხეები, რომლებიც ასე უყვარდა ტოლსტოის“. ცვაიგს სახე ეცვლება. საფლავზე სიტყვა წარმოსთქვა პოეტმა კირილოვმა (ჩურჩულით).

დავბრუნდით. ცვაიგ ყოველ ფეხის გადალგმაზე შენიშვნებს იწერს. აკვირდება ყოველ ხეს, ყოველ ბვეულს. გზის პირას დიდი ხე მუცელ-გაფატრული (ალბად მეხით). ეხლა მე ვსურიულებ: ტოლსტოის ჰევავი. გამვლელია მივეითითა: ტოლსტოი რო დაიბადა, ეს ხე ერთი ბეჭო იყო.

ცვაიგმა ლია ბარათი „და! წერა რომენ როლლანის სახელზე. მეც მომაწერია ხელი. სხვებსაც— რამოდენიმეს. ნათქვაში იყო: თქენი არყოფნა აკლია იასნაია პოლიანასო.

მივუდით სახლთინ. ვიწყეთ თვალიერება. ჩვენ ჯვარი ხელმძღვანელობს თვითონ ალექსანდრია ლვოვნა: აქ დაიწერა „ანნა კარენინა“, ამ ტახტზე დაიბადა ლევ ნიკოლაევი (ყველა ტოლსტოი, მეც, უმატებს იგი), ეს სურათია ჰენრი ჯორჯის, რომელსაც ტოლსტოი ასე აფასებდა, აქ სძინავდა ტოლსტოის, აქ მუშაობდა ტოლსტოი, და მრავალი სხვა-რამ.

სტეფან ცვაიგ გაკვირვებულია. ამბობს:

„კველაფერში გადამეტება უყვარდა ტოლსტოის... აბა, რა მდიდრული ცხოვრებაა ეს?! თავს კი აყვედრიდა: სხეუბი ასე ლატიკად ცხოვრობენ და მე კი მდიდრულადო“...

და მართლაც: ტოლსტოის სახლი რუსული „ხორომია“ უბრალო. საშინელი სისადავე და სასტიკი სიმარტივე. ორავითარი აღნაგობა რთული. უბრალოება, უბრალოება— ყველაფერში. ორავითარი „სითბო“ ამ სახლს არ აქვს: ორავითარი „უით“-ის ნასახი.

ცვაიგმა ესეც ანიშნა: ჩჩეულ ნივთების გვერდით უგემური ნივთები. ალბად ტოლსტოის უსაზღვროებაში ყველაფერი შედიოდა.

დაუათვალიერებთ მუხეუმი ტოლსტოის. ყველაფერია დაგროვილი, რაც კი ტოლსტოის სახელს ეხება. მუხეუმი ჯერ კიდევ არ არის სისრულით მოგვარებული. ზომები მიღებულია.

დავბრუნდით შეკლაში. უკვე ნაშუადლევის ხუთი საათია. მოვისვენეთ ქვედა სართულში.

სალამოს— „სალამო“ გაიმართა. კითხვა ტოლსტოის ნაწერებიდან, სიმღრები, ციკვა, დაკვრა (ბეტვოვენი).

დავიღალეთ. რონოდებს მივაშურეთ. ამაღამ მოსკოვისაკენ უნდა გავეშუროთ. „იასნაია პალიანამ“ დაგვტორთა შთაბეჭდილებით: ქვასავით. ტოლსტოი დიდია ხევში დავარდნილ მთა-ლოდივით: მისთვის თუა ცივი. ოდნავ უგლიმიც. ყველა გზნობს დაქანულობას (არა მარტო ფიზიკურს).



ჩემი დღე და ცოდნები

ალექსანდრე მიხეილის ძე ზაჟავია *)

ალექსანდრე, ინუ როგორც ის თავის თავს და იგრეთვე მისი დროინდელი საზოგადოება უწოდებდა—სანდრო ყაზბეგი მე გავიცანი 1880 წელს გრიგოლ ჩარკვიანის იმ წელშივე გახსნილს წიგნის მაღაზიაში, რომელშიაც თავს იყოდა მოცულილობისას მაშინდელი ქართველი ინტელიგენცია, მათ შორის მესვე-ურნი შწერლობისა, აკაკი, რაფიელ ერისთავი, ნიკო ლომაური, იაკობ გოგებაშვილი, და სხვები. ხშირად შედიოდენ იქვე ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, სერგეი მესხი, ანტონ ფურცელაძე, და სხვ.

სანდროს გაცნობამდე გავიცანი ერთი მისი სასკრინო ნაწარმოები—პატარა ვოდევილი, რომელიც გადმომცა პირველმა პროფესიონალმა—გამომცემის ქართული წიგნებისამ—ზაქარია ჭიჭინაძე, რომლის წაქეზებით გრ. ჩარკვიანმა გახსნა ის თავისი პირველი ქართული წიგნის მაღაზია.

ვოდევილის გადმოცემისას ზაქარიამ მითხრა:

— აი ეს ახალი შწერლის ერთი მრავალ ნაწარმოებთაგანი, შაიკითხე, გაიცანი. ჯერ არაფერი დაბეჭდილი მისი, მარა სერგეი გაიცნო ამ ცოტა ხანში და იმედი აქვს „დროებაში“ დაუბეჭდავს რასმე. კეთილი გულის კაცია, ძალიან უყვარს ჩვენი ქვეყანა და მწერლობა, იცის ფრანგული ენაც.

იმ დღეს თავისუფალი ვიყავი (ვმსახურობდი „დროების“ რედაქციაში კორექტორათ და რუსულ გაზეთებიდან მოარვმნელათ) და ვოდევილი იქვე გადავიკითხე. ზაქარიას გავუზიარე ჩემი აზრი იმ ვოდევილზე და ვუთხარი, რომ ვოდევილში მოყვანილი ქუპლეტი ახალგაზდა ქალისა:

„ვაიმე დედავ, რათ არ მხედავ,

როგორ ძალზე ვსტირი“

და სხ. უნდა იშლერებოდეს ამა და აშ ხმაზე-მეთქი. ამ დროს მაღაზიაში შემოვიდა სანდრო ყაზბეგი. მაღალი ტანის, კარგი ტანადი, წვერ-მოპარსული

*) ახლახან გარდაცვალებულ ცონბილ მწერალ ილია ჭიჭინის ხელთ-ნაწერებში აღმოჩნდა დაუბეჭდავი მოვინებანი, სათაურით: „ჩემი დღე და სოფელი“. უცელელად ვბეჭდავთ მოგონებას ალ. ყაზბეგისა და ივ. მაჩაბელის შესახებ, რომელიც არაა მოკლებული სახოგადოებრივ ინტერესს.

ევროპიულათ კოხტათ გამოწყობილი, მაღალ ცილინდრიანი ქუდით. ქუდი მოიხადა და დავინახე მისი შალალი შუბლი, მოგრძო სწორი ცხვირი და / მოწაბლის-ფერო თმა, ოდნავ შეთხელებული. მივიდა პირდაპირ ზაქარიასთან, რომელიც იმ დროს წიგნებს ითვლიდა და აწყობდა ზოგს დახლზე და ზოგსაც თაროებზე, და გაუმართა საუბარი ერთ თავის სასცენო ნაწარმოების ეჭვასწერულობის სცენაზე დადგმის იმედს მას ამ ხანათ იძლევდენ თურმე, ტრაქტორების შემასტავი და კოტე ყიფიანი. სხვა პიესებს კი რეჟისორი და აქტიორები (სიტყვა მსახიობი მაშინ არ იხმარებოდა) წუნს სდებდენ თურმე თითოეული მათგანი, თავის გემოსა და გუნების დაგვარათ.

— წუნს მდებენ ისეთებიც, აღელვებით ამბობდა სანდრო, რომელთაც არ წაუკითხავსთ იმდენი, რამდენიც მე დამიწერია. მთელი ზანდუკი მაქვს სავსე ჩემი ნაწერი პიესებით, ერთი შეკვრა მათი რომ ამოვილო და თავზე დავაპერტყო რომელსამე შათგანს, თავის ქალა ოთხათ გაუსკდებათ და ისინი კი თავ-ხედობის სიამაყით იწუნებენ ჩემს დრამატიულ გემოვნებასა და ნიჭის, თუმცა თავათ არც გემოვნება აქვთ და არც ნიჭი.

ბოლოს სანდრომ ზაქარიას დაუწყო ჩურჩული, რაც მე აღარ მესმოდა, რადგანაც მოშორებით ვიჯიქი მოსაუბრეთაგან.

კოტე ხანს შემდეგ სანდრო წამოვიდა პირდაპირ ჩემსკენ, მოშიახლოვდა და გამეცნო. ხელში ქონებოდა ჩემგან წაკითხული მისივე ვოლევილი, ვადაშალა და მითხრა: თქვენ ეს კუპლეტი მოგწონებიათ. გულითადათ გთხოვთ, გამავარნოთ ის ხმა, რომელზედაც თქვენი აზრით უპრიანეთ მისი დამლერება.

მე გამეცინა და ვუთხარი: სასიმლერო სმენა არ დამყოლია და არც არა-სოდეს მიმლერია, რის გამო თქვენს თხოვნას ვერ შევასრულებ მეთქი.

სანდრო მაინც არ მომეშვა. ამაოთ ვუფიცებდი, რომ არავითარი მუსიკალური სმენა არა მაქვს. მეხვეწი მანამდე, სანამ არ შევუდექი მისი თხოვნის შესრულებას, მაგრამ დაწყებისათანავე, მიუხედავათ იმისა, რომ სანდრო სიყვარულიანათ და მოწიწებით მიყურებდა, სიცილი წამსკდა და დავეკითხე — ახლაც არ გჯერათ, რომ სმენა არ მივარგა?

— არა, თქვენ დღეს საჩემო გუნებაზე არა ხართ. ამ ცოტა ხანში შევიყაროთ სადმე და იქ გამაცნობთ ამ კუპლეტების ჰანვს.

რაღა თქმა უნდა, ასეთი მიზნით ჩვენ აღარ შევკრებილგართ, თუმცა ერთმანეთს იმ დღიდან მუდამ ვხვდებოდით, უმთავრესათ „დროების“ რედაქტორი, სადაც სანდრო ჯერ ხშირათ და შემდეგ ყოველ-დღე დადიოდა, მეტადრე მას შემდეგ, რაც მისი ნაწერების ბეჭდვა დაიწყო.

ყველაზე უფრო ადრე ის მოღიოდა რედაქტორი და ყველაზე უფრო გვიან ის გადიოდა, რადგანაც, უფრო ხშირათ ის რედაქტორი სწერდა თავის ნაწარმოებებს. წერას არ უშლიდა მას ირავითარი ხმაურობა.

რედაქტორი „დროების“ სერგეი მესხი იყო მისი მწერლობის ნათლია, ლალაცა და წამშეზებელიც.

როცა სანდრომ უთხრა, რომ ის შეიტანს ახალს ჰანგსა და კილოს ქართულს მწერლობაში, გააცნობს ქართველობას, ჯერ სარულიათ უცნობს მისგან

ხევსა და მოხვევების ცხოვრებას, თუ სერგეი დაუბეჭდავს მის ნაწერებს, სერგეი შეეკითხა — მზათა გაქვს ნაწერები, რა და რა გაქვს დაწერილო.

— ოციოდე დრამა, კომედია და ვოდევილები უკვე მზადდა ჩატაჭა, შემიძლია დავწერო რომანი და მოთხრობები, თქვენ აღონდა აღმიარებული, რომ დამიბეჭდავთ.

ერთობლივი

სასკენო ნაწერების შესახებ სერგეიმ ურჩია, ჯერ კიდევამ მის მიერ მოხვერებინა მათი დადგმა, და თუ კრიტიკა და საზოგადოება მოიწონებს მათ, ანუ რომელსამე მათგანს, მაშინ შეიძლებათ მათი დაბეჭდვა. ხოლო ხევისა და მოხვევების ცხოვრების ცოდნის დასამტკიცებლათ სანდროს მოსთხოვა, რომ მას დაეწერა ჯერ ეთნოგრაფიული მიმოხილვა და მერმე შესდგომოდა რომან-მოთხრობების წერას.

ასეც მოხდა.

პირველათ სანდროს ნაწერებთაგან დაიბეჭდა „დროების“, ნომრებში მისი ეთნოგრაფიული მიმოხილვა ხევისა, რაც მაშინვე გადიითარგმნა რუსულათ რაფიელ ერისოვის მიერ და დაიბეჭდა „რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების ცნობებში“.

რამდენსამე ხანს შემდეგ დაიწყო მისი ბელეტრისტული ნაწარმოებთა ბეჭდვა და 1885-მდე მან დასწერა და დაბეჭდა ჟურნალების რაც კი შექმნა მისმა ნიჭმა, კარგმა მოთხრობებში და სუსტმა ლექსებში, (ცალკე გამოიცა) და სასკენო ნაწერებზი.

პირველ ხანებში სანდროს ნაწერებს საზოგადოების ფართო ლიანგი არ ეწავებოდა, და ვინც შიგა-და-შიგ კითხულობდა უძახოდა მოზღაპრეს, მოაკია-ბაჭიეს, უკეთეს შემოხვევაში აღარებდენ მას იმ ფოტოგრაფს, რომელსაც ბუნების სახეები გადააქვს ქალალდზე მალე გისახუნებელ ფერადებით.

ამ უკანასკნელთა შორის იყო ცნობილი ბიოგრაფი ჩვენი ზოგიერთ მწერლებისა იონა მეუნარვიაც. პირველი მისი დამფასებლები იშვენ: კეკე, სერგეის მეულლე, დათიკო, მისივე ძმა, და ის ამწყობნი, რომელნიც აწყობდენ მის ნაწერებს.

ამ ხანებში სანდრო ეფერებოდა ჟურნას, ვინც კი ეტყოდა, „სანდრო, წავიკითხე „დროების“ ამა და ამ ნომერში მოთავსებული შენი ნაწერიო“. ცულობდა გაცნობოდა ჟურნას, ვისზედაც ეტყოდენ, ზოგჯერ მასხრობითაც, რომ ამასა და იმას მოწონს შენი ნაწერიო. სერგეის ხომ პირდაპირ აღმერთებდა და კინალამ ლოცულობდა მასზე.

უეცრათ იმავ იონა მეუნარვიას პირით საზოგადოებაში გავრცელდა ხშა, რომ გრიგოლ თარბელიანშა თქვა, — „სანდრო ქართველების ოშიროსია, შენმა შეემ, იშვიათი მწერალიაო“. განსაკუთრებულ იღტაცებაში მოეყვანა დიდი პომტი „ელგუჯაში“ აღწერილს ჭიდილს ყოჩებისას.

იმ დღიდან სანდროს ნაწერებით დაინტერესდა ჯერ ტფილისი და მერე მთელი საქართველოც. პირველად მაშინ უწოდეს სანდროს „მწერალი“ და ისიც „ნიჭიერი მწერალი“. ის გაიმართა წელში, სახეს მისას აღარ შორდებოდა ლიმი, სანამ ჭკუაზე იყო. ეფერებოდა მხოლოდ სერგეის, უმთავრესად იმიტომ,

რომ ის არ თხოვდა მას ყოველივე თხზულების დამთავრებულათ მიტანას, არა-
მედ უბეჭდავდა მოთხოვობებს განეთის №№-ში, თუნდაც მარტო თითო თავები,
ზოგჯერ თავების ნაწილებიც რომ მიეტანა.

მწერლის სახელის დამკვიდრებისთანავე სანდროს წინააღმდეგ გაერცელ-
და და თანდათან იზრდებოდა ხმა, ვითომც ის კი არ იყო კუჭის მეტი სა-
ხელით დაბეჭდილ თხზულებებისა, არამედ მისი პიძაპვილი დაწერილი ჟურ-
ნალის უკვე მიცვლილი, პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებული,
ავტორი ერთ პატარა სცენისა, რომელიც დაბეჭდილი იყო მე-70 წლების უურ-
ნალს „კრებულში“.

გარდა იმ ცნობებისა, რომელიც ამ ხმის შესახებ დაბეჭდილია დ. კარი-
კაშვილის წინასიტყვაობით ყაზბეგის ნაწერები სრული კრებული, მე გადმომ-
ცეს სანდროსა და დიმიტრის საერთო ნათესავის შემდევი ნამბობი:

დიმიტრის დარჩა ბევრი ქართული ხელნაწერი.

დიმიტრის მიცვალების შემდეგ, ჭირისულების თანხმობით, მისს სახლში
დროებით დაბინავდა სანდრო. პირველ კვირეებში, როგორც მიამბო დიმიტრი-
სეულ მოურავმა, ის სულ კითხულობდა რაღაც ხელნაწერებს. შემდეგ რამ-
დენიმე თვის განმავლობაში სულ იწერდა თავისთვის იმ ხელნაწერებს, შემდეგ
რამდენიმე სათის განმავლობაში ის დანთებულ ბუხარში აგდებდა და წვავდა
რაღაც ქალალდებს. ყველაფერს ამას ის ჩადიოდა კარჩაკეტილ ოთახში. შემდეგ
სანდროს დაბრუნებისა თავის სახლში, მუსურავს ველარ უნახავს თავის ადგილ-
ზე მისი ბატონის ნაწერები. მიუკითხავს სანდროსათვის, მარა მას უარი უთ-
ქვამს—დიმიტრის ნაწერების მე არა ვიცი როთ. მოურავს გრელი მოსელია და
დამუქრებია საქმის გამომელაუნებას, თუ სანდრო დაბეჭდავდა დიმიტრის ნაწე-
რებს თავის სახელით. მოწმეთ დავასახელებ თვით იმ მო ძლევარს, რომელიც
ჩემი პირით დაიბარა დიმიტრიმ, და რომლის თავისაცალი მისივე კარნახით
ჩაწერა დიმიტრიმ.

რამდენიმე ხანს შემდეგ მომკვდარინ—ჯერ ის მოძლვარი, და მერე დიმი-
ტრისეული მოურავიც. მას მერმე ჩამოსულა სანდრო ტფილისში, სადაც, რო-
გორც მოვიხსენე, შეუდგა ნწერლობას.

დ. კარიკაშვილსავით მეც მგონია, რომ ეს გადმოცემა, ცოტა სხვა გვა-
რათ მოთხოვობილი, არ უნდა იყოს მართალი.

სანდრო ყაზბეგი რომ უეჭველი ნიჭი იყო და დახელოვნებული შწერალი,
და რომ მის შეეძლო ისეთი მოთხოვობების წერა, როგორიც დაიბეჭდა მისი
ფსევდონიმით განეთს „დროებაში“ და უურნალებს „ივერია“ და „მოამბეში“,
ამის დასამტკიცებლათ მე შემიძლია ვთქვა შემდეგი:

ერთხელ „დროების“ „ივერიასთან“ შეერთებამდე, სერგეი საჩქაროთ უნ-
და წასულიყო თრი დღით სადღაც. რედაქციაში ჩემს მეტი აღარავინ იყო და-
ტოვებული. თრივე ნომრის მასალები სერგეიმ დაამზადა თვითონ, ერთი ნომრის
მასალა თავათ გადასცა ამწყობს, ხოლო მეორე დამიტოვა მე და მითხრა: თუ
რამ დააკლდეს საქრონიქ მასალა გადათარგმნე რუსულ განეთებიდან და სტა-
ბას ისე გადაეციო.

მეც პირველი ნაწილი დაბარებულისა შევასრულე და უფროს ამწყობს დავეკითხე, იქმარებდა თუ არა ის ნომრისათვის. ამწყობმა მხოლოდ დილის ათ საათზე გამოცა პასუხი: სრული ფელეტონის ოდენა მასალა კიდევ მომაწოდეო.

ის – ის იყო შევუდექი საჭირო თაღარიგს, რომ ჩემთან, ~~უფრაქციაში~~, შემოვიდა სანდრო და იკითხა სერგეი. მე დავაკმაყოფილე ჭისი, ~~უნიტესმოყვარეობა~~ და დავეკითხე, თან ხომ არა ჰქონდა ანალი მოთხოვება... რაშეუცხად მოთხოვის დასაწყისი, რომ სტამბაში გამეგზავნა ხვალინდელი ნომრისათვის.

ის შესწუხდა და მომიგო: რატომ დროზე არ გამაგებინე, დიდი სიამოვნებით დავწერდი რამეს და მოგაწოდებდიო. ვთხოვე დაეწყო რამე და იქვე დაეწერა სამასიოდე საგანხეთო პრეკი.

— განა მე ასეთს შემთხვევაში თხოვნა მჭირია, რომ გუნებაზე ვიყო და თავი ხელათ მქონდესო მომიგო მან და დააპირა რედაქციიდან გასვლა.

უცებ ვამიელვა თავში აზრმა — შემეტყუებინა ის რედაქტორის კაბინეთში, ჩამეკეტა იქ და არ გამომეშვა, სანამ რამეს არ დამიწერდა განეთისათვის.

ასეც მოვიქეცი.

ორ საათს შემდევ მან გადმომცა სწორეთ მაშინ დაწერილი ის პატარა ერთი საუკეთესო მისი ესკიზთაგანი, რომელსაც სახელათ ჰქვია ციცქა. რომ ეს ესკიზი უეჭველათ მაშინ იყო დაწერილი ამას ამტკიცებდა ისა, რომ ბოლონდელს გვერდს ნაწერებისას, რომელიც თავში ედვა დანარჩენ გვერდებს, მელანი გადაეგლისა როგორც კი ცერი შევახე ნაწერს.

თუ არ ნიჭიერი მწერალი, მონასიბათ (ექსპრომტათ) ასეთს კარგს ესკიზს ვერავინ დაწერს.

1881 წ. მე სამი თვე ვიდექი სანდროსთან ერთს ბინაზე სასამართლოს ქუჩაზე, რუსთაველის პროსპექტის ზემოთ. სახლის პატრონს გარეათ მოწყობილს ერთს დიდ ოთახში მოსამსახურით ვაძლევდით თვეში 15 მანეთს. ბინაზე მას იშვიათათ ვხედავდი, მიღიოდა დილით რედაქციაში, იქიდან სასაღილოში და მოღიოდა დასაწოლათ ათ-თორმეტ საათზე. საღილობდა იაფთასიან სარდაფებში ანუ ქაბაპჩებთან, ხოლო თუ ფული ექნებოდა — სასტუმროების სასაღილოებში. ბინაზე მას ბშირათ მოქონდა განჯის ყურძენი. ჭამდა ჯერ უჩურჩოთ და ჩურჩას შეინახავდა, ხოლო შემდევს ინჯრაზე დაუბრუნდებოდა ჩურჩას და მაღიანათ შეჭამდა. მოსამსახურეს ნათქვამი ჰქონდა სანდროსაგან, რომ იატაკს გარდა დასაწმენდათ არაფერს შეხებოდა. ამიტომაც იყო მისს საწოლს მაგიდაზე და ფანჯრების დაბგებზე ყველაფერს ნახავდით ერთათ არეულს: წიგნებს, საწერ მასალებს, ცარიელ პოთლებს, ვაჭსს, ჩექშებს, სამარილეს და თეფშებს. მეორე თვითანვე სახლის პატრონს ქირს დროზე ველარ ვაძლევდით და მანაც მოსამსახურე ჩამოგვაშორა.

სანდრო იყო კარგი საამხანაგო, უხვი როცა რამე ჰქონდა, ხოლო მოკრძალული, როცა არაფერი გააჩნდა. არაფერს პირაქეთ ამხანავს არ გთხოვდა, ხოლო თუ შენით პირიქით შეაძლევდი თავდაბლური მობოდიშებით გამოგართმევდა და გულწრფელათ აღგითქვამდა — პირველ შეძლებისთანავე გადაგიხდიო.

მისს მცირე რიცხოვან შიგნებში იყო ქართული, ფრანგული და რუსული ბელეტრისტული და ისტორიული ნაწერები. ფრანგულ მწერალთაგან მას ჰქონდა ილექსანდრე დიუმა—მამის და ვოლტერის ზოგიერთი ტომი; რუსულიდან—პუშკინი და მარლინსკი, ინგლისურიდან ნათარგმნი ვალტერ—სკოტტის ზოგიერთი რომანები. ქართულიდან კი ილია ჭავჭავაძის „კაცუაქა აუდიტორი“, აკაკის ცალკე გამოცემული ლექსები, გრიგოლ და ვახტანგ ორშეფლის სტატის ნაწერები, და ქართლის ცხოვრება ბროსეს გამოცემული, და „ვეფხვის ტუაოსნის“ ორი გამოცემა.

იყო ლიტერატურულათ ნაკითხი კარი, გულდასმით ჰქონდა გადაკითხული, როგორც ეტყობოდა, ჯერ კიდევ სიუმაშვილები, ქართული კლასიკები. ზეპირად იცოდა ბევრი ადგილები „ვეფხვის ტუაოსნიდან“ და „გურამიან დავითიანიდან“.

განსაკუთრებული სიუვარულით მოჰყავდა ცისატები „ყარამანიანიდან“, რომელსაც იგი კარგი ლირსების ნაწარმოებათ თვლიდა.

ერთხელ გრიგოლ ჩარცევის წიგნის მაღაზიაში მას გამოედავა ამ ოხზულების შესახებ რუსულათ განათლებული ქართველი, ქართულად ძლივს მოლაპარაკე—რა ჰყოდა ყარამანიანში, რომ დრო დაგიკარგავთ მისს წაკითხვაში!

— რა ჰყოდა? — გულამლერევით მიუგო სანდრომ და დასძინა — ყარამანიანი პოეტურათ ამკობს და ავვიწერს — ძმობის სათნოიანობას, მეგობრობის გულის დამტკიცებული გრძნობებს, მოყვარისთვის თავდადების სიამეს, სიყვარულის გამაკეთილშობილებელ ილტაცებას და კიდევ ბევრ რამეს აღამიანის ზნეობრივ ლიტებულებათაგანსო!

მე არ მახსოვს, რომ მთელს თავის სიცოცხლეში სანდროს მიელოს თუმცერთი გროში ჰონორარისა თავის ნაწერებში. პირიქით, ის თვითონ ძლვნობდა მთელს რედაქციას „დროებისას“, როცა ორიოდე გროში ჩაიგდებდა ხელში. ცოტაოდენ ფულს ის შოულობდა როგორც სცენაზე მოთამაშე, უფრო ხშირათ როგორც კი დივერტისმენტებში მონაწილე ლექსების კითხვით და ლეკურის ცეკვით. ის დიდათ ბეღნიერათ გრძნობაზა თავს, როცა 1882 წელს უფრნალ „ივერიაშ“ ცალკე დაუბეჭდა რამდენიმე ასი ეგზემპლიარი მისი „მოძღვრისა“. ყოველ დღე რამდენიმე ცალს უბეში ჩაიდებდა, როცა გავიდოდა სახლიდან და აძლევდა მისი ნიჭის დამფასებლებს საჩუქრათ. ამ დროიდან მას უკვე ჩოხა ეცვა სიკვდილამდე.

ის იყო გულწრფელი წმინდა წყლის პატრონი. დამტკიცებით სწამდა ბეღნიერი მომავალი ქართველობისა.

ერთხელ როცა „ელგუჯა“ ცალკე ფელეტონებათ იბეჭდებოდა „დროებაში“, რედაქციაში შემოვედა აკაკი და სხვათა შორის გვითხრა:

— ქვეყნის დიდ ერთგულ კაცათ გამოჰყავს სანდროს მისი ნათესავი სიმონ ჩოტიკაშვილი, რომელმაც ბოლო დროს უღალატა მეცეს და გაუღო რუსის ჯარს დარიალის კარები. ხალხს დღემდის არ დავიწყებია ეს მისი მოღალატეობა და ლექსათ ამბობს:

ეს რა ჰენა ჩოფიკაშვილმა,
ფიცი გატეხა ლვთისაო!
დარეგვნი ბაგრატიონი,
თვით კი მეფეთა ზისაო!



სანდრო მაშინ რედაქტორიაში არ ყოფილი. შემდეგ ეიტრატში უფრო ტექსტი ეს მას რედაქტორიაშივე და დაუმატია: მიში შენს გვარშიც სამშობლოში — მანუსკრიპტების ყოფილან?

— თუნდაც მასე, მერე რაო? გარსევან ჭავჭავაძემ ქართლ-კახეთს უდალატი, მარა იხლია ილია ჭავჭავაძე საქართველოს ამშვენებს. ზურაბ წერეთელმა იჩერეთი გასცა, მარა აკაკი მამულის დაღებაა. სიმონს ჩემს სახლისკაცს მამულისთვის რომ ელალატხოს კიდეცა, მე, სანდრო, იმის შემოყვანილების გაუვინაზე ვოკნებობ! ყოველ შემთხვევაში, მე ჩემდა თავათ, არა მჯერა სეიმონის მოლალატეობა. მაცათ, გავათავო ჩემი მოთხრობა, და მერე დასდევით მსჯავრი ჩემს გმირსაო.

1881 წელს ტფილისში გავრცელდა ხმა, რომ რუსის მთავრობას განზრახვა იქვს ასი ითასი კაზაკი დაასახლოს აფხაზეთშით. მე გულის ტყივილით გავაზიარე სანდროს ეს ამბავი, რომელმაც ბერი ჩენითაგანი დააღონა.

— მერე რაო? — იალისიანათ მომიგო მან. ერთი ოცდა ხუთი წლის შემდეგ ყველა ისინი ქართველებათ გადიქცევიანო.

ღმერთი, მისი განგება და ბედის წერაც სანდროს სწამდა, და ამ თავის რწმენას ასე მიხსნიდა: ბებია ჩემი ერთხელ ფლავსა სჭანდა, ბრინჯის ერთი მარცვალი სასულეში გადასცდა და დაიხრივო, განა ეს ლფთის განგება და ბედის წერა არააო. რამდენი კაცია, ათობით ტყვია მოხვედრიათ, ხმლით დაუჭრიათ, სატევრით გამოუშიგნავთ და არ მომკვდარა. სულ ამავ ლფთის განგებით და ბედისწერითა... მოდი შენ, და ნუ იწამებ განგებასა და ბედის წერასო.

მოიხა უანიშვნა ივანე მაჩაბალაზე

შეოთხმოც წლებში წარსული საუკუნისა ქართველი ინტელიგენცია ორ ბანიკათ იყო გაყოფილი. პირველ ბანაკს მესვეურობდა ილია ჭავჭავაძე და მისი წრე, ხოლო მეორეს „დროების“ რედაქტორის ჯგუფი აკაკითურთ.

საზღვარ გარეთიდან ახლაც ჩამოსული იყანე გიორგის ძე მაჩაბელი, რომელსაც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს პეტერბურგში ჰქონდა ნათარგმნი, იქ, ბანკის საქმეების გამო დროებით მყოფის ილია ჭავჭავაძესთან ერთად ზექსპირის „მეფე ლირი“, ჩამოსფლისათანავე მიეკედლა ილიას წრეს.

ქართველ მოლვაწის ხვედრის — საშსახურს ვერ ასცდა ვერც ივ. მაჩაბელი. ისიც შევიდა სამსახურში სათავაღ-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორით. მალე ილია ჭავჭავაძე მისი ყოველ კვირეული გაზეთი „ივერიით“ 1882 წ. შეუერთდა სერგეი მესხის ყოველდღიურ გაზეთს „დროებას“ და „ივერიია“ პირველ წელს გადაიკცა სამ თვიურ ჟურნალათ. ხოლო 1881 წ. ერთ თვიურიდ. ივანე მაჩაბელი გახდა უკვე ფორმატ გადიდებულ „დროების“ მულმივი და დამოუკიდებელი თანამშრომელი, გაუმცდარი, განათლებული და ნიკიერი. ის სწერდა

გაზეთში მოწინავე წერილებს და ფელეტონებს (უპირატესად სამეცნიერო მიმოხილვებს). ივანე მაჩაბელი ხანდისხან სწერდა ლექსებსაც. მაგალითად მისი ლექსი, — „ოცნება“ და „ოცდაერთი წლის ბიჭი“ დაპეკტრილია 1879 წლის უკრნალს „ივერიაში“, მე-3 ნომერში „მ*-ის ინიციალებით, აირჩიეს „წერა-კითხვის გამარცელებელ საზოგადოების“ გამგეობის წევრად, ქრისტიანული იყო ილია ჭავჭავაძე; ამ თანამდებობაში მან ისეთი ფხა გამოიჩინა, რომ ყველა თავის ამხანაგებს, დანარჩენ წევრებს გამგეობისას შებატა სიმხნე საქმიანობისა და თვით საზოგადოების შესძინა ასიოდე ახალი წევრი.

ამას მიაქცია უკრადლება ილია ჭავჭავაძემ, გადაიყვანა იგი ბანკში კასირად, მერმე დამფასებლათ, და პირველ შემთხვევისთანავე წამოიყენა მისი კანდიდატურა ბანკის დირექტორობაზე, რაც მაშინ დიდ და საპატიო თანამდებობათ ითვლებოდა. ივანე მაჩაბელი, რომელსაც უკვე ბევრი პატივისმცემელი ჰყავდა უართო საზოგადოებაში, ხმის დიდი უმრავლესობით იქნა არჩეული დირექტორად. ის მხნეთ შეუდგა ბანკში თავის ახალი მოვალეობის ასრულებას, ისე რომ მწერლობაში შრომისათვის არა დაუკლია რა. პირიქით ის ამ დროს შეუდგა შექსპირის უკვდავ დრამების თარგმნას და გადათარგმნა კიდეც იმავ და შემდეგ წლების განმავლობაში მაკბეტი, რიჩარდი III, ოტელო, ჰამლეტი, რულიოს კეისირი და კიდევ სამიოდე სხვა ავტორების პიესები, რომლებმაც გამოაცოცხლეს ქართული უძლური სცენა.

მისი რჩევით ილია ჭავჭავაძემ სამთვიური „ივერია“ კალააქცია თვიურ უკრნალად (1882). რასაც კალამშარჯვეთ უძლვებოდა და ივანე მაჩაბელი. არ გამოსული ისეთი №, რომ შიგ მისი ნაშრომი არ ყოფილიყოს.

აქ აღნიშნავ ერთ იშვიათ ამბავს: იმ დროს მეფის ნაცვლის მოადგილის ლევ. მელიქიშვილის მეუღლემ ა-მ სთარგმნა რუსულიდანა. იუუინის მოთხრობა „პოლინკასას“, მიიწვია ივანე მაჩაბელი, გაუმასპინძლდა დიდებულათ, გადასცა სტუმარ რედაქტორს თავისი ნათარგმნი, სთხოვა მისი დაბეჭდვა და ალუოქვა უკრნალის გავრცელებისათვის პროპოვანდის გაწევა. ივ. მაჩაბელმა გამოართვა თარგმანი დასაბეჭდათ. აღმოჩნდა რომ თარგმანი არ ვარგიყო. გაულენიანი თანამშრომელი რომ არ დაჰქარგოდა, ივ. მაჩაბელი ადგა და ხელიხლავ სთარგმნა ივივე მოთხრობა და დაბეჭდა 1881 წლის №-ში მელიქიშვილის სახელით.

1883 წ. დედა-ბოძმა „დროებისამ“ და მისმა დაუკინეთდა მოამავრდა სერგეი მესხმა, უდროვოთ მოტეხილმა აუტანელი შრომით, ძალაუნებურათ აიღო ხელი გაზეთშე და გადასცა იგი მცირე სასყიდლის აღებით ივანე მაჩაბელს, რომელსაც ფულით შველოდა გ. ქართველიშვილი, მაშინდელი უველაზე უფრო მდიდარი კაცი ტფილისში, და მეცენატი ქართული მწერლობისა.

„დროების“ ი. მაჩაბლის ხელში გადასცლისთანავე უკრნალი დაუბრუნდა ილ. ჭავჭავაძეს, რომელმაც მისი ტეხნიკური მხარის გამგეთ მოიწვია გიგა უიფშიძე, შემდეგ ს. ს. ნდობის საზოგადოების დირექტორი.

თვიური უკრნალის მაგიერ ივ. მაჩაბელი შეუდგა გაზეთის დამატებებათ პატარ-პატარა მოთხრობების გამოცემას. ისე გამოსცა მან, სხვათა შორის, აკაკის „სამგვარი სიყვარული“.

ამ დროს ტფილისში იმყოფებოდა საფრანგეთის არხეოლოგი და ლიტერატორი შურიე, რომელმაც ივ. მაჩაბლის ჩაგონებით სთარგმნა / ფრანგულით „ვეფხვის ტყაოსანი“.

ამას შემდეგ ტფილისში ჩამოვიდენ ავსტრიელ ნემცების მწერლები—ცოლქმარი სუტნერები და ვენგრიელი მხატვარი ზიჩი. სამივე მწერლები—ადროების რედაქტორი, გაეცვნენ მის რედაქტორს და სთხოვეს ხელშტადვანქულისამ საქართველოს, მისი წარსულისა და აწმყოს გაცნობაში. მან სხვათაშორის, ურჩია გასცნობოდენ მურიეს თარგმანს „ვეფხის ტყაოსნისას“.

ერთ დღეს „დროების“ რედაქტორიაში ივ. მაჩაბელს ეწვია გ. ქართველიშვილი და უთხრა:

— ვანო, ერთი მილიონი მანეთი დამიგროვდა, საქმე ვერ მომიძებნია, აბა ერთი მწერალს და ბანკირს თუ გაქვს ნიჭი მოსავები რამ მირჩიოვთ.

— სწორეთ დღეს მომივიდა ქორესპონდენცია ქართლიდან—პურის მოსავალი კარგია, მაგრამ მყიდველი არა ჩანსო. იყიდე მაგ ფულებით და მოუგებლობა ხომ არ იქნებაო, მიუვო ივ მაჩაბელმა.


გ. ქართველიშვილმაც დაუჯერა და სულ ცოტა ხანში მართლაც მოიგო კი ძალი ფული. გახარებულმა გ. ქართველიშვილმა მაშინ უთხრა ივ. მაჩაბელს: ათიათასი მანეთი ვადაშიდეთ შენს განკარგულებაში, რა საქმესაც მეტყვი, იმას დავახარჯებო. მაჩაბელმა ურჩია „ვეფხვის ტყაოსნის“ მდიდრულათ გამოცემა. ისიც დათანხმდა და საქმე ვაიჩარხა.

გამოცემის ტექსტის დასამუშავებლათ შესდგა ქართული მწერლების მაშინდელი კორიფეებისაგან ცალკე კომისია, რომელშიაც შედიოდენ: თვით ივ. მაჩაბელის გარდა ილია ჭავჭავაძე, აკაკი, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, რაფიელ ერისთავი, სერგეი მესხი, დავით ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი და ცნობილი ბიოგრაფი ქართველ მწერლებისა იონა მეუნარგია, რომელიც ეწეოდა კომისიის მდივნობას. კომისიის სხდომაზე ზოგჯერ ესწრებოდენ ხსენებულნი ბარონ სუტნერი მეულლით.

კომისიისაგან შემუშავებული ტექსტი გამოვიდა ხსენებულის მხატვრის ზიჩის მიერ დახატული სურათებით. იმავ სუტნერმა დასწერა „ვეფხის ტყაოსნის“ განხილვა, რომლის თარგმანი დაიბეჭდა უურნალს „ივერიაში“. ეს განხილვა უნდა ჩაითვალოს ერთ საუკეთესო განხილვათაგანიდ, რაც კი დღემდე დაწერილა „ვეფხის ტყაოსანზე“.

ერთად ერთ ქართულ კოველ დლიურ გაზეთის რედაქტორობამ და მეპატრონეობამ დიდი გონებრივი და ზნეობრივი გავლენა მოუპოვა ივ. მაჩაბელს მოელს საქართველოში. ის ახლა უკვე სედმიწენით მცოდნე იყო ბანკის და საბანკო საქმეებისა, ბევრ რამეებში ის უკვე აღარ ეთანამებოდა ილია ჭავჭავაძეს, რომელიც არ იყო ჩვეული სიტყვის შებრუნებას დირექტორთაგან, და როცა ივ. მაჩაბელმა მას დაუწყო ჯერ სიტყვიერი შეკამათება გამგეობის სხდომაზე და მეტე გაზეთში შეუდგა საბანკო საქმეების პრინციპიალურად განხილვას წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის აზრებისა, ეს არ იამა უკანასკნელს და გადაეკიდა მას. იმ დღიდან ილია აღარ ინდობდა და აღარათრით აღარ ზოგადა მას.

1885 წ. მთავარ-მართებლის დონდუკოვ-კორსაქოვის მიზენით დახურეს განეთი „დროება“ და მით მარჯვენა ხელი მოჰკვეთეს ივ. მაჩაბლის გავლენას და მოღვაწეობას.

უშუალო მიზენი განეთის დახურვისა იყო ორი ფელეტონი:  თვით ივ. მაჩაბლის და მეორე ამ პრეკრების დამწერის.

პირველში მაშინდელი მეფის ნაცვალი დონდუკოვ-კორსაქოვი და ხშირათ პოლეინუკებში საქეიფოთ მიმოსვლის მოყვარული აუდიტორული ზამო-ყვანილი იყო დათვად, რომელიც ეწვევა შუა ბაზარს, სადაც შეივლის თაფლის კასრებით სავსე ბინებში, სტესს კასრების და სვლებს თაფლს რამდენსაც შესძლებს.

მეორე ფელეტონში გამოყვანილი იყო ოსურვეთის პოლიცია—მაზრის უფროსი—ხოჯად, ხოლო მისი პრისტავი—მოღად.

პირველში აალაპარაკა მთელი ტფილისი და შემდეგ მთელი საქართველოც, ხოლო მეორემ თხურვეთი გურიანად.

1893 წ. ივ. მაჩაბელმა ანასტასია თუმანიშვილის-წერეთლის სახელშე გამოიხოვა ნებართვა ყოველ კვირეული სალიტერატურო და საზოგადოებრივ განეთის „კვალის“ გამოცემისა და შეუდგა ბანკის საქმეებშე მიუდგომელ და პირამთქმელი წერილების წერას.

მალე ამ ახალს რედაქციაში ისეთი ინტრივები გაუმართეს, რომ მან მიატოვა სულ „კვალი“ და იმ დღიდან აშ განეთს კრინტი არ დაუძრავს ილ. ჭავჭავაძისგან ბანკში დამყარებულ წესების გამო.

1896 წელს, ისეთი შეთქმულობა მოაწყო მაჩაბელის წინააღმდეგ ი. ჭავჭავაძემ, რომ ისეთი რამ არ ახსოვს ბანკების არსებობის ისტორიას:

ბანკის დამფუძნებელ წევრთა და მსესხებელთა ჩეეულებრივ წლიურ ყრილობაზე, რომელზედაც გარდა მორიგი საქმეების განხილვისა, არავისი არჩევანი არ იყო დანიშნული, მან, ილიამ, მოუყარა ყველა თვის მომხრეებს თვი და ყრილობაზე მოულოდნელით, თავის დამჭაშების მეოსებით წამოაყენა სიკითხი ივანე მაჩაბლის თანამდებობიდან გარდაყენებისა. მისი ვითომედა უტაქტიკობისა და უხასიათობის გამო. განკებ გააქიანურეს ბასი სხვადასხვა მოლაპარაკება ი. ჭავჭავაძის ბანაკიდან ივ. მაჩაბლის წინააღმდეგ. ამაოთ შენიშვნეს მათ ორიოდე მომხრემ მაჩაბლისამ, რომ რაკი აჯ უკანასკნელს არჩევნის ვადა ჯერ არ გასვლია, მისი გადაყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით, თუ კი მას რაიმე დანაშაულობა მიუძღვის.

— მიკვირს რატომ ხარჯავთ ტყვილათ ამდენ ტყვია წამალს. შეურილხართ ყველა ჩემი მოწინააღმდეგენი წინდაწინ მიღებული გადაშეყვეტილებით, რათა უსათუოთ გადამაჟენოთ კანონისა და მართებულების მიუხედავათ. ბარემ ჰყარეთ კენჭი და თქვენი კენჭები თქვენსავე წინასწარ გადაწყვეტილებას დაადასტურებს, მორჩი და გათავდა! — შენიშნა ივ. მაჩაბელმა ყრილობას.

ასეც მოხდა. ყრილობამ 2/3 ხმის უმრავლესობით დაადგინა გადაყენებულ იქნეს ივ. მაჩაბელი დირექტორობიდან, მიუხედავათ იმსა, რომ როგორც ვთქვით საკითხი არ იყო შეტანილი ყრილობაზე განსახილველ საგანთა შორის:

ივ. მაჩაბელმა გადაწყვიტა არ დამორჩილებოდა ისეთს უკანონო და უმართებლო დადგენილებას და განვითარობდა ბანკში მეცადინეობას, მაგრამ ილია ჭავჭავაძის და მისს ყურ მოჭრილ გამგეობის და აგრეთვე ზედამხედველ კომიტეტის წევრების განკარგულებით ივ. მაჩაბელს აღარ აძლევდენ საქმის ქალადებს ხელმოსაწერათ, არ იწვევდენ გამგეობის სხურმებზე და თვით სხდომებს მისდა ნამაღევათ მართავდენ, ააღებინეს მის სამეცადინო ოთახიდან მაგიდა და სკამიც კი.

ივ. მაჩაბლის მომხრეებში მიმართეს ვრცელი და კარგიდ დასაბუთებული საჩივრით ფინანსთ მინისტრს პეტერბურგში, საღაც ილ. ჭავჭავაძეს რამდენიმე ძლიერი ბიუროკრატი დაუფაცურდენ და საჩივარში ველარ გასტრა. ივ. მაჩაბელი იძულებული გახდა გასკლოდა ბანკს (1896).

საქმიანი ენერვიით სავსემ მაშინვე მოჰკიდა ხელა აზალ საქმეს / და შეუდგა ქართლის მეურნეობის ოლორძინების თაღარიგს, მიიმხრო საფულეოს, წნტელიგნეცია და მოლვაწეები და დაარსებინა მათ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებრივი, რომლის გამგეობისა და საწყობების ბინად არჩეულ იქნა რკინ. გზის სადგური გომი. გარდა ამისა მისივე თაოსნობით და მონაწილეობით ეწყობოდა სინდიკატისათვის ფრიად საჭირო სასოფლო-სამეურნეო ნდობის საზოგადოების დაარსების საქმეც. შედგენილი იქმნა წესდება, რომელიც შესაფერს თხოვნასთან ერთად ივ. მაჩაბლის წრეში ტრიალებდა ხელ-მოსაწერად და შემდევ დასამტკიცებლათ მთავრობასთან წარსადგენათ.

ეს ამბავი არ ესიამოვნათ ჭავჭავაძისტებს: მაჩაბლის ხელში ტფილისის ბანკი და სოფლად დიდი მომავლის მქონე კოოპერატივი მომასწავეებელი იყო მისი უგვირგვინო მეფობისა მთელს აღმოსავლეთ საქართველოში. რომ ეს არ მომხდარიყო დაფაცურდენ ჭავჭავაძისტები, რომელთაც ამ შემთხვევაში სულით და გულით ემხრობოდენ ჩარჩები: წესდება და მისი დანართი თხოუნა ჩაიგდეს ხელში, თავიანთ კაცებს მოაწერინეს ხელი, წარადგინეს სადაც ჯერ იყო და რამდენიმე თვის შემდეგ ს. ს. ნდობის საზოგადოება თვიციციალურად გაიხსნა ტფილისში. თანამდებობის პირნი, როგორც არჩეული ისე დანიშნულნი სულ ჭავჭავაძისტები იყვნენ.

იმავ 1896 წლის ბოლოს ივ. მაჩაბელი მძიმე ავად გახდა. იავათმყოფა ორ წლამდი; და გადარჩა ნიჭიერი დოსტაქირის (ჭირურგის) გეგე მაღალაშვილის წყალობით, რომელმაც, ტურილისის ყველა სხვა დოსტაქართაგამებში ერთად-ერთმა გამედი და ხელ მარჯვეთ გაუკეთა მძიმე ოპერაცია — ამოულო ერთი წიმოთაგანი. ამ ოპერაციის შემდეგაც მას არ დაბრუნებია ძველი სიმრთელე მაგრამ მორჩენისთანავე საზოგადოებრივ მოლვაწეობას შეძყო ხელი. ის აირჩიეს სინდიკატის გამგეობის თავმჯდომარეთ და ჩვეულებრივი თავდაცებით შეუდგა საქმეს.

მის არჩევამდისაც სინდიკატი დიდი სიკეთე მოუტანა ქართლს, მეტადრეზემო ქართლს. სინდიკატის დაარსებამდე დარღი წილი ქართლის ჭირნახულისა და სხვა ყოველგვარი მოსავლისა ჩალის ფასად გადადიოდა ადგილობრივ და მოსულ ჩარჩების ხელში. ქართლელნი შრომობდენ, ოთლე ლვრიდენ, ჭირნახულსა და სხვა მრავალს იწევდენ, მაგრამ მუდამ მშიერ-მწყურვალნი იყვნენ, როგორც თვითონ, ისე მათი ცოლშვილიც. უზომოთ მდიდრდებოდენ მათი ნაოფლარით.

მთელს ჩარჩობას მეხად ხედებოდა გულში სინდიკატის მოქმედება, რომლის გამოისობით მიღიონები ეკარგებოდა მათ უძირო ჯიბეებს. სინდიკატის გაძლიერება მათთვის სიკვდილის მომასწავეებელი იყო.

და როცა ივ. მაჩაბელის გამგეობის თავმჯდომარეთ არჩევა გაიგეს, ჭირდაპირ ელდა ეცათ. დაფაცურდენ მრავალნაირად მაგრამ საიდუმლოების სრულის დაცვით.

სინდიკატის საქმე კი დღითი-დღე უმჯობესდებოდა, წევრები ემატებოდა, მუშტრები კიდევ უფოთ...

1898 წელს თიბათვის 26 მან იყიდა სამეურნეო იარაღები და მეორე დღესვე უნდა გაეგზავნა იგი გომის სინდიკატისათვის.

მაგრამ ის მეორე დღე მისი ცოლშვილისათვის და მთელი ქართველობისათვის უმისოთ გათენდა: ლამის საწოლ თანაბრი შესული დასაძინებლად, მეორე დღეს ის ველარსად ნახეს, ველარც ცოცხალი და ველარც მკვდარი...



პარლ პაულის ახალი ფილოსოფია

ა) პაულის ფილოსოფია შესახებ სამითოდ.

რამოდენიმე თვის წინად გამოვიდა პ. კაულის ახალი დიდი წიგნი: Die materialistische Geschichtsauffassung-Berlin. 1927.— „მატერიალისტური გავები ისტორიის—ბერლინი 1927 წ.“. დასახელებული ნაშრომი გამოსულია ორ დიდ ტომად და შეიცავს არა ნაკლებ 1.800 გვერდისა. მის ავტორს ამ წიგნზე უმუშავნია ათი წელიწადი და თავისებურად გაუკვლევია მთელი კომპლექსი იმ თეორიული, თუ პრაქტიკული ხასიათის საკითხებისა, რომლებსაც ისტორიული მატერიალიზმი ეხება.

მაგრამ მყითხველი რომ შეცდომაში არ შევიდეს ამ თავითვე აუკილებელია გავაცხადოთ, რომ ამ წიგნში მოცემული ისტორიული მატერიალიზმის თეორია არ შეიცავს მარქს-ენგელსის მსოფლმხედველობის კომენტარიულ და სისტემატიურ გადმოცემა-დალაგებას, არამედ იქ ჩვენ საჭმე გვაქვს თვით კარლ კაუტსკის საკუთარ ფილოსოფიასთან. წიგნის დასაწყისშივე აცხადებს ამის შესახებ ავტორი: „ის რასაც მე აქ ვიძლევი, არის ჩემი საკუთარი დასაბუთება ისტორიის გავებისა“, (ტომი I გვ. 16) და შემდეგ მთელი ამ ითას რვაას გვერდიანი წიგნის ყველა ნაწილში განმეორებულია ის აზრი, რომ კაუტსკის თეორია არ შეიცავს მარქსის დებულების უბრალო განმეორებას, არამედ დამყარებულია მეცნიერების ახალი მიღწევების ხანგრძლივ შესწავლაზე ერთის მხრივ, და იმ გამოცდილებაზე მეორეს მხრივ, რაც ჩვენს ავტორს მიუღია ინდუსტრიალური კაპიტალიზმის განვითარების შესწავლისგან შე-20 საუკუნის პირველს შეოთხედში.

მარქსი და ენგელსით—იმბობს კაუტსკი, თუმცადა საუცხოვოთ იცნობდენ თავიანთ დროს და მე გენიალობის მხრივაც ბევრჯერ მჯობნიდენ, მაგრამ მათ ხელთ არ შეიძლება ჰქონებოდათ ის გამოცდილება, რომელიც შე ამ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში მივიღე, და ამიტომ მათი მატერიალისტური გავება ისტორიისა იყო არა სრული და მათი ფილოსოფია არა საკმარი. კაუტსკის სურს მარქს-ენგელსის საჭმის გამვრდელებელად გამოვიდეს და დასახელებული ნაკლი შეავსოს. ის ამჩნევს, რომ ამ საჭმისათვის აუკილებელია მარქსიზმის საფუძვლიანი რევიზია და კაუტსკიც დაუფურავად თავის თავს ა - ნისტის როლში გრძნობს.

მარქსიზმის ეს ახალი რევიზია გარევნულად სავსებით განიჩევა ძველი რევიზიისაგან. ძველი რევიზიონისტები მარქსიზმს უპრალოდ უაუყოფდენ, მასში ლოგიკურ და ოფალურ წინააღმდევობას ხედავდენ, კაუტსკი კი სხვა გვარად იქცევა. ის რჩება მარქსიზმის ნიაღავჭე (ყოველ შემთხვევაში, ცდილობს დარჩენას). მარქსიზმს უძლიერეს და უმტკიცეს მსოფლიური უცნაურებს, მავრამ მის კეშმარიტებას და საშართლიანობას ის ამართულებული ურთისების ფაქტური და მეცნიერული მასალის მიხედვით, რომელშიაც მარქსი და ენგელსი ცხოვრობდენ და მოქმედებდენ.

მაგრამ, გვარწმუნებს კაუტსკი, უკანასკნელი ათეული წლების განვითარებამ ძველი ისტორიული და ეკონომიკური ხასიათის პირობები სავსებით შესცვალა და ამიტომ აუცილებელია შეიცვალოს მარქსიზმის თეორიული საფუძველიც.—როდესაც ამ ორმოცდაათი წლის წინად მე გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შევდიოდი — მოგვითხრობს კაუტსკი — მაჟინ ჩვენ უცვლანი მარქს-ენგელსის მეთაურობით იმაში დარწმუნებული ვიყავით, რომ ევროპა ახალი დიდი რევოლიუციის წინაშე იდგა, რომ ეს რევოლიუცია შინაარსით პროლეტარული, მაგრამ ფორმით საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მსგავსი იქნებოდა; პროლეტარიატის პრაქტიკას და თეორიას ჩვენ ამ რწმენის მიხედვით ვარდგენდით, მაგრამ შემდეგ ნათელი გახდა, რომ ეს შეხედულება შემცდარი იყო, რომ ევროპაში საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დაგვარი (ფორმის მიხედვით) ილარიონერი განმეორდებოდა, რომ ევროპის მომავალი რევოლიუცია, ე. ი. პროლეტარული რევოლიუცია, მასების მიერ დემოკრატიული რეჟიმით ზეგავლენა იქნებოდა კაპიტალიზმზე და არა ზარბაზნებითა და გალიოტინით.

კაუტსკი საშართლიანად ამჩნევს, რომ ამ გამოცვლილ შეხედულებას გამოცვლილი თეორია სჭირდება და მართლაც ვინც ევროპის პროლეტარულ რევოლიუციაზე ასეთი შეხედულების გამხდარა, მას, რასაცირკელია, რევოლიუციონური მარქსიზმი არ დააკმაყოფილებს; სწორედ ამ სანიმუშო და პრაქტიკული მაგალითის შინედვით კაუტსკი მთელ ისტორიო-სოფიურ თეორიას აყენებს იმის შესახებ, რომ ისტორიაში არაფერი არ მეორდება, რომ ისტორია შედმიფი თავისებურებაა, რომ ისტორიული გამოცდილებით არც ერთი ისტორიული ამოცანის გამოყვანა არ შეიძლება, რომ თუ მარქსის ისტორიო-სოფია ხშირად ამის საწინააღმდევო მოსაზრებისა იყო, ეს მარქსის მიერ იდეოლოგიური მეცნიერების სახით მიღებული პეგელიანიზმის ცოდვები იყო და სხვა და სხვა.

ერთი სიტუაციონი ტრადიციული მარქსიზმის პოლიტიკისა და ტაქტიკის იმ რევიზიას, რომელსაც მსოფლიო ომის შემდეგ კ. კაუტსკი ასაბუთებს და მეთაურობს, ამ წიგნში თეორიული და ფილოსოფიური გამართლება მოუნახავს.

მაგრამ კაუტსკის ისტორიულ მატერიალიზმს აქვს კიდევ განსაკუთრებული ისტორიული და ინდივიდუალური თვისება, რომელიც მას შემდეგ კი არ განსაზღვრულა, რაც კაუტსკიმ თავის შეხედულება სოციალისტურ რევოლიუციაზე პოლიტიკურ ბრძოლაზე და სხვ. გამოიცვალა, არამედ იმ თავითვე ახასიათებდა

მის ავტორის. „ის გზა—იცხადებს ამის შესახებ თვით კაუტსკი,—რომ ითაც მე აქ გადმოცემულ ისტორიული მატერიალიზმის თეორიის და მივეღი, სავსებით განსაკავდება იმ გზისაგან რომლითაც მარქსი და ენგელსი მოდიოდენ“ (ტომი I გვ. 805). თუ ლაპარაკია მეცნიერული მომზადებისა და გზების შესახებ. ცნობილია, რომ მარქსი ვერმანული კლასიკური ფილოსოფიის დიდი შარაგზიდან მივრჩდა სტატისტიკური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების სფეროში და როგორც ერთგვარი სინთეზი ამ სამი დიდი ნაკადისა მან შეიმუშავა თავისი მატერიალისტური ვაგება ისტორიისა და მეცნიერული დაასაბუთა სოციალიზმის აუცილებლობა.

ის უდიდესი ვაკელენა, რაც ვერმანიის კლასიკური ფილოსოფიის უძლიერესნა ნაკადმა, ჰეგელის დიალექტიკურმა აზროვნებამ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მარქსიზმის მოახდინა, მარქსის აზროვნების მეთოდიური ნაწილისათვის ძალაში რჩება „კაპიტალის“ შექმნის პერიოდშიც. კაუტსკი, რომელიც ცდილობს დავიმტკიცოს, რომ ის ისტორიის მატერიალისტურ ვაგებასთან ჯერ კიდევ მარქსენგელსის მოძღვრების გაცნობამდე მისულა, სავსებით შორს იდვა ფილოსოფიიდან საერთოდ და ვერმანული იდეალიზმიდან და მის დიალექტიკიდან კერძოთ.

ახალგაზრდა კაუტსკი მოწაფე იყო დარვინ-ჰექკელის ბიოლოგიური ბუნებისეტცველური მსოფლმხედველობისა. თეთო კაუტსკი ამბობს ამის შესახებ, რომ როცა ის ძალიან კარგიდ იცნობდა დარვინს და თავის თავს მის მოწაფედ გრძნობდა, „კომუნისტური მანიფესტი“ მისთვის სავსებით უცნობი ყოფილა.

შემდეგ როდესაც კაუტსკი მარქსიზმთან მოვიდა და სხვა და სხვა ისტორიული შემთხვევების გამო მარქს-ენგელსის თეორიის და პრაქტიკის მებიორატურეთ იქნა ვამოცხადებული, ის მარქსის სოციალურ-ფილოსოფიას ყოველთვის დარეინისტის თვალებით ხედავდა. ამ ახალი წიგნით ეს, რასაკვირველია, დატურიცებულია, აქ ბიოლოგიური მსოფლგაგება სჭარბობს სოციალურს; აქ მხედველობიდან ვაშვებულია ის ვარემოება, რომ მარქსიზმი უპირველეს ყოვლისა სოციალური ფილოსოფიაა, რომ ადამიანი მარქსისათვის ჯერ სოციალური უმცესება და სხვ. კაუტსკი ადამიანში უპირველეს ყოვლისა ცხოველს ხელავს. ორისტოტელის გენიალური ფრაზა, რომ ადამიანი პოლიტიკური ცხოველია და დიდი სოუისტის პროცედურის აფიარიზმი, რომ „ადამიანი ნახევრად პოლიტიკოსია და ნახევრად ფილოსოფოსი“, „ფილოსოფოს“ კაუტსკის არ ესმის. მას ადამიანში ის ცხოველური საწყისები და მოტივები ესმის, რომელიც ადამიანს როვორც ბუნების ერთ-ერთ ფენომენს, მართლაც ახისიათებენ, მაგრამ რომლებიც, მას, როგორც სოციალურ მოელენას, არ ვანსაზღვრავთ.

ამით ჩვენ იმის თქმა ვვინდა, რომ ზედმეტი მოჭარბება ბიოლოგიურ ელექტრებისა აშაბლონებს ისტორიული მატერიალიზმის თეორიის არამც თუ კაუტსკის ამ წიგნში, ორამედ ზოგ მის ძველ თეორიული ხასიათის ნაწერებშიც.

კაუტსკის არ აქვს ვაგებული მარქსის მსოფლმხედველობა, როგორც სოციალური ფილოსოფია, ორამედ მას ის ვათქვეფილი აქვს ბიოლოგიურ ნატურალიზმში და ყველა პოლიტიკურ, თუ სხვა კომპრომისებსაც რომ თავი ვავა-

ნებოთ, მარტო ეს გარემოება მის ისტორიულ მატერიალიზმს ექლექტიკურ დოქტრინად აქცევს.

ერთს ადგილს თავის თავზე ამბობს თუთ კაუტსკი: „თა ჩვენი ახალგაზრდები, გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში ვანვიცდით რა ლასაღის და კ. ლიბკენების ზეგავლენას, უპირველეს ყოვლისა ყველანი ექლექტიკული ფლორულით“ — (ტომი II გვ. 641).

ეს ექლექტიკული ახასიათებდა არამც თუ ახალგაზრდა კაუტსკის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, არამედ ახასიათებს მოხუცებული კაუტსკის თეორიასა და ფილოსოფიასაც.

უნდა ითქვას, რომ კაუტსკის ეს ახალი წიგნი დაწერილია საკითხების უდიდესი ცოდნით, მაგრამ მე ჯერ არ წამიკითხავს არც ერთი სხვა ნაშრომი, რომლის ავტორი ამოდენა სხვა და სხვა ქვეყნისა და გზის მსოფლმხედველობას და თეორიას ერთ თავისებურ მთლიანობაში ათავსებდეს. ამ წიგნით კაუტსკი თეორიული კომპრომისისა და ექლექტიზმის ვირტუოზად გვივლინება. მისი ექლექტიზმი თუმცალა უდიდესი მოხერხებით და მასალის ცოდნით არის დასაბუთებული და ერთ მთლიან საკუთარ მსოფლმხედველობათ გაიაღდებული, მაგრამ საქმეში ჩახედული აქ მხოლოდ სხვისი და ხარისხი პეტეროვონური თეორიების ზეგავლენას ხედავს და არა რომელიმე ერთ მონუმენტალურ სისტემატიკურ ნააზრევს.

კაუტსკი ცდილობს უველაფერი შეარიგოს და უველა წინააღმდეგობა წარალოს, ის თავის სამსახურში ძყენებს უველა იმას, ვისაც პროტესტის განცხადება არ შეუძლია, ან ვინც პროტესტს არ გააცხადებს. აბა რით შეიძლება ივხსნით შემდეგი მავალითი. წიგნის მე-28 გვერდზე (I ტომ) სწერია: „მარქსის მოწაფეთა შორის პლეზანოვი იყო ის ფილოსოფოსი, რომელიც თავისი საერთო გაგებით მარქსთან და ენგელსთან უველაზე უფრო ახლოს იდგა“. პლეზანოვთან ერთად კაუტსკი თავის თავს კრძნობს მარქს-ენგელსის უერთგულეს მოწაფედ, მაგრამ ეს მას ხელს არ უშენის პრძოლა აწარმოვოს მარქსიზმის სწორედ იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელშიაც პლეზანოვი იყო მარქს-ენგელსის ნამდებილი მოწაფე, ე. ი. აქ ლაპარაკია მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ. იმავე გვერდზე, სწერს კაუტსკი, რომ ჭეშმარიტება პლეზანოვის მხარეზე იყო, როდესაც ის მახის, ავენარიუსის, თუ ოსვალდის ფილოსოფიას მარქსიზმთან მოურიგებლად სთვლიდათ. მიუხედავათ ამისა კაუტსკი თავის „ახალს მარქსიზმს“ არამც თუ არივებს, მახიზეს, არამედ, როგორც ქვევით დაუინახავთ, ის მარქსიზმს მახის სოფიერთი დებულების სამსხვერპლოზე სწირავს, და როდესაც ის თავისი წიგნის მე-805 გვერდზე (ტომი I) აცხადებს, რომ „მე მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიურ საფუძვლებიდან იმდენათ განხევის რამდენიმე რამდენიმე განვითარების დიალექტიკა თავისი მებისა და ადამიანთა საზოგადოების გაგების სფეროში ნაწილობრივად სხვათერ შესმის, ვიღრე მათ“ (ე. ი. მარქსი და ენგელსს) — ამას ის აზრი აქვს, რომ როგორც ქვევით დაეინახავთ, კაუტსკი

მარქს-ენგელსის მატერიალისტურ დიალექტიკას მახის სენსუალიზმით და რელაციონიზმით შეფერადებული დარვინისტული ნატურალიზმით სცვლის.

მოკარბებული დარვინიზმი ახასიათებს კაუტსკის ისტორისოფის ჟველა საფეხურს. მარქსი და ენგელსი, ამბობს კაუტსკი, ჰეველის მოწაფებრი ძყვნენ, მე კი დარვინის მოწაფე ვიყავი (გვ. 17). ეს შემთხვევითი ჰარტსაუმანის გადამწყვეტია კაუტსკის ისტორიული და თეორიული აზროვნების მიწა-ცემის ამ შემთხვევაში ძალიან ვეანან მასწავლებლები.

მარქსი მოწაფე იყო პეველის უკომპრომისო, სწორხაზოვანი და გენი-ლური მონისტური აზროვნებისა, თუმცა საფუძვლები ამ აზროვნებისა იყო იდეალისტური, მაგრამ გზა და განვითარება მისი იყო პრინციპ მტკიცე, ერთ-ბუნებიანი და სწორი, ამიტომ მარქსის საკუთარი ფილოსოფია, დიალექტიური მატერიალიზმი, იყო მონისტური და თან უნივერსალური მსოფლგრება, მისი ისტორიული მატერიალიზმი კი ერთ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპზე აშენებული ისტორიოსოფია.

მარქსი იყო მოაზროვნე პრინციპიალური, კომპრომისი და მორიგება მის ბუნებაში არ ეწერა. პეველის შემდეგ ფილოსოფიის ისტორიაში შეიძლება ფისტე შევადაროთ მარქსს, როგორც მოაზროვნე; ფისტე, რომელმაც პრინციპთ-სიმტკიცე ცალმხრივობის ვირტუოზობამდე მიიყვანა.

კაუტსკის აზროვნება კი იმ თავითვე ვითარდებოდა დარვინის ინგლისურ კომპრომისულ და დუალისტურ—გაუბედავი გზებით, იმ „უილიჯო“ და „სალახანა“ ინგლისური მეთოდით, რომელითაც არქსის თქმით თვით დიდი დარვინიც კი აზროვნობდა. და სწორედ ის ისტორიული მატერიალიზმი, რომელსაც ასეთი დამთავრებული და ყოველმხრივ შესწავლილი სისტემის სახით კაუტსკი ამ წიგნში იძლევა, არის ერთგვარი ნარევი სხვა და სხვა მსოფლმხედველობისა და მეთოდებისა.

„თუ როგორია ფილოსოფია, ეს დამოკიდებულია იმისგან, თუ როგორია მისი შემომქმედი ადამიანიო“—ამბობდა ფისტე. დიდი იდეალისტის აფორიზმი შეიძლება არაეისზე არ იყოს ისე ზედგიმოჭრილი, როგორც კარლ კაუტსკიზე. ვინც კაუტსკის იცნობს, მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი ევულიციებისათვის თვალი უდევნებია, ის ამ წიგნში დაინახავს ნამდვილ კაუტსკის. დიდი ცოდნა, მართლაც დიდი გამოცდილება, მაგრამ ცოტა პრინციპი და სუსტი ფილოსოფია, ყოველგან კომპრომისი და ყველაფრის შერიგება, ამიტომ გენიალური მოვლენების ჩვეულებრივისაგან ვერ გარჩევა.“

ამ წერილში ჩვენ, რასაკვირველია, არ შევეხებით კაუტსკის წიგნში წამო-ჟენებულ ყველა პრობლემას და ყველა თეორიას. ეს წიგნი ისე რთული და დიდ მნიშვნელოვანია, მის ავტორს ისეთი პოლპისტორიული განსწავლულობა აქვს გამოჩენილი, რომ კადნიერება იქნებოდა მასზე ხელალებით ლაპარაკი. ჩვენ აქ გვინდა მხოლოდ იმ საკითხებზე ვილაპარაკოთ, რომლის სფეროში თავს საკუთარ ბინაზე ვგრძნობთ, ე. ი. იმ სპეციალურად ფილოსოფიური პრობლემების შესახებ, რომლებიც კაუტსკის ისტორიული მატერიალიზმის პრობლემა-თა არეში შემოუტანია. უნდა ითქვას რომ ამით ჩვენ კაუტსკის აზროვნების

ყველაზე უფრო სუსტს მხარესთან გვექნება საქმე. მაგრამ კომპრომისი და ქანაობა მისი თეორიული აზოვნებისა არ ჩანს ისე ნათლად, როგორც აქ. ამ წიგნში მოცემული მარქსიზმის ნეორევიზიონიზმიც აქ ყველაზე უფრო, მკაფიოდ და ნათლად არის წარმოდგენილი. აქ კაუტსკიმ არამეტ თუ საესჯით უკუაგდო მარქს-ენგელსის აზროვნების სიძლიერე და სიამაყე მათერიალიზაციური ტიური მეთოდი, არამედ მათი მატერიალიზმი და რაციონალისტური ფილისტიზმი მახის-ტურად შეფერადებული სენსუალიზმით შესცვალა.

პ. ღიალები და გადამისამართი

დიალექტიკა, როგორც აზროვნების უნივერსალური მეთოდი, როგორც ზოგადი მოძლევება განვითარების ფორმების შესახებ აზროვნებაში, პუნებაში და აგა-მიანთა ისტორიაში, შეადგენს მარქსიზმის როგორც ვნოსეოლოგიურ-ლოგიკურს, ისე წმიდა მეცნიერულ-მეთოდოლოგიურს საფუძველს. მარქსი და ენგელსი, შემდეგ ყველა მათი, ე. წ. ორტოლოქსი მოწაფეები (ძალიან დიდხანს თვით კ. კაუტსკის მეთაურობით) ყოველ შემთხვევის დროს იმას ამტკიცებდენ, რომ მარქსიზმი ჰეგელის დიალექტიკიდან არ გამოსულიყო, მისი ისტორიისოფია არ იქნებოდა ის, რაც ის არის; რომ დიალექტიური მეთოდი ქვაკუთხედია მთელი მარქსისტული მსოფლგაგებისათვის; რომ დიალექტიკის უდიდესობა წარმომადგენელმა, ჰეგელმა დიალექტიკა გადააქცია არა მარტო განვითარების ლოგიკად, არამედ, რადგან მან ყოველივე განვითარება წარმოიდგინა, როგორც ერთგვარი აფეთქება თანდათანობისა და ერთგვარი წარმოიდგინა მიზეზ-შედეგის ჯაჭვეულისა, ამმიტომ, როგორც ენგელსი აბობდა, დიალექტიკა გადაიქცა რევოლუციის აღგებრად.

ცნობილია, რომ 1848 წლის ამბობმა ევროპის გაბატონებული ქლასები ისე დააშინა, რევოლუცია იმდენად ხედმეტი აღმოჩნდა მათი ინტერესებისათვის, რომ რევოლუცია თეორიაში და ფილოსოფიაშიც გაკიცხული იქნა. საერთო რეაქციის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოძყვა რეაქცია საზოგადოებრივ იდეოლოგიაში და ფილოსოფიაში, ჰეგელი და მისი დიალექტიკა მისცეს ანათეშას. განათლებულ ფილისტერს სამარცხვინოთ მიაჩნდა იმის მოგონება, რომ ის ერთხელ ჰეგელიანელი იყო. მე-60 წლებში ჰეგელიანობა ცუდი ტონის და უკან ჩამორჩენლობის სიმბოლოთ ითვლებოდა უნივერსიტეტის დოკუმენტისათვის. სწორედ ამ დროს ევროპაში იყო ერთად ერთი დიდი მოაზროვნე და დიდი კაცი, რომელიც მიუხედავათ საშინელი ანტიჰეგელიანიზმისა. თავის თავს მაინც ჰეგელის დიდი გენიის მოწაფედ გრძნობდა, რომელიც თეორიაშიც და პრაქტიკაშიც სავსებით დებულობდა „რევოლუციის აღგებრას“. ეს კაცი იყო გარღვეული მარქსი.

ამ რას სწერს ამის შესახებ თვით მარქსი „კაპიტალის“ წინასიტყვაობაში:

„როცა მე „კაპიტალის“ პირველ ტომშე ვმუშაობდი, მყვირალა, მოსაწყენი და ჭიუა-მოკლე ეპიგონები, ე. ი. ხალხი, რომელიც თანამედროვე განათლებული გერმანიის მესიტყველ გამოდის, ჰეგელის ისეთს მოპყრობას იწყებდა, როგორც ერთხელ, ე. ი. ლესიგნის დროს, დოკულათიანი მოსე მენდელსონი სპინოზის

ეპურობოდა, სახელდობრ—როგორც „მკვდარ ძაღლს“. სწორედ ამიტომ მე ჩემი თავი იმ უდიდესი მოაზროვნის მოწაფედ გამოვაცხადე“ და სხვ.

ფრ. ენგელსი „ანტიდიურინგის“ წინასიტუყვაობაში სწერს, ~~რომ~~ „მარქსი და მე ერთად ერთნი ვიყავით, რომლებმაც შეგნებული (bezwissens) დიალექტიკა გერმანული იდეალისტური ფილოსოფიური ფაზავარჩინეთ და ის ბუნებისა და ისტორიის მატერიალისტური გაგების ჭავერუშაჟ ჰადავიტანეთ“.

ერთი სიტყვით თავისთავად ნათელია, თუ რა უდიდესი როლი ითამაშა ჰეგელის აზროვნების მეთოდმა თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის დასაბუთების და პროლეტარიატის რევოლუციონური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში.

მარქსი ჰეგელის მეთოდი უკრიტიკოდ და უშუალოდ არ მიუღია. ჰეგელთან დიალექტიკა გახვეული იყო მისტიურ სამოსელში, მარქსმა ჩამოხადა მას მისთვის უცხო პირბადე და მისი ნამდვილი სახე დაგვანახა. დასახელებულ წინასიტუყვაობაში მარქსი სწერს ამის შესახებ:

„ჰეგელის ხელში დიალექტიკამ მისტიფიკაცია განიცადა, მაგრამ ამას სრულიად არ შეუშლია ხელი იმ გარემოებისათვის, რომ ჰეგელმა დიალექტიური მოძრაობის წოგადი ფორმები პირველად შეგნებულად და ყოველმხრივ დაალაგა. ჰეგელის დიალექტიკა ყირამალა სდგას. საჭიროა მისი გადმოტრიალება, და ამით მისი რიურ სამოსელში გახვეული რაციონალური მარცვალი დალი იქნება აღმოჩენილი“. დიალექტიკაში ამ რაციონალური მარცვალის ნათლად აღმოჩენა და შემცნების ამის მიხედვით დალაგება იყო უდიდესი ფილოსოფიური საქმე მარქსისტული დიალექტიკისა.

მოწინაამღებები მარქსიზმს ხშირად ფილოსოფიური სისტემის უქონლობაში ბრალს დებენ, მაგრამ ფილოსოფიური მეთოდის უქონლობაში მისთვის ბრალი არავის დაუდვია. მარქსისა და ენგელის მთელი მეცნიერული ნაშრომი იმდენად დაყრდნობილია დიალექტიურ მეთოდზე, იმდენად კადახლართულია დიალექტიკა მათ ნაზრევთან და მსოფლმხედველობასთან, ამ შემთხვევაში იმდენად ჰეგელიანლები არიან ისინი, რომ თეოთეული მარქსის სერიოზული მოწინაამღებე მარქსის დამარცხებას ჰეგელიდან იწყებს.

აციტომ სავსებით ლოგიკური იყო ედ. ბერნშტაინი, როცა მარქსიზმის გენერალური რევიზიის დაწყება ჰეგელის განადგურებით დაიწყო, როცა მან მარქსიზმის თეორიის თუ პრაქტიკის ყველა უბედურება ჰეგელის დიალექტიკას თავს მოახვია. მაგრამ ჩვენ ვერაცხერი გაგვიგია თუ რა სურს კარლ კაუტსკის. ეს კაცი მთელ თავის სიცოცხლეში მარქსიზმის აპოლოგეტიდ ვრძნობდა თავის თავს, მარქსი იცავდა დიალექტიკით და ჰეგელითურთ, — ახლა კი ამ დიალექტიკის განადგურება დაუწყია. ეს ცოტაა. კაუტსკის შეტი პრეტენზია აქვს. მას მარქსიზმი და ისტორიული მატერიალიზმის თეორია საკუთარი დიალექტიკით სურს გაამდიდროს. ამ წიგნში ის იძლევა თავის „საკუთარ დიალექტიკას“. მაგრამ ის, რასაც კაუტსკი დიალექტიკას უწოდებს, სინამდვილეში დიალექტიკა არ არის. მისი მოძღვრების გაღმოცემა საბოლოოდ დაგვარწმუნებს ამაში.

კაუტსკის საკუთარ დიალექტიკას ესმის ქვეყნიერება, როგორც განვითარება ორ თანატოლ და ერთძალოვან კომპონენტს შორის. ეს ორი ელემენტი არის მე და ქვეყანა, სული და სამყარო. მე ცხოველი ორგანიზმის ფუნქციონალურ ცნებას შეადგენს, ის არის მისი ინდივიდუალობის გამომატებელი პრედიკატი და ამასთან ერთად ერთ-ერთი იარაღი არსებობის ფუნქციების წარმოების დროს. მე ცნობიერდება და ცხოველ ორგანიზმს ჭრიაჭრებულ ტერმების მან მიღამოს და გარე ქვეყანას დადებითი შედეგებით შეედავოს და თავისი ინდივიდუალობა და სახე შეინარჩუნოს. ამრიგად, ეს „სული“ სიცოცხლის განმტკიცების პრინციპია. თავისი მოქმედების დასაწყისში ის ნახულობს ორს ფაქტორს, ერთია საკუთარი ორგანიზმის სხეული, საკუთარი მე, მეორე კი სხეულები და ორგანიზმები მის გარედ მოთავსებული, მისი გარემყარი. სული იძულებულია ებრძოლოს ამ გარემყარს, შეუთანხმდეს მის და ამით შეეგულს მის ძლიერებას. ეს მე-ს შეგუება (Appressung) ქვეყანასთან არის სიცოცხლის განმტკიცების და შემეცნების დაწყების თავდები. როდესაც სული მე ცნობიერების სახით ჩამოყალიბდება ის უბრალო ბრმა დამორჩილებას გარემყარის მიმართ შეცვლის ურთი-ერთი შეგუების დამოკიდებულებით. ურთი-ერთი შეგუების ალდგენა სულს და ქვეყანას, მესა და გარემყარს შორის არის უდიდესი მიხწევა ცხოველი ორგანიზმისთვის. ეს არის მისი განვითარების და არსებობის შენარჩუნების თავდები, მისი შემეცნების განმტკიცების საფუძველი და სხ. და სხ.

განვითარება, როგორც ბიოლოგიურ პუნქტაში, ისე სოციალურ ბუნქტაში, ნიშნავს მოძრაობას აქ წამოყენებული სქემის მიხედვით. ასეთს განვითარებას და ასეთს პროცესს უძინის კუტსკი დიალექტიურ პროცეს. ის კი არა, კაუტსკი ცდილობს განვითარების ეს თეორია ცნობილ ტრიადული ფორმებითაც კი გამოხატოს. თეზა იქნება „მე“ ანუ ორგანიზმი, როგორც ცხოველი სხეული; ანტი-თეზა, — „არა-მე“ ანუ გარე-მყარი, რომელიც „მე“-ს ნევაციაა, მე-სა და არა-მე-ს შეგუების ფაქტი კი იქნება სინთეზი, ანუ ნევაცია; ნევაცია.

ამ ნევაციის ნევაციით შეგუების თეორია სისრულეში მოყვანილია და ცხოველი ორგანიზმი დასუენებული, მისი არსებობის უფლება ალდგენილია და მასი მოქმედების მიზნები გამართლებულია.

ძალიან კარგი. მაგრამ არის ეს დიალექტიკა საერთოდ? და აქვს მას რაიმე საერთო პეგელის და მარქსის დიალექტიკასთან კერძოთ? თვით კაუტსკი ამის შესახებ ამბობს:

„აქ გადმოცემული დიალექტიკა მხოლოდ ფორმის მიხედვით ეთანხმება ჰეგელს, არსებითად ის სულ სხვა კითარებისა არის.

ჰეგელისათვის თეზა და ანტი-თეზა, როგორც ორგანიზმი და გარემყარი ორი სავსებით სხვა და სხვა საგნები კი არ არის, რომელიც ერთი მეორეზე ურთიერთ ზეგავლენას ახდენენ, არამედ ჰეგელთან თეზაში უკვე მისი წინააღმდეგობა, მისი ნევაცია ნაგულისხმევია“.

„მარქსმა და ენგელსმა გადმოიღეს დიალექტიკის ჰეგელიანური გავება და ის მხოლოდ, როგორც უნგელის თავის „ფოიერბაზში“ ამბობს, ფეხზე დააყენეს“. (გვ. 130)

აქ ნათქვამი უსათუოდ სწორია. მარქსისა და ენგელსისათვის საესებით უცნობი იყო დიალექტიკის ისეთი ვაფები, რომელსაც აქ ისტორიული მატერიალიზმის სახელით კაუტსკი იძლევა. მარქსი და ენგელი იყვენ ჰეგელის ფილექტიკის შორის უფერები და ეს მათი ისტორიული მატერიალიზმისათვის საფუძვლით საკმარისი იყო.

ურარცხული

კაუტსკი დუალისტური მსოფლგაგების მოწიფეა და აზერზე ტექსტური თავისებური დიალექტიკა სჭირდება. მოკლეთ და მკაფიოთ, რომ გამოყენება ამ ორი მსოფლმხედველობის სხევაობა, საჭიროა გავმართოდ შემდეგი დიალოგი.

ჰეგელი და მარქსი: ქვეყნიერების სათავე მონისტურია. თვითეული მოვლენა, ბუნებრივი თუ სოციალური ხასიათისა, ექვემდებარება მონისტური სათავიდან მიღებულ შინაგან კანონიერების. ქვეყანაზე, ე. ი. ბუნებაში და ისტორიაში, ცველაფერი მოქმედობს და ვითარდება, მავრამ განვითარება მონისტური სათავის საკუთარ განვითარებას ნიშნავს, განვითარება საკუთარი თაეიდან გამოსვლა და წინ წასვლაა. ამიტომა, რომ თვითეული მოვლენა საკუთარ თავში, ან ვითარებს თავის მომხსნელ და მომსპობ წინააღმდეგობას. წინააღმდეგობის გასწინა ახალი განვითარების დაწყების თავდებია.

მარქსის მაგალითი რომ ავიღოთ: თვითეული საზოგადოებრივი ფორმაცია საკუთარი საწარმოებ ძალების საბით საკუთარ თაეშივე ინვითარებს აუცილებელი რევოლუციის და მისი ქედი საზოგადოებრივი ურთი ერთობის გამოცვლის აუცილებლობას. კაპიტალისტური საზოგადოება იძულებულია დიალექტიური აუცილებლობის შინედვით წარმოშვას საკუთარი მესაფლოვე: ინდუსტრიალური პროცესიარიატი.

განვითარება ყოველთვის დიალექტიური აუცილებლობის აღიარებას ნიშნავს.

კაუტსკი: ქვეყნიერება განვითარებაა. განვითარების სათავეში კი ორი ძალაა მოთავსებული. განვითარება ნიშნავს ამ ორი ძალის შეთანხმებას და შეგუებას. წინააღმდეგობის მოხსნა კი არ შეიძლება, არამედ მორიგება. განვითარება მორიგების პროცესია. განვითარების პროცესში სიცოცხლის წარმოშადგენელი, ე. ი. ცხოველი ორგანიზმი აწარმოთებს არსებობისათვის პრძოლას. ეს პრძოლა არსებობის განმტკიცებით რომ დამთავრდეს, ამიტომ ორგანიზმი ეგუება გარემოარს. თუ შეგუების ფაქტი შესაძლებელია, მაშინ ორგანიზმის არსებობის უფლება მოპოვებული აქვს და ამიტომ გარემოარიც მას ანგარიშს უწევს, უბრალო შეგუება შეთანხმებათ იქცევა.

განვითარება შეთანხმებას ნიშნავს და არა საკუთარი შინაგანი ძალების გაშლას. შეთანხმება კი შესაძლებელია ორ თანასწორ უფლებიან ელემენტს შორის, განვითარების პროცესში ყოფელთვის ორი სათავე ნოჩანს.

ის გარემოება, რომ კაუტსკის სკემას არაფერი საერთო არ აქვს ჰეგელის დიალექტიკასთან, დავას არ უნდა იწვევდეს. კაუტსკის განვითარების თეორია დუალისტურია, ჰეგელის და მასთან ერთად მარქსის მონისტური; აღსანიშნავია შეოლოდ ის, რომ კაუტსკის მხედველობიდან გაეპარა განვითარების პრობლემის ფილოსოფიური ელემენტი. ის, რაც ჰეგელის გენიის საკუთარებას შეადგენდა,

განვითარების ლოგიკის დიალექტიკის სახით ჩამოყალიბება, კაუტსკისთვის არამც თუ გაუგებარი, არამედ სავსებით უწნობიც კი დარჩენილი. კაუტსკის ჰერინია, რომ განვითარების ფაქტის არსებობის აღნუსხვა და მისი მუწერა უკვე განვითარების არსებობის ლოგიკურ დამტკიცებას უდრის. მაგრამ ეს განვითარების პრობლემაზე ჩაქსოვილი დიალექტიკური ელემენტის არ თანახვის ნიშნავს. ქვეყანაზე რომ ცხოველი ორგანიზმები და უცხო ორგანიზმები, ანუ ერთსა შედებული მე-სათვის უცხო არა-მე, გარემყარი არსებობს, ეს ფილოსოფიური დავის საგანს სრულიად რომ არის არ შეადგენს; ფილოსოფიური დავის საგანთა ის ნილალი ელემენტი, ის ფილოსოფიური ერთი, რომლისგან ქვეყნიურ პროცესებს თვისი მსულელობა დაუწევიათ.

კაუტსკისათვის კი ეს პრობლემა სავსებით არ არსებობს. კაუტსკი მაღალ ფილოსოფიური ფრაზებით და სქემებით მისცურავს, მაგრამ მას არც ერთი ფილოსოფიური საგანი თან არ მიაქვს.

განვითარების ლოგიკური დასაბუთება შეგველის და მარქსის დიალექტიკის მიერ იმიტომ იყო მოცემული, რომ მათ განვითარება ესმოდათ, როგორც საკუთარი თავიდან წინ წასვლა, საკუთარი იუცილებლობის განმტკიცების ნიადაგზე საგნებს და მოვლენებს, რომლებიც განვითარების პროცესის გზას შეადგენდა, მარქსი და ჰეგელი ერთი ძირითადი ფაქტორის შინაგანი განვითარების ემანაციით აწესრიგებდენ.

ავილოთ ყოველად უბრალო და თან ისტორიული ხასიათის მაგალითი. მე-17 საუკუნის ინგლისელებმა და მე-18 საუკუნის ფრანგმა მატერიალისტებმა არაუც თუ აღმოაჩინეს, რომ აღამიანი გავლენას ახდენს ბუნებაზე, ემორჩილება მის კანონებს, მაგრამ ამავე დროს სცვლის მას და სხ. არამედ მათ ისიც აღმოაჩინეს, რომ აღამიანთა ისტორია საკუთარი აღამიანური ნამოქმედარი იყო და არა ღმერთიდან ნაბოძები რაიმე. მათ აღმოაჩინეს, რომ რომელიმე ხალხის ისტორია განისაზღვრებოდა ამ ხალხის ცხოვრებაში მომქმედი ფაქტორებით, აღზრდით, ზნეჩვეულებით, კანონმდებლობით, მექონიკური ხალხების დამოკიდებულებით, აზრის განვითარებით და სხვ. მათ მთელი თეორია შევქმნეს იმის შესახებ, რომ ისტორიაში ეს ფაქტორები ურთიერთ ზეგავლენას ახდენდენ, რომ ყოველივე იდეოლოგიური მოვლენა ისტორიაში, ზნეობის ფორმები, ფილოსოფიური აზრები, კეშმიარიტების თეორიები თავიანთი დროის საერთო მილიონი იყო განსაზღვრული და ამიტომ რელატიური. ჰელვეციუსი საუკეთესო ნიმუშებს იძლევა ასეთი თეორიისა. მაგრამ, ცნობილია, რომ მათ ვერავითარი საშუალებით ვერ დაამტკიცეს, რომ ისტორია განვითარებას წარმოადგენდა. ამიტომ ნათ არ წარმოადგენდა ნამდვილი და სწორი ისტორიოსოფია ჰქონიათ.

ჰელვეციუსი, რომელმაც პირველად იღმოაჩინა, რომ აღამიანი ცხოველიდან იმით განირჩევა, რომ ის მიწის კულტურასა და ინდუსტრიას ეწევა, ისტორიის საერთო გავების დარგში დარჩა ყოველად გულებრყვილო იდეალისტი.

ფრანგი მატერიალისტების პროვოკაციას შეადგენდა დაემტკიცებიათ, რომ აღამიანი ერთ-ერთი სახეა ცხოველი ორგანიზმისა, რომ ის ბუნების ნაწილია,

ეს მათ ჩინებულიად დაამტკიცეს, მაგრამ როდესაც მათი აზროვნება აღამიანის სოციალურ რაობას გადაეჩეხა, ე. ი. ისეთს სფეროს სყვაც განვითარების იდეა უმთავრესი ოპერატორი იყო, ისინი ხასტირდ დამარცხდნენ.

და სწორედ ჰეგელი იყო ის მოაზროვნე, ომელმაც-ჭრულუაფა-ქონინა ისტორიის განვითარების კანონიერი სქემა, რომელიატერიტურული დაწმარებით ისტორიული მსვლელობის ნამდვილი სახე დაგვანახა. ჰეგელის იდეალიზეს ხელი არ შეუშლია, რათა მას შემდეგი უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული კონსტრუქცია წიმოეყენებია:

„თუ ჩვენ სპარტანელების ზე ჩვეულებას მათი კანონმდებლობის შედევათ განვიხილავთ, ხოლო კანონმდებლობას ზეობის მოქმედებათ, ამით შეიძლება ამ ხალხის ისტორიის სწორი გაგება გვქონდეს, მაგრამ ეს გაგება არ არ ის საკმარისი, ის სავსებით ერთ დააკმაყოფილებს. გონიერას, იმიტომ რომ იმ გზით ჩვენ უნაკლოთ ვერც მით კანონმდებლობას აქსინით და ვერც ზეობას. ამის მიხრევა კი იმით შეგვიძლია, თუ მიეკიდოთ, რომ ურთი-ერთ დამოკიდებულების ორივე, ისე როგორც ყველა სხვა ელემენტი სპარტანელი ხალხის ისტორიისა, გამომდინარეობდა ერთი ცნებისა გან, ეს ერთი ცნება იყო საფუძველი ყველა იმ ელემენტისა“. (იხ. ჰეგელი: „ენციკლოპედია“).

და როდესაც შემდევ მარქსმა აქ მოცემული დაალექტიკა კანონიერ ფეხზე დააუენა, ე. ი. ამ შემთხვევაში ოპერაცია მოახდინა და ეს „საერთო სახალხო სული“, ეს „ერთი ცნება“ საზოგადოებრივი ცხოვრების საარსებო ურთიერთობით, საწარმოო ურთი-ერთობით შესცვალა, ისტორიის განვითარების ძირითადი კანონი აღმოჩენილი იყო და ისტორიის მატერიალისტური გაგება დასაბუთებული. მთელი ეს საქმე, ცხადია, როგორც ჰეგელმა, ისე მარქსმა შეასრულეს იმ მონისტურ დიალექტიური განვითარების ორიობის მეთოდიური დახმარებით, რომელსაც განვითარება საკუთარი თავიდან განვითარებად ესმოდა.

კაუტსკი გვირჩევს უკუ ვაგდოთ ეს ჰეგელის მიერ კაცობრიობის მთელი წარსულის პირდაპირ გენიალური გაგების და შესწავლის ნიადაგზე შემუშავებული დიალექტიკა და მის მაგიერ მიეკიდოთ კაუტსკის მიერ დარეინის და მახის აზრების შეზავებით მოცემული დოქტრინა. რომ ეს დოქტრინა რაიმე ახალს და დადებითს ნიშნავდეს, ჩვენ, რასაკვირველა, უარს არ ვიტყვით მის მიღებაზე, მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ კაუტსკის „დიალექტიკა“ მიიღო, ეს იმას ნიშნავს, რომ ის უდიდესი საქმე შემეცნებისა, რაც ახალს დროში სპინოზამ და ლაიბნიცმა, კანტმა და ფიხტემ, ჰეგელმა და მარქსმა გააკეთეს უბრალოდ დაივიწყო და ინკლისელი გულუბრყეილო მოაზროვნები მასწავლებლად იყვანო ფილოსოფიაში.

კალინიერებათ ნუ ჩამოვცერთმევა თუ განვაცხადებთ: ის რაც კარლ კაუტსკის თავის წიგნში საკუთარი დიალექტიკა პგონია, ჰეგელთან შედარებით პროვინციელი სოფლის მასწავლებლების ნაზრებს წავიტოს. მეტსაც ვიტყვით.—კ. კაუტსკის ფილოსოფიის და თეორიულ-მეცნიერული აზროვნების ისტორია რომ ისე კარ-

გათ შეესწავლა, როგორც მას ბიოლოგია და ინტროპოლოგია შეუსწავლია, მაშინ უსათუოდ თვითონაც შეამჩნევდა, რომ ჰეგელის და მარქსის დიალექტიკის ასე უბრალო მიმოხილვით და სახელდახელოთ შეკონიშებული რეალით შეცვლა შეუძლებელია, უსათუოდ შეამჩნევდა იმისაც, რომ ჯერ კიდევ ~~არტიურ ფილოსოფიაში~~, პლატონი და პროკლი, ხოლო უახლესში კანტი, ჟუტისტი და ჰეგელი იმიტომ სცვლიან ლოგიკური ვონების მიმართულებას, რომელ კრიტიკის დასაბუთება იმ ანტიტეტური ვზით, რომლის ერთ-ერთ სახეობას კაუტსკის დიალექტიკა შეაღვენს, შეუძლებელი აღმოჩნდა.

მას შემდეგ რაც კაცობრიობას ჰეგელი და მარქსი ჰყავდა, პირდაპირ წარმოუდგენელია, თუ რა უფლებით შეუძლია მოაზროვნეს ჰერიკლიტის დაკვარ დიალექტიური დაწინაღმდევების თეორიის უკან დაუბრუნდეს და ეს დიალექტიკის ახალ სახეობათ გაასალოს!

ერთი სიტყვით, პ. კაუტსკის დიალექტიკა არამეც თუ არ აწესრივებს ფილოსოფიურ საკითხს: საიდან მოდის განვითარება, არამედ არც კი იცნობს მას. კაუტსკის დიალექტიკა სკრიტს მხოლოდ განვითარების ფაქტს. და რადგან თვითონული განვითარების ფაქტი ორი ელემენტის პრძოლას წარმოადგენს, ამიტომ ფაქტების აღწერაზე დაყრდნობილი თეორია აუცილებლად დუღისტური უნდა იყოს.

კაუტსკის მეთოდური აზროვნების დუალიზმი კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ მას შემდეგ ფილოსოფიურ საკითხს დაუსვამთ: საითკენ მიღის განვითარება? კაუტსკი უპასუხებს, რომ ინდივიდუალობის ვანმტკიცებისაკენ, ანუ ცხოველი ორგანიზმის მიერ საკუთარი ორგანიზმისათვის არსებობის უფლების მოპოებისაკენ. მაგრამ კაუტსკის ანტიტეტის თანახმად ორგანიზმის მიერ არსებობის უფლების მოპოება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მას ახლა გარემოარი ანგარიშს უწევს, უბრალო შეგუება იქცევა ურთი-ერთ შეთანაბეჭდათ და თანაბეჭდობათ. სინთეზში ეს ვარემოება ხაზგასმულია და სხვა კი არაფერი, ამიტომ სინთეზიც უოველოვის პოლარული ბუნებისა არის და როგორც ასეთი დუალისტიური, როგორც თეზისი და ანტიტეტისი, ისე სინთეზისი აუცილებლად და გამოუკლებლად ემპირისტულ-სენსუალისტურია. სწორედ ამიტომ კაუტსკისათვის საფსებით გაუგებაოთ დარჩა მარქსის ის განცხადება, რომ დიალექტიურ მეთოდის მოხვარებისათვის უმთავრესია „დიალექტიკის რაციონალური ძირის“ დღის სინათლეზე გამოტანა და თეორიის მასზე დაყრდნობათ. ვინც დიალექტიკის ამ „რაციონალურ ძირს“ უერ გაიგებს, მას არას დროს არ შეუძლია ის ფილოსოფიური მაღალი და ფაქტი საიდუმლოება გაიგოს, რომელიც დიალექტიურ აზროვნებას უპირობესობას და სიძლიერეს ანიჭებს უბრალო უორმალ-ლოგიურ აზროვნებაზე, ვისაც ეს უკანასკნელი პრობლემა თავის ნააზრევში ნათლად არ წარმოუდგენია, მას ცხადია განვითარებას ლოგიკურ დასაბუთებამდე არას დროს არ მიუღწევია. უერ აღწევს მას ვერც კაუტსკის დიალექტურა.

კაუტსკის განვითარების ფაქტების სქემატიური აღნუსხვა-განვითარების დიალექტიკა ჰგონია. ამიტომ ის რასაც კაუტსკი საკუთარ დიალექტიკას

უძახის, არავითარი დიალექტიკა არ არის. ყოველ შემთხვევაში მას არიგერი საერთო არ აქვს აზროვნების იმ ნაკადთან, რომელიც ჰეგელიდან და შარქის-დან მომღერინარეობს და ძალიან ენათესავება იმ სენსუალისტურ ემცირიზმს, რომელსაც მახი წარმოადგენდა და იმ სუბიექტ-ობიექტის ეპიროზტურ კონკ-ლატივიზმის თეორიას, რომლის ავტორი ავენირიუსი იყო.

- კაუტსკის ლიალექტიკის მასწავლებელი—კარლ მარქსი ცნობილი პროგნოსის, არა-მედ ავსტრიული მარქსისტი და თან მახის და ავენარიუსის უერთგულესი პოტი-ფე, ფრ. ადლერი.

ამიტომ ჩვენ ვერაფერი გაგვიგია თუ რა უფლების ძალით აცხადებს
კ. კაუტსკი:

„როგორც ამ შრომის პირველ წიგნშივე განვაცხადეთ
აქ გადმოცემული სახე დიალექტიკისა არ ეთანხმება იმ
დიალექტიკას, რომელსაც ენგელსი თავის „ანტიდიურინგში
იძლევა: ჩვენ დიალექტიკას ზოგჯერ მეტი შეხვედრა უხდება
ჰეგელთან, ვიდრე ენგელსთან.

უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ ჩვენ, როგორც ჰეგელი, ვლებულობთ, რომ დიალექტიკა, რომელიც თეზიდან უკვე ანტითეზას იწარმოებს, ძალაში რჩება მხოლოდ. როგორც განვითარება ადამიანთა საზოგადოებაში, ენგელსის გაგებით კი დიალექტიკა იყო ზოგადი კანონი, კანონი ყოველივე განვითარებისა ბუნებაში⁴ (ტომი I გვ. 791).

რაშიც აქ საჭმე? რით აიხსნება, რომ კაუტსკი რაღაც წინააღმდეგობას ნახულობს ჰეგელსა და ენგელს შორის და ოვითონ ჰეგელის მხარეზე ჩაუპარა?

საქმე შემდეგშია. ამ განცხადების წინა თავებში კაუტსკი ეხება აღაშიანთა სახოვალოებას, როგორც ასეთს, საქმის დიდი ცოდნით არკვევს ისეთ დიდს პრობლემებს, როგორც ირის პრობლემა რასის, ტეხნიკის და ეკონომიკის 300 გვერდის მანძილზე გრძელდება ამ პრობლემების გამოკვლევა. გამოკვლევის დასასრულს კაუტსკისთვის უეცრათ ნათელი გახდა, რომ, ნებით თუ უნებლივთ, მისი გამოკვლევის მსვლელობა ჰეგელის დიალეკტურ პროცეს დაემგზავსა. თვით კაუტსკი აცხადებს: „აქ ჩვენ ვნახულობთ დიალეკტურ პროცესს, რომელიც ძალიან ბევრში ჰეგელისას უდრის“ (გვ. 789).

გასაკუთრით ამბავია! ამავე კაცმა თავისი წიგნის მე-140 გვერდზე მარქსი და ენგელს უსაყვედურა, რომ საკმარისი არ იყო ჰეგელის დიალექტიკის მხოლოდ „გადმოტრიალება“, რადგან აღეილი „დასანახავია, რომ ჰეგელის დიალექტურ სქემას თუ მხოლოდ უბრალოდ გადმოვაბრუნებთ“, ის ბუნებაში და საჭო-გადოებაში საერთოდ კი არა, არამედ ხან მხოლოდ ძალდატანებით, უმეტეს ნაწილად კი საფეხურით არ გამოდგება.

მატერიალისტური მოხმარებისათვის მისი მარტო ფეხზე დაყენება კი არ არის საჭირო, არამედ საჭიროა იმ გზის სავსებით გამოცვლა, რომელზედაც ფეხები დადიან“. (I ტ. გვ. 140).

როგორც ხედავთ, აქ კაუტსკი მარქს-ენგელსის მომაკედინებელ კოდ-
ვათ სთვლის, რომ მათ ჰეგელის დიალექტიკა მხოლოდ გადმოაბრუნეს

და ფეხზე დააყენეს, მაგრამ ჯეროვნად არ შესცვალეს ის. დაბოლოს კი მისთვასაც ნათელი გახდა, რომ აღამიანთა საზოგადოების განვითარების პროცესი თურმე „პეგელის დიალექტურ პროცესს ბევრში ჩამორის“. ახლა კაუტსკი ცლილობს, ენგელის გამოიყვანოს პეგელის ~~წინააღმდეგ~~. თურმე კაუტსკი და პეგელი ასეთს დიალექტურ პროცესს დეტალობენ მხოლოდ და მხოლოდ აღამიანთა საზოგადოების მიმართ. ენგელის ~~უწევერტოშაფუტებია~~ ის და ბუნების საერთო კანონად გამოუცხადებია. ენგელის გამოსულია პეგელის წინააღმდეგ, ეს ყოფილა მისი მომაკვდინებელი ცოდვა. საუბედუროთ სწორედ იმ ადგილმა საბოლოოდ დაგვარწმუნა ჩვენ იმაში, რომ პეგელი კაუტსკისათვის ნამდვილი *tertia incognita* დარჩენილი.

შეცდომა კი არა უბრალო სიცრუეა ის გარემოება, რომ პეგელს დიალექტიური პროცესი მხოლოდ აღამიანთა საზოგადოების განვითარებისათვის სავალდებულო პროცესად მიაჩინდა. პეგელის დიალექტიკა, რომელიც (კაუტსკის სიტყვებით თუ კიტავით) „თეხით უკვე საკუთარ ანტიოქების იწვევს“, ძალაში რჩება არამც თუ აღამიანთა საზოგადოების მიმართ, არამედ ყველაფრის მიმართ, სადაც კი განვითარებაა შესაძლებელი. ყველაფერს, რაიც კი არსებობს, აქვს ისტორია, და რასაც ისტორია აქვს ის ექვემდებარება დიალექტიური პროცესის თვითმოძრაობას, გვასწავლის პეგელი. ამ პროცესიდან პეგელისათვის პარნასი და ინგლისელი დეისტების ლეთაებათა პარლამენტიც კი არ ყოფილა გამორიცხული; რომელ ისტორიასაც არ აიღებს, — ბუნების ისტორიას, ღმერთების ისტორიას სულის ისტორიას, სახელმწიფოს ისტორიას, მეცნიერების ისტორიას, ფილოსოფიის, ხელოვნების, რელიგიის თუ კიდევ, სხა ყოველგან პეგელის გავებით დიალექტიური განვითარების უნივერსალური კანონი მეფობს. ამაზე დავა პირდაპირ შეუძლებელია. აქ ენგელის პეგელის მოწაფე და არა კაუტსკი.

განსხვავება ენგელსა და პეგელს შორის სულ სხვა გვარია და აი რა გვარი: მაშინ როდესაც პეგელი ასწავლის, რომ ყველა ამ სხვადასხვა ობიექტში ბოლოს და ბოლოს ვითარდება აბსოლუტიური იდეა, სული, მსოფლიო ინტელიგენტი; განვითარების დროს ზოგან ის არის თავის თავთან, ზოგან კი საკუთარ თავთან გაუცხავებული, ასე მაგ. როცა ის მოვლენილია სულის განვითარების სახით, ის თავის თავთან არის, როცა ის მოვლენილია ბუნების განვითარების სახით, ის უცხოა საკუთარი თავისათვის და სხვ. მაგრამ ორივე შემთხვევაში დიალექტიური პროცესი ერთი და იგივეა; თვით ბუნება პეგელის გამოთქმით ამის Entstehung des Geistes.

ამის საწინააღმდევოდ ასწავლის ენგელის, რომ თეთო კანონი დიალექტიური განვითარებისა არის ის ერთად ერთი, ის უნივერსალური, რომელიც ერთნაირად მართავს საშივე შესაძლებლობას არსისა: ბუნებას, აღამიანთა საზოგადოებას და აღამიანის აზროვნებას. თუ მაგალითად პეგელისათვის მსჯელობის ლოგიკურ რეფლექსში დიალექტიური მოძრაობის ბატონობა ჩანს, ენგელის განცხადებით დიალექტიური მოძრაობა კიდევ უფრო ნათლად ჩანს მსჯელობის მიერ ნაგულისხმევ ემპირიულ შინაარსში, ე. ი. მეცნიერების ნაამაგარში. დიალექტიკა რომ უნივერსალური მეთოდია, ამაში ენგელის სავსებით

ეთანხმებოდა ჰეველს, ის ეწინაამღლებებოდა მას და შეთოდის იდეალისტური ინტეპრეტაციის და მისტიურ სამოსელში გახვევის ცდას. ერთი სიტყვით, ჰეველის გამოყენა ენგელსის წინააღმდეგ ყოვლად უიმედო საქმეა.

ამრიგად ჩვენ საკმაოდ დამტკიცებულად მიგვაჩნია დეპულება, კაუტსკის საკუთარი „დიალექტიკა“ ჰეველის და მარქსის დიალექტიკასთვის შედარებით, მეტა თუ რა, 200 წლით უკან დახევას ნიშნავს ეცროვა და დეცნიერული აზროვნების განვითარების სფეროთ პერსპექტივებში. კაუტსკის დიალექტიკა ვერც განვითარების წარმოშობას, ვერც მის ლოგიკური აუცილებლობის და ვერც მისი უკანასკნელი შესაძლებლობის საკითხს ვერ სჭრის; ის არც კი იცნობს ამ საკითხებს და ამიტომ ის არავითარი დიალექტიკა არ არის.

მაგრამ სანამ დიალექტიკაზე მსჯელობას დაუანებებდეთ თავს და კაუტსკის წიგნის სხვა ფილოსოფიურ მოსაზრებებს შევეხებოდეთ, აუცილებელია კიდევ ორი ე. წ. სპეციალ დიალექტიურ პრობლემაზე შევჩერდეთ.

პირველი პრობლემა იქნება ე. წ. დიალექტიური ნეგაციის, ანუ ნეგაციის ნეგაციის პრობლემა. აქ კაუტსკი გამოდის ენგელსის გარეულ მოწინააღმდეგები. მას, რასაკვირველია, ისიც არ ავიწყდება, რომ, ძველად კაუტსკი ამ „ნეგაციის ნეგაციის“ კანონს თვითონ სმარობდა, მაგრამ რადგან ახლა იღმოაჩინა, რომ „ეს კანონი ერთგვარ გადამლაშებას და ძალდატანებას შეიცავს, ამიტომ ძალიან ფრთხილად ეპყრობა მას“ (გვ. 133). ბევრის თქმა აქ საჭირო არ არის, რადგან თვით კაუტსკი ვერც ერთი არგუმენტით ამ კანონის წინააღმდეგ ვერ გამოდის. კაუტსკის მოპყავს ცნობილი ადგილი ენგელსის „ანტიდიურინგიდან“, რომელიც მარცვალის დიალექტიურ განვითარებას ეხება და აქრიტიკებს მას. კაუტსკის არგუმენტაციის აზრი იმაშია, რომ მთელი ბუნება ამ დიალექტურ სქემას არ ექვემდებარება, ყველა მცენარე მაგალ., ნაყოფის მოცემის თანვე არ კედება. მაგრამ ეს არავითარი არგუმენტი არ არის ჰეველის და ენგელსის წინააღმდეგ. საღლაც ერთი „მოპოეტო“ ფილოსოფოსი შენიშვნას: ქალი შეიღს რომ შობს, რაღაც კედება მასში. ამ აფორიზმის დიალექტურ საზრისს თუ ჩაუკვირდება აღამიანი, მყისვე გაიგებს, რომ კაუტსკის არგუმენტიარი სუსტია. ნეგაციის ნეგაციის კანონი ბუნებაში შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ ზოგადი და საყოველთაო; თუ მაგალითად სიმინდის მარცვალი იქცევა მცენარედ, მცენარე იძლევა ტაროს (გამრავლებულ მარცვლებს) და კედება, ხოლო მსხლის ხე, ან და ირემი ბერვრჯელ იძლევა მარცვალს (ნაყოფს) და შემდეგ კედება, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ეს ყვანასკნელნი იძლევიან გამრავლებულ მარცვლებს მრავალჯერი პროცესით, მაგრამ თითო ასეთი პროცესის დროს ნაწილობრივად კედებიან, უკეთ თუ ვიტყვით, რაღაც კედება მათში. კაუტსკი ამ კონტექსტში ამბობს, რომ ნეგაციის გზით მოცემული დიალექტური განვითარება მას მისაღებად მიაჩნია ორგანიული ქვეყნისათვის, „მაგრამ არა იმ გავებით, როგორც ეს ენგელს ესმის, საღაც მომრაობა და განვითარება ორი ფაქტორის ე. ი. ინდივიდუალისა და გარემყარის ერთი მეორეზე ზეგავლენის მოხდენას კი არ ნიშნავს, არამედ მხოლოდ

ერთად ერთი ფაქტორის მოძრაობას, ინდივიდუმისა სიკუთარი თავიდან, სა-დაც ანტითეზა და თეზა ერთსა და იმავე ინდივიდუმშია მოცემული" (ტ. I გვ. 133) — ეს განცხადება იმას ნიშნავს, რომ მის დამწერს ფილოსოფიური წარმოდგენაც კი არ იქვს, ე. წ. დიალექტიური ნეგაციის შესახებ. სადაც ნეგაციის დროს ორი ფაქტორი მოქმედობს, იქ დიალექტური ნეგაცია ყელია, საუბრალო ფორმალი ნეგაცია ხდება, ერთი ფაქტორი მოსპობს შეორჩევს წრიტება და გა-თავდა. დიალექტიური ნეგაცია კი მხოლოდ ისეთს ნეგაციას ნიშნავს, რომელიც განვითარების ნიადაგს კი არ სპობს, არამედ ანოუიერებს. ენგელსი ათასჯერ მართალი იყო, როდესაც ჰეგელის გზას მიჰყვებოდა და დიალექტიური ნეგაციისათვის ერთი ფაქტორით გაშლას ასაბუთებდა.

შეორე სპეციალ დიალექტური პრობლემა, რომელსაც კაუტსკი აქ მთელ ერთს თავს უთმობს არის ე. წ. „სრულ ქმნის დიალექტიკა“ (Die Dialektik der Vervollkommenung) ფრ. ენგელსი „მისდა საუბრედუროდ“ ასეთი „სრულქმნის“ მომხრე იყო და კაუტსკი მის წინააღმდეგ გამოდის მძიმე და ძალუ-ბუქი არტილერიით. „ენგელსის მიერ მოცემულ დიალექტიკის ილუსტრაციებში — სწერს კაუტსკი — თვითმოძრაობის გარეშე კიდევ ვნახულობთ ერთს მომენტს, რომელიც იდეალისტური ბუნებისა არის და არა მატერიალისტურის. ეს არის დიალექტიური პროცესის გამო სამყაროს შეუჩერებელი სრულქმნის მომენტი“ (ტ. I გვ. 136).

ეს ე. წ. სრულ ქმნის კანონი სავსებით დამოკიდებულია ნეგაციის ნე-გაციის კანონისაგან. როგორც უკვე ვნახეთ დიალექტური ნეგაციის ობიექტის ისეთ მოხსნას ნიშნავს, რომლის დროს ობიექტი კი არ ისპობა, არამედ პო-ტენციურად გამდიდრებული მომავლისათვის ინახება. ასე მაგ., შვილი მამის ნეგაციაა, მაგრამ ის მამის ხელალებით მოსპობას არ ნიშნავს. განსაკუთრებით ნათელია ამ კანონის მნიშვნელობა ისტორიაში, თვითეული ახალი საფეხური ისტორიული განვითარებისა სპობს ძველს, მაგრამ ეს მოსპობა ძველის განად-გურებას კი არ ნიშნავს, არამედ მის მოქმედებიდან გადაყენებას. ახალ ისტო-რიულ ელემენტში ყოველთვის ძველის ჯანსაღი ნაწილებიც ჩანს; ამიტომ თუ დიალექტური განვითარების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, ჩვენ ვნა-ბულობთ განვითარების ქვანტიტატურ მომენტების შეუჩერებელ ზრდას და რადგან შინაგანად გაძლიერებული და გამრავლებული ქვანტიტეტური მსელე-ლობა ყოველთვის ქვალიტეტურად იქცევა, ამიტომ მთელ ამ პროცესს ერთ-გვარი სრულქმნის სახე აქვს.

დიალექტიური განვითარება სრულქმნისაკენ მიისწრაფის. დამაჯერებელი მაგალითების განხილვით იძლევა ამ კანონის ილუსტრაციის ფრ. ენგელსი. კაუტსკი უკომპრომისოთ ამის წინააღმდეგია. თავის შეხედულებას ის ასაბუ-თებს ორი მოსაზრებით. პირველი მოსაზრება, ასე ვსთქვათ, ნატურალისტურია და მეორე ფილოსოფიური. კაუტსკი ამბობს, შეუძლებელია ცხოველი ორგანიზ-მისათვის მხოლოდ წინმავალი განვითარება მივიღოთ; რადგან ერთ შშვენიერს დღეს დედა-მიწა გაცივების და თანდათანობითი სიკვდილის მოსაწყენს პროცეს დაიწყებს, ამიტომ მეცნიერული მეთოდოლოგია იძულებულია უკანმსვლელობითი

პროცესიც მიიღოს. — ეს ომმ ასეც იყოს, ენგელსის შეხედულების წინააღმდეგ არაფერს ამბობს, რადგან განვითარებას იმ მაღალი წერტილის ჯერ არაფერი უგრძენია, საიდანც მისი გზა უკან შემობრუნდება, ამიტომ ძალაში უნდა დარჩეს მისთვის უკვე ცნობილი წინსვლის გზა. ენგელსი მხოლოდ ამ გზაზე ლაპარაკობს. ამას ის გარემოებაც ემატება, რომ კაუტსკი აქ უბრალუ ჭურვებულ შეცდომას უშეებს. რომ მთელი ცხოველუოფილი ქვეყნიერების ისტორია უთხრულება და ამ რიგათ სრულქმნისაკენ მიისწრაფის, ეს, როგორც ეიცით, ბუნების და ისტორიის ემპირიული კანონია; მაგრამ ის გარემოება, რომ პლანეტარულ ძალთა განწყობილებიდან ჩვენი დედა-მიწა ერთ მშვენიერ დღეს გაცივებას და სიკედილს დაიწყებს, ეს არის ჰიპოთეზი. კაუტსკის უნდა მოხსენებოდეს, რომ პიპოთეზით არც ერთი ემპირიული დატით გამართლებული კანონის უარყოფა არ შეიძლება. არავითარი პრაქტიკული და ამიტომ მეცნიერული მნიშვნელობა არა აქვს იმ პიპოთეზას, რომელიც ამბობს, რომ ეს ასე მოხდებათ. მეცნიერულ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რაიც უკვე ხდება. ან მომხდარა. ეს უკანასკნელი კი გვეუბნება, რომ განვითარების დიალექტური პროცესი სრულქმნისაკენ მიისწრაფის. ენგელსის მაგალითები ამ ემპირიულ დატებს ეყყარებოდა და არაფერს სხვას.

მეორე არგუმენტი, რომელსაც კაუტსკი სრულქმნის საწინააღმდეგოთ აქვნებს, როგორც ვთქვით, ფილოსოფიური ბუნებისა არის. სრულქმნის თეორია მიუღებელია, იმიტომ, რომ „სრულქმნა მიზანშეწონილობას ნიშნავს“. რატომ ნიშნავს სრულთქმნა მიზანშეწონილობას? ამის შესახებ ჩვენი ავტორი ვასაგებს ვერაფერს გვეუბნება. უბრალოდ რომ ვსთქვათ კაუტსკი ვერც სრულქმნის და ვერც მიზანშეწონილობის ფილოსოფიურ რაობაში ვერ ერკვევა.

ავილოთ მაგალითი: მე მოვდივარ შორი გზიდან, გზა ტალახიანია, ძალიან დავიღილე, მაგრამ ვერსად დასაჯდომი და დასასვენებელი ადგილი ვერ მიშოვია. დაბოლოს ენახე მშვენიერი მშრალი ქვა, ჩამოვჯიქი და დავისვენე. თუ ახლა მე ვიტყვი, რომ იქ ქვა ძალიან მიზანშეწონილი იყო ჩემთვის, კაუტსკი მყისვე იდეალისტობაში და თელეოლოგისტობაში ბრალს დამდებარება. მას ამ შემთვევაში ვერ ვაუგია სავსებით უბრალო გარემოება, ჩემთვის იმ მომენტში ქვის იქ არსებობა, რასაკვირველია, მიზანშეწონილი იყო, მაგრამ ქვის მიზანს არ შეადგენდა ჩემთვის ყოფილიყო მიზანშეწონილი, ის იმიტომ კი ამ არსებობდა, რომ მე როდესმე მასზე დავისუენებდი, არამედ თავისთავად და თავისთვის, ჩემგან სავსებით დამოუკიდებლად. თელეოლოგიური მაშინ იქნებოდა ჩემი აზროვნება, რომ მე მგონებოდა, ვითომ ქვის იმ ადგილზე არსებობის მიზანს შეადგენდა ის, რომ მასზე დავჯდებოდი.

ასეთსავე შეცდომას უშეებს კაუტსკი ენგელსის მიმართ და ჰგონია, რომ მას თელეოლოგიაში და იდიალიზმში იქცერს. ენგელსი ერთ ადგილას ლაპარაკობს, რომ ნეგაციის ნეგაციით განვითარებას და აქედან ქვალიტატური გაუძირდესების პროცესს მებალე, მაგ., ხელოვნურად აწყობს და მშვენიერ ყვაველებს ლებულობს. ამის გამო კაუტსკი უპასუხებს: „ყველაზე უფრო სავალალო მოელ ამ არგუმენტიაში ის არის, რომ ენგელსი მებალის მიერ მოუწენებულ

ახალ ყვავილებში „სრულქმნას“ ხედავს. აქ ჩვენ საჭირო გვაქვს მხოლოდ მყიდველის გემოსადმი შეგუებასთან და ორა სრულქმნასთან“ (გვ. 138). კალტსკი ვერ „ხედავს“, რომ აქაც მას უბრალო ლოგიკური მარცხი მოღის. რამაცვირცხველია, ყვავილის გაუმჯობესებული ჯიში მყიდველის სურვილებთან შეგუებას/ნიშნავს; მაგრამ ეს ამას ნიშნავს ორა ყვავილისათვის, ორამედ მებალისათვის; ყვავილისათვის ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მისი ნაყოფიერება წარმატებადა, ამ შემთხვევაში უკეთესი და ამ რიგად სრულქმნილი. თელეოლოგია აქაც ორაფერ შუაშია.

ერთი სიტყვით, არც ერთი არგუმენტი, რომელიც კაუცკიმ ენგელსის წინააღმდეგ წამოაყენა, ლოლიკურად მოფიქრებული არ არის, და ამიტომ ისინი არც დაძიჯერებელია.

დიალექტიკას რომ ეს ე. წ. სრულქმნის მომენტი ჩამოაშოროთ, მაშინ ის დაპკარგავს ყოველივე აზრს, ის არც რევოლიუციის ალგებრა იქნება და არც განვითარების ლოგიკა. ენგელს ძალიან კარგად ესმოდა ეს და ამიტომ იყო რომ მეცნიერული ილუსტრაციებით ამაგრებთა ჰეგელის სპეციალისტიას.

დიალექტური განვითარების ჰეგელიანური სქემა რომ შარქსიზმს ჩამოვაშოროთ, მაშინ „კაპიტალის“ მეცნიერული არქიტექტონიკა, ხომ სავსებით დაინგრეოდა. ისე როგორც ჰეგელის „სულის ფენომენოლოგიიდან“ შეიძლება შეადგინოს ადამიანმა დიალექტური მეთოდის სახელმძღვანელო, ისე შეიძლება მარქსის „კაპიტალის“ მეთოლოგიური არქიტექტონიკიდან ასეთის შედგენა. მაგრამ უველა ამ პრობლემის კაუტსკი ძალიან ზერელე უყურებს. ის თავის წიგნში მეტს ორიგინალობას დაეძებს, ვიდრე მარქსიზმის განმტკიცებას. რაც შეეხება დიალექტიკას და მეთოლოგიას, ამის შესახებ ჩვენ უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ კაუტსკის მთელი ორგინალობა ამ დარგში ფილოსოფიური და ლოგიკური არგუმენტაციის სისუსტეში მდგომარეობს. ორგინალობათ, რასაკვირველია, არ ჩაეთვლება მოაზროვნეს, რომ მან ჰეგელის ბროლის ლოგიკა მახას და ფრ. ადლერის შიკიბულ-მოკიბული სენსუალიზმით შესცვალოს.

3. მატერიალიზაცია

დიალექტიკა მარქსიზმის სააზროვნო მეთოდის გამართლებაა. მატერიალიზმი მისი მსოფლიხედუელობის სისტემიზაციის თავდებია. მაგრამ მარქსიზმი უბრალოდ მატერიალიზმი არ არის. ის არ არის მატერიალიზმი იმ გავებით, რომლითაც ამ სიტყვას მარქსიმდე ხმარობდენ.

მატერიალიზმი მარქსიმდე იყო მეტაფიზიკური, მარქსის მატერიალიზმი კი დიალექტიკურია. ეს განსხვავება ერთობ დიდია. დიალექტიკურმა მეთოდმა ერთობ დიდი მოთხოვნილება წაუყენა ძველს მატერიალიზმს და საფუძვლიანად გარდაქმნა ის. მიუხედავად ამ სხვაობისა მარქსიზმის სისტემატიკური მსოფლგაგება მატერიალისტური დარჩა. და რადგანაც ის მატერიალიზმი დარჩა, ცხადია, რომ რაღაც საერთო უნდა ყოფილიყო ძველსა და ახალს შორის. ეს საერთო, რაიც მარქსისტულ ფილოსოფიის ძველ ფილოსოფიურ მატერიალიზმთან აკავშირებდა, იყო გნოსეოლოგიური და საბუთება მატერიალიზმისა.

მატერიალიზმი ფილოსოფიის უძველეს საკითხს, საკითხს არსისა და აზრის, ობიექტისა და სუბიექტის, ბუნებისა და სულის დამოკიდებულების შესახებ. ყოველთვის პირველის პოზიციის გამაგრებით და მისი გნოსფილოვიური უფლებების აღდგენით სჭრიდა. ფრ. ენგელსის ცნობილი გარცხაზების ფანაზმაც ეს არის ის საზღვარი, რომელის არესთან თვითონეული ფილოსოფიური მსოფლიმედველობა მოვალეა ორი შესაძლებელი გზიდან ერთ-ერთზე მარქსიზმისა და ენგელსმა აირჩიეს პირველი გზა და ამიტომ ისინი დაპირი შატერიალისტები. „პეგელის ფილოსოფიის ჩამოშორება მატერიალისტური შეხედულებისაკენ დაბრუნებით მოხდა“ - თუ, გვეუბნება ფრ. ენგელსი. მაგრამ, როგორც ცნობილია, მარქს-ენგელსის ისტორიულ მისიას არ შეაღვენდა არც იდეალიზმიდან უბრალო გადგომა და არც მატერიალისტური დოქტრინის უკრიტიკო მიღება. მატერიალისტური მსოფლმხედველობის მიღება მათვეის იყო გზა და საშუალება მატერიალისტური მეთოდით ისტორიაში შესვლისთვის. კაუტსკი სამართლიანად შენიშნავს: მარქსი და ენგელი უწინ ფილოსოფიურად მიღიდენ მატერიალისტურ მსოფლმხედველობამდე, და შემდეგ განავითარეს თავიანთი მატერიალისტური გავება ისტორიისა. (გვ. 24).

მაგრამ როცა ეს გზა განვილილი იყო და მატერიალიზმი ისტორიული მატერიალიზმის სახით განვითარებული, მაშინ ნათელი გახდა მარქსისათვის, რომ მისი ფილოსოფიური მატერიალიზმი მეთოდოლოგიურ საფუძვლებში განსხვავდებოდა ძველი მეტაფიზიკური მატერიალიზმისაგან. თუ რაზი მდგომარეობდა ას განსხვავების ძირითადი მომენტები, ამის შესახებ ჩვენ ცნობა მოგვეპოება მარქსის ე.წ. თეზისებში ფორმაბის შესახებ.

ამრიგად, ჩვენ მოკლეთ მოვხახეთ ის გზა, რომლითაც მარქსის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ქვეყანაში შესვლა შეიძლება. ვისაც სისტემატიურ შრომაში ამ გზის გათვალისწინება სურს, მან ფილოსოფიის ისტორიის ორ დიდ წერტილს უნდა დაეყრდნოს: მე-17 საუკუნის ინგლისელებს და მე-18 საუკუნის ფრანგ მატერიალისტებს ერთის მხრივ, პეგელის ფილოსოფიის მეორეს მხრივ. სხვა მისავალი დაალექტურ მატერიალიზმთან, როგორც ფილოსოფიურ სისტემასთან, არ არსებობს.

ჩვენთვის საინტერესოა იმის აღნაშვნა, რომ კ. კაუტსკი თავის წიგნში ასეთი გზის არსებობაზეც კი არ მიუთითებს. ეს ერთობ უდანაშაულო აზრებს გამოთქვამს ფილოსოფიური მატერიალიზმის შესახებ. აღნიშნავს, რომ მარქსი და ენგელი იყვენ მატერიალისტები, თვით კაუტსკი ერთ ადგილს გაკვრით ითხენებს, რომ მარქსი და ენგელი თავიანთ ფილოსოფიის დიალექტიურ მატერიალიზმს უწოდებდენ, მაგრამ პოზიტიური შინაარსი ამ დიალექტიური მატერიალიზმის ფილოსოფიისა უცნობი რჩება მკითხველისათვის. იმის მავიერად, რომ კაუტსკის საფუძველიანათ გაერკვია დიალექტიური მატერიალიზმის გნოსფილოვიური რაობა და იმ რიგად თავისი მატერიალისტობა განემტკიცებია, მან ამ წიგნში გრძელი თავები დასწერა ისეთ მოსაწყენ თემაზე, როგორიც არის „ლენინის რწმენა და მატერიალიზმი“. მაგრამ მას შემდეგ რაც ჩვენ კაუტსკის

შესედულება დიალექტიკაზე გავიცანით, ნათელი უნდა იყოს, რომ მას ასეთი შრომის გაწევა არ შეეძლო.

ამიტომ არის რომ „მატერიალისტის“ კაუტსკის ზოგ მსჯელობაში ფილოსოფიურ მატერიალიზმის შესახებ ისეთი აზრებიც კი გაპარვია, რომელთვიც სიამოვნებით ხელს მოაწერდა თვითონეული ფილისტერი და ექლექტიკოსი, ასე მავალითად მე-28 გვერდზე სწერია:

„არც მარქსი, არც ენგელსი და არც დიცენი მარადიულ ჰქონდას არ დაეძებდენ, ჰქონდას კი არ იყო მათთვის მთავარი, არამედ ჰქონდას გზის კოდნა.

ამდენად, რასაკვირველია, შესაძლებელია ვთქვათ, რომ მატერიალისტური გაგება ისტორიისა და კავშირებული არ არის ფილოსოფიურ მატერიალიზმთან“.

რას ნიშნავს ეს? ეს ხომ ფილისტერული აზრია იმის შესახებ, რომ მატერიალისტებს თავიანთი მოძღვრება ყველაფრის ცოდნათ მიაჩნიათ, რომ იმათ ჰვინიათ საგანთა დასაბამი იცოდენ და სხვ. კაუტსკის რომ მატერიალიზმის ისტორიაში ჩაეხედა, რასაკვირველია, ამას აღარ იტყოდა. არც ერთი კლასიკოსი მატერიალიზმისა ასეთს რაიმეს არ ასწავლიდა. პირიქით, მაგ. ჰოლბახი თითქმის აგნოსტიკიზმის კარებზე ურახუნებდა და გვასწავლიდა, რომ საგანთა უკანასკნელი საიდუმლოების შემეცნება, მატერიის რაობის გაგება და სხვ. ჩვენ არ შეგვიძლიათ.

ამრიგად ერთად ერთი გზა, რომელიც მოაზროვნეს ძველი მატერიალიზმის ისტორიიდან მარქსიზმის საფუძვლად დებულ ფილოსოფიურ მატერიალიზმამდე მიიყვინდა კაუტსკისათვის არ არსებობდა არც ისტორიული და არც სისტემატიურად. მაგრამ რაღვან კაუტსკი მისი წიგნის პროგრამის თანახმად მატერიალისტი რჩება, ამიტომ საჭარო ხდება ამ მატერიალიზმის რაიმე ნაირი განმტკიცება. კაუტსკის ეს საქმე სისრულეში მოჰყავს კანტთან ანგარიშის გასწორებით. 50 გვერდზე მეტი შეუწირავს ჩვენს ავტორს კანტის ფილოსოფიის კრიტიკისათვის და ეს ნამდვილი იმიტომ რომ მკითხველისათვის ნათელი გაეხადა თავისი საკუთარი ფილოსოფია. მაგრამ ფილოსოფიაში ჩახედული მკითხველი თანდათან რწმუნდება იმაში, რომ აქ საქმე გვაქვს არა მარტო კაუტსკის საკუთარი ფილოსოფიით კანტის უარყოფასთან, არა მარქსიზმის საშუალებით წარმოებულ კანტის კრიტიკულ განხილვასთან, არამედ ნაწილობრივ ერნსტ მახის ენით კანტთან ლაპარაკთან. ამიტომ რაც კაუტსკის მისი საკუთარი ფილოსოფია და მატერიალიზმი ჰგონია, ხშირად მახის რელატივისტურ პოზიციიზმის ადლერისებური გამეორებაა.

ამ კონტექსტში არ შემიძლია არ მოვიგონო ერთი ამბავი, რომელსაც აღგილი ჰქონდა თითქმის ათი წლის წინად. კაუტსკისთვის ერთ შეხვედრის დროს საუბარი ჩამოვარდა მარქსიზმის ფილოსოფიაზე, ვილაპარაკეთ კანტზე, მახშე და სხვ. საკითხი შეეხო ისტორიულ შედარებას და კაუტსკიმ სიტყვიდან სიტყვამდე განაცხადა: კანტი აღარაფრად მოსახმარია, მახიდან მარქსისტებმა ბევრი რამ უნდა აიღონ. მახი ყოველ მხრივ მალლა დგას კანტზე და სხ. მართალი მოგახ-

სენოთ ამ განცხადების აზრი მე მაშინ ისე გავიგე, რომ კაუტსკის რომელიმე ჩვენვანი ჩახასტი ეგონა (რადგანაც ერთი თანამოსაუბრე მას რამდენიმეჯერ შეექითხა მახშე და მახიზმზე) და მის დასაქმიყოფილებლად ამბობდა ისე. აბა როგორ წარმომედგინა, რომ კაცი, რომელიც ათეული წლების მანძილზე მარქსისა და ენგელსის მეცნიერულ მემკვიდრეთ ითვლებოდა, ასეთი ჟერიალუ მხატვლობის საგნად გახდიდა ემ. კანტს. ამ წიგნმა კი ყოველივე ეჭვი გატანტს, ზორა ტალელია რომ მის ავტორს ფილოსოფიაში მართლაც მეტი მახიდან უსწავლია, ვიდრე კანტიდან. კანტს კაუტსკი უფრო მახის სათვალებით ხედავს, ვიდრე მარქსის.

უნდა აღინიშნოს, რომ კანტთან მისასვლელიც კაუტსკის სწორი გზა აქვს ორჩეული. პრობლემა შეეხება იმას, თუ რამდენად კანტის ნააზრევში წარმოდგენილია მატერიალისტური მსოფლგავების პრინციპები. ცნობილია, რომ კანტი თავის გნოსეოლოგიურ საქმეს იმ წინაამლდევობის დაძლევაში ხედავდა, რომელიც როგორც წინაამლდევობა მატერიალისტური და იდეალისტური, ანუ ემპირისტული და რაციონალისტური მსოფლმხედველობისა მკაფიო და ყოველ მხრივ ჩამოყალიბებული იყო მისი წინამოზრდელი ფილოსოფიის მიერ. ამ დიადი პრობლემის გარკვევის დასაწყისში კანტის გნოსეოლოგია უსათუოდ მატერიალიზმის და რეალიზმის მხარეზე დგას. იდეალისტები დაწყებული ელეატელებიდან და ბერკლით დამთავრებული ამბობენო, მოგვითხრობს კანტი, რომ „ყოველივე შემეცნება გრძნობების და ცდით მოცემული არის მხოლოდ მოჩვენება და კეშმარიტება გააჩნია მხოლოდ წმიდა გონების და აზრის იდეებსო“; და ამაზე თვით კანტი უპასუხებს: „ყოველივე შემეცნება საგნებისა მხოლოდ წმიდა გონების და წმიდა აზრის საშუალებით არის მოჩვენება, კეშმარიტებას იძლევა ცდა“.

რასაკვირველია, აქ კანტი სავსებით მატერიალიზმის მხარეზე დგას. მაგრამ როგორც კი ის სვამს საკითხს შესახებ იმისა, თუ როგორ იძლევა ცდა კეშმარიტებას, მყისვე მისი თვალსაზრისი სუბიექტივიზმსა და იდეალიზმს ეზიარება. ამ კონტექსტში კანტისათვის ისმება ცენტრალური საკითხი, რას შეეხება შემეცნება, თავისთავად არსებულ საგნებს, თუ მხოლოდ მოვლენებს ამ საგნების შესახებ? კანტის პასუხი ცნობილია, შემეცნება მხოლოდ მოვლენებს შეეხება. „საგნის თავისთავად“ შემეცნება შეუძლებელია.

აქ არის შესაძლებლობა კანტს მატერიალისტური გნოსეოლოგია დაუპირდაპიროთ. რასაკვირველია, შეუძლებელია იმის უარცყოფა, რომ შემეცნება მოვლენებს შეეხება, მაგრამ საკითხია, თუ რა დამოკიდებულება არსებობს მოვლენას და საგანს შორის. მატერიალიზმი უპასუხებს: კონკრეტი შემეცნების საგნისათვის ეს დამოკიდებულება იგივეობით გამოიხატება, ხოლო შემეცნების საგნის მიმართ საერთოდ ეს დამოკიდებულება ნიშნავს იმას, რომ საგანი თავისი მოვლენით ავლენს თავის საკუთარ ბუნებას. ამიტომ მატერიალისტური გნოსეოლოგია უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს იმის დამტკიცება, რომ შემეცნება საგნობრივი და ამიტომ ობიექტური პროცესია.

ცხადია, რომ ამ წერილში ადგილი არ არის აქ წამოყენებული აზრების განვითარებისა და უფრო სრული გადმოცემისათვის, აქ ჩვენ გვაინტერესებს

კითხვა, მიღის თუ არა კაუტსკის კანტის კრიტიკა ამ გზით. პასუხი უსათუოდ უარყოფითია. კაუტსკი სულ სხვა გზიდან დაეტაკა კანტს. ერთის/მხრივ კაუტსკი კანტის გნოსეოლოგიას ებრძვის მანის არგუმენტაციით, ვ. ჩ. შემეცნების პროცესში შეგრძნების გენერალური როლის მინიჭებით; ამ გზით წარმოებული კრიტიკის შედევი არის კაუტსკის დასკვნა: „ჩვენი შემეცნება უფრო რელატიურია, ვიდრე ეს კანტს ეგონა“, (გვ. 58). ერთად ეთში აშშორის ქარებიალისტური დებულება კანტის წინაამლდევ კი უნდა ყოფილიყო: ჩვენი შემეცნება უფრო ობიექტიურია, ვიდრე ეს კანტს ჰეონია. რელატივიზმის მომენტის ხაზის გასმით კანტის წინაამლდევ ბრძოლაში მატერიალიზმისათვის ხელსაყრელ გარემოებას ვერ მოგვცემს.

მეორეს მხრივ კაუტსკი სავსებით საცართლიანად შენიშნავს: კანტს იმის გაგება აკლდა, რომ შემეცნება უცვლელი უნარი არ არის, რომ ის ექვემდებარება განვითარების კანონებს, ის დამოკიდებულია ტეხნიკის განვითარებისაგან და საზოგადოების საერთო სულიერ განწყობილებისაგან და სხ. ეს სწორია, მაგრამ წარმოსადგენია, რომ კანტმა ყველა ეს ისტორიული ხასიათის დებულება მიიღოს, მაგრამ მაინც თავის „საგანთან თავისთავად“ დაიცადოს. ეს რომ ასეა ამის შეტყობა კაუტსკის საუცხოვოდ შეეძლო მისი პარტიული ამხანაგებილან, კ. ფორლენდერიადან და მაქს ადლერიდან. ორივე ეს მოაზროვნე მთელი ასი პროცენტით ლებულობენ დასახელებულ ისტორიულ და გენეტიურ მოსაზრებებს, მაგრამ მაინც კანტიანლები რჩებიან. რატომ? იმიტომ რომ ამ გზით კანტის გნოსეოლოგიასთან მისევლა ისე შეუძლებელია, როგორც კაუტსკის პირველი გზით მატერიალისტური გნოსეოლოგიის დაფუძნებაა შეუძლებელი.

ამრიგად კაუტსკის არგუმენტაცია კანტის გნოსეოლოგიის წინაამლდევ არის ნახევრად მახისტური და ნახევრად მარქსისტული (მხოლოდ ისტორიოსოფიული თვალსაზრისით) და ამიტომ სუსტი.

გაცილებით უფრო ძლიერია კაუტსკის პოზიცია, როცა ის კანტის პრაქტიკულ ფილოსოფიას, ე. ი. ეთიკას შეეხება: რასაკვირველია, შეიძლებოდა კანტის პრაქტიკულ ფილოსოფიასთან სხვა გზითაც მისევლა, ასე მაგ. ცნობილია რომ კანტის ეთიკის უმაღლეს იდეალს და უძლიერეს დასაყრდენს თავის უფლების ცნება შეადგენს. კრიტიკა ამ თეზისა კაუტსკის გამოკვავს იმანენტური კონტექსტით: დროსა და სივრცის იდეალობა—კაუტსალობა, აუცილებლობა—თავისუფლება. მაგრამ კაუტსკის აღნუსხელი არ აქვს ის შინაგანი მოთხოვნილება კანტის სისტემისა, რომელმაც კითნისბერგელი ბრძენი აიძულა თეორიაზე მაღლა პრაქტიკა დაეყენებია და ეს პრაქტიკა განემარტია, როგორც ადამიანის „ნების-ყოფის შეუბოჭავი თავისუფლება აუცილებლობით და კანონით განსაზღვრულ ვითარებაზე. მოკლეთ, თუ ვიტუვით კაუტსკის მხედველობიდან გამოპარვია კანტის განცხადების აზრი: „თუ საგნის თავისთავად შემეცნება შესაძლებელია, მაშინ თავისუფლების გადარჩენა შეუძლებელია“. კანტის ეს საკუთარი სიტყვები, საუცხოვო გასაღებს გვაძლევს, როგორც იმისათვის, თუ რატომ კანტმა თავისი გნოსეოლოგია მატერიალიზმით

დაიწყო და იდეალიზმით დაამთავრა, აგრეთვე მისი ეთიკის და თავისუფლების ცნების კრიტიკისათვისაც. შაგრამ კაუტსკი ამ გზას არ მიჰყება.

კაუტსკი სამართლიანად ექამათა კანტის იმაში, რომ დრო და ~~სრულ~~ არ არის შემეცნებისათვის აპრიორული ჭურჭელის სახით მოცემული ელემენტი. მაგრამ ამ სწორ აზრს სწორი არგუმენტებით ვერ ამტკიცებს, რა უმცხვდან აღმოჩეული დებულება, რომ დროს და სივრცის აღთქმა ემპირიული და ამიტურ დაზიანება და სივრცის შემეცნება სუბიექტის შეგუებას ნიშნავს გარემყართან, ისე უძლესი, როგორც კაუტსკის ცდა აუცილებლობის აპრიორობა შესცვალოს რელატიური აუცილებლობით. როგორც ეტუბა ის უდიდესი იღმოჩენები, რომელიც ამ უახლეს დროში სწორედ რომ კაუტსკისათვის სავსებით უცნობი დარჩენილა. კანტის აპრიორიზმის წინაამლდევ პრძოლა უნდა ემყარებოდეს სულ სხვა მასალას, და არა სიტყვების და ციტატების კრიტიკულ განცხრილვას. მაგ. როცა კაუტსკის ყველა არგუმენტს თავს მოუყრი კანტის დროისა, და სივრცის აპრიორობის წინაამლდევ, გებადება საკითხი, ნუ თუ ამაზე მეტის თქმა არ შეიძლება კანტის წინაამლდევ? თქმა ძალიან ბევრის დაუფრო საფუძვლიანისაც შეიძლება, მაგრამ ამას არ ამბობს ჩვენი ავტორი. თავი რომ გავანებოთ უახლოესი დროის მიხშევებს ამ დარგში, რაც მეტნაწილად მეცნიერების ისეთი დარგიდან მოდის, სადაც კაუტსკი სახლში არ არის, საჭირო იყო მხოლოდ იმის ცოდნა, თუ რა გააკეთა ჰეგელმა კანტის მიმართ, რომ მარქსისტი მატერიალისტისათვის სულ სხვა სინათლით გაშუქებულიყო კანტის ლაბირინტში სავლელი გზები.

კაუტსკი, რომელმაც უარპყო ჰეგელის დიალექტიური აზროვნების ორგანიულობა მარქსიზმისათვის, რასაკვირველია, ამ გზას არ გაჰყვა და ამიტომ მისი მატერიალიზმი დიალექტიურ მატერიალიზმის ფილოსოფიური პრეტენზიების გამშართლებელ მატერიალიზმს კი არ წარმოადგენს, არამედ მატერიალისტურად შეფერადებულ გამოცემას იმ იდეებისა, რომლებიც გასულ საუკუნეში ჩამოყალიბდა ბიოლოგიურ მეცნიერებაში და რომელმაც თავისი ფილოსოფიური გამოხატვა მიიღო მახის და მის დავვარ რელატივისტურ პოზიტივიზმში.



ამიერ-კავკასიის ეპონომიური განცხადება

5. გატონ-უშობის ნაშთი და თანამდებობის პროცესი ამიერ-კავკასიის ხოც-ლის მიზანები *

ზემოთ ჩვენ გამოვიწყით, რომ თვითმშეყრობელობის სავადასახადო პოლიტიკა იყო ფაქტორი, რომელიც აფერხებდა ტეხნიკურ პროგრესს ამიერ-კავკასიის სოფულის მეურნეობაში. მაგრამ არსებობდა მეორე ფაქტორიც, რომელიც საგადასახადო პოლიტიკაზე არა ნაკლებ უწყობდა ხელს სასოფლო მეურნეობის ჩამორჩენილობას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბატონიშვილი ნაშთები, რომელიც განსაკუთრებული პირობების გამო, მეტად ცხოველმყოფელი გამოდგა ამიერ-კავკასიაში.

ანალიზი საკითხისა იმის შესახებ, თუ როგორი იყო ბატონიშვილის ნაშთების გავლენა ამიერ-კავკასიის სასოფლო-მეურნეობაზე მეტად საინტერესოა. ეს ინტერესი გამოწვეულია მით, რომ ამიერ-კავკასია და განსაკუთრებით საქართველო კლასიკური მაგალითებია იმისა, თუ როგორ შეუძლია ძველი ცხოვრების ნაშთებს თითქმის სრულ დალუპვამდე მიიყენოს სასოფლო მეურნეობა. ამ დებულების დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ რამოდენიმე თვალსაჩინო მაგალითს.

პირველყოვლისა საჭიროა გამოვარკეოთ შრომის ნაყოფიერების მდგომარეობა და მისი დაცემის დონე სასოფლო მეურნეობაში. მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებით ჩვენ ამ მოვლენის მიზნების გამორკვევას.

დავიწყოთ გრაფ ვორონცოვ-დაშვილის ჩვენებიდან. უკანასკნელი თავის „მოხსენებაში“ იძლევა მთელ რიგ ფრიად ლირსშესანიშნავ შენიშვნებს.

ყველა ფგრედ წოდებული „ნადელების გარეშე“ დარჩენილი მიწები, რასაკვირველია, ფაქტიურად კვლავ იმავე გლეხების სარგებლობაში დარჩეა, მაგრამ უკვე აწერულ საიჯარო ფასებში. საიჯარო ფასი ისე, როგორც ნადელზე დაწესებული საესალდებული გადასახადი შეადგენდა მოსაკლის $\frac{1}{2}$ ან $\frac{1}{3}$, ნატურით. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს გადასახადები არ იყო დამამდიმებელი გლეხობისათვის მხოლოდ და მხოლოდ განთავისუფლების პირველ წანებში, ერთა მაშინ კარგი მოსახვალი იყო! ასე მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში ერთი დესტრიქა მიწა 70-იან წლებში იძლეოდა 180—200 ფუთ სიმინდს და გლეხიც ადგილად უხრიდა მემამულეს $\frac{1}{4}$, იტოვებდა რა თვითონ 130—150 ფუთს. ესლა კი, როგორ

* იხ. „მნათობი“ № 5—6.

დესეტიჩაზე მოდის მხოლოდ 60—80 ფუთი, გლეხისათვის ძნელია მოსავლის 1/2-ის გადახდა, ვინაიდან დარჩენილი 45—60 ფუთი მას თვითონ არ ყოფნის. ქართულ პროვინციებში მოსავლის შემცირება შემჩინეულია ქველა ადგილის მიწებში და მამულობრივი ყადაგის მანკების მიერ, რომლებიც თავის დროზე დაგირავებულ მიწებში და დალექ-დენ იმდენ ფულს, რამდენათაც ამერამად თვით ეს მამული აღარ დარის. მიწების მოსავლიანობის შემცირება სავსებით აირსნება მით, რომ მუწერებულ დამუშავება სწარმოებს მეტად პრიმიტიული იარაღებით, მათ არასდროს კულტურულებულ და საყრთოთ მტაცებლურ ექსპლოატაციას ეწევიან მათზე. ერთის მხრით მაღალი საიჯარო ფასი, მიწის დიდი სივიწროების გამო, აიძულებს მემამულებს მიმართონ უმისავრესად მიწის იჯარით გაცემას და ხელი აიღონ შეურჩეობის რაციონალურად ჭარმოებაზე. მეორე მხრით გლეხს არ ძალუბს შემოიღოს რაიმე გაუმჯობესებული წესი არც თავის საკუთარ ნადელზე და არც იჯარით აღვმულ მიწაზე იმის გამო, რომ იყი სავსებით დამოკიდებულია მემამულისაგან, რომლის წებადა-ურთველად მოსავლის აკრეფაც შეუძლებელია. *)

ვორონცოვ-დაშკოვი დასახელებულ მოხსენებაში ერთის მხრივ ადასტუ-ბრეს მოსავლის შემცირების ფაქტს დასავლეთ საქართველოში, მეორეს მხრით სკდილობს ახსნას ეს მოვლენა. მოსავლიანობა 30 წლის განმავლობაში თით-ქმის 200—300 % -ით შემცირდა ე. ი. ყოველ ათ წელში ადგილი ქონდა მო-სავლის გასაოცარ შემცირებას—70—100% -ით. ვორონცოვ-დაშკოვიც იძულე-ბულია დაადასტუროს ეს ფაქტი, ვინაიდან ამას ამტკიცებს მთელი რიგი სხვა წყაროებიც.

ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს შესახე ასეთსავე სურათს იძლევიან. ტო-პოგრაფიული და ამასთან დაკავშირებით კლიმატიურ პირობათა და ნიადაგის სხვადასხვაობა საკმაოდ ძლიერ ზეგავლენას ახდენს მოსავალზე, მაგრამ აქაც შეიძლება აღნიშნულ იქნეს საერთო ტენდენცია თანდათანობით პროგრესიულ დაცემისაკენ.

საშუალო მოსავალი ფუზებში

მარცვლეულობა	1884 წლამდე მასალების მიხედვით	1892—94 წ.წ. საგადასახადო ინსპექტორის განვითარების მიხედვით	1895 წ. 1896 წ.
პური პორბალი . . .	60	50,22	55,8 — 40,33
სიმინდი	72	60,72	60,72 — 40,5
ქერი	72	57,11	62,45 — 40,5
შვრია	78	68,40	89,40 — 40,5

... მოსავლის დაცემა გამოიყინარეობს სასოფლო სამეურნეო ცხოვრების მთელი წყობილებიდან, გასაკვირი იქნებოდა ეს, რომ ასე არ იყოს. მიწის პრიმი-ტიულად დამუშავება, წლიდან წლამდე ერთდაიმავე მცენარეულობის თესვა, მიწის გაუნაყოფებლობა, არა რაციონალურ თესლთა შენაცვლება—აუცილებლათ იწვევს ნიადაგის ფიზიკურ თვისებათა გაუარესებას და მის დაცლას მცენარეულო-ბისათვის საკვებად საჭირო მინერალურ ნივთიერებათაგან. მოსავლიანობა, რო-მელიც ოდესალაც უცნობი იყო კარეთისათვის, სულ უფრო და უფრო ხშირად აღყდება თავს მოსახლეობას და ჩვეულებრივ მოვლენად ხდება. **)

*) უქვეშევრდომილესი მოხსენება, გვ. 35.

**) კავკასიის სასოფლო მეურნეობა 1900 წ. გვ. 60.

შესაძლებელია, რომ ციფრები კახეოში მოსავლიანობის შემცირების შესახებ სავსებით სწორი არ არის, მაგრამ მაინც შეიძლება სწორად ჩავთვალოთ გლეხების მიწების მოსავლიანობის დაცუმის ტენდენციის აღნიშვნა.

მაგრამ იგივე უნდა ითქვას კერძო მემამულეთა მეურნეობის შესახებ.

უკეთეს მდგომარეობაში არ არიან არც მსხვევოდ მეურნეობულეთა შეურნეობანი. ისეთი მსხვილი მაწადეფლობელნი; რომლებიც მარტივიდებელ მეურნეობას აქ თითხე ჩამოსათვლელია. უმრავლესობა იჯარით აძლევს მიწებს გლეხობას მოსავლის განსაზღვრულ წაწილში, რომლის ზომა ძლიერ ირყევა... მეურნეობის ასეთი გამარტივებული წესით წარმოება უფრო სასარგებლოც არის და მშვიდობიანიც, მით უშეტეს, რომ გლეხი, ისე როგორც ყველგან, არ აუასებს თავის შრომას, რის გამოც შედარებით ყოველთვის დიდ საიჯარო ფასს იჩდის. მამულის დაქუცმაცება, საკუთარი მიწის ნაკლებობა აიძულებს გლეხს დასთანმდევ წოველგვარ საზიანო წინადადებაზე და უსიტყვოდ დაემორჩილოს პირობებს, რომელსაც მას უკარნახებდნ. *)

ევილოთ ეხლა, თუ რას ამბობს ერთ-ერთი წერილის ავტორი ზაქათალის ოლქის შესახებ:

ჩენ ვლიქობით, საეჭვოა მოზახოს კიდევ სავა რომელიმე კუთხე თუაინდ აშავრ-კავკასიაშიაც კი, სადაც მიწის საკითხი ისეთი რთული და გაურიგვეველი იყოს, როგორც ზაქათალის ოლქში. ხოლო ასეთ პირობებში, რასაკვირველია, შეუძლებელია განსაკურთხებული იმედები: იქონით საერთოდ სასოფლო მეურნეობის ამ კუთხეში... ბეგები დარწმუნებულია არიან, რომ ხაზინა მათ მიწებს არ ჩამოართმებს, ან და მათი მიწები არ გადაეცემა გლეხთა საზოგადოებებს; გლეხებს თავის მჩრით ეშინიათ, არ ჩამოუტრან მათ მიწის ნაკვეთები და არ გადასცენ ბეგებს ან გლეხთა საზოგადოებებს, გასაგებია, რომ ასეთ პირობებში, ყველა იმდენ შრომას ხარჯავს თაეის მაწის დამუშავებაზე, რამდენიც საჭიროა თავის გამოსაკვებად. ვინდა ფიქრობს გაუაჯობესებათა შესახებ სასოფლო მეურნეობაში. **)

ამრიგად, როგორც ჰეთედავთ, ეს ცნობაც იდასტურებს იმ ფაქტს, რომ ბატონ-ყმურ ნაშთების წყალობით, უკან იწევს ირა მარტო გლეხური, არამედ მემამულეთა მეურნეობაც. ეს დამახასიათებელი მოვლენაა. თუ რუსეთში შემამულეთა საგრძობი ნაწილი გადატიოდა მეურნეობის კაპიტალისტურ განვითარების ლიანდავზე, ამიერ-კავკასიაში ასეთ მოვლენას იშვიათად ქონდა ადგილი. აღგილობრივი მემამულენი მეურნეობის საკუთარი ძალებით წარმოებას არჩევდენ მიწის იჯარით გაცემას გლეხებზე მაღალ საიჯარო ფასებში. ეს აიხსნებოდა მით, რომ საიჯარო ფასი ძალიან დიდი იყო, და ის უფრო სასარგებლოდ იყო ცნობილი, ეიდონ რაციონალური მეურნეობის წარმოება.

მოსავლის დაცუმას ადგილი ქონდა არა მარტო საქართველოში, არამედ სომხეთშიაც. და იმ რას ამბობს, სხვათა შორის, ერივანის კომიტეტი სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის მდგომარეობის შესახებ...

წინად ხორბალი იძლეოდა ნათესზე 12-15-ჯერ მეტს, ეხლა-კი მხოლოდ 4-ჯერ მეტს იძლევა. ასეთი მცირე მოსავალი დამოკიდებულია შემდეგი მიზეზებისაგან: ნიადაგის ბუნებრივი ძალები გამოიფიტა; განუშევეტლიდე საუკუნოების განმავლობაში მარტო პურისა და ქერის თესვით მთიან და ნაწილობრივ შუა ადგი-

*) კაცკ., სასოფ.-მეურნ. 1900 წ. გვ. 605.

**) კაცკ., სასოფ.-მეურნ. 1903 წ. გვ. 1211—1212.

ლებში დასუსტება და გამოიყიტა ნიადაგის ზედაცენა, უინაიდან მას ყოველთვის ეცლება ერთი და იგივე ნაწილები, რომელიც აუცილებელია მარცვლის გამოკუვანად. ნომინირება თვით მიწამ უნდა აღაღინოს იმ ხნის განმავლობაში, როცა ის დასვენებულია ერთი, ან ორი წლით და არა თესლთა შემაცველებათ ან ნიადაგის განოუირებით, მაკელის ან სხვა ხელოვნური პატივის სახით. თესლთა შენაცვლების სიღარიბისა და მიწის გამოფიტვის შესაბებ შემოტკიცებული კუთხის განვითარებით იმის მიხედვით, რომ მთელ მთიან ადგილებში სკარბობს ეჭ-ტერნიცევი სისტემა და მხალოდ რამოდენიმე ადგილას გავრცელებულია სამშინდეროვანი სისტემა. უკანასკნელ შემთხვევაში მინდვრის ორი ნაწილი ისვენებს და მხალოდ მცსამე ითესება... სუსტ მოსავლიანობაზე მოქმედობს მინდვრების უუდი დამუშავება, უინაიდან სასოფლო-სამეურნეო იარაღები სრულიად პრიმიტიულია, და გარდა უუდი შუშაობისა მოითხოვს ბევრ სამუშაო ძალის არა საწარმოო შარჯეას და დიდ დროს*).

პტიაცებლური მეურნეობა, ნიადაგის გამოუიტვა, მიწის დამუშავების პრიმიტიული წესები და მემინდვრეობის ძველი სისტემები. აი რათა ხასიათდება ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობა 1914 წლის იმპერიალისტურ ომარე. შრომის ნაყოფიერება სულ უფრო მეტად ეცემოდა, რაც დაკავშირებული იყო ნიადაგის სიმდიდრეთა გასაოცარ მტიაცებლურ განადგურებასთან, არა სწორ თესლთა შენაცვლებასთან და ნიადაგის დამუშავების უძველეს წესებთან. სამ მინდვროვანი და ორ მინდვროვანი სისტემები დამახასიათებელი იყო მთელი ამიერ-კავკასიისათვის. ასე მაგალითად, კახეთში: — „სადაც ნიადაგი ძლიერ გამოფიტულია, ბატონობს სამშინდვროვანი სისტემა; სადაც ნაკლებად გამოფიტულია იქ თუ მინდვროვანი სისტემა, და დაბოლოს იმ ნაკვეთებშე, რომელსაც ანოუირებენ, არავითარ თესლთა შენაცვლებას არ აქვს ადგილი“**).

ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობა ჯერ კიდევ არ იცნობდა წარმოების გაუმჯობესებულ იარაღებს და მრავალმინდვროვან სისტემას, თუ მაედველობაში არ მივიღებთ ცალკე შემთხვევებს.

უურნალი „კავკასიის მეურნეობა“-ს რედაქტირ დაინტერესდა ამიერ-კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მანქანების გავრცელების საკითხით და ამ მიზნით დაუგზავნა ანკეტები თავის კორესპონდენტებს.

ჩენთვის საინტერესო საკითხში ჩვენი კორესპონდენტები 80 შემთხვევაში გვიპასუხებენ, რომ მათ რაითნაში სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და მანქანებს არ იძენენ. მიწას ამუშავებუნ ძველი წესით, ზოლო ზოგიერთ ადგილებში, თანამედროვე მანქანები შეადგენენ არქეოლოგიურ, იშვიათ მიკლენას***).

ომამდე ამიერკავკასიაში შემოქმნდათ უმთავრესად წერილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ასე მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო იარაღების მთელი იმ რაოდენობიდან, რომელიც შემოტანილ იქნა 1908 წელში 70%, შეადგენენ შემდეგი იარაღები: წერიაქეთი, ნიჩაბი, ცელი და სხვა წერილი იარაღი და მანქანები. ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ თანამედროვე გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები თითქმის სრულიად არ მოიპოვოდა ამიერ-კავკასიაში, უინაიდან თუ 1908 წ. მსხვილ სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა

*) შრომ. ძრებული. გვ. 67.

**) კავკასიის სასოფლო მეურნეობა 1900 წ. გვ. 604.

***) იძენე.

და მანქანების შემოზიდვა შეაღვენდა მთელი შემოზიდვის 5%, 1908 წლამდე ალბარ სრულიად არავითარი იარაღები და მანქანები არ შემოკრინდათ.

რაშია მიზეზი სასოფლო მეურნეობის ასეთი გაყინვდა და მოსავლიანობის დაცემისა? რაში უნდა ვეძიოთ ამ პარადოქსალური მოვლენის ფესვები? ამიერ-კავკასიაში მოსავლიანობის დაცემი არავითარი ჰუნებრივი; მიზეზებით არ შეიძლება ახსნილ იქნას. ბურუუაზიულ მეცნიერებს ტშარქთზე სუსტებული ისეთ სხვადასხვა მოვლენების ახსნა, რომელებიც დაკავშირებულია სასოფლო მეურნეობასთან ნიაღავის ნოკიერების თანდათანობითი დაცემის კანონით. მაგრამ ყოფილ ბურუუაზიულ მეცნიერს გაუძნელდებოდა ზემოაღნიშნულ მოვლენების ახსნა ნიაღავის ნაყოფიერების შემცირების კანონით, ე. ი. ბუნებრივი ხასიათის მიზეზებით. თვით ვორონცოვ-დაშვილს, ცარიზმის სატრაპს ამიერ-კავკასიაში და რევოლიუციონური მოძრაობისა და რევოლიუციონურ მოძლვებათა მოსისხლე მტერს არ შეუძლია ამ საკითხში დასდგეს ბურუუაზიულ თვალსაზრისშე. ზეპოთ დასახელებულ ციტატაში ის ნიაღავის სიმდიდრის გასაოცარ გაპარტახებას ხსნის სოციალური ხასიათის მიზეზებით.

როგორი იყო ეს სოციალური მიზეზები? რა უშენიდა ხელს შრომის ნაყოფიერების ზრდას სასოფლო მეურნეობაში?

ამ საკითხზე შეიძლება გაცემულ იქნას ერთად-ერთი მეცნიერული პასუხი: ბატონიშვილის ნაშთები აფეჩებდა ტეხნიკურ პროგრესს სასოფლო მეურნეობაში. ამიერ-კავკასიის საუკეთესო მეცნიერული ძალები იძულებული იყვნენ ალეარებიათ ეს, შევი რეაქციის წლებში.

პროფესორი ტიმოფეევი, ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობის საუკეთესო მცოდნე, ტეხნიკური ჩამონიქნილობის შესახებ სწერს:

გადავდივართ რა შემდეგ ეკონომიკურ პირობების განხილვაზე, ჩვენ პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ადგილობრივ მიწადმფლობელობის დამახასიათებელი თავისებურება—უკიდურესი მიწის ნივიწოვე, თისი დაქუმაცება ნაჭრებად. ბევრად თუ ცოტად ძვირი იარაღები წვრილი მეურნეობისათვის წარმოადგენს მძინებელნართ ხარჯს, ხოლო მიწის დაქუმაცება ძლიერ აფეჩებს, მაგალითად დაჩქნას, როგორიც არ უნდა იყოს იგი. ქუთაისის გუბერნიაში გაუმჯობესებულ იარაღების გავრცელებას მეტად აძირებს აგრეთვე იჯარის მძიმე პირობები. მემამულეს, რომელიც იღებს იჯარის სანით მოსავალის¹⁾, და 1 ა-აც კი, არ აქვს არავითარი მისწრაფება აწარმოოს საკუთარი მეურნეობა: ის ნაკლებ სასაჩვებლო იქმნებოდა იმ შემთხვევაშიაც, რომ იგი იყენებდეს გაუმჯობესებულ იარაღებს. რაც შეეხება მოიჯარადოს, იგი ძლიერ მრივობით ინაზღაურებს სამუშაო ხელფასს, ამიტომ ბუნებრივია, რომ მას არ აქვს სურვილი გაუმჯობესებული იარაღის შეძენისა... ასეთ პირობებში მოიჯარადო გლეხი, საემვია, რომ დაინტერესებული იქნეს მეფის მეურნეობის ტეხნიკურ გაუმჯობესებაში. საეჭვოა, რომ ამაში დაინტერესებულ იყვენ აფრეთურ დროებით ვალდებული გლებიც. *)

ფერდალური მიწადმფლობელობის პირობები, ბატონიშვილი ნაშთების სიმინდე აბრკოლებენ სასოფლო მეურნეობის განვითარებას. მიწის სივიწოვე, მისი დაქუმაცება ერთი მეორისაგან დაცილებულ ნაჭრებად აბრკოლებენ ტეხნიკურ პროგრესს. მაგრამ კიდევ უფრო მეტ როლს თამაშობს საიჯარო ფასი. მემამულე იღებს მოსავლის $\frac{1}{2}$ და $\frac{1}{2}$. ის ამას სთვლის უფრო სასაჩვებლოდ, ვიდრე რაციონალური მეურნეობის წილმოებას. მაღალი საიჯარო ფასი არ იძლევა შესაძლებლობას

*) სასოფ. შეურ. 1905 წ. გვ. 181.

მიეცეს სტიმული მემამულეთა მეურნეობის განვითარებას. მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებად შეუძლიათ მათ მისცენ სტიმული მოიჯარადო გლეხებს, რომლებიც მოქლე ვადით ამუშავებენ მემამულეთა მიწებს. მამოძრავებელი სტიმული შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის არ ქონდა ორც დროებით ვალიულ გლეხებს, ორც ზიზნებს, ორც სახელმწიფოს გლეხებს. ასეთია პროფესიონალის ტიმოფეევის მსჯელობის აზრი.

საჭიროა ხაზი გავუსვათ, რომ ამიერ-კავკასიაში მიწა იჯარით იცემოდა უმთავრესად ერთი წლის ვადით.

მოკლეფადიან იჯარას უმთავრესად მარტო მოსავალზე, მოაქვს დამღებული შედეგები სასოფლო-სამეურნეო წყობილებისათვის, ვინაიდან მიწადმომქმედს არ აქვს რწმენა იმისა, რომ იგი შეინარჩუნებს იჯარით აღებულ მიწას, არ აქვს სტიმული მელიორაციისათვის, მიწა მტაცებლურ ექსპლორაციას განიცდის. მაღალი საიჯარო ფასი მიწაზე იწვევს იმას, რომ მიწის მფლობელი უარს ამბობენ მეურნეობის წარმოებაზე და აძლევენ მას იჯარით. მოიჯარადოები არ არიან უზრუნველყოფილი კანონით, საჭირო პირობები თითქმის ყოველთვის ზეპირია, განსაკუთრებით კავკასიის მუსულმანურ ნაწილებში, სადაც მთელმა მოსახლეობამ არ იცის წერა ვიოჩვა. ხოლო ეს გარემოება დიდ უპირატესობას ანიჭებს მიწადმულობელებს. საიჯარო კანონი ამიერ-კავკასიაში არ არის. მოიჯარადოები საფსებით დამოკიდებული არიან მიწად-მფლობელებისაგან *).

საიჯარო ფასი ძალიან უნდა გადიდებულიყო ამიერ-კავკასიაში მიწის სივიწროვისა და ამასთანავე გლეხობის ფაქტიურად უმიწაწყლოდ დატოვების გამო წარსული საუკუნის 80-იან წლებში. საუკეთესო მიწები გლეხობას ჩამოერთვა. მათი ნადელები შემცირდა. უმიწაწყლოთ და მცირე მიწის ამარი დარჩენილი გლეხები იძულებული იყვენ იჯარით აელოთ მიწები მემამულეებისაგან მაღალ საიჯარო ფასებში. ეს ფასები თანდათანობით უნდა გაზრდილიყო მოსახლეობის ბუნებრივად გამრავლების გამო. თავისუფალ სამუშაო ძალაზე ქალაქის შრომის ბაზარზე არ არსებობდა მითხოვილება სოფლად თავისუფლად დარჩენილ მუშა ხელზე, ვინაიდან ცარიზმი ხელოვნურად იფერდებდა მრეწველობის განვითარებას სანაპირო კუთხეებში. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა მოიჯარადოების კონკურენციას ურთიერთობის და კიდევ უფრო აიაფებდა მათ სამუშაო ძალას. ისინი იძულებული იყვენ დასთანხმებოდენ მაღალ საიჯარო ფასზე. გლეხებს არ რჩებოდათ თანხები თავის საკუთარი მეურნეობის გასავითარებლად. მემამულენი, რომლებიც გადაიქცენ საზოგადოების ნამდვილ პარაზიტებად, უკანასკნელ სისხლს სწოვდენ ამიერ-კავკასიის გლეხობას.

მოვიყვანთ რამდენიმე ცნობას საიჯარო ფასის ზრუნის შესახებ. 1912 წლისათვის 1902 წელთან შედარებით საიჯარო ფასი გაიზარდა პროცენტებში შემდგრადი **).

*). ს. ავალიანი. გლეხების საკითხი ამიერ-კავკასიაში. ტ. IV. ტფილისი, 1920 წ. გვ. 10.

**). ს. ავალიანი. იქვე, გვ. 9. - ცხრილი ციტა შეცვლილია.

როგორც ვხედავთ საიჯარო ფასი 10 წლის განმიერობაში საგრძნობლად გაიზარდა ამიერ-კავკისიის თითქმის ყველა გუბერნიებში.

ეხლა მოვიყვანოთ ცნობები მიწაზე ფასების ზრდის შესახებ. გლეხური „რეფორმის“ შემდეგ ფასი მიწაზე ყველვან გაიზარდა. ასე მავალითად: გურიაში (ოზურგეთის მაზრა) 1 დესიატინა მიწა ფასობდა 1869—79 წ. წ. 21 მან. 16 კაპ., ხოლო 1879—88 წ.წ. 86 მან. 48 კაპ. ე. ი. თითქმის ოთხჯერ მეტი.

უფრო სრული ცნობები შიწაზე ფასის ზრდის შესახებ მანეთებში (1 დე-
სიატინაზე) შემდეგ სურათს იძლევა *).

გუბერნიები და მაზრები.	1891 წ.	1901 წ.	1911 წ.
ქუთაისის გუბ. (საშუალო)	192,1	285,9	404,4
რაჭის მაზრა	367,1	532,5	680,2
შორაპნის მაზრა.	238,7	398,0	528,6
ლეჩხუმის მაზრა.	296,6	371,8	522,0
ქუთაისის მაზრა.	175,1	275,7	428,0
ტყილისის გუბერ. (საშ.)	51,3	93,5	150,0
ახალციხის მაზრა	185,0	380,8	513,1
ბორგალის მაზრა	26,2	72,8	159,4
გორის მაზრა	58,7	81,9	128,5
თელავის მაზრა	43,1	61,9	85,6
ტყილისის მაზრა	35,0	55,0	88,1

^{*)} აფალიანი. მიწად-მიტლობელობა საქართველოში (ქართ ერაშე). ქუთაისი, 1920 წ. გამოც. „კომპერატურა“, გვ. 30.

მიწის ფასი უფრო გაძლიერებული ტემპით იზრდება ტფილისის გუბერნიაში, ვიდრე ქუთაისის. პროცენტებში ეს ზრდა შეაღენს ტფილისის გუბერნიაში $192,3\%$, ხოლო ქუთაისის — $110,5\%$.

ამრიგად საოჯარო ფასი და მიწის ფასი ამიერ-კავკასიაში გასამუარი სისწრავით იზრდებოდა. გლეხები იძულებული იყვენ ეხადათ უდიდესი ფალისახადი მემამულების სასარგებლოდ. გლეხების მთვლი გადანახული რაოდენობაში და არა მარტო გადანახული თანხა, ჯიბეში უვარდებოდა მუქთახორი მემამულებს. რენტა, რომელსაც უხდიდენ მათ აუტანელ გადასახადად აწვებოდა სასოფლო-მეურნეობას, მის ტეხნიკურ განვითარებას. მხოლოდ რადიკალურ რევოლუციონურ გადატრიალებას სახოგადოებრივ ურთიერთობაში შეეძლო ძირფესვიანად აღმოეფხვრა ბატონ-ყმობის ფესვები, მოესპონ ყოველივე მისი ნაშთი და მით გზა გაეხსნა სწრაფი ტეხნიკური პროგრესისათვის.

6. კაპიტალიზმი ამიერ-კავკასიის სასოფლო გაურიცველებელი

მთავარ ფაქტორებიდან, რომლებიც აბრკოლებდენ ამიერ-კავკასიის სასოფლო-მეურნეობის კაპიტალისტურ განვითარებას ჩვენ დავასახელეთ თვით-მყრობელობის საგადასახადო პოლიტიკა და ფეოდალური ნაშთები. ეს ფაქტორები წარმოადგენდა სასოფლო-მეურნეობის პროგრესის უძლიერეს ჭახრაკს, რომელიც მისდენიდა გლეხობას პაუპერიზაციის გზისაკენ.

ამ დაბრკოლებათა მიუხედავად, ჩვენ ვხედავთ, რომ სასოფლო-მეურნეობაში კაპიტალასტური ელემენტები მაინც ვითარდებოდა, რაც იწვევდა ფეოდალური ნაშთების მოსპობას, გლეხობის დიფერენციალის და სოფლის ბურჟუაზიის ზრდას. ამიერ-კავკასიის სასოფლო-მეურნეობის კაპიტალისტურ ევოლუციის ხელს უწყობდა საქონლის მეურნეობის განვითარება, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის რკინის გზის გაყვანის შემდეგ.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ძლიერ ცოტა მასალები მოიპოვება. ისინი გაბნეულია სხვადასხვა წყაროებში: ეურინალებში, გაზეთებში, კრებულებში. მონოგრაფია ამ საკითხზე სრულიად არ მოიძებნება. ამიტომ ჩვენ ცდას აუცილებლად დიდი ნაკლი ექნება. მიუხედავად ამისა არსებულ მასალების კრიტიკული ინალიზი უდიდეს ინტერესს შეიცივს.

დავიწყოთ მემამულეთა მეურნეობისაგან. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საგართველოსთვის და მთელი ამიერ-კავკასიისათვის კაპიტალისტურ განვითარების ლიანდაგზე გადასული მეურნეობინი თითქმის უცნობია. მემამულეთა მეურნეობანი წარმოადგენდენ უდიდეს ლატიფუნდიებს, რომლებიც ძლიერ ცოტა შემოსავალს იძლეოდენ. ამ დებულების საილიუსტრაციოთ ჩვენ მოეიყვანთ რამოდენიმე ცნობას.

თფილისის გუბერნიაში თავად-აზნაურთა უკელა მამულების *) შემოსავალი, როგორც ეს გამოანგარიშებული იყო სახაზინო პალატის მიერ, შეადგენდა $1,943.441,07$ გან. მათ შორის მამულები სივრცით:

*) სტატისტიკურ ცნობათა კრებული. ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით.

0—25 დესიმტ.	(მთელი სივრცის 2,29%)	იძლეოდენ მთელი შემოსავლის 11,00% -ს
25—100	" (" 7,49%)	" " 13,69%
100—500	" (" 22,11%)	" " 25,24%
500 დეს. მეტი (" "	68,11%)	" " 50,07%

ეს კიფრები გვიჩვენებენ, რომ თავადაზნაურთა მამულების შემოსავალი ძლიერ მცირეა. მაგრამ კიდევ უფრო დაშახასიათებელია ის გრენერება, რომ უფრო მსხვილი მამულები იძლევიან ნაკლებ შემოსავალს. საშუალოდ ყოველგვარი მიწის 1 დესეტინაზე შემოსავალი შეადგენს: წვრილ მამულების კათეგორიიდან—9,42 მ., საშუალოდან—3,58 მ., მსხვილი მამულების კათეგორიიდან—2,23 მ., და ძლიერ დიდი მამულებიდან—1,44 მ., ეს აიხსნება მით, რომ მემამულეთა მფლობელობა არსებითად წარმოადგენდა ფეოდალურ ლატიფუნდიებს, რომლებზედაც მოყავდათ უმთავრესად დაბალი ხარისხის კულტურები (ტყეები, საძოვრები და სხვა).

ქუთაისის გუბერნიაში იგივე შდგომარეობა გვაქვს. თავად-აზნაურთა მამულების მთელი შემოსავალი სახაზინო პალატის გამოანგარიშებით შეადგენს 1,024,923,67 მ. ამ ჯამიდან მამულებზე სივრცით:

0—25 დესეტინამდე (მთელი სივრცის 14,33%)	— მთელი შემოსავლის 51,68% -ს
25—100	" (" 8,83%) — " " 16,18%
100—500	" (" 12,72%) — " " 14,39%
500 მეტი	" (" ") — " " 17,75%

საინტერესოა, რომ თავად-აზნაურთა მიწების მთელი სივრცის 14,33% იძლევა შემოსავლის 51,68% -ს (ნახევარზე მეტს), მაშინ როცა მთელი სივრცის 64,12% იძლევა მხოლოდ შემოსავლის 17,75%. საშუალოდ წვრილ მამულებში 1 დესიმტინიდან შემოსავალი უდრის—7,47 მ. საშუალოდან—3,80 მ. მსხვილიდან—2,34 მ. და ძლიერ მსხვილ მამულებიდან—0,56 მ.

ამიერ-კავკასიის მემამულენი კმაყოფილდებოდენ მაღალი საიჯარო გადასახადით და არ სცდილობდენ თავის მეურნეობის დაყენებას რაციონალურ საფუძველზე. თავის მიწებს ისინი აძლევდენ გლეხებს, რომლებიც მას ამუშავებდენ პირველყოფილი იარაღებით. რასაკვირველია იყვენ კაპიტალისტურად მოწყობილი მემამულეთა მეურნეობანი, რომლებშიაც იყენებდენ თავისუფალ დაქირავებულ შრომას, მაგრამ ასეთები ცოტა იყო; იყო აგრეთვე შერეული მეურნეობანიც, რომლებშიაც მემამულენი თავისუფალ დაქირავებულ შრომასთან ერთად იყენებდენ დროებით ვალდებულ გლეხების შრომას. ვერმიშევის გამოანგარიშებით, რომელმაც დასწერა წიგნი „თავად ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის მეურნეობის აღწერა“, აღმოჩნდა, რომ—

ვალდებული მუშები წვნის პერიოდში ამუშავებენ მთელი საპნავი მიწების 42,6%, თესვის პერიოდში თითქმის მთელ მუშაობას ისინი ასრულებენ, პურის აკრების დროს ისინი ასრულებენ მუშაობის 70%, კონების შეკვრის დროს 64,4%, ლეწვის დროს—66,6%; დანარჩენი მუშაობა სრულდება დაქირავებული მუშების მიერ. აქედან ცხადათ სჩანს, რომ უმთავრეს სამუშაოების უმეტესი ნაწილი სულდება ვალეებულ მუშებისმიერ“ *).

*). ვერმიშევი. „ბაგრატიონ მუხრანსკის მეურნეობის მიმოხილვა“. ტფილისი, 1885, ვე. 35

რაციონალურ, ჯანსაღ მეურნეობათა უქონლობა, დაბალ კულტურათა მოყვანა, უმნიშვნელო ზემოსავალი და მემამულების პარაზიტული ცხოვრება იწვევდა მათი მეურნეობის სრულ დაცვემასა და გახრწნას. საქონლის მეურნეობის პირობებში ეს დეგრადაცია აუცილებელი იყო. მემამულები იძულებულნი იყვნენ მიეყიდნათ თავიაჩითი მიწები მდიდარი ვაკრებისათვის და გლენებში არყოფნის, ანდა დაეგირავებიათ იგი ბანკებში და მიელოთ სესხი. თავად-აზნაურების დავალიანება გასაოცარი ტემპით იზრდებოდა. საადგილ-მამულო ბანკებში დაგირავებული იყო *).

1875—1879	შ. წ.	24	მამული	ანუ	მთელი	გამოსალეგი	მიწის	4,727,16	დეს.
1880—1884	"	20	"	"	"	"	"	7,564,60	"
1885—1889	"	35	"	"	"	"	"	11,942,43	"
1890—1894	"	228	"	"	"	"	"	71,268,67	"
1895—1899	"	498	"	"	"	"	"	164,944,50	"
1900—1902	"	198	"	"	"	"	"	89,827,64	"
სულ		1004	"	"	"	"	"	350,275	"

ნამდვილად თავად-აზნაურების დავალიანება მეტი იყო; საქმე იმაშია, რომ თავადაზნაურობა თავის მიწებს უგირავებდა აგრეთვე კერძო პირებს, რომელთა ხელშიაკვი გადადიოდა შემდეგში ეს მიწები, ასე მავალითად, გარდა სასოფლო-სამეურნეო ბანკებისა 1904 წელში კერძო პირებს დაგირავებული ჰქონდა თავად-აზნაურების მიწები სივრცით 302.623,24 დესიტინა. მეტად საინტერესოა ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ იმას, თუ თავად-აზნაურების რომელი კათევორია აგირავებდა თავის მიწებს ბანკებში.

ტფილისის გუბერნიაში თავად-აზნაურობის ყველა დაგირავებულ მამულებიდან (1004) —

წერილი მამულების რიცხვი შეადგენს	231 ანუ	23,00%/_
საშუალო მამულების —	" 260 "	25,90%/_
მსხვილი მამულების (100 დეს. მეტი)	" 513 "	51,10%/_

როგორც ვხედავთ ყველაზე მეტად დავალიანდენ მსხვილი მემამულენი. ისინი სავსებით გადადიოდენ სოფლიდან ქალაქში, ბედის ანაბარა სტოკებდენ თავიანთ მეურნეობებს. მსხვილ მემამულეთა სავრცნობი ნაწილი შედიოდა სახელმწიფო სამსახურში. რომ მემამულეთა მიწადმტლობელობის გახრწნას მართლაც ქონდა ადგილი ეს მტკიცდება აგრეთვე ცნობებით, გლეხების გამოსყიდვის ოპერაციების შესახებ. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ საგლეხო ბანკი ამიერ-კავკასიაში გაიხსნა მხოლოდ 1906 წელში, ასე რომ მას არ შეეძლო ეთამაშნა დიდი როლი გამოსყიდვის ოპერაციებში. ამიტომ გლეხები თვით საკუთარი საშუალებებით ახდენდენ თავის გამოსყიდვას შემამულებაგან. ეს პროცესი განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობდა 1900 წლამდე 146,332 კომლიდან, რომელთაც მიიღეს ნადელები მორიგების სიგელით ამ საკანონმდებლო კენების თანახმად დროებით ვალდებულებისაგან განთავისუფლდა ქუთაუსის კუპერანიაში

* სტატისტიკური ცნობების უწყება.

22,444 კომლი და ტფილისის—3,475 კ. სულ 27, 719 კომლი, ხოლო დანარჩენ 118,613 კომლმა, აი უკვე 35—40 წლის განმავლობაში ჯერ კიდევ ვერ მოახერხა თავის განთავისუფლება ეკონომიკური დამოკიდებულებისაგან.

ქუთაისის გუბერნიაში გამოყიდვის ოპერაცია, თავდაპირველად დაფუძნებული ურთიერთ თანხმობაზე მემამულესა და გლეხს შილის წარაწყისში საკმაო ენერგიულად სწარმოებდა, მაგრამ 1897 წლიდან საგრძნობლად შენელდა უკანასკნელად გამოქვეყნებულ ცნობების მიხედვით იქ დღევანდლამდე თავი გამოისყიდა მხოლოდ ყველა დროებით-ვალდებულ გლეხების 50% . ტუილისის გუბერნიაში თავი დაისხნა დღემდის ჰველა კომლთა მხოლოდ $24,5\%$ და ეს ოპერაცია თითქმის უკვე შესწყდა, მხოლოდ იმ ადგილებში საღაც მოქმედებდა 1870 წლის დასახლებულთა დებულება კუჩაევის ცნობით „დებულების გამოცემის დროიდან არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ნადევლით კუთვნილ მიწის გამოსყიდვისა არც თემების და არც ცალკე კომლების მიერ“.

აღსანიშნავია, რომ ნადელით კუთვნილ მიწების გამოყიდვა საქართველოში შეიძლებოდა მხოლოდ მემამულის თანხმობით, ვინაიდან ეს გამოყიდვა არ იყო კანონის მიერ სავალდებულოდ გამოცხადებული. მიუხედავად ამისა და მიუხედავად სავალდებულო ბანკის უქონლობისა გლეხებმა ენერგიულად იწყეს მემამულეთა მიწების ყიდვაც 1900 წლამდე.

მემამულენი ამაზე სიამრვნებით თანხმდებოდენ, ვინაიდან ფასი პურშე მაშინ დაბალი იყო, მაგრამ შემდეგში პურის და მასთან ერთად საიჯარო ფას-მაც სწრაფად იწყო მომატება და მემამულეებმაც უფრო სასარგებლოდ და-ნახეს უარი ეთქვათ მიწების გამოსყიდვაზე.

ამრიგად, კაპიტალიზმის განვითარება სასოფლო-მეურნეობაში მოითხოვდა პირველ ყოვლისა მემამულეთა (ბატონ-კმურ) მეურნეობათა დაშლას. ქვეყნის საქონლიანობის სწრაფმა ზრდამ დააჩქარა ეს დაშლის პროცესი. მიუხედავად საგლეხო ბანკის უქონლობისა, ვლეხებმა დაიწყეს ნადელების გამოყიდვა მემამულებისაგან და ამით თავისუფლდებოდენ მემამულეთა დამოკიდებულებისაგან, მაგრამ გლეხები და მათთან ერთიად ვაჭრები ყიდულობდენ არა მარტო ნადელებს, არამედ სხვა მიწებსაც. მემამულეები სიამოვნებით თანხმდებოდენ მიწის გაყიდვაზე 1900 წლამდე, მაგრამ შეძლევში ეს პროცესი შენელდა. შეძლევში მიწის ნაწილი შეძენილი იქნა საგლეხო ბანკის საშუალებით. 1914 წლამდე საგლეხო ბანკის საშუალებით შესყიდულ იქნა 114,717 ლისკერ. მიწა,

ფეოდალურ მიწადმთვლობელობის დაშლა სხვა გზითაც სწარმოებდა. მიწადმთვლობელთა დავალიანება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. მიწის მცირე შემოსავალთან და რაციონხალური მეურნეობის უქონლობასთან ერთად მათ ამ შეკძლოთ ამ ვალების გადახდა. ამიტომ მემამულეთა მიწები თანდათანობით გადადიოდა კრედიტორების, ბანკების, ან კერძო პირთა ჩელში. ამრიგად თანდათანობით იკაფებოდა გზა მიწადმოქმედების დაუპრკოლებელი კაპიტალისტური ეკოლიურისათვის, მეურნეობათ ახალ ფორმებისათვის. ეს პროცესი ძლი-

ერ ნელი იყო, ვინაიდან მეტად ძლიერი იყო ბატონ-ყმობის ნაშთების ზეგავლენა, მაგრამ მას მაინც ქონდა ადგილი.

მემამულეები და თავად-აზნაურები, რომლებმაც გაყიდეს ან დაგირავეს თავიანთი მიწები, სრულიად სტოვებდენ მას და შეღიოდენ სახელმწიფო სამსახურში. სწარმოებდა მიწების კონცენტრაცია მდიდარ ვაჭრების მიერჩინა (წარმატებით სომხების) და სოფლის კულაკების ხელში. ამ ხანა გობათა შიერ მიწების ყიდვაც ადასტურებს ამ დებულებას, ვინაიდან ნაყიდი მიწა არასოდეს თანასწორად არ ნაწილდებოდა. ამ ნაყიდ მიწების უმეტესი ნაწილი ხდებოდა უმთავრესად კულაკებს, რომელთაც მიწის სიყიდლად დიდი თანხები შექმნდათ. მემამულეთა მიწადმფლობელობის დაშლა და მიწების მობილიზაცია მდიდართა ხელში ნაძღვილი ფაქტია.

ახლა საჭიროა შევჩერდეთ გლეხობის დიფერენციაციაზე. საქონელის ურთიერთობის განვითარება აუცილებლობით იწვევდა გლეხობის დოფერენციაციას. ერთის მხრით სოფლად თანდათანობით იზრდებოდა კულაკური ელემენტები, ხოლო მეორე მხრით, იქ სწარმოებდა გლეხობის უდიდეს ფენათა ექსპორტოპრიიაცია აშკარა ბარბაროსულ, მხეცურ და აზიურ ფორმებში. მევაძვენი ვაჭარი კაპიტალისტები და კულაკები სისხლს სწოვდნენ გლეხობას და აყენებდნენ მას პროლეტარიზაციის გზაზე. წვრილი მესაკუთრენი „თავისუფლდებოდენ“ საწარმოო საშუალებებისაგან, და ფრინველებივით თავისუფალი პროლეტარები ხდებოდენ.

რამოდენიმე თვალსაჩინო ფაქტი ნათელყოფს ჩვენთვის გასაოცარ მხეცურ ექსპლოატაციის სურათს.

შემოდგომიდან დაბალი ფასებით სარგებლობს სწავადასწვა საქმის ხალხი, რომლებიც არ სთესენ, არ ხნავენ და მოსაცლის უდიდესი ნაწილი კი მიაქვს. მათი მოქმედება და ენერგია გასაოცარია, პროცენტები. რომელსაც ისინი იღებენ უზარმაშარია, პირდაპირ ულციო და გაცილებით სჭარბობს მევახშეთა პროცენტებს, რომლისთვისაც კანონი სჯის; მავრამ ამ საქმის ჩალამა იცის საქმის ისე მოგვარება, რომ არამეც თუ ისჯებიან კანონის მიერ, არამედ თვითოვე სარგებლობენ კანონის მფარველობით. წინათ ნორმალურად ითელებოდა კრედიტი 50—60%—ში; ხოლო ესლა, გლეცურ მეურნეობათა სრული გაპარტაციის გამო ნორმალურად უნდა ჩაითვალოს 200—300 %. ... საქმე ჩანდახან მიღია ფაქტიურ მონობამდე. მაგალითად შვილი გარდაცვლილ მამის ვალებისათვის უნდა ემსახუროს კულაკს სამი წელიწადი. *)

ეს ცნობა ეხება სიღნაღის მაზრას (კახეთი), მაგრამ ის სწორია სწვა მაზრებისთვისაც. გლეხები თითქმის ყოველთვის უცარდებიან ბრკუალებში ამ საქმის ხალხს.

მოქმედება სწარმოებს პურის გაჭართა ეშვებში, სოფლებში, დუქნებში, სადაც ხდება მორიგება მარცვლეულობის გაყიდვის შესახებ და ეძლევა სესხი გაკირვებულ სოფლელებს.

ჩვეულებრივად ფულის მაგივრად მოითხოვენ უფლებას მომავალი მოსაცლის წორბლის წაღებაზე, ან და ხორბლის განსაზღვრულ რაოდენობას კოდებში (კოდი უდრის 4%, ფულს), ან გლეხი ვალრეპული ხდება გაყიდოს ხორბალი წინასწარ დაწესებულ ტასებში და სწვადასწვა. ვარიაციები ბევრია.

*) გავგას. სას. მეურნეობა, 1899 წ., გვ. 182.

ისინი გასაოცრად დამელოებული არიან გლეხობის ექსპლოატაციის საქმეში, ფულის სესხება მომავალი მოსავლის ანგარიშში ფართოთ არის გაკრცელებული. შემოდგომაზე ბაზარზე გამოაქვთ გასაყიდ ხილის მშობლოდ უძნიშვნელო ნაწილი, თა ისიც წონაში მოტყუდლებისა და ჰურის გრძელები შესყიდვის გამო ქალაქთან ახლო მდებარე სოფლებში, სადაც მყიდველნი ჩინამურარ აგზავნიან თავის აგენტებს. შემოტანილი პურის ფქვილი ნაშავერდა საჭარბერი ფასებზე უფრო მაკლებ ფასებზე იყიდება. მეურნეობიდან გატანილი მუწერები უფროდის ნაწილი წმარდება კრედიტორებისათვის ვალების დაბრუნებას. სდგება მოუსავლიანობა; გლებს არ შემოლია შეასრულოს ზამოარზი აღებული ყველა ვალდებულებანი და გლები საბოლოოდ უვარდება ბრკულებში თავის „მეთილის მსურველს“, რომლიდანაც თავის დახსნა მას ისე, უძნელდება, თუ კინდ შემდეგ მას მოვეს მოსავლიანი წლები, როგორც ბუბს, რომელიც შემთხვევით გაება თბობას მიერ გაბმულ ქსელში.*)

სპეცულიანტები სარგებლობენ ყველა მათვის ცნობილი საშუალებებით: აშკარა მოტყუილებით, უსწორო წონით, საქონლის სრულიად უძნიშვნელო ფასში შეძენით და სხვადასხვა. ანიერკავკასიის მევაზშეებისა და სპეცულიანტების გამოგონებითი უნარი ექსპლოატაციის საქმეში პირდაპირ გასაოცარი იყო.

ამ მოქნილმა და გაწვრთნილმა საქმის ხალხში მონოპოლიზაცია უყოვა ვაჭრობას არა წარტო პურით, არამედ ამიერ-კავკასიის გლეხობის დანარჩენი პროდუქტებითაც.

ასე მაგალითად, ღვინით ვაჭრობა მათ გადააქციეს უდიდესი მოვების წყაროთ.

თუ მხედველობაში არ მიეცილებთ ცალკე შემთხვევებს, ლეინო იშვიათად შემოაქვთ ბაზარზე თვით მწარმოებლებს. დასწურავენ თუ არა შევენახები თავის ყურადენს მაზინვე სცენაზე ჩადება შუამავალი, ღვინის მყიდველი, რამელსაც ხედება უდიდესი ნაწილი მეღვინეობისაგან. შუამავალი მყიდველი უკვე ჩამოყალიბებული, დასრულებული ტიპია; ამიერ-კავკასიაში მათი მთელი ლეგიონები დაძრწიან, მთელ მხარეში არიგებენ წინდაწინ ფულს მომავალ მოსავლის ანგარიშში და სხვა და სხვა რრიცებით უკიდურესად დაბლა სწევენ ფასებს.

ზოგიერთ ადგილას შუამავალი შეუდგნენ საკმაოთ რთულ, დიდ ორგანიზაციას, რაც უზრუნველყოფს უდიდეს მოგებას მათ სასარგებლოდ. კახეთში მაგალითად მათ მიერ დაწესებულია წესრიგი, ყოველი მათგანი აწარმოებს რაპერაციებს მოლოდ განსაზღვრულ რაონში. ჩეულებრივად რაონს მიაკუთვნებენ რომელიმე ჯგუფს, სწავლითიდან ამ რაონში არავინ არ შედის. მოტყუილება, ფასების ხელოვნურად დაწევა, ვალების ღვინით გადაწდა და ისიც მეტად დაწეულ ფასებში—აგულა ეს ისეთი ატრიბუტებია, რომელიც აუცილებლად თან სდევს ყოველ ღვინის კამპანიას.* *)

ასეთ აშკარა ძარცვისა და მოტყუილების გამო გლეხობა ღარიბდებოდა, ის კარგავდა თავის საწარმოო საშუალებებს. კარგავდენ რა საწარმოო საშუალებებს გლებები კიდევ უფრო მეტად უნდა მოქცეოდენ აღვილობრივ მდიდრებისა და კულაკების ექსპლოატაციის ბრკუალებში ვინაიდან უკანასკნელი ფლობდენ საწარმოო საშუალებებს.

*) კავკას. სასოფლო-მეურნეობა. 1900 წ. გვ. 806.

**) არღუთინსკი-დოლგორუკოვი—ალნიშნ. თბილი., გვ. 649—650.

შევხედოთ ეხლა თუ რა ფორმებში მიმდინარეობდა გლეხების ექსპლოატაცია კულაკების მიერ, რომლებმაც მონოპოლიზაცია უყვეს საწარმოო საშუალებებს. კულაკები აქირავებენ თავის ინერციას წვრილ მესაჭურიებზე, და შეუნდობლად იძრობენ მათ ტყავს. ან და ისინი აძლევენ სასაჩვებლოდ ჩატარებულ გლეხების საზიზღარი ექსპლოატაციის ერთ-ერთ ფორმას საჭიროველომი, მათ ეწოდებოდათ ალო.

აი რა ირის ნათესავი ერთ ცნობაში ამ არტელ-ალოს შესახებ:

ცადასტურებთ რა გლეხურ მეურნეობათა გაღარიბებას. მათ მიერ მკუდარი და ცოცავალი ინვენტარის უქონლობას, ჩვენ არ შევიძლია ვინუგემოთ თავი გამსაზღვრული, თავისუფალი ფორმის არტელების („ალო“) გამრავლებით ამიერ კავკასიის სოფელში, არტელების, რომელშიც ერთი მონაწილეობს თავის შრომით, მეორე—გუთით, გავით ან მათი ნაწილებით, მესამე სამუშაო საქონლით და სწვა. არ შეგვიძლია თავი ვინუგეშოთ იმიტომ, რომ ასეთი არტელები წარმოადგენ უღარიბები კლასის ექსპლოატაციის თავისებურ ფორმას: მკვდარი და ცოცხალი ინვენტარის შეძლებული მფლობელი სამ ტყავი აძრობენ „ალოს“ წევრებს, რომლებიც კავშირში შედიან თავის პირადი შრომით. ეს ფაქტი ერთხმად მტკიცლება ჩვენ გლეხურ მეურნეობათა ყველა გამოკვლევებით, კულაკებმა სხვა და სწავლის ქსელში გააბა მოაარღობის უღარიბესი ნაწილი და უკანასკნელ სისხლს სწოვს მას. კულაკებს და ზუმავალ-შემყიდველებს მიაქვთ გლეხის ბიუჯეტიდან 4-5 ჯერ მეტი ვიდრე სახელმწიფოს *).

იშის შესახებ; რომ კულაკები არტელების საშუალებით ეწევიან ღარიბ გლეხების ექსპლოატაციას, უფრო ნათელ სურათს იძლევა მეორე ცნობა. „დამუშავების იარალია ქართული გუთანი, რომელიც მოითხოვს დიდი შრომის დახარჯვას, მაშინ როცა მისი ნაყოფიერება სრულიად უმნიშვნელო. მისი ეს განმასხვავებელი თვისებები ყველა დანარჩენი იარაღებისაგან, რომლებიც ისმარება იმავე სამუშაოსათვის, აიძულებს მოსახლეობას ხელი მიყოს თავის მინდვრების არტელებით დამუშავებას, ვინაიდან იშვიათია ისეთი მიწის პატრონი, რომელსაც საშუალება ქონდეს იყოლიოს მუშა საქონლის საკმაო რაოდენობა გუთნით მუშაობისათვის.

ასეთ იძულებით არტელებში გაერთიანებულ მეურნეობათა ძირითადი პრიპები უკვე გაპერა, ძალაუფლება თანდათანობით ხელში ჩაუდარდა მოსახლეობის ცოტათ თუ, ბევრად უზრუნველყოფილ ნაწილს. შედეგად შეუძლო მოსახლეობა ასეთ არტელში იღებდა შრომის ხელფასის ეხლანდელ ნორმას, რაც ყველაზე უფრო შეტი ნაწილი ხვდება კაპიტალს და ყველაზე ნაკლები შრომას. „ალოს“ დროს (ალო დღეების რაოდენობაა, რა ხნის განმავლობაშიაც მოქმედებდა არტელი) 33 დღეში—21 დღე.

დღის მეხრე იღებს დღეში	18—14 კაპ.
ლამის „ „ „	36—42 კაპ.
მხენელი „ „ „	45—67 კაპ.
გუთნის პატრონი „ „	54—60 კაპ.**)

* კავკასიის სასოფლო-მეურნეობა, 1898 წ., გვ. 206.

**) კავკასიის სასოფ. მეურნ., 1900 წ., გვ. 604.

ზევით ჩეენ ალვნიშნეთ, რომ მემამულეთა მიწათმფლობელობა თანდათანობით იხრწნებოდა. სიქონლითი ურთიერთობის განვითარებამ გამოიწვია თავალ-აზნაურობის კოლოსალური დავალიანება. ხშირად მემამულენი იძულებული იყვენ გაეყიდათ თავისი მიწები, რომ გაეგრძელებიათ ჭარაზიტული ცხოვრება. ეს მიწები გადადიოდა მსხვილი ვაჭრებისა და სოფლის შეძლებული მოსახლე-ობის ხელში.

ეხლა საჭიროა შევჩერდეთ გლეხურ მიწათმფლობელობაზე. საქონლითი ურ-
თიერთობის განვეთარება ხელს უწყობდა მიწების მეტად არა თანაბრად განა-
წილებას გლეხებს შორის. იმ უთანასწორობას უკვე ვხედავთ გლეხობის ყველა
კათევორიათა შორის.

ამ დებულების საილიუსტრაციოდ ჩვენ ვისარგებლებთ ცნობებით სხვა და სხვა რაიონის შესახებ. უნდა განვაკადოთ, რომ ეს ცნობები არ არის სრული და ამავე დროს მათ არ შეუძლიათ იქონიონ რაიმე აბსოლუტური სიზუსტის პრეტენზია. მიუხედავად ამისა ისინი მაინც იძლევიან გლეხობის საგრძნობი დიფერენციალის დაახლოებით სურათს.

ფ. გოგიჩაიშვილის *) მიერ შეკრებილია ცნობები გორის მახრის 20 სოფ-
ლის შესახებ 1902 წელში.

მიწის განაშილება (ხაფარგისი და უვარგისი მიწებისა) გლეხებს შორის

□/□/□-□○

გლეხების კატეგო- რიები	ერთ დესია- ტინამდე	1-2 დესიატ.	2-3 დესიატ.	3-5 დესიატ.	5 დეს. ზევით.
სახაზინო გლეხები	34,72	26,37	18,54	12,53	7,84
დროებით ვალდებ.	35,81	24,27	16,18	12,47	11,27
ხიშნები	9,09	19,48	19,48	29,87	22,08
გლეხი მესაკუთრენი	64,19	14,36	9,93	7,09	4,43
ყველა კატეგორიის გლეხები	43,42	21,37	14,85	11,53	8,83

^{*)} კავკასიის სასოფლო-მეურნეობა., 1903 წელი. გ. 955—956, უ. გოგიჩიშვილის შე-
რიცხვი, და აფრეთვე მისი „კრებული სტატისტიკური კონპეტიცია“.

გლეხობის ყველა კატეგორიებს შორის მიწით ყველაზე უფრო უზრუნველყოფილი იყვენ ხიზნები. ხიზნების მხოლოდ 9,09% ქონდა მიწის სივრცე 1 ლე-სიატინამდე, მაშინ როცა ხიზნების 22,08% ქონდა მიწები სიერკით /5/ დესია-ტინაზე მეტი.

მიწით ყველაზე ნაკლებ უჩირუნველყოფილნი იყვენ მესაკუთრე-გლეხები, რომელთა $64,19\%$ ფლობდა მიწას სიურცით ერთ დესიატინაზე. ჩემი სუსტერენაზე შეტი მიწა ქონდა მხოლოდ მესაკუთრე-გლეხების $4,43\%$.

აქ მოყვანილი ციფრები განსაკუთრებით საინტერესოა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გლეხები, რომლებიც ფლობენ, ან სარგებლობენ მიწით 2 დესიატინამდე არიან ლარიბები, 2—5 დესიატინამდე — საშუალონი და 5 დესიატინაზე ზევით — კულაკები, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ლარიბები — 64,79%

საშუალონი— 26,38%

კულაგები — 8,83%.

ჩვენ ვიცით, რომ შხოლოდ ერთი ნიშანი—მიწის უზრუნველყოფა არ არის საკმარისი მსჯელობისათვის დიფერენციაციის ზომისა და ხასიათის შესახებ. მაგრამ სამწუხაროდ ვინაიდან სხვა მისაღები საერთოდ არ მოიპოვდა, ჩვენ იძულებული ვართ დავმაყოფილდეთ ამ ერთი ნიშნით.

სოფელ ვეჯინის შესახებ *) (სიღნაღის მაზრა, ტყილისის გუბ.) შეკრებილი ცნობებიც იდასტურებენ როგორც სათეს შიწების, ისე მუშა საქონლის არა თანაბარ განაწილებას გლეხებს შორის.

თესავდა ერთ ლესიარქინაზე ნაკლებს — 71 კომლი ანუ 18,1%.

ଗୁରୁତ ଲେଖିବାକୁଣିନାହିଁ ମେଟ୍ରିସ — 147 ପୃଷ୍ଠାରେ ॥ 38, ୦

၁၆၂ ၁၇၃ ၁၈၄ ၁၉၅ ၁၀၆ ၁၁၇ ၁၂၈ ၁၃၉ ၁၄၀
၁၅၁ ၁၆၂ ၁၇၃ ၁၈၄ ၁၉၅ ၁၀၆ ၁၁၇ ၁၂၈ ၁၃၉ ၁၄၀

სხვიგბთან ერთად ამხანაგობებში — 171 „ „ 43%

როგორც ვხედავთ ისეთები, რომლებიც სრულად არ სთესავდენ ან და
თესავდენ ამხანაგობათა საშუალებით შეადგენს 171 კომლს ე. ი. 43 %. ამის მიუ-
მატოთ 71 კომლი, ე. ი 18,1 %. რომლებიც ცოტას ოესდენ და შაშინ ჩვენ მი-
ვიღებთ ნათესების არ შეონე და მცირე ნათესის მქონეთა უზარმაზარ რიოდენო-
ბას 61,1 %. ს., რომლებიც ნახევრად მშიერ და ნახევრად მათხოვრულ ცხოვრე-
ბას ეწევოდენ. საქონლის განაწილება იმავე სოფლებში კიდევ უფრო შემზარავ
სურაოთს იძლევა.

ისეთები, რომელთაც არ ყავდათ საჭიროელი — 287 კომლი ანუ 74 %.

" မှာဒ္ဓရ 1-၁၄ ၅— ပျော်ဝန္တိ— ၂၀ " ၁၆၅ ၁၅,၄ %

5-కි මෝදු— 42 " 16 ප්‍ර 10,6 %

მოსახლეობის უდიდეს ნაწილს (74%) არამც თუ მუშა საქონელი საერთოდ არავითარი საქონელი არ ყავდა. მოსახლეობის მხოლოდ 25% ყავდა საქონელი, აქედან 5 სულხე მეტი ყავდა მოსახლეობის მხოლოდ $10,6\%$. ისეთი პირობების გამო, როცა მოსახლეობა არ იყო უზრუნველყოფილი საქონლით განსაკუთრებით კი მუშა საქონლით, გლეხობა იძულებული იყო შესულიყო იმ-

⁴⁾ კავკასიის სასოფლო-მეურნეობა, 1899 წ., გვ. 164, ქ. გროსბერგის წერილი.

ხანაგობებში (ალო) და მოქცეულია კულაკების შეუბრალებელი ექსპლოატაციის ბრჭყალებში.

დასაფლეთ საქართველო მიწით უზრუნველყოფის მხრივ ჯიდვა ~~უ~~ უთო უარეს მდგომარეობაში იყო. ფილოქსერულ კომიტეტის მოხელეთა 1892-93 წ.წ. აღწერის მიხედვით... *) ქუთაისის გუბერნიიში, შორაპნის მუნიციპალიტეტი გლეხებს შორის განაწილებული იყო შემდეგნაირად:

^{1/2} დესიატინამდე	^{1/2} -1 დეს.	1 - ^{1/2} , დეს.	^{1 1/2} -2 დეს.	2-3 დეს.	3-5 დეს.
216 კომლი	613 კომლი	894 კომლი	899 კომლი	1268 კომლი	1876 კომლი

მცირე მიწის მქონე გლეხები (ორ დესიატინამდე) ამ ცნობებით შეადგენენ 2,622 კომლს (46 %), საშუალონი (2-3 დეს.) — 22 %. ეს ცხრილი გვიჩვენებს რომ მცირე მიწის მქონე რიცხვი უზარმაზარია (2,622 კომლი). ამასთანავე ის გვიჩვენებს, რომ მიწით უზრუნველყოფის მხრივ შორაპნის მაზრაში გამოირჩევა ლონიერი, შეძლებული გლეხობის საგრძნობი ჯგუფი (3-5 დეს.), რომლებიც შეადგენენ 32 %.

ოზურგეთის მაზრის შესახებ მოიპოვება 1886 წლის ცნობები, ეს ცნობები ეხება სახელმწიფო გლეხებსა და მესაკუთრე გლეხებს. **) მათი მიწები განაწილებული იყო შემდეგნაირად:

გლეხების კატეგორიები	უმიწაწყლო	0-2 დეს.	2-4 დეს.	4-დესიატ. მეტ.
სახელმწიფო გლეხები	76 კომლი	1049 კომ.	739 კომ.	352 კომ.
მესაკუთრე გლეხები	—	1381 „	6371 „	816 „

რას გვიჩვენებს ეს ცხრილი? იმას, რომ გლეხობის დიფერენციაცია გურიაში (ოზურგეთის მაზრა) ჯერ კიდევ 80-იან წლებში ძალიან შორს წასულა, რომ სახელმწიფო გლეხობის 83 % და მესაკუთრე გლეხების 89 %-ი უმიწაწყლო იყო ან და ფლობდენ მიწას სივრცით არა უმეტეს 4 დესიატინისა!. 4 დესიატინაზე მეტ მიწას იქ ფლობდა სახელმწიფო გლეხების 70 % და მესაკუთრე გლეხების 11 %. მხოლოდ გლეხობის ეს მცირერიცხვანი ფენა იყო კარგად ან საკმაოდ უზრუნველყოფილი მიწით. სახელმწიფო გლეხებს შორის იყვენ

*) ამიერ-კავკასიის საქციონ გადასახადთა გამგის ანვარიში.

**) ლრ. სემინ.— უდიდესი წლის თავი. გვ. 96.

ისეთებიც, რომელთაც ქონდათ შიწა 10—20 დესიატინამდე (45 კომლი), და 20 დესიატინაზე მეტიც (7 კომლი).

უველა ზემოთმოყვანილი ცნობები, რასაკეიირველია არ არის სამარისი გლეხობის, დიფერენციაციის შთელი სურათის დასახასიათებლად— მაგრამ ისინი მაინც იძლევიან გლეხებს შორის მიწების არა თანაბარ განაწილებისა, და საერთოდ გლეხების გაღარიბების გასაოცარ პროცესის სურათს. ერთი მხრივ უამრავი უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე მშიერი გლეხები და შესრულებული მხრივ თანდათანობით იზრდებოდა სოფლის შეძლებულ-კულაკ-გლეხების ფენა, რომელიც ახერხებდა შედარებით მიწის დიდი სივრცის ხელში ჩაგდებას ბატონ-ყმური უდილის პირობებშიაც ჭი. ეს კულაკები ყოველგვარი საშუალებით უმორჩილებდენ თავის გავლენას მცირე ბიწის მქონე გლეხებს, რომლებიც იმყოფებოდენ მათხოვრულ მდგო ქრეობაში და რომელთაც უსასტიკეს ექსპლოატაციას უწევდენ. ეს მცირე მიწის მქონე გლეხები გრინავდენ ცარიზმის მემამულების და კულაკების უსაშინელეს ულლის ქვეშ და ფაქტიურად მონურ მდგომარეობაში იცყოფებოდენ.

კაპიტალიზმის განვითარება ძვირფას კულტურების დარგებში სწრაფი ტემპით (მებამბეობა, მეთამბაქოება და სხვა) სწარმოებდა. ეს საფსებით გასაგებია, ვინაიდან ისინი უველაზე უფრო მეტ მოსავალს იძლეოდენ, რის გამოც კაპიტალი მოისწრაფვოდა ამ დარგებისაკენ. ჩვენ მოვიყვანთ ცნობებს თამბაქოს პლანტაციების განაწილების შესახებ სოხუმის ოლქში. *)

პლანტაციები.

სივრცე	1906 წ.	1914 წ.
1 დესიატ. ნაკლები	2, 366	3,429
1—5 დეს.	1289	5466
5—10 „	21	371
10-ზე მეტი	2	22

ჩვენ რომ წვრილი პლანტაციები (1 დესიატინამდე) აუცილებლად არა კაპიტალისტურ მეურნეობათ ჩაგვეთვალა, მაშინაც მეთამბაქოებაში ჩვენ გვექნებოდა კი პიტალისტურ მეურნეობათ უდიდესი ზრდა. მაგრამ 1 დესიატინაზე ნაკლები პლანტაციები ყოველთვის არ შეიძლება ჩავთვალოთ არა კაპიტალისტურ მეურნეობათ, ვინაიდან პლანტაციებმა ზოგიერთ სამუშაოსთვის მაინც უნდა დაიქირაონ მუშები. მაგრამ თავი დავანებოთ წვრილ პლანტაციებს და ყურადღება მივაქციოთ დანარჩენ ჯგუფებს. თითქმის პლანტაციების უველა ჯგუფები ააშკარავებდენ სწრაფ ზრდას, მაგრამ უველაზე უფრო სწრაფად იზრდებოდენ პლანტაციები სივრცით 5-ან 10 დესიატინამდე, რომლებიც უნდა

*) ამიერ-კავკასიის სააქციო გადასახადთა გამგის ამგარიში.

აითვალოს მსხვილ მეურნეობათ. 8 წლის განმავლობაში მათი ოცხვა 18 ჯერ გაიზარდა. 10 დესიატინაზე მეტ პლანტაციების რაოდენობაც (ქლიერ დიდი ჩმეურნეობანი) საგრძნობლად გაიზარდა — სახელდობრ 11 ჯერ.

ერთ დესიატინაზე მეტ პლანტაციების ზრდა ცხადყოფს სამოსად რომ კაპიტალისტურ მეურნეობათი ზრდას, ვინაიდან მათ არ შეეძლოთ არ გამოეყენებიათ დაქირავებული მუშები. თუ შევადარებთ 1914 წლის ცნობებს, 1900 წლისას (და არა 1906 წლისას), ეს ზრდა კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნება.

ცნობებიც ჩაის პლანტაციების განაწილების შესახებ გვიჩვენებენ, რომ ამ დარგში კაპიტალიზმი დიდ შედევებს აღწევდა.

ბათუმის ოლქში იყო ორი უდიდესი პლანტაცია (საუფლისწულო უწყების და პოპოვების), რომელთა სივრცე 1905 წელში შეადგენდა 350 დესიატინას, ხოლო 1914 წელში — 628 დესიატინას. ეს მამულები იზიდავდენ უმიწაწყლო და მცირე მიწების მქონე გლეხების უზარმაზარ მასებს მეზობელ ოშურგეთის მაზრიდან დაქირავებულ მუშების სახით. მაგრამ ამ პლანტაციების გარდა ბათუმის ოლქში იყო სხვა პლანტაციებიც, რომელთა უმრავლესობა უნდა მივაკუთვნოთ კაპიტალისტურ მეურნეობათა ჯგუფს.

ჩაის პლანტაციები.

სივრცე	1910 წ.	1914 წ.
1 დესიატინაზე ნაკლები	64	89
1—5 დესიატინამდე	35	69
5—10 „	5	5

განსაკუთრებულ სწრაფად ისრდებოდა პლანტაციები სივრცით 1-ან 5 დესიატინამდე. რიცხვი ორჯერ გაიზარდა. მსხვილი პლანტაციები (5—10 დესიატინამდე) არ გაზრდილა. წვრილი პლანტაციები (1 დესიატინამდე) საგრძნობლად იზრდება. ამ წვრილ პლანტაციათა რიცხვში შედიან ოშურგეთის მაზრის, ქუთაისის გუბერნიის პლანტაციები (60-მდე). ისინი თითქმის განსაკუთრებით გლეხური პლანტაციები იყო. ჩაის პლანტაციების რიცხვის გაზრდაც ადასტურებს კაპიტალისტურ მეურნეობათა პირდაპირ ზრდას.

ჩვენ არ გვაქვს ცნობები სხვა კულტურათა შესახებ (მებამბეობა და სხვა). მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთსავე პროცესებს ქონდა ადგილი ამ დარგებშიაც.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად სწარმოებს გლეხობის თანდათანობითი დიფერენციაცია. გლეხობა ირლვეოდა და ყოფლა თავის წრიდან სოფლის ბურუუაზიას და უმიწაწყლოთ დარჩენილ გლეხებს.

სოფლის ბურუუაზია განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა ამიერ-კავკასიაში 1905—906 წლის რევოლუციის შემდეგ. გლეხთა მდიდარ ფენების დაგროვება სულ უფრო მატულობდა. ამას ადასტურებს ცნობები საკრედიტო ამხანაგობათა განვითარების შესახებ.

საპრეზიდო ამხანაგობაში საჭართველოში*).

წლები

1905 წ.

1910 წ.

1916 წ.

ქუთაისის გუბერნიაში.

ამხანაგობათა რაოდენობა	1	5	უკანასკნელი ტერიტორიაზე
წევრთა რიცხვი	35	1,065	37.759
ანაბარები და სესხები	—	5.533	161.776

ტფილისის გუბერნიაში.

ამხანაგობათა რაოდენობა	—	9	96
წევრთა რიცხვი	—	1134	39.926
ანაბარები და სესხები	—	4372	444.032

ერევნის გუბერნიაში.

ამხანაგობათა რაოდენობა	2	2	34
წევრთა რიცხვი	99	548	15.353
ანაბარები და სესხები	80	501	91.704

საკრედიტო ამხანაგობათა და მათში გაერთიანებულ წევრების რიცხვის ზრდა ყოველთვის იყო სოფლის ბურჟუაზიის ზრდის მაჩვენებელი. ეს ამხანაგობანი კულარების ორგანოები იყვნენ, მათ დახმარებით სოფლის მდიდრები იღებდენ სესხს და კიდევ უფრო ანვითარებდენ თავიანთ მეურნეობას. ამასკე ჭონდა ადგილი ამიერ-კავკასიაშიაც. ანაბარების ზრდა საკრედიტო ამხანაგობებში გვიჩვენებს კულაკების მიერ შემონახულ თანხების ზრდას.

კაპიტალისტურ ელემენტების ზრდა ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში წარმოადგენს უდავო ფაქტს. ეს ზრდა განსაკუთრებით აშკარად გამომიულავნდა მეთამბაქოებაში, მებამბეობაში და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში. ამ ტენდენციას აფერხებდა ცარიზმის საგადასახადო პოლიტიკა და ბატონ-ყმობის ნაშთები. მაგრამ ამ დაბრკოლებათა მიუხედავად კაპიტალისში ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში მაინც ეითარდებოდა. ის თანდათანობით ნიადაგს აცლიდა ძველ წყობილებას, შლილა და არლვევდა მეურნეობის ძველ ფორმებს და იკაფავდა გზას.

*) სტატისტიკურ-ეკონომიკურ ცნობათა კრებული რუსეთისა და უცხოელ სახელმწიფოთა სასოფლო-მეურნეობის შესახებ 1910—1917 წ. წ.

ბიბლიობრანდ

卷之三

၅၁၃ စုရေးမြတ်စွာ. „ပျော်မြန်မာနိုင်ငံ၏အနာဂတ်. ၁၁၃-
ပုဂ္ဂန်မှုပါဒ်၏အမြတ်အမြတ်မြန်မာနိုင်ငံ၏အနာဂတ်. ၁၁၃-
၂၅၂ ပုံ., ဖြောက် ၁ မာရ. ၃၅ ပုဒ်.

დღეს, როდესაც ქართული მწერლობის წინაშე თანამედროვეობის მიერ დაყენებულია მრავალი კარდინალური ამოკანა გადასაწყვეტად, როდესაც ჩვენი სოციალური ყოფა უფრო მძლავრი გინდის ელექტროდენზე არის გადაკეტილი, როცა ჩვენი საზოგადოებრივობა გეოლოგიურ პროცესების განცდის პერიოდშია, ძველი ტრადიციები ირლევეა და ახალი საზოგადოებრივობა და ყოფა ყალიბდება, როცა მსოფლმზედვალობა ძირეულ გარდაქმნას განიცდის და ყველაფერი დაძრულია ადგილობრივ, - ქართველი მწერლის წინაშე დგას საკითხი: შეგნება თანამედროვე ახალი ყოფის აზრისა, რომ ის არ ჩამორჩეს მას და არ გადაგვარდეს ინტელიგენტურ მერყეობაში და წერტუნში.

ამიტომ დღეს კიდევ უფრო საჭიროა უკან მოხედვა და კრიტიკული თვალსაზრისით გან-
ხილვა და ანალიზის წარმოება იმ დიდი ისტორიების შემთქმედებისა, რომელიც მუდმივი თა-
ნამდებარები არიან კაცობრითისა, მოხედვა ისე, რომ ობიექტების სალოკაცია მარილის სვე-
რად არ გადაიქცევა.

ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ჩვენ უნდა დაფუძდეთ და პირდაპირი გავებით ვის-
წავლოთ მათგან წერა და გავიმეოროთ ისინი, ეს, უნიჭობისა და უსუსურობის დამტკიცების
გარდა. შეუძლებელი და სრულიად ზედმეტი რამ იქნებოდა. ვ. შელოვანის თქმისა არ იყოს,
როცა მეცნიერი თავის ლაბორატორიაში ბაჟაყის აგებულებას იკვლევს, ის იმითი კი არ არის
დაინტერესებული რომ მან ბაჟაყივით ყიყინი ისწავლოს, არამედ ცოცხალ სრეულზე წარმოვ-
ბულ ცდების შედეგებით. კლასიკოსების დახმარებით ჩვენ ვსჭავლობთ, თუ რის წინააღმდეგ
იყვნები ისინი ამბოხებული, რას ებრძოდენ, როგორ აწარმოებდნ ისინი ამ ბრძოლას, რა ფორ-
მალი მიღწევები ჰქონდათ ცველთან შედარებით, აქედან: რა გზით უნდა ვიაროთ ჩვენ და რა
უნდა გაკეთოთ, რა საკითხები აწვალებს დღეს თანამედროვეობას და რა უფრო აქტუალურია
ამ თანადროულობაში. ამიტომ ზედმეტი არ იქნებოდა რომ ჩვენ ერთხელ კადევ მოვბრუნებო-
დით ისეთ დიდ თსტატსა და კაცობრიობის მართლაც გულის მესაიდუმლეს, როგორიც ლევ
ტოლსტოი იყო.

მეტად სასიამოვნო მფლერებია რომ გამომცემლობა „შრომამ“ გამოსცა ლეგ ტოლსტიოს „ალდგომასთან“ ერთად „ყაზახებიც“. ტოლსტიო, რომელიც ათეულ წლების განმავლობაში ბატონობდა მსოფლიო ლიტერატურაში და დაწყებული ამერიკადან, გათავებული ინდოეთით ცველგან ისმის მისი კაცომოყვარე მოწოდება, ტოლსტიო, რომელიც ცველა ენაზე არის თარგმნილი, ეს ტოლსტიო ჩვენ რატოლაც არ გვერდა, თუ „ალდგომას“ და გაზეთის დამატებაში დაბეჭდილ „ცოცხალ ლეში“ არ მივიღებთ მჩედველობაში, ტოლსტიო, რომელიც ბიბლიურ პატრიარქივით იჯდა იასნაია პოლიანაში და მხელი ქვეყნის გულისყური მისკენ იყო მიმართული. მართლაც დიდი სირცხვილი და მეტად დიდი დანაკლისია, რომ ის მწერალი, რომლის მორალური ძალა ისე უტენი იყო, ისე შემმაერთებელი და სამაგალითო თავისი თავგანწირულებით — ჩვენ ქართულ ენაზე თითქმის არ გვერდა და არც ანლა გვექნება, სანამ „ომი და შვეიცაბინობა“ (და არა ზავი) და „აანნა ყარენინა“ და ზოგიერთი მისი სხვა მოთხრობები არ გამოიკვეთდა.

ტოლსტოი იყო ის ადამიანი, რომელიც გადიქტა კაცობრიობის ცოცხალ. იელსახებ სინიდისად და რომლის გახსენებაზე ჰურძნობდი რაღაც სიხარულის ერთანტელსა და სიამაყეს რომ შენ და ტოლსტოი, თრივე ადამიანები ხართ და იმედი გვიღევა, რომ ადამიანი მართლაც ყოვლის შეძლება.

ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს ტოლსტოის მსოფლმხედველობის განვითარება / რასა-კვირველია, ბევრია იქ შეცდომები, შეტაც ბევრია მის უტოპისტურ მოძროვებაში მართლაც ბარინული ოცნებები, მან გულთამინილავება და მისნური ნიჭით დაჯილდურებულიშე— ქვენიოსმა, რაღაც გასაოცარი, განზრახი, თუ უნებლივ სიბევით ვერ დაინახა ის ტექნიკური ტექნიკანთბის ღირსების დამამცირებელი იმსტიტუტი ჩვენი საზოგადოებრივობისა წარსულში, რომელსაც ბატონ-ყმობა ერქვა. ის გლეხობაში ვძებდა იმ უბრალო კეშმარიტებასა და პარმონიას, რომლითაც ასე უხცეად იყვნენ დაჯილდოვებული პლატონ კარატავი, ეროშება და სხვები და, რომელიც ასე გამარტამებლად აკლდათ ტოლსტოის ორეულებს: ლევინს, ბეზესოვს, ნეხლიულოვს, ოლენინსა და სხვებსა და ის მუდამ გვერდს უვლიდა ამ გლეხობის გამანადგურებელ წყობილებას, რომელიც მაშინ იყო დამყარებული.

ტოლსტოი მთელი მისი სიცოცხლე ცოცხლების აზრის ძიებაში იყო და სწორედ ამითი აიჩნება ის გარემოება რომ მას ასე სძულდა სარკაზმი, სატირა, ამითი აიბანება აგრეთვე ის გარემოებაც რომ მას არასოდეს ტიპები არ მოუცია, იმიტომ რომ ცხოვრებაში ტიპი არ არსებობს, ტიპი მუერლის დანახვაა და სხვა არაფერი. ის ადამიანებს იძლეოდა მთელი მათი სიგრძე-სიგანით, ლირსებითა და ნაკლულოვანებით, მას არავისი გამათრახვება არ უნდოდა, იმიტომ რომ თვითონაც ადამიანი იყო, ის მხოლოდ მტკიცნეულ აღგილებს მიუთითებდა, აშუქებდა ამ საკითხებს, ის უფრო ქადაგი იყო და ამიტომ მან ვერ შესძლო დანახვა იმ კლასობრივი ანტა-გონიზმისა, რომელიც მაშინდელ წყობილებაში არსებობდა, მას ეკონა, რომ საკმარისია საერთო სურვილი და ჟურლაფერი გამოსწორდება, მას ისე სწამდა ადამიანი. რომ ფიქრობდა, თუ ვინმე მიუთითებდა ამ ნაკლს,— ის აუცილებლად შეიცვებოდა, ამიტომ სწერდა იგი ისეთი გასაოცარი უბრალოებითა და გულუბრყვილობით წერილებს ალექსანდრე I-ს, ალექსანდრე III-ს, ნიკოლოზ II-ს, რომ გონს მოსულიყვნენ, თითქოს ეს მართლაც მნიშვნელოვნებული და მათ თავდაც კეთილ სურვილებზე ყოფილიყოს დამოკიდებული.

ტოლსტოი — ადამიანი, რომლის ცხოვრებაც ამდენი ტეხილებით იყო აღსავსე უდრიდა ტოლსტოის შემოქმედს, აღსავსეს ასეთივე ტეხილებით. ტოლსტოი, რომელიც მართლაც ტიტანიურ ბრძოლას აწარმოებდა მთელი მისი სიცოცხლე, რომ როგორმე ცხოვრება და ხელოვნება უნისონში ყოფილიყვნენ ერთი მეორესთან, ყოველი დიდი ლიტერატურული ფაქტის შემდეგ ის მღდამ დუმდებოდა რამდენიმე წლით და სრულიად სხვა, არალიტერატურული (სპეციფიური ჩაგებით) საკითხებით იყო წოლმე დაინტერესებული. „ომი და მშეიდობიანობის“ შემდეგ ის ჩუმდება და პედაგოგიკით არის გატაცებული და ამ წნის განმავლობაში მასში მისდა შეუწებლად შეიცვდებოდა და გროვდებოდა მასალა იმ გრანდიოზულ ტილოსათვის, რომელშედაც „ანნა კარენინა“ უნდა დახატულიყო. „ანნა კარენინას“ შემდეგ მას ეთეკური საკითხები იტაცებს და „აღსარებას“ სწერს. „აღდგომის“ „კრეიცერის სონატის“, „მამა სერგის“ და „განათლების ნაჟოვებს“ შემდეგ ის ისევ ჩუმდება და ახლა ის ახალი შრომებისათვის ემზადება და ეს იქნება „ჟაჟი მურადი“, „ციცალი ლეში“, „ბნელის სამთავრო“ და სხვ. და ასე და ასე, თათქოს ის ყოველი დიდი ნაწარმოების შემდეგ იწურებოდა, ცრულდებოდა წელოვნების სარგებლიანობაში საზოგადოებრივობისათვის, მაგრამ მხატვარი. შემოქმედი მაინც არ ისვენებდა მის ბუნებაში და რამდენი შეტაც სცდილობდა იგი ამ სტიქიის ჩაღრმავებას, იმდეში მეტის მაღითა და წნევით ირდევეოდა ეს მორალურ სენტენციების ჯებირები და შენდებოდა საშინელი, დამაფიქტებული, უზარმაზარი, პირამიდებივით სასწაულებრივი და საკვირველი შენობები.

თითქოს ყოველი დიდი შრომის შემდეგ. მისთვის საჭირო იყო სულ სხვა, კერძო საკითხებით გატაცება, ახალი გამოცდილებათა და ენერგიის დაგროვება, რომ იმ შენაგან, შეუგნებელ შემოქმედებითი პროცესებს ქვეცნობიცების ლაბორატორიაში მიეღოთ გარკვეული სახე და მერე განსაკუთრებული სიმძაფრითა და ტიტანიურობით ამეტკველებულიყო.

გონება მისი — დაულალავი, ცნობისმოყვარეობა — ხარბი, ენერგია — უშრეტი. მოხუცებული იწყებს იგი ბერძნული და ძველი ებრაულ ენების შესწავლას, სწავლობს შოპენშაუერს, კანტს

შექვემდებარები, ახალი სამყარო, რომელსაც ისევე როგორც მზის სისტემას, შეიძლება ტოლსტოის სისტემა უწოდო, ადამიანი რომელმაც ეს ქვეყნები აადსო უამრავი ადამიანებით, ჯელა სუვადასწვა ნაირია, ყველა გაემერიებელიდა ქველა ცოცხალი, ღარიშებული ტანკოდიური გმირიდან გათავებული მთავარი გმირით და ჩვენ გვაზიარა იმ აღტაცებას, რომელიც შემოქმედება ჰქონია. ტოლსტოი, რომელიც მართლაც საბაზოთივით ჟეპინიდა სამყაროს, ადამიანებს და იმის მაგიურ რომ მეშვიდე დღეს მოესვენა, ის კიდევ უფრო ეჭავებოდა და გვეკვეტული კიდევ ახალი ქვეყნის გასაჩინად. ტოლსტოი რომელიც უვრ დაეტია ამ ქვეყანაზე უწყეს უწყეს უწყეს მის ღამეს და გაუპარა ქვეყანას, გაგვეპარა ჩვენ; ტოლსტოი რომელიც ასე გამრარებით ებრძოდა იმპერიატორება და ძლიერთა ამა ქვეყნისა. ტოლსტოი, რომელმაც გაწამებასთან ერთად იცოდა შემოქმედებით აღტაცებაც. როდესაც მას შისმა ქალიშვილმა მანქანაზე დაბეჭდილი თავი მოეტანა „მამა სერგი“-დან, მან წაიკითხა იგი, ჩაიცინა და სთვეა:

— ხორი ჩამია სამართლი, ხორი!

ტოლსტოი, რომელიც მოუდრეკედა იყო და პატიოსანი.

მოქანდაკე ილია გინცბურგს ეუბნება საყველურს მოქანდაკებზე:

„მათ დაუდგე ძეგლები და მონუმენტები მთელ ეკოოპის ქალაქებში ძალიმომრე მეფეებს და, რაც მთავარია, მშიშარა და უღირს ადამიანებს აქანდაკებენ გვირის სანით, ხელში ამღავებულ ზელებითა და წინ წაწვდილ მკერდით. მოქანდაკენი ყველაზე მეტად პირმოთნეობდნენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე და მც ამიტომ არ მიყვარს ისინი.

უმი და მნიშვნელობიანობის წერის სამშალისმი ღაბეჭდა ტოლსტოიმ 1863 წელს მოაწორობა „ყაზახები“, ის მაშინ ერთი წლის დაცვალიანებული იყო.

„ყაზახები“, როგორც ეს ტოლსტოიმ იცოდა, გაშლილია ორ სიბრტყეზე, აქ ჯერ კიდევ ჩანასახის სასიათა აზარებს ეს, მა ლე ამას ის სისტემად გადააქციეს „ომსა და მშეიღობიანობაზი“ და „ანია კარენინაში“.

ერთი სიბრტყე მოსკოვის ბომინდი, მეორე: გრებუნის ყაზახთა სტანცია და მისი ყოფა. ეს მისი დამახასიათებელი მოვლენა არის, მას არ უჟვარს ტურგენევიგით ერთ სიუჟეტზე ან ერთ ადამიანის ირგვლივ ამბის დახვეჭა, მან რამდენიმე საუჟეტური სიბრტყის აღება იცია და ამ სიბრტყების ცელია.

„ყაზახები“ იწყება მოსკოვის აღწერით. მოხახობის დასაწყისშივე თქვენ იცით რომ გვიანი ღამეა და ვიღაც სადღაც გაემგრავრება. ამის შემდეგ ის იძლევა ტონს მოთხოვობისას, ტონი მიაორებულია და მკითხელმა უძვე იკის რომ რაღაც სამწახარო ამბავი იწყება და ეს ამბის დასაწყისი არია რაღაც მეორე სამწუხარო ანგისა და გაცრუების შედევი. თქვენ პირველ თავშივე ხელავთ ორ უცნობ ადამიანს. ერთი შათგანი შემდევ მოთხოვობის მთავარი ღერძი უნდა განდეს. და აი ამ თორ უცნობის მარტვრულად მოცემის შემდევ ტოლსტოი იძლევა მოთხოვობის მინორულ ტონს შემდევ ფრაზაში:

— გული მიკვდება და მიხარია კიდევც, რომ მიკვდიკან! — განაგრძობდა იგი. — რა მიკლავს გულს, — არ ვიცი.

ამ გვარად, თქვენ იცით, რომ გმირს ცუდი წინაგრძობა აქვს და ამას გარდა ავტორი კიდევ ერთხელ უფრო დაბეჯითებით გარწმუნებით, რომ ეს ერთი მთავარი გმირთაგანი არის მაგრამ რადგან მას ჯერ მისი გარეგნობა და განწყობილება საკუთარდ არ მიუცია, ამიტომ ის არც მის სახელსა და არც ფინანსას არ გვეუბნება, რომ სახელშია მოოლოდ ტერნიკური სახელწოდების ხასიათი არ მიიღოს. ამასთანავე ერთად ტოლსტოი აქ იძლევა პირველ სიბრტყეს და ამ სიბრტყის გმირს. ტოლსტოის მოსკოვის შემდევ ყაზახთა სტანცია უნდა რომ მოგვცეს და მისი მცაოვეებინი, ამიტომ საჭიროა ამ სიბრტყების აქტანცე სიუჟეტური შეეჩერება, რომ მერე ისინი ცალ-ცალკე არ დარჩენ მოთხოვობის გაცვერივ. მისი ყანზოახვაა მდაბიოთა მოცემა და ამიტომ აქ ეს მოტივიც საჭირო არის, ამიტომ მას აქვე შემდევი თრი აბზაცი წეაჭვს:

— დამიტორი ამდრევევი, იამშეიკი არ იცდის. სთვეა შემოსულმა ახალგაზდა მისაჩურმა, რომელიც ქურქში განვეულიყო და თავპირი შარდით შეეხეია. — თორმეტ საათს აქეთ იცდიან ცხენები, ახლა კი ოთხია!

ზურ. „მნათობი“ № 8—9.

დიმიტრი ანდრეევიჩმა შესედა ვანიუშას და მის შარფში, სახეზე რომ ეხვია, მის ქვის ფეხსაცმელებში და მის ნამძინარევ სახეში მას სულ სხვა ცხოვრების ჩმა მოესმა. რომელიც მას მოუწოდებდა, — ხმა ახალი ცხოვრებისა, რომელიც აღსავსერყო გარჯილობით გაჭირვებითა და საქმიანობით.

ამ ორ აბზაცში გაიშალა მოლოდინი მეორე სიბრტყისა, სადაც ტოლემი უნდა გადის სროლოს ეს გმირი და ამიტომ მან მოლოდ მისი სახელი ახსენა.

ამ თავის დასასრულში ჩვენ გავიგებთ დიალოგით რომ ის თელვემინის ტკ-ჭურუ ბიჭი⁴ და ამ გვარად გმირი საბოლაოდ მოშანულია. ახლა მას ამოქმედება! ჭურუ მის ტანი ეს მოქმედება იქნება მოთხრობის მამოძრავებელი ძალა.

ახლა მას მეორე თავში მეორე გვარი სიბრტყები აქვს, ეს არის მოთხრობის ტოპოგრაფიულ არეების ცენტრი. რუსული სტეპი, გაშლილი და ფართო, რომ მერე კავკასიის მთები უფრო დიადნი მიუწეველი გამოჩნდენ. ამიტომ იწყება მეორე თავი ასეთი გაქნეული ცრაპით:

„აველა მიყვარს! ძალშე მიყვარს! საყვარელნი, რა კარგია!“

ცოტა წნის შემდეგ ის ისევ იწსენებს წინა თავში მოცემულ ტონს:

„ვინ იცის, იქნება ცოცხალიც ვერ დავბრუნდე კავკასიონი, — ფიქრობდა იგი და მას ენვენებოდა რომ თავგამეტებით უფგარდა თავის ტოლა-ამშანავები, მეგობრები და კიდევ კიდევ სხვა უფვარდა მას.“

მაშვასმულში მოცემული არის აზალგაშვა გმირის ოლენინის წეურვილი სიყვარულისა და მკიონხველი წინდაწინვე პგრძნობს რომ ავტორი ამბავს რომანულ არეზე გაექანებს ამის შემდეგ იწყება უკვე მთები. ოლენინის, ბარის კაცის მიერ, განცდა მთებისა, შემდეგ ინტრიკის შეკვრა და სხვა. მოთხრობა მიდის საოცარი ოსტატობითა და მეტად რთული უბრალოებით. საინტერესო არის მოთხრობის ბოლომდე ამ განთ განწილვა, მაგრამ, სამწუხაროდ ბიბლიოგრაფიის არე ამის ნებას არ გვაძლევს.

ახლა რაც შეეხება თარგმანს: თარგმანი ვერ არის დამაკაცოფილებელი, მას აჩვარება და სახელდაუელო მუშაობა ეტუობა.

მაგალითად: რა საჭიროა იამშირის მეტლებ თარგმნა, იმ დროს როდესაც ტროკას არ თარგმნის, ან ტელეგას ოთხთვალათ თარგმნა, ცოველ ნაბიჯზე აუარებელი უხერხული ფრაზები და წინადადებები, დედანთან შეუჯერებლობა და სხვა, რისი მოთვლაც მთელი წიგნის აქ მოტანას მოითხოვდა.

საინტერესო კიდევ ერთი შეცდომა. ტოლა-ტოის გმირს ლუკაშვას თავი მოსწონს თავისი ყაბარდოული ცნენით და ამბობს რომ ის ლოვ-ტავროა, დავ. კასრაძეს ეს პირდაპირ ასე აქვს მოხსენებული, ეტუობა მისი აზრი ან ვერ გაივთ ან-და რაღაც მოსაზრებით დასტოა ასე-

ლორ იყო ყაბარდოს დიდებულთა, ეფრედწოდებულ ფშიების, გვარი და მათი ცხენები განთქმული მეტალ ყაბარდოში იყო, მათ რუსები ლოვს უწოდებდენ რუსიფიკატორული მიზნებით, ტავრო კი დალია, მაშასადამე ლუკაშვას ცნენი ლოუს დაღისა იყო და არა ლოვ-ტავრო, ისევე როგორც ჩვენში არის დადიანის დალი, ფალავას დალი და სხვ.

მოვიკვან მოლოდ ერთ ადგილს, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ თუ როგორ არის ნათარგმნი ეს მოთხრობა:

„Сытые короны и буйволицы разбредаются по улицам, и казачки в цветных бешметах—снуют между ними. Слышен их резкий говор, веселый смех и визги, перебиваемые ревом скотины.“

(ლევ ტოლსტიო, — „ყაზახები“).

ეს აბზაცი ასეა თარგმნილი:

„დამძლარი და ფერდებ ამოვსებული ძროშები და ფურ კამეჩები დაყიალობენ (?) ქუჩა ქუჩა და არეულან (?) წითელ ყვითელ ზუბუნებში გამოწყობილი ყაზახთა შორის (?) ყაზახთა მნიარელ ჯიფჯიფში და სიცილში საქონლის ბლავილი ჰკვეთავს სმენას (?).“

(დავ. კასრაძის თარგმ. გვ. 29).

როგორც ხედავთ, აქ მთლად დაკარგულია ტოლა-ტოი და ჩვენ ვიღაც სხვა ავტორს გვითხულობთ, ერთი სიტყვით, ამ თარგმანში ჩვენ სრულიად არ ვხედავთ იმ წყაროს წყალივით

გემრიელისა და უბრალო ენას, ტოლსტიის რომ ჰქონდა. მე კიცი რომ ტოლსტიის თარგმნა გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე ანდრეი ბელის, ზამიატინის ან ბაბელისა და აშიტომ საჭირო იყო მეტის სიცირხილით თარგმნა, იმიტომ რომ ტოლსტიის ის ბრძხული უბრალოება რომელიც მის სტილს აზასიათებს, არ ვამოვიდეს მართლაც დაბალ ღირსებიანი უბრალოება, თუნდაც ისეთი, ახლა ჩოვიერთი კლასიკოსების მოწაფეები და ფაბულარულ პროსესი დაცველნი რომ სწერენ. დავით კასრაძეს ჩვენ ციცონია როგორც კარგ მთარგმნელს, რაც ეს იშვიათი დღეს ჩვენში; და ჩემ არ ვიცით რათ მოხდა რომ მას „ყაზახები“ ჩაუკარგებს უკარგებს. ასეა თუ ისე, თარგმანი ორივე ფეხით კოვლობს და ეს მეტად საჭიროა ჩვენში.

ასეა თუ ისე, თარგმანი ორივე ფეხით კოვლობს და ეს მეტად საჭიროა ჩვენში.

მე მინდა აქვე შემთხმევით ვისარგებლო და საზოგადოდ ქართულ თარგმანების შესახებ იმით ვიცი სიტყვა ვთქვა. დღეს ჩვენში თარგმანი რაღაც აგდებულ საქმედ და გატირვებულ მწერლებისა და ენის საეჭვო საეჭვოდ მცირდე ხალხის დახმარების წყაროდ არის გადაქცეული. არავინ თარგმნას ყურადღებას არ აქცევს, იმ დროს როდესაც თარგმან გაცილებით ძნელი საქმეა, ვიდრე არიგინალის წერა. რომ ეს ასეა, საკმარისია გადახვედოთ ჩვენ ფურმალ-გახეთებს. ამ ბორიტებას ბოლო უნდა შოვდოს. ჩვენ ვცინდა რომ თარგმანი წიგნს აყვარებდეს მკითხველს ჩვენ ვფიქრობთ რომ კარგად თარგმნილი ლიტერატურა მოთხოვნილებას გახდის და მით ჩემი ტირაჟი აიწევს და ისეთი სამარცხვინთ თარგმანები კი, როგორიც „კიუხლია“ და „ტაშკენტი - ქალაქი პურის“ და სხვ. არის ყოვლად საბიზლარი, უპასუხისმგებლო მომყრობა საქმისადმი, და სირცხვილია რამ მას ჩვენში ცნობილი პოეტების სახელი უწერია. ნეგეროვის მოთხოვნის სათაურიც კი ეკრანთამინით სწორედ. ჩვენ ვიცით რომ ლევ ტოლსტიის გენიალურ ნაწარმოებს „პაჭი მურადს“ არ ელირსა დაბეჭდვა იმიტომ რომ ის თარგმნა ენის უცადინარმა „დიდმა“ პოეტმა და ახლა მას ერთი პედაგოგი ასწორებს. ამინანგებო, მიაქციეთ ენას ყურადღება, თუ არა და წალით ლიტერატურიდან.

დემნა შენგელაია.

P. S. „ყაზახებიდან“ ამოღებული ტექსტი ხელახლა არის ჩემ მიერ სახელდაშესაც თარგმნილი, ვანაიდან წიგნის დაბეჭდილი თარგმანი არ იძლეოდა დედონის აზრისა და ხასიათს. მე გამარჯვის არ ვიღაპარა ვალ. ვალერინდაშეილის მიერ თარგმნილ კაზახურ ლექსებზე, სადაც გრებენის ყაზახები იმერელ მაყრებივით „ოდეონია დელია“-ს მღერიან.

დ. 3.

ლ. ტოლსტოი—აღდგომა. ვ. ბახტაშის წინახითუვაობით. თარგმანი პ. ირეთელის. გვ. 388, ფ. 2 მ. 80 კ. გ-მა „შრომა“.

ლევ ტოლსტიის გენიალური თხზულებები თანდათან გვევლინება ქართული წიგნის ბაზარზე. საბჭოთა რუსეთში მართლაც „მილონიანი მასსები“ კითხულობენ ამ ჟამად ტოლსტიის. მართალია, ასეთი მაშტაბი ჩვენში მიუღწევებია, მაგრამ ტოლსტიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნაწარმოებების გამოცემა ქართულ ენაზე უსათულდ ღიღმნიშვნელოვანი კულტურული საქმეა. ამ მხრივ გამომცემლობა „შრომა“-ს მუშაობა უსათულდ ბაზარასასმელია და აღსანიშნავი.

ლ. ტოლსტიის „აღდგომა“ ერთ-ერთი „უკადაგური“ ნაწარმოებთაგანია გენიალური მხატვრის.

მართალია, „აღდგომა“ ერთ დროს გადაითარგმნია და კიდევაც ჯამოიცა ქართულად, მაგრამ მის შესახებ არავინ არავერი იცის და ხელახლი გამოცემა აუცილებლად საჭირო იყო და დროული.—მით უფრო, რომ პირველ გამოცემას ერთობ ღიღმნიშვნები აზასიათებდა: ენის (თარგმნის) სიკაველე, ტირაჟის სიმცირე და, რაც მთავარია, წიგნი დამახინჯებული იყო მეტის ცენტურის კლანცების მიერ.

ეს გამოცემა სრულია, ამოღებული აღგილები აღდგენილია და წიგნსაც დართული აქვს წინასიტყვაობა, რომელიც წარმოადგენს აგასაღებს „აღდგომის“ თანამედროვე თვალსაზრი-

სით გაგებისათვის. ესეც დიდი პლიუსია ამ გამოცემის.

„აღდგომა“ ლექტორის „პროგრამული“ ნაწარმოებია. აქ გარევევით და სრულათაა მოცემული ის რელიგიური სისტემა, რომელსაც „ტოლსტოიში“ ეწოდება. თქმა არ უნდა, „აღდგომა“ თავისი დედა-აზრით, რეაქციონური ნაწარმოებია, რადგან ეს დედა აზრია, როგორც თვით ტოლსტოი ლაპარაკობს: „ეძიეთ ლეთის მეუფება და სიმართლე, დანარჩენი კი თავის-თავად მოვა. ჩვენ კი ვეძებთ სწორეთ ამ დანარჩენს და, ცხადია, ვერ ვნახულობთ მას“.

რომანის გმირი—თავადი ნეხლიუდოვი, მართალია, ოვით ტოლსტოი არ არის, ვინაიდან ტოლსტოის არ გამოუვლია ის გზა, რომელიც ნეხლიუდოვმა განვლო „სულიერ სიმშვიდის“ და „ლეთის მეუფების“ ძიებაში. მაგრამ ნეხლიუდოვის აზრები და ფილოსოფია თვით ტოლსტოის „მოფლ-მხედველობის სისტემაა“, რელიგია,—უფრო საშიში და შხამიანი, ვინემ ყოველგვარი რელიგია, რომელსაც კი იცნობს კაცობროვა. არც-ერთ ნაწარმოებში ასე ძწარეთ და ბეჭითად არ სცდილა ტოლსტოი გაეცა პასუხი კითხვაშე: „რაშია ჩემი რწმენა“, თვით სპეცი-ალურათ ამ სათაურით დაწერილ წირმა-შიაც კი.

„აღდგომაც“, მაშასადამე, უველაზე უფრო რეაქციონური ნაწარმოებია, რომელიც კი ტოლსტოის დაუწერია მხატვრულ კალმით. მაგრამ განა ეს იმას ჰნიშნავს, რომ „აღდგომა“ დასაწევია და მისი კითხვა მავნეა თანამედროვე ადამიანებისათვის? არა, ეს ამას არ ჰნიშნავს და სწორეთ ამაშია ტოლსტოის, როგორც ბხარერის, უდიდესი სიძლიერე და გენიალობა. „აღდგომაში“ თავად ნეხლიუდოვის „ფიქრები“ არავის აინტერესებს. ტოლსტოის რელიგიური განცდები არავის აღულვებს. მკითხველი ხედავს და ამჩნევს იმას, რასაც ეძებს ის, რაც აღულვებს მას: ძველი ცხოვრების უკარგისობას, მეტისა და შემამულების საზისლარ მოქმედებას, გლეხ-კაცობის დროებისას. მკითხველი ვერ ამჩნევს სპილეოს (ტოლსტოის აზრით, რასაკვირველია) — იმ საშუალებას, რომლითაც ავტორი სცდილობს ამ უკუდმართობის მოსპობას, ასალი ცოცვრების დამყარებას. ეს საშუალებაა რე-

ლიგია, ქრისტიანობა—განახლებული უკლესია წვერებ-გაკურევილ მღვდლებით და მოკლე ანაფორებით. ამს. ვ. ბახტაძე სამხრეთლიანად ლაპარაკობს თავის ნიჭიერად უაწყებილ წინასიტყვაობაში, რომელსაც მეტად მოხდენილი სათაური აქვს: „აუდჟირუმერულადგომა არ არის“.

„ტოლსტოი მხატვარია და ამავე როსა ცხოვრების მასწავლებელი, საზოგადოებრივ მცირვან ადგილების მცურნალი.

როგორც მხატვარი ის დიდია, გენიალურია,—როგორც მასწავლებელი, მცურნალი—ულოინ და სუსტი.. ტოლსტოი მოუღებელია ჩვენთვის, როგორც მორალისტი, ფილოსოფოსი, ლეთის-მარიებელი,—ტოლსტოი ჩვენია როგორც მხატვარი, უდიადესი ხელოვნებით შემსრულებელი ცხოვრების სურათებისა“... უდაოა მხატვარ ტოლსტოის ობიექტიური რევოლიუციონერობა, მაგრამ უდაოა ისიც, რომ მას არ ქონდა სწორი წამალი ავალმყოფ რუსეთის მოსახლეობა. მასი წამალი საწამლავი იყო.

იმდენად სწორია და მონდენილია ტოლსტოის ეს დახასიათება, რომ მას ვერაფერის მიუმა-ტებთ და ვერც გამოვაკლებთ.

მართლაც, ტოლსტოის „აღდგომა“ არ არის აღდგომა. მაგრამ ეს ჩვენთვის არ არის უკვი საინტერესო: მხროველი მასსა აღსდგა მტარეა-ლებისა და მხაურელების წინააღმდეგ, დაამხო მათი ტარტი და შეუდგა აზალი ქვეყნის მუნიციპას, თუმცა არა იმ გზით და მეთოდით, რომელსაც ლევ ტოლსტოი იძლეოდა...

თარგმანი, საერთოდ, დამაკმაყოფილებელია. მართლია, არის გამოთქმები: „ფიქრებში წა-სელა“, „შეცემა“ და სხ. მაგრავ ეს უფრო აე-დაქცეული შეცემებია: ყოველგვარი თარგმანი საკიროებს რედაქტირას. ამ თარგმანს კი, როგორც სხანს, რეზაქტორის გამოცდილი კალამი არ უგრძევია.

წიგნი სუფთად და შეიგიანათაა გამოცემული. ყდა — მხატვრულადაა შესაძლებული. გამოცემას ეტყობა „კულტურული საზოგადოება“, რაც, საბედნიეროთ, ახასიათებს ქართული წი.ნის გამოცემის საქმეს უკანასკნელ წანებში განსაკუთრებით.

ფასიც ძვირათ არ ჩაითვლება.

ს. 8 — ანი.

ს. რემონდი. ადამიანი. პიესა 4 მოქმედებათ შ. დადიანის წინასიტუაციით.

ამც კი ლირდა ამ პიესაზე მკითხველის ყურადღების შეჩერება, რომ მას თანდართული არ ქონდეს შალდა დადიანის შემდეგი „რეკომენდაცია“:

„პიესა წაკითხული მაჩვს; ჩემის ფიქრით, პიესა სცენიურია, სხარტი მარტივი და აუდიტორისაოვის ადვილათ შესათვისებელი, რაც ასე სჭირდება დღეს უარის მასას. პიესის დედა-აზრი მეტად საყურადღებოა: ფული და მისი გალმერთება როგორ აფუჭებს ადამიანს და რყვნის საზოგადოებას. პიესა მეტად გამოსაძეები იქნება საკლუბო და სასოფლო სცენებისათვის.“

საქართველოში შალვა დადიანი საკმაოდ ცნობილი მწერალია, და თეატრის მოღვაწე ბისი რეკომენდაცია აშა თუ იშ ნაწერის განსაკუთრებით—პიესის არც თუ ისე გვერდთ ასავლელია, შესაძლოა და დასაშვები, რომ რემონდის დასახელებული პიესა მართლაც მოიპოვებს სადმე— „სასოფლო და საკლუბო“ სცენაზე ადგილს.. ამიტომ საკიროდ დატინარეთ ჩემ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ამ პიესაზე.

პიესა უვარებისია მხატვრულად და დრომობრივი, ყოველგვარ ინტერეს მოქალაქე ბრძოლი—შინაარსის მხრივ. პირდაპირ განცვიურებაში მოდისარ ადამიანი, როგორ შეიძლება, რა კონკრეტული და მოსახრებით დაიწერა ასეთი „ნაწარმოები“ ჩვენს დროში, ათი წლის შემდეგ რეკოლიუციის გამარჯვებისას! სად ცხოვრობს რემონდე? ნუ თუ მან არ იცის რამ დღეს ასეთი პიესების შერა, სწავ რომ არა იყოს რა, წარმოუდვენები უკალტურობა, ჩამორჩენილობა და მწერლობის აბუჩად აგდება? ალბათ არ იცის, თორებ არც დაწერდა „ამ უადამიანს“.

რემონდე, როგორც ეტყობა, საკითხით მოწყვილია ჩვენს ეპოქას, არ იცის მისი არაფერო ეტყობა არც აინტერესებს ეს მას, და მთელი თავისი ფიქრებით ეატარა, ეღონო ღმისატელისა ცხოვრობს და „მოღვაწეობა“ ძველი დროების ანარეკლით.

გილაცას რდეს დაც ფულები „შეუძენია ბლომათ“; ჩამოსულა ტფილისში და ეძებს საცოლეს; საცოლესაც უშერენიან: სოფლის ერთ გოგოს მიათხოვენ. შემდეგ ეს მდიდარი როგორდაც და რატომდაც „გაკოტრლება“. ცოლი გაექცევა,

მეგობრებიც მიატოვებენ მას, გადაღვები კი აუწერენ ქონებას, ან ყველაფერი, რაზედაც რემონდეს აუწენებია „ადამიანის“ ტრაგედია.. ვის აინტერესებს დღეს ასეთი კისტები უკრძალები და მათი კრედიტორების ასეთი საკუთრებულის ტიპისა? როგორ შეიძლება, ტრაგედიის აშენებს ასეთ გორებით! რემონდე კი სერიოზულათ ფიქრობს და ძალ-ღონეს არ ზოგავს, რათა წარმოვიდგინოს საშინელი ტრავიზმი არავისა. თვის საინტერესო წარსულ დროების ანარეკლის – სპეცულიანტ ვარაზინვილის.

ავტორი იალიან ცდილობს შეაყვაროს და შეაცოდოს მკითხველს ეს „პატივსაცემი“ მდიდარი კოტე ვარაზიაშვილი:

„ნათელა, შეუცდომელი ქვეყანაზე არავინ არის.. სულს არ ვიშურებდი შენთვის არაფერი გვლებია არასოდეს. დღეს, როცა გამომელია ქველაფერი, როცა გამძარცვეს, აი ამ დროს, შენც მტოვებ და მიღიხარო შენ არ იყო რა არის უმეგობროდ ყოფნა, ღბულობა.. როცა ბევრი, ფული მქონდა, მაშინ მეგობრებიც ბევრი მყივდა, ჰეკიანი გაციც ვიზავი.. ეხლა შენც მტოვებ, რაღა დამრჩენია, თუ არა თავის სიკედილი... ნათელა გონივე, გვედრები, მაჩუქო სიკოცხლე, მე კიდევ შევსძლებ ფულის შოენას, საქმის გამობრუნებას..“

ასე ეთხოვება ის თავის ცოლს.

საბრალო კოტე როგორ უყფარს იგი ს. რემონდეს. რამდენი ფული ქონდა და ეხლა კი... ცოლიც გაურბის..

შეიცოდეთ, მკითხველებო, კოტე ვარაზიაშვილი, იტირეთ ცაარე ცრემლებით რემონდესთან ერთად კოტე ვარაზიაშვილის ტრაგედიაზე: მეტი რა გვაქვს ჩვენ დღეს საზრუნვად და საფიქრი!!.

საბრალო რემონდე!

ქვეყანა იცვლება.. ძველი ღმერთები ყირამალა ტრალდებიან, საკაცობრიო საკითხების გადაწყვეტაზე ფიქრობს მთელი მსოფლიო.. ძველი და ახალი ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩამოსული.. რემონდე კი გამდგარავანზე, ჩამწყვდებულა თავის ეიტრო და უსინათ „ლო როგორც საფლავი, — „აზროვნების გალიაშის და სწერს „ადამიანებზე“, ადამიანებისათვის უკვე საფსებით დრომოვჭმულ და არასაინტერესო ამბებს.

თუმცა ესეც სათქმელია: ბოლოს და ბოლოს რემონიძეს აკვს ობივატელური „უფლება“ დასწეროს 1928 წელს უკრაინი თავისი დრომოჭ-მულობით და უსუსური თავის მატვრობით პიესა „ადამიანი“. შეიძლება ეს ებატიოს ზას. მაგრამ არავინ არ აპატიებს შალება დადიანს რომ მან რემონიძის ნაცოდვილარი მასებისათვის საინტერესო და ნიჭიერად შესრულებულ ნაწარმოებათ გამოაცხადა.

შალვა დადიანს მეტი მოეთხოვება...
ვციქრობთ, რომ სასოფლო და საკლუბო
სკონების ხელმძღვანელი არ ჩაიტარებენ შალ-
ვა დადიანის შეფასებას რემონტის მიესისა და
უკანასკნელიც ვერ იზიდავს წერნ სასოფლო და
საკლუბო სკონებს. რომელიც არ

3. $\delta - \delta_0$.

ვაზა-ფუნდაცია. ტომი I, ლექსები. ალ. აბაშელის რედაქციით, პროფ. ა. შანიძის
ლექსიკონით და გერონტი ქიქოძის და ტიციან ტაბიძის წინა წერილებით. სა-
ხელგამი. გვ. ვის, ფასი 3 მან.

ვაჟა-ფშაველამ ქართულ მწერლობაში დაიმ-
კვიდრა დიდი პოეტის სახელი, რომელიც მას
უდავოთ ერგება. რაც დრო გადის, მისი მიგრე-
ბა ადვილდება, მისი წინაგანი ხილვის, მისი
სულიერი ქვეყნის გზები ჩნდება და უფრო
იზრდება როგორც პოეტი.

დღეს ქართულ მწერლობას უვადაოთ ველარ ჭარმოვიდგენთ. მის აღგილს ვერავინ დაიკურს. მას ვერავინ შესცელის. ის „არავის ჰეავდა ამ ქვეყანაზე, არავითარ სკოლას არ ეკუთვნოდა“...

უფრო ადრე, ქართველი მკითხველი საჭიროა-
დოება ვარას ნაკლებად იცნობდა. ვარას ლექსე-
ბის და მხატვრული პროზის პირველი წიგნი
უკანასკნელ დროს აღარსად მოისოდებოდა, პო-
ლო ლექსების შეორე წიგნი — „ცრემლები“ — ვა-
რას დაუდევრობითვე მეტად უფროულად და
უგემოვნოთ იყო წედგენილი.

զայս մռնչչացութիւնու ոչու մկրտեցրելու, ու դա-
Շորեցնու ոչու հաջոնու սանացագուցնու ընթաց
շրջանու պատճեն-դալուր մաշնուցմաս. Շնուն
կեցնու տաղաւորութիւնու հաջուկու առ Ըն-
առաջնորդականութիւնու հաջուկու առ Ըն-

იშვიათად, წელიწადში ერთხელ, და ზოგ-
ჯერ ერთხელაც არა, ცავნით ჩამოვარდებოდა
ქალაქს და ლექსებით გატენილ ხურჯინს ჩამო-
ტანდა, მაგრამ ისევ მაღვე თავის ზღაპრულ
დეკ-კაცებს დაუბრუნდებოდა, მთებში დაიმა-
ლებოდა...

ამან ცოტა არ იყოს, დააგვიანა ვაჟას დიდი
პოეტური სახელის დაკანონება ჩვენს მწერლო-
ბაში.

ვაკე „უბედო პოეტი“ იყო და მას დღემდე
არ ლირისტია მთლიანი სახის გამოჩენა ჩვენს
ლიტერატურაში.

ამ შემთხვევაში სარელგამმა დიდი საქმე გა-
აკეთა. მან გამოსცა გაუას ლექსების პირველი
ტომი, ჯერ კიდევ 1923 წელს, რომელიც ძა-
ლიან მაღვე გაიყიდა და იგივე ტომი წელს გა-
მეორა ზოვიერთი შესწორებით და დამატებით
როვორც სჩანს, მასევ განუზრახავს ვაუას მთე-
ლი ძაწერების გამოცემა, რომლის შესრულება
სასარგებლივა დაჩინარდეს.

და ამის შემდეგ, როდესაც ხელთ გვექნება
ვაჟა-ფშაველას მთელი მაღლიანი და ბარატიანი
შემოქმედება, უფრო გაადგილდება მისი შესწავ-
ლა თა შეფასება.

სარეცენზიონ წიგნს შამდლუარებული აქტს
ერთი-მეორის თითქმის სრულიად საწინააღმდე-
ვო წინასიტყვაობა ვარას შემოქმედების შე-
სახებ.

ნევენ არ გვაკვირვებს აზრითა ასეთი წინააღმდეგობა ერთისა და იშავე მწერლის შესახებ, მაგრამ იმ წერილების ერთად მოთავსება კაფუას ნაწერების პირველ წიგნში დიდ შეცდომათ მიგვაჩინია.

სხვა რომ არ იყოს-რა, გ ე რ თ ხ ტ ი ქ ი-
ქ თ ძ ი ს წერილი იშეუბა იმით, რომ „ვაჟა-
ქ ა მ თ რ ჩ ე ნ ი ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ი ყ თ“
და თავდება იმით, რომ „ყ თ ვ ე ს შ ე მ-
თ ხ ვ ე ვ ა შ ი ი ს ღ ი რ ს ი ა რ ი ყ თ
მ ი ს ი დ ი დ ი ს ა ხ ა შ ი ს ა“.

ଲା ଠେଣ୍ଟ କାମିନ୍ଦରଙ୍କ, ତଥତ୍ରେଣ ଯେ ହାତ୍ୟକୁଳା
ଶାର୍ପ୍‌ପଣ୍ଡା ବ୍ୟାକାଶ କାମିନ୍ଦିପ୍ରେମିଲାନ୍ଦାଶ ନମିତ୍ରିନମ ପିଲ୍ଲ-

კერძოია ამ წიგნისათვის, რომ ეს აზრი ვაჟაშე დააკანონოს და ვაჟას უკვდავ შემოქმედებასთან ერთად ვაასალოს ჭართველ მყიდ ხელ საზოგადოებაში.

ეს შეცდომა სახელვანს არ ეპატიება.

ვერ ერთი, როდესაც ისეთ დიდ მწერალს აფასებ, როგორიც ვაჟა, საჭიროა მისი უფრო დაწვრილებითი განაიღვა, და რომ მყითხველის ფის ესა თუ ის აზრი დამაჯერებელი იყოს, საჭიროა მისი უფრო მეტად დასაბუთება. ამ წერილში კი ავტორი ერთი ხელის მოსმით ადგანს: „მ გ თ ს ა ნ მ ა ა მ თ ს წ უ რ ა შ თ ა გ თ ნ ე ბ ი ს წ ყ ა რ ი, ი დ ე ი თ ა ვ ი წ რ თ ფ ა რ გ ა ლ ი პ ი ვ ე რ გ ა ა ფ ა რ თ თ ვ ა, პ ი ც ხ ი ა დ ა ხ უ რ დ ა ვ დ ა დ ა ი ა ფ ფ ა ს ი ა ნ პ ე ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა შ ი გ ა დ ა ვ ი დ ა“ და სწავა.

ერთი სიტყვით, ვაჟას ჯვარს უსვამს, ანიავებს...

ამ საკითხის არსებითად განხილვას ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში, რასაკვირველია, ვერ გამოვეკიდებით, მაგრამ ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია ამაზე არ შევაჩეროთ მყითხველის ყურადღება.

ნუ თუ ვაჟას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერილი ლექსები ასე ხელალებით ჯვარდასასმელია და არავითარ მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენენ?

ვაჟას უკრიტიკოსს¹¹ რათ დაავიწყდა, პოეტის სიკვდილის ობი წლის წინ დაწერილი „დავვრანებული პასუხი აკაკის“. ან „ფშაველი ჯვარის კაცის წერილი“— ეს უდაოთ დიდი პოეტური გულით და ცეცხლით გამობარი ლექსები?

მოძღვნილი არის მთის მიერ
ჩამოტანილი ქარისა...
და ენა მთისა სიმტკიცით
შეგავსია კლდისა სალისა;
იქნებ, აკლია, არ ვიცი
ამ ლომს სიმაზე ქალისა...
ნუ შეგაშინებსთ, არ გავრებსთ
მთიდან ყვირილი ხარისა.

(დაგვიანებული პასუხი
აქაკის).

განა ამ სტრიქონების მიხედვით ითქმის, რომ „მეოსანმა ამოსწურა შთაგიანების წყარო“ და „პოეზია დაახურდავა“¹²

განა მისი „პასუხი მაჩანას“, „კახეთი“ და იდევ სხვა მრავალი ამავე დროის ლექსები შე-

კრული არ არის მაგარი შემოქმედის ძარღვებით, რომელშიც მოვარდნილი ღვარივით სჩქეფს წვენი მისი მშობელი მთებისა?

აქეე უნდა ითქვას ასეც, რომ გერომტი ქიქოძის წერილი დაწერილია ც მ ე ტ ი წ ლ ი ს წ ი ნ ა თ! ამ ხნის კულტურული მეცნიერების გადაბრუნდა, მრავალი კულტურული გადაეცა სება მოხდა და თვით ვაჟა-ფშაველახეც აზრი შეიცვალა.

და ვერ გაგვიგია, სახელვამს მაინცდამაინც რათ დასკირდა ამ საარქივო წერილის გაცოცლება და ვაჟას პირველ წიგნშე დამდასავით მიკერძება? სახელვამშა უნდა გაგვცის ამის პასუხი.

ტ ი ც ი ა ნ ტ ა ბ ი ძ ი ს წ ე რ ი ლ ი ვ ა ჟ ა ს ს ა ხ ე ლ დ ა ს ე ლ ი რ , ზ ი რ ვ ა დ მ ი მ ი ხ ი ლ ვ ა ს წ ა რ მ რ ა დ გ ე ნ ს.

„ვაჟა-ფშაველა მართლა, რომ აზალი ქვეყანა იყო, სრულიად თავისებური პიროვნებით და მორიალით და ადვილი წარმოსადგენია ის დაბნევა და ცნებათა არევა, რომლითაც უპასუხა ქართულმა მწერლობამ ვაჟა-ფშაველას ქართულ მწერლობაში გამოჩენას“...

რალა შორის წავიდეთ. ეს „დაბნევა და ცნებათა არევა“— ამ წიგნსაც არ ასცდა. ერთს ამბობს ქიქოძე — და სრულიად საწინააღმდეგოს ტაბიძე და იმის მაგივრ, რომ ეს წერილები მყითხველ მასებს დაქმაროს ვაჟას შესწავლაში, და გაგებაში, მას უარესად ა ბ ნ ე ვ ე ნ დ ა გ ზ ე ბ ს უ რ ლ ა რ ი ა ვ ე ნ.

ყოველ შემთხვევაში, წიგნი ჩევრს მოიგებდა, რომ ეს წერილები არ ჰქონიდა დართული.

ვაჟა ვერ კიდევ არ არის შესწავლილი. ამ აზრის ზემოაღნიშნული წერილების წინააღმდეგობაც ადასტურებს, მაგრამ რა აზრთა სხვადასხვაობაც არ უნდა იყოს მის შესახებ, — ერთი უდაოა: ჩექნ არა ვვყავს სხვა მწერალი, რომელსაც ასეთი სიმდიდრე მხატვრული სახეების ჰქონილების და რომელიც ასე უშუალოდ გაგონილინებდებს ბუნების სიღრმეს და სიდიადეს.

ვაჟამ ქართული ეპოსი წელში გამართა და მტკიცე ნიადაგშე დააყენა, მანევ მოგვცა მხატვრული პროზის განუშეორებელი ნიმუშები...

სარეცენზიო წიგნი შეკრულია ვაჟას საუკეთესო ლექსებით, რამელნიც თავის სიახლეს და ნოყიერ სურნელებას არ ჰყარგავენ დღემდე და რომელიც შეკითხეველის გულს და ძარღვებს სიამოვნების ურუანტელი აესებენ.

ბუნებამ გამოილება,
აღგა, გაცეცხლდა მკვდარია.
თოვლი დამდნარა მთაშედა,
ზევებზე მოჰყეფს ღვარია.
იქით არაფერ აყვირდა,
აქით ბანს აძლევს მტკვარია.

• • • • •
ამძიმებს იმათ სიციცებს
თავის ტალღების ღვარითა,
მთის იქით მოსახვამს რიონი
გაშიშვლებული ხმალითა.

(„განაცხული.“)

ეაუს რაიმე გარკვეულ, ლიტერატურულ მი-
მართულებისთვის მიკუთვნება შემცდარია უნდა
ჩაითვალოს.

ამ შემთხვევაში მართალია გერონტი ქიქოძე,
როდესაც ამბობს: ძნელია თქმა „რომანტიკოსი
იყო, რეალისტი თუ სიმბოლისტი, ეჭვა არ არის
თვით მკასანს გაუჭირობოდა იმ კითხვაზე პა-
სუხის გაცემა“...

მის შემოქმედებაში ზაქარიაშვილი, არის შეზავე-
ბული ერთის, მეორეს - და მესამეს სათავეები.

სარეცენზიონ წიგნს დართული აქვს პროფ. შანი ძირის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელიც მდოსნის შემოქმედების შესწავლას და
გაგებას ბევრად აადვილებს.

წიგნი ჯარებნულად სადაა და ლამაზი, ყდას
განსაკუთრებით ამშვენებს ცატას უბრალოდ მო-
ხახული პროფესილ.

0. მო — ლი.

ლადო მაჟაზარიანი — „მოდაზე ჯავშნოსანი“. პოემა. ტფილისი 1928 წ. ტო- რაჟი 2000. 181 გვ. ფასი 1 გან.

თანამედროვეობა ვეღარ ითმენს განყენებულ,
როგორც ი. ჭავჭავაძე იტყოდა შოლმე „მგალო-
ბელ“ შეწერლობას. „გალობა“ უნდა გადავარ-
დეს და მის მაგიერ მწერლობაში მოველით. კონ-
კრეტიულ ამბავს, ცხოვრების მოცემას და ამ
რეალური მასალის ძლიერი, მწერლის მიერ
მტკიცეთ შეგნებული კონკრეტიული იდეებით
დატვირთვას. მოველით: ამაღლელებელ მოწო-
დებებს შემდეგი ბრძოლებისაკენ, ახალი პრო-
ლეტარული ყოფა-ცნოვურებისათვის. ზრუნვას,
ჩვენი თანამედროვე ყოფის კველა პრობლემების
დასმას და გადაჭრას. უპრობლემოდ მხატვრულ
შეწერლობას არ შეუძლია არსებობა, პრობლე-
მებს კი ჩვენი სინამდვილის მტკიცე და ყოველ-
მხრივი ცოდნის და მოცემის გარეშე ვერ დას-
ვამს მწერალი.

ლ. მაკავარიანის პოემა, რა თქმა უნდა, ვერ
აკმაყოფილებს ჯველა ზემოთ ჩამოთვლილ მო-
თხოვნილებებს. ვერ აკმაყოფილებს — თემატიკუ-
რად, რადგან რაც არ უნდა იყენეს თემათ
აღებულია ჩვენთვის შედარებით ინტერესს-
მოკლებული ადამიანი მენშევიკური ეპოქისა.
ვერ აკმაყოფილებს იდეურად რადგან ეს
ადამიანი ვერ არის სწორად გაგებული
და მხილებული. განსაკუთრებით ვერ არის
დამაკმაყოფილებელი ფორმალურად, რად-
გან ავტორს ვერ გაუმართავს ვერც ეპიური პო-

ემის სტილი, ვერც ლირიკის. ახალი უანრის
შექმნის ცდაც არ აქვს, — ერთი სიტყვით პოემა
მთლიანი უანრის გარეშე დარჩენილა.

განვიხილოთ უფრო დეტალურად.

თემატიკური მხატვა ლ. მაკავარიანი
საერთოდ დღევანდელი ლიტერატურული აქტი-
ვის გარეშე მყოფი, უმოავრესად დეკადენტური
მანერის მწერალია, როგორც პოემიდან სჩანს
მას ყოვითი შთაბეჭდილებების მარაგი უმთავ-
რესად დეკადენტიმის „ოქროს ხანიდან, ქ. ი.
მენშევიზმის ბატონობის ფრთიდან მოეპოება.
პოემა უმთავრესად ამ ხანაშეა ავებელი და მენშე-
ვიზმის დოთ შედარებით დამაკმაყოფილებლად
არის მოცემული. მართალია, ავტორი გასაბჭო-
ების და ზაქესის შექმნის დღეებამდე აგრძელებს
თავისი გმირის სიცოცხლეს. მაგრამ ეს უკანასკ-
ნელი პერიოდი მხოლოდ ორიოდე რიტორიუ-
ლი ფრაზებით არის მოცემული.

მთავარი გმირი ლავერი უსაბოა, სქემა:
საერთოდ მენშევიზმის ეპოქა არ ხასიათდება
მთლიანი და მტკიცე სახის მქონე პიროვნებით. პიროვნების მხატვრული შესწავლა უმთავრესად
საქმეშედ შეიძლება, მენშევიზმის დროის გმირის
კი მაღლოდ ფლეხავატი, ცრუკლასიკური სიტ-
ყვა და ოპერულ-თეატრალური პოზა ახასია-
თებს. ყოველიგვა ეს მართალია, მაგრამ ლიტე-
რატურული ტიპის მოცემა მაინც შეიძლე-

ბოდა, მართალია, ავტორი, მაშინდელი დროის თვის დამახასიათებელ მრავალი ტყველისას და პოზას მაშინდელი გმირისა ნაწილთბრივ მარც გვიხასიათებს, მაგრამ ლავერი ლიტერატურული ტიპიც არ არის. სხვას რომ თავი დავანებოთ, მისი პარტიული ფიზიონომიაც კი ვერ ირკვევა: ნაციონალისტია, ფულერალისტი თუ მენშევიკი მართალია, ეს კატეგორიები ბოლოს და ბოლოს თითქმის ერთი და იგივე იყო თავისი ყოს ფა-ცხოვრებითი საქციელით რაციც მწერლობი-ერთ-ერთი მთა არი მასალა), მაგრამ „პროგრა-ძებით“ ხომ „განსხვავდებოდენ“. ამრიგად ლა-გერი ეკლესიური, ჩე ულებრივ ნაციონალისტ ფრაზეოლოგის ტიპი უნდა იყვნეს.

მეორე საზოგადოებრივად საინტერესო ტი-პი მაღავაა, ეს სპეციულიანტი და ბონებ-ლიტერატურის გმირი არსებითად მენშევიკერი დროის მთავა-რი გმირია. მართალია, პოლიტიკურ ზედაპირ-ზე თითქოს ლავერისთანა ტრაქეოლოგები იყ-ვენ, მაგრამ იმის დაჯერება, რომ დაბოლოვატ-ბოლიტიკოსი ლავერები იყვნენ მენშევიზმის სა-ზოგადოებრივ-ეკონომიკური წყვბის გმირები და არა სპეციულიანტ-აუთოტაკტრი მაღავები — ეს პოლიტიკურ-მხატვრულ ნატურალიზმს და გულ-უბრყვილობას, მოვლინების მხოლოდ ფუქსაე-ტი ზედაპირის დანახვას მიშნავს. ასეთ შეცვა-მის უშეებს ავტორია.

სხვა ტიპები პოემისა: პროსტიტუტები, ცო-ლები, დედები და საერთოდ ქალები საზოგადოე-ბრივ ინტერესს არ წარმოადგენენ. ისინი არ მონა-წილეობდენ მა შინდელ საზოგადოებრივ ცხოვრე-ბაში, ისინი მხოლოდ თახახებისთვის არსებოდენ. მაგრამ კადებაც რომ უოფილიყო ქალი მაშინ-დელ საზოგადოებრივ ასპარეზშე გამოსული — ავტორი ამას ვერ მოგვცემდა, რადგან თვით ავ-ტორი ქალის მოცემისას, ყოველთან მისი „ქა-ლური“, „ასთაურიური“ მნიშვნელობის მოცემით კმაყოფილდება, რასაც მოპყება „ქალის“ გაც-ვეტილი, ათასშელ ნაჩმარი დახასიათება „იად“ და „ვარდაზ“, „ნარკისად“ და „ვარდის რეა-ლათ“. „რეალი ტანის კანგალით“, „აფოთლი-ლი ენდით“ და სხვა.

იდეული მხარე. ლავერის სახით მო-ცემულია საკმაოდ იდგალური გმირი, ასე ვთქვათ „პატიოსანი“, ანუ „იდეური“ ნაციონა-ლისტი. მთელი პოემა დაწერილია ამ „პატიოსანი მენშევიკის“ თვალთა- ა-ს და და არ ამრიგად პოემა იდეურად მეტად შემცდარია. ლავერს ავტორი უპირდაპირებს

მაღავას (სპეციულიანტს) და საერთოდ ცველა- მის ირგვლივ მყოფ სამსედრო თუ მთავრობის პირებს. მაშინ, როდესაც ტრინტე წასული ქართველი თვიცირები და უცმასკაცებიც კი ამდიდრებდენ თავიანთ იჯავებს და ძარცვა- დენ ცველავერს, ლავერულ უწოდებულებებს (ასმალეთ- თან ბრძოლა, სომხეთის კომიტეტის წინააღმ- დების და სახლში არაფერს აგხავნის (იხ. გვ. 31), იგი მოხალისედაც მიდის დენიკინის წინააღმ- დებ (იხ. გვ. 105) და ჩალაში მასშე ასეთი შე- ხედულება:

ლავერი პატიოსანი და კეთი- ლი გულით,
ლავერი ყველას ძმასაგრო მი- აჩნდა ჩემიში

სპეციაკი იყო მოწოდებით და თა- ვის წარსულით (გვ. 66).

ამრიგად ავტორი სტატუს მენშევიზ- მის ეპოქის ერთ-ერთი, ავტორის თვალსაზრი- სით კი — მთავარი გმირის — შესახებ. თუ ასეთი „სპეციაკი“ მენშევიზმის მთავარი გმირი, მაშინ თვით ეპოქა რაღად იყო ასეთი არეული, ბილ- წი, უწმაწური, მტაცებლური, მუქითაწორული, სპეციულიანტური, გამყიდველი ლიპლომატებით და სპეციულიანტი-მაღავებით საცხე, როგორც ჭმას თვით აცტელი ახასიათებს. თუ დროის მთავარი გმირი, დროის წამხუანი ძალა ლავა- რია, მაშინ მის მიერ შექმნილი ფრო რად არის საესებით მაღავასებური, ე. ი. საზიზლარი?

ეთ რმალ ური მხარე. პოემა დაწერი- ლია „ამსახველობითი“ მეოდიდით, ე. ი. ავტო- რი პასიურია პოემაში მიმდინარე მოქმედები- სადმი, მაშინ როცა იგივე ავტორი ძლიერ აჭ- ტიურია სულ სხვა სფეროში. იგი უმიზესოდ და უმიზნოდ აკეთებს ესთეტიკურ ჩამატებებს („ესტატიკა“) და საერთო ხასიათის ლირიკულ დახევებს. კი, აუ აჭტივობს ლ. მაკაფარიანი! წერ ფოსტი, რომ ავტორი ცკლეჭტიკია. რო- გორც სჩამის ავტორის სურს რეალისტობა, მაგ- რაც რეალისტური მეობოლი მას არ ეხერხება. „ესტატიკური ჩამატებები“ კი ავტორის დეკა- დენტური აღზრდის და გამოვნების ბრალია.

ცოველივე ზემო თქმულით აიხსნება, რომ ამ პოემაში სიუჟეტური ხაზი არ არის დაცუ- ლი. აუტორი (გრ. რობაქიძის გავლენით) რა საგანსაც არ ენდა წამიკდეს, მოპყება ამ საგ- ნის ისტორიას, აღწერს მას „ყოველმხრივ“, ცო- ტას გამისტიურებს, გააისტორიულებს, შეაჩე- რებს სიუჟეტის მსელელობას (მაგ. „სათემოზე

ეცხლოთან“, „დაინტერესდენ“, ელვანას დაბასი-
ათება, რომელიც პოემაში არ მონაწილეობს
გარდა უმიზიანად ყოფნისა რსმალოებთან გან-
კიტის დღეს და სხვა). ერთი სიტყვით, ავტორი
ხშირად უმიზეშოდ უხვევს მთავარ სასიუდო
მაგისტროალიდან.

გარდა იმისა, რომ ავტორმა ეპიური საქმი-
ანი თხრობა (сказ) არ იყოს, მას უბრალო მო-
ყოლაც (разсказ) არ ეხერხება, ის უფრო წარ-
მოსთვეამს (изрекает) ხოლმე იქ, სადაც უნდა
მოგვითხოოდეს, ლირიკას მიმართავს იქ, სადაც
უნდა გვიყვებოდეს, „მღერის“, სადაც კი მოახერ-
ხებს ამ „სიმღერის“ ხელოვნურ ჩამატება-ჩაკე-
რებას.

განსაკუთრებით დეკადენტურია ავტორი ლექ-
სიკონის სფეროში. „ლანდებს“, „ეშაფოტებს“,
სავადმყოფოს კოშმარებს რომ თავი დავანე-
ბოთ, თვით წარმატება სტრიქონის („პოეტური
ფრაზა“) დეკადენტურად შებრუნებულია ხოლ-
მე: დასაწყისშივე პოემა ასეთია: „სიმკრთალე
შუქთა ძველენ ფიქრებს“, რატომ „სიმკრთალე
შუქთა“ და არა პირიქით „შუქთა სიმკრთალე
და სხვა.

ძლიერ ხშირად აქვს ავტორს გაცვეთილი
თქმები: მისი ღამები სულ თეთრია (ათასხელ მა-
ინც), ერთი შავი არ გაერთია. აბსურდული თქმების
ნიმუშები, ხომ ბევრია: „თეთრი ტანის კან-
კალით“. ნეტავი ვიცოდეთ: თეთრი და შავი ტა-
ნი სხვანაირად კანკალებს?

„მზე დასიცხული იდგა ავტარით“! რა არის ეს?
„ტფილისი ენორ ცეცხლიან ალიდან?“ და სწ.
ბანალობა და გაცვეთილი თქმები:
„ლავარმა ესროლა ხსოვნები მთვარეს“,
„სცივა ცრემლები ნაღვერდალივით“ (ათას-
ხელ თქმული), „სიონმა სურვილი ესროლა

მთაწმინდას“ და სხვა. განსაკუთრებით შაბლო-
ნურია ავტორი „ქალის“ „მშენებელების“ ალ-
ტერაში.

საერთოდ, უნდა დოგას რომ ამ პო-
ემის ფორმა ლური დამარცხების
მთავარი მიზნები მიზნების უნდა ენტური
მეთოდების კრეატურულებურ მეთო-
დებან ალენვაში მდგრად მარტო-
ნის. ავტორმა მოინდომა „აესასა“ ეპოქა,
რისთვისაც უმჯობეს საჭირო იყო ან სიუგ-
ტური, ან მოყოლითი უანრის შემუშავება, მაგ-
რამ ამ უანრები არეგა მუდამ უსერტებლო და
უსიუზებლო დეკადენტურ მეტადელებასთან და
ლირიკასთან და გამარჯვება ამ დეკადენტიში-
სა პლიუს უსთეტიური“ ორნარენტები — იმ მი-
ზენი ფორმალური სისუსტესა.

საერთოდ კი, ლ. მაკავარიანის ეს პოემა მა-
ინც საყურადღებოა, როგორც „დიდ ტილოზე“
მუშაობა, მიუხედავათ იმისა, რომ მან უანრი
ვერ გამართა და იდეურად საყრძნობი შეცდო-
მები დაუშვა. არ არის პოემა იმტერესს-მოკლე-
ბული თემატიკურადაც, რადგან გრძელების
ეპოქა არ არის ლიტერატურულად დამუშავე-
ბული.

დაბოლოს, გაკვირვება უნდა გამოვთქმათ
იმის შესახებ, რომ პოემის სათაური არ მართლ-
დება. ნუ თუ ეს სათაური მხოლოდ იმიტომ
არის ყურით მოთრეული, რომ იგი „ლამაზია“,
ან იმიტომ, რომ ლავარს უკანასკნელი სცენა
ზაჟესთან აქვს, სადაც ის ისევ გორგასლანის
ჩმალშე ოცნებობს.

გავლენების მხრივ გ. ტაბიძის და ბლოკის
გავლენები ეტყობა ავტორს („ნუგეში არ არი,
არ არი“, „ქუჩა იშვის“... გვ. 58. და სხვა.).

6. აძვ.

„მემარცხენება“ — ქართული ხელოვნების მემარცხენე ფრონტის ორგანო.
№ 2. 1928 ტფილისი.

მწერლობაში მემარცხენების სახელის მოპოებას ბევრი ცდილობს. ცდი-
ლობს ყოფილი ქართველი ფუტურისტების ჯგუფიც. მაგრამ საქმით და არა სი-
ტყვით (დეკლარაციებით) შეიძლება ამ სახელის ლირსეული დამსახურება.

პირველი ყოვლისა ყურადღებას იქცევს შემდეგი წინააღმდეგობა: ერთი
მხრივ, ხელოვნებისათვის თანამედროვეობის სოციალური დაკვეთის შესრულების
მოთხოვნა, „ბრძოლა“ ხელოვნების აქტუალიზაციისათვის, „ბრძოლა“ მისი ური-
ლიტარიზაციისათვის, მეორე მხრივ ხელოვნებაში საზოგადოებრივი მომენტის
იგნორაცია, ხელოვნების როგორც კლასობრივი იდეოლოგიის. მებრძოლი იარა-

ლის უარყოფა, უარყოფა საერთოდ ხელოვნების, როგორც იდეო-ფსიქოლოგიური კათეგორიის.

აი ფაქტებიც: „მემარცხენება—ვკითხულობთ მოწინავების სრულის თავის პრინციპებს და ამ პრინციპებით გამართულ მხატვრულ პროცესების (სად არის ეს პროცესები? პ. ქ.) საბჭოთა მშენებლობის შედევრად და მის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ (?) მიმდინარეობათ“. თუ ეს ეს მატერიალი „მემარცხენება“ უნდა იკოდენ ისიც, რომ ამ საბჭოთა მშენებლების შექმნაში პროცესის და მშრომელ მასებზე იდეო-ფსიქოლოგიური ზეგავლენის იარაღს. რაიც გულისხმობს ხელოვნებაში იდეური (იდეოლოგიური) მომენტის პრიორიტეტს ყველა სხვა მომენტებზე ხელოვნების კონკრეტულ ნაწარმოებთა საზოგადოებრივი (კლასობრივი) შინაარსით დატვირთვას, და ამ სხვა მომენტების (ფორმის, მაგალითად) როგორ (იდეურ) ამოცანაზე დამყარებას.

მაგრამ „მემარცხენება“ ეს თითქოს არ ესმით. „ამიტომ ვაყენებთ, ამბობენ ისინი, ჩვენი ახალი ხელოვნების ძირითად პირობად (ხაზი ყველგან ჩვენია პ. ქ.)—ახალი მხატვრული ხერხების აღმოჩენას“ (ბ. ელენ ტი, გვ. 3). ამრიგათ მათი აზრით, ახალი მხატვრული ფორმის შექმნა არის ახალი ხელოვნების ძირითადი ამოცანა.

რისთვის არის საჭირო ახალი ფორმა და საიდან, რა მიზეზით წარმოიშობა ის?

„ხერხის მნიშვნელობა მის მიზნობრივ მიმართებაში იმყოფება“ (შ. ალექაზი შვილი, გვ. 12)— აი დანი შნულება ხერხის ანუ ფორმისა ხელოვნებაში¹⁾. „ახალი ამოცანები ბადებს ხელოვნების ახალი ფორმების საჭიროებას“ (ბ. ელენ ტი, გვ. 3)— აი შიგები ახალი ფორმის წარმოშვების. ასე უპასუხებს „მემარცხენება“ კითხვას—საიდან და რისთვის და ამ პასუხს ჩვენც სავსებით ვეთანხმებით. მაგრამ „ახალი ამოცანები“, რომელებიც (ამოცანები), რა თქმა უნდა, საზოგადრებრივ-კლასიური ხასიათისა (ამაში, ალბათ, „მემარცხენები“ არ გვედავებიან), მაშინ ფორმის განმსაზღვრელი, ესე იგი პირველი პირობა ყოფილი სწორედ ეს ახალი ამოცანები ანუ ახალი საზოგადოებრივი იდეოლოგია. მეორე მხრივ თუ მხატვრული ფორმის მნიშვნელობა მის მიზნობრივ (მიზნები კი იდეოლოგიური, ესე იგი შინაარსობრივი კათეგორია) მიმართებაში იმყოფება, მაშინ ფორმას ხელოვნებაში მხოლოდ და მხოლოდ ამ საზოგადოებრივი მიზან-იდეების გამოთქმის ფუნქცია.

და თუ ხელოვნებაში „ამოცანას“ და „დანიშნულებას“ პრიმატი (უპირატესობა და პრიორიტეტი (პირველობა) აქვს ფორმაზე, — მაშინ „ახალი ხელოვნების ძირითადი პირობა“ პირველ რიგში ყოფილი ამ ამოცანების, დანიშნულების შემუშავება, ჩამოყალიბება, შათი განმტკიცება და შეტანა ხელოვნებაში და არა მხატვრული ფორმების ძიება ჯერ ჩამოუყალიბებელი ამოცანების გადასაჭრელად და ჯერ შეუგნებელი დანიშნულების შესასოულებლად. თუ იმ ახალი ხელოვნების ამოცანა ანუ იდეოლოგია, რომელსაც ჩვენ ვემნით გამოურკვეველია, მაშინ ისევ გამოურკვეველი ანუ თვითმიშნობრივი იქნება მისი მხატვრული ფორმა. ამრიგად მოსაჩვენარ ულტრა-უტილიტარიზმს უკანა რიცნვით, უკანა გზით წვრილბურეუაზიულ ულტრა-უმიზნობამდე, ულტრა-ესთეტიკმამდე, ულტრა-იურიდიზმამდე მივყევართ.

„ხელოვნება არის ფორმა“— ამბობენ მემარცხენები, მაგრამ ამასთანავე სრულიად სამართლიანიად ამტკიცებენ, რომ „ხერხის მნიშვნელობა მის მიზნობ-

¹⁾ „მემარცხენების“ განმარტებით ხერხის ორგანიზაცია შეადგენს ფორმას (იბ. ვ3. 12).

რიც მიმღებთა ში მდგომარეობს". გამოდის, რომ მხატვრული ფორმა ხელოვნების არსიც ყოფილა და ხელოვნებაში მოცემულ მიზნების მიღწევის საშუალებაც. მაგრამ როგორ შეიძლება ორმელიმე მოვლენის ან სივრცის ხაზულება ერთ და იმავე დროს მისი არ სიც იყოს.

მართალია ჩვენი „მემარცხენები“ თითქოს არ იზიარებენ ჩატურები დიდი ხნის უკან თვით ივტორების მიერ უარყოფილ, დაბერებულ-წარჩენაშებულ „თეორიას“ ხელოვნების გიპეტროფიის, ესე იგი მისი სრული გადაგვარების და უსარგებლობის შესახებ, მაგრამ მათ მეჯლანუაშვილის წალებივით გაცვეთილი „თეორია“ ფაქტიურათ ფანჯრიდან შემოეპარათ. „თანამედროვე ახალი მხატვრობა სდგას ტეხნიკიზმის გზაზე“ (გვ. 11). „კინოს მასალას წარმოადგენს ჩვენს გარშემო არსებული ფიზიკური სამყაროს ნივთები“ (გვ. 35). „ხელოვნება, როგორც ნაწილი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც ისეთივე (??) მონაწილეობას ღებულობს საერთო სოციალისტურ მშენებლობაში, როგორც მრეწველობა, ინდუსტრია, მეცნიერება, ინდუსტრია, მეურნეობა“ (გვ. 11). რას ნიშნავს ყოველივე ეს, თუ არა ხელოვნების სრულ უარყოფას, სრულ მოსპობას ხელოვნებისათვის მთავარი საზოგადოებრივ-იდეოლოგიური მომენტისას?!

თუ კინოს და ამრიგად ხელოვნების სხვა დარგების საგანია „ჩვენს გარშემო არსებული ფიზიკური სამყაროს ნივთები“, მაშინ სადღა დაეკარგად „მემარცხენებს“ საზოგადოებრივი ცხოვრება, ხელოვნების ეს წარმომზობი მიზეზი, განსაზღვრული კათეგორია და მხატვრული შემოტელების საგანი? როგორც ირჩევა „მემარცხენების“ აზრით საზოგადოებრივ-კლასობრივი ცხოვრება ხელოვნებაში, როგორც თემაც კი არ შედის. ასეთ შემთხვევაში ხელოვნება იქცევა რათაც გნებავთ, მხოლოდ არა ხელოვნებათ. ამის შემდეგ გასაგებია „ძემარცხენების“ აზრი იმის შესახებ, რომ ხელოვნება „ისეთივე მონაწილეობას ღებულობს საერთო სოციალისტურ მშენებლობაში, როგორც მრეწველობა, ინდუსტრია და მეურნეობა“. აქ საბოლოო აშკარავდება „მემარცხენების“ შეხედულება: მათის აზრით ხელოვნება საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური და ორა ფსიქო-იდეოლოგიური კათეგორია ყოფილა.

იქ საკითხი გადაქრიც უნდა დაისვას, ორში ერთი: ან ხელოვნება საზოგადოებრივი ცხოვრების იდეოლოგიური კათეგორია, მაშინ ის სულ სხვა მეოთხედით იღებს მონაწილეობას სოციალისტურ ილმშენებლობაში და რევოლუციაში საერთოდ ვიდრე მეურნეობა, ან და ხელოვნება არის მხოლოდ მეურნეობა, ესე იგი მატერიალური კათეგორია და მაშინ ხელოვნება და მისი ისტორია შატერიალური კულტურის და არა სულიერი კულტურის ნაწილი და საგანია. ამრიგად „მემარცხენების“ თეორიი ში ჩვენ ვხვდებით ხელოვნებაში საზოგადოებრივ-იდეოლოგიური განური მომენტის სრულ უარყოფას.

კამუნიზმის, ესე იგი ნანდვილი საზოგადოებრივი მემარცხენების თვალ-საზრისით „მემარცხენების“ ზემოდ მოყვანილი ფორმულა გამოითქმის ასე: ხელოვნება როგორც შედევრი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ისეთივე მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც სულიერი კულტურის სხვა დარვები, როგორიცაა სოციალ-ეკონომიკური დისკიპლინები, პოლიტიკური მწერლობა, ფილოსოფია და სხვა. მაგრამ ხელოვნების სპეციალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი საზოგადოებრივ მოვლენებს ითვისებს და იძლევა არა მარტო ინტელექტუალური საშუალებებით, არამედ ემოციონალურადაც და კლასობრივი იდეები მასში (ხელოვნებაში) გამოითქმის მხატვრულ ფორმების საშუალებით.

მეორე ფორმულა „მემარცხენებისა“, რომელიც ამბობს: „თანამედროვე ახალი მხატვრობა სდგას ტეხნიკიზმის გზაზე“, ჩვენებურად გამოითქმის ასე: თანამედროვე ახალი ხელოვნება, პროლეტიარული სდგას უადგენი სოციალური გიზმის გზაზე. მესამე ფორმულა „მემარცხენებისა“ კი, რომელიც ამბობს, რომ „კინოს მასალას წარმოადგენს ჩვენს გარშემო არსებული ფიზიკური სამყაროს ნივთებისად“. ჩვენებურად იკითხება ასე: „ეს მარტინი და სამორის ხელოვნების მასალას წარმოადგენს ჩვენს გარშემო მიმდინარე უძლიერი ფიზიკური ცხოვრების მოვლენები და ამ საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი ფაქტორი: კლასთა ბრძოლა.“

ამ ასეთია ნამდვილი მემარცხენების ფორმულები ხელოვნების სფეროში. ზემოდე ჩვენ ვამბობდით, რომ „მემარცხენები“ ეს მოსაჩვენარი უტილიტარისტები არსებითად თვითმისნობრივი ესთეტებია, რადგან აყენებენ კველა ქვეყნის ფორმალისტების ორაქციონურ თეზის „ხელოვნება ფორმა“-ი, თვით შეკლოვსკიმ, რუსეთში ამ თეზისის «Искусство, как прием»-ის აუტორი, თანათან უკან წაიღო ეს მოსახრება („Третья фабрика“ და «Гамбургский счет»), მაგრამ ჩვენი „მემარცხენები“ ჯერჯერობით განვითარების იმდენად „პროვინციალურ“ საფეხურზე არიან, რომ იმეორებენ იმას, რასაც რუსეთის „ლეფა“ და „ოპორაზ“. მღებმაც კი დიდი ხანია განვლო და უარყო კიდევ ც „ჩვენები“ იმეორებენ „ხელოვნების გიპორტროფიის“ თეორიას, ხელოვნების როგორც მხოლოდ ფორმის თეორიას“, უბრუნდებიან როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად მილინჯეს უარყოფილ „ზაუმს“, ცდილობენ ხელოვნებაში საზოგადოებრივი მომენტის უკუჩდების, ხელოვნება გადააქვთ მხოლოდ მატერიალურ კულტურათა სფეროში და ტეხნიკიზმი, აღიარებენ ხელოვნებაში რაღაც იმანენტურ, არა, მხოლოდ ხელოვნებისათვის დამახასიათებელ, სპეციფიურ შინაგან კანონებს განვითარებისას, კანონებს რომელიც არ ირის დამოკიდებული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე¹⁾ და სხვ. ერთი სიტუაცით გარდაცვის მეტი მეტავრი იდეალიზმი²⁾.

გარდა ამისა „მემარცხენების“ აზრით სხვადასხვა მიმართულების ბრძოლა ხელოვნებაში არის ფორმების ბრძოლა. „ყოველი განვითარება სწარმოებს ფორმების ცვლით“ — ამბობენ ისინი (გვ. 13). როგორც ვხედავთ, იქაც საზოგადოებრივი მომენტის უარყოფაა ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებების ბრძოლაში. ჩვენის აზრით ბრძოლა ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებებს შორის არის ბრძოლა სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასის ან დაჯვუფებისა. ახალ საზოგადოებრივ ძალას მოაქვს ხელოვნებაში ახალი აზრი (მხატვრული იდეოლოგია, მხატვრული აზროვნება) და მხოლოდ შემდეგ ამისა წარმოიშობა ბრძოლა კველსა და ახალ ფორმებს შორის, რაც გამოწვეულია ქველი და ახალი მხატვრული აზრის შებრძოლებით.

ამიტომ არის, რომ საბჭოთა რუსეთში ბრძოლა პროლეტარული შეერლებისა და ბურუუაზიული მწერლების შორის პირველ რიგში დაიწყო მხატვრული იდეების შეჯახების გზით (პლეხანოვი, ლენინი, მერინგი, ვოროვსკი, ლუნაჩარსკი). ვემდევ გადავიდა მხატვრული თეატრიის სფეროში (დ. ბედნი, კირილოვი, როდოვი, ბეზიმენსკი) და ბოლოს მხატვრული ფორმების არეში (ისევ ბეზი-

¹⁾ იბ. ჩ. გვერდზე: „უკავშირი ხელოვნება უითარდება თავის საკუთარი (?) სპეციფიურ კანონების მიხედვით“. აი ერთორთი უძრავეს „ადამის დროინდებული“ იდეალისტური თეორია ხელოვნების განვითარებისა საზოგადოებრივი ცხოვრებისან.

²⁾ სხვათა შორის, მოვრყვანოთ კიდევ ერთ-ერთი ნომერი იდეალისტური შეჯვლობისა; „წელოვნება კარნასობს უოფის თოგანიზაციის კანონებს; ხელოვნება ასენს ახალი ფისხურის რეზულიაციას, ხელოვნება ამორავებს ახალი ცხოვრების ფორმაციისაკვენ“ (ია. გვ. 3).

მენსკი და სხვა). პირველად რუსეთში პროლეტარულმა მწერლობიმ შეიტანა ახალი იდეები მწერლობაში, შემდეგ ახალი თემები და ბოლოს კი ახალ ფორმებს ჰქმნის.

სისულელე იქნებოდა ვინმერ დაგვწამოს ფორმის მნიშვნელობაზე არღაფასება ხელოვნებაში. შაგრამ ჩვენ გვაინტერესებს მეცნიერული სინაზღაურება და დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისა მეორესთან. მეცნიერული კი ასეთია: პირველად ყოვლისა ახალ საზოგადოებრივ კლასის უსაფრთხოებისა და წირმოიშობა ახალი იდეები ხელოვნებაში, ამას ჩვენ ვერანით შინაარსს ხელოვნებისას. ¹⁾ შემდეგ ახალი იდეები ხელოვნებისა ეძებენ შესაფერისს თემებს („მასალას“) ცხოვრებაში და შემდეგ კი თანდათახობით შეკვენიან, და აუცილებლად უნდა შეკვენიან თავისი იდეებისთვის და თემისთვის (მასალისთვის) შესაფერისი ფორმები გამოიქმისა.

როგორც ვხედავთ, ჩვენ სრულებით არ უარყოფთ ფორმების ღირებულებას, პირიქით, ჩვენ არა ერთხელ იღვინიშნავს, რომ ღირებულები მიმართულება, რომელიც ვერ შეკვენის თავის დამახასიათებელ ფორმის, მოკვდება, როგორც უდღეულო. მაგრამ ყოველივე უს არ შეიძლება გვაიძულებდეს ვულალატოთ მეცნიერულ ფაქტებს და შედეგი და საშუალება (მხატვრული ფორმა) მიზეზის და დანიშნულების (მხატვრული იდეა) მაღლა დაიყენოთ. ამრიგად არ არის სწორი „მემარცხენების“ დებულება, რომ ახალი ფორმებიდან „მივდივართ ახალი მასალის ძიებისაკენ“ (გვ. 3), და თუ ისინი ერთ ადგილას იყვნები შედარებით სწორ ფორმულას: „ყველა ფორმის განსაზღვრავს ჯერ მასალა, შემდეგ დანიშნულება“, ჩვენ ვაყენებთ მარქსისტულ ფორმულირებას: ყოველ მხატვრულ ფორმის ხელოვნებაში განსაზღვრავს ჯერ მხატვრული აზროვნება („დანიშნულება“) და შემდეგ თემიტიკა („მასალა“).

ამ თეორეტიული ექსკურსის შემდეგ „მემარცხენება“ № 2-ში ჩვენ გასარჩევი თითქმის არაფერი დაგვრჩენია. „პრაქტიკა?“ პრაქტიკა სუსტია და მასზე შეჩერება ძნელია. ალმანახში მოთავსებულია ს. ჩიქოვანის ნაწყვეტები ბოემიდან (უკეთ დიდი ლირიკული ლექსიდან), ბ. აბულაძის „ურნალისტური“ ლექსები. დ. გიჩეჩილაძის მეტად სუსტი „გუთანი“ (ცოტა „ხალხოსნურ“ მოძველებული მოტივებით) და სხვა. ანგარიშში მისაღები არ არის არც დ. შენ გელაიას ნაწყვეტი პიესიდან, თუმცა უს პიესა წაგვიკითხავს მთლიანად და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ცოცხლად. სიახლით არის დაწერილი და თემატიკურადაც საკმაოდ სიინტერესო (იხ. „სარეპერტუარო ბიულეტენი“-ის №-ში მოთავსებული რეცენზია ამ პიესაზე). ანგარიშში მისაღები არ არის - აგრეთვე არც ს. კასრაძის მეტად ესთეტიკური, უმიზნო („უდანაშაულებო“) ხასიათის, თითქოს ფსიქოლოგიური და საკმაოდ სენტიმენტალური ესკიზი „ურთიერთობა“. რამდენად დრო გადის, იმდენად უფრო მტკიცდება ჩვენი აზრი, რომ სრ. კასრაძე „მემარცხენება“ არ არის პროზის სცეროში და რომ დ. შენგელაიასთან ერთად ის „მემარცხენების ჯგუფში წევრების რაოდენობითი კრიზისის გამო არის შეუვანილი.

ძნელია რაიმეს თქმა ბ. აბულაძის ლექსჩედაც. ცუდათ შესრულებულ გულუბრყეილო რიტორიკას შეიცვას ლექსი „ბრძანება საბჭოთათავდაცვისათვის“ და მეორე ლექსიც. ეს ლექსი მიიაკოვა ამავე თე-

¹⁾ დამანასარებელია, რომ მემარცხენები სიტყვა „შინაარსის“ სრულიად მოსპობასაც კი მოითხოვენ (გვ. 12). ეს კიდევ ერთხელ ამრკიცებს იმას, რომ „მემარცხენები“ სრულიად სდევნიან ხელოვნებიდან იდეულო, საზოგადოებრივ და კლასობრივ მოშენტს.

შაზე „Комсомольская Правда“-ში მოთავსებულ სააგიტაციო ლექსის ჩრდილათაც არ ვამოდგება. მაიაკოვსკის ასეთი ძლიერი სტრიქონები აქვს:

И если война мятелица придет опять
Нужно уметь целиться, уметь стрелять.



აბულაძის ეს ლექსი თუ შეიძლება ჩაითვალოს ურნებულებულიტიკურ ეანრად, მაშინ რაღას ემდურიან „მემარცხენები“ პროცესუალურ უწერალს ნოე ზომლეთელს, რომელიც ყოველ-დღიურად, თავ-თავის დროზე, ყოველ-დღიურ პროლეტარულ პრესაში (და არა ასეთ აკადემიურ კრებულებში, როგორიცაა „მემარცხენეობა“) ათავსებს ბ. აბულაძის ლექსებზე უკეთეს პოლიტიკურ-ურნალისტურ ლექსებს, ფელეტონებს და სხვა.

იუმორის შოკლებული არ არის ა. კ. ბელი აშვილის ნაწყვეტი (სულ ნაწყვეტებით როდემდის დაკმაყოფილდება ეს ავტორი) „ერთი პოლიტიკური პარტიის ისტორია“ და ეურნალის უკანასკნელი ვანყოფილება „მემარცხენეობის შენიშვნების კუთხე“ (არ არის სწორი ამ „კუთხეში“: შენიშვნა პროლეტერალ ფ. ნაროუშეილის შესახებ).

ჩვენ შევადარეთ ნამდვილი კომუნისტური მემარცხენეობა ჩვენი ქართველი „მემარცხენების“ შეხედულებებს. ვამოირკვა, რომ კლასობრივი თვალსაზრისით მათი მემარცხენეობა მოკლებულია საზოგადოებრივ მემარცხენეობის შინაარსს. მაგრამ ყოველივე თქმული მაინც არ ვაძლევს უფლებას „მემარცხენეობის“-ს შნიშვნელობა ქართულ მწერლობაში დავამციროთ.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში „მემარცხენები“ წარმოადგენენ შედარებით პროგრესიულ ლიტერატურულ ჯვუფს, რაღვან ისინი თამამად ებრძვიან, სიტყვით მაინც ძველ რეაქციონურ ლიტერატურულ მიმდინარეობებს, გულწრფელად ცდილობენ საბჭოთა საზოგადოებრიობის საფუძველზე „ახალი ხელოვნებისათვის“ ბრძოლას და ამ მხრივ „მემარცხენეობა“ სხვა დაჯგუფებებზე (და განსაკუთრებით „ყანწელებზე“) უფრო ახლო სდგას პროლეტარულ მწერლობასთან.

პლატონ ქიქოძე.

შესრულებული რეაქციის გიგართ

ახ. რედაქტორო!

გთხოვთ პროფ. ნუცუბიძის საპასუხოთ დამიბეჭდოთ შემდეგი:

შ. ნუცუბიძის „განმარტებას“¹⁾ არ დაურღვევია ის დებულებები. რომელიც მე „ჩემს პასუხში“ მის რეცენზიის შესახებ დაგამყარე. ერთი დებულება ამ პასუხისა ის იყო, რომ შ. ნუცუბიძის რეცენზია წინააღმდევებობას შეიცავდა: იქ ერთის მხრით ნათევაში იყო, რომ ჩემი გამოკვლევა ქსენოფანე კოლოფონელი „მეცნიერული გამოკვლევის სიმაღლეზე დგას“ და თვით დასავლეთ ევორბის მეცნიერთა ნაშრომებზე „მეტის სისტემატიკურობით“ (sic!) იყვლევს თავის სავანს, ხოლო მეორეს იხრით კი აღნიშნული იყო შეთლოდ ნაკლულოვანებანი ამ გამოკვლევისა. თავის აჩალს „განმარტებაში“ შ. ნუცუბიძე მეთანხმება, რომ მის რეცენზიაში მართლაც იყო ასეთი წინააღმდევებობა (211) და ესლა, უკანა რიცხვით, შ. ნუცუბიძე ცდილობს გამოასწოროს ეს წინააღმდევებობა იმით, რომ ის უკვე უარყოფს თავის დებულებას, რომ ჩემი წიგნი „მეცნიერული გამოკვლევის სიმაღლეზე დგას“: ესლა ჩემს წიგნს შ. ნუცუბიძე უძანის გამოკვლევას ცრინწილებში („გამოკვლევა“), ე. ი. ის არ სთვლის ამ წიგნს უკვე „მეცნიერული გამო-

1) იხ. „მნათობი“ № 1. 1928 წ.

კვლევის სიმაღლეზე მდგომ ნაშრომად (211, 218). ამნაირად, ერთი წინააღმდეგობა შ. ნუცუბიძის რეცენზიისა გამოსწორებულია მისი „განმარტებით“ მაგრამ სამწევნარებელ, ეს კამოსწორება შ. ნუცუბიძემ მხოლოდ უფრო მძიმე წინააღმდეგობის ჩადენით შესძლო.

თავის „განმარტებაში“ შ. ნუცუბიძე სწორს, რომ მან ჩემი წიგნი ჟელინიუმ სიმაღლეზე მდგომ გარკვეულევად იმიტომ სცნო და თვით ევროპიელ შეცნიერთა წაზროვნულებულობის მაღლა იმიტომ დააყენა თავის რეცენზიაში, რომ ხელმძღვანელობრა „პროტეციონალისტურობის სისტემით“ (211). რომ შ. ნუცუბიძე იქამდის მივიღოთ, რომ პროტეციონას საჭარბელო ცრისტიანულის ამაღლებას დაუპირებდა, ეს ძნელი წარმოსადგენი იყო. სად მეცნიერული რეცენზია და სად პროტეციონის რომ არ უდგება ერთი მეორეს! აღმართ მაღიან გაჭირებია და მეტი ცერაფერი უნაგის სათქმელი თავის დასაცავად, რაფი ასეთი „სამუთისათვის“ მიუმართავს. მაგრამ მაშინ სჯობდა ჩუმად ყოფილიყო სრულიად.

უადგილობის გამო მე არ მაქვს საშუალება გაესცე შ. ნუცუბიძის „განმარტებას“ ამომწურავი პასუხი ამ ცურნალის ფურცლებზე (პასუხი დაიბეჭდება ცალკე წიგნიდ), ამიტომ აღვნიშნავ აქ მხოლოდ იმას, რომ შ. ნუცუბიძის „განმარტება“, ისე როგორც მისი რეცენზია, არ არის მეცნიერულად დაწერილი. „განმარტება“ არ სპობს იმ წინააღმდეგობებს, რომელიც მე შევნიშნე შ. ნუცუბიძის რეცენზიაში; სამაგიეროდ კი აჩალს წინააღმდეგობებს აკისრებს მის ავტორს. ამ წინააღმდეგობათა შესახებ ცალკე გვექნება ლაპარაკი.

1) ინ. „მნათობი“ № 1 1928 წ.

ს. დანელია.

რედაქტორ:

შიხ. ჭავათანი ს. ბაბულიძე გ. მუშიშვილი ს. უგლი

შინაარსი

მხატვრული ლითოგრაფია



	გვერდი
1. ნ. ლორთქიფანიძე—პილიკებიდან ლიანდაგზე	5
2. გ. ტაბიძე—ეპოქა (გაგრძელება)	29
3. გიორგი წერეთელი—გულჭან (გაგრძელება)	41
4. კონსტანტინე ლორთქიფანიძე—ლექსი	66
5. ილო შოსაშვილი—თანამედროვე პოეტებისადმი შიწერილი	67
6. გარლამ რუხაძე—ტყის ძმები	74
7. ბანოვანი—სამართალს სისხლით მოვძებნი (გაგრძელება)	83
8. მ. გორგი—არტამონოვების საქმე (კაგრძელება) თარგ. ლეო ქიაჩელისა	126

კრიტიკა—მიცემები—პუბლიცისტიკა

9. გ. ბახტაძე—ტოლსტოი—მხატვარი და მოაზროვნე	155
10. გ. მუშიშვილი—პროლეტარულ ბწერლობის დასაკავალ	168
11. რაფდენ კალაძე—ქართული პროლეტარული მწერლობა	183
12. გრიგოლ რობაჭიძე—ტოლსტოის დღეები	207
13. ილია ჭილაძე—ჩემი დღე და სოფელი	216
14. მოსე გოგიძერიძე—ქარლ კაუტსკის ახალი ფილოსოფია	227
15. კ. ორაგველიძე—ამიერ-კავკასიის ეკონომიკური განვითარება	250

ბიბლიოგრაფია

16. დემა შენგელაია—ლევ ტოლსტოი: „ყაზახები“	270
17. ს. ამ—ანი—ლ. ტოლსტოი: „ალდგომა“	275
18. გ. ბ—ძე—ს. რემონიძე: „ადამიანი“	277
19. ი. მო—ლი—ვაჟა ფშაველა: ლექსები, ტომი I	278
20. ნ.—ძე—ლადო მაკამარიანი—„მტკვარი ჯოვშნოსანი“	280
21. პლატონ ქიქოძე—„მემარცხენეობა“ № 2. 1928 წ.	282
22. ს. დანელია—წერილი რედაქციის მიმართ	287



“**ესტონიას გასწორება.**

მე-183 ველილზე, რაჭუნენ კალაძის წერილის — „ქართული პროლეტარული მწერლობა“—ს რეზაქციის შენიშვნაში, მე-3 სტრიქონში ქვეიდან, სწერია: „ეოსაზრების მოტივი“ უძრა იყოს: „ეროვნული მოტივი“.

५८०

၁၆/၄၅

သုတေသန ၂ ပါရီ။

